

იურისტის ბიბლიოთეკა

მიხეილ ბიჭია

კანონისმიერი ვალდებულებითი ურთიერთობები

(დამხმარე სახელმძღვანელო)

- საგიარო უფლებები
- დავალების გარეშე სხვისი საქმეების შესრულება
- უსაფუძვლო გამდიდრება
- დელიქტური ვალდებულებები

თბილისი 2016

UDC (უაკ) 347.5
ბ-737

წინამდებარე სახელმძღვანელო არის პირველი მცდელობა, თავი მოუყაროს კანონისმიერი ვალდებულებების სფეროში არსებულ პრობლემებს. შესაბამისად, ნაშრომში განხილულია ისეთი უმნიშვნელოვანესი ცნებები და ინსტიტუტები, როგორიცაა: საზიარო უფლებები, დავალების გარეშე სხვისი საქმეების შესრულება, უსაფუძვლო გამდიდრება, დელიქტური ვალდებულებები. სახელმძღვანელოში წარმოჩენილია საკითხების როგორც თეორიული საფუძვლები, ისე პრაქტიკული მნიშვნელობის ასპექტები. წიგნი განკუთვნილია უპირატესად უმაღლესი სასწავლებლების იურიდიული ფაკულტეტების საბაკალავრო, სამაგისტრო თუ სადოქტორო პროგრამების სტუდენტებისთვის. ამასთან, სახელმძღვანელო, ნაშრომში ასახული პრობლემატიკის გათვალისწინებით, შეიძლება საინტერესო იყოს, გარდა თეორეტიკოსი, ასევე, პრაქტიკოსი იურისტისთვის.

რედაქტორი: მარიამ ცისკაძე,
ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი, საქართველოს უზენაესი სასამართლოს ყოფილი მოსამართლე

რეცენზენტი: ზურაბ ძლიერიშვილი,
ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი, საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლე

© მიხეილ ბიჭია

გამომცემელი: იურიდიული ფირმა
„ბონა კაუზა“, თბილისი, 2016 წ.

ISBN 978-9941-9478-0-3

შინაარსი

წინათქმა.....14

I თავი. კანონისმიერი ვალდებულებების ადგილი სამოქალაქო სამართლის სისტემაში.....16
§ 1. ვალდებულების ცნება და ელემენტები.....16
1. ვალდებულების ცნება.....16
2. ვალდებულებითსამართლებრივი ურთიერთობის ელემენტები.....17
2.1. ვალდებულების სუბიექტები.....17
2.2. ვალდებულებითსამართლებრივი ურთიერთობის შინაარსი.....18
ა. ზოგადად უფლება-მოვალეობის შესახებ.....18
ბ. სანივთო და ვალდებულებითსამართლებრივ უფლებებს შორის მიმართება.....19
2.3. ვალდებულების ობიექტი.....24

§ 2. ვალდებულების სახეები.....28
1. სახელშეკრულებო და არასახელშეკრულებო ვალდებულებებს შორის მიმართება.....28
1.1. ვალდებულებების წარმოშობის საფუძვლები.....28
ა. სახელშეკრულებო ვალდებულების არსი.....28
ბ. არასახელშეკრულებო ვალდებულების არსი.....29
1.2. ვალდებულების მომწესრიგებელი ნორმების იურიდიული ძალა...29
1.3. ვალდებულების შინაარსი.....30
1.4. ვალდებულების იურიდიული შინაარსის ფარგლები.....31
1.5. ვალდებულების სუბიექტური შემადგენლობა.....32
2. მოთხოვნისა და მოთხოვნის სამართლებრივ საფუძველთა კონკურენცია.....32

§ 3. არასახელშეკრულებო ვალდებულებების ადგილი ვალდებულებითი სამართლის სიტემაში.....36
1. არასახელშეკრულებო ვალდებულებების ადგილი ვალდებულებითი სამართლის კერძო ნაწილში.....36
2. არასახელშეკრულებო ვალდებულებების ზოგადი დახასიათება....40

II თავი. საზიარო უფლებები.....44
§ 4. საზიარო უფლებების ცნება და ადგილი სამოქალაქო სამართლის სისტემაში.....44
1. ზოგადად საზიარო უფლებების ცნებისა და ნიშნების შესახებ....44

2. საზიარო უფლებების ადგილი სამოქალაქო სამართლის სისტემაში....47

§ 5. საზიარო უფლებების დაცვიდან წარმოშობილი კანონისმიერი ვალდებულების ელემენტები....51
1. საზიარო უფლებების სუბიექტები....51
2. საზიარო უფლების ობიექტი....51
3. საზიარო უფლებების დაცვიდან წარმოშობილი კანონისმიერი ვალდებულების შინაარსი....52
3.1. მოწილეთა უფლება წილზე....52
3.2. უფლება ნაყოფზე....55
3.3. საზიარო საგნის მართვა....58
3.4. საზიარო საგნის მართვისა და სარგებლობის შესახებ გადაწყვეტილების მიღება....60
3.5. საზიარო საგნის მართვის წესი უფლებამონაცვლეობისას....62
3.6. საზიარო საგნის განკარგვისა და მოვლა-პატრონობის წესი...63
4. საზიარო უფლების გაუქმების საფუძვლები....64
4.1. საზიარო უფლების გაუქმების არსი და გაუქმების მოთხოვნის გამორიცხვა....64
4.2. საზიარო უფლების გაუქმება ნატურით გაყოფისას....66
4.3. საზიარო უფლების გაუქმება საზიარო საგნის რეალიზაციისას...68
5. საზიარო უფლების სუბიექტთა სამოქალაქო პასუხისმგებლობა....68

III თავი. დავალების გარეშე სხვისი საქმეების შესრულება....71
§ 6. დავალების გარეშე სხვისი საქმეების შესრულების ცნება და ზოგადი ნიშნები....71
1. მოძღვრება neg. gestio-ს შესახებ....71
1.1. ზოგადად....71
1.2. ობიექტური თეორიები....72
1.3. სუბიექტური თეორიები....75
1.4. შერეული თეორია....76
2. დავალების გარეშე სხვისი საქმეების შესრულების ცნება და სახეები....77
2.1. ნამდვილი და არანამდვილი დავალების გარეშე სხვისი საქმეების შესრულება....77
ა. (ნამდვილი) დავალების გარეშე სხვისი საქმეების შესრულება...77
აა. საქმე....78
აბ. სხვისი საქმეების შესრულება....79
აგ. სხვისი საქმეების კეთილსინდისიერად შესრულების ნება....83

ა.დ. დავალების გარეშე საქმის შესრულება....83
ბ. არანამდვილი დავალების გარეშე სხვისი საქმეების შესრულება....85
3. დავალების გარეშე სხვისი საქმეების შესრულება და მომიჯნავე ინსტიტუტები....86
3.1. დავალების გარეშე სხვისი საქმეების შესრულება და დავალება...86
3.2. დავალების გარეშე სხვისი საქმეების შესრულება და მესამე პირის სასარგებლოდ დადებული ხელშეკრულება....88
3.3. დავალების გარეშე სხვისი საქმეების შესრულება და უკიდურესი აუცილებლობა....88

§ 7. დავალების გარეშე სხვისი საქმეების შესრულებიდან წარმოშობილი ურთიერთობის ელემენტები....91
1. დავალების გარეშე სხვისი საქმეების შესრულებიდან წარმოშობილი ურთიერთობის სუბიექტები....91
2. neg. gestio-ს ობიექტი....91
3. დავალების გარეშე სხვისი საქმეების შესრულებიდან წარმოშობილი ურთიერთობის მონაწილეთა უფლება-მოვალეობები....93
3.1. საქმის ჯეროვანი შესრულება....93
ა. დაინტერესებული პირის ინტერესი და ნება....93
ბ. საქმის შესრულება საფრთხის თავიდან ასაცილებლად და დაინტერესებული პირის ნების საწინააღმდეგოდ....94
გ. შეტყობინებისა და გადაწყვეტილების ლოდინის მოვალეობები...94
დ. ანგარიშის წარდგენის მოვალეობა....96
3.2. ხარჯების ანაზღაურება....96

IV თავი. უსაფუძვლო გამდიდრება....101
§ 8. უსაფუძვლო გამდიდრების ცნება და ზოგადი თავისებურებები....101
1. უსაფუძვლო გამდიდრების არსი....101
2. უსაფუძვლო გამდიდრების ზოგადი ნიშნები....102
3. უსაფუძვლო გამდიდრების მიზანი....106

§ 9. უსაფუძვლო გამდიდრების სახეები....107
1. შესრულების კონდიქციის ცნება და სახეები....108
1.1. შესრულების კონდიქციის ზოგადი დახასიათება....108
1.2. შესრულების კონდიქციის სახეები....109
ა. შესრულების კონდიქციის ძირითადი შემთხვევა (Condictio indebiti)....109
ა.ა. რაიმეს გადაცემა....110
ა.ბ. ქონებრივი სარგებლის მიღება....113

ა.გ. სამართლებრივი საფუძვლის გარეშე შეძენა....113
ბ. სსკ-ის 976-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „ბ“ პუნქტი....115
1.3. უკან დაბრუნების ვალდებულების შესრულების გამომრიცხველი გარემოებები (სსკ-ის 976-ე მუხლის მე-2 ნაწილი)....116
ა. ზნეობრივი მოვალეობის შესაბამისი შესრულება....117
ბ. ხანდაზმულობის ვადის გასვლა....118
გ. სსკ-ის 976-ე მუხლის მეორე ნაწილის „გ“ პუნქტი....118
დ. სსკ-ის 976-ე მუხლის მეორე ნაწილის „დ“ პუნქტი....119
1.4. გადაცემული ქონების უკან დაბრუნების მოთხოვნა და მისი დაუშვებლობა....120
ა. ზოგადი წინაპირობები....120
ბ. უკან დაბრუნების მოთხოვნის გამომრიცხველი გარემოებები (სსკ-ის 977-ე მუხლის მე-2 ნაწ.)....123
2. შეუსრულებლობის კონდიქცია....124
2.1. ხელყოფის კონდიქცია....125
ა. ხელყოფის კონდიქციის ზოგადი შემთხვევა....125
აა. რაიმეს შეძენა....126
აბ. „სხვაგვარი“ უსაფუძვლო გამდიდრება....126
ა.გ. სხვის ხარჯზე....127
ა.დ. სამართლებრივი საფუძვლის გარეშე....127
ა.ე. ორიდიული შედეგი....128
ბ. ხელყოფის კონდიქციის სპეციალური შემთხვევები....129
2.2. რეგრესის კონდიქცია....130
ა. უსაფუძვლოდ სხვისი ვალის დაფარვა....131
ბ. სუბსიდიური ხასიათი....131
2.3. დანახარჯების კონდიქცია....134
ა. დანახარჯების გაწევა....134
ბ. სუბსიდიური ხასიათი....134
გ. „თავს მოხვეული“ გამდიდრების არარსებობა....135

§ 10. უსაფუძვლო გამდიდარებიდან წარმოშობილი ვალდებულების ელემენტები....136
1. უსაფუძვლო გამდიდრებიდან წარმოშობილი ვალდებულების ობიექტი....136
2. უსაფუძვლო გამდიდრებიდან წარმოშობილი ვალდებულების სუბიექტი....137
3. უსაფუძვლო გამდიდრებიდან წარმოშობილი ვალდებულების შინაარსი....138
3.1. იძულების ან მუქარის საფუძველზე გადაცემულის უკან დაბრუნების მოთხოვნა....138

3.2. ხარჯებისა და დანაკლისის ანაზღაურება....140
3.3. ზიანის ანაზღაურების ვალდებულება....142
3.4. სხვისი სამართლებრივი სიკეთეების ხელყოფის შედეგები....146
3.5. არაუფლებამოსილი პირის მიერ შესრულების მიღება....149
3.6. პასუხისმგებლობისგან განთავისუფლება....150
3.7. მოგების მოთხოვნის უფლება....151
3.8. კონდიქციური მოთხოვნები სამი პირის ურთიერთობებში....152
3.9. შეცდომის გაწეული ხარჯების ანაზღაურება....154
3.10. ვითომ-კრედიტორის მითითებით შესრულების შედეგები....155
3.11. ხელყოფის კონდიქცია სასყიდლიანი და უსასყიდლო განკარგვისას....158
3.12. სხვა საშუალებით გამდიდრება....160
4. უკან დაბრუნების მოთხოვნის მოცულობა....162
5. ვინდიკაცია და კონდიქცია....169

V თავი. დელიქტური ვალდებულებები....175
§ 11. დელიქტური ვალდებულების ზოგადი საფუძვლები....175
1. ზოგადი დახასიათება....175
2. ზოგადად აბსოლუტური ურთიერთობის (უფლების) შესახებ....178
3. აბსოლუტური ურთიერთობის ობიექტი....180
3.1. სიცოცხლე, სხეული და ჯანმრთელობა....181
3.2. ღირსება, პატივი და საქმიანი რეპუტაცია....184
ა. ღირსება....184
ბ. პატივი....188
გ. საქმიანი რეპუტაცია....191
3.3. სახელი....193
3.4. პირადი გამოსახულება....197
3.5. პირადი ცხოვრების საიდუმლოება....201
3.6. საკუთრება....205
3.7. ზოგადი პიროვნული უფლება და დელიქტური ვალდებულება....207
4. გენერალური დელიქტიდან წარმოშობილი ქონებრივი და არაქონებრივი ზიანის ანაზღაურების მოთხოვნები....213
4.1. ქონებრივი ზიანის ანაზღაურება....214
ა. ქონებრივი ზიანის ანაზღაურების მოთხოვნა....214
აა. ქონებრივი ზიანი....214
ა.ბ. ქმედების მართლწინააღმდეგობა....215
ა.გ. მიზეზობრიობა....219
ა.დ. ბრალი....221
ბ. ქონებრივი ზიანის ანაზღაურების ფარგლები და კრიტერიუმები....226

4.2. არაქონებრივი ზიანის ანაზღაურების მოთხოვნა....229
ა. არაქონებრივი ზიანის ანაზღაურების წინაპირობები....229
ა.ა. არაქონებრივი ზიანის ცნება....229
ა.ბ. ქმედების მართლწინააღმდეგობა....232
ა.გ. მიზეზობრივი კავშირი....233
ა.დ. ბრალი....233
ბ. არაქონებრივი ზიანის ანაზღაურების ფარგლები და კრიტერიუმები....234
5. აბსოლუტური უფლებების სამოქალაქოსამართლებრივი დაცვის სხვა ფორმები....238
5.1. უფლების აღიარება....238
5.2. მოქმედების განხორციელებისგან თავის შეკავება და მოქმედების შეწყვეტა....238
5.3. უარყოფა....239
5.4. საკუთარი პასუხის გამოქვეყნება....241
6. სამოქალაქოსამართლებრივი პასუხისმგებლობის ფუნქციები....241
6.1. პრევენციის ფუნქცია....241
6.2. სატისფაქციის ფუნქცია....243
6.3. საკომპენსაციო ფუნქცია....243

§ 12. ქონებრივი ზიანის მომტანი ცნობების გახმაურება ღირებულებით კონფლიქტში....246
1. ქონებრივი ზიანის მომტანი ცნობების გახმაურება....246
1.1. სინამდვილესთან შეუსაბამო ცნობების გავრცელება....247
ა. სინამდვილესთან შეუსაბამო ცნობების ცნება....247
ბ. ცილისწამება....248
გ. შეურაცხყოფა....249
დ. ცნობების გავრცელება....251
1.2. ზიანის მომტანი ცნობების გავრცელებასა და ქონებრივ ზიანს შორის მიზეზობრივი კავშირი....252
1.3. ბრალი....253
2. ქონებრივი ზიანის მომტანი ცნობების გახმაურების ლეგიტიმაცია...253
2.1. ნორმის მიზანი და გამოყენების სფერო....253
2.2. მედია, როგორც საზოგადოებრივი ინტერესის დამცველი....254
2.3. აზრის გამოხატვის თავისუფლების დაცვა – პასუხისმგებლობის გამორიცხვა....254
2.4. სხვა საჯარო ინტერესები....257
2.5. კერძო და საჯარო ინტერესთა ღირებულებითი კონფლიქტის გადაწყვეტის გზები....257

§ 13. დელიქტუნარიანობის ძირითადი საფუძვლები....259
1. არასრულწლოვნის მიერ მიყენებული ზიანისთვის სამოქალაქო პასუხისმგებლობა....259
1.1. სსკ-ის 994-ე მუხლის მიზანი და გამოყენების სფერო....259
1.2. ათ წლამდე არასრულწლოვნის მიერ მიყენებული ზიანის ანაზღაურება....260
ა. ათ წლამდე პირის მიერ მიყენებული ზიანი....260
ბ. არასრულწლოვნის ქმედების მართლწინააღმდეგობა....261
გ. მიზეზობრიობა....263
დ. ბრალი....264
ე. პასუხისმგებლობის ფარგლები....266
ვ. პასუხისმგებლობის გამომრიცხველი გარემოებები....269
1.3. ათიდან თვრამეტ წლამდე არასრულწლოვნის მიერ მიყენებული პასუხისმგებლობა....270
ა. არასრულწლოვნის შეფასებაუნარიანობა....270
ბ. არასრულწლოვნის მატერიალური მდგომარეობა....271
2. მხარდაჭერის მიმღების მიერ მიყენებული ზიანის ანაზღაურება....273
2.1. ნორმის მიზანი და არსი....273
2.2. სსკ-ის 995-ე მუხლის ძველი რედაქციის უარყოფითი მხარეები....273
ა. ინდივიდუალური უნარების გაუთვალისწინებლობა....274
ბ. პიროვნების თავისუფალი განვითარების უფლების გაუთვალისწინებლობა....274
გ. მეურვის მიერ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირის აზრის გაუთვალისწინებლობა....276
2.3. მხადაჭერის მიმღების დელიქტური პასუხისმგებლობა....277
2.4. მხარდამჭერის დანიშვნისას მხარდაჭერის მიმღების მიერ ზიანის მიყენებისთვის პასუხისმგებლობა....279
3. დროებით უგონო ან სულიერი მოშლილობის მდგომარეობაში მყოფი პირების მიერ მიყენებული ზიანის ანაზღაურება....281
3.1. ნორმის მიზანი და გამოყენების სფერო....281
3.2. დროებითი სულიერი მოშლილობის დროს მიყენებული ზიანისთვის პასუხისმგებელი სუბიექტი....281
3.3. სამოქალაქო პასუხისმგებლობისგან გამომრიცხველი გარემოება....282

§ 14. საშსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას მიყენებული ზიანის ანაზღაურება....283
1. სუბიექტები....283

1.1. პასუხისმგებელი პირი (დამსაქმებელი).....283
1.2. მუშაკი.....285
2. სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას წარმოშობილი ზიანი.....289
3. მუშაკის ქმედების მართლწინააღმდეგობა.....290
4. სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას წარმოშობილ ზიანს და მუშაკის არამართლზომიერ ქმედებას შორის მიზეზობრივი კავშირი.....291
5. სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას წარმოშობილი ზიანის ანაზღაურებაზე პასუხისმგებელი პირის ბრალი.....294

§ 15. სოლიდარული პასუხისმგებლობა მიყენებული ზიანისთვის.....297
1. სსკ-ის 998-ე მუხლის 1-ლი ნაწილი.....297
2. სსკ-ის 998-ე მუხლის მე-2 ნაწილი.....301

§ 16. სატრანსპორტო საშუალების ექსპლოატაციისა და ნაგებობიდან ან ნივთიერებიდან გამომდინარე მომეტებული საფრთხით გამოწვეული ზიანის ანაზღაურების საფუძვლები.....304
1. სატრანსპორტო საშუალების ექსპლოატაციის შედეგად დამდგარი ზიანის ანაზღაურება.....305
1.1. სატრანსპორტო საშუალებით მიყენებული არაბრალეული ხელყოფისას ზიანის ანაზღაურების ზოგადი დახასიათება.....305
1.2. სატრანსპორტო საშუალების მფლობელი.....306
1.3. სატრანსპორტო საშუალების მფლობელის ნებართვით ან მის გარეშე სატრანსპორტო საშუალების ექსპლოატაციით წარმოშობილი ზიანის ანაზღაურება.....309
1.4. სატრანსპორტო საშუალების ექსპლოატაციის შედეგად დამდგარი ზიანის ანაზღაურების მოვალეობის გამომრიცხველი გარემოებები.....313
1.5. სატრანსპორტო საშუალების ექსპლოატაციით გამოწვეული დარღვევის იურიდიული შედეგი.....318
2. ნაგებობიდან გამომდინარე მომეტებული საფრთხით გამოწვეული ზიანის ანაზღაურება.....319
2.1. ნაგებობისა და ნივთიერებიდან გამომდინარე მომეტებული საფრთხის გამოყენებით წარმოშობილი ზიანი.....319
2.2. ქმედების მართლწინააღმდეგობა.....321
2.3. მიზეზობრიობა.....321
2.4. პასუხისმგებელი პირი.....322
2.5. ნაგებობიდან ან ნივთიერებიდან გამომდინაზე ზიანის ანაზღაურების გამომრიცხველი გარემოებები.....324

2.6. რადიაციული ნივთიერების გამოყენებით წარმოშობილი ზიანის ანაზღაურება....325

§ 17. ხანძრის ჩაქრობისას წარმოშობილი ზიანის ანაზღაურების საფუძვლები....325

§ 18. ცხოველის მიერ მიყენებული ზიანის ანაზღაურების წინაპირობები....326
1. ცხოველის მიერ ზიანის მიყენება....326
2. ქმედების მართლწინააღმდეგობა....328
3. მიზეზობრივი კავშირი და მტკიცების ტვირთი....328
4. ცხოველის მიერ მიყენებული ზიანისთვის პასუხისმგებელი პირი...330

§ 19. შენობის ჩამოქცევით გამოწვეული ზიანის ანაზღაურება....333
1. სსკ-ის 1004-ე მუხლის 1-ლი ნაწილი....333
2. სსკ-ის 1004-ე მუხლის მე-2 ნაწილი....336

§ 20. სახელმწიფოს პასუხისმგებლობა მისი მოსამსახურის მიერ მიყენებული ზიანისთვის....336
1. ნორმის მიზანი და მოქმედების სფერო....336
2. საჯარო უფლებამოსილების განმახორციელებელი სუბიექტი (საჯარო მოსამსახურე)....337
3. საჯარო (სამსახურებრივი) მოვალეობის დარღვევა....338
4. საჯარო მოსამსახურის მიერ სამსახურებრივი მოვალეობის დარღვევასა და მესამე პირთა უფლებების ხელყოფას შორის მიზეზობრივი კავშირი....340
5. პასუხისმგებელი სუბიექტის ბრალი....340
6. ზიანის ანაზღაურების გამომრიცხველი გარემოება....342
7. საჯარო (სამსახურებრივი) მოვალეობის დარღვევის იურიდიული შედეგი....343
7.1. ქონებრივი ზიანის ანაზღაურება....343
7.2. წარმოიშობა თუ არა სსკ-ის 1005-ე მუხლით არაქონებრივი ზიანის ანაზღაურების უფლება?....345
8. სახელმწიფოს პასუხისმგებლობის შესახებ საქმეების განსჯადობის პრობლემა....347

§ 21. დაზარალებულის გარდაცვალებისას ზიანის ანაზღაურება....350
1. დაზარალებულის გარდაცვალება....351
2. მართლსაწინააღმდეგო და ბრალეული ქმედება....351
3. მიზეზობრივი კავშირი....352

4. მარჩენალისთვის მიყენებული ზიანისათვის ანაზღაურების მიღებაზე უფლებამოსილი პირები....352
5. სარჩოს გადახდის ვალდებულების ხანგრძლივობა....353
6. დაზარალებულის გარდაცვალებით წარმოშობილი იურიდიული შედეგი....354
6.1. ქონებრივი ზიანის ანაზღაურების თავისებურება....354
6.2. არაქონებრივი ზიანის ანაზღაურების თავისებურება....355

§ 22. სამედიცინო დაწესებულების სამოქალაქო პასუხისმგებლობა ზიანისთვის....359
1. ზიანი....359
2. ქმედების მართლწინააღმდეგობა....359
3. მიზეზობრივი კავშირი....360
4. ბრალი და მტკიცების ტვირთი....362
5. იურიდიული შედეგი....363

§ 23. დელიქტური ვალდებულებიდან წარმოშობილი მოთხოვნის ხანდაზმულობა....365

§ 24. წუნდებული პროდუქტიდან წარმოშობილი დელიქტური ვალდებულებები....367
1. ზოგადი დებულებები....367
2. წუნდებული პროდუქტიდან წარმოშობილი დელიქტური ვალდებულებების ძირითადი ცნებები....369
2.1. ცნება „პროდუქტი“....369
ა. ტერმინი „პროდუქტი“....369
ბ. ელექტროდენი არის თუ არა პროდუქტი?....371
გ. პირველადი ან ნადირობის შედეგად მიღებული პროდუქტი....373
დ. კომპიუტერული პროგრამა (უზრუნველყოფა)....374
ე. ადამიანის სხეულის ნაწილი....376
ვ. ქიმიური, ფარმაცევტული და სხვა სახის საწარმოო ნარჩენები ან წამალი....376
ზ. გენმოდიფიცირებული პროდუქტი....377
2.2. წუნდებული პროდუქტის ცნება და სახეები....379
ა. წუნდებული პროდუქტის ცნება....379
ბ. პროდუქტის წუნის კლასიფიკაცია....383
3. მომხმარებელი და მწარმოებელი, როგორც წუნდებული პროდუქტიდან წარმოშობილი (სამომხმარებლო) დელიქტური ვალდებულების სუბიექტები....386

3.1. მომხმარებელი....386
3.2. პროდუქტის მწარმოებელი....388
4. მოხმარებლის უფლებების ხელყოფის შედეგები დელიქტურ სამართალში....392
4.1. წუნდებული პროდუქტით გამოწვეული ქონებრივი ზიანის ანაზღაურება....392
4.2. წუნდებული პროდუქტით გამოწვეული არაქონებრივი ზიანის ანაზღაურების თავისებურება....396
4.3. პასუხისმგებლობის გამომრიცხველი გარემოებები....397
4.4. წუნდებული პროდუქტით გამოწვეული ზიანიდან წარმოშობილი მოთხოვნის ხანდაზმულობა....400
4.5. სამართლებრივ მოთხოვნათა კონკურენცია წუნდებული პროდუქტით გამოწვეული ზიანის დროს....400

გამოყენებული ლიტერატურა....407

წინათქმა

წინამდებარე ნაშრომის შექმნა, ძირითადად, განაპირობა ორმა ფაქტორმა: ა) კანონისმიერი ვალდებულებების სფეროში სახელმძღვანელოს არარსებობამ და ბ) სასწავლო პროცესის ხელშეწყობის სურვილმა.

უპირველეს ყოვლისა, საგულისხმოა, რომ დღემდე არ გამოცემულა ისეთი სახელმძღვანელო, რომელიც არასახელშეკრულებო ვალდებულებების სფეროში არსებულ პრობლემატიკას სრულად წარმოაჩენდა. ეს, ცხადია, დიდ პრობლემას უქმნის სტუდენტებს უშუალოდ სწავლების პროცესში, ვინაიდან სახელმძღვანელოს არარსებობისას სტუდენტები იძულებული არიან, გაეცნონ სხვადასხვა სამეცნიერო ნაშრომსა თუ სასამართლო გადაწყვეტილებებს, რომლებიც მთლიანობაში ვერ ამოწურავენ არასახელშეკრულებო ვალდებულებებს. აღნიშნულ შემთხვევაში რთულია, სტუდენტებმა საფუძვლიანად შეისწავლონ კანონისმიერი ვალდებულებები. ასევე, პრობლემურია, დასაწყის კურსებზე წაუყენო სტუდენტებს მიუღწევადი მოთხოვნა - ქართულ იურიდიულ ლიტერატურასთან ერთად გაეცნონ უცხოურ იურიდიულ ლიტერატურასაც. ეს კიდევ უფრო ნათელია, თუ გავითვალისწინებთ, რომ როგორც სტუდენტები, ისე ლექტორები ყოველ სემესტრში ამ პრობლემის წინაშე დგებიან. შესაბამისად, მიზანშეწონილი იყო ამ სფეროში გარკვეული სახელმძღვანელოს შექმნა, რომელიც იურიდიულ ლიტერატურაში არსებული დებულებების საფუძველზე სხვადასხვა თემის შესახებ აუცილებელ ინფორმაციას მიაწვდიდა სტუდენტს. ამასთან, მართალია, ქართულ ენაზე დღემდე არ არსებობს ისეთი სახელმძღვანელო, რომელშიც კანონისმიერი ვალდებულებები იქნებოდა მიმოხილული, თუმცა ეს როდი ნიშნავს იმას, რომ დღემდე გამოცემული სამეცნიერო ნაშრომები უნდა იქნეს უგულებელყოფილი. ამ სახელმძღვანელოს მიზანი იყო, ძირითადი საყრდენი ყოფილიყო ქართული იურიდიული ლიტერატურა. შესაბამისად, დიდი მადლიერება მინდა გამოვხატო ქართველი მეცნიერების მიმართ, რომელთა ნაშრომებიც დაედო საფუძვლად ამ სახელმძღვანელოს. ესენი არიან: ზ. ახვლედიანი, შ. ჩიკვაშვილი, ბ. შაკაშვილი, ბ. ზოიძე, თ. ნინიძე, ლ. ჭანტურია, თ. ჩიტოშვილი, რ. შენგელია, მ. თოდუა, ლ. შატბერაშვილი, ზ. ძლიერიშვილი, ქ. ქოჩაშვილი და სხვები. ამასთან, გარკვეულ საკითხებთან დაკავშირებით შეიქმნა უცხოური იურიდიული ლიტერატურის შესწავლის აუცილებლობა, რაც პრობლემების ფართო მასშტაბით დანახვისა და ევროპული მიღწევების გათვალისწინების საშუალებას იძლევა. ამდენად, წინამდებარე ნაშრომი არის მცდელობა, სამეცნიერო იურიდიულ ლიტერატურაში არსებული გარკვეული ვაკუუმი შეივსოს უახლესი ეროვნული სასამართლოს გადაწყვეტილებებით და თეორია პრაქტიკასთან ორგანულად იყოს დაკავშირებული.

აქვე მინდა, დიდი მადლობა გადავუხადო სახელმძღვანელოს რედაქტორს - ასოც. პროფესორს ქალბატონ მარიამ ცისკაძეს, რომელმაც, მიუხედავად დაძაბული სამუშაო რეჟიმისა, გამოყო გარკვეული დრო ნაშრომის გასაცნობად, მირჩია, თუ რაზე გამეკეთებინა აქცენტები და საგულისხმო შენიშვნები მომცა; ნაშრომის რეცენზენტს - პროფესორს, საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის მოსამართლეს, ბატონ ზურაბ ძლიერიშვილს მხარდაჭერისთვის.

ამასთან, მადლობა მინდა გამოვთქვა პროფესორ თევდორე ნინიძის მიმართ, რომელმაც საინტერესო პოზიციები გამოხატა დავალების გარეშე სხვისი საქმეების შესრულებასთან დაკავშირებით. ასევე, დიდი მადლობა ასისტენტ-პროფესორ ქალბატონ ქეთევან ქოჩაშვილს, რომელიც გაეცნო სახელმძღვანელოს ხელნაწერ ვერსიას და დელიქტური სამართლის პრობლემებზე მომცა მნიშვნელოვანი რჩევები, რომელთა საფუძველზეც მრავალი დებულება დაზუსტდა და ნაშრომიც უფრო მეტად ინფორმაციული გახდა. ამასთან, მადლობა მინდა ვუთხრა სამართლის დოქტორ ბატონ გიორგი რუსიაშვილს, რომელიც საფუძვლიანად გაეცო სახელმძღვანელოს ერთ-ერთ ნაწილს უსაფუძვლო გამდიდრების შესახებ და მომცა მნიშვნელოვანი რჩევები.

ვიმედოვნებ, რომ წინამდებარე ნაშრომი დახმარებას გაუწევს როგორც სტუდენტებს, ასევე თეორეტიკოს თუ პრაქტიკოს იურისტებს და ნებისმიერ დაინტერესებულ პირს არასახელშეკრულებო ვალდებულებების სფეროდან სხვადასხვა პრობლემის თავისებურებების გარკვევაში. ცხადია, საფუძვლიან და პრობლემის სიღრმისეულ შესწავლაზე ორიენტირებულ შენიშვნებს გავითვალისწინებ ნაშრომის მომავალ გამოცემებში.

ᲛᲘᲮᲔᲘᲚ ᲑᲘᲭᲘᲐ
სამართლის დოქტორი

I თავი. კანონისმიერი ვალდებულებების ადგილი სამოქალაქო სამართლის სისტემაში

§ 1. ვალდებულების ცნება და ელემენტები

1. ვალდებულების ცნება

ვალდებულებით სამართალში ყველა ინსტიტუტი გარკვეულწილად უკავშირდება ტერმინს „ვალდებულება". შესაბამისად, აუცილებელია მისი შინაარსის განსაზღვრა, რათა გაირკვეს, თუ რა მოიაზრება ვალდებულებებში ფაქტობრივი თვალსაზრისით და როგორია მისი სამართლებრივი (ცივილისტური) გაგება. ვალდებულება, უპირველეს ყოვლისა, განიხილება სამოქალაქოსამართლებრივ ურთიერთობად, თუმცა ზოგჯერ, როგორც იურიდიულ ლიტერატურაში აღინიშნა, ის მიიჩნევა მოვალის ვალდებულებად (ვალი) ან დოკუმენტად (ხელწერილი, ქვითარი და სხვ.), რომელშიც ასეთი ვალდებულებაა ასახული.[1] ლოგიკურად ჩნდება შეკითხვა: როგორია ამ ვალდებულების შინაარსი და მოცულობა?

საფიქრებელია, რომ მოცემულ შემთხვევაში ვალდებულება გამოიყენება ვიწრო გაგებით, ვინაიდან თვით ვალდებულება სამართლებრივი ურთიერთობაა, რომელიც ფართო ხასიათს ატარებს. საქმე ისაა, რომ ვალდებულება ყოფით ურთიერთობებში გამოიყენება ტერმინ „მოვალეობის" სინონიმად, რაც გამართლებულია სალიტერატურო ენისთვის დამახასიათებელი წესების გათვალისწინებით (მაგალითად, ტავტოლოგიის თავიდან ასაცილებლად). ამასთან, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის (შემდგომში - სსკ-ის) კერძო ნაწილის ნორმებიც ცხადყოფს, რომ მასშიც კი აღრეულია ვალდებულება და მოვალეობა, მაგრამ, კონტექსტის მიხედვით, ზოგჯერ ისინი შეიძლება ჩაენაცვლოს ერთმანეთს.[2] თუმცა მათ შორის, გარდა ტერმინოლოგიური სხვაობისა, არის სპეციფიკური განსხვავებებიც:[3] ვალდებულება არის სამოქალაქოსამართლებრივი ურთიერთობა,

---

[1] ზ. ახვლედიანი, ვალდებულებითი სამართალი, მეორე გამოცემა, თბ., 1999, 5-6; ასევე იხ. H. Dernburg, System der Römischen Rechts, Der Pandekten, achte, umgearbeitete Auflage, bearbeitet von P. Sokolowski, Zweiter Teil, Berlin, 1912, 535.

[2] ამის საილუსტრაციოდ შეიძლება მოვიხმოთ სსკ-ის 576-ე მუხლი, რომლის 1-ლი ნაწილის თანახმად, „ლიზინგის ხელშეკრულებით გამცემი ვალდებულია ლიზინგის მიმღებს გადასცეს სარგებლობაში განსაზღვრული ქონება ხელშეკრულებით დათქმული ვადით. ლიზინგის მიმღები ვალდებულია გადაიხადოს საზღაური დადგენილი პერიოდულობით."

[3] რუსულ იურიდიულ ლიტერატურაში ვალდებულების აღსანიშნავად გამოიყენება ტერმინი „Обязательство", ხოლო მოვალეობის არსი გადმოცემულია სიტყვით „Обязанность". რაც შეეხება გერმანულ იურიდიულ ლიტერატურას, ვალდებულება გამოიხატება ტერმინით „Verpflichtung" ან „Obliegenheit", მოვალეობა კი - ტერმინით „Pflicht".

მოვალეობა - სამართლებრივი ურთიერთობის შინაარსის ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილი. ნებისმიერი სამოქალაქოსამართლებრივი ურთიერთობის შინაარსი მოიცავს უფლებას (მოცემულ შემთხვევაში — მოთხოვნის უფლებას) და შესაბამის მოვალეობას, ანუ სამართლებრივი ურთიერთობის მონაწილეთა უფლება-მოვალეობებს. ეს შეეხება მაგალითად, გამყიდველისა და მყიდველის უფლება-მოვალეობებს.[4] უფლება არსებობს მოვალეობასთან ერთად, ხოლო ვალდებულება — სხვა სამართლებრივ ურთიერთობასთან. ამასთან, მოვალეობა მიმართულია ინტერესის დაკმაყოფილებისკენ, ვალდებულებაც გულისხმობს, ასევე, საბოლოო ჯამში, ინტერესის დაკმაყოფილებას, თუმცა იგი უკავშირდება კონკრეტული შედეგის დადგომას, შეცვლას ან შეწყვეტას. ცნობილია, რომ მოვალეობა წარმოიშობა სამართლებრივი ურთიერთობის წარმოშობისთანავე, ხოლო ვალდებულება — კანონით დადგენილი იურიდიული ფაქტის შედეგად.[5] შესაბამისად, ვალდებულებაში მოიაზრება სამოქალაქოსამართლებრივი ურთიერთობა, რომლის საფუძველზეც ერთ მხარეს ეკისრება მოვალეობა, შეასრულოს განსაზღვრული მოქმედება, ან თავი შეიკავოს გარკვეული მოქმედების განხორციელებისგან (უმოქმედობა) მეორე მხარის (კრედიტორის) სასარგებლოდ, ხოლო კრედიტორს აქვს უფლება, მოითხოვოს მოვალეობის შესრულება.[6] ამდენად, მოვალეობა ვიწრო შინაარსისაა, ვიდრე ვალდებულება; ვალდებულებაში „იმალება" მოვალეობა და არა პირიქით.

2. ვალდებულებითსამართლებრივი ურთიერთობის ელემენტები

1.1. ვალდებულების სუბიექტები

ვალდებულების, როგორც ნებისმიერი სამოქალაქოსამართლებრივი ურთიერთობის, ელემენტებია სუბიექტი, შინაარსი (უფლება-მოვალეობა) და ობიექტი.

ვალდებულების სუბიექტია ვალდებულებითსამართლებრივ ურთიერთობაში მონაწილე პირი, რომელიც შეიძლება იწოდებოდეს კრედიტორად ან მოვალედ. კრედიტორია ის მხარე, რომელსაც განსაზღვრული მოქ-

---

[4] იხ. Курс советского гражданского права. И. Б. Новицкий, Л. А. Лунц. Общее учение об обязательстве. М., 1950, 35; ო. იოფე ვალდებულებას განსაზღვრავს, როგორც სამოქალაქო კანონით გამყარებულ საზოგადოებრივ ურთიერთობას. იხ. О. С. Иоффе. Обязательственное право. М., 1975, 6.

[5] იხ. О. С. Иоффе. Советское гражданское право. общая часть. право собственности. общее учение об обязательствах. Л., 1958, 378-379. ვალდებულების ნიშნების შესახებ იხ. Е. А. Зарубинский. Обязательство в гражданском праве. М., 1958, 5.

[6] ზ. ახველედიანი, ვალდებულებითი სამართალი, მეორე გამოცემა, თბ., 1999, 5.

[7] ზ. ახველედიანი, ვალდებულებითი სამართალი, მეორე გამოცემა, თბ., 1999, 6.

მედების შესრულების მოთხოვნის უფლება აქვს, ხოლო მოვალედ ითვლება ის, ვინც უნდა შეასრულოს კრედიტორის მოთხოვნა.[7] მათი ასეთი დასახელება გამოხატავს გარკვეულწილად მათ იურიდიულ მდგომარეობას ურთიერთობაში. ამასთან, განსაზღვრულ ვალდებულებებში შეიძლება ერთ-ერთი მხარე იყოს მხოლოდ კრედიტორი, ხოლო მეორე მხარე — მხოლოდ მოვალე. მაგალითად, ზიანის ანაზღაურების ვალდებულებაში კრედიტორის ფუნქციას ასრულებს დაზარალებული, ხოლო მოვალის როლს — პირი, რომელმაც ზიანი მიაყენა. თუმცა, ზოგადად, ვალდებულებითსამართლებრივ ურთიერთობათა უმეტესობაში სუბიექტი, ამავდროულად, გამოდის როგორც კრედიტორად, ისე მოვალედ. მაგალითად, დავალების გარეშე სხვისი საქმეების შესრულების დროს სხვისი საქმეების შემსრულებელს აქვს გაწეული აუცილებელი ხარჯების ანაზღაურების უფლება, მაგრამ მას, ასევე, ევალება მესაკუთრისთვის ყველა სარგებლის გადაცემა. მეპატრონეს, თავის მხრივ, აქვს ხარჯების მიღების უფლება, თუმცა, ამავე დროს, მან უნდა აანაზღაუროს მისი ინტერესისთვის გაღებული ყველა ხარჯი. ანალოგიური ხასიათისაა ხელშეკრულებიდან წარმოშობილი ვალდებულებები, როგორიცაა ნასყიდობა, ქირავნობა. ამასთან, ვალდებულების სუბიექტები შეიძლება იყვნენ ფიზიკური და იურიდიული პირები.[8]

2.2. ვალდებულებითსამართლებრივი ურთიერთობის შინაარსი

ა. ზოგადად უფლება-მოვალეობის შესახებ

სამართლებრივი ურთიერთობის მონაწილეები ერთმანეთს უკავშირდებიან უფლება-მოვალეობით. მსგავსად ნებისმიერი სამართლებრივი ურთიერთობისა, ვალდებულების შინაარსსაც განსაზღვრავს სუბიექტთა უფლება-მოვალეობები. შესაბამისად, აქ მოიაზრება ურთიერთობის მონაწილეთა მოქმედების შესაძლებლობა (უფლება) და აუცილებლობა (მოვალეობა).[9] პრაქტიკულად სამოქალაქოსამართლებრივი ურთიერთობის ყველა სახე ინდივიდუალური სამართლებრივი ფორმაა. ამ იურიდიული ფორმის გავრცელების არეალი ორგვარია, სახელდობრ, საქმე ეხება შესაძლო ან აუცილებელი მოქმედების მასშტაბს (უფლება-მოვალეობა).[10] ამასთან, უფლების წარმოშობა შეიძლება შემხვედრი მოვალეობის წარმოშობას გულისხმობდეს. ნორმაში „გაყინული" უფლება-მოვალეობა უსუბიექტო უფლება-

[8] О. С. Иоффе. Обязательственное право. М., 1975, 12-13.

[9] С. Алексеев. Общая теория права. т. II. М., 1982, 114.

[10] О. Красавчиков. Категории науки гражданского права. Избранные труды. в двух томах. т. 2. М..2005, 21, 24-25.

მოვალეობაა[11]; არადა უფლება-მოვალეობები მხოლოდ სუბიექტებს აქვთ და მხოლოდ იურიდიული ფაქტის დადგომის შემდგომ უკავშირდება კონკრეტულ სუბიექტსა და ობიექტს. ასევე, უფლება-მოვალეობა ცარიელ ადგილას არ წარმოიშობა; ისინი სამართლებრივი ურთიერთობის წარმოშობასთან ერთად აღმოცენდება.[12] სხვა ურთიერთობებისგან განსხვავებით, ვალდებულებით სამართალში უფლებამოსილება იძენს მოთხოვნის უფლების ფორმას, ხოლო მოვალეობა განიხილება ვალის ჭრილში.[13] ამასთან, კანონით ზუსტადაა დადგენილი, თუ ვინაა კრედიტორი და მოვალე, ასევე, მათი როლები ვალდებულებებში. ეს მნიშვნელოვანია, ვინაიდან სწორედ კრედიტორს წარმოეშობა მოთხოვნა, რის გამოც ის უფლებამოსილია, გარკვეული მოქმედების შესრულება მოითხოვოს. მოთხოვნა, თავის მხრივ, უკავშირდება მოვალეს, რომელმაც ეს ვალდებულება უნდა შეასრულოს. ამდენად, ვალდებულებითსამართლებრივი ურთიერთობის მიზანია მოთხოვნის შესრულება: მოვალის მიერ ვალდებულების შესრულება ვალდებულების შეწყვეტის საფუძველია.[14]

ბ. სანივთო და ვალდებულებითსამართლებრივ უფლებებს შორის მიმართება

ვალდებულებითი სამართლით განსაზღვრული უფლებების თავისებურებების დასადგენად უმნიშვნელოვანესია მათი შედარება სანივთო უფლებებთან, მით უმეტეს, რომ ზოგადად, ქონებრივი უფლებები, გარდა ვალდებულებითსამართლებრივი უფლებებისა, გულისხმობს სანივთო უფლებებსაც. ეს აშკარაა, თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ უფლებამოსილი პირის ინტერესები შეიძლება დაკმაყოფილდეს, როგორც წესი, სანივთო ან ვალდებულებითსამართლებრივი ურთიერთობების მეშვეობით. შესაბამისად, აუცილებელია, ერთმანეთისგან გაიმიჯნოს სანივთო და ვალდებულებითი სამართლით განსაზღვრული უფლებები, რათა ზუსტად დადგინდეს ვალდებულების ძირითადი ნიშნები, შემდგომ კი — კანონისმიერი ვალდებულების არსი.

---

[11] უფლება ობიექტური თვალსაზრისით უკავშირდება სამართლებრივ ნორმათა ერთობლიობას (სამართალი), ხოლო „სუბიექტური" უფლება გულისხმობს კანონით განსაზღვრულ უფლებამოსილებასა თუ შესაძლებლობას. იხ. В. А. Белов, Гражданское право. Т. I, Обшая часть, Введение в гражданское право, 3-е изд., переработанное и дополненное. М., 2014, 23-27.

[12] ვ. ბიჭია, სამოქალაქოსამართლებრივი ურთიერთობის მეთოდოლოგიური საკითხები, „სამართლის ჟურნალი", N1-2, 2010, 96-97.

[13] О. С. Иоффе, Обязательственное право, М., 1975, 14.

[14] Chr. Förster, Schuldrecht, Besonderer Teil, Eine Einführung mit Fällen, Heidelberg, München, Landsberg, Frechen, Hamburg, 2012, 26.

სანივთო (ქონებრივ) ურთიერთობებში უფლებამოსილი პირის ინტერესები შეიძლება დაკმაყოფილდეს ნივთის სასარგებლო თვისებების ხარჯზე, ამ ნივთზე უშუალო ზემოქმედების გზით. რაც შეეხება ვალდებულებითსამართლებრივ ურთიერთობებს, აქ პირის ინტერესების დაკმაყოფილება შესაძლებელია მოვალის განსაზღვრული მოქმედებების ხარჯზე. ასეთი კლასიფიკაციის პრაქტიკული არსი არის სანივთო და ვალდებულებითსამართლებრივი ურთიერთობების მონაწილეთა ქცევის სხვადასხვა სამართლებრივ რეგლამენტაციაში. ამასთან, სანივთო და ვალდებულებითი სამართლის ნორმებისა და ინსტიტუტების გამოყენება პრაქტიკაში უკავშირდება გარკვეულ სირთულეებს, რაც პირის უფლების ორსახოვან ბუნებას (სანივთო თუ ვალდებულებითი) ეფუძნება. ყოველი დარღვეული უფლების (თუ დავის) ბედი დამოკიდებულია იმაზე, ეს უფლება სანივთოა თუ ვალდებულებითი.[15]

ვალდებულებითსამართლებრივ ურთიერთობაში უფლებამოსილ პირთა ინტერესი შეიძლება დაკმაყოფილდეს მოვალეთა მიერ მოქმედების შესრულებით. მაგალითად, ნასყიდობის დროს გამყიდველის ინტერესი დაკმაყოფილდება მხოლოდ მაშინ, როცა მყიდველი გადაუხდის მას ხელშეკრულებით გათვალისწინებულ თანხას, ე. ი. ვალდებულებითსამართლებრივ ურთიერთობებში ვალდებული პირი ასრულებს გარკვეულ აქტიურ მოქმედებას, რითაც მატერიალური სიკეთე მოაქვს უფლებამოსილი პირისთვის. სანივთოსამართლებრივი ურთიერთობები რეალიზდება თვით უფლებამოსილი პირის მოქმედებით. მისი იურიდიული ინტერესი სრულად დაკმაყოფილდება, თუ გარშემომყოფთაგან წინ არავინ აღუდგება მის ქცევას. მაგალითად, მესაკუთრის ინტერესი დაცული და დაკმაყოფილებული იქნება სრულად, თუ გარშემო მყოფთაგან არავინ შეუშლის მას ხელს ფლობდეს, სარგებლობდეს და განკარგავდეს თავის ნივთს. შესაბამისად, სანივთო ურთიერთობებში მოვალეები პასიურ როლში არიან, მხოლოდ თავს იკავებენ რაიმე მოქმედებისგან. სანივთოსამართლებრივი ურთიერთობა შედის აბსოლუტურ ურთიერთობათა წრეში, ხოლო ვალდებულებითსამართლებრივი ურთიერთობა შეფარდებითი ხასიათისაა.[16] აბსოლუტურია უფლებები, „რომლებიც შეიძლება შეილახოს ნებისმიერი პირის მიერ და ამიტომ დაცულია ნებისმიერი პირისგან.“[17] ამ ურთიერთობაში დაკონკრეტებულია ერთი მხარე — უფლებამოსილი პირი, რომლის წინაშეც მოვალეობა აკისრია ყველა სხვა პირს.[18] სასამართლო წესრიგს უნდა დაემორჩილოს ყველა,

[15] მ. თოდუა, ვალდებულებითი ურთიერთობების მომწესრიგებელი ნორმების გამოყენების ზოგიერთი თავისებურება საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მიხედვით, წიგნში „ვალდებულებითი სამართალი“, თბ., 2006, 7.

[16] იხ. ა. კობახიძე, სამოქალაქო სამართალი, I, ზოგადი ნაწილი, თბ., 2001, 102-103.

[17] იხ. С. Братусь, О.С. Иоффе, Гражданское право, М., 1967, 41.

[18] იხ. ა. კობახიძე, სამოქალაქო სამართალი, ზოგადი ნაწილი, I, თბ., 2001, 100.

ვინც აბსოლუტურ უფლებას ხელყოფს. ასეთი უფლებებია საკუთრების, გირავნობის, პიროვნული, საავტორო და საპატენტო უფლებები.[19] ქონებრივ უფლებათა წრიდან აბსოლუტურია საკუთრების უფლება, პირადი არაქონებრივი უფლებები კი თითქმის ყოველთვის აბსოლუტური ხასიათისაა (მაგალითად, ავტორობის უფლება, სახელის უფლება, ღირსების დაცვის უფლება და ა. შ.).[20]

იურიდიულ მეცნიერებაში გავრცელებული შეხედულების თანახმად, სანივთო (ქონებრივი) სამართალი არეგულირებს ნივთებზე პირთა ბატონობას, ანუ აძლევს უფლებამოსილ პირებს შესაძლებლობას, ნივთებზე ზემოქმედების გზით დაიკმაყოფილონ სხვადასხვა მოთხოვნილება.[21] საგულისხმოა, რომ, სსკ-ის 147-ე მუხლის მიხედვით, ქონებაში შედის არა მარტო ნივთები, არამედ არამატერიალური ქონებრივი სიკეთეებიც („უსხეულო ნივთები"), რომელთა ფლობა, სარგებლობა და განკარგვა ისევეა შესაძლებელი, როგორც სხეულებრივი საგნებისა (ნივთებისა). შესაბამისად, სანივთო ურთიერთობა არ ამოიწურება მხოლოდ ნივთებზე პირთა ბატონობით. ამასთან, სანივთო უფლებისთვის დამახასიათებელი ნიშნებია: სანივთო უფლების აბსოლუტური ხასიათი, მისი უვადოობა, ნივთზე მიდევნების თვისება, სანივთო უფლებიდან გამომდინარე მოთხოვნების უპირატესი დაკმაყოფილება ვალდებულებითი სამართლით გათვალისწინებული უფლებიდან გამომდინარე მოთხოვნებთან შედარებით და ა.შ.[22] გარდა ამისა, მეორე მხრივ, გავრცელებულია აზრი, რომ როცა საკუთრება პირის ნივთთან ურთიერთობაა, ამით მისი რეალური შინაარსი, მოხმარებითი და დანიშნულებითი მდგომარეობა გამოიხატება. მოცემულ შემთხვევაში წარმოჩინდება საკუთრება, როგორც ნივთების შესახებ ადამიანთა ურთიერთობა, და საკუთრება, როგორც პირის ნივთთან ურთიერთობა. ეს ორივე დებულება ხაზს უსვამს პირის ნივთებთან ურთიერთობას, თუმცა პირველში ეს არაა აშკარად წარმოდგენილი. ამასთან, მიიჩნევენ, რომ საკუთრების ცნებაში პირველადია მისი პოზიტიური მდგომარეობა — საკუთრება, როგორც პირის ურთიერთობა ნივთთან.[23]

---

[19] იხ. P. Bydlinski, Grundzüge des Privatrechts fr Ausbildung und Praxis, 7., wesentlich ueberarbeitete Auflage, Wien, 2007, 15; აბსოლუტური უფლების შესახებ იხ. P. Bydlinski (Hrsg.), Buergerliches Recht, Springers Kurzlehrbuecher der Rechtswissenschaft, Bürgerliches Recht, Band I, Allgemeiner Teil, dritte, ueberarbeitete Auflage, Springer WienNewYork, 2005, 62; რელატიურ და აბსოლუტურ უფლებებზე იხ. H. Brox, W. D. Walker, Allgemeiner Teil des BGB, 30., vollständig neu bearbeitete Aufl., Köln-Berlin-München, 2006, 324.

[20] იხ. О. Иоффе, Советское гражданское право. общая часть. Право собственности. Общее учение об обязательствах. Л., 1958, 75; Н. Малеин, Гражданский закон и права личности в СССР, М., 1981, 105.

[21] იხ. ბ. ზოიძე, ქართული სანივთო სამართალი, მე-2 გამოცემა, თბ., 2003, 1-2.

[22] მ. თოლუა, ვალდებულებითი ურთიერთობების მომწესრიგებელი ნორმების გამოყენების ზოგიერთი თავისებურება საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მიხედვით, წიგნში „ვალდებულებითი სამართალი", თბ., 2006, 8.

[23] იხ. ბ. ზოიძე, ქართული სანივთო სამართალი, მე-2 გამოცემა, თბ., 2003, 82.

ასევე, აღსანიშნავია, რომ ვალდებულებითი სამართალი აწესრიგებს პირთა შორის „პირადი“ უფლებების შესახებ ურთიერთობებს, რომლებიც წარმოიშობა ხელშეკრულების, დელიქტის, უსაფუძვლო გამდიდრების ან კანონით გათვალისწინებული სხვა საფუძვლით. ეს უფლებები შეიძლება სადავო გახდეს მხოლოდ გარკვეული პირის მიმართ და მოთხოვნის ადრესატიც შესაძლოა იყოს მხოლოდ კონკრეტული პირი. მართალია, შესრულების მოთხოვნა ქონებრივი ინტერესის დაკმაყოფილებას უკავშირდება, მაგრამ იგი მიმართულია არა ნივთის, არამედ კონკრეტული პირისადმი. თუმცა, როდესაც მოთხოვნის უფლება განიხილება, როგორც უფლების ობიექტი, ამ უფლების მიმართ შესაძლებელია სანივთო სამართლის რეჟიმის გამოყენებაც. ზოგჯერ ეს გზა საკმაოდ ეფექტურია, მაგრამ უმეტესწილად დუალიზმი კი არ აღმოიფხვრება, არამედ პირიქით — ძლიერდება. რაც შეეხება უფლების „პირად“ ხასიათს, ის ვლინდება იმაში, რომ უფლების რეალიზაცია არ შეიძლება პირის (მოვალის) გარეშე, ხოლო უფლებასა და ნივთს შორის დგას მოვალის ავტონომიური ნება, მისი მოქმედება, რომელზეც დამოკიდებულია თვით უფლების არსებობაც. ამდენად, პირადი უფლების სანივთო უფლებად განხილვამ არ შეიძლება არ მიგვიყვანოს ამა თუ იმ ფორმით მოვალის ავტონომიურ სფეროში შეჭრამდე.[24]

როგორც ჩანს, ერთმნიშვნელოვნად იკვეთება სამართლებრივი ურთიერთობის, როგორც პირის ნივთებთან ურთიერთობის, დებულების აღიარება. ეს უკავშირდება ძალაუფლების თეორიას, რომელიც უფლების შინაარსის შემადგენელ ელემენტად აღიქმებოდა და არა მის საბოლოო მიზნად.[25] ამასთან, თუ ვალიარეთ ძალაუფლების თეორია, მაშინ ურთიერთობების სუბიექტური შემადგენლობის მიხედვით დაყოფა ვერ იქნება სწორი, ვინაიდან აქ პირებს შორის ურთიერთობა კი არა, არამედ პირის ნივთებთან ურთიერთობაა გამოკვეთილი. მოცემული დეტალი უკავშირდება სანივთო და ვალდებულებითსამართლებრივი ურთიერთობების ტრადიციული კლასიფიკაციის აღდგენას. ამ ტიპის წინააღმდეგობის თავიდან აცილების გამოც უნდა ვაღიაროთ, რომ სანივთო უფლებას სტატიკური ხასიათი აქვს.[26]

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ მესაკუთრის სანივთო უფლებები ნივთთან დამოკიდებულებაშია აბსოლუტური. მესაკუთრის მიერ საკუთარი

---

[24] ვ. თოდუა, ვალდებულებითი ურთიერთობების მომწესრიგებელი ნორმების გამოყენების ზოგიერთი თავისებურება საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მიხედვით, წიგნში „ვალდებულებითი სამართალი“, თბ., 2006, 8.

[25] Л. Эннекцерус, Т. Кипп, М. Вольф, Курс германского гражданского права. Т. 1, введение и общая часть, перевод с 13-го немецкого издания Граве К., Г. Полинской и В. Альтшулера, под редакцией, с предисловием и вводнымы замечаниями Д. Генкина и И. Новицкого. М., 1949, 244.

[26] იხ. ვ. ბიჭია, სამოქალაქოსამართლებრივი ურთიერთობის მეთოდოლოგიური საკითხები, „სამართლის ჟურნალი“, N1-2, 2010, 86.

უფლებების დაცვა ნივთებთან დაკავშირებით შეუზღუდავია განუსაზღვრელ პირთა წრისადმი. თუმცა, ეს უფლებები გარკვეულწილად კონკრეტდება და რელატიურ სახეს იღებს ისეთი სანივთოსამართლებრივი ინსტიტუტების დროს, როგორიცაა: სერვიტუტი, უზუფრუქტი, იპოთეკა, გირავნობა, რომლებიც, ძირითადად, კანონის საფუძველზე წარმოიშობა კონკრეტულ პირებთან დაკავშირებით. ამდენად, ყველა სანივთო უფლების კვალიფიკაცია აბსოლუტურ უფლებად პირობითია, ვინაიდან თუ რელატიური უფლება ნიშნავს მესაკუთრის დამოკიდებულებას კონკრეტულ პირთან, მაშინ ყველა სანივთო უფლება არ შეიძლება ერთმნიშვნელოვნად ჩაითვალოს აბსოლუტურ უფლებად. შეზღუდული სანივთო უფლებები (აღნაგობა, უზუფრუქტი, გირავნობა, იპოთეკა) წარმოიშობა კანონის ან ხელშეკრულების საფუძველზე მესაკუთრესა და სანივთო უფლების მატარებელ კონკრეტულ პირს შორის. ე. ი. სანივთო ურთიერთობებიდან წარმოშობილი უფლებები ატარებს რელატიურ ხასიათს. მესაკუთრის უფლება რელატიური (ინდივიდუალიზებული) ხდება კონკრეტული სანივთო გარიგების საფუძველზე წარმოშობილი უფლების მქონე პირთან, მაგალითად, უზუფრუქტუართან დაკავშირებით. ამდენად, სანივთო უფლებით დატვირთული ნივთის მიმართ მესაკუთრე აღჭურვილია როგორც აბსოლუტური (დაიცვას ნივთის ხელშეუხებლობა ყველასაგან), ისე რელატიური უფლებით (სანივთო უფლების მქონე პირისაგან მოითხოვოს კონკრეტული უფლებამოვალეობების დაცვა დატვირთულ ნივთთან დაკავშირებით).[27] თუმცა ამ შემთხვევაში სანივთო უფლების ინდივიდუალიზება არ უნდა გაიგებოდეს შეფარდებითი უფლების ანალოგიურად; საქმე ისაა, რომ აქ მესაკუთრის უფლება ყოველთვის აბსოლუტური რჩება, ხოლო სანივთო გარიგების დადებისას მოვალეთა წრე კონკრეტდება, მაგრამ პირი, ვისთანაც სანივთო გარიგება დაიდო, აბსოლუტური უფლებით სარგებლობს. ამდენად, ნივთისადმი პირის დამოკიდებულების შესახებ დებულება არ შეიძლება პირდაპირი მნიშვნელობით განიხილებოდეს; შესაბამისად, სამართლებრივი ურთიერთობა არაა პირსა და ნივთს შორის ურთიერთობა. აქ არსისმიერია, რომ ეს ურთიერთობა განსაზღვრავს, თუ როგორია ნივთებისადმი პირთა კომპეტენცია.[28]

სამოქალაქო ბრუნვა ქონებრივი გადაადგილებების მეშვეობით ვითარდება და ვალდებულებითი სამართალი, რომელიც საზოგადოებრივი ურთიერთობების ყველაზე დიდ ნაწილს არეგულირებს, „წარმოადგენს

---

[27] იხ. თ. ჩიტოშვილი, აბსოლუტურ და რელატიურ უფლებათა ზოგიერთი სამართლებრივი ასპექტი, პროფესორ ზ. ახვლედიანისადმი მიძღვნილ საუბილეო კრებულში: „ზურაბ ახვლედიანი, 70“ (რედ. რ. შენგელია), თბ., 2004, 54-55.

[28] იხ. ლ. ჭანტურია, უძრავი ნივთების საკუთრება, თბ., 2001, 158; მ. ბიჭია, სამოქალაქოსამართლებრივი ურთიერთობის მეთოდოლოგიური საკითხები, „სამართლის ჟურნალი“, N1-2, 2010, 89-90.

სისხლძარღვთა სისტემას, რომლის მეშვეობითაც სამოქალაქოსამართლებრივ ორგანიზმში მიმდინარეობს ნივთიერებათა ცვლა (ნ. ეგოროვი, სამოქალაქო სამართლის სახელმძღვანელო, 1996, 415).“ ქონებრივი გადაადგილებები, ძირითადად, ხორციელდება სახელშეკრულებო სამართლის საშუალებით. ყოველ ხელშეკრულებას უთუოდ ახლავს როგორც სანივთო, ისე ვალდებულებითი სამართლის ეფექტი. სწორედ ამაში გამოიხატება საკითხის მთელი სირთულე. ისინი არ ემთხვევა ერთმანეთს არც შინაარსით, არც უფლების წარმოშობის მომენტით, არც საფუძვლითა და არც შეწყვეტის სამართლებრივი შედეგებით.[29] ამასთან, ზოგადად, ვალდებულებით სამართალში უფლება-მოვალეობების წარმოშობა დამოკიდებულია ამ ურთიერთობის მონაწილე მხარეებზე; მხარეთა შეცვლა კი იწვევს უფლება-მოვალეობის მოშლას. სანივთო სამართალში უფლებები და დატვირთვები ხელშეუხებელი რჩება, მიუხედავად მხარეთა შეცვლისა.[30] ვალდებულებითი სამართლით გათვალისწინებული უფლება, თავის მხრივ, შეფარდებითია, ვინაიდან დაცულია განსაზღვრული პირისგან (ან პირებისგან) და შეიძლება შეილახოს მხოლოდ ამ პირის (ან პირთა) მიერ.[31] მოცემულ ურთიერთობაში პერსონიფიცირებული არიან სუბიექტები (კრედიტორი და მოვალე), რომელთა შორისაც უფლება-მოვალეობები გამიჯნულია.[32] მაგალითად, გამყიდველს უფლება აქვს, მხოლოდ მყიდველისგან მოითხოვოს გადასახდელი თანხა, მოიჯარეს კი, ძირითადად, შეუძლია მხოლოდ მეიჯარისაგან იჯარის საგნის ნაკლის აღმოფხვრა.[33]

ამდენად, „აბსოლუტური და რელატიური, იდეალური და რეალური, არსება და მოვლენა ერთი და იგივე სინამდვილის სხვადასხვა ფორმაა, სხვადასხვა დონეა რელატიურიდან აბსოლუტურისაკენ ლოგიკური განვითარების გზაზე.“[34] სამართლებრივი განხილვაც ამ პროცესს ასახავს.

2.3. ვალდებულების ობიექტი

ვალდებულების იურიდიულ ობიექტთან დაკავშირებით არ არსებობს ერთიანი მიდგომა. სხვადასხვა მოსაზრების შეჯერების საფუძველზე, შეიძლება გამოიყოს, ერთი მხრივ, მონისტური თეორია, რომლის თანახმად,

[29] მ. თოდუა, ვალდებულებითი ურთიერთობების მომწესრიგებელი ნორმების გამოყენების ზოგიერთი თავისებურება საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მიხედვით, წიგნში „ვალდებულებითი სამართალი“, 2006, 9.

[30] იხ. ლ. ჭანტურია, უძრავი ნივთების საკუთრება, თბ., 2001, 156.

[31] С. Н. Братусь. О.С. Иоффе, Гражданское право, М., 1967, 41.

[32] М. Малеина, Личные неимущественные права граждан: понятие, осуществление, защита. 2-е издание, исправленное и дополненное. М., 2001, 105.

[33] P. Bydlinski, Grundzüge des Privatrechts für Ausbildung und Praxis, 7., wesentlich überarbeitete Aufl., Wien, 2007, 15.

[34] ს. ავალიანი, თეორიული ფილოსოფია, თბ., 2007, 44-45.

ვალდებულების ობიექტად, მსგავსად კერძოსამართლებრივი ურთიერთობის ობიექტისა, მოიაზრებენ მხოლოდ ნივთს, ან მხოლოდ მოქმედებას, ან მხოლოდ საზოგადოებრივ ურთიერთობას; მეორე მხრივ, პლურალისტური მიდგომა, რომლითაც ვალდებულების ობიექტებად ითვლება სიკეთეები, რომლებიც შეესატყვისება სამოქალაქო უფლების სახეებს (ნივთი, მოქმედება, არამატერიალური სიკეთე, მომსახურება და სხვ.), ან ნივთი და მოქმედება.[35] იურიდიულ ლიტერატურაში არის მოსაზრება, რომლის თანახმად, როგორც ნებისმიერი სამოქალაქოსამართლებრივი ურთიერთობის ობიექტად, ისე ვალდებულების ობიექტად მოიაზრება მოვალის გარკვეული ქმედება. ამ გაგებით, სხვა ურთიერთობებისგან განსხვავებით, მოცემულ შემთხვევაში წინა პლანზე გამოდის პოზიტიური ქმედება, ხოლო წმინდა ნეგატიური მოქმედება (გარკვეული მოქმედების განხორციელებისგან თავშეკავება) შეიძლება განიხილებოდეს მოვალის აქტიური ფუნქციის შესრულების შედეგად ან დამატებად. რაც შეეხება მატერიალურ ობიექტს, ის ვალდებულებათა წრეში საერთოდ არ მოიაზრება. მაგალითად, ის არაა სამუშაოს შესრულებასა და მომსახურების გაწევასთან დაკავშირებულ სახელშეკრულებო ვალდებულებებში. ამასთან, ორი იურიდიული ობიექტის შემთხვევაში ზოგჯერ გამოყოფენ ვალდებულების მხოლოდ ერთ მატერიალურ ობიექტს. მაგალითად, უსასყიდლო შენახვის ხელშეკრულების ერთადერთი მატერიალური ობიექტი გამოიხატება ქონებაში, რომელიც გადაეცემა პირს შესანახად. აქ კლიენტს აქვს მოთხოვნის უფლება, შემნახველმა შეინახოს ქონება, ხოლო ამ უკანასკნელს შეუძლია მოითხოვოს, რომ კლიენტმა დროულად მიიღოს ქონება. ამავე დროს, არსებობს ვალდებულებები, რომლებშიც ორ იურიდიულ ობიექტს შეესაბამება ამდენივე მატერიალური ობიექტი. მაგალითად, ყიდვა-გაყიდვის ხელშეკრულებაში იურიდიული ხასიათისაა ქონების გადაცემასთან დაკავშირებული გამყიდველის მოქმედება და თანხის გადახდის თაობაზე მყიდველის მოქმედება, თუმცა თვით ქონება და გადახდილი თანხა განიხილება სამართლებრივი ურთიერთობის მატერიალურ ობიექტად.[36]

როგორც ჩანს, მონისტური თეორიით სამართლებრივი ურთიერთობის ობიექტად მიიჩნევა მხოლოდ ერთი მოვლენა მაშინ, როდესაც სხვაც შეიძლება იყოს ობიექტი; ასევე, მონისტურია ერთ-ერთი კონცეფცია იმის თაობაზე, რომ სამართლებრივი ურთიერთობის ობიექტია სამართლებრივი რეჟიმი, რომელიც სამართლებრივი ურთიერთობის ობიექტის სამართ-

---

[35] იხ. მ. ბიჭია, სამოქალაქოსამართლებრივი ურთიერთობის ობიექტი, „სამართლის ჟურნალი", N1, 2012, 36-45.

[36] О. С. Иоффе. Обязательственное право. М., 1975, 13-14; არის მოსაზრება, რომლის თანახმად, მოქმედებას ვალდებულების შინაარსად განიხილავენ აღნიშნულის შესახებ იხ. გ. ცერცვაძე, სახელშეკრულებო სამართალი, თბ., 2014, 46.

ლებრივ ხასიათს გამოკვეთს. თუმცა ამ თეორიით ყურადღების მიღმაა დატოვებული ობიექტის რეალური (არასამართლებრივი) საწყისი, რაც გასათვალისწინებელია. პლურალისტური თეორია ანალოგიურ ხარვეზებს შეიცავს, რასაც მონისტური თეორია, ვინაიდან სამართლებრივი ურთიერთობის ობიექტად რეალურ მოვლენებს აღიარებს იმ განსხვავებით, რომ პლურალისტური მიდგომა სამართლებრივი ურთიერთობის ობიექტად რეალური სფეროს ნებისმიერ გამოვლინებას მიიჩნევს და ობიექტთა წრე მრავალფეროვანია.[37]

დოგმატიკაში აღიარებული ე. წ. „სიკეთეთა თეორია" ნივთებსა თუ სხვა ნებისმიერ ობიექტს უკავშირდება ტერმინით „სიკეთე", რომელიც ზოგადი ხასიათისაა და ფართო შინაარსის გამო უნდა იყოს გამოყენებული ვალდებულების ობიექტის მიმართაც. სიკეთე, თავის მხრივ, ეკონომიკურიურიდიულ ასპექტებს მოიცავს. სამართლის ობიექტის, როგორც სიკეთის, გაგებას ზოგადი მნიშვნელობა აქვს და პრაქტიკულად მისი გამოყენება შეიძლება სამართლებრივი რეგულირების ნებისმიერ სფეროში, მათ შორის პროცესუალური სამართლით მოწესრიგებულ ურთიერთობაში.[38] საგანი, რომლითაც შეიძლება ადამიანმა მოთხოვნილება დაიკმაყოფილოს, იწოდება სარგებლობად; საგანი რომ იქცეს სიკეთედ, უნდა არსებობდეს ოთხი პირობა კუმულაციური წესით: 1) ადამიანის მოთხოვნილებები; 2) საგნის თვისებები, რომლებიც საგანს ადამიანის მოთხოვნილებების დაკმაყოფილებასთან მიზეზობრივ კავშირში სარგებლიანად აქცევს; 3) ადამიანის მიერ ამ მიზეზობრივი კავშირის აღიარება; 4) შესაძლებლობანი, გამოიყენო საგანი ამ მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად. სიკეთე, რომლისკენაც მიისწრაფვიან სამართლებრივი ურთიერთობის სუბიექტები, ყოველთვის ობიექტური სინამდვილის მოვლენაა. როცა კანონიერი ინტერესის რეალიზაცია უკავშირდება შესაბამისი სიკეთის გამოყენებას, სიკეთე გადადის მატერიალურ, სულიერ თუ სოციალურ რეალობაში. სამართალში მათი განსახიერების დროს ისინი, ჩვეულებრივ, იძენს სამართლიანობისა და თანაზომიერების პრინციპების მნიშვნელობას. ეს პრინციპები თავისებურად ხორციელდება სამართლის სხვადასხვა სფეროს იურიდიულ მატერიაში.[39]

სსკ-ის მე-7 მუხლის მიხედვით, კერძოსამართლებრივი ურთიერთობის ობიექტია ქონებრივი ან არაქონებრივი ღირებულების მატერიალური და არამატერიალური სიკეთე, რაც კანონით დადგენილი წესით ბრუნვიდან არაა ამოღებული. ამ გაგებით, სამართლებრივი ურთიერთობის ობიექტია

---

[37] იხ. მ. ბიჭია, სამოქალაქოსამართლებრივი ურთიერთობის ობიექტი, „სამართლის ჟურნალი", N1, 2012, 36-45, 53.

[38] В. Лапач, Система объектов гражданских прав: теория и судебная практика, Санкт_Петербург, 2002, 72, 59.

[39] იქვე, 73, 60, 68.

მატერიალური და სოციალური სიკეთე, რომლის გამოყენებითაც სამართლებრივი ურთიერთობის მონაწილე კანონიერ ინტერესს იკმაყოფილებს.[40] სსკ-ის მე-7 მუხლი, თავის მხრივ, დიალექტიკურად უკავშირდება ამავე კოდექსის 147-ე მუხლს, რომლითაც ქონებაში მოიაზრება ყველა ნივთი და არამატერიალური ქონებრივი სიკეთე, რომელთა ფლობა, სარგებლობა და განკარგვა შეუძლიათ პირებს და შეძენაც შეიძლება შეუზღუდავად, თუ ეს არაა კანონით აკრძალული, ან არ ეწინააღმდეგება ზნეობის ნორმებს. ცნება „ქონება" სამართლებრივად, ძირითადად, შეეხება როგორც ნივთებს, ისე ვალდებულებითი სამართლით დადგენილ მოთხოვნის უფლებებს. „ქონება" ფართო შინაარსის მომცველია და მასში შედის მატერიალური ღირებულების ყველა სახე, რომლებიც სანივთო და ვალდებულებით სამართალში არსებობს. ამასთან, ესა თუ ის სამართლებრივი სიკეთე რომ ჩაითვალოს სამოქალაქო ურთიერთობის ობიექტად, ის უნდა იყოს კანონით აღიარებული, ანუ განიხილებოდეს სამართლის ობიექტად. შესაბამისად, სამართლის ობიექტის ერთ-ერთი ნიშანია სამოქალაქო უფლებათა ობიექტების უშუალოდ კანონში გათვალისწინება.[41]

ამდენად, კანონისმიერი ვალდებულებების ობიექტი შეიძლება იყოს ზოგადად სიკეთე,[42] თუმცა არსისმიერია მისი სამართლებრივ ფორმაში გადმოცემა, რაც ობიექტის სამართლებრივ ხასიათს განსაზღვრავს. ეს ფუნქცია შეიძლება შეასრულოს სამართლებრივი რეჟიმის შესახებ თეორიამ. შესაბამისად, ობიექტის სამართლებრივი ხასიათი უნდა აიხსნას სიკეთეთა და სამართლებრივი რეჟიმის თეორიის დადებითი მხარეების შერწყმით. მაშასადამე, სამოქალაქო სამართლისთვის მნიშვნელოვანია რა სიკეთის სამოქალაქოსამართლებრივი რეჟიმის დადგენა, ვალდებულების ობიექტის ცნებაც უნდა დაეფუძნოს მას და განისაზღვროს კერძოსამართლებრივი ურთიერთობის ობიექტის ცნებაზე დაყრდნობით.

ამასთან, ვალდებულების ობიექტი შეიძლება იყოს ისეთი ქონებრივ-არაქონებრივი სიკეთეები, როგორიცაა სამუშაო და მომსახურება, ინტელექტუალური საკუთრების ობიექტები, განსაკუთრებული უფლება მათზე, ინფორმაციულ, სამსახურებრივ და კომერციულ საიდუმლოებაზე. ეს ობიექტები იქცევა სავაჭრო ხასიათის სიკეთეებად და ბრუნვაში მოექცევა ისე, რომ არ კარგავს არაქონებრივი სიკეთეებისთვის დამახასიათებელ ნიშნებს.[43]

---

[40] В. Сенчищев. Обьект гражданского правоотношения. Общее понятие. შრომათა კრებულში: «Актуальные проблемы гражданского права» (ред. М. Брагинский), М., 1998, 118.

[41] იხ. В. Лапач. Система объектов гражданских прав: теория и судебная практика. Санкт_Петербург. 2002, 274, 164-165.

[42] იხ. მ. ბიჭია, სამოქალაქოსამართლებრივი ურთიერთობის ობიექტი, „სამართლის ჟურნალი", N 1, 2012, 46-52.

[43] იხ. В. Лапач. Система объектов гражданских прав: теория и судебная практика. Санкт_Петербург. 2002, 202.

რაც შეეხება ისეთი ობიექტის სამოქალაქოსამართლებრივ რეჟიმს, რომელიც არაა სამოქალაქო ბრუნვაში მოქცეული, ის მაინც ითვლება სამოქალაქო ურთიერთობის ობიექტად, ვინაიდან სამოქალაქოსამართლებრივი ურთიერთობაში შედის როგორც რეგულაციური, ისე დაცვითი ურთიერთობები და პირადი არაქონებრივი სიკეთეები, რომლებიც სამოქალაქო ბრუნვაში ვერ მოექცევა თავიანთი ბუნების გამო, დაცვითი ურთიერთობის დროს გვხვდება.[44] შესაბამისად, ისინი დაცვითი ურთიერთობის ობიექტებია. ეს კიდევ უფრო აქტუალურია კანონისმიერი ვალდებულებისთვის, ვინაიდან ისეთ ვალდებულებაში, როგორიცაა დელიქტური ვალდებულება, სამოქალაქო ურთიერთობის ობიექტი შეიძლება იყოს არამატერიალური სიკეთე. შესაბამისად, პატივის, ღირსების, საქმიანი რეპუტაციის, პირადი ცხოვრებისა და სხვა ანალოგიური სიკეთეების შელახვით წარმოიშობა დელიქტური ვალდებულება.

ამდენად, ასეთია ვალდებულების, როგორც სამოქალაქოსამართლებრივი ურთიერთობის, სპეციფიკა, რომელიც მის თითოეულ ელემენტში აისახება.

§ 2. ვალდებულების სახეები

1. სახელშეკრულებო და არასახელშეკრულებო ვალდებულებებს შორის მიმართება

1.1. ვალდებულებების წარმოშობის საფუძვლები

წარმოშობის საფუძვლების მიხედვით, ვალდებულებები შეიძლება დაიყოს სახელშეკრულებო და არასახელშეკრულებო ვალდებულებებად.

ა. სახელშეკრულებო ვალდებულების არსი

სახელშეკრულებოა ვალდებულება, რომელიც ხელშეკრულების საფუძველზე წარმოიშობა (სსკ-ის 317-ე მუხლის 1-ლი ნაწილი). შესაბამისად, ზიანი, რომელიც შეიძლება დადგეს ამ ხელშეკრულებიდან გამომდინარე ვალდებულების, კანონის ან ადმინისტრაციული აქტის შეუსრულებლობით, არის სახელშეკრულებო ზიანი. ამასთან, მოცემული ვალდებულების დარღვევით გამოწვეული ზიანისთვის პასუხისმგებლობაც განისაზღვრება ხელშეკრულების პირობებით ან იმ კანონით, რომელიც აღნიშ-

[44] დაწვრილებით იხ. მ. ბიჭია, სამოქალაქოსამართლებრივი ურთიერთობის ობიექტი, „სამართლის ჟურნალი", N1, 2012, 47-54.

ნულ სამართლებრივ ურთიერთობებს აწესრიგებს.[45] ამდენად, სახელშეკრულებო ვალდებულება ყალიბდება მხოლოდ პირის ნების საფუძველზე და კანონის იმ მბოჭავი მოთხოვნების ფარგლებში, რასაც თვითონ პირი განსაზღვრავს.[46]

ბ. არასახელშეკრულებო ვალდებულების არსი

არასახელშეკრულებო ვალდებულებაში მოიაზრება ისეთი ვალდებულება, რომელიც წარმოიშობა ზიანის მიყენების (დელიქტის), უსაფუძვლო გამდიდრების ან კანონით გათვალისწინებული სხვა საფუძვლებიდან (სსკ-ის 317-ე მუხლის 1-ლი ნაწილი). ვალდებულებათა ეს კლასიფიკაცია, ძირითადად, მნიშვნელოვანია იმიტომ, რომ სახელშეკრულებო ვალდებულების შინაარსი განისაზღვრება არა მხოლოდ კანონით, არამედ ხელშეკრულების მონაწილეთა შეთანხმებითაც, ხოლო არასახელშეკრულებო ვალდებულების შინაარსი დამოკიდებულია კანონზე, ან კანონსა და ვალდებულების ერთი მხარის ნებაზე.[47] ამდენად, არასახელშეკრულებო ვალდებულებები წარმოიშობა კანონით პირდაპირ გათვალისწინებულ შემთხვევებში და მოვალის სურვილისგან დამოუკიდებლად.[48]

1.2. ვალდებულების მომწესრიგებელი ნორმების იურიდიული ძალა

სახელშეკრულებო ვალდებულებები განსხვავდება არასახელშეკრულებო ვალდებულებებისგან მომწესრიგებელი სამართლის ნორმების იურიდ-

---

[45] იხ. შ. ჩიკვაშვილი, პასუხისმგებლობა მორალური ზიანისთვის, თბ., 2003, 24; ვალდებულების წარმოშობის სხვების შესახებ ასევე იხ. Ф. Савиньи, Обязательственное право. Перевели с немецкого Ф Фуксь и Н. Мандро. М.. 1876, 552-553; M. Preisner, Das gesetzliche mittreuhänderische Schuldverhältnis kraft gemeinsamer Elternschaft, ein Beitrag zur gegenwärtigen Dogmatik des Familienrechts / Mareike Preisner. - Tübingen: Mohr Siebeck, 2014,8.

[46] ვალდებულება ეფუძნება ხელშეკრულებას ან კანონს. აღნიშნულთან დაკავშირებით იხ. M. Hassemer, Heteronomie und Relativität in Schuldverhältnissen, Mohr Siebeck, Tübingen, 2007, 36; Р. Саватье, Теория обязательств. Юридический и экономический очерк. Перевод с французского и вступительная статья Р. О. Халфиной. М., 1972, 305; A. Röthel, Gesetzliche Schuldverhältnisse: Eine Einführung, In: "Jura", Heft 5/2012, 362.

[47] ზ. ახვლედიანი, ვალდებულებითი სამართალი, მეორე გამოცემა, თბ., 1999, 9; გარიგების დადების შედეგად წარმოიშობა ძირითადი მოვალეობები და, შესაბამისად, მისი სამართლებრივი საფუძველიც გამომდინარეობს გარიგებიდან. დაწურ. იხ. W. Wiegand, Von der Obligation zum Schuldverhältnis, Zur Entwicklung des schweizerischen Schuldrechts, Teil I, In: recht, Heft 3, 1997, 91. ხელშეკრულებისა და სახელშეკრულებო ურთიერთობის შესახებ იხ. O. Maultzsch, Vertragliche Schuldverhältnisse, 4. Aufl., Heidelberg, 2013, 3-4.

[48] იხ. B. Nagel, T. Eger, Wirtschaftsrecht, II (Eigentum, Delikt, Vertrag mit einer Einführung in die ökonomische Analyse des Rechts), 4. Auflage, München, Wien, Oldenbourg, 2003, 97; G·CHr. Schwarz, M. Wandt, Gesetzliche Schuldverhältnisse, 4., neu bearbeitete Auflage, München, 2011, 2.

იული ძალის ნიშნით. საქმე ისაა, რომ სახელშეკრულებო ვალდებულებები რეგულირდება, ძირითადად, დისპოზიციური ნორმებით.[49] მაგალითად, ზოგადი წესის მიხედვით, თუ ა-მ შეიძინა ყველი, მისი აწონის, გაზომვისა და შეფუთვის ხარჯები ეკისრება გამყიდველს, თუმცა კანონის ეს წესი შეიძლება შეიცვალოს მხარეთა შეთანხმებით. შესაბამისად, აქ კანონისმიერ ჩანაწერს შეცვლის მხარეების მიერ ხელშეკრულებით გათვალისწინებული სხვა დათქმა ამ ურთიერთობის მოწესრიგების თაობაზე, რაც მათი ნების თავისუფლებას ეფუძნება (სსკ-ის 478-ე მუხლი).

რაც შეეხება კანონისმიერ ვალდებულებებს, მათი მომწესრიგებელი ნორმები, ჩვეულებრივ, იმპერატიული ხასიათისაა,[50] მხარეებს არ შეუძლია ამ წესისგან გადახვევით მოქმედება და მისი შეცვლა. მაგალითად, თუ ა-მ მოითხოვა საზიარო უფლების გაუქმება ნატურით გაყოფის გზით, საზიარო საგნის გაყოფა უნდა აკმაყოფილებდეს კანონით დადგენილ სავალდებულო წინაპირობებს: 1. საზიარო საგანი უნდა გაიყოს ერთგვაროვან ნაწილებად და 2. მას ღირებულება არ უნდა შეუმცირდეს (სსკ-ის 963-ე მუხლი).

1.3. ვალდებულების შინაარსი

არასახელშეკრულებო ვალდებულებათა შემთხვევაში კანონი ადგენს არა მხოლოდ ვალდებულების წარმოშობას, არამედ მის ზუსტ შინაარსსაც. თუმცა, არასახელშეკრულებო ვალდებულებებისგან განსხვავებით, სახელშეკრულებო ვალდებულებების დროს მხარეები განსაზღვრავენ როგორც ვალდებულების წარმოშობას, ისე მის შინაარსსაც.

ზოგადად, სახელშეკრულებო და არასახელშეკრულებო ვალდებულებები ურთიერთგამომრიცხავია. პირი, რომელსაც მიადგება ზიანი, ვერ მიმართავს სასამართლოს სახელშეკრულებო ვალდებულების დარღვევისთვის ისევე, როგორც კანონისმიერი ვალდებულების დარღვევის გამო. ეს ძალიან ხშირად არასწორადაა გაგებული. ამიტომ თვალსაჩინოებისათვის საყურადღებოა მაგალითი: ა-მ და ბ-მ დადეს გადაზიდვის ხელშეკრულება, რომლითაც ა-ს დაევალა, სატვირთო მანქანით გადაზიდოს 120000 ბოთლი ქართული ღვინო თბილისიდან ბათუმში, მისი ევროპაში ტრანსპორტირების მიზნით. ა და ბ შეიძლება შეთანხმდნენ, რომ ა არ აგებდა პასუხს ტრანსპორტირე-

---

[49] სახელშეკრულებო და არასახელშეკრულებო პასუხისმგებლობის სხვადასხვა თავისებურების შესახებ იხ. Р. Саватье, Теория обязательств. Юридический и экономический очерк. Перевод с французского и вступительная статья Р. О. Халфиной, М., 1972, 328-330; ამ ნიშნების შესახებ იხ. Chr. Dachner, Der Abwendungsvergleich in § 302 Abs. 3. S. 2 AktG an der Schnittstelle von Gesellschafts-, Steuer- und Insolvenzrecht, München, 2013, 57-58.

[50] აღნიშნულთან დაკავშირებით იხ. ლ. ჭანტურიას წინათქმა სსკ-ის კომენტარზე, წ. IV, ტ. I, თბ., 2001, 3.

ბისას მიყენებულ ზარალზე, რომელიც დაუდევრობით წარმოიშობოდა. მართლაც, თუ ზარალი დადგა იმიტომ, რომ მძღოლმა თავისი უყურადღებობით მოახდინა ავტოსაგზაო შემთხვევა, ხელშეკრულების ამ პირობის მიხედვით, ა არ იქნება პასუხისმგებელი ბ-ს წინაშე. თუ ბ უჩივლებს ა-ს სასამართლოში კონტრაქტის პირობების დარღვევისათვის, მოსამართლემ არ უნდა დააკმაყოფილოს ბ-ს მოთხოვნა, ვინაიდან მხარეები შეთანხმდნენ, რომ ა პასუხს არ აგებდა ასეთ შემთხვევაში დამდგარი ზიანისათვის. შედეგი შესაძლოა იყოს იგივე, თუ ბ თავის მოთხოვნას დელიქტზე დააფუძნებს, რადგან ა დაუდევრობით მოქმედებდა. თუ მოსამართლე ბ-ს სარჩელს მიიღებს დელიქტის საფუძველზე, ის ამით დაარღვევს სახელშეკრულებო შეთანხმებას და უგულებელყოფს ხელშეკრულებათა თავისუფლების პრინციპს.

ამდენად, სახელშეკრულებო და კანონისმიერ ვალდებულებათა შორის განსხვავების ერთ-ერთი შედეგია ის, რომ ხელშეკრულებათა ფორმასა და შინაარსს ირჩევენ თავად მხარეები, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც კანონი პირდაპირ კრძალავს გარკვეული სახისა თუ შინაარსის ხელშეკრულების გაფორმებას, ხოლო არასახელშეკრულებო ვალდებულებები რეგულირდება მხოლოდ კანონის საფუძველზე.[51]

1.4. ვალდებულების იურიდიული შინაარსის ფარგლები

სახელშეკრულებო და არასახელშეკრულებო ვალდებულებები ერთმანეთისგან განსხვავდება ამ ვალდებულებათა იურიდიული შინაარსის ფარგლების მიხედვით. ეს შეზღუდვები სახელშეკრულებო ურთიერთობების დროს განისაზღვრება ხელშეკრულებით და ვინაიდან ეფუძნება ხელშეკრულების თავისუფლებას, ვალდებულებათა სახელშეკრულებო სისტემა „ღიაა", არასახელშეკრულებო ვალდებულებათა სისტემა კი – „დახურული". მაგალითად, უძრავ ქონებასთან დაკავშირებული არასახელშეკრულებო ვალდებულების დროს საქმე ეხება ვალდებულებათა „ამომწურავ" ჩამონათვალს („Numerous Clausus").[52] საქმე ისაა, რომ კერძო სამართალში ფართოდაა გავრცელებული კერძო ავტონომიის პრინციპი, რომლითაც სამოქალაქო ურთიერთობის მონაწილეებს აქვთ აუკრძალავი, მათ შორის კანონით პირდაპირ გაუთვალისწინებელი ნებისმიერი მოქმედების განხორციელების უფლება (სსკ-ის მე-10 მუხლის მე-2 ნაწილი).[53] ამ პრინციპიდან გამომდინარე, სახელშეკრულებო უფლება მხარეს აძლევს შესაძლებლობას, შეასრულოს ნებისმიერი მოქმედება, რომელიც ხელშეკრულებით არაა განსაზღვრული,

---

[51] ჰ. ვილემსი, ქართული და ჰოლანდიური ვალდებულებითი სამართლის შედარებითი ანალიზი, წიგნში „ვალდებულებითი სამართალი", თბ., 2006, 95-96.

[52] იქვე, 81.

[53] ლ. ჭანტურია, სამოქალაქო სამართლის ზოგადი ნაწილი, თბ., 2011, 90.

მაგრამ კანონს არ ეწინააღმდეგება.[54] ესე იგი, არასახელშეკრულებო ვალდებულების დროს უფლება მხოლოდ „დაბურულ" სისტემას ეფუძნება და ამიტომ მხოლოდ კანონისმიერი წესებიდან უნდა გამომდინარეობდეს. შესაბამისად, ზოგადად სახელშეკრულებო ვალდებულებებში სამოქალაქო უფლება გაცილებით ფართოა, ვიდრე არასახელშეკრულებო ვალდებულებებში. თუმცა ამ წესიდან არსებობს გამონაკლისიც, როდესაც საქმე ეხება აბსოლუტური უფლების ხელყოფას. უფლებები, რომლებიც სამართლებრივი ურთიერთობის გარეთ არსებობს, აბსოლუტურია (სიცოცხლის, ჯანმრთელობის, სახელისა და სხვა უფლებები) და ისინი მათ მესაკუთრე სუბიექტთან ერთად წარმოიშობა.[55] აღნიშნული ასპექტები ადასტურებს იმას, რომ აბსოლუტური უფლების ხელყოფის შემთხვევაში ეს უფლება აფართოებს არასახელშეკრულებო ვალდებულებების შინაარსს.

1.5. ვალდებულების სუბიექტური შემადგენლობა

სახელშეკრულებო და არასახელშეკრულებო ვალდებულებები გარკვეულწილად შეიძლება გაიმიჯნოს სუბიექტური შემადგენლობის მიხედვით. სახელშეკრულებო ვალდებულებები შეფარდებითი ხასიათისაა, ამ ურთიერთობაში შეთანხმების მიღწევისთანავე ცნობილია ორივე მხარე, შესაბამისად, განსაზღვრულია ისიც, ვინც უნდა აგოს პასუხი. არასახელშეკრულებო ვალდებულებები უფრო ახლოსაა აბსოლუტურ ურთიერთობებთან, მაგალითად, დელიქტის დროს, ვინაიდან აქ არ ხდება პერსონიფიცირება და აღიარებულია მხოლოდ უფლებამოსილი პირის უფლება, რომელიც ყველა მესამე პირმა უნდა დაიცვას. თუმცა ცალკეულ შემთხვევებში არასახელშეკრულებო ვალდებულებებიც შეიძლება შეიცავდეს შეთანხმების გარკვეულ საწყისს, მაგალითად, საზიარო უფლებების დროს.

2. მოთხოვნისა და მოთხოვნის სამართლებრივ საფუძველთა კონკურენცია

სახელშეკრულებო და არასახელშეკრულებო ვალდებულებათა შორის მიმართების განსაზღვრას დიდი მნიშვნელობა აქვს როგორც თეორიული, ისე პრაქტიკული თვალსაზრისით. პრობლემა უკავშირდება როგორც წარმოშობის საფუძველთა, ისე სამართლებრივ მოთხოვნათა შინაარსობრივი

---

[54] კერძო ავტონომიის შესახებ დაწვრ. იხ. Cr. Giner Rommel, Die Auslegung der Privatautonomie (Dissertation), Mainz, 2008, 10-12.

[55] აბსოლუტურ უფლებაზე იხ. E. J. Prediger, Die Grundlagen des Eigentumsrechts, 4, ნაშრომი იხ. ინტერნეტგვერდზე: <http://doctorate.ulbsibiu.ro/obj/documents/REZ-GERM-PREDIGER.pdf> [07.05.10]

დატვირთვის გარკვევას, რაც შეიძლება სხვადასხვა ასპექტის გათვალისწინებას ეფუძნებოდეს.

საქმე ისაა, რომ აუცილებელია ამ ვალდებულებათა შორის მიმართების განსაზღვრა კონკრეტული თავისებურებების გათვალისწინებით, რაც საბოლოო ჯამში მოთხოვნის საფუძველთა კონკურენციის პრობლემას უკავშირდება. სსკ-ის 326-ე მუხლი პირდაპირ მიუთითებს, რომ სახელშეკრულებო ვალდებულების შესახებ წესები გამოიყენება, ასევე, სხვა არასახელშეკრულებო ვალდებულებათა მიმართ, თუკი ვალდებულების ხასიათიდან სხვა რამ არ გამომდინარეობს. ამდენად, განსაზღვრულ სპეციალურ შემთხვევებში შეუძლებელია სახელშეკრულებო ვალდებულებების მომწესრიგებელი ნორმების გამოყენება არასახელშეკრულებო ვალდებულებების მიმართ. ხელშეკრულება უმთავრესად მიმართულია მხარეთა ავტონომიისა და თავისუფლების იდეის რეალიზაციისკენ.[56] რაც შეეხება დელიქტურ და სხვა კანონისმიერ ვალდებულებებს, მათ უფრო სამოქალაქო ბრუნვის დაცვის, მისი სტაბილურობის უზრუნველყოფისა და პრევენციის ფუნქციები ეკისრებათ. ისინი ავსებენ ერთმანეთს და საბოლოო ჯამში ერთიან სოციალურ ინტერესს ემსახურებიან.[57]

მაგალითი: მოპასუხე ფაქტობრივად ფლობდა ამხანაგობის წევრთა ქონებას, რომლითაც სარგებლობდა კიდევ, რის გამოც ხელი შეუშალა მოსარჩელეებს პრივატიზებული მაღაზიის კუთვნილი წილის გამოყენებასარგებლობაში. მაღაზიის თანამესაკუთრეებმა თავიანთი საკუთრების უფლების განხორციელების ხელშეშლის გამო, მოითხოვეს მიუღებელი შემოსავლის ანაზღაურება. დადგინდა, რომ სადავო მაღაზიის ფართი მხარეთა თანასაკუთრება იყო. შესაბამისად, თანამესაკუთრეთა შორის ურთიერთობა უნდა მოწესრიგდეს საზიარო უფლებების შესახებ ნორმებით, ვინაიდან, სსკ-ის 953-ე მუხლის თანახმად, როდესაც უფლება რამდენიმე პირს ეკუთვნის ერთობლივად, მაშინ გამოიყენება ამ თავის წესები, თუ კანონიდან სხვა რამ არ გამომდინარეობს. ამასთან, სსკ-ის 955-ე მუხლის მე-2 ნაწილის მიხედვით, თითოეულ მოწილეს აქვს საზიარო საგნით სარგებლობის უფლება ისე, რომ ზიანი არ მიადგეს დანარჩენ მოწილეთა სარგებლობას. მოპასუხემ, როგორც სადავო მაღაზიის თანამესაკუთრემ, თავისი უფლების განხორციელებისას მიაყენა რა ზიანი მოსარჩელეთა საკუთრების უფლებას იმავე ქონებაზე, სსკ-ის 326-ე მუხლის საფუძველზე უნდა დაეკისროს მიყენებული ზიანის ანაზღაურება. სწორედ ამ ნორმის თანახმად, სახელშეკრულებო ვალდებულების შესახებ წესები გამოიყენება სხვა

[56] იხ. გ. ცერცვაძე, სახელშეკრულებო სამართალი, თბ., 2014, 81.

[57] Hoffmann, Die Koordination des Vertrags und Deliktsrechts in Europa, 2006, 25, ასევე იხ. გ. ცერცვაძე, სახელშეკრულებო სამართალი, თბ., 2014, 2014, 81-82.

არასახელშეკრულებო ვალდებულებათა მიმართ, თუ ვალდებულების არსიდან სხვა რამ არ გამომდინარეობს. შესაბამისად, სსკ-ის 411-ე მუხლის დათქმა უნდა გავრცელდეს მოცემულ ურთიერთობაზეც და მოპასუხეს დაეკისროს ზიანის ანაზღაურება მიუღებელი შემოსავლის სახით, ანუ იმ შემოსავლის, რომელსაც პირი მიიღებდა ვალდებულების ჯეროვნად შესრულების შემთხვევაში.[58]

სახელშეკრულებო და არასახელშეკრულებო ვალდებულებათა მარეგულირებელი ნორმების ასეთი მჭიდრო ურთიერთკავშირი აჩენს მოთხოვნების აღრევის საფრთხეს. თუმცა, როგორც ზემოგანხილულიდან ჩანს, შესაძლებელია გარკვეულ შემთხვევებში სახელშეკრულებო სამართლის ნორმებს ჰქონდეს უფრო ფართო ხასიათი და გავრცელდეს არასახელშეკრულებო ვალდებულებებზე, თუ ეს ვალდებულების არსს არ ეწინააღმდეგება. შესაბამისად, დიდი მნიშვნელობა აქვს მოთხოვნის სწორად ჩამოყალიბებას, წინააღმდეგ შემთხვევაში სარჩელი არ დაკმაყოფილდება. ამასთან, მოთხოვნა უნდა იყოს დასაბუთებული კონკრეტული მოთხოვნის სამართლებრივ საფუძველზე მითითებით. ეს გარემოებები კი, ცხადია, გულისხმობს მოთხოვნათა და მოთხოვნის სამართლებრივ საფუძველთა კონკურენციის გადაწყვეტის გზების ჩვენებას.[59]

ამ პროცესში მნიშვნელოვანია სუბიექტის ბრალეულობისა და მტკიცების ტვირთის საკითხის შესწავლაც. საქმე ისაა, რომ სახელშეკრულებო მოთხოვნის დროს მოვალემ უნდა ამტკიცოს, რომ ვალდებულების შეუსრულებლობა განპირობებულია გარე ფაქტორებით და ბრალი მას ამ ზიანის დადგომაში არ მიუძღვის. რაც შეეხება არასახელშეკრულებო მოთხოვნას, აქ დაზარალებულს ეკისრება მოპასუხის ბრალეულობის მტკიცების ტვირთი.[60] მაგალითად, წუნდებული პროდუქტიდან წარმოშობილი ვალდებულების დროს დაზარალებულმა უნდა ამტკიცოს, რომ სწორედ წუნდებულმა პროდუქტმა მიაყენა მას ზიანი (სსკ-ის 1012-ე მუხლი).

ამასთან, მხედველობაშია მისაღები ხანდაზმულობის საკითხიც. სახელშეკრულებო მოთხოვნა შეიძლება ხანდაზმული იყოს, ვინაიდან, სსკ-ის 130-ე მუხლის თანახმად, სახელშეკრულებო ხანდაზმულობის ვადის ათვლა იწყება იმ დროიდან, როცა პირმა შეიტყო, ან უნდა შეეტყო უფლების

---

[58] საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2007 წლის 13 აპრილის გადაწყვეტილება (№ას-863-1219-06).

[59] დაწვრ. იხ. გ. ცერცვაძე, სახელშეკრულებო სამართალი, თბ., 2014, 82-85; G CHr. Schwarz, M. Wandt, Gesetzliche Schuldverhältnisse, 4., neu bearbeitete Auflage, München, 2011, 2.

[60] აღნიშნულთან დაკავშ. იხ. მ. დუნდუა, დელიქტური პასუხისმგებლობისა და სახელშეკრულებო პასუხისმგებლობის თანაფარდობა, „სამართლის ჟურნალი", N1, 2009, 56.

ხელყოფის შესახებ, ხოლო ამ შემთხვევაში არასახელშეკრულებო მოთხოვნა შეიძლება იყოს ნამდვილი, რადგან ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლების სამწლიანი ვადა აითვლება იმ მომენტიდან, როცა დაზარალებულმა შეიტყო ზიანის ან ზიანის ანაზღაურებაზე ვალდებული პირის შესახებ (სსკ-ის 1008-ე მუხლი). აღნიშნული ნიშანი მოსარჩელეს აყენებს უკეთეს მდგომარეობაში სახელშეკრულებო და, ცალკეულ შემთხვევაში, საერთო ხანდაზმულობის ვადების დროსაც. შესაბამისად, სასამართლომ ეს პრობლემა უნდა შეაფასოს ისე, რომ სპეციალური ნორმის მიზანი შენარჩუნდეს.[61] აქ სასამართლო შეზღუდულია მხოლოდ მხარეთა მოთხოვნის ფარგლებითა და მათ მიერ მითითებული ფაქტობრივი გარემოებებით (და არა სამართლებრივი შეფასებით);[62] მოსამართლე შებოჭილი არაა მოსარჩელის მიერ განსაზღვრული სამართლებრივი საფუძვლით და თავად აძლევს კვალიფიკაციას სადავო სამართლებრივ ურთიერთობას.[63] საპროცესო პრინციპების გათვალისწინებით მოსარჩელის უფლებამოსილებაში შედის მოთხოვნათა შორის ერთ-ერთზე არჩევანის შეჩერება. ამასთან, როდესაც ერთი და იმავე მოთხოვნის განხორციელება შესაძლებელია სხვადასხვა სამართლებრივ საფუძველზე დაყრდნობით, მოთხოვნის სამართლებრივ საფუძველთა კონკურენციის შესახებ გადაწყვეტილებას იღებს სასამართლო.[64] გარდა ამისა, გასათვალისწინებელია სამართალშეფარდების გამარტივების საკითხიც.[65] ასევე, უნდა განისაზღვროს, რომელი მოთხოვნის საფუძვლის გამოყენება გამოიწვევს ყველაზე მცირე საპროცესო ხარჯებს. შესაბამისად, თუ კონკრეტული შემთხვევის მიმართ შესაძლებელია მოთხოვნის რამდენიმე საფუძვლის გამოყენება, მაშინ მოსამართლემ უპირატესობა უნდა მიანიჭოს იმ საფუძველს, რომლის წინაპირობების დადგენაც ყველაზე იოლად და სწრაფად არის შესაძლებელი. ეს წესი, ძირითადად, მოქმედებს მხოლოდ მაშინ, როცა სასამართლო მთლიანად აკმაყოფილებს სარჩელს. რაც შეეხება მოთხოვნის საფუძველს, რომელიც უფრო მეტ ხარჯებს უკავშირდება, მისი განხილვა მხოლოდ მაშინ დაიშვება, როდესაც სასარჩელო მოთხოვნის გათვალისწინებით შეუძლებელია სარჩელის დაკმაყოფილება. ამასთან, თუ სარჩელი მხოლოდ ნაწილობრივ დაკმაყოფილდა ან მხარეს ეთქვა

---

[61] იხ. ს. ჩაჩავა, მოთხოვნებისა და მოთხოვნის საფუძვლების კონკურენცია, თბ., 2011, 187; ი. გელაშვილი, ჩანასახის სამართლებრივი მდგომარეობა, თბ., 2012, 203.

[62] იხ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2011 წლის 14 ნოემბრის გადაწყვეტილება (№ას-1169-1189-2011).


[63] საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2012 წლის 12 ივლისის გადაწყვეტილება (№ას-860-806-2012).

[64] იხ. ს. ჩაჩავა, მოთხოვნებისა და მოთხოვნის საფუძვლების კონკურენცია, თბ., 2011, 192.

[65] ხარჯებისა და სამართალშეფარდების გამოყენების შესახებ იხ. P. Thost, Die Anwendungs des § 477 BGB auf Mangelfogeschäden (Dissertation), Hamburg, 2000, 131-133.

უარი დაკმაყოფილებაზე, მოსამართლემ უნდა იმსჯელოს კონკრეტულ შემთხვევაში გასათვალისწინებელი მოთხოვნის წარდგენის ყველა საფუძველზე და დაადგინოს, რომ არც ერთი მათგანის გამოყენებისას არაა შესაძლებელი მოსარჩელის მიერ დასახული მიზნის მიღწევა.[66]

სახელშეკრულებო და არასახელშეკრულებო ვალდებულებათა შორის მიმართება შეიძლება თვალსაჩინოდ აჩვენოს ქვემოთ წარმოდგენილმა ვენის დიაგრამამ:



§ 3. არასახელშეკრულებო ვალდებულებების ადგილი ვალდებულებითი სამართლის სისტემაში

1. არასახელშეკრულებო ვალდებულებების ადგილი ვალდებულებითი სამართლის კერძო ნაწილში

ვალდებულებითი სამართალი, როგორც სამოქალაქო სამართლის ყველაზე დიდი ნაწილი, სამოქალაქოსამართლებრივი ნორმების ერთობლიობაა, რომელიც აწესრიგებს ქონების გადაცემიდან, სამუშაოს შესრულებიდან, მომსახურების გაწევისა და სხვა ხელშეკრულებიდან, ასევე ზიანის ანაზღაურებიდან, უსაფუძვლო გამდიდრებისა და კანონის სხვა საფუძვლებიდან წარმოშობილ ურთიერთობებს.

[66] იხ. ჰ. ბიელინგი, ლ. ჭანტურია, სამოქალაქო საქმეებზე სასამართლო გადაწყვეტილებათა მიღების მეთოდიკა, თბ., 2004, 43-44. მოთხოვნის საფუძველთა კონკურენციის შესახებ, ასევე, იხ. მ. ბიჭია, კერძო ცხოვრებისა და საჯარო-კატო საიდუმლოების სამოქალაქოსამართლებრივი დაცვა, ჟურნ. „თანამედროვე სამართლის მიმოხილვა", N1, 2013, 19.

ვალდებულებითი სამართალი, თავის მხრივ, იყოფა ზოგად და კერძო ნაწილებად. ზოგად ნაწილში მოიაზრება ნორმები, რომლებიც ვრცელდება თანაბრად ყველა ვალდებულების მიმართ. ამ ნორმებს განეკუთვნება ზოგადი დებულებები ვალდებულებათა და ხელშეკრულებათა, ვალდებულების შესრულების შესახებ და სხვა.[67] რამდენადაც ცნობილია, მთლიანად სამოქალაქო სამართალს აქვს რამდენიმე ზოგადი ნაწილი. აქედან პირველი მოცულობისა და მნიშვნელობის მიხედვით ყველაზე დიდ როლს თამაშობს ურთიერთობების მოწესრიგებაში. ამის მაგალითია სამოქალაქო სამართლის ზოგადი ნაწილი (პირველი წიგნი). სამოქალაქო სამართლის ზოგადი ნაწილის მეორე სახეა ზოგადი ნაწილი, რომელიც კოდექსის ცალკეულ წიგნშია განმტკიცებული და, უპირველეს ყოვლისა, ამ წიგნით გათვალისწინებული ურთიერთობების მოწესრიგების საფუძველს ქმნის. მას განეკუთვნება ვალდებულებითი სამართლის ზოგადი ნაწილი. ამავე კატეგორიის ზოგადი ნაწილია მემკვიდრეობის სამართლის ზოგადი დებულებებიც. რაც შეეხება ზოგადი ნაწილის მესამე სახეს, ის ეხება მხოლოდ კონკრეტულ ინსტიტუტს, მაგალითად, ზოგადი დებულებები ვალდებულების შესრულების ნაწილში. ვალდებულებითი სამართლის ზოგადი ნაწილი არის კოდექსის მესამე წიგნში ასახული. მართალია, მოცემული ზოგადი ნაწილი შემოიფარგლება მხოლოდ ვალდებულებითი სამართლით, მაგრამ ვინაიდან ის ფაქტობრივად განიხილება, როგორც კერძო სამართლის ბირთვი, ვალდებულებითი სამართლის ზოგადი ნაწილის მნიშვნელობაც გაცილებით დიდია; საქმე ისაა, რომ ვალდებულებითი სამართლის ზოგადი ნაწილის დებულებები, უპირველეს ყოვლისა, ვრცელდება სახელშეკრულებო სამართალზე. ამასთან, ეს ნორმები გამოიყენება არა მარტო სამოქალაქო კოდექსით მოწესრიგებული, არამედ ნებისმიერი ისეთი ხელშეკრულების მიმართ, რომელიც კერძო ავტონომიისა და პირთა თანასწორუფლებიანობის პრინციპებს ეფუძნება. თუ ასეთი ხელშეკრულება ეწინააღმდეგება ვალდებულებითი სამართლის ზოგადი ნაწილის წესებს, ის შეიძლება იურიდიული ძალის არმქონედ ჩაითვალოს. შესაბამისად, მოცემულ შემთხვევაში ზოგადი ნაწილის მოქმედება სცდება კიდეც კოდექსის ფარგლებს, თუმცა შემოიფარგლება ერთი ტიპის ურთიერთობებით — ვალდებულებითსამართლებრივი ურთიერთობებით.[68] ამდენად, ამ გაგებით ვალდებულებითი სამართლის ზოგადი ნაწილის მოქმედების არეალი არაა შეზღუდული; მისი მოქმედების სფერო ფართოა.

სსკ-ის 317-ე მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, ვალდებულებები შეიძლება წარმოიშვას, გარდა ხელშეკრულებისა, ზიანის მიყენების (დელიქტის), უსაფუძვლო გამდიდრების ან კანონით გათვალისწინებული სხვა

[67] ზ. ახვლედიანი, ვალდებულებითი სამართალი, მეორე გამოცემა, თბ., 1999, 5.

[68] ლ. ჭანტურია, სამოქალაქო სამართლის ზოგადი ნაწილი, თბ., 2011, 47.

საფუძვლებიდან. შესაბამისად, არასახელშეკრულებო (კანონისმიერი) ვალდებულებითი სამართალი და სახელშეკრულებო სამართალი შეიძლება განიხილებოდეს, როგორც ვალდებულებითი სამართლის ორი სვეტი.[69]

კანონისმიერი ვალდებულებები შედის სამოქალაქო სამართლის ერთერთ ყველაზე დიდ ნაწილში ვალდებულებითი სამართლის სახით, რომელიც მოიცავს ზოგად და კერძო ნაწილებს. ვალდებულებითი სამართლის კერძო ნაწილში შედის სამი კარი – სახელშეკრულებო სამართალი, კანონისმიერი ვალდებულებითი ურთიერთობები და დელიქტური ვალდებულებები. ამით კანონმდებელმა ხაზი გაუსვა იმას, რომ ვალდებულება შეიძლება იყოს სახელშეკრულებო და არასახელშეკრულებო ხასიათს.

მართალია, სსკ-ში გამოიყოფა ცალკე კანონისმიერი ვალდებულებების ინსტიტუტი, მაგრამ კანონისმიერი ვალდებულებების განხილვა სამართლის დარგად არაა გამართლებული, ვინაიდან სამართლებრივ ურთიერთობასა და სამართალს შორის, მეთოდოლოგიური თვალსაზრისით, ვერ გაივლება ტოლობის ნიშანი (ჯერარსისა და არსის დამოკიდებულების გათვალისწინებით). ამასთან, სამართალი აწესრიგებს ურთიერთობას და, ამ გაგებით, ისინი არაა იგივეობრივი. როგორ შეიძლება ურთიერთობა ისევ ურთიერთობას აწესრიგებდეს?!. ამასთან, კონკრეტული სასწავლო კურსის ფარგლებში ხდება არა ურთიერთობების, არამედ მათი მომწესრიგებელი ნორმების არსისა და წინაპირობების შესწავლა. ამდენად, სათანადო მეცნიერული სიზუსტით პრობლემის გადასაწყვეტად მიზანშეწონილია, სამართლის მოცემულ სფეროს ეწოდოს არასახელშეკრულებო (კანონისმიერი) ვალდებულებითი სამართალი.

აქვე საგულისხმოა, რომ კანონისმიერი ვალდებულებები განიხილება რა სამოქალაქო სამართლის ნაწილად, მის მიმართ ვრცელდება სამოქალაქო სამართლის რეგულირების საგნისა და მეთოდის შესახებ დებულებები, თუ ისინი არ ეწინააღმდეგება კონკრეტული კანონისმიერი ვალდებულების არსის განმსაზღვრელ სპეციალურ წესს.

როგორც სსკ-ის 1-ლი მუხლიდან ირკვევა, სამოქალაქო კოდექსის რეგულირების სფერო გამოკვეთილია მისი ელემენტების - ქონებრივი, საოჯახო და პირადი ურთიერთობების საერთო ნიშნით, კერძოდ, ამ ურთიერთობების კერძო ხასიათით. საქმე ისაა, რომ ეს ურთიერთობები, როგორც ტიპური საზოგადოებრივი ურთიერთობები, შუალობით ხასიათს სძენს მონაწილეთა ინტერესებს. სამოქალაქო კოდექსის უშუალო მიზნად მოიაზრება მოცემული ურთიერთობების მონაწილეთა და მთელი საზოგადოების წევრთა კერძო ინტერესის დაცვა. ამავე დროს, რეგულირებული ურთიერ-

---

[69] იხ. Chr. v. Bar, Osnabrück, Gesetzliche Schuldverhältnisse, In: Privatrechtsordnungen der EU – Diskriminierung – Europäisches Zivilgesetzbuch, Luxemburg, Manuskript abgeschlossen im Juni 1999, 165.

თობების კერძო ხასიათი, როგორც ურთიერთობების შინაარსის არსებითი ნიშანი, უნდა განსაზღვრავდეს ურთიერთობების სხვა ნიშნებს, საწყისებს, რომლებსაც ეფუძნება უშუალოდ რეგულირება. პირთა თანასწორობა დგას ისეთი გარეგნული ნიშნების გვერდით, როგორიცაა სუბიექტების პირადი ავტონომია, სუბიექტების პირად საქმეებში ჩაურევლობა და რეგულირების დისპოზიციურობა. მეთოდის ეს ნიშნები გარეგანი გამოვლინებებია რეგულირების მეთოდის არსისა, რომელიც სამოქალაქო სამართლის, როგორც ნორმების ერთობლიობისა, და სამოქალაქო სამართლის, რომელიც ურთიერთობების კონსტრუირების მთავარ პოსტულატში გამოიხატება. სახელდობრ, ის ასახვას ჰპოვებს აუკრძალავის ნებადართულობის საწყისში.[70] ამდენად, კანონისმიერი ვალდებულებები არის რა სამოქალაქო სამართლის ყველაზე დიდი ნაწილის — ვალდებულებითი სამართლის — კვლევის სფერო, მასზე ვრცელდება სამოქალაქო სამართლის რეგულირების მეთოდისთვის დამახასიათებელი ნიშნები, თუ არ არსებობს ზოგადიდან გამონაკლისის ამსახველი წესი. შესაბამისად, რეგულირების მეთოდიც რეგულირების საგანთან ერთად არის კონკრეტული ურთიერთობის ხასიათის განმსაზღვრელი კრიტერიუმი. რეგულირების მეთოდი ემყარება კერძო ავტონომიისა და თანასწორობის პრინციპებს, რომლებიც, სახელშეკრულებო ვალდებულებისგან განსხვავებით, კანონისმიერ ვალდებულებებში მათი სპეციფიკის გათვალისწინებით, თავისებურ ფორმას იძენს და გარკვეულ ფარგლებშია შეზღუდული. შესაბამისად, სამოქალაქო ურთიერთობის სუბიექტთა სამართლებრივი მდგომარეობის აუცილებელი წანამძღვარია თითოეული მათგანის იურიდიული დამოუკიდებლობა, ავტონომია, რაც მათ ქონებრივ განცალკევებულობას ეფუძნება. სამოქალაქოსამართლებრივი რეგულირების მეთოდი გულისხმობს სუბიექტთა ჰორიზონტალურ, არადაქვემდებარებულ ურთიერთობას. მოცემული ასპექტი უზრუნველყოფს ურთიერთობის მონაწილეთა თანასწორობას, რომელშიც, თავის მხრივ, მოიაზრება მათი პირადი საიდუმლოება სამოქალაქო უფლებათა განხორციელებაში. კანონმდებლობით დაუშვებელია სამოქალაქო ურთიერთობებში ვინმეს ჩარევა. ამასთან, სამოქალაქოსამართლებრივი რეგულირების ერთ-ერთ თავისებურებად განიხილება ის, რომ სამოქალაქო უფლების დარღვევას მოჰყვება შესაბამისი სანქცია, რომელიც ქონებრივი ხასიათისაა და დარღვეული უფლების აღდგენას ან კომპენსირებას ისახავს მიზნად.[71] ეს თავისებურებები მოქმედებს კანონისმიერ ვალდებულებებშიც.

---

[70] იხ. თ. ნინიძე, სამოქალაქო კოდექსის პირველი მუხლის სტრუქტურა, აკაკი ლაბარტყავას 80 წლისადმი მიძღვნილ საიუბილეო კრებულში (რედ. ლ. ჭანტურია), თბ., 2013, 175-176.

[71] იხ. ა. კობახიძე, სამოქალაქო სამართალი, I, ზოგადი ნაწილი, თბ., 2001, 16-20.

2. არასახელშეკრულებო ვალდებულებების ზოგადი დახასიათება

ცნობილია, რომ ფსევდოხელშეკრულებიდან გამომდინარე ვალდებულებების ცნება შემოღებულ იქნა იუსტინიანეს ინსტიტუციებში.[72] ამ ვალდებულებებში რომაელები ხედავდნენ მსგავსებას ხელშეკრულებასთან უაღრესად ხელოვნური ხერხების გამოყენებით. ამის გამო გააერთიანეს სრულიად სხვადასხვა მოვლენა კვაზიხელშეკრულებით ვალდებულებათა წრეში. ისტორიულადაც არასახელშეკრულებო ვალდებულებებად განიხილავდნენ ისეთ ვალდებულებებს, რომლებიც წარმოიშობოდა არა მხარეთა შეთანხმებით, არამედ რაიმე ხდომილებით ან ცალმხრივი მოქმედებით, რომელსაც ზოგჯერ არამართლზომიერი ხასიათიც ჰქონდა. მაგალითად, უსაფუძვლო გამდიდრების შემთხვევაში. ამასთან, დავალების გარეშე სხვისი საქმეების წარმოება გულისხმობდა სხვისი საქმეების განხორციელებას ისე, რომ არ არსებობდა კანონისმიერი უფლებამოსილება (მზრუნველის) ან დაინტერესებული პირისგან გაცემული დავალება (რწმუნებული). ამ ურთიერთობის მსგავსებამ მინდობილობის ხელშეკრულებიდან გამომდინარე ვალდებულებასთან განაპირობა მისი აღიარება კვაზიხელშეკრულებით ვალდებულებად. რაც შეეხება უსაფუძვლო გამდიდრებას, ის გულისხმობდა ერთი პირის მიერ მეორის ქონების შეძენას ამისთვის აუცილებელი საფუძვლის გარეშე, მიუხედავად იმისა, თუ რომელი მხარე აღმოჩნდებოდა უსაფუძვლოდ გამდიდრებული. ასეთი შენაძენის სანაცვლოდ გამდიდრებულს ევალებოდა კომპენსაციის გადახდა იმისთვის, ვის ხარჯზეც უსაფუძვლოდ გამდიდრდებოდა. უსაფუძვლო გამდიდრება გამოიყენებოდა სხვადასხვა ურთიერთობაში. რომაელები განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებდნენ მისი გამოყენების ფაქტს ისტორიული განვითარების გარკვეულ საფეხურზე. კრედიტორის ურთიერთობა სესხის ხელშეკრულებასთან დაკავშირებულ ურთიერთობებში წესრიგდებოდა „condictio sine causa"-ს მიხედვით, თუ დებიტორი ნებაყოფლობით ვალის გადახდაზე უარს იტყოდა. სწორედ ეს იყო საკმარისი იმისათვის, რომ აღმოგვეჩინა ხსენებულ კონდიქციაში რაღაც ხელშეკრულების მსგავსი, ხოლო მისგან გამომდინარე სამართლებრივი ეფექტი გამოეცხადებინათ კვაზიხელშეკრულებით ვალდებულებად.[73] ფაქტობრივად სწორედ ამის ნიშნები ჩანს თანამედროვე მიდგომებშიც.

გარდა სახელშეკრულებო ვალდებულებებისა, ვალდებულებითი სამართლით (კერძო ნაწილი) მოწესრიგებულია არასახელშეკრულებო ვალდე-

---

[72] რომის სამართლის ძეგლები, იუსტინიანეს ინსტიტუციები, ლათინურიდან თარგმნა, წინასიტყვაობა, შენიშვნები, სახელები და ლექსიკონი დაურთო ნ. სურგულაძემ, თბ., 2002, 197-199, მ. გარიშვილი, მ. ხოფერია, რომის სამართალი, თბ., 2013, 435.

[73] ო. იოფე, გ. ნადარეიშვილი, რომის სამოქალაქო სამართლის საფუძვლები, თბ., 1994, 188-191.

ბულებები. კანონმდებელმა კანონისმიერი ვალდებულებების შესახებ (მეორე) კარში, უპირველეს ყოვლისა, გამოყო საზიარო უფლებები, რომლებიც სსკ-ის 953-968-ე მუხლებითაა დაცული.

ამასთან, კანონისმიერ ვალდებულებათა კიდევ ერთი კატეგორია, მსგავსად დელიქტური ვალდებულებებისა, რომელიც რომაული სამართლიდან მომდინარეობს, შეეხება დავალების გარეშე სხვისი საქმეების შესრულებიდან წარმოშობილ ვალდებულებებს. ამ ურთიერთობებს სსკ-ში ეთმობა 969-975 მუხლები.

სხვისი საქმეების წარმართვა დავალების გარეშე ემსგავსება დავალების მიცემის უფლებამოსილებას. შინაარსობრივად ის მოიცავს შემთხვევებს, რომლებშიც პირი „სხვის საქმეს" ახორციელებს ამისთვის აუცილებელი „უფლებამოსილების" გარეშე. მოცემულ შემთხვევაში შეიძლება სხვადასხვა მოთხოვნა წარმოიშვას: ისეთი, რომელიც საქმის შემსრულებელს ეკუთვნის (მაგალითად, გაწეული ხარჯების ანაზღაურების მოთხოვნა), და ისეთი, რომელიც მის საწინააღმდეგოდაა მიმართული (მაგალითად, ზიანის ანაზღაურებისა და სავინდიკაციო მოთხოვნები). საქმის განხორციელების საკუთარ თავზე აღება აფუძნებს შემსრულებლის განსაზღვრულ დამატებით მოთხოვნებს, თუმცა აქ უკვე დავალების გარეშე სხვისი საქმეების შესრულების მომწესრიგებელი ნორმების მნიშვნელობა გამოილევა; სახელდობრ, „ნამდვილი" დავალების გარეშე სხვისი საქმეების შესრულება არის როგორც დელიქტური სამართლით დადგენილი პასუხისმგებლობის გამომრიცხველი გარემოება, ისე უსაფუძვლო გამდიდრების წარმოშობის სამართლებრივი საფუძველი. „არანამდვილი" დავალების გარეშე სხვისი საქმეების შესრულება პირიქით, განიხილება სხვის სამართლებრივ სფეროში დაუშვებელ ჩარევად. ამიტომ დავალების გარეშე სხვისი საქმეების შესრულება მჭიდროდ უკავშირდება უსაფუძვლო გამდიდრებასა და დელიქტურ სამართალს.[74]

ასევე, საყურადღებოა ის ვალდებულებები, რომლებიც წარმოიშობა, როდესაც ერთი პირი მეორეს გადასცემს გარკვეულ საქონელს ან ფულად თანხას, ან განახორციელებს მის მიმართ ისეთ ქმედებას, რომლითაც მეორე პირი მდიდრდება და არ არსებობს ამგვარი საქონლისა თუ ფულადი თანხის გადაცემის ან ქმედების განხორციელების რაიმე სამართლებრივი საფუძველი. ამ ურთიერთობების მარეგულირებელი მუხლები თავმოყრილია სსკ-ის მესამე წიგნის მეორე კარის მესამე თავში სათაურით „უსაფუძვლო გამდიდრება" (სსკ-ის 976-991-ე მუხლები). უსაფუძვლო გამდიდრების დროს არსისმიერია ის, რომ ვიღაცის ქონებრივი მდგომარეობა იცვლება და ქონებაც იზრდება სამართლებრივი საფუძვ-

[74] M. Staake, Gesetzliche Schuldverhältnisse, Berlin, Heidelberg, 2014, 6.

ლის გარეშე. ქონების გაზრდა შეიძლება შესრულების (შესრულების კონდიქცია) შედეგად, ან სხვა შემთხვევებში ხარჯების (შეუსრულებლობის ან ხელყოფის კონდიქციის) გაწევით. უსაფუძვლო გამდიდრების მიზანია, შეცვალოს სამართლებრივი საფუძვლის გარეშე შექმნილი სიკეთეთა წესრიგი და დააბრუნოს პირვანდელი მდგომარეობა. უსაფუძვლო გამდიდრების გამო არსებული მოთხოვნები არის გადაცემა ან ღირებულების ანაზღაურება.[75]

რაც შეეხება დელიქტურ ვალდებულებას, კანონმდებელმა ის კანონისმიერი ვალდებულებების კარის გარეთ გამოყო და მის ტოლმნიშვნელოვნად შემდგომი რიგის (მესამე) კარში გააერთიანა. დელიქტური ვალდებულებები, გარდა სხვა გარემოებებისა, წარმოიშობა ისეთი სიკეთეების ხელყოფის შედეგადაც, რომლებიც ამ სიკეთეების მატარებელ პიროვნებასთან მჭიდროდაა დაკავშირებული (ჯანმრთელობა და სიცოცხლე; ღირსება; პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობა; პირადი და საოჯახო საიდუმლოება; სახელი, ავტორობა და ა. შ.).[76] დელიქტური სამართლის მიზანია იმ ზიანის კომპენსაცია, რომელსაც დაზარალებული სამართლის ნორმების ძალით არ უნდა ატარებდეს. უნებართვო მოქმედებებიდან წარმოიშობა ზიანის ანაზღაურების მოთხოვნები.[77] დელიქტური ვალდებულებები, თავის მხრივ, ორ თავადაა წარმოდგენილი: ა) პირველი თავი ეხება ზოგად დებულებებს, რომლებიც, თავისი სპეციფიკის გათვალისწინებით, საერთოა ყველა დელიქტური ვალდებულებისთვის, თუ რაიმე განსხვავებულად არაა კანონით დადგენილი; ბ) მესამე კარის მეორე თავი ეძღვნება წუნდებული პროდუქტით გამოწვეული ზიანისთვის პასუხისმგებლობას, რომელიც ასევე დელიქტური ვალდებულებაა, თუმცა ვინაიდან გარკვეული თავისებურებებით ხასიათდება, კანონმდებელმა მას დელიქტური ვალდებულებების მომწესრიგებელ კარში დამოუკიდებელი (მეორე) თავი დაუთმო.

ამ სახის ვალდებულებები კანონისმიერია და თავისი იმპერატიული ნორმებით მტკიცედ ემსახურება კანონიერი უფლებებისა და სამართლიანი ინტერესების დაცვას. მოცემული სფეროს უმნიშვნელოვანესი ინსტიტუტებია საზიარო უფლებები, დავალების გარეშე სხვისი საქმეების შესრულება, უსაფუძვლო გამდიდრება და დელიქტური ვალდებულებები.[78] ამდენად, კანონისმიერი ვალდებულება არანაკლებ ორ პირს შორის არსებული სპეციფიკური სამართლებრივი ურთიერთობაა, რომელშიც გადამწყვეტია

---

[75] აღნიშნულთან დაკავშ. იხ. M. Staake, Gesetzliche Schuldverhältnisse, Berlin, Heidelberg, 2014, 5-6.

[76] ამ ობიექტებთან დაკავშირებით იხ. В. Лапач, Система объектов гражданских прав: теория и судебная практика. Санкт_Петербург, 2002, 202-203.

[77] M. Staake, Gesetzliche Schuldverhältnisse, Berlin, Heidelberg, 2014, 6.

[78] ლ. ჰანტურიას წინათქმა სსკ-ის კომენტარზე, წ. IV, ტ. I, თბ., 2001, 3.

არა თუ მათი ნება გარიგების დადების თაობაზე, არამედ ვალდებულების წარმოსაშობად (ფართო გაგება) აუცილებელია გარკვეული გარემოებების, აქედან გამომდინარე მოთხოვნებისა და შესაბამისი მოვალეობების დადგომა. ყველა კანონისმიერი ვალდებულება ემსახურება დამაბალანსებელი, კომპენსატორული ფუნქციის მიღწევას.[79]

ამდენად, არასახელშეკრულებო ვალდებულებითი სამართალი სახელშეკრულებო სამართალთან ერთად არის ვალდებულებითი სამართლის ორი უმნიშვნელოვანესი ნაწილი. ამასთან, როგორც განსაზღვრავენ, სახელშეკრულებო სამართალს არ შეუძლია დელიქტური სამართლის გარეშე არსებობა და პირიქით; ამიტომ სახელშეკრულებო სამართალი და დელიქტური სამართალი განიხილება მედლის ორ მხარედ.[80]

როგორც ჩანს, „კანონისმიერი ვალდებულებითი ურთიერთობა" ფართო ხასიათისაა და მოიცავს ისეთ ვალდებულებითსამართლებრივ ურთიერთობებს, რომლებიც კანონის საფუძველზე წარმოიშობა. თუმცა, თუ ვალდებულება არის სამართლებრივი ურთიერთობა, მაშინ სრულიად ალოგიკურია ტერმინ „კანონისმიერი ვალდებულებითი ურთიერთობის" გამოყენება, ვინაიდან ურთიერთობის ორჯერ მითითებით ფაქტობრივად ტავტოლოგია იქმნება. ამდენად, დასახელებული ასპექტების საფუძველზე, მიზანშეწონილია, „კანონისმიერი ვალდებულებითი ურთიერთობები" გამოიხატოს ტერმინით „კანონისმიერი ვალდებულებები".

ამასთან, მართალია, კანონისმიერი ვალდებულება წარმოიშობა დავალების გარეშე სხვისი საქმეების, უსაფუძვლო გამდიდრების თუ უნებართვო მოქმედებებიდან, მაგრამ, გარდა ამისა, კანონისმიერი ვალდებულებები აღმოცენდება სანიეთო, საოჯახო თუ მემკვიდრეობითი სამართლის სფეროში. უმნიშვნელოვანესი მაგალითია ფლობის უფლების არარსებობისას მესაკუთრესა და მფლობელს შორის ურთიერთობა. ანალოგიური წესები ეხება მემკვიდრისა და მემკვიდრეობის მფლობელის ურთიერთობასაც.[81] ამდენად, კანონისმიერი ვალდებულებების მოქმედების სფერო გაცილებით ფართოა და შეიძლება შეეხოს, გარდა ზემოალნიშნული ურთიერთობებისა, სხვა სამოქალაქო ურთიერთობასაც.

---

[79] M. Staake, Gesetzliche Schuldverhältnisse, Berlin, Heidelberg, 2014, 5.

[80] იხ. Chr. v. Bar, Gesetzliche Schuldverhältnisse, In: Privatrechtsordnungen der EU – Diskriminierung – Europäisches Zivilgesetzbuch, Luxemburg, Manuskript abgeschlossen im Juni 1999, 165.

[81] იხ. A. Röthel, Gesetzliche Schuldverhältnisse: Eine Einführung, In: "Jura", Heft 5/ 2012, 362.

II თავი. საგიარო უფლებები

§ 3. საგიარო უფლებების ცნება და ადგილი სამოქალაქო სამართლის სისტემაში

1. ზოგადად საზიარო უფლებების ცნებისა და ნიშნების შესახებ

კანონისმიერი ვალდებულებების კარის პირველი თავი ეძღვნება საზიარო უფლებებს (სსკ-ის 953-968-ე მუხლები). უფლებები რომ განიხილებოდეს საზიაროდ, აუცილებელია შემდეგი წინაპირობების არსებობა: 1) სამოქალაქო უფლება; 2) რამდენიმე პირი; 3) ამ სუბიექტებს უნდა ეკუთვნოდეთ ეს უფლება; 4) კანონიდან არ უნდა გამომდინარეობდეს მოწესრიგების სხვა წესის გამოყენების შესაძლებლობა.

1) მოცემულ შემთხვევაში საქმე ეხება სამოქალაქო უფლებას, ანუ სამოქალაქო სამართლით აღიარებულ პირის შესაძლებლობას, მოითხოვოს როგორც მოვალისგან გარკვეული მოქმედების განხორციელება ან თავშეკავება, ისე საკუთარი ინტერესების დასაცავად სასამართლოს დახმარებით მოქმედების შესრულება.[82] ასევე, უფლებაში უნდა მოიაზრებოდეს პირის შესაძლებლობა, თვითონ განახორციელოს გარკვეული მოქმედება. ამ უფლების გვერდით გვხვდება სხვისი (მოწვილის) მოვალეობა, რომელიც ფაქტობრივად უფლების შესრულებაზე იქნება ორიენტირებული. ამდენად, უფლებასა და მოვალეობას შორის კორელაციური კავშირია. უფლებას მხოლოდ მაშინ აქვს აზრი, როცა მისი შესაბამისი მოვალეობის არსებობა ივარაუდება; უფლება მოვალეობის გარეშე კარგავს იურიდიულ ხასიათს.[83] ამდენად, აქ საქმე ეხება სამოქალაქო უფლებას, რომლის ფარგლები არ უნდა იყოს შეზღუდული მხოლოდ ვალდებულებითი ან სანივთოსამართლებრივი ურთიერთობებით. ის შეიძლება გამოვლინდეს სხვადასხვა სამოქალაქოსამართლებრივ ურთიერთობაში. ამიტომაც საზიარო უფლებები არაა ვიწრო შინაარსის შემცველი; საზიარო უფლებები შეიძლება გავრცელდეს სხვადასხვა ურთიერთობაზე, მაგალითად, საოჯახო ურთიერთობებზე (მეუღლეთა თანაზიარი საკუთრება), მემკვიდრეობით ურთიერთობებზე და ა. შ. ამდენად, საზიარო უფლებების მნიშვნელობა ფართოა.

---

[82] Н. Г. Александров. законность и правоотношения в советском обществе. М., 1955, 108-109.

[83] იხ. ი. სურგულაძე, ხელისუფლება და სამართალი, თარგმანი და შესავალი დაურთო ო. გამყრელიძემ, თბ., 2002, 110; უფლების თავისებურებების შესახებ, ასევე, იხ. H. Brox, Allgemeiner Teil des Bürgelichen Gesetzbuchs, Sechste, verbesserte Auflage, Köln-Berlin-München, 1982, 242-243; იხ. H. Brox, Wolf-Dietrich Walker, Allgemeiner Teil des BGB, 30., vollstandig neu bearbeitete Auflage, Koeln-Berlin-Muenchen, 2006, 318-319.

2) ამასთან, ურთიერთობა რომ განიხილებოდეს საზიარო უფლებების ფარგლებში, უნდა იყოს რამდენიმე პირი, ვინაიდან სხვა შემთხვევაში გამოირიცხება საზიარო უფლებების არსებობა.

3) ასევე, აუცილებელია, რომ ზემოთ დასახელებული უფლებასა და ამ სუბიექტებს შორის იყოს სამართლებრივი კავშირი. ეს დამოკიდებულება აისახება იმაში, რომ უფლება უნდა ეკუთვნოდეს სუბიექტებს. აღნიშნული უფლების წარმოშობის საფუძველი, მსგავსად სხვა კანონისმიერი ვალდებულებებისა, არის კანონი (და არა გარიგება),[84] რომელიც არსებობს, როგორც წესი, მონაწილეთა ნების გამოვლენის გარეშე.[85]

4) ამავე დროს, საზიარო უფლებების ინსტიტუტის გამოსაყენებლად უნდა გამოირიცხოს ამ ურთიერთობის მოწესრიგების სხვა წესით სარგებლობა, ვინაიდან თუ იარსებებდა ასეთი გზა, მაშინ მოცემული ურთიერთობის მიმართ გავრცელდებოდა სწორედ ეს წესი. ეს სპეციალური წესი შეიძლება გამოიხატოს სახელშეკრულებო ან სხვა კანონისმიერ საფუძველში (დავალების გარეშე სხვისი საქმეების ან უსაფუძვლო გამდიდრების შესახებ ნორმები) (სსკ-ის 953-ე მუხლი). კანონისმიერ ვალდებულებათაგან, უპირველეს ყოვლისა, საზიარო უფლებები უკავშირდება დავალების გარეშე სხვისი საქმეების შესრულებას. თუმცა დავალების გარეშე სხვისი საქმეების შესრულებისას შემსრულებელს საქმეების წარმართვის არც მოვალეობა აქვს და არც უფლებამოსილება, ხოლო საზიარო უფლებების დროს მოწილეებს აქვთ უფლებამოსილება საერთო საგანზე და, შესაბამისად, არ ჩაითვლება, რომ ის ასრულებდა სხვის საქმეებს. ამასთან, ობიექტურად ეს ასეც რომ იყოს, მის მიმართ დავალების გარეშე სხვისი საქმეების შესრულების შესახებ წესები მაინც არ გამოიყენება, თუ ფიზიკური პირი სუბიექტურადაც მოქმედებს იმ რწმენით, რომ ის ასრულებდა თავის და არა სხვის საქმეს (სსკ-ის 975-ე მუხლი). მოცემულ შემთხვევაში გამოირიცხება დავალების გარეშე სხვისი საქმეების შესრულების შესახებ (სსკ-ის 963-974-ე მუხლები) ნორმების გამოყენების შესაძლებლობა.

ამასთან, გარკვეულწილად შეიძლება გადაიკვეთოს საზიარო უფლებებისა და უსაფუძვლო გამდიდრების ინსტიტუტებიც: თუ საზიარო უფლების მოწილე გარკვეულ საჭირო ხარჯებს გაიღებს უშუალოდ საგნის შენახვისთვის, ეჭვგარეშეა, რომ სხვა მოწილეები გამდიდრდებიან, ასევე, უდავოდ არსებობს სხვა მოწილეების გამდიდრებასა და ერთ-ერთი მოწ-

[84] იხ. F. Kübler/ Heinz-Dieter Assmann, Gesellschaftsrecht, Die privatrechtlichen, Ordnungsstrukturen und Regelungsprobleme von Verbänden und Unternehmen, 6., neu bearbeitete und erweiterte Auflage, Lehr- und Handbuch, Heidelberg, München, Landsberg, Berlin, 2006, 1, 29.

[85] Me John Kirkpatrick, E. Stuhler, H. Francois, C. Cosciani, A. Fantozzi, Me Joseph Gloden, M. Van der Heyde, Steuervorschriften für die überbetriebliche Zusammenarbeit oder Fusion landwirtschaftlicher Betriebe, II. BR Deutschland, 84, Februar, 1972, 6.

ილის მიერ გაწეული ხარჯების გამო დამდგარ შედეგს (ზიანს) შორის მიზეზობრივი კავშირი. თუმცა ამ წინაპირობების არსებობა ჯერ კიდევ არ ნიშნავს ანაზღაურების შესახებ მოთხოვნის დაკმაყოფილების გარდაუვალობას, ვინაიდან თუ საქმე ეხება უსაფუძვლო გამდიდრების იმ სახეს, რომელსაც სუბსიდიური ხასიათი აქვს (დანახარჯების კონდიქცია), მაშინ ეს კონდიქცია იხევს უკან ურთიერთობის მოწესრიგების სხვა წესის წინაშე. ამდენად, მხარეთა შორის არ უნდა არსებობდეს სასარჩელო მოთხოვნის დაკმაყოფილების სახელშეკრულებო ან სხვა კანონისმიერი საფუძველი. შესაბამისად, თუ შემთხვევა ამ წინაპირობას აკმაყოფილებს, დავა უნდა მოწესრიგდეს უსაფუძვლო გამდიდრების ნორმებით, წინააღმდეგ შემთხვევაში საქმე შეიძლება საზიარო უფლებების ფარგლებში იყოს განხილული.[86]

ამდენად, საზიაროდ ითვლება უფლება, რომელიც რამდენიმე პირს ერთობლივად ეკუთვნის.[87] საზიარო უფლებებთან დაკავშირებული ზოგადი საფუძვლები წარმოდგენილია ცალკე თავში. შესაბამისად, საზიარო უფლებებზე ვრცელდება საზიარო უფლებების შესახებ თავით დადგენილი დებულებები, თუ არ არსებობს კანონისმიერი მოწესრიგების სხვა (სპეციალური) წესი (სსკ-ის 953-ე მუხლი).

მაგალითად, თუ რამდენიმე პირმა ერთად შეიძინა ნივთი, მაშინ მათ წარმოეშობათ საზიარო უფლება ამ ნივთზე (საერთო საკუთრების უფლება), ან კიდევ კანონით მემკვიდრეთა შორის სამკვიდროს გაყოფამდე მემკვიდრეებს აქვთ საზიარო უფლება სამკვიდრო ქონებაზე. ცხადია, მოცემულ შემთხვევაში საზიარო უფლებებთან დაკავშირებული ურთიერთობების მოსაწესრიგებლად უნდა იყოს სპეციალური ნორმები გამოყენებული. მაგალითად, სსკ-ის 208-ე მუხლიდან გამომდინარეობს, რომ მიწის ნაკვეთი, შენობის ნაწილი და ის ნაგებობები თუ დანადგარები, რომლებიც მრავალბინიან სახლში ინდივიდუალური საკუთრების საგნებად (ბინა ან/და არასაცხოვრებელი ფართობი) არ განიხილება, საერთო საკუთრებაა. ამდენად, მრავალბინიან სახლებში ბინის მესაკუთრეებს აქვთ საზიარო უფლებები. მოცემულ შემთხვევაში გამოიყენება სპეციალური კანონი „ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის შესახებ". ეს იმითია განპირობებული, რომ დღესდღეობით სსკ-დან ამ საკუთრების რეგულირების შესახებ 210-232-ე მუხლები ამოღებულია და სსკ-ში სულ ორი ზოგადი ხასიათის მუხლი დარჩა,

[86] აღნიშნულთან დაკავშირებით იხ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2011 წლის 4 ოქტომბრის გადაწყვეტილება (№ას-649-610-2011).

[87] იხ. Fr. Klein-Blenkers, Rechtsformen der Unternehmen, Köln, 2009, 184; ასევე, არასაჯარო (ანონიმური) პარტნიორობის შესახებ იხ. B. Grunewald, Gesellschaftsrecht, 7. Auflage, Tübingen, 2008, 159; E. Klunzinger, Grundzüge des Gesellschaftsrechts, 16. überarbeitete und erweiterte Auflage, München, 2012, 139-140.

ხოლო აღნიშნული ურთიერთობა დარეგულირებულია უშუალოდ კანონით „ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის შესახებ". ამიტომ მოცემულ შემთხვევაში გამოიყენება სწორედ ეს კანონი.[88]

2. საზიარო უფლებების ადგილი სამოქალაქო სამართლის სისტემაში

როგორც აღინიშნა, სსკ-ში „კანონისმიერი ვალდებულებების" კარი იწყება საზიარო უფლებებით. ამდენად, კანონმდებლობის დონეზე ის განიხილება კანონისმიერი ვალდებულებითი სამართლის კუთვნილებად, თუმცა იურიდიულ ლიტერატურაში არის მოსაზრება, რომლის თანახმად, საზიარო უფლებები მიიჩნევა სანივთო სამართლის ინსტიტუტად. შესაბამისად, ამ გაგებით, დასადგენია, რატომაა საერთო საკუთრება, რომელიც სანივთო სამართლის ნაწილია, ვალდებულებით სამართალში საზიარო უფლებების სახით. თვით საზიარო უფლებები, როგორც აღინიშნა, უკავშირდება საერთო საკუთრებას, რომელსაც სანივთო სამართალში ეძღვნება ერთი ზოგადი ნორმა, ხოლო სხვა ურთიერთობები მიმობნეულია სამოქალაქო სამართლის სხვა სფეროებში; საერთო საკუთრება შეიძლება წარმოიშვას კანონის ან გარიგების საფუძველზე (სსკ-ის 173-ე მუხლის 1-ლი ნაწილი). ამ გაგებით, საერთო საკუთრება კარგად გამოიხატება საზიარო უფლებებში. თვით საერთო საკუთრება შეიძლება დაიყოს წილად და თანაზიარ საკუთრებად. წილადი საკუთრების დროს თითოეულ თანამესაკუთრეს ეკუთვნის განსაზღვრული წილი საერთო საკუთრებაში, რომლის განკარგვის უფლებაც მას აქვს. თანაზიარი საკუთრების შემთხვევაში თითოეული მესაკუთრის უფლება ვრცელდება მთელ ქონებაზე. თუ წილადი საკუთრების დროს მესაკუთრის წილი ქონებაში წინასწარაა ცნობილი იდეალური წილის სახით, თანასაკუთრებისას ეს წილი განისაზღვრება ქონების გაყოფის შემთხვევაში. მანამდე ივარაუდება, რომ ყველას წილი თანაბარია.[89]

აღნიშნული მოსაზრების თანახმად, შეცდომაა საზიარო უფლებების განთავსება კანონისმიერ ვალდებულებათა წრეში. სწორედ მოცემულ შეხე-

---

[88] საზიარო უფლებების ცნებასთან დაკავშირებით იხ. ჯ. ხეცურიანი, სსკ-ის კომენტარი, წ. IV, ტ. II, თბ., 2001, 331-332.

[89] ბ. ზოიძე, ქართული სანივთო სამართალი, მე-2 გამოცემა, თბ., 2003, 102; საერთო საკუთრების შემთხვევაში თანამესაკუთრეთა გაუყოფადი კომპეტენცია ვრცელდება საერთო ქონებაზე. წილადი საკუთრება კი ეხება გაყოფად უფლებამოსილებას. ამიტომ თანასაკუთრება, რომლის დროსაც მფლობელებს ქონების გაუყოფად წილებზე აქვს საკუთრების უფლება, განსხვავდება წილადი საკუთრებისგან იმით, რომ საერთო საკუთრების საგანი არის ქონება, ხოლო წილადი საკუთრების შემთხვევაში – მხოლოდ ცალკეული უფლება. იხ. W. Fikentscher, A. Heinemann, Schuldrecht, 10. Auflage, Berlin, 2006, 665.

დულებაზე მიუთითებენ, როცა საზიარო უფლებებს განიხილავენ სანივთო სამართლის განუყოფელ ნაწილად, ვინაიდან საქმე ეხება უძრავი ქონების ორი ან მეტი თანამესაკუთრის უფლება-მოვალეობებს; მართალია, ხსენებული უფლება-მოვალეობები ასახულია კანონში, თუმცა, მოყვანილი მოსაზრების მიხედვით, ეს არ ნიშნავს, რომ საზიარო უფლებების სუბიექტი წარმოადგენს სამართლის ნაწილს, რომელიც კანონით დადგენილ ვალდებულებებს შეეხება.[90] ფაქტობრივად, მოცემული შეხედულების გაზიარებით შეიძლებოდა, ახსნილიყო ცვლილებების განხორციელებამდე სსკ-ში „ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის შესახებ“ არსებული ნორმები (210-232-ე მუხლები), რომლებიც დღესდღეობით ცალკე კანონითაა განსაზღვრული. საქმე ისაა, რომ ეს წესები ასევე ქმნიდა სისტემატიზაციის პრობლემას, ვინაიდან ნორმები, რომლებიც სანივთო სამართალში შედიოდა, ვერ უკავშირდებოდა ლოგიკურად საზიარო უფლებების გათვალისწინებას ვალდებულებითი სამართლის კერძო ნაწილში - კანონისმიერ ვალდებულებებში.

უპირველეს ყოვლისა, საზიარო უფლებების მარეგულირებელი ნორმების გამოყენების აუცილებლობა განპირობებულია სახელშეკრულებო შეთანხმების არარსებობით, ანუ აქ მოწილეების უფლება-მოვალეობები გამომდინარეობს კანონიდან და მათ შორის ურთიერთობებიც წესრიგდება კანონით.[91] ხშირად საზიარო უფლებების მატარებელ სუბიექტებს, უფლების წარმოშობის დოკუმენტის (ამონაწერის, სამკვიდრო მოწმობის) გარდა, რაიმე შეთანხმების ამსახველი დოკუმენტი არ აქვთ. სწორედ ასეთ შემთხვევებში უნდა განისაზღვროს კანონის საფუძველზე საზიარო ქონებასთან დაკავშირებული ურთიერთობები თუ მხარეთა შორის სამართლებრივი დავა. ამასთან, საზიარო უფლებები მხოლოდ უძრავ ქონებაზე არ ვრცელდება. ჩნდება შეკითხვა: რომელ სამართლებრივი რეგულირების მექანიზმს ექვემდებარება საერთო ქონებიდან წარმოშობილი ურთიერთობა? მაგალითად, ქონება შეიძლება ქირაენობის ან იჯარის უფლებით ეკუთვნოდეს რამდენიმე პირს ერთობლივად, რაც, თავის მხრივ, გულისხმობს ხელშეკრულების არსებობას, ეს კი გამორიცხავს კანონისმიერ ვალდებულებას. თუმცა სახელშეკრულებო შეთანხმებით მხარეთა მიერ გაუთვალისწინებელი საკითხების მოწესრიგებისას ისევ კანონისმიერ რეგლამენტაციას ენიჭება პრიორიტეტი. ამდენად, აქ ერთი და იგივე სამართლებრივი პრობლემა შეიძლება სხვადასხვა ინსტიტუტით დარეგულირდეს.[92]

---

[90] ჰ. ვილჰსი, ქართული და პოლანდიური ვალდებულებითი სამართლის შედარებითი ანალიზი, წიგნში „ვალდებულებითი სამართალი“, თბ., 2006, 97.

[91] იხ. ზ. ახვლედიანი, ვალდებულებითი სამართალი, მეორე გამოცემა, თბ., 1999, 251-252.

[92] იხ. თ. შოთაძე, საერთო საკუთრებისა და საზიარო უფლებების მარეგულირებელი ნორმების შედარებითი ანალიზი საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მიხედვით, „სამართლის ჟურნალი“, N2, 2009, 19-20.

ზემოთ მითითებული ასპექტები, თავის მხრივ, ისევ უკავშირდება ვალდებულების წარმოშობას კანონის საფუძველზე; ამასთან, საზიარო უფლებების დროს აღმოცენებული უფლება-მოვალეობები განსაზღვრავს არსებული ვალდებულების შინაარსს.

გარდა ამისა, საზიარო უფლებების ინსტიტუტი, ჩვეულებრივ, მოწილეთა შიდა ურთიერთობებს ეხება. საქმე ისაა, რომ სსკ-ის 955-ე მუხლის 1-ლი ნაწილი უნდა განიხილებოდეს ვალდებულებულებითსამართლებრივ დებულებად, რომელიც მონაწილეთა შიდა ურთიერთობებს ადგენს, როგორიცაა საზიარო საგნის ნაყოფის გადანაწილება. ამ წესის შინაარსი უნდა იყოს ვალდებულებითსამართლებრივი შესრულების მოთხოვნა,[93] რომელიც ფარდობითი (რელატიური) ხასიათისაა, ვინაიდან ურთიერთობის სუბიექტთა წრეს აკონკრეტებს და მათი ინდივიდუალიზება სწორედ ვალდებულებითსამართლებრივი ურთიერთობისთვისაა დამახასიათებელი.[94]

ამასთან, სსკ-ის 955-ე მუხლის მე-2 ნაწილით დადგენილია, რომ თითოეულ მოწილეს აქვს უფლება, ისარგებლოს საზიარო საგნით ისე, რომ ზიანი არ მიადგეს დანარჩენ მოწილეთა სარგებლობას. შესაბამისად, მოწილემ საზიარო საგნით სარგებლობისას უნდა გაითვალისწინოს სხვა მოწილეთა ინტერესები, რათა სხვა მოწილეების სარგებლობის უფლება არ შელახოს. ეს დებულებაც მოწილეთა შიდა ურთიერთობის არსს განსაზღვრავს და ურთიერთობის ფარდობით ხასიათს გამოკვეთს.

ასევე, საზიარო უფლებების დაცვა უკავშირდება, ერთი მხრივ, მოწილეთა წილის განკარგვას, მეორე მხრივ, საკუთრების არსისა და სოციალური ფუნქციის დადგენას, რაც საბოლოო ჯამში საზიარო უფლებების ძირითად თავისებურებებს წარმოაჩენს.

როცა საქმე ეხება უფლებას, ის ყოველთვის ასოცირდება საკუთრების უფლებასთან, ვინაიდან მოთხოვნები და უფლებები, რომლებიც საზიარო უფლების სუბიექტს აქვს, მიეკუთვნება მესაკუთრის უფლებამოსილებას, კერძოდ: წილის ნატურით გამოყოფას, მართვას, განკარგვას და ა.შ. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ საზიარო უფლებებში მოიაზრება ყველა სანივთო და ვალდებულებითსამართლებრივი უფლება, რომლებიც შეიძლება ერთ ქონებაზე რამდენიმე პირს ეკუთვნოდეს, და არა მარტო უფლება, არამედ მოვალეობაც. მაგალითად, სსკ-ის 965-ე მუხლის 1-ლი ნაწილით განსაზღვრულია, რომ მეიჯარის მიერ ვადაზე ადრე იჯარის ხელშეკრულების შეწყვეტის დროს მას ევალება მოიჯარისათვის მიმდინარე წლის ასაღები მოსავლის ღირებულების ანაზღაურება. ამდენად, მართა-

[93] იხ. R. Schnorr, Die Gemeinschaft nach Bruchteilen (§§ 741-758 BGB), Tübingen, Mohr Siebeck, 2004, 204.

[94] იხ. С. Н. Братусь, О. С. Иоффе, Гражданское право. М., 1967, 41; М. Малеина, Личные неимущественные права граждан: понятие, осуществление, защита. 2-е издание, исправленное и дополненное, М., 2001, 105.

ლია, ნივთის განუყოფლობა წარმოშობს საზიარო უფლებებს, თუ მეიჯარის მხარეზე რამდენიმე პირია წარმოდგენილი, მაგრამ ის წარმოშობს საზიარო მოვალეობებსაც, კერძოდ წილის პროპორციულად შესრულების ან მეიჯარეთა კუთვნილ საზიარო საგანზე მოთხოვნის მიქცევის მოვალეობებს.[95]

ასევე, სსკ-ის 961-ე მუხლი გამორიცხავს ისეთ ურთიერთობას, რომლითაც სარგებლობის წესით ისპობა საკუთრების უფლება. ყურადსაღებია საკუთრების სოციალური ფუნქცია, რომელიც გარკვეულწილად განსაზღვრავს საკუთრების შინაარსსა და მის სოციალურ ბოჭვას, კერძოდ, სსკ-ის 170-ე მუხლის 1-ლ ნაწილში მითითებულია, რომ „მესაკუთრეს შეუძლია, კანონისმიერი ან სხვაგვარი, კერძოდ, სახელშეკრულებო შებოჭვის ფარგლებში ფლობდეს და სარგებლობდეს ქონებით..“ ეს წესი ითვალისწინებს საკუთრების კანონისმიერ და სახელშეკრულებო ბოჭვას, მაგრამ მას აქვს თავისი ფარგლები, ვინაიდან დაუშვებელია საკუთრების ბოჭვამ (შეზღუდვამ) მოსპოს საკუთრება. მოცემულ შემთხვევაში უნდა შენარჩუნდეს საკუთრების სუბსტანცია, რომელშიც იგულისხმება საკუთრების ინსტიტუტით გათვალისწინებული შინაარსის რეალიზაცია. ამასთან, უძრავ ნივთზე საკუთრების შეძენისათვის აუცილებელია სსკ-ის 183-ე მუხლის მოთხოვნების დაცვა, კერძოდ, გარიგების წერილობითი ფორმით დადება და შემძენზე ამ გარიგებით განსაზღვრული საკუთრების უფლების რეგისტრაცია საჯარო რეესტრში; საკუთრებაში არსებული ნივთის სხვა პირის სარგებლობით სახელშეკრულებო ბოჭვამ არ უნდა მოსპოს საკუთრების უფლება (სსკ-ის 170-ე და 961-ე მუხლები). მხარეთა შეთანხმება მიწის ნაკვეთით სარგებლობის წესზე არ აუქმებს ან ცვლის უძრავ ქონებაზე საკუთრების უფლების მოპოვების რეჟიმს. შესაბამისად, მხარეთა საკუთრების უფლების დადგენისთვის უპირატესობა ენიჭება საჯარო რეესტრის ჩანაწერს.[96]

„ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის შესახებ“ კანონის მე-5 მუხლის მე-3 პუნქტის მიხედვით, მესაკუთრის წილი ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის წევრთა საერთო ქონებაში განისაზღვრება მის ინდივიდუალურ საკუთრებაში არსებული ფართობის შეფარდებით მრავალბინიანი სახლის ბინათა საერთო ფართობთან. ამავე კანონის მე-7 მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, მესაკუთრე, განურჩევლად მისი ბინის მდებარეობისა, სხვა ბინის მესაკუთრეთა წინაშე ვალდებულია, თავისი წილის შესაბამისად, გასწიოს ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის წევრთა საერთო ქონების მოვლა-პატრონობისა და

---

[95] იხ. თ. შოთაძე, საერთო საკუთრებისა და საზიარო უფლებების მარეგულირებელი ნორმების შედარებითი ანალიზი საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მიხედვით, „სამართლის ჟურნალი“, N2, 2009,20.

[96] საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2014 წლის 9 იანვრის გადაწყვეტილება (№ას-496-472-2013).

ექსპლოატაციის ხარჯები. თუმცა, თუ ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის წესდებით სხვა რამ არის გათვალისწინებული, გამოიყენება ეს წესი.[97]

ამდენად, საზიარო უფლებების სამართლებრივი ბუნებისადმი დუალისტური მიდგომა საკუთრების ძირითადი არსისადმი არაერთგვაროვანი დამოკიდებულებითაა განპირობებული, კერძოდ, იმით, რომ ის ვლინდება სანივთო და ვალდებულებითსამართლებრივ ურთიერთობებში. საზიარო უფლებებში ასახულია საკუთრების ის ვალდებულებითსამართლებრივი ასპექტები, რომლებიც კანონის საფუძველზე წარმოიშობა. დასახელებული გარემოებების გათვალისწინებით, საზიარო უფლებების ადგილი სწორადაა განსაზღვრული ვალდებულებითი სამართლის კერძო ნაწილის მეორე კარში.

§ 5. საზიარო უფლებების დაცვიდან წარმოშობილი კანონისმიერი ვალდებულების ელემენტები

1. საზიარო უფლებების სუბიექტები

საზიარო უფლების სუბიექტად მოიაზრება ფიზიკური პირი, რომელიც სსკ-ის მე-11 და მე-12 მუხლების წინაპირობებს აკმაყოფილებს. ამასთან, მოცემულ კანონისმიერ ვალდებულებებში შეიძლება მონაწილეობა მიიღოს იურიდიულმა პირმა, რომელიც პასუხობს სსკ-ის 24-ე მუხლის მოთხოვნებს იურიდიული პირის აუცილებელი ნიშნების შესახებ და სსკ-ის 25-ე მუხლს იურიდიული პირის უფლებაუნარიანობის თაობაზე. არაა გამორიცხული, გარკვეულ შემთხვევებში საზიარო უფლების სუბიექტი იყოს ისეთი გაერთიანება, რომელიც არაა იურიდიული პირი, მაგრამ, ჩვეულებრივ, ერთვება სხვა სუბიექტის თანასწორად ამ ურთიერთობაში, მაგალითად, ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობა. მოცემული ურთიერთობების სუბიექტები არიან მოწილეები.

2. საზიარო უფლების ობიექტი

სსკ-ის მე-7 მუხლის მიხედვით, კერძოსამართლებრივი ურთიერთობის ობიექტია ქონებრივი ან არაქონებრივი ღირებულების მატერიალური და არამატერიალური სიკეთე, რაც კანონით დადგენილი წესით ბრუნვიდან არაა ამოღებული. ამ გაგებით, სამართლებრივი ურთიერთობის ობიექტია მატერიალური და სოციალური სიკეთე, რომლის გამოყენებითაც სამართ-

[97] საქართველოს კანონი „ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის შესახებ“, 2007 წლის 11 ივლისი, N5277-რს.

ლებრივი ურთიერთობის მონაწილე იკმაყოფილებს კანონიერ ინტერესს.[98] ეს ცნება ამოსავალია ვალდებულების ობიექტისთვისაც. შესაბამისად, საზიარო უფლებებში ობიექტად განისაზღვრება სიკეთე, რომელშიც აისახება მოწილის წილი საზიარო საგანზე.

3. საზიარო უფლებების დაცვიდან წარმოშობილი კანონისმიერი ვალდებულების შინაარსი

საზიარო უფლებების დაცვიდან წარმოშობილი კანონისმიერი ვალდებულების სპეციფიკის გარკვევა უკავშირდება მოცემული ურთიერთობის სუბიექტთა უფლება-მოვალეობის დადგენას. შესაბამისად, აუცილებელია მოწილეთა უფლებრივი მდგომარეობის შესწავლა, რათა საზიარო უფლებების ძირითადი არსი გამოიკვეთოს. აღნიშნული, თავის მხრივ, ეხება მოწილეების მიერ საზიარო საგნის გამოყენებას, სარგებლობას, მართვას, მოვლა-პატრონობასა და განკარგვას.

3.1. მოწილეთა უფლება წილზე

უპირველეს ყოვლისა, საერთო საკუთრების შესახებ კონკრეტული ურთიერთობის დასახასიათებლად იყენებენ რეალურ და იდეალურ წილთა ცნებებს. რეალურ წილში მოიაზრება ნატურით გამოხატული საერთო საკუთრების განსაზღვრული წილი, რომელიც ფაქტობრივად შეიძლება გამოიყენოს თანამესაკუთრემ. რეალური წილისგან განსხვავებით, იდეალური წილის ცნება ემსახურება იმის ხაზგასმას, რომ თანამესაკუთრის წილი ვერ გამოიხატება ნატურით.[99] ზოგადად, საერთო საკუთრების უფლებაში წილთან დაკავშირებით გამოყოფენ სამ მიდგომას: ა) ე. წ. „იდეალური წილის“ თეორიის მიხედვით, წილი არის საერთო საკუთრებაში იდეალურად არსებული ნაწილი, რომელიც გამოხატავს ნივთის ღირებულებასა თუ სარგებლიანობას, ნივთის ან მისი ფასის პროცენტულ თუ წილად მდგომარეობას; ბ) რეალური წილის თეორიის თანახმად, ქონების თითოეულ თანამფლობელს აქვს წილი ქონებაში. ამ გაგების მრავალგვაროვნება არის წარმოდგენა წილზე, როგორც ნივთის ერთდროულად იდე-

[98] იხ. В. Сенчищев, Обьект гражданского правоотношения. Общее понятие, შრომათა კრებულში: «Актуальные проблемы гражданского права» (ред. М. Брагинский), М., 1998, 118.

[99] იხ. Р. П. Мананкова, Правоотношения общей долевой собственности граждан по советскому законодательсту, Томск, 1977, 30–32: Гражданское право: В 4 т. Том 2: Вещное право. Наследственное право. Исключительные права. Личные неимущественные права: отв. ред. Е. А. Суханов. 3_е изд., перераб. и доп., 2008, 76, 129, <http://lib.lunn.ru/KP/Sovremennikl/sukhanov2.pdf> [20.02.2014].

ალური და რეალური შემადგენელი ნაწილების ერთობლიობაზე; გ) ე.წ. „უფლებაში წილის“ თეორიის მიხედვით, წილი არის წილი უფლებაში: წილი საკუთრების უფლებაში, წილი ვალდებულებაში.[100]

თუმცა, როგორც იურიდიულ ლიტერატურაში აღინიშნა, წილის იდეალურობა კი არ ეწინააღმდეგება მის მატერიალურ ხასიათს, არამედ პირიქით, მოიაზრებს კიდეც მას. წილი მატერიალურია, რამდენადაც მატერიალურია თვით ნივთი, რომელშიც ის არსებობს. ამასთან, წილი არის იდეალური, ვინაიდან ნივთში გამოიყოფა არა მის რეალურ წილზე მითითებით, არამედ გაცილებით ნაკლები ხარისხის სიზუსტით ფიქსაციის გზით – ნივთის იდეალურ, აზრობრივ, აბსტრაქტულ გაყოფაზე მითითებით. ამდენად, წილი იდეალურია, ვინაიდან ის ნივთის რეალური ფორმით გადმოცემული ნაწილი არაა, და, ამავე დროს, მატერიალურია, რადგან არსებობს მატერიალური ფორმით ნივთში.[101] შესაბამისად, იდეალურია წილი, რომელიც მატერიალური ნივთის აზრობრივ ნაწილს წარმოადგენს. საერთო საკუთრების სუბიექტს მასზე აქვს საკუთრების უფლება და არა ანალოგიური უფლება სხვა თანამესაკუთრეთა წილსა თუ მთლიანად ნივთზე. ერთ-ერთი თანამესაკუთრის მიერ თავისი ნივთის ფლობა-სარგებლობა, თავის მხრივ, განიხილება როგორც თავისი, ისე სხვა თანამესაკუთრეთა წილის ფლობა-სარგებლობად, რომლებმაც მათთან დაკავშირებული ვალდებულების ძალით დროებით გადასცეს მას ეს უფლებამოსილებები. საერთო საკუთრების უფლების სპეციფიკა ისაა, რომ ერთიან ნივთში მოიაზრება თითოეული მონაწილის საკუთრების უფლების ობიექტები – წილები. ნივთების ფლობის, სარგებლობისა და განკარგვის შესახებ მოქმედებათა განხორციელების აუცილებლობა ერთად იწვევს თანამესაკუთრეთა რთულ ურთიერთდამოკიდებულებას, რომელიც არსებითად ზემოქმედებს წილთან დაკავშირებული მათი უფლების შინაარსზე.[102] თუმცა იქვე აღნიშნავენ, რომ არაა ამ კატეგორიების დანერგვის აუცილებლობა. რეალური წილის, როგორც ნატურით გადმოცემული საერთო საკუთრების ნაწილის, გაგება ორიენტირებულია იმ საერთო საკუთრებიდან გამომდინარე ურთიერთობის არსის არასწორ განმარტებაზე, რომელიც თანამესაკუთრეთა უფლებაა საზიარო საგნის ცალკეულ ნაწილებზე. იდეალური წილის ცნება, თავისი არსით, არის საკუთრების უფლებაში წილის ცნების

[100] С. Н. Ермолаев, Доля имущественном праве и общее обладение имущественными правами: исторический анализ, Научный журнал КубГАУ (Кубанского государственного аграрного университета), №91(07), 2013, 15.

[101] Н. В. Фирсова, Правовая природа доли в общей собственности: вопросы теории и практики, «Вестник БИСТ» (Башкирского института социальных технологий), №3(3), Сентябрь, 2009, 36.

[102] Н. В. Фирсова, Правовая природа доли в общей собственности: вопросы теории и практики, «Вестник БИСТ» (Башкирского института социальных технологий), №3(3), Сентябрь, 2009, 9.

სრული ანალოგი. თუმცა მათი გამოყენება შეიძლება პრაქტიკაში ამ ცნებათა პირობითი ხასიათის გათვალისწინებით.[103]

ამასთან, წილთა თანაბრობის პრინციპის მიხედვით, თითოეულ მოწილეს ეკუთვნის თანაბარი წილი (ზოგადი წესი), თუმცა, თუ სპეციალურად სხვა რამ არის დადგენილი, მოქმედებს განსაკუთრებული წესი (სსკ-ის 954-ე მუხლი). მაგალითად, ასეთ გამონაკლისად შეიძლება ჩაითვალოს შემთხვევა, როდესაც ერთ მოწილეს ეკუთვნის საზიარო ნივთის ერთი მესამედი, ხოლო მეორეს — ორი მესამედი. მოცემულ შემთხვევაში წილების ოდენობა უნდა იყოს სპეციალურად დადგენილი.[104]

სსკ-ის 954-ე მუხლით გათვალისწინებული „სპეციალურად დადგენა" უნდა მოიაზრებდეს კანონის დანაწესს, მხარეთა შეთანხმებას და ა.შ. თუმცა როცა სპეციალურად სხვა რამ არ არის განსაზღვრული, თითოეულ მოწილეს ეკუთვნის თანაბარი წილი. შესაბამისად, სსკ-ის 954-ე მუხლში მოცემული პირობა წილთა თანაბრობის შესახებ არის მხარეთა შეუთანხმებლობისას დავის გადაჭრის კანონმდებლობით დადგენილი ალტერნატივა, რაც კიდევ ერთხელ გამოკვეთს მხარეთა ავტონომიის პრინციპის მნიშვნელობას. ამასთან, სსკ-ის 311-ე მუხლის თანახმად, საჯარო რეესტრში შეიტანება უძრავ ნივთებზე საკუთრებისა და სხვა სანივთო უფლებები. ამავე კოდექსის 312-ე მუხლის მიხედვით, რეესტრის მონაცემების მიმართ მოქმედებს უტყუარობისა და სისრულის პრეზუმფცია, ე.ი. ივარაუდება, რომ რეესტრის ჩანაწერები სწორია, ვიდრე ამის საწინააღმდეგო არ დამტკიცდება. ამდენად, სსკ-ის 954-ე მუხლის გათვალისწინებით, თუ საჯარო რეესტრიდან არ დგინდება უძრავ ქონებაზე საზიარო უფლების მქონეთა წილობრივი საკუთრება, მაშინ ეს არის მათ შორის საერთო საკუთრების თანაბარწილად გაყოფის საფუძველი.[105] ამასთან, თუ რამდენიმე პირი დარეგისტრირებულია, როგორც თანამესაკუთრე, მაშინ მას შემდეგ, რაც მიწის საკადასტრო რუკაზე აისახება წილთა ოდენობა, თითოეულს შეეძლება საკუთარი წილის განკარგვა დამოუკიდებლად.[106]

სსკ-ის 963-ე მუხლის მიხედვით, საზიარო უფლება უქმდება ნატურით გაყოფისას, თუ საზიარო საგანი (საგნები) შეიძლება დაიყოს ერთგვაროვან ნაწილებად ღირებულების შემცირების გარეშე, მონაწილეთა შორის

---

[103] Гражданское право: В 4 т. Том 2: Вещное право. Наследственное право. Исключительные права. Личные неимущественные права: отв. ред. Е. А. Суханов. 3_е изд., перераб. и доп., М.: Волтерс Клувер, 2008, 76, 129, http://lib.lunn.ru/KP/Sovremenniki/sukhanov2.pdf.

[104] იხ. ჯ. ხეცურიანი, სსკ-ის კომენტარი, წ. IV, ტ. II, თბ., 2001, 332.

[105] საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2006 წლის 12 ოქტომბრის გადაწყვეტილება (№ას-60-508-06).

[106] A. Brand, L. Schnitzler, Grundbuchsachen in der gerichtlichen Praxis, Vierte Auflage, Berling, Heidelberg, 1928, 126.

თანაბარი წილები განაწილდება კენჭისყრით. მიწის ნაკვეთი შესაძლებელია გაიმიჯნოს ისე, როგორც მხარეები ფაქტობრივად ფლობენ, ვინაიდან სარგებლობის წესზე შეთანხმება არ ცვლის საკუთრების უფლების თაობაზე საჯარო რეესტრის ჩანაწერებს.[107]

3.2. უფლება ნაყოფზე

უპირველეს ყოვლისა, საზიარო საგნიდან წარმოიშობა ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი უფლება ნაყოფზე (სსკ-ის 955-ე მუხლი), ანუ ის შემოსავალი ან/და უპირატესობა, რაც ამ უფლების გამოყენების შედეგად მიიღება (სსკ-ის 154-ე მუხლის მე-2 ნაწილი). ამასთან, უფლების ნაყოფად შეიძლება ჩაითვალოს შემოსავალიც და უპირატესობაც, რომელთა მიღებასაც ეს უფლება უზრუნველყოფს სამართლებრივი ურთიერთობის მეშვეობით (სსკ-ის 154-ე მუხლის მე-3 ნაწილი). თუმცა საზიარო საგანზე ნაყოფის უფლება, რომელიც უშუალოდ მატერიალიზებული შემოსავლის სახით გვხვდება, არ ატარებს სანივთოსამართლებრივ ხასიათს. რაც შეეხება საგნის სარგებლობით მიღებულ ნაყოფსა და შემოსავალს, როგორიცაა საიჯარო ქირა, ის შეიძლება გამომდინარეობდეს მხოლოდ მასთან დაკავშირებული ვალდებულებითსამართლებრივი ხელშეკრულებიდან. ამასთან, 955-ე მუხლის 1-ლ ნაწილში მოცემული უფლებამოსილება არ ატარებს სანივთოსამართლებრივი ხასიათს, რაც დადასტურებულია იმითაც, რომ თითოეულ მოწილეს ეკუთვნის თავისი წილის თანაზომიერი ნაყოფის ნაწილი. მაგალითად, თუ ერთ-ერთი მოწილის წილი ერთი მესამედია, ხოლო მეორის – ორი მესამედი, მაშინ საზიარო ქონებიდან მიღებული შემოსავლის ერთი მესამედი ეკუთვნის პირველს, ორი მესამედი კი - მეორეს.[108] ამდენად, მოწილეთა წილების თანაფარდობა ეფუძნება პროპორციულობის პრინციპს. სსკ-ის 955-ე მუხლის 1-ლი ნაწილი უნდა განიხილებოდეს ვალდებულებულებითსამართლებრივ დებულებად, რომელიც მოწილეთა შიდა ურთიერთობებს განსაზღვრავს, როგორიცაა საზიარო საგნის ნაყოფის განაწილება. ამ ნორმის შინაარსი უკავშირდება ვალდებულებითი სამართლით დადგენილ მოქმედების შესრულების მოთხოვნას. აღნიშნული გაგებით, ერთმანეთისგან მკვეთრად განსხვავდება საზიარო საგნის გამოყენებისა და ნაყოფის მიღების პრობლემები: თანამოწილეს აქვს უფლება, საზიარო საგანი გამოიყენოს სხვა მოწილის წინასწარი

---

[107] საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2014 წლის 9 იანვრის გადაწყვეტილება (№ას-496-472-2013).

[108] სსკ-ის 955-ე მუხლის 1-ლი ნაწილის კომენტართან დაკავშ. იხ. ჯ. ხეცურიანი, სსკ-ის კომენტარი, წ. IV, ტ. II, თბ., 2001, 332-333.

[109] R. Schnorr, Die Gemeinschaft nach Bruchteilen (§§ 741-758 BGB), Mohr Siebeck, Tübingen, 2004, 204.

თანხმობის (ნებართვის) გარეშე, სსკ-ის 955-ე მუხლის მე-2 ნაწილის მიხედვით. თუმცა სსკ-ის 955-ე მუხლის დანაწესი მას უნდა უკრძალავდეს სხვა მოწილეთა თანხმობის გარეშე ნაყოფის მიღებას. შესაბამისად, ნაყოფის მიღება ყოველთვის, სსკ-ის 956 და 957-ე მუხლების მიხედვით, მართვის რეგულირების საგანს ეხება.[109]

ამავე დროს, თითოეულ მოწილეს აქვს უფლება, გამოიყენოს საზიარო საგანი ისე, რომ ზიანი არ მიადგეს დანარჩენ მოწილეთა სარგებლობას (სსკ-ის 955-ე მუხლის მე-2 ნაწილი). საზიარო უფლებებში ამ ფორმით დაკონკრეტებულია უფლების ბოროტად გამოყენების აკრძალვის შესახებ ზოგადი დებულება, რომლითაც დაუშვებელია უფლების გამოყენება მხოლოდ იმ მიზნით, რომ ზიანი მიადგეს მესამე პირს.[110] ესე იგი, სამოქალაქო უფლება უნდა განხორციელდეს მართლზომიერად. უფლების ბოროტად გამოყენების დროს პირი მოქმედებს არამართლზომიერად, ქმედება მიმართულია მხოლოდ სხვისი სამართლებრივი სიკეთის ხელყოფისკენ და არა საკუთარი უფლების დაცვის თუ აღდგენისკენ.[111] აქ მთავარია, რომ როცა სსკ-ის 955-ე მუხლის მე-2 ნაწილი განსაზღვრავს მოწილეთა შიდა ურთიერთობას, რომელშიც მოცემულია სსკ-ის 170-ე მუხლის 1-ლი ნაწილით დადგენილი მესაკუთრის მოდიფიცირებული გამოყენების უფლება, გადაწყვეტილების მიღება შეიძლება მხოლოდ სხვა მოწილესთან შეთანხმებულად. მოწილე, რომელიც თავისი უფლების გამოყენების დროს გადასცემს მესამე პირს საგანს სარგებლობაში იჯარის მიზნით, ფაქტობრივად უთანაბრდება მესაკუთრეს, რომელსაც შეუძლია დამოუკიდებლად საკუთარი უფლების გამოყენება. ეს შეეხება მესამე პირისთვის საგნის სარგებლობაში გადაცემას იჯარის მიზნით.[112]

ამასთან სსკ-ის 955-ე მუხლის მე-2 ნაწილიდან ჩანს, რომ საზიარო საგანთან დაკავშირებით მოწილის ინდივიდუალური უფლება წილის გამოყენებაზე იზღუდება იმით, რომ სხვა მოწილეს არ უნდა მიაყენოს ზიანი. აქ საქმე ეხება ფაქტობრივ (და არა სამართლებრივად შესაძლებელ) გამოყე-

---

[110] უფლების ბოროტად გამოყენების შესახებ დაწერ. იხ. ლ. ჭანტურია, სამოქალაქო სამართლის ზოგადი ნაწილი, თბ., 2011, 108-110; ასევე, იხ. თ. ზარანდია, თ. ჯ.ულელი, საკუთრების უფლების ბოროტად გამოყენება და გაუსვისებლობის პირობა ქართული და ფრანგული სამართლის მიხედვით, მოხსენებათა კრებულში „სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის 30 წლისადმი მიძღვნილი რესპუბლიკური სამეცნიერო კონფერენციის მასალები“, თბ., 2010-2012, 182-189; ამასთან, „შიკანა“ გავრცელებულია საკორპორაციო სამართალშიც, გარკვეულ შემთხვევებში არაა გამორიცხული, აქციით მინიჭებული უფლება იყოს ბოროტად გამოყენებული. იხ. ი. ბურდული, ქონებრივი ურთიერთობანი სააქციო საზოგადოებაში, თბ., 2008, 205.

[111] საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2013 წლის 7 თებერვლის გადაწყვეტილება (№ას-1385-1307-2012).

[112] R. Schnorr, Die Gemeinschaft nach Bruchteilen (§§ 741-758 BGB), Mohr Siebeck, Tübingen, 2004, 175.

ნებას. თუ ქუჩის თანამესაკუთრე ა-მ ქუჩა გამოიყენა თავისთვის, მოწილე ბ-ს არ შეუძლია კომპენსირების მოვალეობის დასასაბუთებლად დაეყრდნოს იმას, რომ თეორიულად მასაც უნდა ჰქონოდა ამ ქუჩით სარგებლობის შესაძლებლობა. საგნის დამოუკიდებლად გამოყენება მესაკუთრე ა-ს პრივილეგირებული მდგომარეობითაა დაფარული. ამდენად, მოცემულ შემთხვევაში საზიარო უფლებების გამოყენება ურთიერთდაკავშირებული თანამესაკუთრეების ინტერესებთან უნდა იყოს თანხვედრაში. ნებისმიერს შეიძლება ჰქონდეს სრული (შეუზღუდავი) მესაკუთრის სარგებლობის უფლება, თუ სხვა თანამესაკუთრის სარგებლობას ხელს არ უშლის. ასევე, როდესაც სსკ-ის 170-ე მუხლის 1-ლი ნაწილი[113] იცავს პასიურ მდგომარეობაში მყოფ მესაკუთრეს, თანამესაკუთრე უნდა გახდეს აქტიური, რათა თავიდან აიცილოს საკუთარ უფლებამოსილებაზე სხვა თანამესაკუთრეთაგან ზიანის მიყენება. რამდენადაც ეს ეხება მოწილის ურთიერთობას მხოლოდ სხვა თანამესაკუთრეებთან, საზიარო საგნის გამოყენების უფლება ხდება რელატიური. მხარეებმა ერთობლივად (შეთანხმებულად) უნდა მოაწესრიგონ ტერიტორიის ან დროის თვალსაზრისით საზიარო საგნის გამოყენება. მართვის მოწესრიგების პრობლემა უნდა წარმოიშვას მხოლოდ მაშინ, როცა ორივე მხარე მოითხოვს აგარაკის გამოყენებას ფაქტობრივად ერთსა და იმავე დროს. ამდენად, თუ ორი თანამესაკუთრიდან ერთ-ერთი არ გამოავლენს საზიარო აგარაკით სარგებლობის ინტერესს, მეორე მოწილეს შეუძლია ნებისმიერ დროს და მანამ იცხოვროს აქ, ვიდრე მისთვის ნებადართულია ეს.[114]

ჩვეულებრივ, როცა თანამესაკუთრეს, სსკ-ის 955-ე მუხლის მე-2 ნაწილით დადგენილი საზიარო საგნის გამოყენების შედეგად ზიანი მიადგა, პასუხისმგებლობა დგება მხოლოდ სსკ-ის 992-ე მუხლის მიხედვით. აქ ხელყოფისგან დამცავი (პრევენციული) ფუნქცია ჩანს. თანამესაკუთრე საზიარო საგნის გამოყენებისას ყოველთვის ისე უნდა მოქმედებდეს, რომ ზიანი არ მიაყენოს სხვა მოწილეს, ვინაიდან მას ფაქტობრივად ამ საგანზე საკუთრების უფლება კი არ აქვს, არამედ მხოლოდ კონკრეტული ვალდებულებითსამართლებრივი გამოყენების უფლება. ამიტომ თუ თანამესაკუთრე თვითნებურად ექცევა საგანს, როგორც მესაკუთრე, სსკ-ის 992-ე მუხლის მიხედვით, დგება მხოლოდ ზოგადი პასუხისმგებლობა.[115]

---

[113] მართალია, მფლობელობა დამოუკიდებელ ინსტიტუტადაცაა განხილული, მაგრამ სსკ-ს საკუთრების შინაარსის განსაზღვრისას დარჩა ტრიადის ერთგული. იხ. ქ. ქორაშვილი, მფლობელობა და საკუთრება - ფაქტი და უფლება სამოქალაქო სამართალში, თბ., 2013, 136-137.

[114] R. Schnorr, Die Gemeinschaft nach Bruchteilen (§§ 741-758 BGB), Mohr Siebeck, Tübingen, 2004, 177-178.

[115] იქვე, 185-187.

3.3. საზიარო საგნის მართვა

აქტუალურია, ასევე, პრობლემა, როგორ უნდა გადაწყდეს საზიარო საგნის მართვა, როდესაც უფლება რამდენიმე პირს ეკუთვნის, ვინაიდან საზიარო საგნის მართვა უკავშირდება საზიარო უფლების მფლობელთა უფლებრივ მდგომარეობას.

საზიარო საგნის მართვის საკითხს ეძღვნება სსკ-ის 956-ე მუხლი. ზოგადად, მართვაში მოიაზრება სუბიექტებისა და ორგანოების მხრივ ადამიანებსა და ეკონომიკურ ობიექტებზე შეგნებული მიზანმიმართული ზემოქმედება, რომელიც ხორციელდება სასურველი შედეგების მიღების მიზნით.[116] საზიარო საგანთან დაკავშირებით მართვა, თავისი არსით, ემსახურება საზიარო საგნის შენარჩუნებას სარგებლობისთვის ვარგის მდგომარეობაში.[117] კანონმდებელმა განსაზღვრა, რომ საზიარო საგანს მოწილენი ერთობლივად მართავენ (სსკ-ის 956-ე მუხლის 1-ლი ნაწილი). თუმცა თითოეულ მოწილეს აქვს უფლება, საგნის შენახვისთვის იმოქმედოს სხვა მოწილეთა თანხმობის გარეშე (სსკ-ის 956-ე მუხლის მე-2 ნაწილი). შესაბამისად, ნივთის თანამესაკუთრე უფლებამოსილია, საზიარო საგნის მოვლა-პატრონობისა და შენახვისთვის საჭირო ღონისძიებები განახორციელოს სხვა თანამესაკუთრეთა თანხმობის გარეშე, დამოუკიდებლადაც.[118] თუ მხედველობაში მივიღებთ „ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის შესახებ“ კანონს, მოცემული კანონის მე-3 მუხლის „თ“ პუნქტის მიხედვით, ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის წევრთა საერთო ქონების მოვლა-პატრონობა გულისხმობს ამ ამხანაგობის წევრთა საერთო ქონების ყოველდღიური ფუნქციონირებისთვის საჭირო ქმედებების განხორციელებას.[119] ამდენად, კანონმდებელმა სსკ-ის 956-ე მუხლის 1-ლი და მე-2 ნაწილებით საზიარო საგნის მართვა განაზოგადა და მასში მოიაზრა, ასევე, მოვლა-პატრონობა.

აქვე საგულისხმოა, რომ იმ პირთა ერთობლიობის დროს, რომლებსაც საერთო ქონებაზე წილადი საკუთრება აქვთ, რამდენიმე პირს ეკუთვნის იდეალურ წილებად განსაზღვრული ქონება (მაგალითად, მიწის ნაკვეთის თანამესაკუთრეებს). მოცემულ შემთხვევაში თვით დაყოფადი ვალდებულებისთვისაც წარმოიშობა ერთობლივი მოთხოვნის უფლებამოსილება,

---

[116] მართვას ბიზნესის სფეროში, მაგალითად, კომერციულ ორგანიზაციასთან დაკავშირებით ეწოდება მენეჯმენტი. იხ. გ. შუბლაძე, ბ. მღებრიშვილი, ფ. წოწკოლაური, მენეჯმენტის საფუძვლები (სახელმძღვანელო), თბ., 2008, 272.

[117] საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2014 წლის 5 მაისის გადაწყვეტილება (№ას-1085-1016-2012).

[118] საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2011 წლის 4 ოქტომბრის გადაწყვეტილება (№ას-649-610-2011).

[119] საქართველოს კანონი „ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის შესახებ“, 2007 წლის 11 ივლისი (№5277-რს).

როდესაც მოთხოვნა ერთობლივ ქონებას უკავშირდება. მოთხოვნასთან დაკავშირებული ყველა სახის განკარგვა, როგორიცაა მოთხოვნის შესრულება, ვალის პატიება, გადავადება, განეკუთვნება საზიარო საგნის ერთობლივ მართვას, რაც, სსკ-ის 956-ე მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, წილთა მფლობელებს ეკისრებათ.[120]

გარდა ამისა, ეს ნორმა შიდა ურთიერთობაში დასაშვებს ხდის მოქმედების განხორციელების უფლებამოსილებასა და მასთან დაკავშირებული ვარაუდის მოთხოვნას. შესაბამისად, აქ წარმოდგენილი საზიაროობისა და საერთო მართვის ურთერთთანხმობით განხორციელება აიხსნება იმით, რომ სსკ-ის 170-ე მუხლის 1-ლ ნაწილის გაგებით, სსკ-ის 956-ე მუხლის მე-2 ნაწილი სანივთო უფლებამოსილებებს აფუძნებს საერთო საკუთრების საწყისებზე. სსკ-ის 956-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, თანამესაკუთრეს აქვს უფლება საგანი გამოიყენოს ისე, როგორც დამოუკიდებელმა მესაკუთრემ მხოლოდ იმ პირობებით, რომ ის სხვა მოწილეთა სარგებლობას ზიანს არ მიაყენებს. თუ ამ პროცესში სხვა მოწილის სარგებლობა ილახება, მაშინ ხდება საერთო სარგებლობის უფლების ბლოკირებაც. საგნის შესანახად მოქმედებს სსკ-ის 956-ე მუხლის მე-2 ნაწილი აუცილებელი ღონისძიებების გატარების შესახებ. სსკ-ის 956-ე მუხლის მე-2 ნაწილთან დაკავშირებით საქმე ეხება ინდივიდუალურ უფლებას და არა უფლებას, რომელსაც ცალკეული მოწილე იყენებს მოწილეთა ერთობისთვის. ამდენად, სსკ-ის 956-ე მუხლის მე-2 ნაწილში გამყარებული უფლება ამ ნიშნით განსხვავდება სსკ-ის 969-ე მუხლის გაგებით არსებული დავალების გარეშე სხვისი საქმეების განხორციელების უფლებამოსილებისგან.[121]

აქ, ჩვეულებრივ, წარმოიშობა საზიარო უფლებებსა და დავალების გარეშე სხვისი საქმეების შესრულებას შორის კონკურენციის პრობლემა. მოცემულ შემთხვევაში მოწილეს შეუძლია, ხარჯების ანაზღაურება მოითხოვოს სსკ-ის 960-ე მუხლის გვერდით, ასევე, სსკ-ის 973-ე მუხლის საფუძველზე. ზაილერის მიხედვით, გამონაკლისის დასაბუთება იმაშია, რომ სსკ-ის 956-ე მუხლის მე-2 ნაწილი შეიცავს სხვისი საქმეების შესრულებისთვის სპეციალურ კანონისმიერ მოწესრიგებას. თუმცა ამ ნორმაში განსაზღვრული უფლებამოსილება განსხვავდება სსკ-ის 969-ე მუხლის დავალების გარეშე სხვისი საქმეების შესრულებისგან იმით, რომ მოწილე საკუთარი უფლების განხორციელებისას საზიარო საგანს იცავს. ამიტომ სსკ-ის 956-ე მუხლის მე-2 ნაწილი, სსკ-ის 969-ე მუხლისგან

---

[120] ი. კროპჰოლერი, გერმანიის სამოქალაქო კოდექსი (შემდგომში - გსკ) — სასწავლო კომენტარი, გადამუშავეს ფ. იაკობმა და მ. ფონ პინდენმა, მე-13 გადამუშავებ. გამოცემა, თარგმნეს თ. დარჯანიამ და ზ. ჭეჭელაშვილმა, თბ., 2014, 301-302.

[121] იხ. R. Schnorr, Die Gemeinschaft nach Bruchteilen (§§ 741-758 BGB), Mohr Siebeck, Tübingen, 2004, 224-225.

განსხვავებით, შეიცავს სხვისი საქმეების წარმართვის უფლებამოსილებას ისე, როგორც საკუთარისა, რის გამოც ის დავალების გარეშე სხვისი საქმეების შესრულებისთვის სპეციალურ მოწვევრიგებას არ საჭიროებს. აღნიშნულთან დაკავშირებით საზიარო უფლებებიდან გამომდინარე ვალდებულებების საფუძველზე ადერჰოლდის არგუმენტაცია არის ლოგიკური: სსკ-ის 956-ე მუხლის მე-2 ნაწილის უფლებამოსილების გადამეტება არ შეიძლება იყოს დავალების გარეშე სხვისი საქმეების შესრულების შემთხვევა, ვინაიდან სინამდვილეში საქმე არსებული ვალდებულების დარღვევას შეეხება. თუმცა აქ წარმოდგენილი თეზა უკავშირდება საზიარო უფლებიდან წარმოშობილი ურთიერთობის ვალდებულებითსამართლებრივ ინტერპრეტაციას. ამ გაგებით, მოწილე, რომელიც სსკ-ის 956-ე მუხლის მე-2 ნაწილში გამყარებული თავისი უფლებამოსილებით სარგებლობს, სინამდვილეში საკუთარი უფლების მხოლოდ სახეცვლილ სანივთო უფლებას ახორციელებს. მის მიერ უფლებამოსილების გადამეტება განიხილება არა არსებული ვალდებულების ხელყოფად, არამედ სხვა მოწილეთა უფლებამოსილებაში ჩარევად. ის შეიძლება შევადაროთ ამ ურთიერთობის გარეთ მდგომ მესამე პირს, რომელიც მოწილის უფლებამოსილებაში იჭრება და ამიტომ შეიძლება იყოს, სსკ-ის 969-ე მუხლის გაგებით, როგორც სხვისი საქმეების შემსრულებელი. რამდენადაც მას საზიარო უფლება არ აძლევს მოქმედების განხორციელების უფლებამოსილებას, ობიექტური თვალსაზრისით, არსებობს სხვისი საქმე, რომელიც მოიაზრებს სხვისი საქმეების შესრულების ნებას, ასევე, მაშინ, როცა სხვა მოწილეს მოქმედების განხორციელების მოვალეობა არ ეკისრა.[122]

3.4. საზიარო საგნის მართვისა და სარგებლობის შესახებ გადაწყვეტილების მიღება

უმნიშვნელოვანესია, ასევე საზიარო საგნის მართვისა და სარგებლობის შესახებ გადაწყვეტილების მიღება, რომელიც შეიძლება სახელშეკრულებო ან კანონისმიერ შებოჭვას ეფუძნებოდეს. კანონმდებელმა საზიარო საგნის მართვისა და სარგებლობის შესახებ გადაწყვეტილების მიღების წესი ააგო თანაბრობისა და სამართლიანობის საწყისებზე. საქმე ისაა, რომ მოწილეები ერთობლივად ღებულობენ მონაწილეობას საზიარო საგნის მართვასა და გამგეობაში წილთა თანაზომიერების გათვალისწინებით. შესაბამისად, სსკ-ის 957-ე მუხლის 1-ლი ნაწილის მიხედვით, გადაწყვეტილება საზიარო საგნის თავისებურებათა შესატყვისი მართვისა და სარგებლობის შესახებ მიიღება ხმათა უმრავლესობით, რაც გამოითვლე-

[122] იხ. R. Schnorr, Die Gemeinschaft nach Bruchteilen (§§ 741-758 BGB), Mohr Siebeck, Tübingen, 2004, 228-229, 232.

ბა წილთა მიხედვით. მოწილეთა ხმა განისაზღვრება წილების პროპორციულად. მაგალითად, თუ რამდენიმე პირს ეკუთვნის ავტომანქანა, მათ შეუძლიათ, თითოეული მოწილისთვის დაადგინონ ამ ავტომანქანით სარგებლობის დღეები, ან მისი გამოყენების სხვაგვარი წესი. რაც შეეხება მოწილეთა წილს, თუ ერთ-ერთ მოწილეს აქვს საგნის ერთი მესამედი, მაშინ ის ფლობს საერთო ხმების ერთ მესამედს. ამასთან, შესაძლებელია მოწილეები შეთანხმდნენ საზიარო საგნის მართვა-სარგებლობის თაობაზე, რასაც კანონის ძალა ექნება. საერთო საკუთრებაში არსებული საგნით სარგებლობის წესის განსაზღვრა გულისხმობს საზიარო უფლების ყველა მფლობელის მონაწილეობას სარგებლობის პროცესში, თითოეული მათგანის მიერ მესაკუთრის უფლების რეალიზაციას.[123]

თუმცა, თუ საზიარო საგნის მართვისა და სარგებლობის შესახებ მოწილეები არ შეთანხმებულან, მაშინ თითოეულ მოწილეს შეუძლია, სამართლიანი შეხედულების მიხედვით, მოითხოვოს ყველა მოწილის ინტერესის შესაბამისი მართვა და სარგებლობა (სსკ-ის 957-ე მუხლის მე-2 ნაწილი). ეს სარგებლობაც ისე უნდა განხორციელდეს, რომ არ გამოიწვიოს ცალკეული მოწილის სარგებლობის წილზე მისი უფლების შემცირება, ვინაიდან, სსკ-ის 957-ე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, დაუშვებელია ცალკეული მოწილის სარგებლობის წილზე მისი უფლების შემცირება; მოწილის წილის შემცირება შეიძლება მხოლოდ მისი თანხმობის შემთხვევაში.[124] ეს ნორმა ერთმნიშვნელოვნად ადგენს, რომ თანამესაკუთრეები საზიარო ნივთით სარგებლობენ თანაბრად, თუ მხარეთა შორის სხვაგვარი შეთანხმება არ არსებობს. ამასთან, კანონი არ იცნობს მესაკუთრის საკუთრებაში არსებული ნივთით სარგებლობის შეზღუდვას სათანადო დასაბუთების გარეშე. კონკრეტულ შემთხვევაში, არ არსებობს ის ობიექტური გარემოება, რომელიც მოპასუხეს მისცემდა უფლებას, ესარგებლა საერთო საკუთრებაში არსებული ქონებით არა, როგორც თანამესაკუთრეს, არამედ ინდივიდუალურად, მხოლოდ მისი ინტერესების ფარგლებში.[125]

წინამდებარე მუხლი თავისი არსით უკავშირდება სსკ-ის 170-ე მუხლს, რომლის მიხედვით, მესაკუთრეს შეუძლია კანონისმიერი ან სხვაგვარი, კერძოდ, სახელშეკრულებო შებოჭვის ფარგლებში თავისუფლად ფლობდეს და სარგებლობდეს ქონებით, არ დაუშვას სხვა პირთა მიერ ამ ქონებით სარგებლობა, განკარგოს ის, თუ ამით არ ილახება მეზობლების მიერ ან სხვა მესამე პირთა უფლებები, ანდა თუ ეს მოქმედება არაა

[123] საერთო საკუთრებაში სარგებლობის წესის შესახებ იხ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2011 წლის 16 ივნისის გადაწყვეტილება (№ას-547-517-2011).

[124] იხ. ჯ. ხეცურიანი, სსკ-ის კომენტარი, წ. IV, ტ. II, თბ., 2001, 334.

[125] საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2012 წლის 8 ნოემბრის გადაწყვეტილება (№ას-1169-1098-2012).

უფლების ბოროტად გამოყენება. სსკ-ის 955-ე მუხლის მე-2 ნაწილის მიხედვით, თითოეულ მოწილეს შეუძლია, ისარგებლოს საზიარო საგნით ისე, რომ ამით ზიანი არ მიადგეს დანარჩენ მოწილეთა სარგებლობას. შესაბამისად, კანონით გარანტირებულია მესაკუთრის მიერ ნივთის თავისუფალი ფლობისა და სარგებლობის უფლება, თუ მესაკუთრის საკუთრების უფლება შეზღუდული არაა. სხვა თანამესაკუთრეთა არსებობითა და მათი ინტერესების გათვალისწინებით, საკუთრების ხასიათიდან გამომდინარე, შეიძლება გარკვეულწილად იზღუდებოდეს ნივთის სარგებლობის თავისუფლება. მოცემულ შემთხვევაში კანონი ამ უფლების სუბიექტს სთავაზობს საკუთრების უფლების დაცვის საშუალებას უფლების გაუქმების გზით. ამდენად, მართალია, საზიარო საგნის მართვა და სარგებლობა, ჩვეულებრივ, ურთიერთშეთანხმებით უნდა მოხდეს, მაგრამ შეუთანხმებლობისას მოწილეს შეუძლია, სარგებლობის უფლება განსაზღვროს და ამ უფლების სასამართლო წესით დაცვაც მოითხოვოს. რაც შეეხება კანონით გათვალისწინებული უფლების მფლობელს, ის თავისუფალია, თვითონ გადაწყვიტოს ამ უფლებით სარგებლობის საკითხი. შესაბამისად, იურიდიული თვალსაზრისით, სრულიად გამართლებულია საზიარო საგნის სარგებლობის წესის განსაზღვრა.[126]

3.5. საზიარო საგნის მართვის წესი უფლებამონაცვლეობისას

აქვე დასადგენია, თუ როგორ წყდება ერთ-ერთი მოწილის მიმართ უფლების გაუქმების შემთხვევაში მისი წილის მართვისა და სარგებლობის წესი. საქმე ისაა, რომ საზიარო უფლება შეიძლება გადავიდეს სხვა პირზე, მაგალითად, მემკვიდრეზე, წილის შემძენზე (სსკ-ის 958-ე მუხლი). ესე იგი, თუ მოწილეებმა განსაზღვრეს საზიარო საგნის მართვისა და სარგებლობის წესი, მაშინ მოცემული წესი გამოიყენება უფლებამონაცვლის მიმართაც. ეს დათქმა, ცხადია, გარკვეულწილად მოწილეების მიერ შეთანხმების ელემენტების არსებობაზე მიუთითებს, რაც ურთიერთობის რელატიურ ხასიათს გამოკვეთს.

მაგალითი: ბ-მ და გ-მ საზიარო საგნის მართვა-სარგებლობის წესი განსაზღვრეს. თუ ა-მ შეიძინა ბ-სა და გ-ს წილი, შესაბამისად, გახდა მათი უფლებამონაცვლე, ამ შემთხვევაში საზიარო საგნის მართვა-სარგებლობის უკვე შეთანხმებული წესი გადადის ა-ზე იმავე სახით, როგორც ის სახლის გაყოფამდე არსებულ მესაკუთრეებს შორის არსებობდა.[127]

[126] საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2011 წლის 15 ნოემბრის გადაწყვეტილება (№ას-881-924-2011).

[127] საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2015 წლის 11 ივნისის გადაწყვეტილება (№ას-1205-1150-2013).

3.6. საზიარო საგნის განკარგვისა და მოვლა-პატრონობის წესი

განსაკუთრებულ ყურადღების იმსახურებს, ასევე, საზიარო საგნის განკარგვისა და მოვლა-პატრონობის პრობლემა, ვინაიდან საქმე ეხება საზიარო უფლების რამდენიმე მფლობელის უფლებრივ მდგომარეობას.

ჩნდება შეკითხვა: შეიძლება თუ არა საზიარო საგნის განკარგვა მოწილეთა თანხმობის გარეშე? თუ მოწილეთა წილი დადგენილია, მაშინ ნებისმიერ მოწილეს შეუძლია თავისი წილის განკარგვა.[128] აღნიშნულს ადასტურებს სსკ-ის 959-ე მუხლიც, რომლის თანახმად, თითოეულ მოწილეს შეუძლია განკარგოს თავისი წილი, ხოლო საზიარო საგანი შეიძლება განიკარგოს მხოლოდ ერთობლივად. ამავე დროს, შეთანხმებით შეიძლება განისაზღვროს, რომ წილის გაყიდვის შემთხვევაში დანარჩენ მოწილეებს აქვთ უპირატესი შესყიდვის უფლება.

მაგალითი: ბინის პრივატიზაციის დროს ბინაში ჩაწერილები იყვნენ რა სოსო და ეკატერინე, მათ ჰქონდათ ბინაზე თანასაკუთრების უფლება თანაბარი წილის სახით. შესაბამისად, თითოეულ მოწილეს აქვს მხოლოდ საკუთარი წილის განკარგვის უფლება. ამიტომ თუ სოსო ჩუქების ხელშეკრულების დადებისას საზიარო საგანს განკარგავს მთლიანად, რისი უფლებაც მას არ აქვს, ამ ნაწილში ჩუქების ხელშეკრულება გაბათილდება.[129]

აქვე საგულისხმოა, რომ მოცემული ურთიერთობის სუბიექტთა შორის წარმოშობილი უფლებები უკავშირდება მათ შემხვედრ მოვალეობებს. მაგალითად, სსკ-ის 960-ე მუხლის მიხედვით, თითოეულმა მოწილემ სხვა მოწილეთა მიმართ თავისი წილის თანაზომიერად უნდა იკისროს საზიარო საგანთან დაკავშირებული ხარჯები. აღნიშნულთან დაკავშირებით უნდა გამოიკვეთოს, რომ კანონით (953-ე და 956-ე მუხლებით) დადგენილია სხვა მოწილეთა თანხმობის გარეშე საგნის მოვლა-პატრონობისთვის საჭირო ღონისძიებების განხორციელებისა და გაწეული ხარჯების ანაზღაურების შესაძლებლობა. მაგალითად, დიდთოვლობის გამო დაზიანდა საცხოვრებელი სახლი, რომლის თანამესაკუთრეები, საჯარო რეესტრის მონაცემების მიხედვით, არიან გაბუნია, ჩხენკელი და ბერიძე. მოცემული სადავო სახლის აღდგენაზე იზრუნა ბერიძემ, რომელიც იქ იმყოფებოდა, ვინაიდან იმედოვნებდა, რომ სხვა თანამესაკუთრეები თანაზიარ სახლში დაბრუნებისას აუნაზღაურებდნენ მას დანახარჯს, მაგრამ მათგან გადახდაზე უარი მიიღო უსახსრო-

---

[128] A. Brand, L. Schnitzler, Grundbuchsachen in der gerichtlichen Praxis, Vierte Auflage, Berling, Heidelberg, 1928, 125.

[129] საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2006 წლის 13 მარტის გადაწყვეტილება (№ას-761-1053-05).

ბის გამო. ამ შემთხვევაში მოსარჩელე უფლებამოსილი იყო, საზიარო საგნის მოვლა-პატრონობისა და შენახვისთვის საჭირო ღონისძიებები დამოუკიდებლად განეხორციელებინა (სხვა თანამესაკუთრეთა გარეშე). ამასთან, გაბუნიასა და ჩხენკელს არ დაუთმიათ საზიარო საცხოვრებელ სახლზე თავიანთი უფლება კანონით დადგენილი წესით, ანუ არ გადაუფორმებიათ საჯარო რეესტრის გზით, შესაბამისად, საზიარო უფლება არ გაუქმებულა. ამდენად, გაწეული ხარჯების ანაზღაურების მოთხოვნა შეიძლება დაკმაყოფილდეს სსკ-ის 463-ე (სოლიდარული მოვალეების შესახებ), 473-ე (ერთერთი სოლიდარული მოვალის მიერ ვალდებულების შესრულებისას უკუმოთხოვნა) და 960-ე მუხლების საფუძველზე.[130]

4. საზიარო უფლების გაუქმების საფუძვლები

საზიარო უფლებებიდან წარმოშობილი ურთიერთობა ისევე, როგორც ნებისმიერი სამართლებრივი ურთიერთობა შეიძლება შეწყდეს გარკვეული საფუძვლების არსებობისას. ასეთი საფუძველია ერთი მოწილის მოთხოვნა გაუქმების შესახებ საზიარო საგნის ნატურით გაყოფისა და საზიარო საგნის გაყოფის შეუძლებლობის შემთხვევაში საზიარო საგნის რეალიზაციის სახით, ასევე, პატივსადები მიზეზის არსებობა.

4.1. საზიარო უფლების გაუქმების არსი და გაუქმების მოთხოვნის გამორიცხვა

საზიარო უფლების გაუქმების წესი გათვალისწინებულია სსკ-ის 961-ე მუხლის 1-ლი ნაწილში, რომელიც ზოგადი ხასიათისაა და ადგენს, რომ თითოეულ მოწილეს შეუძლია ნებისმიერ დროს მოითხოვოს საზიარო უფლების გაუქმება. შესაბამისად, საზიარო უფლების გაუქმებისთვის საკმარისია ერთ-ერთი მოწილის მოთხოვნაც. ამ ნორმის დისპოზიციით განსაზღვრულია საზიარო უფლების მატარებლის უფლებამოსილება, ნებისმიერ დროს მოითხოვოს საზიარო უფლების გაუქმება, რომელიც შეიძლება განხორციელდეს საზიარო საგნის ნატურით გაყოფის გზით (სსკ-ის 963-ე მუხლი), ხოლო, თუ ნატურით გაყოფა გამორიცხულია, საზიარო უფლება უქმდება საზიარო საგნის რეალიზაციით (სსკ-ის 964-ე მუხლი). საზიარო უფლების გაუქმებისათვის საკმარისია ამ ვალდებულებითსამართლებრივი ურთიერთობის მონაწილის მიერ ნების გამოვლენა. თუმცა, როგორც განიმარტა, მხარის მხოლოდ ეს უფლება, სარჩელის დაკმაყოფილების საკმარისი საფუძველი არაა. ეს შეეხება მაგალი-

[130] საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2012 წლის 12 მარტის გადაწყვეტილება (№ას-85-81-2012).

თად სსკ-ის 963-ე მუხლს, ვინაიდან საზიარო უფლება უქმდება ნატურით გაყოფისას, თუ საზიარო საგანი (საგნები) შეიძლება დაიყოს ერთგვაროვან ნაწილებად ღირებულების შემცირების გარეშე.[131]

სპეციფიკურია მეუღლეთა თანასაკუთრების გაუქმების საკითხი, რაც ნაკარნახევია ქორწინების არსით. საქმე ისაა, რომ მეუღლეთა თანასაკუთრება მისი სუბიექტური შემადგენლობის მიხედვით განსხვავდება თანამესაკუთრეთა ზოგადი სამართლებრივი მდგომარეობისგან. სახელდობრ, მეუღლეთა თანასაკუთრების დროს ურთიერთობაში არ შეიძლება მონაწილეობდეს ორზე მეტი თანამესაკუთრე. მაგალითად, თუ მეუღლები მესამე პირთან ერთად იძენენ რაიმეს, მაშინ ისინი იქნებიან საერთო თანაზიარი საკუთრების მონაწილეები. თუმცა ვინაიდან მეუღლეთა თანასაკუთრების მონაწილეთა წრე შემოიფარგლება მხოლოდ ორი პირით, თითოეული მათგანისთვის საერთო ქონებიდან წილის გამოყოფა გამოიწვევს მეუღლეთა საერთო საკუთრების გაუქმებას. ამდენად, მეუღლეთა შორის ნებისმიერი წილის გაყოფას ერთდროულად მოჰყვება მათი საერთო საკუთრების გაყოფაც.[132]

აღსანიშნავია, რომ საზიარო უფლების გაუქმების მოთხოვნის უფლება შესაძლებელია შეთანხმებით გამოირიცხოს სამუდამოდ ან განსაზღვრული ვადით. მიუხედავად ამ დათქმისა, აქედანაც შეიძლება გამონაკლისის დაშვება, კერძოდ, პატივსადები მიზეზის არსებობისას საფუძვლიანია საზიარო უფლების გაუქმების მოთხოვნა (სსკ-ის 961-ე მუხლის მე-2 ნაწილი). მაგალითად, პატივსადებ მიზეზად შეიძლება ჩაითვალოს მოწილის მიერ საცხოვრებელი ადგილის შეცვლის გამო საზიარო საგნით სარგებლობის შეუძლებლობა; ასევე, თუ მოწილეებს შორის ურთიერთობა იმდენად დაძაბულია, რომ შეუძლებელია საზიარო საგნის ერთობლივი მართვა, ამ შემთხვევაშიც შესაძლებელია საზიარო უფლების გაუქმება. აქედან გამომდინარეობს, რომ პატივსადებ მიზეზად შეიძლება ჩაითვალოს სხვადასხვა საფუძველი.

ამასთან, სსკ-ის 961-ე მუხლის მე-3 ნაწილის მიხედვით, ბათილია შეთანხმება, რომლითაც გაუქმების მოთხოვნის უფლება გამოირიცხება ან იზღუდება ამ წესების საწინააღმდეგოდ. სავარაუდოდ, ეს დებულება ეხება საერთოდ გაუქმების უფლების გამორიცხვასა თუ შეზღუდვას, რაც დაუშვებელია, ვინაიდან ზემოაღნიშნულ შემთხვევებში შესაძლებელი უნდა იყოს ამ უფლების გაუქმება. მაგალითად, ბათილად უნდა განიხილებოდეს შეთანხმება, რომელიც ითვალისწინებს საზიარო უფლების გაუქმების მოთხოვნის გამორიცხვას პატივსადები მიზეზის არსებობის დროს. ასევე, სსკ-

---

[131] საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2013 წლის 4 ოქტომბრის გადაწყვეტილება (№ას-294-280-2013).

[132] იხ. ე. ნინუა, მეუღლეთა ურთიერთობების ზოგიერთი სამართლებრივი ასპექტი, ჟურნ. „მართლმსაჯულება და კანონი", №3, 2012, 49.

ის 962-ე მუხლის თანახმად, მოწილეებს შეუძლიათ, რაიმე ვადით გამორიცხონ საზიარო უფლების გაუქმების მოთხოვნა, თუმცა ეს შეთანხმება ძალას კარგავს მოწილის გარდაცვალებით, თუ სხვა რამ არ არის განსაზღვრული. შესაბამისად, ზოგადი წესის მიხედვით, საზიარო უფლების გაუქმების მოთხოვნის უფლების შესახებ შეთანხმება წყდება მოწილის გარდაცვალებით. თუ ამ საკითხთან დაკავშირებით სხვა რამ განისაზღვრა, მაშინ უნდა იყოს გამოყენებული სსკ-ის 958-ე მუხლით დადგენილი დათქმა, ანუ უფლებამონაცვლის მიმართაც გავრცელდება საზიარო საგნის მართვა-სარგებლობის ის წესი, რომელზეც მოწილეები შეთანხმდნენ. ამასთან, გარდაცვლილი მოწილის უფლებამონაცვლეს და ასევე სხვა მოწილეებს შეუძლიათ საზიარო უფლების გაუქმება მოითხოვონ მხოლოდ პატივსადები მიზეზის არსებობისას.[133]

4.2. საზიარო უფლების გაუქმება ნატურით გაყოფისას

საზიარო უფლების სუბიექტთა წილის განსაზღვრა ყოველთვის არ შეიძლება გულისხმობდეს მისი ნატურით გამოყოფის შესაძლებლობას. სასამართლო პრაქტიკაშიც ხშირია შემთხვევა, როცა უარს ამბობენ წილის ნატურით გაყოფაზე და არ იყენებენ სსკ-ის 963-ე მუხლს, ვინაიდან საზიარო უფლება უქმდება ნატურით გაყოფისას მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ორი აუცილებელი წინაპირობა არსებობს კუმულაციური წესით: ა) საზიარო საგანი (საგნები) უნდა დაიყოს ერთგვაროვან ნაწილებად და ბ) ღირებულების შემცირების გარეშე. ორივე შემთხვევაში უნდა იგულისხმებოდეს, რომ ნატურით გამოყოფილმა საგანმა არ უნდა დაკარგოს ის დანიშნულება, რაც მას ჰქონდა გაყოფამდე. ამ საგანს არ უნდა წაერთვას ის ფუნქცია და მნიშვნელობა, რასაც ის ასრულებდა მესაკუთრისთვის. თანაბარი წილები მონაწილეთა შორის განაწილდება კენჭისყრით.[134] მაგალითად, თუ საზიარო უფლება აქვს სამ მოწილეს და თითოეულის წილი ერთი მესამედია, მაშინ ნატურით გაყოფის შემთხვევაში კენჭისყრით უნდა გადაწყდეს, ამ საგნის რომელი მესამედი შეხვდება ამა თუ იმ მოწილეს.[135]

საზიარო საგნის გაყოფა ერთგვაროვან ნაწილებად არ ნიშნავს, რომ ის მხოლოდ ტოლ ნაწილებად უნდა გაიყოს, ან ერთი და იმავე ღირებულების ნაკვეთებად. აქ უმთავრესია, რომ ნატურით გამოყოფილმა საგან-

---

[133] იხ. ჯ. ხეცურიანი, სსკ-ის კომენტარი, წ. IV, ტ. II, თბ., 2001, 336-337.

[134] იხ. თ. შოთაძე, საერთო საკუთრებისა და საზიარო უფლებების მარეგულირებელი ნორმების შედარებითი ანალიზი საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მიხედვით, „სამართლის ჟურნალი", N2, 2009, 21; საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 28 ოქტომბრის გადაწყვეტილება (№ას-332-309-2010).

[135] იხ. ჯ. ხეცურიანი, სსკ-ის კომენტარი, წ. IV, ტ. II, თბ., 2001, 337.

მა არ დაკარგოს დანიშნულება, რომელსაც ის გაყოფამდე ასრულებდა. ლოგიკურად ჩნდება შეკითხვა: ვინ უნდა ამტკიცოს, რომ შესაძლებელია სადავო ქონების ნატურით გაყოფა? საქმე ისაა, რომ თვით სადავო ქონების ნატურით გაყოფის შესაძლებლობის შესახებ მტკიცების ტვირთი აკისრია მოსარჩელეს.[136]

ამავე დროს, ამ შემთხვევაში აუცილებელია საზიარო საგნის (ცალკეული ნაწილების) დანიშნულებისა და მნიშვნელობის დადგენა საყოფაცხოვრებო თვალსაზრისით, რაც, თავის მხრივ, უნდა შეეხოს მხარეთა საყოფაცხოვრებო ინტერესების დაკმაყოფილებას. შესაბამისად, ნივთის იდეალური წილის მიხედვით გაყოფის შეუძლებლობის შემთხვევაში, აღნიშნული არ შეიძლება ნივთის გაყოფაზე უარის თქმის საფუძველი იყოს, თუ ზემოთ მოყვანილ ორ კანონისმიერ მოთხოვნას პასუხობს. მაგალითად, თუ მხარეებმა მოითხოვეს ეზოს ერთგვაროვან ნაწილებად გაყოფა, ამ შემთხვევაში არაა აუცილებელი, რომ ეზო გაიყოს სახლის მესაკუთრეებზე ზუსტად, მათი კუთვნილი იდეალური წილების შესაბამისად. მიწის ერთგვაროვან ნაწილებად დაყოფისას გასათვალისწინებელია მიწის ცალკეული ნაწილების დანიშნულება და მნიშვნელობა საყოფაცხოვრებო თვალსაზრისით, მხარეთა ინტერესები მისი თითოეული ნაწილის მიმართ, მიწის მდებარეობა და მისი განლაგება მისასველელ გზასთან. ამასთან, არ უნდა ჩაითვალოს, რომ არ შეიძლება მიწის გაყოფა ერთგვაროვან ნაწილებად, თუ შესაძლებელია თანაბრად იყოს გათვალისწინებული მხარეთა საყოფაცხოვრებო ინტერესები. მოცემულ შემთხვევაში შეიძლება მიწის შედარებით დიდი ფართი გადაეცეს ერთ მხარეს, ხოლო მეორე მხარისათვის გადაცემული მიწის ნაკვეთი თავისი დანიშნულებითა და მდებარეობით იმგვარი ღირებულების იყოს, რომ მას გაუთანაბრდეს. ამდენად, ნივთის ღირებულებაში იგულისხმება მისი საყოფაცხოვრებო დანიშნულება. ამიტომაც სახლის ეზო გაყოფის შედეგად წარმოქმნილმა ეზოებმა საყოფაცხოვრებო დანიშნულება არ უნდა დაკარგონ, ანუ ერთგვაროვნებასთან ერთად გაყოფამ საზიარო საგანს არ უნდა დაუკარგოს ის სამომხმარებლო ღირებულება, რაც მას გაყოფამდე ჰქონდა.[137]

ამდენად, სსკ-ის 963-ე მუხლის თანახმად, საზიარო უფლებიდან გამომდინარე, მოთხოვნის რეალიზაცია დამოკიდებულია ამ უფლების მფლობელთა მდგომარეობასა და ინტერესებზე. მოცემულ შემთხვევაში ნივთის ღირებულების განსასაზღვრად ამოსავალია მისი საყოფაცხოვრებო დანიშნულება და არა მხოლოდ ფულადი ერთეულით გამოხატული ღირებულე-

---

[136] იხ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2013 წლის 5 მარტის გადაწყვეტილება (№ას-1090-1021-2012).

[137] საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2013 წლის 2 აპრილის გადაწყვეტილება (№ას-1656-1553-2012).

ბა. თუმცა სსკ-ის 963-ე მუხლი არ შეიცავს დათქმას საზიარო საგნის სათანადო გადაკეთებების შედეგად მიღებულ შესაძლებლობებზე. ესე იგი, თუ ნივთის ნატურით გაყოფა საჭიროებს გამაგრებით სამუშაოებს და სათანადო გადაკეთებებს, ვინაიდან ნივთის ნატურით გამიჯვნის ფორმები არ შეესაბამება სსკ-ის 963-ე მუხლის მოთხოვნებს, მოცემულ შემთხვევაში საზიარო უფლების ნატურით გაყოფის გზით გაუქმების მოთხოვნა ჩაითვლება უსაფუძვლოდ და არ დაკმაყოფილდება.[138]

4.3. საზიარო უფლების გაუქმება საზიარო საგნის რეალიზაციისას

საზიარო საგნები ყოველთვის არ შეიძლება იყოს გაყოფადი მათი თვისებებიდან გამომდინარე. ეს შეეხება ავტომანქანას. ასევე, შეიძლება საზიარო საგნის გაყოფა იყოს აკრძალული უშუალოდ კანონით, მაგალითად, სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის გაყოფა. ამ შემთხვევებში საზიარო უფლება შეიძლება გაუქმდეს სხვა წესის დაცვით, კერძოდ საზიარო საგნის, დაგირავებული ნივთის ან მიწის ნაკვეთის გაყიდვითა და ამონაგების განაწილებით. რაც შეეხება მიწის ნაკვეთის დროს საზიარო საგნის გაყოფას, აქ უნდა იყოს გამოყენებული აუქციონზე უძრავი ქონების იძულებით გაყიდვის წესები. ამდენად, თუ სადავო ქონება ღირებულების შემცირების გარეშე ვერ გაიყოფა თანაბარ ნაწილებად ან მხარეთა კუთვნილი წილების პროპორციულად, საზიარო უფლება გაუქმდება საზიარო საგნის ან მიწის ნაკვეთის გაყიდვითა და ამონაგების განაწილებით. მიწის ნაკვეთის შემთხვევაში გამოიყენება აუქციონზე უძრავი ქონების იძულებით გაყიდვის წესები. თუ დაუშვებელია საზიარო საგნის გასხვისება მესამე პირზე, მაშინ საგანი აუქციონზე უნდა გაიყიდოს მოწილეებს შორის (სსკ-ის 964-ე მუხლის 1-ლი ნაწილი).[139] ამასთან, თუ საზიარო საგანი არ გაიყიდა, ამ შემთხვევაში თითოეულ მოწილეს შეუძლია მოითხოვოს განმეორებითი აუქციონი; მან უნდა გაიღოს ხარჯები, თუ განმეორებითი ცდა უშედეგოდ დამთავრდა (სსკ-ის 964-ე მუხლის მე-2 ნაწილი).

5. საზიარო უფლების სუბიექტთა სამოქალაქო პასუხისმგებლობა

საზიარო უფლება უკავშირდება რა რამდენიმე პირის საერთო უფლებას, ივარაუდება, რომ საქმე ეხება სოლიდარულ ვალდებულებას.[140]

---

[138] საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2013 წლის 25 ნოემბრის გადაწყვეტილება (№ას-1165-1094-2012).

[139] საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2014 წლის 9 იანვრის გადაწყვეტილება (№ას-496-472-2013).

[140] სოლიდარული ვალდებულების თაობაზე იხ. ი. რობაქიძე, სახელშეკრულებო სამართალი, თბ., 2014, 715-717.

სწორედ ამ დებულების გამოძახილია სსკ-ის 965-ე მუხლი, რომლითაც განსაზღვრულია მოწილეთა სოლიდარული პასუხისმგებლობა. მოცემული მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, თუ მოწილეები, როგორც სოლიდარული მოვალეები, პასუხს აგებენ ვალდებულებისათვის, რომელიც მათ, 960-ე მუხლის თანახმად, უნდა შეასრულონ თავიანთი წილების პროპორციულად. თუ მათ იკისრეს ასეთი ვალდებულების შესრულება, მაშინ თითოეულ მოწილეს შეუძლია საზიარო უფლების გაუქმებისას მოითხოვოს, რომ ვალი გადახდილ იქნეს საზიარო საგნიდან. სოლიდარული ვალდებულება გულისხმობს იმას, რომ თითოეულმა მოვალემ უნდა მიიღოს მონაწილეობა ვალდებულების მთლიან შესრულებაში, ხოლო კრედიტორს აქვს მხოლოდ ერთჯერადი მოთხოვნის უფლება.[141] ამასთან, თუ ვალის გადახდის მიზნით აუცილებელია საზიარო საგნის გაყიდვა, ეს უნდა მოხდეს 964-ე მუხლის მიხედვით (სსკ-ის 965-ე მუხლის მე-2 ნაწილი).

როგორც აღინიშნა, თითოეული თანამესაკუთრე უფლებამოსილია, საგნის შენახვისთვის საჭირო ღონისძიებები განახორციელოს სხვა თანამესაკუთრეთა თანხმობის გარეშე, დამოუკიდებლადაც.[142] მოცემულ შემთხვევაში, საერთო ინტერესებიდან გამომდინარე, თუ ერთ-ერთმა თანამესაკუთრემ გაიღო საგნის შენახვისთვის აუცილებელი ხარჯები, მას წარმოეშობა ამ ხარჯების ანაზღაურების მოთხოვნის უფლება. შესაბამისად, მოწილეს შეიძლება ჰქონდეს სხვა მოწილის მიმართ საზიარო უფლებიდან გამომდინარე მოთხოვნა. ამ შემთხვევაში მოცემული უფლების გაუქმებისას მას შეუძლია, მოითხოვოს თავისი მოთხოვნის დაფარვა საზიარო ქონების იმ ნაწილიდან, რომელიც მოვალეს ერგება (სსკ-ის 966-ე მუხლი). ამავე დროს, სსკ-ის 967-ე მუხლით დადგენილია საზიარო უფლების გაუქმებისას მოწილეთა პასუხისმგებლობა. საქმე ისაა, რომ თუ საზიარო უფლების გაუქმებისას საზიარო საგანი მიეკუთვნება ერთ-ერთ მოწილეს, მაშინ თითოეული დარჩენილი მოწილე თავისი წილის შესაბამისად აგებს პასუხს ისე, როგორც გამყიდველი ნივთის ან უფლების ნაკლის გამო.

შესაძლებელია, წარმოიშვას შეკითხვა: როდემდე შეუძლია მოწილეს საზიარო უფლების გაუქმება? ამ შეკითხვაზე პასუხი მოცემულია სსკ-ის 968-ე მუხლში, რომლითაც დადგენილია, რომ საზიარო უფლების გაუქმების მოთხოვნა არ ექვემდებარება ხანდაზმულობას. იურიდიულ ლიტერატურაში გამოითქვა მოსაზრება, რომ ერთ თავში შემავალი სსკ-ის 961-ე მუხლის 1-ლი ნაწილი და 968-ე მუხლი ფაქტობრივად იდენტურია, ვინაიდან სუბიექტს ანიჭებს ერთსა და იმავე უფლებას — ნებისმიერ

---

141 სოლიდარულ ვალდებულებასთან დაკავშირებით იხ. ბ. ზოიძე, სსკ-ის კომენტარი, წ. III, თბ., 2001, 581.

142 საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2011 წლის 4 ოქტომბრის გადაწყვეტილება (№ას-649-610-2011).

დროს მოითხოვოს საზიარო უფლების გაუქმება.[143] თუმცა შეიძლება აღინიშნოს, რომ ეს ნორმები სრულად არ ემთხვევა ერთმანეთს: ა) შინაარსობრივი თვალსაზრისით, ორივე ნორმა ერთმანეთს ავსებს. სსკ-ის 961-ე მუხლი, ალბათ, უნდა განიხილებოდეს ზოგადი ხასიათის ნორმად, რომელიც თითოეულ მოწილეს აძლევს უფლებას, ნებისმიერ შემთხვევაში მოითხოვოს საზიარო უფლების გაუქმება. რაც შეეხება სსკ-ის 968-ე მუხლს, ის დამაკონკრეტებელ წესს შეიცავს; ბ) სსკ-ის 961-ე მუხლის 1-ლი ნაწილი უფლებაშემჭურველი ხასიათისაა და, მისი დასათაურების მიხედვითაც, საქმე ეხება საზიარო უფლების გაუქმების შესაძლებლობას. სსკ-ის 968-ე მუხლი განსაზღვრავს საზიარო უფლების გაუქმების მოთხოვნის მოქმედების ფარგლებს, კერძოდ, იმას, რომ ის არაა კონკრეტული ვადით შეზღუდული და არ ექვემდებარება ხანდაზმულობას, რაც საკუთრების უფლების შეუზღუდაობიდან უნდა გამომდინარეობდეს. ამით კანონმდებელმა შექმნა სსკ-ის 961-ე მუხლის 1-ლი ნაწილში მოცემული (ნებისმიერ დროს საზიარო უფლების გაუქმების შესახებ) მოთხოვნის დაცვის მყარი გარანტია.

ამასთან, ცხადია, სახელშეკრულებო მოთხოვნებზე, რომლებიც საზიარო უფლებას უკავშირდება (მაგალითად, წილის გაყიდვას), მოქმედებს ხანდაზმულობის ზოგადი ვადები. რამდენადაც ცნობილია, სსკ-ის 129-ე მუხლის 1-ლი ნაწილით გათვალისწინებულია სამწლიანი ვადა, ხოლო უძრავ ნივთებთან დაკავშირებული მოთხოვნა უნდა იყოს გამოყენებული ექვსწლიანი ხანდაზმულობის ვადაში. შესაბამისად, თუ პირი გაუშვებს კანონით გათვალისწინებულ ხანდაზმულობის ვადებს, მოთხოვნა, იურიდიული თვალსაზრისით, იძულებით ვერ განხორციელდება. თუმცა აქვე უნდა აღინიშნოს, რომ თუ მოწილეს ხელი ეშლება თავისი საკუთრებით სარგებლობაში, მაშინ, სსკ-ის 963-ე მუხლის მიხედვით, საზიარო უფლების გაუქმებისა და წილის გამოყოფის მოთხოვნა საფუძვლიანია. ამასთან, მიუხედავად ზემოთ მოცემული ზოგადი ხანდაზმულობის ვადების გასვლისა, საზიარო უფლების გაუქმების მოთხოვნა არ ექვემდებარება ხანდაზმულობას,[144] რაც იმპერატიული ხასიათისაა.

---

[143] იხ. თ. შოთაძე, საერთო საკუთრებისა და საზიარო უფლებების მარეგულირებელი ნორმების შედარებითი ანალიზი საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მიხედვით, „სამართლის ჟურნალი“, N2, 2009, 23.

[144] საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 2 ნოემბრის გადაწყვეტილება (Nას-759-1085-07).

III თავი. დავალების გარეშე სხვისი საქმეების შესრულება

§ 6. დავალების გარეშე სხვისი საქმეების შესრულების ცნება და ნიშნები

1. მოძღვრება neg. gestio-ს შესახებ

1.1. ზოგადად

კანონისმიერ ვალდებულებათა შესახებ მეორე კარში მეორე თავი ეთმობა დავალების გარეშე სხვისი საქმეების შესრულებას (სსკ-ის 969-975-ე მუხლები). მისი წარმოშობის საფუძველიც, მსგავსად სხვა კანონისმიერი ვალდებულებებისა, არის კანონი, თუმცა მათგან განსხვავდება სპეციფიკური თავისებურებებით.

დავალების გარეშე სხვისი საქმეების შესრულების ინსტიტუტი კლასიკური რომის სამართალში იყო ცნობილი **negotiorum gestio**-ს სახელწოდებით. ის გულისხმობდა პირის მიერ ვალდებულების შესრულებას მხოლოდ მაშინ, თუ ეს გამოწვეული იყო სხვა პირისთვის იმ საფრთხის თავიდან აცილების აუცილებლობით, რომელიც მას მოელოდა. ივარაუდებოდა, რომ მესაკუთრეს ასეთი საფრთხის თავიდან აცილება არ შეეძლო და მისგან არ მომდინარეობდა მის საქმეში გარედან ჩარევის პირდაპირი აკრძალვა. სხვისი საქმის წარმოება ეხებოდა როგორც მატერიალური, ისე სამართლებრივი საკითხების გადაწყვეტას. მაგალითად, სახლის გარემონტება, რაც მიმართულია მისი დანგრევის თავიდან აცილებისკენ. ივიეე ეხება სხვისი ვალის გადახდას იმისათვის, რომ დებიტორს თავიდან აარიდონ პირადი სანქცია. შესაბამისად, დაინტერესებული პირის (მესაკუთრის) პირდაპირი სარჩელით სხვისი საქმეების მწარმოებელი ვალდებული იყო, აენაზღაურებინა მეპატრონისთვის საქმის არასწორი შესრულებით მიყენებული ზიანი, ხოლო შეგებებული სარჩელით დაინტერესებული პირი აანაზღაურებდა მოსარჩელის მიერ მიზანშეწონილად გაწეულ ხარჯებს.[145]

დავალების გარეშე სხვისი საქმეების ინსტიტუტის ფორმირება და ახალი დროის სამართლებრივ სისტემებში შემდგომი განვითარება განაპირობა სამოქალაქო ბრუნვის ინტერესებმა, ადამიანთა შორის ურთიერთდახმარებისა და სოლიდარობის იდეამ, რომელსაც ეფუძნება კიდეც ეს ინსტიტუტი.[146] საბჭოური სამოქალაქო კანონმდებლობა დავალების გარეშე

[145] ო. ოფე, გ. ნადარეიშვილი, რომის სამოქალაქო სამართლის საფუძვლები, თბ., 1994, 190-191.

[146] სოლიდარობასთან დაკავშირებულ მომენტზე იხ. A. Bergmann, Die Geschäftsführung ohne Auftrag als Subordinationsverhältnis, Die Rechtsinstitute der negatiorum gestio in subordinationsrechtlicher Betrachtungsweise, Mohr Siebeck, Tübingen, 2010, 23-26.

სხვისი საქმეების შესრულებას აღიარებდა მხოლოდ კერძო შემთხვევებში, რომლებიც შეეხებოდა ნაპოვარის შენახვის ხარჯების ანაზღაურებისა და სოციალისტური ქონების გადარჩენისას მიყენებული ზიანის ანაზღაურების ვალდებულებებს. სხვისი საქმეების შესრულების ინსტიტუტის ზოგადი ნორმები შედიოდა „სამოქალაქო კანონმდებლობის საფუძვლებში“, რომლებიც 1990 წელს მიიღეს და საქართველოში პრაქტიკულად არ ამოქმედებულა. მოცემული სამოქალაქოსამართლებრივი ურთიერთობის საფუძველი ისაა, რომ პირი (შემსრულებელი, gestor) ასრულებს სხვა პირის (მეპატრონე, dominus) საქმეებს ამ უკანასკნელის დავალების ან სხვაგვარი მითითების გარეშე, ნებაყოფლობით.[147]

დავალების გარეშე სხვისი საქმეების შესრულების ინსტიტუტის განვითარებას ასახავს მის შესახებ არსებული თეორიები, რომლებიც neg. gestio-ს სხვადასხვა სპეციფიკურ ნიშანს განსაზღვრავს. ასევე, საინტერესოა იმის შესწავლა, თუ რომელი თეორია უდევს საფუძვლად თანამედროვე სსკ-ში გათვალისწინებულ დავალების გარეშე სხვისი საქმეების შესრულების ინსტიტუტს. აღნიშნულისთვისაც მნიშვნელოვანია იურიდიულ ლიტერატურაში გავრცელებული ობიექტური, სუბიექტური და შერეული თეორიების მოკლე მიმოხილვა.[148]

1.2. ობიექტური თეორიები

ობიექტური თეორიის მიხედვით, დავალების გარეშე სხვისი საქმეების შესრულება მოიცავს მისი გამოვლენის მხოლოდ ცალკეულ შემთხვევებს, რომელთა იურიდიულ საფუძვლად აღიარებულია თვით საქმის რეალურად არსებული (ობიექტური) მასალა და სხვა რეალური ფაქტები.[149] ამ ობიექტური გარემოებებით გამოირიცხება ურთიერთობის მონაწილე სუბიექტების პიროვნულ-სუბიექტური ფაქტორები. ობიექტურია გამდიდრების, სარგებლიანობისა და საქმეთა აუცილებელი წარმართვის შესახებ თეორიები.

გამდიდრების თეორიაში (XVIII-XIX სს.) დავალების გარეშე სხვისი საქმეების შესრულება ახსნილია კანონიერებისა და საკუთრების დაცვის საფუძვლების მიხედვით. თუ მესაკუთრეს არ აქვს ნივთის სხვის ხელში

---

[147] დავალების გარეშე სხვისი საქმეების შესრულებასთან დაკავშ. იხ. თ. ნინიძე, სსკ-ის კომენტარი, წ. IV, ტ. II, თბ., 2001, 341.

[148] Ю.С. Гамбаров. Добровольная и безвозмездная деятельность в чужом интересе. Выпуск второй. Социологическое основание института neg. gestio. М., 1880, 127-130.

[149] ობიექტური თეორიის სხვადასხვა ასპექტის შესახებ იხ. A. Bergmann, Die Geschäftsführung ohne Auftrag als Subordinationsverhältnis, Die Rechstinstitute der negatiorum gestio in subordinationsrechtlicher Betrachtungsweise, Mohr Siebeck, Tübingen, 2010, 30-34.

გადაცემის განზრახვა, მაშინ როგორც არ უნდა გადაიდეს ნივთი სხვის მფლობელობაში, საკუთრება ნივთზე არ წყდება და მესაკუთრეს შეუძლია ის ნებისმიერი ადგილიდან ამოიღოს, ხოლო მფლობელმა უნდა დაუბრუნოს მესაკუთრეს ნივთი. თუ მფლობელი გასწევს სასარგებლო ხარჯებს მესაკუთრის ნივთის შენახვისა თუ გაუმჯობესებისთვის, მაშინ, საკუთრების კანონის მიხედვით, მას ევალება მეპატრონისთვის ნივთის დაბრუნება. აქ მესაკუთრის მოვალეობაა, ზიანი აანაზღაუროს, წინაალმდეგ შემთხვევაში დომინუსი ჩაითვლება სამართლებრივი საფუძვლის გარეშე გამდიდრებულად. შესაბამისად, neg. gestio-დან წარმოშობილი ურთიერთვალდებულება ეფუძნება სამართლიანობის უზენაეს პრინციპს, არავინ არ გამდიდრდეს სხვა პირის ხელყოფის ხარჯზე ამ პირის თანხმობის გარეშე. თუმცა მოცემულ თეორიას აქვს ხარვეზები: ერთი მხრივ, მოცემული კონცეფციით არაა ახსნილი, თუ რაა სამართლიანობა; მეორე მხრივ, აქ არაა გათვალისწინებული რაიმე სუბიექტური მომენტი, მოტივი და მიზანი, რომლებიც წარმართავს გესტორის მოქმედებას; ამასთან, რომის სამართალში ეს ინსტიტუტი გესტორს ათავისუფლებს პასუხისმგებლობისგან მისი მოქმედებით დამდგარი შემთხვევითი ზიანისთვის, რომელიც მას აძლევს ხარჯების ანაზღაურების მოთხოვნის უფლებას, მიუხედავად მისი მოქმედების შედეგისა. შესაბამისად, აღნიშნულის გამო ამ თეორიის არსს ეწინააღმდეგება ეს დეტალი, რომელიც უბრალო გამდიდრების ფარგლებს სცდება.[150]

სარგებლიანობის შესახებ თეორიის მიხედვით, დავალების გარეშე სხვისი საქმეების შესრულების არსი გამომდინარეობს მატერიალური სარგებლიდან[151], რომელსაც მეპატრონის ქონება იღებს გესტორის მოქმედების შედეგად. ამ გაგებით, მეპატრონემ უნდა აუნაზღაუროს სხვისი საქმეების შემსრულებელს ყველა აუცილებელი და სასარგებლო ხარჯი, თუ ისინი არ ამდიდრებს მას, ასევე, გადაუხადოს მოცემულ ხარჯებზე პროცენტები და გაანთავისუფლოს გესტორი მის მიერ საკუთარ თავზე აღებული ყველა ტვირთისგან, რომელიც მისი საქმის წარმართვიდან გამომდინარეობდა.[152] გესტორი პასუხს აგებს მხოლოდ ბოროტი განზრახვისა და უხეში გაუფრთხილებლობისთვის, როდესაც მან აიღო საკუთარ თავზე საქმე, რომელიც მესაკუთრის ჩარევის გარეშე წარიმართა. გარდა

---

[150] Ю.С. Гамбаров. Добровольная и безвозмездная деятельность в чужом интересе. Выпуск второй. Социологическое основание института neg. gestio. М., 1880, 129-137.

[151] უტილიტარიზმის (სარგებლიანობის) სხვადასხვა სახესთან დაკავშირებით იხ. E. Ruhstrat, Ueber negotiorum gestio, Oldenburg, 1858, 1-7.

[152] Ю.С. Гамбаров. Добровольная и безвозмездная деятельность в чужом интересе. Выпуск второй. Социологическое основание института neg. gestio. М., 1880, 137-138.

ამისა, გესტორი პასუხისმგებელია შემთხვევისთვის (casus), თუ casus-ს წინ უსწრებდა ბრალი (culpa).[153] ამასთან, მოცემულ თეორიასაც აქვს ხარვეზები: ამ კონცეფციაში იგრძნობა შინაგანი წინააღმდეგობა, ვინაიდან ის, ერთი მხრივ, ვარაუდობს neg. gestio-ს ინსტიტუტის საფუძვლად სარგებელს, რომელიც მოუტანა გესტორის მოქმედებამ მეპატრონის ქონებას, თუმცა, მეორე მხრივ, ეს ვალდებულება არსებობს იმ შემთხვევაშიც, როდესაც გესტორის მოქმედებით არა მხოლოდ სარგებელს იღებს მეპატრონე, არამედ უშუალოდ ზიანდება მისი ინტერესები. ამ გაგებით, სარგებელი განისაზღვრება ობიექტური კრიტერიუმით, მიუხედავად იმისა, რომ ის უკავშირდება დაინტერესებულ სუბიექტს. მისთვის შეიძლება ძვირფასი იყოს გარკვეული ნივთი, ვინაიდან ის შესაძლებელია წარმოადგენდეს წყაროს იმ განსაკუთრებული მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად, რომლებიც უკავშირდება ამ პირისთვის მოცემული საგნით ფლობას და არა აქვს რაიმე საერთო გამდიდრებასთან. სარგებლის თეორია ართმევს პირს ამ დაკმაყოფილების საშუალებას და გესტორს აძლევს უფლებას, გადააკეთოს ნივთი რაიმე სარგებლის მისაღებად; ასევე, მოცემულ თეორიაში იგნორირებულია სუბიექტური ელემენტები, რომელთა კონსტატაციაც მოვახდინეთ გამდიდრების შესახებ თეორიაში.

საქმეთა აუცილებელი წარმართვის შესახებ თეორიის თანახმად, დავალების გარეშე სხვისი საქმეების შესრულება არსებობს, თუ მეპატრონისთვის განხორციელებული გესტორის მოქმედება, ერთი მხრივ, არის აუცილებლობით განპირობებული (res necesaria), მეორე მხრივ კი, ემსახურება მეპატრონის ნივთის შენარჩუნებას როგორც ფიზიკურ გაგებით, ისე იურიდიულ თვალსაზრისით, ან ზიანის თავიდან აცილებას (აუცილებელი და რეალური მოქმედება). ამასთან, გესტორის მიერ ხარჯების გაღება უნდა შეესაბამებოდეს მეპატრონის განზრახვასა და ნებას. ამ თეორიის მიხედვით, შემსრულებელი არაა პასუხისმგებელი თავისი მოქმედების შედეგებისთვის, თუ ვერ დადგინდა მისი ბრალეულობა. ასევე, neg. gestio-ს საჭალდებული პირობაა რეალურობა და თუ მეპატრონის სასარგებლოდ განხორციელებული გესტორის მოქმედება ამ წინაპირობას არ აკმაყოფილებს, ის ვერ ჩაითვლება სხვისი ინტერესებისთვის მოქმედ სუბიექტად. თუმცა აქ შეიძლება წარმოიშვას ანაზღაურების მოვალეობა, მაგრამ არა დავალების გარეშე სხვისი საქმეების შესრულების საფუძველზე, არამედ სხვა ინსტიტუტის მოქმედების ფარგლებში: არავინ არ უნდა გამდიდრდეს სხვის ხარჯზე (nemo cum damno alterius locuspletior fieri debet). ამდენად, მოცემულ კონცეფციაში მკვეთრადაა გამიჯნული გამდიდრებისა და სარგებლის მიღების თეორიები ერთმანეთისგან; ამასთან, გათვალისწინებულია დავალების გარეშე სხვისი საქმეების შესრულების

[153] E. Chambon: Die negotiorum gestio, Leipzig, 1848, 105-106.

სუბიექტური მომენტი, რომელიც მეპატრონესა და გესტორს შორის ვალდებულების ერთ-ერთი პირობაა. თუმცა ამ თეორიით არაა დადგენილი, თუ რაა სასარგებლო და აუცილებელი მეპატრონისთვის, რისგანაც მას არც სარგებლის შესახებ თეორია არ იცავდა. ასევე, შეიძლება განხორციელებული საქმე ეწინააღმდეგებოდეს მეპატრონის ნებასა და განზრახვას, მაგრამ მოცემული წინაპირობის რეალურობა ფასდება ობიექტური თვალსაზრისით და არაა დამოკიდებული იმაზე, სუბიექტური თვალსაზრისით რამდენად შეესაბამება ეს მოქმედება მეპატრონის ნებას. აქ მთავარია მოქმედების განხორციელების რეალურობა, ობიექტურობა, რომელიც გამოიხატება არა ფაქტობრივ აუცილებლობაში (res necessaria), არამედ გესტორისთვის ალტრუისტულ ქცევაში.[154]

1.3. სუბიექტური თეორიები

სუბიექტური თეორიების თანახმად, neg. gestio-დან გამომდინარე ვალდებულებისთვის გადამწყვეტია სწორედ მეპატრონის ან გესტორის ნება, ან მათ მიერ დადებული რეალური თუ სავარაუდო შეთანხმება.

მოწონების თეორიის (რეინგარდტი) არსი ისაა, რომ neg. gestio-ს სამართლებრივი ურთიერთობა სხვისი საქმეების წარმმართველ სუბიექტსა და მესაკუთრეს შორის შეიძლება წარმოიშვას, თუ მეპატრონე აღიარებს, რომ ნამდვილად შესრულდა მოქმედება, რომელიც მას ავალდებულებს. ცხადია, მეპატრონეს ყოველთვის შეუძლია თქვას, რომ არ აღიარებს გესტორის მიერ განხორციელებულ საქმეს, მაგრამ, მიუხედავად იმისა, შემსრულებელი მის სასარგებლოდ მოქმედებდა თუ არა, მას მაინც არ აქვს ანაზღაურებაზე უარის თქმის უფლება. ამ თეორიისთვის გადამწყვეტია, მეპატრონემ მოიწონოს, ან აღიაროს გესტორის მიერ მისი საქმის წარმართვა, ხოლო მეორეხარისხოვანია, სხვისი საქმეების შესრულება არის თუ არა აუცილებელი იმ პირისთვის, ვისაც ის ეხება. მოცემული თეორიის წარმომადგენლები, მაგალითად, შემბონი, აღნიშნავდა, რომ neg. gestio-ს საფუძველი არა რეალური, არამედ ე. წ. „ფიქციური (გამოგონილი) მოწონებაა ან მოწონების ფიქციაა".

ნავარაუდევი ანუ პრეზუმირებული დავალების თეორიის (ვინდშეიდი, არნდსი...) მიხედვით, სხვისი საქმე უნდა შესრულდეს მეპატრონის ნების შესაბამისად კეთილსინდისიერად, ანუ ისე, როგორც ამას თვითონ განახორციელებდა, თუ იქ იქნებოდა და გესტორის ხელმყოფი მოქმედების გამომწვევი მიზეზების შესახებ ეცოდინებოდა. მოცემულ შემთხვევაში

[154] იხ. Ю.С. Гамбаров. Добровольная и безвозмездная деятельность в чужом интересе. Выпуск второй. Социологическое основание института neg. gestio. М., 1880, 141-148.

ივარაუდება, რომ არსებობს მეპატრონის სავარაუდო თანხმობა, რომელსაც გესტორის მოქმედება შეესატყვისება.

რაც შეეხება ფიქციური დავალების თეორიას, ამ გაგებით, სამართალი სხვისთვის შესრულებულ მოქმედებას განიხილავს, როგორც დავალების (მანდატის) საგანს ისე, თითქოს მოქმედმა პირმა მიიღო უფლებამოსილება იმისგან, ვისთვისაც ის მოქმედებდა. მოცემული გაგებით, დასახელებულ ადამიანთა შორის ურთიერთობა მატერიალური ხასიათისაა ისევე, როგორც სამანდატო ხელშეკრულების თაობაზე ურთიერთობა. სწორედ ამიტომ მანდატის არარსებობა ქმნის აქ სამართლებრივ ფიქციას. ასევე, ცალკე გამოყოფენ არმყოფი მეპატრონის წარმომადგენლობის თეორიას, რომლის არსი მოიძებნება არმყოფი მეპატრონისთვის სასურველი წარმომადგენლობის გაწევაში.

სუბიექტური თეორიების მთავარი ნაკლი ისაა, რომ მათში neg. gestio-დან წარმოშობილი უფლება-მოვალეობის საფუძველი ახსნილია სუბიექტიდან გამომდინარე. არადა გასათვალისწინებელია ამ ინსტიტუტის საზოგადოებრივი საფუძველი, კერძოდ, ალტრუიზმი, ასევე საზოგადო ინტერესი. ამიტომ სუბიექტური თეორიები ვიწრო ხასიათისაა. ამ თეორიების ხარვეზი ისაა, რომ შესაძლებელია ფიქციების ბოროტად გამოყენება. ასევე, დავალების ფიქციის თეორია ათანაბრებს ამ შემთხვევას დავალებასთან, მიუხედავად მათ შორის არსებული არსისმიერი მახასიათებლების სხვადასხვაობისა. ამავე დროს, აქ ზიანის ანაზღაურება შეიძლება შეეხოს არა მხოლოდ იმ ქმედებას, რომელთა შესრულებისთვის მეპატრონე მისცემდა დავალებას, თუ ის არ იქნებოდა ადგილზე, არამედ ისეთი მოქმედებებისთვის, რომელთან დაკავშირებითაც პირმა უსაფუძვლოდ მიიღო მისი შესრულება.[155]

1.4. შერეული თეორია

შერეული თეორია ფაქტობრივად ობიექტური და სუბიექტური თეორიების ნაზავია. შერეული თეორიებიდან განსაკუთრებული ორიგინალობით საგულისხმოა ლეისტის თეორია. აქ ხაზგასმულია, რომ ცხოვრებისეულ ურთიერთობებში ერთი პირი სხვადასხვა ფორმით ერევა მეორის ქონებრივ სფეროში. სამოქალაქო ბრუნვა ხშირად გვერდს ვერ აუვლის ასეთ ჩარევას და, ნაცვლად იმისა, რომ აკრძალოს ის, პოზიტიურმა სამართალმა უნდა განსაზღვროს, როგორი სამართლებრივი ურთიერთობები წარმოიშობა იმ ადამიანთა შორის მსგავსი ჩარევების დროს. ამ

[155] იხ. Ю.С. Гамбаров. Добровольная и безвозмездная деятельность в чужом интересе. Выпуск второй. Социологическое основание института neg. gestio. М., 1880, 129-130, 149-156.

გაგებით, განასხვავებენ negotia necessaria-ს (საქმეების შესრულება აუცილებლობიდან გამომდინარე), negotia utiles-სა (სასარგებლო მოქმედების განხორციელება) და negotia voluptaria (დაკმაყოფილებისთვის მოქმედება). პირველი მხედველობაში მიიღება ზიანის ასაცილებლად და დომინუსს აქვს უფლება, მოითხოვოს გაწეული დანახარჯების სრული ანაზღაურება. სასარგებლო მოქმედების განხორციელება სარგებლის მიღებას უკავშირდება და შემსრულებელი მიიღებს ანაზღაურებას მხოლოდ მეპატრონის გამდიდრების ინსტიტუტის ფარგლებში. რაც შეეხება მესამეს, ის არც პირველ და არც მეორე მიზანს არ ემსახურება, ეფუძნება მოქმედი პირის თვითნებობას, ხოლო შემსრულებელს არა აქვს რაიმეს უფლება, გარდა ე. წ. „ამოღების“ უფლებისა (jus tollendi-ისა).[156]

ფაქტობრივად შერეული თეორიების ნიშნები გვხვდება კანონმდებლობის დონეზე სსკ-ის 969-ე მუხლში, რომლის თანახმად, პირი (შემსრულებელი), რომელიც დავალების ან სხვა საფუძვლის გარეშე ასრულებს სხვა პირის (მეპატრონის) საქმეებს, ვალდებულია, შეასრულოს ისინი კეთილსინდისიერად.

2. დავალების გარეშე სხვისი საქმეების შესრულების ცნება და სახეები

2.1. ნამდვილი და არანამდვილი დავალების გარეშე სხვისი საქმეების შესრულება

ა. (ნამდვილი) დავალების გარეშე სხვისი საქმეების შესრულება

იურიდიულ მეცნიერებაში განასხვავებენ ნამდვილ და არანამდვილ დავალების გარეშე სხვისი საქმეების შესრულებას. თუ საქმის მწარმოებელი მოქმედებს ზოგადად სხვისი ინტერესისთვის, საქმე ეხება ნამდვილ neg. gestio-ს, რომლის სპეციფიკის დასადგენად აუცილებელია მისი წინაპირობების გაცნობა.[157] თვით ნამდვილი დავალების გარეშე სხვისი საქმეების შესრულება შეიძლება იყოს როგორც მართებული (სსკ-ის 969-973-ე მუხლები), ისე არამართებული (სსკ-ის 974-ე მუხლი).[158]

---

[156] იხ. Ю.С. Гамбаров. Добровольная и безвозмездная деятельность в чужом интересе. Выпуск второй. Социологическое основание института neg. gestio. М., 1880, 129-130, 157-158.

[157] იხ. R. Schröder unter Mitarbeit von J. Thiessen, M. Bedau, A. Holmer, R. Stieglitz, Schuldrecht, Lehrtext und Fälle, Berlin, 2002, 108.

[158] R. Schmidt, Schuldrecht Besonderer Teil II, Gesetzliche Schuldverhältnisse, 4. Aufl., Grasberg bei Bremsen, 2006, 15, 17; Chr. Förster, Schuldrecht, Besonderer Teil, Eine Einführung mit Fällen, Heidelberg, München, Landsberg, Frechen, Hamburg, 2012, 220.

(ნამდვილი) დავალების გარეშე სხვისი საქმეების შესრულების მომწესრიგებელი ნორმების გამოსაყენებლად, სსკ-ის 969-ე და 973-ე მუხლების მიხედვით, უნდა შემოწმდეს შემდეგი წინაპირობები: ა) სხვისი საქმე; ბ) საქმეების შესრულება; გ) დავალების ან სხვაგვარი უფლებამოსილების არარსებობა; დ) სხვის სასარგებლოდ საქმეების კეთილსინდისიერად შესრულების ნება. დავალების გარეშე სხვისი საქმეების შესრულების არსებობისათვის უმნიშვნელოა, ცნობილია თუ არა შემსრულებლისთვის ამ დაინტერესებული პირის ვინაობა, ან იგი ცდება თუ არა მასში. ამასთან, მსგავსად დავალებისა, სხვისი საქმეების წარმოება უნდა იყოს ფართოდ განხილული; იგი მოიცავს სხვა პირისთვის სასარგებლო ნებისმიერ მოქმედებას, რომელიც მიმართულია როგორც გარიგების დადებისკენ, ისე სხვა მიზნისკენ, იმ შემთხვევაშიც, როდესაც იგი გრძელდება მცირე ხანს. მაგალითად, საჭის სწრაფად მოტრიალება ქუჩაში მოთამაშე ბავშვისთვის ზიანის მიყენების თავიდან ასაცილებლად.[159] შესაბამისად, აღნიშნული ვალდებულება შეიძლება მოიცავდეს ფაქტობრივი მოქმედებების განხორციელებასაც. მაგალითად, ეს შეიძლება შეეხოს ავადმყოფისთვის ექიმის გამოძახებას.

ა.ა. საქმე

ცნება „საქმე“ ფართოდ გაიგება და მოიცავს ნებისმიერი სახის მოქმედებას, რომელსაც შემსრულებელი ახორციელებს მეპატრონისთვის. შესაბამისად, საქმეებში მოიაზრება შემსრულებლის მიერ როგორც ფაქტობრივი (მაგალითად, სხვისი სახლის შეკეთება), ისე იურიდიული აქტების განხორციელება (მეპატრონის ინტერესებისთვის გარიგების დადება). ამასთან, ამ აქტების შემსრულებელი განსაზღვრულ სამართლებრივ მოთხოვნილებებს უნდა აკმაყოფილებდეს, თუმცა მოცემულ შემთხვევაში ფაქტობრივი მოქმედებები განიხილება საქმედ, ვინაიდან ის შეიძლება ქმედუუნარო პირმაც განახორციელოს.[160]

---

[159] ი. კროპჰოლერი, გსკ – სასწავლო კომენტარი, გადაამუშავეს ფ. იაკობმა და მ. ფონ პინდუმა, მე-13 გადამუშავებ. გამოცემა, თარგმნეს თ. დარჯანიამ და ზ. ჭეჭელაშვილმა, თბ., 2014, 532-533, 535; დავალების გარეშე სხვისი საქმეების შესრულების წინაპირობებთან დაკავშ. ასევე იხ. F. K. von Savigny, Pandektenvorlesung, Bd. I, Hrsg. von H. Hammen, Frankfurt am Main, Kostermann, 1993, 348; Chr. Förster, Schuldrecht, Besonderer Teil, Eine Einführung mit Fällen, Heidelberg, München, Landsberg, Frechen, Hamburg, 2012, 220-222.

[160] იხ. თ. ნინიძე, სსკ-ის კომენტარი, წ. IV, ტ. II, თბ., 2001, 342; ასევე იხ. H. Dörner, Schuldrecht 2, Gesetzliche Schuldverhältnisse, 5., völlig neubearbeitete und erweiterte Auflage, Fälle und Lösungen nach höchstrichterlichen Entscheidungen, Heidelberg, 2002, 4; იხ. A. Bergmann, Die Geschäftsführung ohne Auftrag als Subordinationsverhältnis, Die Rechstinstitute der negationum gestio in subordinationsrechtlicher Betrachtungsweise, Mohr Siebeck, Tübingen, 2010, 111; Гражданское право: В 4 т. Том 4: Обязательственное право. 3-е издание. Под ред. Е. А. Суханова. М., 2006, 303, 598-600, <http://lib. lunn.ru/KP/Sovremenniki/sukhanov4.pdf> [23.02.2014].

ა.ბ. სხვისი საქმეების შესრულება

დავალების გარეშე სხვისი საქმეების შესრულების მომწესრიგებელი ნორმების გამოსაყენებლად უნდა დადგინდეს, საქმე არის თუ არა სხვისი. სხვისია საქმე, რომელიც ობიექტურად სხვა პირის მოვალეობათა და ინტერესთა სფეროს განეკუთვნება. სსკ-ის 969-ე მუხლის გაგებით, სხვისი საქმე არსებობს მაშინაც, როდესაც შემსრულებელი საქმის შესრულებით მისდევს არა მხოლოდ საკუთარ, არამედ (ასევე) სხვა პირის ინტერესებს (ე. წ. „სხვისი საქმე").[161] აქ განასხვავებენ ობიექტური და სუბიექტური თვალსაზრისით სხვის საქმეებს. პირველში მოიაზრება ისეთი მოქმედება, რომელიც უკვე თავისი ბუნებითა თუ გარეგნულად გამოხატული ფორმით შედის სხვის უფლებათა და ინტერესთა სფეროში, მაგალითად, დახმარების გაწევა, საფრთხის თავიდან აცილება. ამ შემთხვევაში ივარაუდება სხვისი საქმეების შემსრულებლის ნება. რაც შეეხება სუბიექტურ მიდგომას, აქ ობიექტურად საკუთარი ან ნეიტრალური საქმეები ხორციელდება სხვა პირისთვის მხოლოდ გარეგნულად შესამჩნევი მოქმედების შედეგად, თუმცა შემსრულებლის ნება არ ივარაუდება. ცალკე გამოყოფენ „ასევე-სხვის" საქმეებს, რომლებიც გარეგნულად სასარგებლოა არა მხოლოდ შემსრულებლისთვის, არამედ მესამე პირისთვისაც, და რომელთა შემთხვევაშიც კლავ მოიაზრება სხვისი საქმეების ერთდროულად შესრულების ნება. მაგალითად, სასამართლო პრაქტიკის თანახმად, მუნიციპალური სახანძრო სამსახურის მეშვეობით ხანძრის ჩაქრობა ჩაითვლება დავალების გარეშე სხვისი საქმეების შესრულებად. ასევე, პოლიციის დავალების საფუძველზე მოქმედი კერძო მეწარმის მიერ წესების დარღვევით გაჩერებული ავტომანქანის გადაყვანა საჯარიმო ავტოსადგომზე ავტომანქანის მფლობელის მიმართ შეიძლება განიხილებოდეს დავალების გარეშე სხვისი საქმეების შესრულებად.[162]

მაგალითი: ა წავიდა შეებულებაში. მისი წასვლიდან მესამე დღეს მეზობელმა ნ-მ ნახა, როგორ ჩაედინება ა-ს ბინიდან კარის გავლით წყალი პირველ სართულზე. ნ-მ გამოიძახა სანტექნიკოსი და ზეინკალი, რათა ა-ს ბინაში წყლის მილის საავარიდო დაზიანება აღმოეფხვრა (გაერემონტებინა). სსკ-ის 969-ე მუხლის გაგებით, ეს შემთხვევა სწორედ სხვისი საქმე-

[161] იხ. F. Hofmann, BGB, Schuldrecht BT 2, Gesetzliche Schuldverhältnisse, 2. Aufl., Freiburg, 2012, 3; დავალების გარეშე სხვისი საქმეების შესრულებასთან დაკავშ. იხ. ს. ბერიანიძე, დავალების გარეშე სხვისი საქმეების შესრულების მნიშვნელობა და ძირითადი მახასიათებლები, ჟურნ. „ახალგაზრდა ადვოკატები", N1, 2014, 45.

[162] ი. კროპჰოლერი, გსკ – სასწავლო კომენტარი, გადაამუშავეს ფ. იაკობმა და მ. ფონ ჰინდენმა, მე-13 გადამუშავებ. გამოცემა, თარგმნეს თ. დარჯანიამ და ზ. ჭეჭელაშვილმა, თბ., 2014, 534, 535-536.

ბის უნებართვოდ შესრულებაა. ამასთან, ცხადია, მეზობელსაც სურს, რომ თავიდან აიცილოს თავისი ბინის დაზიანება წყლის მილის გახეთქვისგან.[163]

ასევე, neg. gestio-ს შესახებ ნორმების გამოყენებისთვის აუცილებელია, რომ სხვისი საქმეები წარიმართოს ნებაყოფლობით და გაცნობიერებულად.[164] ესე იგი, გესტორმა საქმე უნდა შეასრულოს საკუთარი ნებით, რის გამოც სხვისი საქმეების შესრულება შეიძლება მხოლოდ იქ არსებობდეს, სადაც პირი მოქმედებს ნებაყოფლობით. შესაბამისად, გარკვეულ შემთხვევებში არ შეიძლება ასეთი დავალების გარეშე სხვისი საქმეების შესრულება არსებობდეს. მაგალითად, როცა არასრულწლოვანი აიღებს სხვისი საქმეების შესრულებას საკუთარ თავზე, სხვას წარმოეშობა მოვალეობა მხოლოდ მაშინ, თუ ის გულისხმიერად მოქმედებდა; ამასთან, თუ დავალების გარეშე სხვისი საქმეების შესრულებისას მან ზარალი გაიღო, მაშინ შესრულებელს შეუძლია, მეპატრონისგან ზიანის ანაზღაურება მოითხოვოს.[165]

ამდენად, პირი უნდა მოქმედებდეს „სხვისი ინტერესებიდან გამომდინარე" გაცნობიერებულად. მართალია, აქ სხვის ინტერესს უპირისპირდება საკუთარი ინტერესი,[166] მაგრამ მოცემული ინსტიტუტის მიზნებისთვის აუცილებელია, გესტორის მოქმედება შეესაბამებოდეს დომინუსის ინტერესებს;[167] სწორედ ამიტომაა, რომ დავალების შემსრულებელმა უნდა იმოქმედოს მეპატრონის ინტერესებისა და მისი ნამდვილი ან სავარაუდო ნების შესაბამისად.[168]

საგულისხმოა, რომ მესაკუთრის ინტერესი განისაზღვრება ობიექტური კრიტერიუმის მიხედვით, რომელიც უნდა შეაფასოს გონიერმა (საშუალო) მესამე პირმა ცალკეული შემთხვევის თითოეული გარემოების გათვალისწინებით. მაგალითად, მეპატრონის ობიექტურ ინტერესად მოიაზრე-

[163] იხ. F. Hofmann, BGB, Schuldrecht BT 2, Gesetzliche Schuldverhältnisse, 2. Aufl., Freiburg, 2012, 2-3.

[164] E. Chambon: Die negotiorum gestio, Leipzig, 1848, 2.

[165] F. K. von Savigny, Pandektenvorlesung, Bd. I, Hrsg. von H. Hammen, Frankfurt am Main, Kostermann, 1993, 348.

[166] А. О. Гордон, Представительство в гражданском праве, СПб., 1879, 156, http://uristinfo.net/dogovornoe-pravo/95-dogovornoe-o-vypolnenii-rabot-i-okazanii-uslug/2320-glava-9-dejstvija-v-chuzhom-interese-bez-poruchenija.html?start=2

[167] В. А. Дождев, Римское частное право. М., 1997, 545, http://uristinfo.net/dogovornoe-pravo/95-dogovornoe-o-vypolnenii-rabot-i-okazanii-uslug/2320-glava-9-dejstvija-v-chuzhom-interese-bez-poruchenija.html?start=2

[168] იხ. F. Hofmann, BGB, Schuldrecht BT 2, Gesetzliche Schuldverhältnisse, 2. Aufl., Freiburg, 2012, 3; დავალების გარეშე სხვისი საქმეების შესრულების ძირითადი წინაპირობების (ა. სხვისი საქმეების შესრულება, ბ. საქმეების დავალების გარეშე განხორციელება, გ. მეპატრონის ინტერესისთვის საქმის წარმართვა) შესახებ იხ. H. Dernburg, System der Römischen Rechts, Der Pandekten, achte, umgearbeitete Auflage, bearbeitet von P. Sokolowski, Zweiter Teil, Berlin, 1912, 806-807; ასევე იხ. V. Emmerich, BGB – Schuldrecht, Besonderer Teil, 13. Auflage, Heidelberg, München, Landsberg, Frechen, Hamburg, 2012, 175-178.

ბა ის, რომ მისი სიცოცხლე ან საკუთრება ზიანის მიყენებისგან გადარჩენილი იყოს. ამასთან, აქ ერთმანეთს ნათლად უპირისპირდება ორი ინტერესი: ერთი მხრივ, პირის მოთხოვნაა, საკუთარი საქმე განახორციელოს დამოუკიდებლად, სხვისი ჩარევის გარეშე, ხოლო, მეორე მხრივ, განსაზღვრულ შემთხვევებში სასურველი და გამართლებულია დახმარების მიზნით გარედან ჩარევაც. საბოლოო ჯამში საქმის წარმართვა უკავშირდება ხარჯებისა და ზარალის რისკის არა საკუთარ თავზე აღებას, არამედ მეპატრონისთვის სასურველ მოქმედებას და მის მიერ ამ ხარჯების ანაზღაურებას.

მაგალითი: მიწის ნაკვეთის მესაკუთრეს (მ-ს) სურს, ზოგადად თვითონ გადაწყვიტოს, თუ ვის მიჰყიდოს ან იჯარით გადასცეს მიწის ნაკვეთი. ცხადია, შესაბამისი დავალების (უფლებამოსილების) გარეშე მესამე პირი ვერ მიჰყიდის ან იჯარით ვერ გადასცემს სხვას ამ მიწის ნაკვეთს. თუმცა, თუ მ-ს სახლს ცეცხლი წაეკიდება, მისი ნების შესატყვისი იქნება ვინმეს მიერ ცეცხლის ჩაქრობა. ამ სახის საგანგებო სიტუაციებში უცხო პირის მიერ მესაკუთრის ქონებრივ სფეროში ჩარევა განიხილება სასურველ (გამართლებულ) ჩარევად.

მართალია, აქ ხაზგასმულია ორი ინტერესის ჭიდილი, მაგრამ სსკ-ის 969-ე მუხლში მცდელობაა, სამართლიანი ბალანსი მოიძებნოს ამ განსხვავებული ინტერესების არსებობისას.[169] შესაბამისად, აღიარებულია მოწონების თეორიის გარკვეული ნიშნები და კიდევ უფრო მეტად მოცემულ ინსტიტუტში ჩანს სავარაუდო (პრეზუმირებული) თეორიის საწყისებიც, რითაც კანონმდებელი, გარდა ობიექტური თეორიებისა, ითვალისწინებს სუბიექტურ თეორიებსაც.

ასევე, საგულისხმოა, რომ სხვისი ინტერესი არ უნდა ეწინააღმდეგებოდეს კანონის მოთხოვნებს, ანუ გესტორის მოქმედება უნდა შეესაბამებოდეს მეპატრონის მართლზომიერ ინტერესებს. აქ „მართლზომიერი ინტერესების“ ორი სახე გამოიყოფა: ა) ისეთი, რომელიც პიროვნებას ზიანს აყენებს, ბ) ან კიდევ ინტერესი, რომელიც სხვის ქონებას ხელყოფს, ასევე, მისი ვალდებულების შესრულებას საფრთხეს უქმნის. თუ მანამდე შეიძლებოდა ზიანი მიდგომოდა ქონებას და მოთხოვნაც მხოლოდ ამის გამო წარმოშობილიყო, დღესდღეობით გაფართოვდა მისი გამოყენების სფერო და გავრცელდა სხვა პირის ჯანმრთელობასა და სიცოცხლეზეც.[170]

---

[169] იხ. D. Looschelders, Schuldrecht Besonderer Teil, 2., neu bearbeitete Auflage, München, 2008, 260-261, 263.

[170] იხ. И. Б. Новицкий. Солидарность интересов в советском гражданском праве. М., 1951, 80: Л. А. Майданик, Н. Ю. Сергеева, Материальная ответственность за повреждение здоровья. М., 1953, 43: В. Г. Вердников, А. Ю. Кабалкин, Возмещение вреда, понесенного при спасании социалистической собственности. М., 1963, 38 და შემდგომი. http://uristinfo.net/dogovornoe-pravo/95-dogovornoe-o-vypolnenii-rabot-i-okazanii-uslug/2320-glava-9-dejstvija-v-chuzhom-interese-bez-poruchenija.html?start=2

ამდენად, განსახილველი ინსტიტუტით უზრუნველყოფილია მესაკუთრის ინტერესები, ვინაიდან სხვისი საქმეების შემსრულებელი მოქმედებს იმისთვის, ვისი საქმეც დასაცავია. ასევე, გარკვეულ შემთხვევაში შეიძლება ვითარება მოითხოვდეს დომინუსის მიერ უნებართვოდ სხვის სამართლებრივ ან კერძო სფეროში შეჭრას, თუმცა განხორციელებული ჩარევა მესაკუთრისთვის გარკვეულწილად იყოს (1) სასურველი და, შესაბამისად, გამართლებულიც (ზიანის თავიდან აცილების გამო). მაგალითად, ა-მ საკუთარი მეზობლის (ნ-ს) არყოფნისას აღმოაჩინა, რომ ქარიშხალმა ნ-ს სახლში ფანჯრები ჩაამსხვრია. ა-მ თერმოიზოლაცია გააკეთა, რათა სახლში არ დაეზიანებინა ნივთები.

ამასთან, შესაძლებელია სხვის საქმეში ჩარევა იყოს (2) არასასურველიც. მაგალითად, ა გაბრაზდა საკუთარი მეზობლის (ნ-ის) აზრზე, რომ მას ლამაზ ბაღთან დაკავშირებით დაეცვა ა-ს ინტერესები. ვიდრე ნ შვებულებაში იმყოფებოდა, ა-მ ისარგებლა შესაძლებლობით, რომ ნ-ს ბაღში „ნამდვილი წესრიგი" დაემყარებინა, რაც არ იქნებოდა მესაკუთრის ნების შესატყვისი. მნიშვნელოვანია, შემსრულებლის მოქმედება შეესაბამებოდეს მეპატრონის ნებას თუ ინტერესებს და ის აუცილებლობით იყოს ნაკარნახევი, რათა ასეთი მოქმედება განიხილებოდეს დავალების გარეშე სხვისი საქმეების შესრულების ფარგლებში.[171]

ამდენად, შემსრულებლის მოქმედება არ უნდა იყოს მეპატრონისთვის თავს მოხვეული; კანონმდებელმა ამით აღიარა საქმეთა აუცილებელი წარმართვის თეორია, რომელიც ობიექტური თეორიაა და სსკ-ის 974-ე მუხლის 1-ლი ნაწილით განსაზღვრა, რომ შემსრულებელს არ შეუძლია, მოითხოვოს გაწეული ხარჯების ანაზღაურება, თუ მის მიერ საქმეთა შესრულება ეწინააღმდეგება მეპატრონის ნებას, ან არ შეესაბამება მის ინტერესებს. თუ შემსრულებელს შეეძლო სცოდნოდა ამის შესახებ, მაშინ მას დაევალება შესრულებით გამოწვეული ზიანის ანაზღაურება. ამასთან, ხაზგასმულია, რომ შემსრულებლის მოქმედება უნდა იყოს არა მარტო აუცილებელი, არამედ სასარგებლო.[172] ასევე, ნამდვილი დავალების გარეშე სხვისი საქმეების შესრულების ფარგლებში (სსკ-ის 973-ე მუხლი) შემსრულებელს უფლება აქვს, მოითხოვოს გაწეული ხარჯების ანაზღაურება, რომლებიც, საქმის გარემოებებიდან გამომდინარე, აუცილებლად იქნა მიჩნეული. ეს გარემოებები ცხადყოფს, რომ დავალების გარეშე სხვისი საქმეების შესრულება ეფუძნება შერეულ თეორიას.

---

[171] იხ. R. Schröder unter Mitarbeit von J. Thiessen, M. Bedau, A. Holmer, R. Stieglitz, Schuldrecht, Lehrtext und Fälle, Berlin, 2002, 108-109.

[172] neg. gestio-ს ერთ-ერთი ნიშნის - სხვის სასარგებლოდ მოქმედების - შესახებ იხ. F. Loyal, Die "entgeltliche" Geschäftsführung ohne Auftrag, Mohr Siebeck, Tübingen, 2011, 79.

ა.გ. სხვისი საქმეების კეთილსინდისიერად შესრულების ნება

კანონმდებელმა განსაზღვრა, რომ გესტორი უნდა მოქმედებდეს სათანადო მზრუნველობითა და ყურადღებიანობით, რომლებიც აუცილებელია საქმის გარემოებათა მიხედვით. ამ მოვლენის ასახსნელად გამოიყენება ტერმინი „აუცილებელი მზრუნველობა". ამდენად, გესტორმა სხვისი ინტერესებისთვის უნდა იმოქმედოს ისე, როგორც იმოქმედებდა, ან უნდა ემოქმედა დაინტერესებულ პირს, ან უკიდურეს შემთხვევაში სამოქალაქოსამართლებრივი ურთიერთობების მზრუნველ და გონიერ მონაწილეს.[173]

ა.დ. დავალების გარეშე საქმის შესრულება

სხვისი საქმეების უნებართვოდ შესრულების შესახებ ნორმების გამოსაყენებლად აუცილებელია, რომ შემსრულებელმა საქმე შეასრულოს წინასწარგაცემული მანდატის გარეშე,[174] ანუ დავალების ან სხვა უფლებამოსილების, კერძოდ, სახელშეკრულებო და კანონისმიერი საფუძვლების გარეშე. თუ ურთიერთობა წარმოიშვა დავალების ან მსგავსი უფლებამოსილების მიცემის საფუძველზე, შემსრულებელს შეუძლია, მოითხოვოს ზიანის თუ ხარჯების ანაზღაურება ხელშეკრულებიდან ან კანონიდან გამომდინარე, თუმცა ვინაიდან შემსრულებელს ნებართვა მიღებული აქვს, ამ შემთხვევაში არ გამოიყენება ამ თავის (neg. gestio-ს) წესები.[175] თუმცა, „დავალების ან სხვა უფლებამოსილების გარეშე" სხვისი საქმის შესრულების შესახებ ნორმები ვრცელდება შემთხვევაზე, როცა პირი მოქმედებს სხვისი ინტერესებისთვის სახელშეკრულებო ან კანონისმიერი საფუძვლის გარეშე, ეს წესები გამოიყენება მაშინაც, როდესაც სხვათა ინტერესების დაცვა არაა დარეგულირებული არც ხელშეკრულებით და არც კანონით და არც სსკ-ის 969-ე მუხლით გათვალისწინებული მოწესრიგებისგან განსხვავებული წესით. შესაბამისად, სხვისი საქმეების დავალების გარეშე შესრულება ატარებს სუბსიდიურ ხასიათს, ვინაიდან ის მოქმედებს მანამ, ვიდრე ხელშეკრულება ან კანონი, როგორც სპეციალური წესი, სხვა (განსხვავებულ) რეგულირებას არ ადგენს.[176]

---

[173] Е. А. Суханов. Действия в чужом интересе без поручения (глава 50). Гражданский кодекс Российской Федерации. Часть вторая. Текст. Комментарий. Алфавитно-предметный указатель. М.. 1996, 514, http://uristinfo.net/dogovornoe-pravo/95-dogovornoe-o-vypolnenii-rabot-i-okazanii-uslug/2320-glava-9-dejstvija-v-chuzhom-interese-bez-poruchenija.html?start=2

[174] იხ. F. K. von Savigny, Pandektenvorlesung, Bd. I, Hrsg. von H. Hammen, Frankfurt am Main, Kostermann, 1993, 348.

[175] R. Schröder unter Mitarbeit von J. Thiessen, M. Bedau, A. Holmer, R. Stieglitz, Schuldrecht, Lehrtext und Fälle, Berlin, 2002, 111.

[176] A. Bergmann, Die Geschäftsführung ohne Auftrag als Subordinationsverhältnis, Die Rechstinstitute der negatiorum gestio in subordinationsrechtlicher Betrachtungsweise, Mohr Siebeck, Tübingen, 2010,169.

ამდენად, სხვისი საქმეების დავალების ან სხვა საფუძვლის გარეშე შესრულება გულისხმობს შემსრულებლის მიერ სხვისი საქმეების ისე წარმართვასა და სხვის ქონებრივ სფეროში ჩარევას, რომ საამისოდ არც მოვალეობა აკისრია და არც უფლებამოსილება აქვს. ჩვეულებრივ პირობებში ასეთ პირს არ უნდა ხელეწიფებოდეს სხვისი საქმეების შესრულება, მაგრამ კანონი მსგავს ჩარევებს აღიარებს მხოლოდ მაშინ, თუ ის შეესაბამება მეპატრონის ინტერესებს და საქმე განხორციელდა შემსრულებლის კეთილი ნებით.[177]

ამასთან, როგორც აღინიშნა, ნამდვილი დავალების გარეშე სხვისი საქმეების შესრულება, გარდა მართებულისა (სსკ-ის 969-973-ე მუხლები), შეიძლება იყოს არამართებული ხასიათის (სსკ-ის 974-ე მუხლი). არამართებული ხასიათის ნამდვილი დავალების გარეშე სხვისი საქმეების შესრულება იმით განსხვავდება მართებულისგან, რომ სხვისი საქმეების წარმართვა ეწინააღმდეგება მეპატრონის ნებას, ან არ შეესაბამება მის ინტერესებს, რის გამოც შემსრულებელს არ აქვს უფლება, მოითხოვოს გაწეული ხარჯების ანაზღაურება. თუ შემსრულებელს შეეძლო სცოდნოდა ამის შესახებ, მაშინ მას ევალება, აანაზღაუროს შესრულებით გამოწვეული ზიანი (სსკ-ის 974-ე მუხლის 1-ლი ნაწილი). ამ (არამართებული) დავალების გარეშე სხვისი საქმეების შესრულების შედეგებია ის, რომ წარმოიშობა უსაფუძვლო გამდიდრებიდან (სსკ-ის 976-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „ა" პუნქტი), უნებართვო მოქმედებებისა (სსკ-ის 992-ე მუხლი) და მესაკუთრესა და მფლობელს შორის არსებული ურთიერთობებიდან მოთხოვნები (სსკ-ის 163-ე მუხლის 1-ლი ნაწილი, 164-ე მუხლი). ამასთან, თუ დავალების გარეშე სხვისი საქმეების შესრულებისას საქმის გარემოებებიდან გამომდინარე არ იქნება აუცილებელი ხარჯები გაწეული და სხვისი საქმეების წარმართვა არ შეესაბამება არც მეპატრონის ნებას ან (ობიექტურ) ინტერესს (სსკ-ის 973–974-ე მუხლები), მაშინ საქმის შემსრულებელი მოქმედებს არა მართებულად, არამედ არამართლზომიერად. თუ შემსრულებელს შეეძლო სცოდნოდა ამის შესახებ, მაშინ მას ევალება შესრულებით გამოწვეული ზიანის ანაზღაურება. თუმცა ეს წესი არ მოქმედებს მაშინ, როცა მეპატრონის ნება ეწინააღმდეგება კანონის ნორმებს (სსკ-ის 974-ე მუხლის მე-2 ნაწილი).[178]

---

[177] დავალების გარეშე სხვისი საქმეების შესრულების შესახებ იხ. თ. ნინიძე, სსკ-ის კომენტარი, წ. IV, ტ. II, თბ., 2001, 342.

[178] იხ. R. Schmidt, Schuldrecht Besonderer Teil II, Gesetzliche Schuldverhältnisse, 4. Aufl., Grasberg bei Bremsen, 2006, 15-17, 43.

ბ. არანამდვილი დავალების გარეშე სხვისი საქმეების შესრულება


როგორც აღინიშნა, ცალკე შეიძლება გამოიყოს არანამდვილი დავალების გარეშე სხვისი საქმეების შესრულება, რომელიც ასახულია სსკ-ის 975-ე მუხლში. ამ ნორმის თანახმად, თუ პირი ასრულებს საქმეს იმ ვარაუდით, რომ ეს მისი საქმე იყო, მაშინ არ გამოიყენება დავალების გარეშე სხვისი საქმეების შესრულების თავით დადგენილი წესები (საკუთარი საქმის შესრულების ვარაუდი). არანამდვილი დავალების გარეშე სხვისი საქმეების შესრულება, გერმანიის სამოქალაქო სჯულდების (შემდგომში – გსკ-ის) მიხედვით, ხორციელდება შეცდომით ან განზრახ (687-ე მუხლის 1-ლი და მე-2 ნაწილები). გსკ-ის მხოლოდ 687-ე მუხლის 1-ლ ნაწილს აქვს სსკ-ში ანალოგი 975-ე მუხლის სახით, რომლის გამოყენების წინაპირობებია სხვისი საქმისა და შეცდომით საკუთარი საქმის შესრულების ნების არსებობა. რაც შეეხება არანამდვილი დავალების გარეშე სხვისი საქმეების შესრულების მეორე სახეს, აქ, ნაცვლად შეცდომისა, გამოიყოფა განზრახ საკუთარი საქმის შესრულების ნება. შესაბამისად, დავალების გარეშე სხვისი საქმეების შესრულების გამორიცხვას შეიძლება მოჰყვეს სხვა ვალდებულებების წარმოშობა იმის მიხედვით, ვინმე გამდიდრდა სხვის ხარჯზე თუ ხელმყოფმა ბრალეულად მიაყენა პირს ზიანი, რამაც საბოლოო ჯამში შეიძლება თანაბარწილად წარმოშვას უსაფუძვლო გამდიდრებიდან გამომდინარე ან დელიქტური ვალდებულებები.[179] „არანამდვილი“ დავალების გარეშე სხვისი საქმეების შესრულება განიხილება სხვის სამართლებრივ სფეროში დაუშვებელ ჩარევად. ამიტომ დავალების გარეშე სხვისი საქმეების შესრულება მჭიდროდ უკავშირდება უსაფუძვლო გამდიდრებასა და დელიქტურ სამართალს.[180]

ქვემოთ მოცემულია დავალების გარეშე სხვისი საქმეების თავისებურებები სახეების მიხედვით:

---

[179] იხ. R. Schröder unter Mitarbeit von J. Thiessen, M. Bedau, A. Holmer, R. Stieglitz, Schuldrecht, Lehrtext und Fälle, Berlin, 2002, 109, 117-119.

[180] M. Staake, Gesetzliche Schuldverhältnisse, Berlin, Heidelberg, 2014, 6.



3. დავალების გარეშე სხვისი საქმეების შესრულება და მომიჯნავე ინსტიტუტები

3.1. დავალების გარეშე სხვისი საქმეების შესრულება და დავალება

როგორც აღინიშნა, დავალების გარეშე სხვისი საქმეების შესრულებაში მოიაზრება შემსრულებლის მიერ სხვისი საქმეების ისე წარმართვა, რომ მას საამისოდ არც მოვალეობა და არც უფლებამოსილება ჰქონდეს. ასევე, ამ შემთხვევაში შემსრულებელი უნდა მოქმედებდეს რწმენით, რომ ის ასრულებდა სხვის (და არა თავის) საქმეს, რაც, სსკ-ის 975-ე მუხლის თანახმად, გულისხმობს საბოლოო ჯამში სსკ-ის 969-974-ე მუხლებით სარგებლობას. წინააღმდეგ შემთხვევაში, თუ შემსრულებელს ჰგონია, რომ თავის საქმეს ასრულებდა, გამორიცხება დავალების გარეშე სხვისი საქმეების შესრულების მომწესრიგებელი ნორმების გამოყენება.[181]

შესაბამისად, ცხადია, დავალების გარეშე სხვისი საქმეების შესრულება ახლოს დგას ისეთ ვალდებულებასთან, რომელიც უფლებამოსილების გადაცემას გულისხმობს. ამიტომ მიზანშეწონილია, მოკლედ დადგინდეს, თუ რა მიმართება არსებობს სხვისი საქმეების დავალების გარეშე წარმოებასა და დავალებას შორის.[182] უპირველეს ყოვლისა, ისინი გარკვეუ-

[181] საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2011 წლის 4 ოქტომბრის გადაწყვეტილება (№ას-649-610-2011).

[182] იხ. F. K. von Savigny, Pandektenvorlesung, Bd. 1, Hrsg. von H. Hammen, Frankfurt am Main, Kostermann, 1993, 348.

ლი კრიტერიუმებით ემსგავსება კიდეც ერთმანეთს. უფლებრივი მდგომარეობის მიხედვით, სხვისი საქმეების შემსრულებელი უთანაბრდება დავალების ხელშეკრულებაში მოქმედ რწმუნებულს: ა) საქმეების ჯეროვანი შესრულების ვალდებულება წარმოდგენილია სსკ-ის 969-ე მუხლში, ხოლო ზიანის მიყენებისას ანაზღაურების ვალდებულებას ეხება სსკ-ის 394-ე მუხლის 1-ლი ნაწილი; ბ) საქმის შესრულების შესახებ დროული შეტყობინების ვალდებულება, მიღებულის დაბრუნება და სხვა ასპექტები გათვალისწინებულია როგორც სსკ-ის 971-ე მუხლის 1-ლ და მე-2 წინადადებებში, ისე სსკ-ის 713-ე მუხლის 1-ლ ნაწილში 715-ე მუხლის მე-2 ნაწილთან ერთად; გ) გაწეული ხარჯების ანაზღაურების უფლება დაცულია, ერთი მხრივ, დავალების გარეშე სხვისი საქმეების შესრულების შესახებ სსკ-ის 971-ე მუხლის 1-ლი წინადადებით, ხოლო, მეორე მხრივ, დავალების ხელშეკრულების სსკ-ის 717-ე მუხლის 1-ლი ნაწილით.[183]

მიუხედავად ამ ორ ინსტიტუტს შორის მსგავსებისა, დავალების გარეშე სხვისი საქმეების შესრულება, ამავე დროს, განსხვავდება დავალებისგან: ა) სხვისი საქმეების შესრულება ხორციელდება განსაკუთრებული დავალების გარეშე, ხოლო დავალების დროს მოქმედების განხორციელების საფუძველია დავალების ხელშეკრულებით განსაზღვრული უფლებამოსილების არსებობა;[184] ბ) წარმომადგენლობის დროს წარმომადგენელი იურიდიულ მოქმედებას ასრულებს პრინციპალის თანხმობით და სახელით, neg. gestio-ს ვალდებულების შემთხვევაში კი გესტორი ფაქტობრივ და იურიდიულ აქტებს ახორციელებს მეპატრონის ინტერესებისთვის საკუთარი სახელით; გ) ამასთან, დავალების ხელშეკრულების მიხედვით, რწმუნებული მოქმედებს საკუთარი სახელით, მაგრამ მარწმუნებლის დავალებით მინიჭებული უფლებამოსილებით. რაც შეეხება შემსრულებლის მდგომარეობას, ის მხოლოდ მას შემდეგ დაემთხვევა რწმუნებულისას მდგომარეობას, რაც მეპატრონე გაიგებს და მოიწონებს შემსრულებლის დაწყებულ საქმეს. ამასთან, შეიძლება რწმუნებულის მოქმედება გახდეს სხვისი საქმეების შესრულება, თუ რწმუნებული გასცდა მანდატით მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებს.[185]

---

[183] იხ. ი. კროპჰოლერი, გსკ – სასწავლო კომენტარი, გადამუშავეს ფ. იაკობმა და მ. ფონ ჰინდენმა, მე-13 გადამუშავებ. გამოცემა, თარგმნეს თ. დარჯანიამ და ზ. ჭეჭელაშვილმა, თბ., 2014, 533.

[184] იხ. F. K. von Savigny, Pandektenvorlesung, Bd. I, Hrsg. von H. Hammen, Frankfurt am Main, Kostermann, 1993, 348.

[185] თ. ნინიძე, სსკ-ის კომენტარი, წ. IV, ტ. II, თბ., 2001, 342-343.

3.2. დავალების გარეშე სხვისი საქმეების შესრულება და მესამე პირის სასარგებლოდ დადებული ხელშეკრულება

დავალების გარეშე სხვისი საქმეების შესრულებიდან წარმოშობილი ვალდებულება, ასევე, ემსგავსება მესამე პირის სასარგებლოდ დადებულ ხელშეკრულებას. როგორც ცნობილია, მესამე პირის სასარგებლოდაა ხელშეკრულება დადებული, თუ ხელშეკრულებით გათვალისწინებული შედეგი დგება იმ პირის მიმართ, რომელიც ხელშეკრულების მონაწილე (მესამე პირი) არაა. არსებითი მნიშვნელობა არ ენიჭება იმას, მესამე პირი ფიზიკური პირია თუ იურიდიული, ხელშეკრულების დადების მომენტში დაბადებულია თუ ჯერ ჩასახულიც არაა. აქ განასხვავებენ ხელშეკრულებას, რომლის დროსაც მესამე პირი არაა უფლებამოსილი, თვითონ მოითხოვოს ვალდებულების შესრულება (მესამე პირთა დამოუკიდებელი მოთხოვნის გარეშე ხელშეკრულებები), და ხელშეკრულებას, რომლითაც მესამე პირი არა მხოლოდ ხელშეკრულებით დადგენილი შედეგის დადგომის პასიური მომლოდინეა, არამედ თვითონვე შეუძლია, მოვალისგან მოითხოვოს კიდეც შესრულება. შესაბამისად, ამ შემთხვევაში კრედიტორის ადგილს იკავებს მესამე პირი. ამასთან, სსკ-ის 349-ე მუხლით შესაძლებელია, რომ მესამე პირს დამოუკიდებელი მოთხოვნის უფლება წარმოეშვას, როგორც წესი, ხელშეკრულების საფუძველზე, ანუ ეს დამოკიდებულია მხარეთა ნებაზე და გამომდინარეობს ხელშეკრულების თავისუფლებიდან.[186] მესამე პირის სასარგებლოდ დადებული ხელშეკრულების მსგავსად, neg. gestio-ს საბოლოო მიზანი ერთია — სარგებელი მოუტანოს მესამე პირს. თუმცა საგულისხმოა, რომ შემსრულებლის მდგომარეობა განსხვავდება მესამე პირის სასარგებლოდ დადებული ხელშეკრულების კრედიტორის მდგომარეობისგან. მესამე პირთა სასარგებლოდ დადებული ხელშეკრულების დროს კრედიტორს სურს, ხელშეკრულებიდან შეიძინოს საკუთარი უფლებები, მაშინ როცა შემსრულებელს (გესტორს) ასეთი მიზნები არ ამოძრავებს. შესაძლოა ისიც, რომ გესტორი ცდებოდეს მეპატრონის პიროვნების ვინაობაში. ამ შემთხვევაში მაინც შეიძლება სხვისი საქმეების შესრულებაზე საუბარი.[187]

3.3. დავალების გარეშე სხვისი საქმეების შესრულება და უკიდურესი აუცილებლობა

დავალება და მესამე პირის სასარგებლოდ დადებული ხელშეკრულება წარმოშობს სახელშეკრულებო ურთიერთობებს. ამ საფუძვლები

[186] მესამე პირის სასარგებლოდ დადებული ხელშეკრულების შესახებ იხ. ლ. ჭანტურია, სსკ-ის კომენტარი, წ. III, თბ., 2001, 213-217.

[187] თ. ნინიძე, სსკ-ის კომენტარი, წ. IV, ტ. II, თბ., 2001, 343.

შეიძლება გამომდინარეობდეს სახელშეკრულებო მოთხოვნა, თუმცა კიდევ უფრო საინტერესოა შემთხვევა, როდესაც კანონისმიერ ვალდებულებას neg. gestio-ს სახით უპირისპირდება უკიდურესი აუცილებლობა.

უკიდურესი აუცილებლობის დროს უნდა არსებობდეს საფრთხის აცილების რეალური შესაძლებლობა, რომელიც განიხილება ობიექტურ კატეგორიად. მისი არსებობა არაა დამოკიდებული იმაზე, შეცნობილი აქვს თუ არა სუბიექტს ის. თუმცა იურიდიული თვალსაზრისით საინტერესოა, შეეძლო თუ არა შეეცნო პირს საფრთხის აცილების შესაძლებლობა. ამასთან, შეიძლება საფრთხის აცილების რეალური შესაძლებლობა არსებობდეს, პირს არ ჰქონდეს შეგნებული, მაგრამ მაინც მოქმედებდეს. ამ შემთხვევაში პირის მოქმედება არ შეიძლება განიხილებოდეს უკიდურესი აუცილებლობის მდგომარეობაში შესრულებულად, ვინაიდან პირს სჯეროდა საფრთხის გარდუვალობა და, მიუხედავად ამისა, ზიანს აყენებდა მესამე პირის ინტერესს. შესაბამისად, მოქმედება რომ ჩაითვალოს უკიდურესი აუცილებლობის ვითარებაში შესრულებულად, არაა საკმარისი მხოლოდ ობიექტურად არსებობდეს საფრთხის აცილების რეალური შესაძლებლობა; მოცემულ შემთხვევაში აუცილებელია აცილების რეალური შესაძლებლობის სუბიექტური შეგნებაც. პირს შეეძლო თუ არა საფრთხის აცილების რეალური შესაძლებლობა სცოდნოდა, ეს უნდა დადგინდეს ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში ინდივიდუალურად ობიექტური და სუბიექტური ფაქტორების გათვალისწინებით. ობიექტურია სიტუაციის ფაქტობრივი გარემოებები, ხოლო სუბიექტურ ფაქტორად ითვლება საფრთხის ამცილებლის ფსიქიკური თავისებურებები, ინტელექტი, გამოცდილება და სხვა. ამასთან,უკიდურესი აუცილებლობის ტიპურ შემთხვევად განიხილება სიტუაცია, როცა ურთიერთობაში მონაწილეობს სამი სუბიექტი: საფრთხის ამცილებელი, სუბიექტი, რომლის ინტერესების დაცვასაც ცდილობდნენ და პირი, რომლის ხარჯზეც ხდება საფრთხის აცილება (მესამე პირი).[188]

საქმე ისაა, რომ უკიდურესი აუცილებლობის დროს წარმოიშობა მართლზომიერ ინტერესთა კოლიზია, რამდენადაც პირს განსაკუთრებული გარემოებების გამო შეუძლია შეიჭრას მესამე პირთა კერძო სფეროში. ამასთან, უკიდურესი აუცილებლობის დროს საფრთხე მომდინარეობს ქონებრივი ობიექტიდან, რომელიც სხვა ობიექტის, უფრო მეტი ღირებულების მქონე ობიექტის გადასარჩენად ზიანდება და მისი ხელყოფა ერთადერთი გამოსავალია მოცემულ ვითარებაში. აღიარებულია, რომ ადამიანის სიცოცხლე და ჯანმრთელობა გაცილებით უზენაესი ღირებულებაა, ვიდრე ნებისმიერი მატერიალური სიკეთე. ამასთან, სსკ-ის 117-ე

[188] იხ. თ. ნინიძე, უკიდურესი აუცილებლობის ვითარებაში მიყენებული ზიანის ანაზღაურების ვალდებულების იურიდიული ბუნება, კრებულში: „საბჭოთა სამოქალაქო სამართლისა და პროცესის აქტუალური საკითხები“, თბ., 1977, 62-63, 69.

მუხლის 1-ლი ნაწილით დადგენილია, რომ უკიდურესი აუცილებლობის შედეგად მიყენებული ზიანი უნდა აანაზღაუროს ზიანის მიმყენებელმა. თუმცა, ამავე მუხლის მე-2 ნაწილი უშვებს ზიანის ანაზღაურებისგან ზიანის მიმყენებლის განთავისუფლების შესაძლებლობას, ხოლო ზიანის ანაზღაურებას აკისრებს იმ პირს, ვის სასარგებლოდაც მოქმედებდა პირი ზიანის მიყენებისას. ამასთან, შესაძლებელია პირი ნაწილობრივ ან საერთოდ გათავისუფლდეს ზიანის ანაზღაურებისგან. გარდა ამისა, უკიდურესი აუცილებლობის დროს საფრთხის წყარო არაა მართლსაწინააღმდეგო, ზიანი გამოწვეულია ნივთიდან ან სხვა ქონებრივი ობიექტიდან და მიზანმიმართულად ამ საფრთხის წარმოშობის ნება პირს არა აქვს.[189]

რაც შეეხება დავალების გარეშე სხვისი საქმეების შესრულებას, ამ შემთხვევაში, სსკ-ის 974-ე მუხლის თანახმად, შემსრულებელს არ შეუძლია, მოითხოვოს გაწეული ხარჯების ანაზღაურება, თუ მის მიერ საქმეთა შესრულება ეწინააღმდეგება მეპატრონის ნებას, ან არ შეესაბამება მის ინტერესებს. თუ შემსრულებელს შეეძლო სცოდნოდა ამის შესახებ, მაშინ მან უნდა აანაზღაუროს შესრულებით გამოწვეული ზიანი. ამ სამართლებრივი ინსტიტუტის ფარგლებში შემსრულებელს არ შეუძლია, მოსთხოვოს მეპატრონეს მის მიერ გაწეული ხარჯების ანაზღაურება, ვინაიდან შესრულებული მოქმედებები მეპატრონის ნებას არ შეესაბამება და ამ პირობებში შესრულებული მოქმედება მოკლებულია სამართლებრივ საფუძველს. სამოქალაქოსამართლებრივი ურთიერთობის საფუძველი ასეთ შემთხვევაში ისაა, რომ შემსრულებელი ასრულებს სხვა პირის - მეპატრონის საქმეებს ამ უკანასკნელის დავალების ან სხვაგვარი მითითების გარეშე, ნებაყოფლობით. კანონი მსგავს ჩარევას სხვის ქონებრივ სფეროში აღიარებს მაშინ, როდესაც ის განხორციელდა განსაზღვრულ ვითარებაში მეპატრონის ინტერესებისათვის და შემსრულებლის კეთილი ნებით. შესაბამისად, ამგვარი სამართლებრივი ურთიერთობა წარმოიშობა მხარეთა წინასწარი შეთანხმების გარეშე.[190]

---

[189] ლ. ჯანტურია, სამოქალაქო სამართლის ზოგადი ნაწილი, თბ., 2011, 113-114.

[190] საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2007 წლის 26 თებერვლის გადაწყვეტილება (№ას-260-673-06).

§ 6. დავალების გარეშე სხვისი საქმეების შესრულებიდან წარმოშობილი ურთიერთობის ელემენტები

1. დავალების გარეშე სხვისი საქმეების შესრულებიდან წარმოშობილი ურთიერთობის სუბიექტები

დავალების გარეშე სხვისი საქმეების შესრულებიდან წარმოშობილი ურთიერთობის სუბიექტები არიან გესტორი და დომინუსი. გესტორია ის, ვინც სხვის საქმეებს ასრულებს, ანუ შემსრულებელი, ხოლო დომინუსად განიხილება დაინტერესებული პირი, რომლის ინტერესებისთვისაც ხორციელდება ეს მოქმედებები. ორივე მხარეზე შეიძლება გამოვიდეს ფიზიკური და იურიდიული პირები. ისინი შეიძლება იყვნენ როგორც ქმედუნარიანი, ისე ქმედუუნარო პირები; თუ შემსრულებელმა უნდა განახორციელოს არა ფაქტობრივი, არამედ იურიდიული მოქმედებები, ამ შემთხვევაში აუცილებელია, რომ მან დააკმაყოფილოს ქმედუნარიანობის ზოგადი მოთხოვნები.[191]

2. neg. gestio-ს ობიექტი

დავალების გარეშე სხვისი საქმეების შესრულებიდან წარმოშობილი ურთიერთობის ობიექტი, თავის მხრივ, უკავშირდება სსკ-ის მე-7 და 147-ე მუხლებს. ზოგადად, სამართლებრივი ურთიერთობის ობიექტია ნივთი, სიკეთე, ხოლო neg. gestio-დან გამომდინარე ვალდებულების ობიექტად მოიაზრებენ მოქმედებასაც. თუმცა საქმე ისაა, რომ კანონმდებლობით გესტორის მოქმედება განისაზღვრება, როგორც ამ ვალდებულების წარმოშობის იურიდიულ-ფაქტობრივი საფუძველი. ამას, როგორც ჩანს, არ უარყოფენ ის ავტორებიც, რომლებიც ვალდებულების წარმოშობის საფუძვლად აღიარებენ მოქმედებებს. მოქმედება უცხო ინტერესში, როგორც იურიდიული ფაქტი, იწვევს კვაზისახელშეკრულებო[192] და კვაზიდელიქტურ ვალდებულებებს. თუმცა ზოგადად, ობიექტია ის, რაზეც სუბიექტის უფლება-მოვალეობებია მიმართული. სამართლებრივი ურთიერთობის ობიექტია მატერიალური და არამატერიალური სიკეთეები, რომლებსაც შესწევთ სუბიექტთა მოთხოვნილებების დაკმაყოფილება – უფლებამოსილი პირის ინტერესი. ამიტომ neg. gestio-დან გამომდინარე ვალდებულების

---

[191] აღნიშნულთან დაკავშ. იხ. ს. ბერიანიძე, დავალების გარეშე სხვისი საქმეების შესრულების მნიშვნელობა და ძირითადი მახასიათებლები, ჟურნ. „ახალგაზრდა ადვოკატები", NI, 2014, 45.

[192] neg. gestio-ს, როგორც კვაზისახელშეკრულებო ვალდებულების, შესახებ იხ. A. Bergmann, Die Geschäftsführung ohne Auftrag als Subordinationsverhältnis, Die Rechstinstitute der negatiorum gestio in subordinationsrechtlicher Betrachtungsweise, Mohr Siebeck, Tübingen, 2010, 26-30.

ობიექტის განსასაზღვრად უნდა დადგინდეს, რის საფუძველზე წარმოიშვა მოცემული სამართლებრივი ურთიერთობა. განსახილველი ვალდებულება წარმოიშობა, თუ აუცილებელი ხარჯები და რეალური ზიანი უნდა აუნაზღაურდეს იმ პირს, რომელიც დავალების გარეშე სხვისი ინტერესებისთვის მოქმედებდა. შესაბამისად, იურიდიულ ლიტერატურაში გამოითქვა მოსაზრება, რომ მოცემული ვალდებულების ობიექტია ფულადი თანხა, რომელსაც აუცილებელი ხარჯებისა და რეალურად დამდგარი სხვა ზიანის დასაფარად დომინუსისთვის იხდის გესტორი.[193] თუმცა, აქ ვინაიდან საქმე ეხება არა მხოლოდ ხარჯების გაწევას, არამედ მესაკუთრის ინტერესების დაცვას, მიზანშეწონილი იქნება სიკეთის ზოგადი გაგება იყოს სახელმძღვანელო. შესაბამისად, ჩვენთვის მნიშვნელოვანი უნდა იყოს სიკეთის სამოქალაქოსამართლებრივი რეჟიმის გარკვევა. როგორც სსკ-ის 970-ე მუხლის მე-2 ნაწილიდან ჩანს, შემსრულებელს, რომელსაც ზიანი მიადგა იმ საფრთხის თავიდან აცილებისას, რომელიც რეალურად ემუქრებოდა სხვა პირს ან ქონებას, უნდა აუნაზღაუროს ზიანი საფრთხის შემქმნელმა ან იმ პირმა, რომლის სიკეთის გადარჩენასაც შემსრულებელი ცდილობდა. შესაბამისად, აქ მოცემული ვალდებულების ობიექტად წარმოდგენილია უფრო ზოგადი ხასიათის რამ, რისკენაც უფლება-მოვალეობებია მიმართული. ის გამოიხატება „სიკეთის“ ცნებაში. ამიტომ, ამ გაგებით, neg. gestio-ს ობიექტია სიკეთე თავისი სამოქალაქოსამართლებრივი რეჟიმით.[194] ამდენად, მოცემული ვალდებულების შემთხვევაში მოთხოვნა შეიძლება პირს წარედგინოს როგორც ქონების, ისე სხვა პირის ჯანმრთელობისა და სიცოცხლის დაცვიდან გამომდინარეც.[195]

---

[193] მოცემული ვალდებულების ობიექტის შესახებ სხვადასხვა მოსაზრების თაობაზე იხ. Н. А. Свалова, Объект обязательства, возникающего из действий в чужом интересе без поручения, В «Российский юридический журнал», N1, 2008, 193-197.

[194] დაწერ. სამოქალაქოსამართლებრივი ურთიერთობის ობიექტის შესახებ იხ. მ. ბიჭია, სამოქალაქოსამართლებრივი ურთიერთობის ობიექტი, „სამართლის ჟურნალი“, N1, 2012, 46-54.

[195] И. Б. Новицкий, Солидарность интересов в советском гражданском праве, М., 1951, 80; Л. А. Майданик, Н. Ю. Сергеева, Материальная ответственность за повреждение здоровья, М., 1953, 43; В. Г. Вердников, А. Ю. Кабалкин, Возмещение вреда, понесенного при спасании социалистической собственности, М., 1963, 38 და შემდეგი, http://uristinfo.net/dogovornoe-pravo/95-dogovornoe-o-vypolnenii-rabot-i-okazanii-uslug/2320-glava-9-dejstvija-v-chuzhom-interese-bez-poruchenija.html?start=2

3. დავალების გარეშე სხვისი საქმეების შესრულებიდან წარმოშობილი ურთიერთობის მონაწილეთა უფლება-მოვალეობები

3.1. საქმის ჯეროვანი შესრულება

ა. დაინტერესებული პირის ინტერესი და ნება

დავალების გარეშე სხვისი საქმეების შესრულება წარმოშობს სუბიექტთა სპეციფიკურ უფლება-მოვალეობებს. უპირველეს ყოვლისა, სსკ-ის 969-ე მუხლით განსაზღვრულია გესტორის ძირითადი მოვალეობა, მეპატრონის საქმეები შეასრულოს კეთილსინდისიერად. საქმის კეთილსინდისიერად შესრულება გულისხმობს საქმის ისე წარმართვას, როგორც ამას თვით კარგი მეპატრონე ან მისი დავალებით სხვა პირი განახორციელებდა.[196]

როგორც აღინიშნა, შემსრულებლის მოქმედება, რომელიც სხვისი ინტერესისთვის ხორციელდება, უნდა ეფუძნებოდეს კეთილსინდისიერებას. მთავარია, რომ შემსრულებელი მოქმედებდეს სხვის სასარგებლოდ ნებაყოფლობით და დაჟალების გარეშე უანგაროდ, რაც ალტრუიზმს ემსახურება.[197] ფაქტობრივად, შემსრულებელი შეიძლება განიხილებოდეს ალტრუისტად, რომელიც ალტრუიზმით გამსჭვალული სუბიექტია. საქმე ისაა, რომ ალტრუიზმში [ფრანგ. altruism] მოიაზრება უანგარო ზრუნვა სხვისი კეთილდღეობისათვის, მზადყოფნა, სხვას შესწირო პირადი ინტერესები.[198]

ამდენად, ალტრუიზმი, ერთი მხრივ, პიროვნების ღირებულებით ორიენტაციათა სისტემაა, როცა საკუთართან შედარებით სხვა ადამიანების ან სოციალური ერთობის გადარჩენის, კეთილდღეობისა თუ ბედნიერების ინტერესები განიხილება ცენტრალურ მოტივად და ზნეობრივი შეფასების კრიტერიუმად; მეორე მხრივ, ის წარმოადგენს სხვათა უსაფრთხოების, ინტერესების დაკმაყოფილებასა და ცხოვრების გაუმჯობესებაზე მიმართულ ქცევას, საკუთარი თავის უსაფრთხოების დათმობის ვითარებაშიც კი. პირველის მნიშვნელობა აღნიშნავს პრინციპსაც და მოქმედებასაც, ამდენად, ის ფართოა და უფრო ხშირადაც გამოიყენება, ძირითადად, თანამედროვე ეთნოლოგიაში. ალტრუიზმი უპირისპირდება ეგოიზმს

---

[196] თ. ნინიძის კომენტარი, წიგნში „სსკ-ის კომენტარი", წ. IV, ტ. II, თბ., 2001, 343.

[197] იხ. Ю. С. Гамбаров, Добровольная и безвозмездная деятельность в чужом интересе. Выпуск второй. Социологическое основание института neg. gestio. М., 1880, 2-3, 12, 46-62.

[198] მოხელის სამაგიდო ლექსიკონი /გაეროს განვითარების პროგრამა (შემდგ.: ს. ურიდია და სხვ., რედ.: ვ. გურგენიძე), თბ., 2004, 25.

და განიხილება ქცევის ზნეობრიობის კრიტერიუმად (რაიტი), ასევე, პიროვნების ზნეობრივი განვითარების უმაღლეს ეტაპად.[199] შესაბამისად, დავალების გარეშე სხვისი საქმეების შესრულება ეფუძნება სწორედ ზნეობრივ საწყისებს, რომლებიც გარკვეულწილად სამართლებრივი ნორმებითაა აღიარებული.

ბ. საქმის შესრულება საფრთხის თავიდან ასაცილებლად და დაინტერესებული პირის ნების საწინააღმდეგოდ

მართალია, დავალების გარეშე სხვისი საქმეების წარმოებისას შემსრულებლის ჩარევა მეპატრონის ქონებრივ სფეროში ნებაყოფლობით ხორციელდება, მაგრამ ამგვარ ჩარევას გონივრული და ობიექტური საფუძველი უნდა გააჩნდეს; აუცილებელია, კონკრეტული საქმის შესრულება თვითნებობას არ დაეფუძნოს; ის უნდა შეესაბამებოდეს მეპატრონის ინტერესებს და ამ საქმის შესრულება სწორედ მეპატრონისათვის უნდა იყოს სასიკეთო.[200] თუ გესტორი მოქმედებს იმ საფრთხის თავიდან ასაცილებლად, რომელიც მეპატრონეს ემუქრება, შემსრულებელი პასუხს აგებს მხოლოდ განზრახვის ან უხეში გაუფრთხილებლობისთვის (სსკ-ის 970-ე მუხლის 1-ლი ნაწილი).

თუმცა შესაძლებელია, რომ ასეთი მოქმედებით ზიანი მიადგეს თვით შემსრულებელს, ამ შემთხვევაში მას შეუძლია მოითხოვოს მისი ანაზღაურება იმ პირისგან, რომელმაც შექმნა საფრთხე, ან იმისგან, რომლის სიკეთის გადარჩენასაც ცდილობდა (სსკ-ის 970-ე მუხლის მე-2 ნაწილი).

გ. შეტყობინებისა და გადაწყვეტილების ლოდინის მოვალეობები

კეთილსინდისიერების სამართლებრივი შინაარსი გაცილებით ფართოა და მოიცავს შემსრულებლის ვალდებულებას, თვითონ შეასრულოს საქმეები არა მხოლოდ კეთილსინდისიერად და მეპატრონის ინტერესების დაცვიდან გამომდინარე (სსკ-ის 969-ე მუხლი), არამედ შეატყობინოს და დროულად წარუდგინოს გაწეული სამუშაოს ანგარიში.[201] ამდენად, გესტორი შედის რა ურთიერთობაში, მას ევალება, მიაწოდოს ინფორმაცია დომინუსს, კერძოდ, პირველი შესაძლებლობისთანავე უნდა შეატყობინოს მეპატრონეს, რომ იკისრა მისი საქმის შესრულება. ინფორმირების ვალდებულება შეიძლება წარმოიშვას მოქმედების განხორციელების პროცესში ან დასრულების

[199] სოციალურ და პოლიტიკურ ტერმინთა ლექსიკონი-ცნობარი (სარედ. კგუფი: ე. კოდუა და სხვ. ; გამომც. ლ. ბერაია), თბ., 2004, 15-16.

[200] საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2012 წლის 12 დეკემბრის გადაწყვეტილება (№ას-1320-1246-2012).

[201] საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2012 წლის 12 დეკემბრის გადაწყვეტილება (№ას-1320-1246-2012).

შემდგომ (სსკ-ის 971-ე მუხლის 1-ლი წინადადება). ყველა შემთხვევაში აუცილებელია, რომ შეტყობინების ვალდებულების სანაცვლოდ, მოქმედების განხორციელების დაყოვნებამ ან შეჩერებამ არ გამოიწვიოს ზიანი.

ამასთან, შემსრულებელმა უნდა გააგრძელოს საქმის შესრულება მანამ, ვიდრე დაინტერესებულ პირს თავად არ მიეცემა შესაძლებლობა, გააგრძელოს მის მიერ დაწყებული საქმე (სსკ-ის 971-ე მუხლის მე-2 წინადადება). თუ გესტორმა შეიტყო, რომ საქმის შემდგომი გაგრძელება არ შეესაბამება მეპატრონის ნებას, ან არაა ხელსაყრელი ამ უკანასკნელისთვის, სხვისი საქმეების შესრულება უნდა შეწყდეს. შესაბამისად, მთავარია, რომ დავალების გარეშე სხვისი საქმეების შესრულებისას გესტორმა იმოქმედოს მეპატრონის ინტერესებისთვის.[202]

მაგალითი: ერთ-ერთი მუნიციპალიტეტის გამგეობასა და შპს-ს შორის დაიდო სახელმწიფო შესყიდვების ხელშეკრულება. მუნიციპალიტეტმა შპს-ს გადაურიცხა გარკვეული თანხა ა-ს უძრავი ქონების რეაბილიტაციისთვის. შპს-მ მუნიციპალიტეტის დაკვეთით დაიწყო ა-ს უძრავი ქონების რეაბილიტაცია მისი მხრიდან დავალების გარეშე. ქონების მესაკუთრე არ იყო ინფორმირებული სამუშაოს შესრულების თაობაზე არც პირველი შესაძლებლობისთანავე და არც სამუშაოს შესრულების რომელიმე ეტაპზე. შემსრულებელმა არ შეასრულა ვალდებულება, აცნობოს მეპატრონეს, რომ აუცილებელია კონკრეტული მოქმედების შესრულება და იგი კისრულობს საქმეთა შესრულებას (სსკ-ის 971-ე მუხლი). მოცემულ შემთხვევაში შემსრულებლის ხარჯების გამოყოფა აუცილებლობადაც რომ ჩაითვალოს, მუნიციპალიტეტი მაინც ვერ იქნება უფლებამოსილი, გაწეული ხარჯის ანაზღაურება მოითხოვოს, ვინაიდან არ შეუსრულებია სსკ-ის 971-ე მუხლით დადგენილი წინაპირობა. ამასთან, საქმის გარემოებებიდანაც არ დასტურდება, რომ შესმრულებელმა მეპატრონეს მისი ქონების რეაბილიტაციის შესახებ სამუშაოს შესრულების რომელიმე ეტაპზე მაინც აცნობა. ეს დასკვნა კიდევ უფრო ცხადია, თუ საქმიდან არც ის ჩანს, რომ შემსრულებელმა მეპატრონეს გაწეული სამუშაოს შესახებ ანგარიში წარუდგინა. შესაბამისად, მეპატრონეს თუნდაც დამოუკიდებლად შეეტყო შემსრულებლის მიერ მის სახლზე ალდგენითი სამუშაოების წარმოების შესახებ, შემსრულებელს გაწეული ხარჯების ანაზღაურების მოთხოვნის უფლება მხოლოდ იმ შემთხვევაში ექნებოდა, თუ მეპატრონე სამუშაოს შესრულებას მოიწონებდა. როცა მეპატრონეს სამუშაოს შესრულებაზე თანხმობა არ გამოუთქვამს, საქმეთა შესრულება მის ნებას ეწინააღმდეგება. ალნიშ-

[202] იხ. ს. ბერიანიძე, დავალების გარეშე სხვისი საქმეების შესრულების მნიშვნელობა და ძირითადი მახასიათებლები, ჟურნ. „ახალგაზრდა ადვოკატები", N1, 2014, 47.

ნულის საპირისპირო მტკიცებულების წარდგენამდე იგულისხმება, რომ მოპასუხეს სამუშაოს შესრულების ნება არ გამოუხატავს.[203]

დ. ანგარიშის წარდგენის მოვალეობა

კეთილსინდისიერება, გარდა კეთილსინდისიერად და მეპატრონის ინტერესების დაცვისთვის მოქმედებისა, მოიცავს დროულად გაწეული სამუშაოს ანგარიშის წარდგენის მოვალეობასაც.[204]

შემსრულებელს ევალება, მეპატრონეს წარუდგინოს ანგარიში შესრულების შესახებ და გადასცეს მას ყველაფერი, რაც შესრულების შედეგად მიიღო (სსკ-ის 972-ე მუხლი). აღნიშნული ვალდებულება სსკ-ში იმ მიზეზითაა განსაზღვრული, რომ დავალების გარეშე სხვისი საქმეების შესრულება კომერციულ სასიათს არ ატარებს და მისი მიზანი არაა შემსრულებლის გამდიდრება. ასევე, ის არაა მიმართული, ნარდობის ხელშეკრულებისაგან განსხვავებით, შესრულებული სამუშაოსათვის ანაზღაურების მიღებისკენ, აქ კონკრეტული ქმედების განხორციელება განპირობებულია ობიექტური და გონივრული აუცილებლობით. მეპატრონე შემსრულებელს რეალურად გაწეულ აუცილებელ ხარჯს უნაზღაურებს, რაც ამ უკანასკნელის მიერ წარდგენილი ანგარიშით უნდა დასტურდებოდეს.[205] შესაბამისად, ეს მოქმედებები უკავშირდება იმასაც, რომ შემსრულებელმა დროულად შეატყობინოს და წარუდგინოს გაწეული სამუშაოს შესახებ ანგარიში, ანუ იმ ხარჯების ანგარიშსწორების საფუძველი, რაც გესტორმა გაიღო დომინუსის ინტერესებისთვის. ამ ურთიერთობის ხასიათიდან გამომდინარე, შემსრულებელი არ უნდა მოქმედებდეს ანგარებითი მოტივით.[206]

3.2. ხარჯების ანაზღაურება

სსკ-ის 973-ე მუხლიდან ჩანს, რომ მეპატრონემ შემსრულებელს უნდა აუნაზღაუროს საქმეების შესრულებისას გაღებული მხოლოდ აუცილებელი (და არა ყველა სახის) ხარჯი. ამიტომ გესტორმა არ უნდა

---

[203] საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2012 წლის 12 დეკემბრის გადაწყვეტილება (№ას-1320-1246-2012); საწინააღმდეგო მოსაზრების შესახებ იხ. ს. ბერიანიძე, დავალების გარეშე სხვისი საქმეების შესრულების მნიშვნელობა და ძირითადი მახასიათებლები, ჟურნ. „ახალგაზრდა ადვოკატები", N1, 2014, 48-50.

[204] საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2012 წლის 12 დეკემბრის გადაწყვეტილება (№ას-1320-1246-2012).

[205] საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2012 წლის 12 დეკემბრის გადაწყვეტილება (№ას-1320-1246-2012).

[206] იხ. ს. ბერიანიძე, დავალების გარეშე სხვისი საქმეების შესრულების მნიშვნელობა და ძირითადი მახასიათებლები, ჟურნ. „ახალგაზრდა ადვოკატები", N1, 2014, 48.

გასწიოს შეუსაბამოდ დიდი ხარჯი იმ იმედით, რომ ეს ხარჯი აუცილებლად ანაზღაურდება. ყველა შემთხვევაში გაწეული ხარჯების აუცილებლობის თაობაზე მტკიცების ტვირთი აკისრია შემსრულებელს. ამასთან, გამოითქვა მოსაზრება, რომ ვინაიდან კანონმდებელი არ აზუსტებს იმას, რომ ამ ხარჯების გაღებას აუცილებლად მოჰყვეს დადებითი შედეგი, ესე იგი, გესტორს შეუძლია მოითხოვოს გაწეული ხარჯის ანაზღაურება იმ შემთხვევაშიც, თუ განხორციელებულმა მოქმედებამ არ გამოიწვია მეპატრონისთვის სავარაუდო, დადებითი შედეგი. თუმცა იქვე განსაზღვრულია, რომ უნდა იყოს დაცული, ასევე, სსკ-ის 970-974-ე მუხლებით დადგენილი მოთხოვნები.[207] მოცემული წინაპირობები გარკვეული გარემოებების შესწავლას უკავშირდება და განსაზღვრავს იმას, თუ რა შემთხვევაში დაიშვება ხარჯების ანაზღაურება.

აქ, უპირველეს ყოვლისა, გასათვალისწინებელია ნამდვილი ნება, რომელიც პირდაპირ ან კონკლუდენტური მოქმედებებით ცხადი უნდა იყოს და არაა აუცილებელი მისი გამოვლენა უშუალოდ შემსრულებლის წინაშე. მნიშვნელობა არ ენიჭება იმას, ცნობილი იყო თუ არა შემსრულებლისთვის ნამდვილი ნება. საქმე ისაა, რომ თუ უცნობია დაინტერესებული პირის ნამდვილი ნება, ამ შემთხვევაში გადამწყვეტია სავარაუდო ნება. შესაბამისად, უმნიშვნელოვანესია დადგინდეს, თუ რას ისურვებდა დაინტერესებული პირი თავისი ჩვეულებების გათვალისწინებით. ხშირად სავარაუდო ნება განისაზღვრება დაინტერესებული პირის (ობიექტური) ინტერესით. ამასთან, მხედველობაშია მისაღები მისი ჩვეულებები მაშინ, როცა ისინი არ შეესაბამება დაინტერესებული პირის ინტერესს. მაგალითად: თუ დაინტერესებული პირი უშვებს თავისი ბაღის მოუვლელობის შესაძლებლობას, მაშინ მისი არყოფნისას შემსრულებელს მაინც არ ეძლევა მიწის გამარგვლის უფლება, თუნდაც ბაღის მოვლით მისი ნაკვეთის ღირებულება გაიზარდოს. ამდენად, ნორმის სიტყვასიტყვითი განმარტების მიხედვით, სხვისი საქმეების შესრულება უნდა შეესაბამებოდეს დაინტერესებული პირის როგორც ინტერესს, ისე ნებას. ამ გაგებით, დავალების გარეშე სხვისი საქმეების შესრულების გამოყენების სფეროს ფარგლები წინასწარ არის განსაზღვრული. თუმცა, გაბატონებული შეხედულების მიხედვით, საკმარისია, პირმა იკისროს სხვისი საქმეების შესრულება, რომელიც, მართალია, ეწინააღმდეგება დაინტერესებული პირის ინტერესებს, მაგრამ შეესაბამება მის ნებას. აქ ამოსავალია, რომ მხოლოდ ნების პრიორიტეტი შეესაბამება პირის კერძო ავტონომიის პრინციპს.[208] ინტერესი გამოდის

---

[207] იხ. ს. ბერიანიძე, დავალების გარეშე სხვისი საქმეების შესრულების მნიშვნელობა და ძირითადი მახასიათებლები, ჟურნ. „ახალგაზრდა ადვოკატები", N1, 2014, 48.

[208] ნების მნიშვნელობის შესახებ იხ. D. Medicus, Schuldrecht II, Besonderer Teil, Ein Studienbuch, 12., neubearbeitete Aufl., München, 2004, 300.

მხოლოდ სავარაუდო ნების დადგენის საშუალებად. ამასთან, გაწეული ხარჯების ანაზღაურებისთვის არა აქვს მნიშვნელობა, იცოდა თუ არა შემსრულებელმა დაინტერესებული პირის ინტერესისა და ნების შესახებ, ან მხოლოდ შეეძლო სცოდნოდა მათ თაობაზე; არაბრალეული შეცდომით შეფასებისას მას უნარჩუნდება მოთხოვნის უფლება.[209]

შესაბამისად, ნება და ინტერესი უნდა შეესაბამებოდეს ერთმანეთს, რომ დასაბუთებული დავალების გარეშე სხვისი საქმეების შესრულების იურიდიული შედეგები დადგეს. ფაქტობრივად გამოხატული ნება უნდა იყოს მეპატრონის ობიექტური ინტერესის განხორციელებისკენ მიმართული. სსკ-ის 973-ე მუხლი იზღუდება წინაპირობით, რომ გამოხატული ნება არ უნდა ეწინააღმდეგებოდეს საზოგადოებრივ ინტერესებს, კანონისა თუ საყოველთაოდ ცნობილ ზნეობრივ ნორმებს. თუმცა სადავოა, თვითმკვლელის გადარჩენისას რამდენად შეესაბამება მის მიერ გამოვლენილი ნება თვითკვლელობაზე სიცოცხლის დაცვის საჯარო ინტერესს.[210] ამავე დროს, სსკ-ის 974-ე მუხლის მიხედვით, მეპატრონის ნება გამონაკლისის სახით უმნიშვნელოა, თუ საქმე ეხება საჯარო ინტერესის შესასრულებელ მოვალეობას ან კანონისმიერ საალიმენტო ვალდებულებას.[211]

როგორც ჩანს, სსკ-ის 974-ე მუხლით დადგენილია უფლების დამაბრკოლებელი შესაგებელი, ანუ შესაგებელი, რომელიც, მიუხედავად ყველა აუცილებელი წინაპირობის არსებობისა, ხელს უშლის უფლების წარმოშობას. სასამართლომ მხედველობაში უნდა მიიღოს უფლების დამაბრკოლებელი შესაგებელი, როდესაც საქმეში გამოვლინდება ფაქტები, რომლებიც ადასტურებს უფლების დამაბრკოლებელი გარემოებების არსებობას. ასეთ შესაგებელთა წრეს განეკუთვნება: მართლსაწინააღმდეგო და ამორალური გარიგებები (სსკ-ის 54 მუხ.), ძალაუფლების ბოროტად გამოყენება (სსკ-ის 55-ე მუხ.), მოჩვენებითი და თვალთმაქცური გარიგებები (სსკ-ის 56-ე მუხ.), ნების გამოვლენის არასერიოზულობა (სსკ-ის 57-ე მუხ.), ფორმის დაუცველად ან ნებართვის გარეშე დადებული გარიგება (სსკ-ის 59-ე მუხ. 1-ლი ნაწ.), მესამე პირის თანხმობის გარეშე დადებული გარიგება (სსკ-ის 66-ე მუხ.), მომავალ ქონებაზე დადებული ხელშეკრულება (სსკ-ის 320-ე მუხ.) და სხვა.

გარდა გარიგების ბათილობის საფუძვლებისა, შესაძლებელია სხვა გარემოებებმაც შეუშალოს ხელი უფლების წარმოშობას. ასეთ გარემოე-

---

[209] ნებისა და ინტერესის თაობაზე იხ. ი. კროპჰოლერი, გსკ – სასწავლო კომენტარი, გადაამუშავეს ფ. იაკობმა და მ. ფონ პინდენმა, მე-13 გადამუშავებ. გამოცემა, თარგმნეს თ. დარჯანიამ და ზ. ჭეჭელაშვილმა, თბ., 2014, 540-541.

[210] M. Jeansch, Grundzüge des Bürgerlichen Rechts, Mit 63 Fällen und Lösungen, 3. Auflage, Heidelberg, München, Lansberg, Frechen, Hamburg, 2012, 303.

[211] D. Medicus, Schuldrecht II, Besonderer Teil, Ein Studienbuch, 12., neubearbeitete Aufl., München, 2004, 301.

ბებს განეკუთვნება შემთხვევები, როცა: ა) პირობა არ დადგა პირობითი გარიგების დროს, სსკ-ის 90-ე მუხლის პირველი ალტერნატივა (თუ გარიგება დამოკიდებულია სამომავლო და უცნობი მოვლენის დადგომაზე); ბ) ქუჩაში დადებულმა ხელშეკრულებამ ძალა დაკარგა მისი სათანადო ფორმით უარყოფისას (სსკ-ის 336-ე მუხლი); გ) პირს არ ეკისრება პასუხისმგებლობა ვალდებულების დარღვევისთვის (სსკ-ის 394-ე მუხლის 1-ლი ნაწილის გაგებით); დ) გაწეული ხარჯების ანაზღაურება ეწინააღმდეგება მეპატრონის ნებას ან ინტერესებს (სსკ-ის 973-ე, 969-ე და 974-ე მუხლები) და სხვა.[212]

ამდენად, შემსრულებელს არ აქვს უფლება, მოითხოვოს გაწეული ხარჯების ანაზღაურება, როცა მის მიერ საქმეთა შესრულება ეწინააღმდეგება მეპატრონის ნებას, ან არ შეესაბამება მის ინტერესებს. თუ შემსრულებელს შეეძლო სცოდნოდა ამის შესახებ, მაშინ მან უნდა აუნაზღაუროს შესრულებით გამოწვეული ზიანი (სსკ-ის 974-ე მუხლის 1-ლი ნაწილი). თუმცა, ამ მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, ეს წესი არ გამოიყენება, თუ მეპატრონის ნება კანონსაწინააღმდეგოა. შესაბამისად, როდესაც საკითხი ეხება სხვის საქმეთა გამართლებულ, მეპატრონის ინტერესებთან შეფარდებულ საქმეთა გაძღოლას, მაშინ მომხდარი ქონებრივი მიმოქცევა, სამართლებრივი თვალსაზრისით, საფუძვლიანია და ამიტომ გამოიყენება დავალების გარეშე სხვისი საქმეების შესრულების მომწესრიგებელი ნორმები. თუ შესრულებული მოქმედებები მეპატრონის ნებას არ შეესაბამება, ან მის ინტერესებს ეწინააღმდეგება, ამ პირობებში განხორციელებული ქონებრივი ტრანსმისიები მოკლებულია სამართლებრივ საფუძველს. დასახელებული გარემოებების დროს მოცემული სამართლებრივი ინსტიტუტის (სხვისი საქმეების შესრულება დავალების გარეშე) ფარგლებში შემსრულებელს არ შეუძლია, მოსთხოვოს მეპატრონეს თავისი ხარჯების ანაზღაურება. ამიტომ გამოიყენება უსაფუძვლო გამდიდრების ნორმები.[213] შესაბამისად, შეიძლება ასეთი დასკვნის გამოტანა: თუ გამოიკვეთა სხვისი საქმეების შესრულება, რომელიც მეპატრონის ინტერესებს შეესაბამება, ამ შემთხვევაში განხორციელებულ ქონებრივ მიმოქცევას აქვს სამართლებრივი საფუძველი, რის გამოც აქ არ გამოიყენება უსაფუძვლო გამდიდრების ნორმები. თუმცა განსხვავებულია სურათი მაშინ, როცა შემსრულებლის მოქმედებები მეპატრონის ნებას არ შეესაბამება, ან მის ინტერესებს ეწინააღმდეგება. საქმე ისაა, რომ მოცემულ პირობებში წარმოებული ქონებრივი ტრანსმისიები მოკლებულია სამართლებრივ საფუძ-

---

[212] დაწერ. იხ. ს. ჰენშელი, სამოქალაქო კაზუსების დამუშავების მეთოდიკა, თბ., 2009, 98-101.

[213] საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2013 წლის 7 მარტის გადაწყვეტილება (№ას-1150-1079-2012).

ველს, რის გამოც დავალების გარეშე სხვისი საქმეების შესრულების ინსტიტუტის ფარგლებში შემსრულებელს არ შეუძლია, მეპატრონეს მოსთხოვოს გაწეული ხარჯების ანაზღაურება (სსკ-ის 974-ე მუხლის 1-ლი ნაწილი). შესაბამისად, ამ შემთხვევაში გამოიყენება უსაფუძვლო გამდიდრების ნორმები, რომელთა მიზანია სამართლებრივი დისონანსის დამყარება. ასევე, სხვისი საქმეების შეცდომით შესრულების დროს (სსკ-ის 975-ე მუხლი) შემსრულებელი დაუცველია neg. gestio-ს ფარგლებში, თუმცა მოცემულ შემთხვევაზეც შექმნილი სამართლებრივი დეფექტის აღმოსაფხვრელად ვრცელდება უსაფუძვლო გამდიდრების ნორმები.[214]

[214] იხ. ლ. შატბერაშვილი, უსაფუძვლო გამდიდრება: სამართლიანი სამართალი? ჟურნ. „სამართალი", N6-7, 2000, 43.

IV თავი. უსაფუძვლო გამდიდრება

§ 8. უსაფუძვლო გამდიდრების ცნება და ზოგადი თავისებურებები

1. უსაფუძვლო გამდიდრების არსი

უსაფუძვლო გამდიდრების ინსტიტუტი რომის სამართლიდან იღებს დასაბამს. რომის სამართალში უსაფუძვლო გამდიდრება გამოიხატებოდა მის სახეებში, რომელთაგან ერთ-ერთი იყო არამართებული მიღება (condictio indebiti). მასში მოიაზრებოდა გადახდა არარსებული ან ისეთი ვალისა, რომელიც ერგებოდა არა გადამხდელისგან, არამედ სხვა პირისგან, ან არა მიმღების, არამედ სხვა სუბიექტის სასარგებლოდ. ამით განპირობებული გამდიდრების ოდენობა შეიძლებოდა დაზარალებულის მიერ განცდილი ზიანის ტოლი ყოფილიყო. მას შეიძლებოდა ასეთი ოდენობისთვის არ მიეღწია, თუ მიღებული ქონების ნაწილს გამდიდრებული პირი გააჩუქებდა, ან გაყიდდა შემცირებულ ფასებში. როდესაც გამდიდრებული პირის არაკეთილსინდისიერი მოქმედება გამოიწვევდა გამდიდრებას, მაშინ მას დაეკისრებოდა მიყენებული ზიანის სრულად ანაზღაურება. თუმცა, თუ უსაფუძვლო გამდიდრება არ იყო განპირობებული გამდიდრებული პირის არაკეთილსინდისიერი მოქმედებით, გამდიდრებულ პირს ევალებოდა მხოლოდ უსაფუძვლოდ მიღებულის დაბრუნება და საქმე ამით ამოიწურებოდა.[215]

დღესდღეობით უსაფუძვლო გამდიდრებიდან წარმოშობილი ვალდებულებები მოწესრიგებულია სსკ-ის 976-991-ე მუხლებში. აქ საქმე ეხება კანონისმიერ მოთხოვნებს, რომლებიც, მათი რომაული და საერთო სამართლის საწყისების მიხედვით, იწოდება „კონდიქციებად".[216] მოცემულ შემთხვევაში კრედიტორის მოთხოვნა არაა დამოკიდებული მოვალის მიერ რომელიმე ხელშეკრულების დარღვევაზე და იგი ატარებს შედარებით აბსტრაქტულ ხასიათს. ამიტომ ძველი რომის სამოქალაქო სამართალში ცნობილ აბსტრაქტულ სარჩელებთან (condictione) მსგავსების გამო, უსაფუძვლო გამდიდრების შედეგად წარმოშობილ ვალდებულებებს იურიდიულ ლიტერატურაში კონდიქციურ ვალდებულებებს უწოდებენ.[217] ძველი რომის ფორმალურ პროცესში „condictio" აბსტრაქტულ ხასიათს ატარებდა,

---

[215] ო. იოფე, გ. ნადარეიშვილი, რომის სამოქალაქო სამართლის საფუძვლები, თბ., 1994, 188-189.

[216] იხ. K. Larenz, Lehrbuch des Schuldrechts, Zweiter Band Besonderer Teil, Zehnte, völlig neubearbeitete Auflage, München, 1972, 401.

[217] რ. შენგელია, კონდიქციურ ვალდებულებათა საფუძვლები, წიგნში: „სერგო ჯორბენაძის 70 წლისადმი მიძღვნილი საიუბილეო კრებული" (შემდგ. და რედ.: რ. კნიპერი, ლ. ჭანტურია), თბ., 1996, 67.

ესე იგი, არ იყო მითითებული მოპასუხის ვალდებულების საფუძველი, რომელიც, ძირითადად, მოვალის მიერ მოსარჩელისთვის გარკვეული თანხის ან ნივთის გადაცემაში გამოიხატებოდა.[218] როგორც წესი, აქ საფუძველი არის გარიგებით მისაღწევი მიზანი. ხელშეკრულებითა და კანონით გათვალისწინებულ ასეთ საფუძვლებად ითვლება:

ა) *causa credendi (aquirendi)*- რაღაც მოქმედების შესრულება.

ბ) *causa donandi*- ჩუქების მიღება.

გ)*causa solvendi*- სავალო მოთხოვნის (ვალის) დაფარვა.

თუ დასახელებული სამი საფუძვლიდან არცერთი არ არსებობს, წარმოიშობა უსაფუძვლო გამდიდრება.[219]

უსაფუძვლო გამდიდრებიდან გამომდინარე ვალდებულება განიხილება კანონისმიერი ვალდებულების ერთ-ერთ სახედ, რომელიც გულისხმობს პირის ქონების დაზოგვას, ან გაზრდას სახელშეკრულებო და კანონისმიერი საფუძვლის გარეშე. აღნიშნული შეიძლება გამოვლინდეს სხვა პირისათვის ქონების გადაცემით, სხვისი ქონების გამოყენებით, სხვის ნაცვლად რაიმე მოქმედების (ფსევდოვალდებულების) შესრულებით და ა.შ.[220]

სწორედ ზემოაღნიშნულ ასპექტებზეა ყურადღება გამახვილებული სსკ-ის 976-ე მუხლის 1-ლ ნაწილში, რომლის თანახმად, პირს, რომელმაც სხვას ვალდებულების შესასრულებლად რაიმე გადასცა, შეუძლია მოსთხოვოს ვითომკრედიტორს (მიმღებს) მისი უკან დაბრუნება, თუ: ა. ვალდებულება გარიგების ბათილობის ან სხვა საფუძვლის გამო არ არსებობს, არ წარმოიშობა, ან შეწყდა შემდგომში; ბ. ვალდებულების საწინაალმდეგოდ ისეთი შესაგებელი იქნა წარდგენილი, რომ ხანგრძლივი დროის განმავლობაში გამორიცხულია მოთხოვნის წარდგენა.

2. უსაფუძვლო გამდიდრების ნიშნები

როგორც აღინიშნა, უსაფუძვლო გამდიდრება გულისხმობს პირის ქონების დაზოგვას, ან გაზრდას სახელშეკრულებო და კანონისმიერი საფუძვლის გარეშე.[221]

---

[218] კ. ცვაიგერტი, ჰ. კოტცი, შედარებითი სამართალმცოდნეობის შესავალი კერძო სამართლის სფეროში (მეცნ. რედ. და ბოლოთქმა თ. ნინიძის, თარგმნა ე. სუმბათაშვილმა), ტ. II, თბ., 2001, 229.

[219] იხ. თ. ბერეკაშვილი, ნ. ჯაჯანიძე, უსაფუძვლო გამდიდრების ხარვეზები ქართულ კანონმდებლობაში, ჟურნ. „ინტელექტუალი", N9, 2009, 122; იხ. მ. მ. აგარკოვი, სნ. ბრატუსი, დ. მ. გენკინი, ვ. ი. სერებროვსკი, ზ. ი. შკუნდინი, სამოქალაქო სამართალი, ტომი I, მთარგმნ. პ. ცხაკაია, თბ., 1946, 456.

[220] იხ. თ. ჩიტოშვილი, უსაფუძვლოდ გადაცემული ქონების დაბრუნების მოვალეობა, კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის მაცნე, N1, 2009, 122.

[221] იქვე, 122.

სამართლის ზოგადი პრინციპებიდან გამომდინარე, პირმა შეიძლება სარგებელი მიიღოს მხოლოდ სამართლებრივი (სახელშეკრულებო ან კანონისმიერი) საფუძვლით. ამდენად, უსაფუძვლო გამდიდრების ერთ-ერთი უმთავრესი მახასიათებელია სხვის ხარჯზე სარგებლის მიღება. თვით სარგებლის მიღების უფრო გავრცელებული სახეა სახელშეკრულებო საფუძველი, თუმცა პრაქტიკაში, ასევე, შეიძლება სარგებლის მიღება ეფუძნებოდეს კანონს. შესაბამისად, უსაფუძვლო გამდიდრების ძირითადი თავისებურებებია:

ა) სარგებლის მიღება, რაც შეიძლება გამოიხატოს სხვისი ქონების ხარჯზე პირადი ქონების გაზრდასა თუ დაზოგვაში.

ბ) სამართლებრივი საფუძვლის არარსებობა.[222]

სამართლებრივი საფუძვლის გარეშე სარგებლის მიღების შემთხვევათა წრე მრავალფეროვანია. მათ განეკუთვნება:

ა) მიმღების მიერ სარგებლის მიღება ნაგულისხმევი ხელშეკრულების, კერძოდ არანამდვილი ხელშეკრულების საფუძველზე. შესაბამისად, ასეთი ხელშეკრულება განიხილება ბათილად. აგრეთვე, ხელშეკრულება, რომელიც შემსრულებლის ვარაუდით არსებობს, მაგრამ იგი არ წარმოშობილა, არ ითვლება დადებულად;

ბ) მცდარი ვარაუდი შესრულებაზე, ე.ი., შესრულების მიღებას იმისაგან, ვისაც ეს არ ევალებოდა;

გ) ხელშეკრულების არაჯეროვანი შესრულებისას სარგებლის მიღება.

დ) პირის მიერ უმართებულო შესრულება მუქარით და სხვა.[223]

უსაფუძვლო გამდიდრების დროს კრედიტორის მოთხოვნის უფლება არაა დამოკიდებული მოვალის მიერ რომელიმე ხელშეკრულების დარღვევაზე.[224] აქ საქმე შეიძლება შეეხოს ვალდებულების არარსებობას, ბათილობას, ან შემდგომში შეწყვეტას.

მაგალითად, თუ მხარეებმა დადეს გარიგება ფორმის დაუცველად, ამ გარიგების ბათილობა წარმოშობს კანონისმიერ ვალდებულებას (სსკ-ის 59-ე, 316-317-ე მუხლები). გარიგების გაბათილების იურიდიული შედეგი უკავშირდება გარიგების დადებამდე არსებული მდგომარეობის დაბრუნებას. ამ შემთხვევაში მხარეებმა უნდა აღადგინონ პირვანდელი მდგომარეობა და ერთმანეთს დაუბრუნონ ის, რაც მათ არარა გარიგებით მიიღეს. ასეთ სამართლებრივ შედეგს ითვალისწინებს სსკ-ის 976-ე მუხლის 1-ლი ნაწ-

---

[222] უსაფუძვლო გამდიდრების არსის შესახებ იხ. Р. Саватье. Теория обязательств. Юридический и экономический очерк. Перевод с французского и вступительная статья Р. О. Халфиной. М., 1972, 322.

[223] იხ. თ. ჩიტოშვილი, უსაფუძვლოდ გადაცემული ქონების დაბრუნების მოვალეობა, კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის მაცნე, N1, 2009, 125-126.

[224] რ. შენგელია, კონდიქციურ ვალდებულებათა საფუძვლები, წიგნში: „სერგო ჯორბენაძის 70 წლისადმი მიძღვნილი საიუბილეო კრებული" (შემდგ. და რედ.: რ. კნიპერი, ლ. ჭანტურია), თბ., 1996, 67.

ილის „ა“ პუნქტი.[225] ბათილი გარიგების საფუძველზე წარმოიშობა კონდიქციური ვალდებულება, რომლის დროსაც ხელშეკრულების ორივე მხარეს ევალება მიღებული სარგებლის (ქონების) უკან დაბრუნება და ვალდებულების შეწყვეტას არ იწვევს მხოლოდ კრედიტორის მიმართ ცალმხრივად ვალდებულების შესრულება.[226]

მაგალითი: ა-მ გადაწყვიტა სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის შეძენა. ამ მიზნით ა-მ წინასწარ ნასყიდობის ფასის ანგარიშში ჩაურიცხა ბ-ს გარკვეული თანხა, რომელიც იყო ავანსი (და არა ბე) ისე, რომ აღნიშნული სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის ნასყიდობის ხელშეკრულება მათ შორის არ დადებულა. შესაბამისად, სხვის ხარჯზე კანონით ან ხელშეკრულებით გათვალისწინებული საფუძვლის გარეშე ქონების გაზრდამ ან დაზოგვამ შექმნა უსაფუძვლო გამდიდრების შემთხვევა და წარმოშვა უსაფუძვლოდ შეძენილი ან დაზოგილი ქონების უფლებამოსილი პირისათვის გადაცემის ვალდებულება. თუმცა სხვის ხარჯზე მიღებული სარგებლის (რაც შეიძლება ქონების დაზოგვაშიც გამოიხატოს) უკან დაბრუნების ვალდებულება წარმოიშობა მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ეს პირი ამით გამდიდრდა. როცა გამდიდრების ფაქტი არ არსებობს, მაშინ, საქართველოს სასამართლო პრაქტიკის მიხედვით, მხოლოდ ქონების დაზოგვა არ ქმნის კონდიქციური ვალდებულების შემადგენლობას. სსკ-ის 976-ე მუხლის დანაწესით, ვალდებულების წარმოშობისათვის აუცილებელია ერთი პირის გამდიდრება მეორის ხარჯზე. ამასთან, სარჩელის დასაკმაყოფილებლად გადამწყვეტია მხოლოდ ობიექტური შედეგი, კერძოდ, ერთმა პირმა უნდა შეიძინოს (დაზოგოს) მეორე პირის ხარჯზე რაიმე სამართლებრივი სიკეთე შესაბამისი სამართლებრივი საფუძვლის არსებობის გარეშე. ასევე, აუცილებელი პირობაა ის, რომ პირი გამდიდრდეს სხვის ხარჯზე, რის შემდეგაც ერთი პირის ქონება იზრდება მეორე პირის ქონების შესაბამისი შემცირების ხარჯზე.[227]

რაც შეეხება სსკ-ის 976-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „ბ“ პუნქტს, აქ მხედველობაშია მისაღები რამდენიმე გარემოება, რომლებიც შეიძლება აიხსნას შემდგომი მაგალითის ილუსტრაციის გზით: როცა ხელშეკრულების მეორე მხარე (მეწარმე) ხდება გადახდისუუნარო, წამოიჭრება საკითხი, უფლებამოსილია თუ არა მომხმარებელი, ურთიერთდაკავშირე-

[225] საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2011 წლის 11 ივლისის გადაწყვეტილება (№ას-188-177-2011).

[226] საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 27 სექტემბრის გადაწყვეტილება (№ას-331-308-2010).

[227] საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2013 წლის 25 ივნისის გადაწყვეტილება (№ას-448-424-2013).

ბულ სახელშეკრულებო ურთიერთობაში წარმოშობილი დარღვევების გამო გამსესხებლისგან უკან მოითხოვოს უკვე გადახდილი ნაწილობრივი სასესხო შენატანები? აქ უნდა გაიმიჯნოს ორი შემთხვევა: ა) თუ ურთიერთდაკავშირებული ხელშეკრულება თავიდანვე ბათილი იყო, მაშინ, სსკ-ის 976-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „ბ“ პუნქტის მიხედვით, მომხმარებელს უფლება აქვს, გამსესხებლისგან მოითხოვოს გადახდილის დაბრუნება; ბ) ურთიერთდაკავშირებული ხელშეკრულების დადების შემდგომ წარმოშობილი შესაგებლის მიმართ (მაგალითად, ხელშეკრულებიდან გასვლა ნივთის ნაკლის დროს) არ ვრცელდება სსკ-ის 976-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „ბ“ პუნქტი. ეს ნორმა იმიტომ არ გამოიყენება, რომ აქ ჯერ კიდევ ვალდებულების განხორციელების მომენტში უნდა არსებობდეს განგრძობადი შესაგებელი, რომელიც მოთხოვნის განხორციელებას გამორიცხავს.[228]

მაგალითი: ანდღულაძეს ჰქონდა კირვალიძის ვალი (150 ლარი), რომელიც მხარეს 2003 წლის 23 თებერვალს უნდა შეესრულებინა. კირვალიძეს 2007 წლის ნოემბერს გაახსენდა თავისი მოთხოვნა და ამის შესახებ გააფრთხილა ანდღულაძე. კეთილგანწყობილმა ანდღულაძემ რამდენიმე დღის შემდეგ გადაუხადა კირვალიძეს თანხა. ცოტა ხნის მერე ანდღულაძემ შეიტყო, რომ კირვალიძე ყველგან ყვებოდა, თითქოს ის „საშინელი მოვალე“ იყო და გაბრაზდა. ამას ემატება ის, რომ ნაცნობმა ადვოკატმა ანდღულაძეს აუხსნა ხანდაზმულობის შესახებ.

აქ მხარეებს შორის დაიდო სესხის ხელშეკრულება, რომლის ხანდაზმულობის ვადა, სახელშეკრულებო მოთხოვნებიდან გამომდინარე, სამი წელია (სსკ-ის 129-ე მუხლის 1-ლი ნაწილი). შესაბამისად, მოცემულ შემთხვევაში ხანდაზმულობის ვადა გავიდა 2006 წელს. ეს იმას გულისხმობს, რომ უფლება ქარწყლდება. როდესაც კირვალიძემ გააფრთხილა ანდღულაძე, რომელმაც თანხა გადაიხადა, მოთხოვნის საწინააღმდეგოდ არსებობდა ხანდაზმულობის ვადის შესაგებელი (ანდღულაძეს რომ ის უნდა გამოეყენებინა). მიუხედავად ამისა, ანდღულაძეს არა აქვს უფლება, მოითხოვოს გადახდილი თანხის უკან დაბრუნება სსკ-ის 976-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „ბ“ პუნქტის მიხედვით, ვინაიდან სსკ-ის 144-ე მუხლის მე-2 ნაწილიდან გამომდინარეობს, რომ ეს გამორიცხულია იმ შემთხვევებშიც, როცა შესრულების გამღებმა არ იცოდა ხანდაზმულობის

---

[228] ი. კროპჰოლერი, გსკ — სასწავლო კომენტარი, გადამუშავეს ფ. იაკობმა და მ. ფონ პინდენმა, მე-13 გადამუშავებ. გამოცემა, თარგმნეს თ. დარჯანიამ და ზ. ჭეჭელაშვილმა, თბ., 2014, 258-259.

ვადის გასვლის შესახებ. წინააღმდეგ შემთხვევაში ამ ნორმის გამოყენებას პრაქტიკულად არც თუ ისე დიდი მნიშვნელობა ექნებოდა.[229]

ამდენად, შესრულების ან სხვა გზით გამდიდრების დროს არ უნდა არსებობდეს სამართლებრივი საფუძველი, რასაც თავად კანონი განსაზღვრავს (სსკ-ის 976-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „ა" და „ბ" პუნქტები). თუ არსებობს შესაგებელი, რომელიც ვალდებულებას გამორიცხავს, აღნიშნული მაინც არ უსპობს ფსევდოკრედიტორს შესრულების უკან დაბრუნების მოთხოვნას. ესე იგი, ვალდებულება მართლაც არსებობს, თუმცა მასზე უფლება არამართლზომიერადაა (უსაფუძვლო გამდიდრების თუ დელიქტის შედეგად) მიღებული, რაც ფაქტობრივად ნიშნავს მის არარსებულად განხილვას. ეს შესაგებელი არაა დროებითი და კონკრეტული პირობებიდან გამომდინარე გარემოება; ის ზოგადი და დროით შეუზღუდავი ხასიათისაა. კანონის დონეზე ეს გარემოება ასახულია ასე: „... ხანგრძლივი დროის განმავლობაში..." იურიდიულ ლიტერატურაში საკმაებით ლოგიკურად გამოითქვა მოსაზრება, რომ ეს გარკვეულწილად უხერხულობას წარმოშობს, ვინაიდან შეიძლება ისე იყოს აღქმული, თითქოს გარკვეული დროის შემდეგ ეს შესაგებელი შეიძლება მოიხსნას, ხოლო მოთხოვნა წარდგენილ იქნეს, რაც, მაგალითად, ქურდობის შემთხვევაში გამორიცხულია ამ კონკრეტული მოთხოვნისთვის.[230]

3. უსაფუძვლო გამდიდრების მიზანი

უსაფუძვლო გამდიდრების მიზანია გაუმართლებლად შეძენილი ქონების (შეკავათის, უპირატესობის, უფლების) ამოღება და ამგვარად ქონებრივი მიმოქცევის წონასწორობის აღდგენა. კონდიქციური ვალდებულებების ფუნქციაა სამოქალაქო ბრუნვის სტაბილურობის უზრუნველყოფა და სამოქალაქოსამართლებრივ ურთიერთობათა სუბიექტების ინტერესთა დაცვა. ესე ეგი, უსაფუძვლო გამდიდრების შინაარსი ისეთი ქონების მოძრაობის უკუქცევაა, რომელიც საფუძველმოკლებულია, ან რისი საფუძველიც არასოდეს არსებობდა. შესაბამისად, გასათვალისწინებელია კეთილსინდისიერების პრინციპი, რაც სამოქალაქო ურთიერთობის მონაწილეებისთვის გულისხმობს მათ მიერ სამოქალაქო უფლება-მოვალეობების კეთილსინდისიერად განხორციელებას.[231]

---

[229] იხ. ჯ. ბიოლინგი, პ. ლუტრინგჰაუსი, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის ცალკეული მოთხოვნის საფუძვლების სისტემური ანალიზი, თბ., 2009, 85-86.

[230] ლ. შატბერაშვილი, უსაფუძვლო გამდიდრება: სამართლიანი სამართალი? ჟურნ. „სამართალი", N6-7, 2000, 36.

[231] საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2011 წლის 16 ივნისის გადაწყვეტილება (№ას-660-621-2011).

მოცემულ შემთხვევაში სამართლებრივი საფუძვლის არარსებობა აძლევს კრედიტორს გარკვეული მოთხოვნების წარდგენის უფლებას. ამ კონდიქციური მოთხოვნების ძირითადი მიზანია, გააწონასწოროს ქონების უსაფუძვლო გაზრდით შექმნილი მდგომარეობა, რომელიც ფაქტობრივად განხორციელებულმა, მაგრამ სამართლებრივად გაუმართლებელმა ქმედებამ წარმოშვა.[232]

§ 9. უსაფუძვლო გამდიდრების სახეები

გაბატონებული შეხედულების მიხედვით, განასხვავებენ უსაფუძვლო გამდიდრების ორ ჯგუფს: შესრულებისა და შეუსრულებლობის კონდიქციებს.[233]

იურიდიულ ლიტერატურაში არის მოსაზრება, რომლის თანახმად, უკეთესი იქნებოდა, სსკ-ში, მსგავსად სამოქალაქო კოდექსების უმეტესობისა, განცალკევებულიყო „უსაფუძვლო გადაცემა-შესრულება“ და „უსაფუძვლო გამდიდრება“. პირველ შემთხვევაში მოვალე იხდის ფულად თანხას, ან გადასცემს საქონელს, ან ახორციელებს ქმედებას მეორე პირის მიმართ, ვინაიდან მას მიაჩნია, რომ ვალდებულია ამ პირის მიმართ, თუმცა შემდეგ ნათელი ხდება, რომ ასეთი ვალდებულება რეალურად არ არსებობს. ეს იმითაა განპირობებული, რომ ვალდებულება საერთოდ არ არსებობდა, ან არსებობდა, მაგრამ მოგვიანებით მოსამართლის მიერ ძალადაკარგულად გამოცხადდა ხელშეკრულება, რომლის საფუძველზეც წარმოიშვა ეს ვალდებულება. ამ შემთხვევაში პირმა, რომელმაც უსაფუძვლო გადაცემით ან შესრულებით გარკვეული სარგებელი მიიღო, უნდა დააბრუნოს ყველაფერი და აღადგინოს პირვანდელი მდგომარეობა. რომის სამართლის მიხედვით, ვალდებულ პირს, რომელსაც შეუძლია პირვანდელი მდგომარეობის აღდგენის მოთხოვნა დააყენოს, აქვს შესრულების კონდიქციიდან გამომდინარე უფლება (Condictio Indibiti). მეორე მხრივ, უსაფუძვლო გამდიდრებასთან დაკავშირებით პრეტენზია შეიძლება წარედგინოს იმ მესამე პირს, რომელიც ქმედების შემსრულებელთან არ იმყოფება სამართლებრივ ურთიერთობაში, მაგრამ მიიღო გარკვეული სარგებელი. „უსაფუძვლო გადაცემისა და შესრულებისაგან“ განსხვავებით, „უსაფუძვლო გამდიდრების“ შემთხვევაში

---

[232] იხ. K. Larenz, Lehrbuch des Schuldrechts, Zweiter Band Besonderer Teil, Zehnte, völlig neubearbeitete Auflage, München, 1972, 401. უშუალოდ ამ მოთხოვნების შესახებ დაწვრილებით იქნება განხილული შემდგომ ქვეთავებში.

[233] ი. კროპჰოლერი, გსკ – სასწავლო კომენტარი, გადამუშავეს ფ. იაკობმა და მ. ფონ პინდენმა, მე-13 გადამუშავებ. გამოცემა, თარგმნეს თ. დარჯანიამ და ზ. ჭეჭელაშვილმა, თბ., 2014, 590.

არაა აუცილებელი, მესამე პირმა აღადგინოს the status quo ante, თუმცა, ეკალება, გადაიხადოს კომპენსაცია იმ ოდენობის ფარგლებში, რა ოდენობის სარგებელიც მან მიიღო ამგვარი შესრულებით. ნიდერლანდების სამოქალაქო სამართალში, მსგავსად გერმანული სამოქალაქო სამართლისა, ეს განსხვავება ნათლად ჩანს. ნიდერლანდების სამოქალაქო სამართლის მე-6 წიგნის მე-2 კარის მე-3 თავი ეხება „უსაფუძვლო გადაცემას", ხოლო მე-3 კარი - „უსაფუძვლო გამდიდრებას". თუ სსკ-ს ყურადღებით დავაკვირდებით, მსგავსი განსხვავებების პოვნა აქაც შესაძლებელია. სსკ-ის 987-ე მუხლში გათვალისწინებულია „უსაფუძვლო გამდიდრება", ხოლო სსკ-ის 976-ე მუხლში, მიუხედავად სათაურისა – „უსაფუძვლო გადაცემა და შესრულება". ამით ნათელი ხდება, რატომ უნდა აუნაზღაუროს მოპასუხემ მოსარჩელეს, სსკ-ის 987-ე მუხლზე დაყრდნობით, იმ შემთხვევაში, თუ ის „გამდიდრდა", ხოლო, სსკ-ის 976-ე მუხლის მიხედვით, უნდა „დააბრუნოს" ის, რაც მიიღო.[234]

1. შესრულების კონდიქციის ცნება და საზღვრები

1.1. შესრულების კონდიქციის ზოგადი დახასიათება

რომის სამართლიდან ცნობილია, რომ ვალის არსებობისას შესრულების მოთხოვნის შესახებ კონდიქციურ სარჩელს ერქვა **Condictio indebeti** (არამართებული მიღება). ის გამოიხატებოდა არარსებული ან ისეთი ვალის გადახდაში, რომელიც ერგებოდა არა გადამხდელისგან, არამედ სხვა პირისგან, ან არა მიმღების, არამედ სხვა სუბიექტის სასარგებლოდ. თუ გამდიდრებული პირის არაკეთილსინდისიერ მოქმედებას მოჰყვებოდა უსაფუძვლო გამდიდრება, მაშინ მას უნდა აენაზღაურებინა მიყენებული ზიანი სრულად, მაგრამ, თუ უსაფუძვლო გამდიდრება არ იყო გამოწვეული გამდიდრებული პირის არაკეთილსინდისიერი მოქმედებით, მას ეკალებოდა მხოლოდ უსაფუძვლოდ მიღებულის დაბრუნება და ამით საქმე დასრულდებოდა. ამდენად, უსაფუძვლო გამდიდრებიდან წარმოშობილი ვალდებულება გულისხმობდა ფსევდოკრედიტორის სასარგებლოდ შეცდომით განხორციელებულ შესრულებასა და შემსრულებლის მხარეზე სამოქალაქოსამართლებრივი მოთხოვნის წარმოშობას, რათა ამ უკანასკნელს გამოეთხოვა შესრულების შედეგი. დაზარალებულს ფსევდოკრედიტორისგან იცავდა კონდიქციური სარჩელი. უსაფუძვლოდ გამდიდრებული კრედიტორის ვალდებულების დროს ის თავის სასარგებლოდ შეცდომით იღებდა შესრულების შედეგებს, რის გამოც განხორციელებული მოქმედების

[234] ჯ. ვილემსი, ქართული და ჰოლანდიური ვალდებულებითი სამართლის შედარებითი ანალიზი, წიგნში „ვალდებულებითი სამართალი", თბ., 2006, 96-97.

საფუძველზე ობიექტურად უარესდებოდა შემსრულებლის მდგომარეობა. ამასთან, როცა ერთი პირი მიიღებდა მეორის ქონებას ამისთვის აუცილებელი საფუძვლის გარეშე, ასეთი შენაძენის სანაცვლოდ მას უნდა მიეცა კომპენსაცია იმ პირისთვის, ვის ხარჯზეც უსაფუძვლოდ გამდიდრდა, მიუხედავად იმისა, თუ რომელი მხარე აღმოჩნდებოდა უსაფუძვლოდ გამდიდრებული (conctio sine causa). [235]

დღესდღეობით შესრულების კონდიქცია გულისხმობს მიზანმიმართული, თუმცა წარუმატებელი გადაცემული ქონებრივი ღირებულების დაბრუნებას საწყის მდგომარეობაში. შესაბამისად, შესრულების კონდიქციის ფუნქცია ისეთივეა, როგორიცაა ხელშეკრულებიდან გასვლის მომწესრიგებელი ნორმების, რომელთაგანაც ის, ძირითადად, განსხვავდება თავისი შემსუბუქებული პასუხისმგებლობის მასშტაბით.[236] უპირველეს ყოვლისა, ხელშეკრულებიდან გასვლისას ვალდებულების სამართლებრივი საფუძველი (ხელშეკრულება) ძალაში რჩება და საუბარი ეხება მხოლოდ მისი შესრულების დარღვევას. ხელშეკრულებიდან გასვლა არ იწვევს პირვანდელი ხელშეკრულების ბათილობას. რაც შეეხება კონდიქციურ ვალდებულებას, აქ ვალდებულების სამართლებრივი საფუძვლის ბათილობა განაპირობებს პირვანდელი მდგომარეობის აღდგენას. ამასთან, პირველ შემთხვევაში მოვალეს შეიძლება დაეკისროს მიყენებული ზიანის ანაზღაურებაც, ხოლო უსაფუძვლო გამდიდრების დროს, როგორც წესი, პასუხისმგებლობა შეიძლება შემოიფარგლოს მხარეთათვის მიღებულის უკან დაბრუნებით.[237]

1.2. შესრულების კონდიქციის სახეები

ა. შესრულების კონდიქციის ძირითადი შემთხვევა (*Condictio indebiti*)

შესრულების კონდიქციის სახეებს განეკუთვნება: ა) ***Condictio indebiti*** (შესრულების კონდიქციის ძირითადი შემთხვევა); ბ) ***Condictio ob causam finitam***; გ) ***Condictio ob rem (Condictio causa data, causa non secuta)***. შესრულების კონდიქციის ძირითადი შემთხვევა უკავშირდება უსაფუძვლო გამდიდრების მოთხოვნის კრედიტორის მიერ შესრულე-

---

[235] იხ. ო. იოფე, გ. ნადარეიშვილი, რომის სამოქალაქო სამართლის საფუძვლები, თბ., 1994, 188-189; მ. გარიშვილი, მ. ხოფერია, რომის სამართალი, თბ., 2013, 437-439.

[236] ი. კროპოლერი, გზკ – სასწავლო კომენტარი, გადამუშავეს ფ. იაკობმა და მ. ფონ პინდენმა, მე-13 გადამუშავებ. გამოცემა, თარგმნეს თ. დარჯანიამ და ზ. ჭეჭელაშვილმა, თბ., 2014, 592.

[237] ლ. შატბერაშვილი, უსაფუძვლო გამდიდრება: სამართლიანი სამართალი? ჟურნ. „სამართალი", N6-7, 2000, 41; ლ. ჭანტურია, სსკ-ის კომენტარი, მე-3 წ., თბ., 2001, 234-235.

ბას, რათა მიაღწიოს (სავარაუდო) ვალდებულებისგან გათავისუფლებას (solvendi causa). შესრულება ხორციელდება სამართლებრივი საფუძვლის გარეშე, როდესაც იგი ვერ აღწევს დასახულ მიზანს. მაგალითად, ვალდებულება ან საერთოდ არ არსებობს, ან სინამდვილეში უნდა განახორციელოს არა შემსრულებელმა, არამედ მესამე პირმა, ანდა თავიდანვე სამართლებრივად არაა ნამდვილი. ეს შეეხება ვალდებულების დამდგენი ხელშეკრულების ბათილობას ფორმის დაუცველობის ან შეცილების გამო. არსებული ვალიდან გამომდინარე შესრულებას უთანაბრდება შესრულებები, რომლებიც, მყარი შესაგებლების არსებობის მიუხედავად, განხორციელდა მოცემული ვალის გამო (სსკ-ის 976-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „ბ" პუნქტი). ასეთია მაგალითად, შესრულება იმ მოთხოვნის საფუძველზე, რომელიც წარმოიშობა უკანონო მოქმედების შედეგად. Condictio indebiti გამორიცხულია სსკ-ის 976-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა"–„გ" პუნქტებით გათვალისწინებულ შემთხვევებში, კერძოდ თუ შემსრულებელი აღიარებს ვალის არარსებობას.

შესრულების კონდიქციის წინაპირობებია: ა) რაიმეს შეძენა; ბ) ვითომ-კრედიტორის შესრულების შედეგად გამდიდრებულის მიერ ქონებრივი სარგებლის მიღება; გ) სამართლებრივი საფუძვლის გარეშე შეძენა.[238]

ა.ა. რაიმეს გადაცემა

„რაიმეს გადაცემა" უკავშირდება ნებისმიერი სარგებლის მომტან სამართლებრივ სიკეთეს, კერძოდ, სანივთო ან პირადი უფლების შეძენას: საკუთრების, გირავნობის უფლება, სახელშეკრულებო ვალდებულების აღიარება, ასევე, რაიმე უფლების მომავალში მიღების უფლება, მფლობელობა, ვალებისგან განთავისუფლება, ვალის შემცირება (მაგალითად, კრედიტორის უარი თავის მოთხოვნაზე). ამასთან, ქონებრივი შეღავათია ქონების დაზოგვაც. შესრულებაში მოიაზრება „სხვა პირის ქონების გაცნობიერებული და მიზანმიმართული გაზრდა." აქ არსისმიერია, უპირველეს ყოვლისა, შესრულების ცნების ფუნქციის განსაზღვრა. შესრულების კონდიქცია განსხვავდება „სხვაგვარი" უსაფუძვლო გამდიდრებიდან გამომდინარე მოთხოვნის უფლებებისგან. ამასთან, სამმხრივ ურთიერთობაში უნდა გაეცეს პასუხი პრობლემურ საკითხებს, რომლებიც შეეხება მაგალითად, შესრულების ურთიერთობაში მონაწილეობასა და მის შედეგად მიღებული უსაფუძვლო გამდიდრებიდან გამომდინარე მოთხოვნის უფლებას. აქ მნიშვნელოვანია შესრულების გაცნობიერება, რომელშიც არა თუ გარიგების ნება, არამედ ბუნე-

[238] ი. კროპოლერი, გსკ – სასწავლო კომენტარი, გადაამუშავეს ფ. იაკობმა და მ. ფონ პინდერმა, მე-13 გადამუშავებ. გამოცემა, თარგმნეს თ. დარჯანიამ და ზ. ჭეჭელაშვილმა, თბ., 2014, 592-594.

ბრივი გაცნობიერების უნარი მოიაზრება.[239] ამიტომაცაა, რომ შემსრულებელი უნდა აცნობიერებდეს, რომ თავისი ქმედებით ზრდის სხვის ქონებას. მაგალითად, ა-მ შეელება ბ-ს ღობე, ვინაიდან შეცდომით მიაჩნია, რომ ბ-ს საღებავით ღებავდა ღობეს. მოცემულ შემთხვევაში ა-მ ფაქტობრივად გაზარდა სხვისი (ბ-ს) ქონება, თუმცა მაინც ვერ ეისაუბრებთ შესრულებაზე, რადგან მოქმედება განხორციელდა გაუცნობიერებლად. ამასთან, უმნიშვნელოვანესია, რომ შემსრულებლის მიერ სხვისი ქონების გაზრდა ემსახურებოდეს კონკრეტული მიზნის მიღწევას. ასეთია მაგალითად საკუთარი ვალის დაფარვა.

ასევე, გასათვალისწინებელია შესრულების მიზანი. სწორედ შესრულებით დასახულ მიზანზეა დამოკიდებული თვით „სამართლებრივი საფუძვლის გარეშე" გაგება. შესაბამისად, შესრულება უნდა მოიცავდეს ქონების როგორც გაცნობიერებულ, ისე მიზანმიმართულ შევსებას.[240] როგორც ჩანს, შესრულების კონდიქციის ძირითადი ელემენტია შესრულება, ანუ მოსარჩელის მიერ მოპასუხისთვის იმ ქონებრივი მოგების შეგნებულად გადაცემა, რომელიც უნდა გაუქმებულიყო, ვინაიდან მას საფუძვლად ვალდებულების ბათილობა ან შემდგომ ხელშეკრულების შეწყვეტა ედო.[241] ამიტომ შესრულების კონდიქციის დროს უნდა არსებობდეს შეგნებულად და მიზანმიმართულად განხორციელებული მოქმედება, რაც იწვევს „ვითომ-კრედიტორის" მიერ ქონებრივი შეღავათის მიღებას (გამდიდრებას). თუ ეს მოქმედებები არ არის გააზრებული და მიზანმიმართული, ანუ შეგნებულად და მიზანმიმართულად არ ხორციელდება „ვითომ-კრედიტორის" მიმართ, მაშინ შესრულების კონდიქცია არ იარსებებს და, ამდენად, არც მისი მომწესრიგებელი ნორმა გამოიყენება.[242]

---

[239] შესრულება უნდა ეფუძნებოდეს შემსრულებლის ნებას. შესრულების დროს იძულება უნდა გამოირიცხოს. ის შეიძლება მოემსახუროს მესამე პირის ჩართვას (შესრულების შუამავალი), მაგალითად, მოქმედება შეიძლება შესრულდეს ბანკის მეშვეობით. იხ. Ch. Danwerth, Neue Schale, alter Kern? Der Bereicherungsausgleich nicht autorisierter Überweisungen nach dem neuen Zahlungsverkehrsrecht, In: "Zeitschrift für das Juristische Studium", 6. Jahrgang, Ausgabe 3/2013, 225; "რაიმეს გადაცემასთან" დაკავშირებით იხ. F. Bien, Grundkurs BGB IIb, Außervertragliches Schuldrecht: Ungerechtigte Bereicherung, Geschäftsführung ohne Auftrag, unerlaubte Handlungen (einschließlich §§ 249 ff. BGB), 2014, 8, <http://www.jura.uni-wuerzburg.de/fileadmin/02140600/Lehre/Materialien/BGB_IIb/BGB_II_b_Skript_GESAMT__04-2014_.pdf> [20.05.2015].

[240] ამ წინაპირობებთან დაკავშირებით ასევე იხ. H. Dörner, Schuldrecht 2, Gesetzliche Schuldverhältnisse, 5., völlig neubearbeitete und erweiterte Auflage, Fälle und Lösungen nach höchstrichterlichen Entscheidungen, Heidelberg, 2002, 6, 9-10.

[241] აღნიშნულთან დაკავშ. იხ. კ. ცვაიგერტი, ჰ. კოტცი, შედარებითი სამართალმცოდნეობის შესავალი კერძო სამართლის სფეროში (მეცნ. რედ. და ბოლოთქმა თ. ნინიძის, თარგმნა ე. სუმბათაშვილმა), ტ. II, თბ., 2001, 234.

[242] საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2013 წლის 5 დეკემბრის გადაწყვეტილება (№ას-472-448-2013); უსაფუძვლო გამდიდრების არსისა და წინაპირობების შესახებ იხ. Chr. Förster, Schuldrecht, Besonderer Teil, Eine Einführung mit Fällen, Heidelberg, München, Landsberg, Frechen, Hamburg, 2012, 261-270; ასევე იხ. V. Emmerich, BGB – Schuldrecht, Besonderer Teil, 13. Auflage, Heidelberg, München, Landsberg, Frechen, Hamburg, 2012, 207-212.

აქვე მიზანმიმართულობის სამართლებრივ ბუნებასთან დაკავშირებით დასადგენია, საქმე ეხება ცალმხრივ გარიგებას თუ სულ მცირე გარიგების მსგავს მოქმედებას, ან რამდენად საკმარისია ბუნებითი ნების გამოხატვა თანხმობის დასადგენად.

ერთ-ერთი შეხედულების მიხედვით, გარიგებაუნარიანობა არაა აუცილებელი, ვინაიდან შესრულება უკავშირდება ფაქტობრივ მოქმედებას (და არა გარიგებისმიერ ნიშნებს); შესრულების არსებობისთვის საკმარისია შესაბამისი ბუნებითი ნება, რომელიც მცირეწლოვანსაც შეიძლება ჰქონდეს.[243] სსკ-ის 976-ე მუხლის 1-ლი ნაწილის მიხედვით, ამ შემთხვევაში შემსრულებლის ქმედუნარიანობა არაა აუცილებელი. შესაბამისად, ქმედუუნაროს შეუძლია, ასევე, შეასრულოს, რამდენადაც მას ძალუძს მხოლოდ ბუნებითი ნების გამოხატვა. ამ შემთხვევაში ვინაიდან შეიძლება მიზანმიმართულობა დადგინდეს, ბათილი გარიგების დადება განიხილება შესრულების კონდიქციის ფარგლებში.

ამასთან, გარიგების დასადებად გამოვლენილი ნება აუცილებელია, თუ შესრულება მოიაზრებს შემსრულებლის ქმედუნარიანობას. შესაბამისად, ქმედუუნარო პირს არ შეუძლია ასეთი ნებით შეასრულოს კონკრეტული მოქმედება (საიდანაც გამომდინარეობს, რომ კანონიერი წარმომადგენლის გზით მხოლოდ შეუსრულებლობის კონდიქცია მიიღება მხედველობაში). შეზღუდულ ქმედუნარიანთან დაკავშირებით აუცილებელია კანონიერი წარმომადგენლის თანხმობა. თუ აქ თანხმობა არაა, მაშინ შესრულებულის უკან დაბრუნება შეიძლება შესრულების კონდიქციაზე დაყრდნობით.

ამდენად, აუცილებელია გაიმიჯნოს ორი შემთხვევა: ერთი მხრივ, თუ შესრულების კონდიქციის მოთხოვნა ეფუძნება გარიგებას (მაგალითად, ფასის გადახდა), მაშინ მას შეუძლია იგივე მოთხოვნა წარადგინოს სულ მცირე კონკლუდენტური მოქმედების დროსაც; მეორე მხრივ, როცა შესრულების კონდიქციიდან გამომდინარე მოთხოვნა ეფუძნება რეალაქტს (ქმედუუნარო პირის მიერ ნებაყოფლობით უარის თქმა საკუთრებაზე) და ნების გამოხატვას. მოთხოვნის წარსადგენად საკმარისია ფაქტობრივ შესრულებაზე ორიენტირებული მოქმედებისა და ბუნებითი ნების არსებობა. შესაბამისად, მოცემულ შემთხვევაშიც შესაძლებელია შესრულების კონდიქციაზე საუბარი.[244]

---

[243] F. Bien, Grundkurs BGB IIb, Außervertragliches Schuldrecht: Ungerechtigte Bereicherung, Geschäftsführung ohne Auftrag, unerlaubte Handlungen (einschlißlich §§ 249 ff. BGB), 2014, 9, <http://www.jura.uni-wuerzburg.de/fileadmin/02140600/Lehre/Materialien/BGB_IIb/BGB_II_b_Skript_GESAMT__04-2014_.pdf> [20.05.2015].

[244] იხ. R. Schmidt, Schuldrecht Besonderer Teil II _ Gesetzliche Schuldverhältnisse, 1. Auflage, Grasberg bei Bremen, 2003, 88-89.

ა.ბ. ქონებრივი სარგებლის მიღება

კონდიქციიდან წარმოშობილი ყველა მოთხოვნის უფლების საერთო ნიშანია ის, რომ უსაფუძვლო გამდიდრებით მოვალემ მიიღოს ქონებრივი სარგებელი ამ ცნების ფართო გაგებით. ნებისმიერ უფლებას შეიძლება შეეხოს უსაფუძვლო გამდიდრება, ეს იქნება სანივთო თუ ვალდებულებითი ხასიათის.[245]

ზოგადად, სუბიექტმა სარგებელი შეიძლება მიიღოს უსაფუძვლოდ როგორც სუბიექტთა ნებით, ისე მათი ნებისაგან დამოუკიდებლად. თუ უსაფუძვლო გამდიდრება ემყარება მხარეთა, ან მხარის ნებას, როგორც შემსრულებლის, ისე მიმღების მხრიდან, მაშინ უფრო მეტი შესაძლებლობა არსებობს იმისა, რომ პირმა მართლსაწინააღმდეგოდ და ბრალეულად იმოქმედოს, რაც თავისთავად სამართლებრივ შედეგებზეც აისახება. ამასთან, როცა პირი უსაფუძვლოდ მიიღებს სარგებელს, მისგან მიღებულის უკან დაბრუნების მოთხოვნა შეიძლება შესრულდეს მოთხოვნის სამართლებრივ საფუძველზე. თავის მხრივ, უსაფუძვლოდ მიღებული სარგებლის დაბრუნების ვალდებულების აღსრულება სხვადასხვა გარემოებას უკავშირდება. შესაბამისად, მოსარჩელის მოთხოვნის დაკმაყოფილება და საფუძვლიანობა დამოკიდებულია ზემოთ მოცემული გარემოებების კუმულაციური წესით არსებობაზე.[246]

უსაფუძვლო გამდიდრებიდან წარმოშობილი ვალდებულება გულისხმობს პირის ქონების დაზოგვას, ან გაზრდას სახელშეკრულებო და კანონისმიერი საფუძვლის გარეშე. ეს შეიძლება გამოვლინდეს სხვა პირისათვის ქონების გადაცემით, სხვისი ქონების გამოყენებით, სხვის ნაცვლად რაიმე მოქმედების (ფსევდოვალდებულების) შესრულებით და ა. შ.[247]

ა.გ. სამართლებრივი საფუძვლის გარეშე შეძენა

„სამართლებრივი საფუძვლის გარეშე“ ცნება ადგენს უსაფუძვლო გამდიდრების შენარჩუნების შესაძლებლობას. შესრულების კონდიქციის დროს არ არსებობს სამართლებრივი საფუძველი, როდესაც ქონების (გაცნობიერებული) გაზრდით დასახული მიზანი ვერ იქნა მიღწეული. რამ-

---

[245] ი. კროპჰოლერი, გსკ — სასწავლო კომენტარი, გადაამუშავეს ფ. იაკობმა და მ. ფონ პინდენმა, მე-13 გადამუშავებ. გამოცემა, თარგმნეს თ. დარჯანიამ და ზ. ჭეჭელაშვილმა, თბ., 2014, 591.

[246] იხ. თ. ჩიტოშვილი, ქონების უსასყიდლოდ განკარგვა, როგორც უსაფუძვლოდ გამდიდრების საფუძველი, ჟურნ. „მართლმსაჯულება“, N2, 2008, 92.

[247] იხ. თ. ჩიტოშვილი, უსაფუძვლოდ გადაცემული ქონების დაბრუნების მოვალეობა, კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის მაცნე, N1, 2009, 122.

დენადაც მიზანი განსაზღვრულია, სამართლებრივი საფუძვლის დაკარგვის საკითხი დამოკიდებულია შესრულების კონდიქციის სახეებზე.[248]

აქ საქმე ეხება სარგებლის მიღებას სამართლებრივი საფუძვლის გარეშე, რომელიც უნდა ეფუძნებოდეს ხელშეკრულებას, ან კანონს. შესაბამისად, მოცემულ შემთხვევაში პირი მდიდრდება სხვისი ქონების ხარჯზე საკუთარი ქონების გაზრდითა თუ დაზოგვით ისე, რომ არ არსებობს სამართლებრივი საფუძველი.[249]

შესრულების კონდიქციის დროს სამართლებრივი საფუძველი არ არსებობს შემდეგ შემთხვევებში, სახელდობრ: თუ გარიგება გაბათილდა ან სხვა საფუძვლის გამო არაა, ასევე, არ წარმოშობილა ან შეწყდა შემდგომში (სსკ-ის 976-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „ა" პუნქტი). მაგალითად, ჩუქების საფუძველზე პირმა მიიღო ნივთი, მაგრამ ჩუქების გაბათილება უკავშირდება ვალდებულების არარსებობას და მიღებული ექვემდებარება დაბრუნებას.

გარიგების ბათილობის საფუძვლებია: ქმედუუნარობა, კანონისმიერი აკრძალვის თუ საზოგადოდ აღიარებული მორალური ნორმების ხელყოფა, გარიგების ფორმის დარღვევა და სხვ.[250]

სამართლებრივი საფუძვლის გარეშე სარგებლის მიღება შეიძლება გამოიხატოს სხვადასხვა ფორმაში. მათ განეკუთვნება:

ა) მიმღების მიერ სარგებლის მიღება ნაგულისხმევი ხელშეკრულების, კერძოდ ისეთი ხელშეკრულების საფუძველზე, რომელიც არაა ნამდვილი. შესაბამისად, ასეთი ხელშეკრულება განიხილება ბათილად. აგრეთვე, ხელშეკრულება, რომელიც შემსრულებლის ვარაუდით არსებობს, მაგრამ იგი არ წარმოშობილა, არ ითვლება დადებულად;

ბ) მცდარი ვარაუდი შესრულებაზე, რაც გულისხმობს შესრულების მიღებას იმისაგან, ვისაც ეს არ ევალებოდა, ანუ შემსრულებელი ვარაუდობდა, რომ კანონით მას ევალებოდა მისი შესრულება, თუმცა სხვა იყო ამ შესრულებაზე ვალდებული;

გ) ხელშეკრულების არაჯეროვანი შესრულებისას სარგებლის მიღება. მაგალითად: მიწოდების ხელშეკრულების საფუძველზე, მიმღებს გადაეცა ორი ტონა ნედლეული ნაცვლად ერთი ტონისა;

---

[248] იხ. ი. კროპჰოლერი, გსკ – სასწავლო კომენტარი, გადათარგმნეს ფ. იაკობმა და მ. ფონ ჰინდენმა, მე-13 გადამუშავებ. გამოცემა, თარგმნეს თ. დარჯანიამ და ზ. ჭეჭელაშვილმა, თბ., 2014, 593-594; შესრულებისა და ხელყოფის კონდიქციებზე იხ. ლ. შატბერაშვილი, უსაფუძვლო გამდიდრება: სამართლიანი სამართალი? ჟურნ. „სამართალი", N6-7, 2000, 35-37.

[249] უსაფუძვლო გამდიდრების არსის შესახებ იხ. Р. Саватье, Теория обязательств, Юридический и экономический очерк, Перевод с французского и вступительная статья Р. О. Халфиной, М., 1972, 322.

[250] იხ. F. Bien, Grundkurs BGB IIb, Außervertragliches Schuldrecht: Ungerechtigte Bereicherung, Geschäftsführung ohne Auftrag, unerlaubte Handlungen (einschlißlich §§ 249 ff. BGB), 2014, 9, <http://www.jura.uni-wuerzburg.de/fileadmin/02140600/Lehre/Materialien/BGB_IIb/BGB_II_b_Skript_GESAMT__04-2014_.pdf> [20.05.2015].

დ) პირის მიერ უმართებულო შესრულება მუქარით, იძულებით და ა. შ.[251]

ამდენად, სარგებლის მიღების უსაფუძვლობა ხშირად არამართლზომიერ ქცევაში ისახება და, როგორც იურიდიულ ლიტერატურაში აღინიშნა, მოიცავს დელიქტის ნიშნებს.[252] დელიქტის დროს პირდაპირ დგება ზიანი და იგი უდავოდ ანაზღაურებადია, შესაბამისად, არსებობს ბრალიც. როდესაც პირი ბრალეული, მართლსაწინააღმდეგო ქმედებით აყენებს სხვას ზიანს და, ამასთან ერთად, თვითონ უსაფუძვლოდ იღებს სარგებელს (ნამატს, მოგებას), ამ შემთხვევაში საქმე ეხება დელიქტურ ვალდებულებას. ე. ი. აქ ურთიერთობის მოსაწესრიგებლად გამოიყენება ორი ინსტიტუტის ნორმა, ანუ უსაფუძვლო გამდიდრებისა და დელიქტური ვალდებულების სფეროდან ნორმები ერთობლივად (შერეული ფორმა). ასეთ შემთხვევაში მოპასუხეს ევალება როგორც უსაფუძვლოდ მიღებული სარგებლის დაბრუნება, ასევე მოსარჩელისთვის (დაზარალებულისთვის) მიყენებული იმ ზიანის ანაზღაურება, რომელიც ამ უკანასკნელმა განიცადა მოპასუხის არამართლზომიერი ქცევის შედეგად. ზიანში კი იგულისხმება როგორც რეალური, ისე მიუღებელი შემოსავალი.[253]

ბ. სსკ-ის 976-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „ბ“ პუნქტი

სსკ-ის 976-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „ბ“ პუნქტი ქმნის დამოუკიდებელი მოთხოვნის საფუძველს. ის შესრულების კონდიქციის ძირითადი შემადგენლობის ტოლფასოვანია და გულისხმობს, რომ განგრძობადი შესაგებელი არსებობს. ამასთან, განგრძობადი შესაგებლიდან წარმოშობილი კონდიქცია აფართოებს შესრულების კონდიქციას, რამდენადაც ის სამართლებრივი საფუძვლის პირველდაწყებითად არარსებობას (სსკ-ის 976-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „ა“ პუნქტი) უტოლებს განგრძობად შესაგებელს.[254]

მოცემულ შემთხვევაში შესაგებელს უნდა ჰქონდეს განგრძობადი და არა დროებითი (ეპიზოდური) ხასიათი. გადამწყვეტია, რომ შესაგებელი შესრულების დროს არსებობდეს და შესაძლებელი იყოს მისი წარდგენა. სადავოა, უკან დაბრუნების მოთხოვნა გამოირიცხება თუ არა მაშინ, როცა შემსრულებელი შეასრულებს საკუთარ მოვალეობას არსებული ურთი-

---

[251] იხ. თ. ჩიტოშვილი, უსაფუძვლოდ გადაცემული ქონების დაბრუნების მოვალეობა, კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის მაცნე, N1, 2009, 125-126.

[252] აღნიშნულთან დაკავშირებით დაწვრ. იხ. ხელყოფის კონდიქციის განხილვისას.

[253] თ. ჩიტოშვილი, ქონების უსასყიდლოდ განკარგვა, როგორც უსაფუძვლოდ გამდიდრების საფუძველი, ჟურნ. „მართლმსაჯულება“, N2, 2008, 93.

[254] G. CHr. Schwarz, M. Wandt, Gesetzliche Schuldverhältnisse, 4., neu bearbeitete Auflage, München, 2011, 139.

ერთმოთხოვნების მდგომარეობის უცოდინრობისას. თუმცა ეს მოთხოვნა გამოირიცხება, თუ შემსრულებელი ნებაყოფლობით ასრულებს ხანდაზმულ მოთხოვნას ხანდაზმულობის ვადის გასვლის არცოდნისას. ვალდებულების შესრულებაზე უარის თქმის უფლება, სსკ-ის 448-ე მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, ანალოგიურად არ წარმოშობს უკან დაბრუნების მოთხოვნას, თუ გასაყიდი თანხა არაა გადახდილი. ამ შემთხვევაში გამყიდველს შეუძლია, თავისი ფულის დროულად უკან დაბრუნების შესახებ სარჩელი წარუდგინოს მხარეს ხელშეკრულების შეწყვეტის ან ხარვეზის გათვალისწინებით ფასის დაკლების მოთხოვნით. სსკ-ის 976-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „ბ“ პუნქტის მიხედვით, უკან დაბრუნების მოთხოვნა გამოირიცხება, თუ მოთხოვნა უკვე არსებობდა, მაგრამ ვალდებულების შესრულების დროის დადგომა მომავალშია გადატანილი, მაგალითად მორატორიუმის გზით. თუ ვალდებულება შესრულდა ვადამდე და ზემოგანხილულისგან განსხვავებულად წარიმართა, მაშინ გამოირიცხება ამ შესრულების უკან დაბრუნება. თუმცა ეს ნორმა არ ვრცელდება წინასწარ განსაზღვრული პირობითი მოთხოვნის შესრულებაზე ამ პირობის არცოდნისას, თუ ეს პირობა ჯერ კიდევ არ დამდგარა.[255]

ამდენად, სსკ-ის 976-ე მუხლის თანახმად, „სამართლებრივი საფუძვლის გარეშე“ შესრულება ფაქტობრივად უტოლდება შესრულებას, მიუხედავად მოთხოვნის განხორციელების საწინააღმდეგოდ არსებული განგრძობადი შესაგებლის წარდგენისა. სსკ-ის 976-ე მუხლის მიზანი (ratio legis) ისაა, რომ უკვე შესაგებლის წარდგენა და არა მხოლოდ მისი მოთხოვნის განხორციელება რენტაბელურად ფასდება. ამ შემთხვევიდან გამორიცხულია სსკ-ის 144-ე მუხლში არსებული მოთხოვნა ხანდაზმულობის გამო.[256]

1.3. უკან დაბრუნების ვალდებულების შესრულების გამომრიცხველი გარემოებები (სსკ-ის 976-ე მუხლის მე-2 ნაწილი)

უკან დაბრუნების ვალდებულების შესასრულებლად არ უნდა არსებობდეს ამ მოთხოვნის გამომრიცხველი გარემოებები, რომლებიც კანონმდებელმა კეთილსინდისიერების განხორციელებას დაუკავშირა. უკან დაბრუნების მოთხოვნა გამორიცხულია კანონით განსაზღვრულ შემდეგ შემთხვევებში:

ა) თუ შესრულება ზნეობრივ მოვალეობებს შეესაბამება;

ბ) გავიდა ხანდაზმულობის ვადა;

გ) ასევე მიმღების ვარაუდის შემთხვევაში იმასთან დაკავშირებით, რომ შემსრულებელს სურდა გადაცემა, მიუხედავად იმისა, არსებობს თუ არა უკან დაბრუნების მოთხოვნის პირობები;

[255] <http://www.recht-in.de/kommentar/_erfuellung_trotz_einrede_paragraph_813_bgb_buergerliches_gesetzbuch_kommentar_834.html>[04.01.2015]

[256] J. Plate, Das gesamte examensrelevante Zivilrecht, Volume I, Heidelberg, 2004, 1095.

დ) მოთხოვნა დაბრუნების თაობაზე ბათილი სავალო ხელშეკრულების შესრულებისას ეწინააღმდეგება ბათილობის შესახებ ნორმათა დაცვით ფუნქციას.

ა. ზნეობრივი მოვალეობის შესაბამისი შესრულება

ზნეობრივად განიხილება მოვალეობა, რომელიც შეიძლება მას შემდეგ განაგრძობდეს არსებობას, რაც სამართლისთვის ვალდებულების შესრულება უკვე აღარაა სავალდებულო,[257] ვინაიდან ის სახელმწიფოებრივი იძულების მექანიზმს მოკლებულია.

მაგალითი: ჯონაძემ გარკვეული ფულადი თანხა გადარიცხა ძმისშვილის სახელზე, ვინაიდან მისი მიზანი იყო ავადმყოფი ძმის სიცოცხლეში და მისი გარდაცვალების შემდგომაც ოჯახისთვის აუცილებელი საცხოვრებელი პირობების შექმნა თუ დაკრძალვასთან დაკავშირებულ ხარჯებში დახმარების გაწევა. ჯონაძემ რომ მოითხოვოს ძმისშვილისგან გადაბრდილი თანხის უკან დაბრუნება, ის არ დაკმაყოფილდება, ვინაიდან ძმისშვილისთვის განხორციელებული შესრულება ითვლება დაკისრებული ზნეობრივი მოვალეობის შესრულებად. შესაბამისად, ძმისშვილის მხრიდან მიღებულ შესრულებაზე განხორციელდებოდა სრული ბატონობა, რაც, თავის მხრივ, აღნიშნული საშუალებების განკარგვას გულისხმობს. ამდენად, თუ მას სურდა განხორციელებული შესრულებიდან თავის სასარგებლოდ რაიმის დაზოგვა, აღნიშნულთან დაკავშირებით უნდა გამოეყენინა ნება, შეექმნა სამართლებრივი გარანტია და ა.შ. აქ გამოიკვეთა, რომ ჯონაძე, ნათესური კავშირის გამო, ახორციელებს ზნეობრივ მოვალეობას[258], რაც გამორიცხავს მიღებულის უკან დაბრუნებას. ამდენად, უკუმოთხოვნა, სამართლიანობის პრინციპებიდან გამომდინარეც, ეწინააღმდეგება წესს, რომლითაც დაუშვებელია ზნეობრივი მოვალეობის შესრულებისას მიღებულის უკან დაბრუნება.[259]

---

[257] იხ. თ. ზარანდია, თ. ჯუღელი, ზნეობრივი ვალდებულებანი სამოქალაქო სამართალში, ჟურნ. „მართლმსაჯულება და კანონი", N4, 2006, 74.

[258] უკან დაბრუნების მოთხოვნის გამოირიცხვისთვის საკმარისია, რომ შესრულება ზნეობრივ მოვალეობას შეესაბამებოდეს (სსკ-ის 976-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა" პუნქტი).

[259] ასევე, გადაწყვეტილებაში მითითებულია, რომ თუ შეშსრულებელი მოითხოვს ზნეობრივი ვალდებულების შედეგად გადახდილის დაბრუნებას, ეს მძიმე მდგომარეობაში ჩააგდებს გარდაცვლილი ძმის შვილს. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2014 წლის 4 აპრილის გადაწყვეტილება (№ას-987-945-2013).

ბ. ხანდაზმულობის ვადის გასვლა

სსკ-ის 976-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ" პუნქტით გათვალისწინებულია, რომ უკან დაბრუნების მოთხოვნა გამოირიცხება, თუ ხანდაზმულობის ვადა გავიდა. მაგალითად, სავალო ურთიერთობების დროს ხანდაზმულობის ვადის გასვლა გულისხმობს იმას, რომ იურიდიული ვალდებულება მოკლებულია იძულების წესით შესრულების მექანიზმს, თუმცა ვალის გადახდის მორალური ვალდებულება მაინც ძალაშია.[260] ხანდაზმულობის ვადის გასვლით კრედიტორი კარგავს შესაძლებლობას, სასამართლოს ან სხვა ორგანოს დახმარებით მოითხოვოს პირისგან იძულებით შესრულება, მაგრამ არა სასამართლოსა თუ სხვა ორგანოსთვის მიმართვის უფლებას, რომელიც დროით არაა შეზღუდული.[261] თუმცა ხანდაზმული მოთხოვნის შესრულება ვარაუდობს ვალდებულების არსებობის აღიარებას. ვალის აღიარების მომენტიდან იწყება ხანდაზმულობის ახალი ვადის დენა. სწორედ ეს საწყისი უნდა მოიაზრებოდეს ხანდაზმულობის ვადის გასვლის გამო უკან დაბრუნების მოთხოვნის გამორიცხვაში.

მართალია, უსაფუძვლო გამდიდრების შესახებ ნორმებში არაა გათვალისწინებული ხანდაზმულობის ვადის გამოთვლის წესი, თუმცა საქმე როცა ეხება გარიგების არარსებობას, მის ბათილობას ან შეწყვეტას, უნდა იყოს გამოყენებული სახელშეკრულებო მოთხოვნათა მიმართ მოქმედი ვადები. მაგალითად, თუ ხანდაზმულობის ვადის ათვლა დაიწყო 2011 წლის 12 ნოემბერს (სადავო თანხის სალიზინგო კომპანიის ანგარიშზე გადარიცხვის დღეს) და მოსარჩელემ სარჩელი შეიტანა 2015 წლის 23 მარტს, მოცემულ შემთხვევაში სახელშეკრულებო (სამწლიანი) ხანდაზმულობის ვადა გასულია, რაც სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის საფუძველია.[262] თუმცა ხანდაზმული მოთხოვნის შესრულებისას შესრულებული უკან არ დაბრუნდება.

გ. სსკ-ის 976-ე მუხლის მეორე ნაწილის „გ" პუნქტი

უკან დაბრუნების მოთხოვნა გამორიცხულია მაშინაც, თუ მიმღებს შეეძლო ევარაუდა, რომ შემსრულებელს მაინც სურდა გადაცემა, მიუხედავად იმის ცოდნისა, რომ შესრულების საფუძველი არ არსებობდა

---

[260] ჯ. ხეცურიანი, სამოქალაქო ურთიერთობათა მოწესრიგებაში სამართლისა და მორალის ურთიერთობის საკითხისათვის, ჟურნ. „საბჭოთა სამართალი", N3, 1974, 14-18; თ. ზარანდია, თ. ჯულელი, ზნეობრივი ვალდებულებანი სამოქალაქო სამართალში, ჟურნ. „მართლმსაჯულება და კანონი", N4, 2006, 74-75; აღნიშნულთან დაკავშირებით, ასევე, იხ. G. Rusiashvili, Zur Anwendbarkeit der Saldtheorie im georgischen Recht, Saarbrücken, 2014, 48-49.

[261] იხ. ზ. ახვლედიანი, სსკ-ის 128-ე მუხლის კომენტარი, სსკ-ის კომენტარი, წ. I, თბ., 2002, 317.

[262] ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2015 წლის 29 იანვრის გადაწყვეტილება (N2/497-15).

(სსკ-ის 976-ე მუხლის მე-2 ნაწილის „გ“ პუნქტი). მაგალითად, ცოლქმარი ცხოვრობენ ქმრის დედის საცხოვრებელ სახლში თავიანთ არასრულწლოვან შვილებთან ერთად. ცხადია, აქ ბუნებრივად იქმნება შინაგანი რწმენა იმისა, რომ ქონებით სარგებლობა შეესაბამება ზნეობრივ ნორმებს თანასაკუთრების რეგისტრაციამდე და ასევე მესაკუთრის პრეტენზიის წაყენებამდე მოპასუხეებს შეეძლოთ ევარაუდათ, რომ მესაკუთრეს სურდა ქონების სარგებლობაში გადაცემა.[263] სწორედ აქედან გამომდინარე, მოცემულ შემთხვევაშიც გამოირიცხება უკან დაბრუნების მოთხოვნა.

დ. სსკ-ის 976-ე მუხლის მეორე ნაწილის „დ“ პუნქტი

საგულისხმოა, რომ ზოგადად უსაფუძვლო გამდიდრების არსებობის დროს პირი იღებს (იძენს) ქონებას შესაბამისი იურიდიული საფუძვლის გარეშე, რის გამოც აღნიშნული შენაძენი ექვემდებარება უფლებამოსილი პირისთვის დაბრუნებას. ამიტომ უსაფუძვლო გამდიდრების ინსტიტუტის ნორმები აღჭურვილია დაცვითი ფუნქციით, უზრუნველყოს არაუფლებამოსილი სუბიექტისაგან უსაფუძვლოდ მიღებული ქონების ამოღება და მისი უფლებამოსილი პირისათვის გადაცემა. შედეგობრივი თვალსაზრისით, რაიმე მნიშვნელობა არ ენიჭება იმას, თუ რა საშუალებით გამდიდრდა პირი – ქონება მიიღო თუ დაზოგა; ფაქტი ერთია – ფსევდოკრედიტორის ქონებრივ სფეროში აღმოჩნდა ქონება, რომელსაც აქ არსებობის იურიდიული საფუძველი არ აქვს და ამიტომ ექვემდებარება უფლებამოსილი პირისათვის დაბრუნებას.[264] მოცემული წესი ვინაიდან უსაფუძვლო გამდიდრების ძირითად ფუნქციას განსაზღვრავს, კანონმდებელმა დაადგინა, რომ მოთხოვნა დაბრუნების თაობაზე ბათილი სავალო ხელშეკრულების შესრულებისას უნდა შეესაბამებოდეს ბათილობის შესახებ ნორმათა დაცვით ფუნქციას, წინააღმდეგ შემთხვევაში გამოირიცხება უკან დაბრუნების მოთხოვნა (სსკ-ის 976-ე მუხლის მე-2 ნაწილის „დ“ პუნქტი).

მაგალითი: თანამშრომელმა ბ-ძ მართვის მოწმობის გამოცდის გავლის გარეშე მართვის მოწმობის გასაცემად ქრთამის სახით აღრო 2 000 ეურო.


უკან დაბრუნების მოთხოვნის მნიშვნელობა ორი საფუძვლიდან გამომდინარეობს: ერთი მხრივ, ვინაიდან დადებული ძირითადი გარიგება ეწინააღმდეგება კანონსა თუ ზნეობას, გარიგება ბათილია სსკ-ის 54-ე მუხლზე დაყრდნობით და მიღებული დაბრუნებას დაექვემდებარება სსკ-ის 976-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „ა“ პუნქტის თანახმად; თუმცა, მეორე

[263] საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2011 წლის 4 აპრილის გადაწყვეტილება (№ას-311-295-2011).

[264] საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2012 წლის 1 ნოემბრის გადაწყვეტილება (№ას-1202-1131-2012).

მხრივ, ეს მოთხოვნა გამოირიცხება, თუ (ჩვეულებრივ) შემსრულებელი გარკვეულწილად მოქმედებდა კანონის ან მორალის საწინააღმდეგოდ (სსკ-ის 976-ე მუხლის მე-2 ნაწილის „დ“ პუნქტი). ამ ფორმით საქმე შეიძლება შეეხოს თანამშრომლის მოსყიდვას, რომელიც სისხლისსამართლებრივი დასჯადობის გამო კანონსაწინააღმდეგო ხასიათს ატარებს. მოცემულ შემთხვევაში გამოირიცხება დასახელებული ნორმით მიღებულის უკან დაბრუნება, თუ შესრულება ეწინააღმდეგება კანონისმიერ აკრძალვას ან მორალს. სსკ-ის 976-ე მუხლის მე-2 ნაწილის „დ“ პუნქტი მოიცავს სამართლის ზოგად იდეას, რომელიც მოქმედებს ნებისმიერი კონდიქციური მოთხოვნის მიმართ. მაგალითად, ა-მ შეიძინა ბ-სგან კოკაინი. მოგვიანებით ა-მ აქცენტი გააკეთა ნასყიდობის ხელშეკრულების ბათილობაზე (სსკ-ის 54-ე მუხლის საფუძველზე) და მოისურვა კოკაინის დაბრუნება. თუმცა ა-ს უკან დაბრუნების მოთხოვნა, რომელიც სსკ-ის 976-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „ა“ პუნქტიდან გამომდინარეობს, გამორიცხულია სსკ-ის 976-ე მუხლის მე-2 ნაწილის „დ“ პუნქტით.[265]

ამდენად, შესრულების უსაფუძვლოდ გამდიდრების შედეგად მიღებული შესრულებული უნდა დაბრუნდეს იმ შემთხვევაში, თუ არსებობს შემდეგი წინაპირობები: ა) რაიმეს შეძენა; ბ) ვითომ-კრედიტორის შესრულების შედეგად გამდიდრებულის მიერ ქონებრივი სარგებლის მიღება; გ) სამართლებრივი საფუძვლის გარეშე შეძენა და დ) სსკ-ის 976-ე მუხლის მე-2 ნაწილის მიხედვით, უკან გამოთხოვა არაა გამორიცხული.



1.4. გადაცემული ქონების უკან დაბრუნების მოთხოვნა და მისი დაუშვებლობა

ა. ზოგადი წინაპირობები

სსკ-ის 977-ე მუხლის 1-ლი ნაწილის გამოყენების წინაპირობებია: ა) რაიმეს გადაცემა; ბ) გადაცემა განხორციელდა მეორე პირის მიერ

[265] F. Hofmann, BGB, Schuldrecht BT 2, Gesetzliche Schuldverhältnisse, 2. Aufl., Freiburg, 2012, 15-17; F. Hofmann, BGB, Schuldrecht BT 2, Gesetzliche Schuldverhältnisse, 3. Aufl., Freiburg, 2015, 16-17.

რაიმე მოქმედების შესრულების ან შეუსრულებლობის მიზნით; გ) ამ პირის მოქმედება არ შეესაბამება მიზანს, რომელსაც მისგან მოელიან; დ) არ არსებობს უკან დაბრუნების მოთხოვნის გამომრიცხველი გარემოებები.

ამდენად, პირს, რომელიც მეორე პირს გადასცემს რაიმეს იმ მიზნით, რომ ამ უკანასკნელმა შეასრულოს, ან არ შეასრულოს რაიმე მოქმედება, არა აქვს უფლება, მოითხოვოს გადაცემული, თუ მეორე პირის მოქმედება შეესაბამება მოსალოდნელ მიზანს. მიზნის მიუღწევლობა უთანაბრდება ქონების უსაფუძვლოდ მიღების შემთხვევას.[266] დასახელებული მუხლის შინაარსის მიხედვით, პირს შეიძლება გადაეცეს როგორც გვაროვნული, ისე ინდივიდუალური ნიშნით განსაზღვრული ქონება. ამასთან, სსკ-ის 977-ე მუხლის 1-ლი ნაწილი გულისხმობს არა ქონების გადამცემის მხრიდან რაიმეს ვალდებულების შესრულებას, არამედ მის ფარგლებს გარეთ გარკვეულ საზოგადო თუ კერძო ინტერესთან დაკავშირებული მიზნის მიღწევას.

მაგალითი: ა-ს სურდა ბ-ს დახმარება და სწავლის ქირის გადასახდელად მას გადასცა თანხა. მოგვიანებით ა-მ გაიგო, რომ ფულის გადაცემის დროისთვის ბ გარიცხული იყო სასწავლებლიდან აკადემიური დავალიანების გამო. ამის საფუძველზე ა-მ მოითხოვა გადაცემული თანხის დაბრუნება. ამ შემთხვევიდან აშკარაა, რომ ბ ვერ შეასრულებს მოქმედებას, რომელიც მოსალოდნელ მიზანს (სწავლის ქირის გადახდას) შეესაბამება. აქედან გამომდინარე, ვინაიდან მიზნის მიღწევა შეუძლებელია, გადაცემული თანხა უნდა დაექვემდებაროს დაბრუნებას.[267]

Condictio ob rem. აქ უსაფუძვლო გამდიდრების მოთხოვნის კრედიტორი თავისი შესრულებით ისახავს ისეთ მიზანს, რაც უბრალო ვალდებულების შესრულებას აღემატება. თუ მიზანი ვერ მიიღწევა, მაშინ პირის მიერ სამართლებრივი საფუძვლის გარეშე შესრულებული შეიძლება უკან იქნეს მოთხოვნილი. შესაბამისად, აქ საქმე ეხება შემთხვევას, როცა არ დადგა ის მიზანი, რასაც სუბიექტი შესრულებით ითვალისწინებდა. ამასთან, ***Condictio ob rem***-ის გამოსაყენებლად უნდა გამოირიცხოს კონდიქცია სსკ-ის 977-ე მუხლის მე-2 ნაწილის მიხედვით, ასევე, უნდა არსებობდეს მიზნის შესახებ მხარეთა შეთანხმება, სულ მცირე კონკლუდენტურად და

---

[266] იხ. რ. შენგელია, სსკ-ის კომენტარი, წ. IV., ტ. II, თბ., 2001, 357-358.

[267] აღნიშნულთან დაკავშირებით იხ. თ. ჩიტოშვილი, უსაფუძვლოდ გადაცემული ქონების დაბრუნების მოვალეობა, კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის მაცნე, N1, 2009, 127-128.

არა უბრალოდ შემსრულებლის ცალმხრივი მოლოდინები, მოქმედების მოტივები.[268]

მაგალითი: ბახტაძის სიძე აგლაძემ თავისი სიმამრის სახლს ჩაუტარა კაპიტალური რემონტი იმ იმედით, რომ ბახტაძე მას სახლს უანდერძებდა, თუმცა ბახტაძემ გარდაცვალების წინ საკუთარი ქონება გადასცა თავის ერთადერთ მემკვიდრეს, რომელიც საზღვარგარეთ ცხოვრობდა. აგლაძემ მემკვიდრისგან მოითხოვა მემკვიდრეობიდან თავისი ხარჯების კომპენსაცია. ანალოგიურ ვითარებაში კონდიქციურ მოთხოვნას მიზნის მიუღწეველობის გათვალისწინებით ენიჭება მნიშვნელობა, თუ პირმა მოქმედება შეასრულა არა არსებული ვალდებულების გამო, არამედ იმიტომ, რომ შემსრულებელი მიმღებისგან ელოდა რაიმე მოქმედების შესრულებას ან მის უმოქმედობას. აქ აუცილებელი წინაპირობაა, რომ ორივე მხარემ იცოდეს დასახული მიზნის შესახებ და მიმღები შესრულებით ადასტურებდეს შემსრულებლის მოლოდინს. შესაბამისად, თუ აგლაძის მოლოდინი ცნობილია და ეჭვს არ იწვევს, მას უფლება აქვს, კონდიქციის წინაპირობათა გათვალისწინებით, მოითხოვოს თავისი ხარჯების ანაზღაურება მემკვიდრისგან.[269]

შესრულების დაბრუნების შესახებ სარჩელი მიმართულია უშუალოდ იმის წინააღმდეგ, ვის სასარგებლოდაც მოსარჩელემ შეასრულა თავისი ვალდებულებები სათანადო საფუძვლის გარეშე (sine causa) და არა იმ პირის მიმართ, ვინც გაშუალებულად იღებს მოგებას არამართებულად. თუ პირმა კრედიტი აიღო და მიღებული თანხა ცოლის კუთვნილი სახლის რესტავრაციას მოახმარა, კრედიტორი ვერ მოითხოვს მისგან პირვანდელი მდგომარეობის აღდგენას (რესტიტუცია) მაშინაც, თუ კლიენტი გაკოტრდა ან სესხის ხელშეკრულება გაბათილდა. საქმე ისაა, რომ სარჩელი წარედგინება უშუალოდ მხარეს და არა მესამე პირს, ხოლო თუ ხელშეკრულება გაბათილდა, მოსარჩელე უსაფუძვლო გამდიდრების გამო მესამე პირის მიმართ ვერ აღძრავს სარჩელს ჩატარებული სამუშაოს შედეგად სახლის ღირებულების მნიშვნელოვნად გაზრდის შემთხვევაშიც.[270]

---

[268] ი. კროპოლერი, გსკ – სასწავლო კომენტარი, გადაამუშავეს ფ. იაკობმა და მ. ფონ პინდენმა, მე-13 გადამუშავებ. გამოცემა, თარგმნეს თ. დარჯანიამ და ზ. ჭეჭელაშვილმა, თბ., 2014, 594-595; იხ. R. Schröder unter Mitarbeit von J. Thiessen, M. Bedau, A. Holmer, R. Stieglitz, Schuldrecht, Lehrtext und Fälle, Berlin, 2002, 128-129.

[269] ლ. შატბერაშვილი, უსაფუძვლო გამდიდრება: სამართლიანი სამართალი? ჟურნ. „სამართალი", N6-7, 2000, 36-37.

[270] კ. ცვაიგერტი, ჰ. კოტცი, შედარებითი სამართალმცოდნეობის შესავალი კერძო სამართლის სფეროში (მეცნ. რედ. და ბოლოთქმა თ. ნინიძის, თარგმნა ე. სუმბათაშვილმა), ტ. II, თბ., 2001, 233.

Condictio ob causam finitam. შესრულება სამართლებრივი საფუძვლის გარეშეა იმ შემთხვევაშიც, როდესაც, მართალია, causa ქონებრივი ღირებულების გადაცემისას არსებობდა, თუმცა მოგვიანებით იგი (უკუქცევადი მოქმედების გარეშე) ისპობა. ეს შეეხება, მაგალითად გაუქმების პირობის დადგომას (სსკ-ის 97-ე მუხლი), როდესაც ხელშეკრულების შინაარსის განჭრცობითი განმარტებიდან არ გამომდინარეობს ქონების დაბრუნების ვალდებულება, ასეთივეა ძირითადი სამართლებრივი ურთიერთობის შეწყვეტა გაუქმების ხელშეკრულებით. მეუღლეთა კანონისმიერი საერთო რეჟიმის დროს განქორწინების შემდეგ ერთ-ერთი მეუღლისთვის გადაცემული გარკვეული ქონების გამოთხოვას ხელს უშლის მეუღლეთა მიერ ქორწინების განმავლობაში შეძენილი ქონების განაწილების შესახებ ნორმები, როგორც leges speciales. თანაცხოვრების პარტნიორობის მიმართ მოქმედებს შესაბამისი წესი, როდესაც პარტნიორები შეთანხმდნენ საზიარო უფლების რეჟიმის შესახებ წილთა გათანაბრებაზე. შესაბამისად, სამართლებრივი საფუძველი შეიძლება შესრულების მომენტისთვის იყო, თუმცა მოგვიანებით გაქრეს. ეს შეიძლება განხორციელდეს როგორც მხარეთა შეთანხმების, ისე ცალმხრივი ნების გამოვლენის შედეგად. მაგალითად, სამართლებრივი საფუძველი შეიძლება ცალმხრივად გაქარწყლდეს ნაჩუქარის გამოხმობით (სსკ-ის 529-ე მუხლი).[271]

ბ. უკან დაბრუნების მოთხოვნის გამომრიცხველი გარემოებები (სსკ-ის 977-ე მუხლის მე-2 ნაწ.)

სსკ-ის 977-ე მუხლის მე-2 ნაწილი მოიცავს „ა" და „ბ" პუნქტებს, რომლებშიც განსაზღვრულია უკან დაბრუნების მოთხოვნის გამომრიცხველი გარემოებები.

უპირველეს ყოვლისა, უკან დაბრუნების მოთხოვნა დაუშვებელია, თუ კუმულაციური წესით არსებობს ორი წინაპირობა: ა) მიზნის მიღწევა თავიდანვე შეუძლებელი უნდა იყოს და ბ) გადამცემმა ამის თაობაზე უნდა იცოდეს (სსკ-ის 977-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა" პუნქტი). შესაბამისად, ამ ორი საფუძვლიდან რომელიმეს არარსებობა გამორიცხავს სსკ-ის 977-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა" პუნქტის გამოყენებას.

როგორც იურიდიულ ლიტერატურაში აღინიშნა, ეს გარემოებები კონკრეტულ შემთხვევაში უნდა დაზუსტდეს და სათანადოდ შეფასდეს კიდეც. მაგალითად, ბ-ს აკადემიური მოსწრების თვალსაზრისით ჰქონდა

---

[271] ი. კროპჰოლერი, გსკ – სასწავლო კომენტარი, გადაამუშავეს ფ. იაკობმა და მ. ფონ ჰინდენმა, მე-13 გადამუშავებ. გამოცემა, თარგმნეს თ. დარჯანიამ და ზ. ჭეჭელაშვილმა, თბ., 2014, 594-595; იხ. R. Schröder unter Mitarbeit von J. Thiessen, M. Bedau, A. Holmer, R. Stieglitz, Schuldrecht, Lehrtext und Fälle, Berlin, 2002, 128-129.

მძიმე მდგომარეობა. მისი ნაშრომები როგორც ძირითად, ისე დამატებით საგამოცდო ვადებში ჩატარებულ გამოცდებზე შეფასდა არადამაკმაყოფილებელი შეფასებებით; ასევე, ის გადაცემული იყო იმ სტუდენტთა ნუსხაში, რომელთა მიმართ უკვე არსებობდა ბრძანების პროექტი მათი სასწავლებლიდან გარიცხვის შესახებ. ზემოაღნიშნული ჩამონათვალი მიეკუთვნება იმ გარემოებებს, რომლებიც უდავოდ არის ბ-ს სასწავლებლიდან გარიცხვის საფუძველი. თუ ა-მ იცოდა, ან ა-ს უდავოდ უნდა სცოდნოდა ამ გარემოებების არსებობის შესახებ, მაშინ მას შეეძლო ევარაუდა, რომ ბ-სთვის სასწავლო საფასურის გადახდას აზრი ეკარგებოდა და ბ-ს სასწავლო საფასურის დაფარვის მიზანი ვერ შესრულდებოდა. ამდენად, ამ გარემოებების გაუთვალისწინებლობა ა-ს ართმევს იმ თანხის მოთხოვნის უფლებას, რომელიც მან გადასცა ბ-ს სწავლის ქირის დაფარვის მიზნით.[272]

გარდა ამისა, კანონმდებლობით გამორიცხულია უკან დაბრუნების მოთხოვნა იმ შემთხვევაშიც, თუ გადამცემმა მიზნის მიღწევას არაკეთილსინდისიერად ხელი შეუშალა (სსკ-ის 977-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ პუნქტი). ეს ფაქტობრივად ეხმიანება სსკ-ის 98-ე მუხლის დათქმებს იმის შესახებ, თუ რამ დენად არის დამოკიდებული პირობის დადგომა კეთილსინდისიერების არსებობა-არარსებობაზე. შესაბამისად, თუ პირობის დადგომაც არაკეთილსინდისიერად დააბრკოლა მხარემ, რომლისთვისაც პირობის დადგომა ხელსაყრელი არაა, პირობა უნდა ჩაითვალოს დამდგარად (სსკ-ის 98-ე მუხლის 1-ლი ნაწილი).

2. შეუსრულებლობის კონდიქცია

უსაფუძვლო გამდიდრების მეორე სახეა შეუსრულებლობის კონდიქცია, რომელიც წარმოიშობა არა შესრულების, არამედ პირიქით, შეუსრულებლობის გამო. ის გამოიხატება სამართლებრივი საფუძვლის გარეშე სხვისი სიკეთის ხელყოფაში, სხვისთვის დანახარჯების გაწევასა თუ ვალის დაფარვაში. შეუსრულებლობის კონდიქციის თავისებურებაა უსაფუძვლო გამდიდრების შედეგად ისეთი მდგომარეობის შექმნა, რომელიც ქონებრივი ურთიერთობების მომწესრიგებელ სამართლებრივ ნორმებს არ შეესაბამება. აღნიშნული შეიძლება განხორციელდეს უსაფუძვლოდ გამდიდრებულის, კონდიქციის კრედიტორისა და მესამე პირის მოქმედებით ან კიდევ ადამიანის ზემოქმედების გარეშე (მაგალითად, გლეხის პირუტყვმა გაარღვია ღობე და მეზობლის მდელოზე ბალახი მოძოვა). მოცემულ შემთხვევაში ქონებრივი ურთიერთობების მომწესრიგებელი სამართლებრივი ნორმებით დგინდება სამართლებრივი საფუძვლის არარსებობა, ხოლო

[272] იხ. თ. ჩიტოშვილი, უსაფუძვლოდ გადაცემული ქონების დაბრუნების მოვალეობა, კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის მაცნე, N1, 2009, 129.

რამდენიმე პირისგან შემდგარ ურთიერთობაში განისაზღვრება ის, თუ პირი ვის ხარჯზე გამდიდრდა და ვინაა უსაფუძვლო გამდიდრების კრედიტორი. ამასთან, შესრულების კონდიქციისგან განსხვავებით, რომელიც, ძირითადად, შეიძლება უპრობლემოდ გადაწყდეს, შეუსრულებლობის კონდიქციის შემთხვევაში მნიშვნელოვანი ქონებრივი ურთიერთობების მომწესრიგებელი სამართლებრივი ნორმების დადგენამ შეიძლება პრობლემური ხასიათი შეიძინოს. ამდენად, შეუსრულებლობის კონდიქციის არსი აისახება მის სახეებში, რომლებსაც განეკუთვნება არამართლზომიერი ჩარევის (ხელყოფის), დანახარჯებისა და რეგრესის კონდიქციები.[273] თუმცა საგულისხმოა, რომ შესრულების კონდიქციასთან მიმართებით შეუსრულებლობის კონდიქცია სუბსიდიური ხასიათისაა.[274]

2.1. ხელყოფის კონდიქცია

ა. ხელყოფის კონდიქციის ზოგადი შემთხვევა

ხელყოფის კონდიქცია გულისხმობს უსაფუძვლო გამდიდრებიდან გამომდინარე მოთხოვნას, რომელიც წარმოიშობა გამდიდრებული პირის მიერ სხვის სამართლებრივ სივრცეში უნებართვო ჩარევისა და ქონებრივი სარგებლის მიღების შედეგად, ვინაიდან ამ გზით სარგებელს იღებს ვითომ-კრედიტორი. ეს შეიძლება შეეხოს მაგალითად, ქურდობისას ნივთის წართმევას, ასევე, მოძრავ ნივთებთან სხვა პირის ნივთის შერწყმა-გადამუშავებას, ან სხვისი ნივთის გამოყენებას. ამდენად, ხელყოფის კონდიქციის დროს ფსევდოკრედიტორი მდიდრდება სხვის ხარჯზე და ერევა სხვის სამართლებრივ სივრცეში რაიმე სამართლებრივი საფუძვლის გარეშე (უსაფუძვლოდ).[275]

განასხვავებენ ხელყოფის კონდიქციის ზოგად და სპეციალურ შემთხვევებს. ხელყოფის კონდიქციის ზოგადი ნორმაა სსკ-ის 982-ე მუხლი.[276] ხელყოფის კონდიქციის საფუძველზე წარმოიშობა უფლების მოქმედების გაგრძელების მოთხოვნა უფლების იმავე დაცვითი ფუნქციით, რომელიც ეხება სსკ-ის 992-ე მუხლს, 187-ე მუხლის I-ლ ნაწილს ან 172-ე მუხ-ლის მე-2 ნაწილს. ხელყოფის კონდიქციის გამოყენების

---

[273] ი. კროპჰოლერი, გსკ – სასწავლო კომენტარი, გადაამუშავეს ფ. იაკობმა და მ. ფონ პინდენმა, მე-13 გადამუშავ. გამოცემა, თარგმნეს თ. დარჯანიამ და ზ. ჭეჭელაშვილმა, თბ., 2014, 602-603.

[274] იხ. Chris Thomale, Leistung als Freiheit, Mohr Siebeck, Tübingen, 2012, 254.

[275] F. Schade, Wirtschaftsprivatrecht: Grundlagen des Bürgerlichen Rechts sowie des Handels- und Wirtschaftsrechts, 2., neu bearbeitete Aufl., Stuttgart, 2009, 159.

[276] G. Rusiashvili, Zur Anwendbarkeit der Saldtheorie im georgischen Recht, Saarbrücken, 2014, 50.

წინაპირობებია: ა) რაიმეს შეძენა; ბ) „სხვაგვარი“ უსაფუძვლო გამდიდრება (ხელყოფა); გ) კონდიქციის მფლობელის ხარჯზე გამდიდრება; დ) სამართლებრივი საფუძვლის გარეშე ქონების გაზრდა ან დაზოგვა.[277]

ხელყოფა უკავშირდება ხელმყოფის მიერ სხვისი სამართლებრივი სიკეთის მითვისებას, თუმცა შესრულების კონდიქციასთან შედარებით ხელყოფის კონდიქციას არ ენიჭება უპირატესობა. ამიტომ ხელყოფიდან გამომდინარე უსაფუძვლო გამდიდრების შესახებ მოთხოვნის წარდგენამდე მიზანშეწონილია, შემოწმდეს, საქმე ხომ არ ეხება შესრულების საფუძველზე წარმოშობილ კონდიქციას. ერთსა და იმავე საგანზე არსებული შესრულების კონდიქციის მოთხოვნა გამორიცხავს მოთხოვნას, რომელიც ხელყოფის კონდიქციას ეფუძნება.[278]

ა.ა. რაიმეს შეძენა

როგორც უსაფუძვლო გამდიდრებიდან გამომდინარე ყველა უფლების შემთხვევაში, აქაც კონდიქციის მოვალემ, უპირველეს ყოვლისა, უნდა მიიღოს ქონებრივი სარგებელი.[279] ხელყოფის ობიექტად განიხილება სანივთო უფლებები, შეზღუდული სანივთო უფლებები (სერვიტუტი), მფლობელობა ან არამატერიალური ქონებრივი სიკეთეები (საპატენტო, საავტორო უფლებები). პირადი უფლებების განვითარების შედეგად ხელყოფა შეიძლება შეეხოს პირად უფლებებსაც (მაგალითად, საკუთარ სურათზე უფლება).[280]

ა.ბ. „სხვაგვარი“ უსაფუძვლო გამდიდრება

„სხვაგვარი“ უსაფუძვლო გამდიდრება გულისხმობს სხვა გზით, კერძოდ, არამართლზომიერი ჩარევით განხორციელებულ კონდიქციას. ჩარევა შეიძლება გამოიხატოს სხვა პირის სამართლებრივი მდგომარეობის ეკონომიკურ გამოყენებაში, რომელიც, უფლებრივი თვალსაზრისით,

---

[277] ი. კროპჰოლერი, გსკ – სასწავლო კომენტარი, გადაამუშავეს ფ. იაკობმა და მ. ფონ ჰინდენმა, მე-13 გადამუშავებ. გამოცემა, თარგმნეს თ. დარჯანიამ და ზ. ჭეჭელაშვილმა, თბ., 2014, 603-605.

[278] იხ. ლ. შატბერაშვილი, უსაფუძვლო გამდიდრება: სამართლიანი სამართალი? ჟურნ. „სამართალი“, N6-7, 2000, 37.

[279] ი. კროპჰოლერი, გსკ – სასწავლო კომენტარი, გადაამუშავეს ფ. იაკობმა და მ. ფონ ჰინდენმა, მე-13 გადამუშავებული გამოცემა, თარგმნეს თ. დარჯანიამ და ზ. ჭეჭელაშვილმა, თბ., 2014, 603.

[280] იხ. ლ. შატბერაშვილი, უსაფუძვლო გამდიდრება: სამართლიანი სამართალი? ჟურნ. „სამართალი“, N 6-7, 2000, 37.

მხოლოდ მის მფლობელს ეკუთვნის.[281] შესაბამისად, აქ საქმე ეხება პირის მიერ სხვის სამართლებრივ სიერცეში უსაფუძვლოდ შეჭრას, რომელიც ხელყოფით ხორციელდება.

კანონმდებელმა სსკ-ის 982-ე მუხლში გაითვალისწინა ხელყოფის გამოხატვის სხვადასხვა ფორმა. ამ გაგებით, ხელყოფა შეიძლება განხორციელდეს თანხმობის გარეშე სიკეთის განკარგვის, დახარჯვის, სარგებლობის, შეერთების, შერევის, გადამუშავებისა თუ სხვა გზით.

ა.გ. სხვის ხარჯზე

წინაპირობა „ამ უკანასკნელის ხარჯზე" არ მოქმედებს შესრულების კონდიქციის დროს და ემსახურება ვითომ-კრედიტორის ვინაობის დადგენას. აქ უსაფუძვლო გამდიდრების კრედიტორის დასადგენად გადამწყვეტია, თუ ვის „ეკუთვნოდა" უსაფუძვლოდ გამდიდრებულის მიერ მიღებული ქონებრივი ღირებულება. უსაფუძვლო გამდიდრებული მოვალის დადგენისას გასათვალისწინებელია უშუალობის პრინციპის მოთხოვნა, სადაც მესამე პირის მხრიდან შუალედური შემძენის შემთხვევაში კონდიქცია საბოლოო შემძენის მიმართ გამორიცხულია.

ა.დ. სამართლებრივი საფუძვლის გარეშე

პირი სამართლებრივი საფუძვლის გარეშე მდიდრდება იმ შემთხვევაში, როდესაც მიღებული სარგებელი უფლებრივად ეკუთვნის სხვა პირს. ამიტომ ხელყოფის კონდიქცია გამორიცხულია, როდესაც უფლების მფლობელს ხელშეკრულებით მიეცა ნებართვა, ისარგებლოს ნივთით, ან მოიხმაროს იგი. ჩარევის შეძენის სამართლებრივი საფუძველი შეიძლება იყოს, ასევე, საკანონმდებლო დანაწესი. ასე ხორციელდება კანონის ძალით მომხდარ სამართლებრივ საფუძველთან მისადაგების ცვლილებები, რამდენადაც ეს უკანასკნელი საბოლოოდ შესაძლებელს ხდის სამოქალაქო ბრუნვის ინტერესში უფლების შეძენას, მაგალითად, კეთილსინდისიერი შეძენა (სსკ-ის 187-ე მუხლის 1-ლი ნაწილი).[282] კეთილსინდისიერება, თავის მხრივ, გულისხმობს იმას, რომ მფლობელი დარწმუნებულია საკუთარი მფლობელობის მართლზომიერებაში. ამდენად, მოცემულ შემთხ-

---

[281] ი. კროპჰოლერი, გსკ — სასწავლო კომენტარი, გადაამუშავეს ფ. იაკობმა და მ. ფონ პინდენმა, მე-13 გადამუშავებ. გამოცემა, თარგმნეს თ. დარჯანიამ და ზ. ჭეჭელაშვილმა, თბ., 2014, 603-604; ასევე იხ. რ. შენგელია, სსკ-ის კომენტარი, წ. IV., ტ. II, თბ., 2001, 366-367.

[282] ი. კროპჰოლერი, გსკ — სასწავლო კომენტარი, გადამუშავეს ფ. იაკობმა და მ. ფონ პინდენმა, მე-13 გადამუშავებული გამოცემა, თარგმნეს თ. დარჯანიამ და ზ. ჭეჭელაშვილმა, თბ., 2014, 604-605.

ვეჯაში მფლობელს უნდა მიაჩნდეს, რომ მის მიერ ქონების მოპოვების საფუძველი საკმარისია, რათა გააჩნდეს საკუთრების უფლება.[283]

მაგალითი: მესაკუთრე ე-ს აქვს ნივთის სარგებლობისა და მობმარების უფლებამოსილება (სსკ-ის 170-ე მუხლის 1-ლი ნაწილი). შესაბამისად, ე-ს ეკუთვნება ხელყოფის კონდიქციის საფუძველზე მოთხოვნის უფლება ქათმების ქურდის მიმართ, რომელმაც მოპარული ფრინველი დაკლა და შეჭამა. ცხადია, ნივთით უბრალო სარგებლობისას ენიჭება უპირატესობა მესაკუთრესა და მფლობელს შორის ურთიერთობის მომწესრიგებელ ნორმებს (სსკ-ის 163-ე მუხლის 1-ლი ნაწილი, 164-ე მუხ.) მათი გამოყენების სფეროში. თავის მხრივ, მესაკუთრეს (გამჭირავებელს) არ ენიჭება ნივთის ქვექირავნობით გადაცემის უფლება. ამიტომაც ხელყოფის კონდიქცია დამქირავებლის მიმართ უსაფუძვლო ქვექირავნობის გამო გამორიცხულია. არამართლზომიერი ჩარევის კონდიქციის უმნიშვნელოვანესი შემთხვევაა იძულებითი აღსრულების პროცესში იმ ნივთების რეალიზაცია, რომლებიც მოვალეს არ ეკუთვნის: თუ კრედიტორი აყადაღებს და აუქციონზე გაყიდის ნივთს, რომელიც არა თუ მოვალეს, არამედ ე-ს ეკუთვნის, მაშინ ე დაკარგავს ნივთზე საკუთრების უფლებას აუქციონზე ნივთის რეალიზაციის მომენტიდან. თუმცა რადგან სანივთოსამართლებრივი სუროგაციის ძალით ე ხდება ამონაგები თანხის მესაკუთრე, კრედიტორი (გ) ერევა საკუთრების უფლების არსში, როდესაც იგი უშვებს ამონავები თანხის გადაცემას სასამართლო (სახელმწიფო) აღმასრულებლისგან.[284]

ა.ე. იურიდიული შედეგი

სსკ-ის 982-ე მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, პირი, რომელიც ხელყოფს მეორე პირის სამართლებრივ სიკეთეს მისი თანხმობის გარეშე განკარგვის, დახარჯვის, სარგებლობის, შეერთების, შერევის, გადამუშავების ან სხვა საშუალებით, მოვალეა, აუნაზღაუროს უფლებამოსილ პირს ამით მიყენებული ზიანი. განსახილველი ნორმით გათვალისწინებული „ზიანი" არის არა ზიანის ანაზღაურების შემთხვევა, არამედ ის უთანაბრდება გამდიდრებას. ეს ნორმა მოცემულია უსაფუძვლო გამდიდრების ინსტიტუტში, რაც იმას ნიშნავს, რომ ამ დებულებით გათვალისწინებული ზიანი გათანაბრებულია უსაფუძვლო გამდიდრებასთან. ამდენად, დასა-

---

[283] იხ. В. М. Хвостов, Система римского права, М., 1996, 253. მითითებულია: ქ. ქორშვილი, მფლობელობისა და საკუთრების ურთიერთდამოკიდებულება, „სამართლის ჟურნალი", N1, 2011, 124.

[284] ი. კრომპოლერი, გსკ – სასწავლო კომენტარი, გადამუშავეს ფ. იაკობმა და მ. ფონ ჰინდენბა, მე-13 გადამუშავ. გამოცემა, თარგმნეს თ. დარჩიანმა და ზ. ჭეჭელაშვილმა, თბ., 2014, 604.

ხელებული ნორმით დადგენილი იურიდიული შედეგი არის ის, რომ ხელყოფა უთანაბრდება უფლებამოსილი პირის უფლებაში ჩარევას. მსგავსად შესრულების კონდიქციისა, გათანაბრების მოთხოვნის ოდენობის დადგენისას უნდა იყოს გამოყენებული სსკ-ის 979-ე მუხლის 1-ლი და მე-2 ნაწილები, რომელთა ანალიზის თანახმად, მიღებული სარგებლის დაბრუნების შეუძლებლობის შემთხვევაში, მიმღებმა უნდა დააბრუნოს მისი ღირებულება. მაგალითად, თუ სარგებლის დაბრუნება შეუძლებელია, ვინაიდან სარგებელი „გახარჯულია" მეუღლეთა თანასაკუთრებაში არსებული ქონების განსხვისებით, ამ შემთხვევაში მიმღებმა უნდა დააბრუნოს მისი ღირებულება მიღებული თანხის ნახევრის სახით. სწორედ ამაზე მიუთითებს სსკ-ის 1160-ე მუხლის მე-3 ნაწილი, რადგან ამ ნორმის კონტექსტში „სარგებელია" არა უშუალოდ გასხვისებული ქონების დაბრუნება, არამედ გასხვისების შედეგად მიღებული სიკეთე. შესაბამისად, სსკ-ის 982-ე მუხლის 1-ლ ნაწილით გათვალისწინებული ზიანის ანაზღაურებაში იგულისხმება მიღებულის დაბრუნების შეუძლებლობის შემთხვევაში მისი ღირებულების გადახდა. უსაფუძვლო გამდიდრების ინსტიტუტის დროს, თუ ხელმყოფმა განზრახ არ გაითვალისწინა სხვა პირის უფლებამოსილება, ამ უკანასკნელს შეუძლია, მოითხოვოს მოგება, რომელიც ქონებრივ დანაკლისს აღემატება (სსკ-ის 985-ე მუხლის 1-ლი ნაწილი).[285]

საქმე ისაა, რომ, თუ პირმა სხვისი ნივთი გამოიყენა, ან მისი მეშვეობით მოგება თუ უფლება მიიღო ნივთის მესაკუთრის ნებართვის გარეშე, ბრალეული ხელყოფის შემთხვევაში დაზარალებულს შეუძლია დამრღვევისგან ამოიღოს წაგება დელიქტური სარჩელის საფუძველზე. თუმცა არაბრალეული დარღვევის დროს სამართალდამრღვევმა ხელყოფის კონდიქციაზე დაყრდნობით დაზარალებულს უნდა აუნაზღაუროს ის მოგება, რომელიც მოცემული უფლებების გამოყენებით მიიღო.[286]

ბ. ხელყოფის კონდიქციის სპეციალური შემთხვევები

სსკ-ში, გარდა ხელყოფის კონდიქციის ზოგადი შემთხვევისა, წარმოდგენილია ხელყოფის კონდიქციის სპეციალური შემთხვევები[287]. მაგალითად, ხელყოფის ზოგად ნორმას (სსკ-ის 982-ე მუხლი) მოჰყვება

---

[285] საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2013 წლის 11 თებერვლის გადაწყვეტილება (№ას-1136-1067-2012).

[286] კ. ცაიგერტი, ჰ. კოტცი, შედარებითი სამართალმცოდნეობის შესავალი კერძო სამართლის სფეროში (მეცნ. რედ. და ბოლოთქმა თ. ნინიძის, თარგმნა ე. სუმბათაშვილმა), ტ. II, თბ., 2001, 234.

[287] დაწვრილებით ამ შემთხვევების შესახებ იხ. უსაფუძვლო გამდიდრებიდან წარმოშობილი ვალდებულების შინაარსის კონკრეტულ ქვეგანყოფილებებში.

სსკ-ის 983-ე მუხლით დადგენილი ჩარევის კონდიქციის სპეციალური შემთხვევა - არაუფლებამოსილი პირის მიერ შესრულების მიღება.[288]

ამასთან, სსკ-ში გვხვდება ხელყოფის კონდიქციის სპეციალური შემთხვევები, რომლებიც სსკ-ის 989-ე და 990-ე მუხლებშია ასახული. შესაბამისად, უნდა გაიმიჯნოს სასყიდლიანი განკარგვა უსასყიდლო განკარგვისგან. სსკ-ის 989-ე მუხლის (სასყიდლიანი განკარგვა) მიხედვით, საგულისხმოა ორი გარემოება: ა) თუ მიღებული თანხა საგნის ღირებულებაზე დაბალია, უსაფუძვლო გამდიდრების ზოგადი პრინციპიდან გამომდინარე, უნდა იყოს დაბრუნებული მხოლოდ მიღებული თანხა; ბ) თუ პირიქით, მიღებული ანაზღაურება საგნის ღირებულებას აღემატება, მაშინ საკითხი სადავოა. მართალია, ზოგადი პრინციპი აქაც რჩება, თუმცა კონკრეტულ შემთხვევებში დასადგენია, რა გზით მიიღო სუბიექტმა მოგება და რა წვლილი მიუძღვის თავად განმკარგველს მის მიღებაში, ანუ რამდენად შეიძლება იყოს ეს მოგება მისი პირადი მეცადინეობის შედეგი. გარკვეულ შემთხვევებში შეიძლება საგნის ღირებულების ნამატი თანხა განმკარგველს დარჩეს. რაც შეეხება უსასყიდლო განკარგვას (სსკ-ის 989-ე მუხლის 1-ლი ნაწილი), მიმღებს ევალება მიღებულის დაბრუნება. იგივე წესი ვრცელდება არაუფლებამოსილი პირის მიერ შესრულების მიღების დროს.[289]

როგორც ჩანს, ხელყოფის კონდიქცია დელიქტური და ვინდიკაციური სამართლის დანამატია.

2.2. რეგრესის კონდიქცია

რეგრესის კონდიქცია მაშინ არსებობს, როცა მესამე პირი ასრულებს ვალდებული პირის მოვალეობას კრედიტორის წინაშე. მაგალითად, თუ ა-ს ეგონა, რომ მისმა ძალმა ბ-ს მიაყენა ზიანი, რის გამოც აუნაზღაურა კიდეც მას ზიანი, მაგრამ სინამდვილეში ეს ძალი ა-ს კი არა, არამედ გ-ს ეკუთვნოდა, ა-ს წარმოშობა უფლება, მოსთხოვოს გ-ს შესრულებულის კომპენსირება.[290]

ამდენად, რეგრესის კონდიქციის დროს (ა) იფარება სხვისი ვალი (ბ) რაიმე სამართლებრივი საფუძვლის გარეშე. თუმცა რეგრესის კონდიქციის მომწესრიგებელი ნორმის გამოსაყენებლად აუცილებელია, რომ (გ) არ არსებობდეს სპეციალური შემთხვევის მომწესრიგებელი წესი, ვინაიდან ის სუბსიდიური ხასიათისაა. ამ წინაპირობების კუმულაციისას შემსრულებელს შეუძლია მოვალისაგან მოითხოვოს თავისი ხარჯების ანაზღაურება.

---

[288] G. Rusiashvili, Zur Anwendbarkeit der Saldtheorie im georgischen Recht, Saarbrücken, 2014, 50.

[289] იხ. ლ. შატბერაშვილი, უსაფუძვლო გამდიდრება: სამართლიანი სამართალი? ჟურნ. „სამართალი", N6-7, 2000, 37-38.

[290] იხ. F. Schade, Wirtschaftsprivatrecht: Grundlagen des Bürgerlichen Rechts sowie des Handels- und Wirtschaftsrechts, 2., neu bearbeitete Aufl., Stuttgart, 2009, 159.

ა. უსაფუძვლოდ სხვისი ვალის დაფარვა

როგორც აღინიშნა, რეგრესის კონდიქცია გამოიხატება სამართლებრივი საფუძვლის გარეშე სხვისი ვალის დაფარვაში. საქმე ისაა, რომ მოვალემ უნდა მიიღოს ქონებრივი სარგებელი, კერძოდ ვალდებულებისაგან გათავისუფლება, რაც უკავშირდება მესამე პირის მიერ კრედიტორის დაკმაყოფილებას. სწორედ სსკ-ს 372-ე მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, თუ კრედიტორი მიმართავს იძუ-ლებით აღსრულებას მოვალის კუთვნილ ნივთზე, მაშინ ყოველი პირი, რო-მელსაც იძულებითი აღსრულებით ექმნება ამ ნივთზე უფლების დაკარგვის საფრთხე, უფლებამოსილია, დააკმაყოფილოს კრედიტორი. როცა მესამე პირი დააკმაყოფილებს კრედიტორს, მაშინ მოთხოვნის უფლება გადადის ამ პირზე. შესაბამისად, თუ ვალის გადახდამ მოვალეს დაუკარგა კრედიტორის წინაშე თავისი შესაგებლის წარდგენის შესაძლებლობა, ეს შეამცირებს მის გამდიდრებას.

ბ. სუბსიდიური ხასიათი

სუბსიდიურ ხასიათში მოიაზრება ის, რომ, თუ არსებობს სასარჩელო მოთხოვნის შესაძლო დაკმაყოფილების სახელშეკრულებო ან სხვა კანონისმიერი საფუძველი (მოთხოვნათა კონკურენცია), უსაფუძვლო გამდიდრების შესახებ ნორმა, როგორც მოთხოვნის საფუძველი, ბოლოს უნდა იყოს გამოყენებული. შესაბამისად, მოცემულ შემთხვევაში უნდა გამოირიცხოს მოთხოვნის დაკმაყოფილება სახელშეკრულებო ან სხვა კანონისმიერი საფუძვლებიდან.[291]

რეგრესის კონდიქციის მომწესრიგებელი ნორმის გამოსაყენებლადაც უნდა დადგინდეს, არის თუ არა მოცემული ურთიერთობა სხვა უფრო სპეციალური ნორმით დარეგულირებული, ვინაიდან ამ შემთხვევაში გამოიყენება სპეციალური წესი. ამ გაგებით, უსაფუძვლო გამდიდრება შეიძლება მჭიდროდ დაუკავშირდეს დავალების გარეშე სხვისი საქმეების შესრულებას. როცა საკითხი ეხება სხვის საქმეთა გამართლებულ გაძღოლას, რომელიც მეპატრონის ინტერესებს შეესაბამება, მაშინ მომხდარი ქონებრივი მიმოქცევა, სამართლებრივი თვალსაზრისით, მიიჩნევა საფუძვლიანად და ამიტომ გამოიყენება დავალების გარეშე სხვისი საქმეების შესრულების მომწესრიგებელი ნორმები. თუმცა, როდესაც შესრულებული მოქმედებები მეპატრონის ნებას არ შეესაბამება, ან მის ინტერესებს ეწინააღმდეგება, ამ პირობებში მომხდარი ქონებრივი ტრანსმისიები მოკლებულია სამართლებრივ საფუძველს. მოცემული სამართლებრივი ინსტიტუ-

[291] საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2012 წლის 4 აპრილის გადაწყვეტილება (№ას-1249-1269-2011).

ტის (სხვისი საქმეების შესრულება დავალების გარეშე) ფარგლებში შემსრულებელს არ შეუძლია, მოსთხოვოს მეპატრონეს თავისი ხარჯების ანაზღაურება და გამოიყენება უსაფუძვლო გამდიდრების ნორმები, რომელთა დანიშნულებაა ქონებრივი წონასწორობის აღდგენა. სსკ-ის 986-ე მუხლის თანახმად, პირს, რომელიც შეგნებულად ან შეცდომით სხვის ვალებს ისტუმრებს, შეუძლია, ამ პირს მოსთხოვოს თავისი ხარჯების ანაზღაურება. მაგალითად, თუ ბანკმა შეგნებულად გადაიხადა გ-ის ვალი, რაც განპირობებული იყო უძრავი ქონების საგადასახადო იპოთეკა/გირავნობისაგან განთავისუფლებით, ის უნდა შეფასდეს სსკ-ის 986-ე მუხლით, ვინაიდან ამ ნორმით განსაზღვრული შემთხვევა ეხება სამართლებრივი საფუძვლის გარეშე გაცნობიერებულად სხვისი ვალების გასტუმრებას, რასაც ჰქონდა ბანკის ეკონომიკური ინტერესი. დასახელებული წინაპირობების არსებობისას განსახილველი ნორმა ანიჭებს სხვისი საქმეების შემსრულებელს შესაძლებლობას, მოითხოვოს უსაფუძვლოდ გამდიდრებული პირისაგან თავისი ხარჯების ანაზღაურება.[292]

ამდენად, რეგრესის კონდიქციის დროს არ უნდა მოქმედებდეს სპეციალური დანაწესები. საქმე ისაა, რომ ხშირად ზემოთ აღწერილი შემთხვევა შეიძლება შეესაბამებოდეს შესრულების კონდიქციის წინაპირობებს: მაგალითად, როდესაც ა-მ დაავალა ბ-ს გადახდა, რომელიც სამართლებრივ საფუძველს მოკლებული იყო, ან როცა ბ-მ გადაიხადა, სავარაუდოდ, საკუთარი ვალი. თუ ვითომ-მემკვიდრე ბ უხდის გ-ს მამკვიდრებლის ვალს, რეგრესული კონდიქცია არ არსებობს ნამდვილი მემკვიდრის — ა-ს მიმართ შეცდომის გამოვლენის შემდეგ, ვინაიდან ა-ს არაფერი მიუღია, მათ შორის გ-ს მიმართ არც ვალდებულებისგან გათავისუფლებულა, არამედ ბ-სა და გ-ს შორის წარმოიშვა **condictio indebeti**. სპეციალური რეგრესული დებულება, სსკ-ის 717-ე მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, მოქმედებს მაშინ, როდესაც ბ ასრულებს გ-ს მიმართ რაიმეს ა-ს დავალებით, ან როცა იგი ა-ს ინტერესებისთვის მოქმედებდა ნამდვილი (მართებული) დავალების გარეშე სხვისი საქმეების შესრულების ფარგლებში (სსკ-ის 969-973-ე მუხ.). ამასთან, რეგრესული მოთხოვნა ხშირად რეგულირდება cessio legis-ის[293] ან სხვა სპეციალური ნორმების მეშვეობით, მაგალითად, გამოსყიდვის უფლების არსებობისას, სოლიდარულ მოვალეებს შორის ან თავდების რეგრესული მოთხოვნის შემთხვევაში. რეგრესული მოთხოვნა შეიძლება განხორციელდეს შესრულების კონდიქციის საფუძველზეც. ბ უხდის გ-ს, რათა ა-სთან

[292] საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2013 წლის 7 მარტის გადაწყვეტილება (№ას-1150-1079-2012).

[293] მოთხოვნის დათმობა.

მიმართებით შეიძინოს რეგრესული მოთხოვნის უფლება მართებული დავალების გარეშე სხვისი საქმეების შესრულებიდან გამომდინარე.[294]

კანონით დადგენილ (სპეციალურ) შემთხვევაში გათვალისწინებულია სხვისი ვალის დაფარვის დროს მოთხოვნის უფლების გადასვლა გადამხდელზე. მაგალითად, სსკ-ის 473-ე მუხლის 1-ლი ნაწილის მიხედვით, სოლიდარული ვალდებულების შემსრულებელ მოვალეს აქვს უკუმოთხოვნის უფლება დანარჩენ მოვალეთა მიმართ წილთა თანაბრობის კვალობაზე, თუმცა თავისი წილის გამოკლებით, თუკი ხელშეკრულებით ან კანონით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული. ან კიდევ სსკ-ის 905-ე მუხლით დადგენილია, რომ თუ თავდები დააკმაყოფილებს კრედიტორს, მასზე გადადის კრედიტორის მოთხოვნა ძირითადი მოვალის მიმართ. ძირითადი მოვალის შესაგებლები, რომლებიც გამომდინარეობს მასა და თავდებს შორის არსებული სამართლებრივი ურთიერთობიდან, ხელუხლებელი რჩება. შესაბამისად, რეგრესული მოთხოვნის დროს გადამხდელს არ უნდა ჰქონდეს სხვისი ვალის დაფარვის არც კანონისმიერი და არც სახელშეკრულებო საფუძველი.

ამასთან, თუ პირმა (ბ-მ) გადაიხადა, სავარაუდოდ, საკუთარი ვალი, მაშინ ნამდვილი მოვალე არ თავისუფლდება პასუხისმგებლობისგან, ვინაიდან სხვა პირის (ა-ს) მიერ შესრულება ნათლად არაა განსაზღვრული; შესაბამისად, აქ არ გვხვდება რეგრესი ბ-სა და ა-ს შორის. გაბატონებული შეხედულების თანახმად, შემსრულებელი (ბ) მაინც იძენს უფლებას, შემდგომში შეცვალოს ნაწილობრივი განსაზღვრა ისე, რომ ნამდვილი მოვალე (ა) კრედიტორის – გ-ს მიმართ გათავისუფლდეს პასუხისმგებლობისაგან და შესაძლებელი გახდეს რეგრესული კონდიქცია ა-ს მიმართ. თუმცა, სხვა მოსაზრების მიხედვით, ამ არჩევანის შესაძლებლობით ბ-ს უსამართლოდ ენიჭება უპირატესობა, განსაკუთრებით გ-ს გაკოტრებისას, როდესაც ა-ს გაქვითვითაც შეეძლო ვალდებულებისაგან გათავისუფლება.[295]

ამიტომ შეიძლება ითქვას, რომ რეგრესის კონდიქცია განიხილება დავალების გარეშე სხვისი საქმეების შესრულების დანამატად.

2.3. დანახარჯების კონდიქცია

დანახარჯების კონდიქცია არსებობს მაშინ, როცა პირმა გასწია თავისი დანახარჯები მესამე პირის სასარგებლოდ იმ ვარაუდით, რომ ეს

---

[294] ი. კროპჰოლერი, გსკ – სასწავლო კომენტარი, გადაამუშავეს ფ. იაკობმა და მ. ფონ პინდენმა, მე-13 გადამუშავებ. გამოცემა, თარგმნეს თ. დარჯანიამ და ზ. ჭეჭელაშვილმა, თბ., 2014, 606-607.

[295] იქვე, 607.

ხარჯები (ამ) მესამე პირს ეკუთვნოდა. მაგალითად, დარაჯმა გამოიყენა სალექციო აუდიტორიის შესაღებად საკუთარი საღებავი, ვინაიდან ეგონა, რომ ეს საღებავი უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულების იყო.[296]

თუ პირი მოიხმარს საკუთარ საშუალებებს (როგორიცაა თავისი სამუშაო ძალა) სხვისი ნივთის მიმართ ისე, რომ ეს მას არც კანონით და არც ხელშეკრულებით ევალება, წარმოიშობა სარგებლობიდან გამომდინარე ღირებულების ანაზღაურების კონდიქცია. დანახარჯების კონდიქცია (სსკ-ის 987-ე მუხლის 1-ლი ნაწილი) რომ არსებობდეს, აუცილებელია რამდენიმე წინაპირობის კუმულაცია: 1) დანახარჯების გაწევა; 2) ასევე, უფრო სპეციალური დათქმების დროს ამ უსაფუძვლო გამდიდრებამ უკან უნდა დაიხიოს; 3) უნდა გამოირიცხოს ე. წ. „თავს მოხვეული" უსაფუძვლო გამდიდრება.

ა. დანახარჯების გაწევა

დანახარჯებად მოიაზრება ნებისმიერი სახის ხარჯი, რომელიც ნივთის ღირებულებას ზრდის. შესაბამისად, ამ ხარჯის გაღება უტოლდება დანახარჯების გაწევას.

ბ. სუბსიდიური ხასიათი

ამასთან, ეს კონდიქცია სუბსიდიურია სპეციალური დანაწესების მიმართ, კერძოდ როგორც დავალების გარეშე სხვისი საქმეების შესრულების (სსკ-ის 969-974-ე მუხლები), ისე მესაკუთრესა და მფლობელს შორის ურთიერთობის დროს (სსკ-ის 163-164-ე მუხლები). შესაბამისად, დანახარჯების კონდიქციის მოქმედების არეალი შედარებით ვიწროა და ის გამოიყენება მაშინ, თუ დანახარჯების გამწევი, ამავდროულად, არ მოიაზრება ნივთის მფლობელად. ამიტომაც (კონდიქციისა და ვინდიკაციის) კონკურენციის შემთხვევაში უპირატესობა ენიჭება სსკ-ის 163-ე მუხლის მე-2 ნაწილის სპეციალურ დანაწესებს: თუ არამართლზომიერმა მფლობელმა გასწია ხარჯები სხვა პირის კუთვნილ ნივთზე, მაშინ მას შეუძლია ამ ხარჯების ანაზღაურება მოითხოვოს მხოლოდ სსკ-ის 163-ე მუხლის მე-2 ნაწილისა და შემდგომი პარაგრაფების წინაპირობების გათვალისწინებით; ეს საკანონმდებლო შეფასება უგულებელყოფილი იქნებოდა, თუ დაიშვებოდა უფრო ფართოდ გამოყენებადი კონდიქცია.[297]

---

[296] იხ. F. Schade, Wirtschaftsprivatrecht: Grundlagen des Bürgerlichen Rechts sowie des Handels- und Wirtschaftsrechts, 2., neu bearbeitete Aufl., Stuttgart, 2009, 159.

[297] ი. კროპოლერი, გსკ – სასწავლო კომენტარი, გადაამუშავეს ფ. იაკობმა და მ. ფონ პინდენმა, მე-13 გადამუშავებული გამოცემა, თარგმნეს თ. დარჯანიამ და ზ. ჭეჭელაშვილმა, თბ., 2014, 605.

ამდენად, თუ გამოიკვეთა სხვა ინსტიტუტის ნიშნები, ამ შემთხვევაში დანახარჯების კონდიქცია იხევს უკან სხვა ინსტიტუტის წინაშე. მაგალითად, საზიარო უფლებების საფუძველზე მოწილეებს აქვთ გარკვეული საცხოვრებელი სახლი, რომლის თანამესაკუთრეებად დარეგისტრირებულნი არიან სწორედ ეს მოწილეები. ერთ-ერთმა მოწილემ დიდთოვლობისას გაწეული საჭირო ხარჯების ანაზღაურება მოსთხოვა სხვა მოწილეებს, რომლებიც გარკვეული დროით საცხოვრებელ ადგილას არ იმყოფებოდნენ. მოცემულ შემთხვევაში აშკარად იკვეთება უსაფუძვლო გამდიდრების ნიშნები, ვინაიდან სხვა მოწილეები გამდიდრნენ ერთ-ერთი მოწილის მიერ განხორციელებული ღონისძიებების გამო სამართლებრივი საფუძვლის გარეშე. თუმცა ეს კონდიქციური ვალდებულება არის რა სუბსიდიური ხასიათის და ვინაიდან მოდავე მხარეებს შორის ურთიერთობა წარმოიშვა საზიარო უფლებების საფუძველზე, საქმე უნდა შეეხოს საზიარო უფლებებს. შესაბამისად, ამ სასარჩელო მოთხოვნის დაკმაყოფილების სხვა კანონისმიერ საფუძვლად შეიძლება იგულისხმებოდეს საზიარო უფლებების მომწესრიგებელი ნორმა.[298]

ასევე საგულისხმოა, რომ, გაბატონებული აზრის მიხედვით, დანახარჯების კონდიქცია მიიღება მხედველობაში მხოლოდ მესაკუთრესა და მფლობელს შორის ურთიერთობის მიღმა. მაგალითად, ეს შეეხება პირის მიერ ხარჯების გაწევას იმ ნივთზე, რომლებიც არ იმყოფება მის მფლობელობაში და რომელთა შესახებაც იგი არასწორად უშვებდა იმის ალბათობას, რომ ისინი მას ეკუთვნის (იშვიათად), ან იგი მათ მემკვიდრეობით მიიღებს. ამდენად, ცნებები „სამართლებრივი საფუძვლის გარეშე" და „ამ უკანასკნელის ხარჯზე" როგორც დანახარჯების, ისე შესრულების კონდიქციის დროს უნდა განიმარტოს ისე, თითქოს აქაც, მსგავსად ზემოაღნიშნული შემთხვევისა, საქმე ქონების ნებაყოფლობით დაკარგვას ეხება.[299]

გ. „თავს მოხვეული" გამდიდრების არარსებობა

დანახარჯების კონდიქციის დროს ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი წინაპირობაა, რომ გამოირიცხოს „თავს მოხვეული" გამდიდრება. შესაბამისად, დანახარჯების შესახებ მოთხოვნის წარდგენა დაუშვებელია, თუ დანახარჯები გამდიდრებულისათვის არასასურველი იყო. მოცემულ შემთხვევაში იგულისხმება კონდიქცია, როდესაც პირმა უნდა აანაზღაუროს ქონების ღირებულება, ხოლო ხარჯები, მართალია, ობიექტურად გაიზარდა,

[298] საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2011 წლის 4 ოქტომბრის გადაწყვეტილება (№ას-649-610-2011).

[299] ი. კროპჰოლერი, გსკ — სასწავლო კომენტარი, გადაამუშავეს ფ. იაკობმა და ჰ. ფონ პინდენმა, მე-13 გადამუშავებული გამოცემა, თარგმნეს თ. დარჯანიამ და ზ. ჭეჭელაშვილმა, თბ., 2014, 606.

მაგრამ მისთვის პირადად (სუბიექტურად) უსარგებლოა. მაგალითად, გ-მ საკუთარი ფანჯრის რაფასთან ერთად შეცდომით შეღება ს-ს ფანჯრის რაფაც, თუმცა, ს-ს სურდა ახალი ფანჯრის დამონტაჟება. ამდენად, პრობლემა დგება მხოლოდ იმ შემთხვევაში, როცა გამდიდრებულის მიერ ფიზიკური თვალსაზრისით დაბრუნება ფაქტობრივად ან სამართლებრივად გამორიცხულია. დანახარჯების კონდიქცია მოვალისთვის ალნიშნულ შემთხვევებში სასარგებლოა, ვინაიდან გამდიდრების შედეგად მიღებულის მოცულობა ფასდება გამონაკლისის სახით არა მოვალის ქონების ღირებულების ობიექტური გაზრდის, არამედ სუბიექტური სარგებლობის თვალსაზრისით, რისი მიღებაც მოვალეს შეუძლია თავისი ქონებრივი მდგომარეობის დაგეგმვის შესაბამისად. ამავე დროს, არ აქვს მნიშვნელობა, ეს შედეგი 979-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესატყვის გამოყენებას ეფუძნება თუ ვითარდება ღირებულების ცნების სუბიექტივაციასთან ან მკაცრად დიფერენცირებულ გადაწყვეტილებებთან ერთად.[300]

დანახარჯების კონდიქცია შეიძლება განიმარტოს, როგორც დავალების გარეშე სხვისი საქმის შესრულების სამართლის დამატება.[301] ამიტომ შეიძლება ითქვას, რომ დანახარჯების კონდიქცია განიხილება დავალების გარეშე სხვისი საქმეების შესრულების დანამატად.

§ 10. უსაფუძვლო გამდიდრებიდან წარმოშობილი ვალდებულების ელემენტები

1. უსაფუძვლო გამდიდრებიდან წარმოშობილი ვალდებულების ობიექტი

ვალდებულების ობიექტში შეიძლება მოიაზრებოდეს არა მხოლოდ ნივთი, შრომა, მომსახურება, ქონებრივი უფლებები, არამედ მიმღების ქონებრივი მდგომარეობის ნებისმიერი გაუმჯობესება. ასეთი გაუმჯობესება შეიძლება გამოვლინდეს მიმღების მფლობელობაში ნივთის ან ქონებრივი უფლების გადაცემით, მესამე პირთა წინაშე მიმღების ქონებრივი მოვალეობებისგან გათავისუფლებით, სამუშაოს შესრულებით ან მომსახურების გაწევით და სხვა.

კონდიქციური სარჩელის საგანია დაზარალებულის მოთხოვნა უსაფუძვლოდ გამდიდრების საფუძველზე მიღებულის ნატურით დაბრუნების

---

[300] ი. კროპჰოლერი, გსკ – სასწავლო კომენტარი, გადაამუშავეს ფ. იაკობმა და მ. ფონ ჰინდენმა, მე-13 გადამუშ. გამოცემა, თარგმნეს თ. დარჯანიამ და ზ. ჭეჭელაშვილმა, თბ., 2014, 606.

[301] საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2013 წლის 7 მარტის გადაწყვეტილება (№ას-1150-1079-2012).

შესახებ. კონდიქციური სარჩელის ობიექტი თვით უსაფუძვლოდ შეძენილ (დაზოგილ) ქონებას უკავშირდება, თუ ისაა ინდივიდუალურად განსაზღვრული, ან ქონება იმავე გვარის, ხარისხისა და რაოდენობის, ან უსაფუძვლოდ მიღებული (დაზოგილი) ქონების ღირებულების კომპენსაცია. უსაფუძვლო გამდიდრების შედეგად წარმოშობილი ვალდებულების საგანი უტოლდება კონდიქციური სარჩელის ობიექტს. ამასთან, იურიდიულ ლიტერატურაში აღინიშნა, რომ კონდიქციური ვალდებულების ობიექტია გამდიდრებული პირის მოქმედება უსაფუძვლო გამდიდრების შედეგად მიღებულის დაზარალებულისთვის ნატურით დაბრუნების შესახებ ან მისი ღირებულების კომპენსაცია. საქმე ისაა, რომ უსაფუძვლო გამდიდრების ობიექტია ნივთები, ასევე ფული, დოკუმენტური ფასიანი ქაღალდები და სხვა სახის ქონება, მათ შორის ქონებრივი უფლებები, უნაღდო ფული, ინფორმაცია, სამუშაო, მომსახურება. ამდენად, უსაფუძვლოდ გამდიდრება შეიძლება შეეხოს როგორც ინდივიდუალურ, ისე გვარეობითი ნიშნით განსაზღვრულ ქონებას.[302] უფრო ზუსტად რომ ითქვას, უსაფუძვლო გამდიდრებიდან წარმოშობილი ვალდებულების ობიექტი, ზოგადად, სიკეთეა, რისთვისაც ღებულობს მონაწილეობას სამართლებრივი ურთიერთობის სუბიექტი.[303]

2. უსაფუძვლო გამდიდრებიდან წარმოშობილი ვალდებულების სუბიექტი

კონდიქციური ვალდებულების სუბიექტებად გამოდიან კრედიტორი, რომელიც შეიძლება იყოს არა მხოლოდ ის, ვის ხარჯზეც სხვა პირი გამდიდრდა (დაზარალებული), არამედ სხვა პირებიც, განსაკუთრებით პირი, რომელსაც, დათმობის ხელშეკრულების მიხედვით, გადაცემული აქვს მოთხოვნა უსაფუძვლო გამდიდრების საფუძველზე მიღებულის დაბრუნების შესახებ.[304] უსაფუძვლო გამდიდრების დროს როგორც კრედიტორის, ისე მოვალის როლში შეიძლება გამოვიდეს სამოქალაქო ურთიერთობის ნებისმიერი სუბიექტი.[305]

---

[302] Е. А. Анчишина, Обязательства вследствие неосновательного обогащения, Автореф., Ижевск. 2010, 10-11, 16-17; იურიდიულ ლიტერატურაში არის მოსაზრება, რომლის თანახმად, კონდიქციური ვალდებულებისთვის არაა დამახასიათებელი ინდივიდუალური ნიშნით განსაზღვრული ნივთის გამოთხოვა. იხ. რ. შენგელია, კონდიქციურ ვალდებულებათა საფუძვლები, წიგნში: „სერგო ჯორბენაძის 70 წლისადმი მიძღვნილი საიუბილეო კრებული“ (შემდგ. და რედ.: რ. კნიპერი, ლ. ჭანტურია), თბ., „ნორმა“, 1996, 70.

[303] დაწვრ. კერძოსამართლებრივი ურთიერთობის ობიექტთან დაკავშ. იხ. მ. ბიჭია, სამოქალაქოსამართლებრივი ურთიერთობის ობიექტი, „სამართლის ჟურნალი“, N2, 2012, 39-54.

[304] Е. А. Анчишина, Обязательства вследствие неосновательного обогащения, Автореф., Ижевск, 2010, 16.

[305] რ. შენგელია, კონდიქციურ ვალდებულებათა საფუძვლები, წიგნში: „სერგო ჯორბენაძის 70 წლისადმი მიძღვნილი საიუბილეო კრებული“ (შემდგ. და რედ.: რ. კნიპერი, ლ. ჭანტურია), თბ., 1996, 67.

თუმცა ამ შემთხვევებში კრედიტორს არა აქვს მოთხოვნის საფუძველი, რის გამოც ის მხოლოდ ფაქტობრივად განიხილება კრედიტორად. შესაბამისად, კანონმდებელმა მას „ვითომ-კრედიტორი“ უწოდა.[306] აქედან გამომდინარე, ვითომ-კრედიტორია ის პირი, ვინც ქონება უსაფუძვლოდ შეიძინა (ქონების მოცულობა გაზარდა) ან დაზოგა (უნდა დაეხარჯა თავისი ფულადი სახსრები თუ სხვა ქონება, მაგრამ არ დახარჯა, ვინაიდან ეს სხვამ შეასრულა, ან სხვას არ გადაუხადა განსაზღვრული ანაზღაურება), ან ხელყო სხვისი სიკეთე, რითაც გამდიდრდა.[307]

3. უსაფუძვლო გამდიდრებიდან წარმოშობილი ვალდებულების შინაარსი

3.1. იძულების ან მუქარის საფუძველზე გადაცემულის უკან დაბრუნების მოთხოვნა

როცა იძულების ან მუქარის საფუძველზე უკან დაბრუნების მოთხოვნის გამოსაყენებლად უნდა არსებობდეს რამდენიმე წინაპირობა ერთდროულად: ა) რაიმეს გადაცემა; ბ) იძულების ან მუქარის გამოყენება (და არა ვალდებულების შესასრულებლად); გ) მიმღებს არ უნდა ჰქონდეს გადაცემულზე უფლება (სსკ-ის 978-ე მუხლი). ამ პირობათაგან რომელიმეს არარსებობა გამორიცხავს სსკ-ის 978-ე მუხლის გამოყენებას.

იძულებაში მოიაზრება აშკარა ჩარევა ნების პროცესში.[308] მოცემულ შემთხვევაში პირმა იცის რეალური ვითარება, რის გამოც ის გარიგების დადების წინააღმდეგია, მაგრამ მას გარეგანი ზემოქმედებით აიძულებენ, დაეთანხმოს შემოთავაზებულ წინადადებას. აქ ნება არ შეესაბამება მის გარეგნულ გამოხატულებას, რის გამოც ასეთი ნება ნაკლულად მიიჩნევა.

ასევე, გარიგების ბათილობას იწვევს ისეთი იძულებაც, რომელსაც თავისი ხასიათით შეუძლია გაელენა მოახდინოს პირზე და აფიქრებინოს, რომ მის პიროვნებას ან ქონებას ხელყოფის რეალური საფრთხე ემუქრება.

ამასთან, იძულებად არ ითვლება ისეთი ზემოქმედებები, რომლებიც არ ხორციელდება არც მართლსაწინააღმდეგო მიზნით და არც მართლსაწინააღმდეგო საშუალებებით (სსკ-ის 88-ე მუხლი). იძულების დროს მიზნისა და მისი მიღწევის საშუალებას მართლზომიერი ხასიათი არ უნდა ჰქონდეს კუმულაციური წესით. ასევე, იძულების გამოსარიცხად მართლზომიერი მიზანი უნდა შეესაბამებოდეს მიზნის მიღწევის მართლზომიერ საშუალებას.[309]

---

[306] იხ. რ. შენგელია, სსკ-ის კომენტარი, წ. IV., ტ. II, თბ., 2001, 353, 355.

[307] Гражданское право. Обязательственное право. Под ред. Е. А. Суханова. Т. IV. 3-е изд.. М., 2006, 701.

[308] საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2005 წლის 7 ივლისის გადაწყვეტილება (№ას-309-633-05).

[309] იხ. ლ. ჭანტურია, სამოქალაქო სამართლის ზოგადი ნაწილი, თბ., 2011, 381-383.

მაგალითი: ა-ს მიმართ დაიწყო სისხლისამართლებრივი დევნა და დადგენილებით იგი ბრალდებულად ცნეს. მის მიმართ აღკვეთის ღონისძიების სახით გამოყენებული იქნა შეუსაბამოდ მაღალი გირაო - 100 000 ლარი, ვინაიდან ის მოცემული ქმედების შემადგენლობისთვის სხვა ანალოგიურ შემთხვევებში გამოყენებული გირაოს საშუალო ოდენობას ათჯერ აღემატებოდა. ამ თანხის გადახდამდე ა-მ მოსალოდნელი სასჯელის შემსუბუქების მიზნით განცხადებით მიმართა საჯარო რეესტრს და მიატოვა ზემოალნიშნულ უძრავ ნივთზე საკუთრების უფლება (სსკ 184-ე მუხლი). მიტოვებულ ქონებაზე მესაკუთრედ დარეგისტრირდა სახელმწიფო („საჯარო რეესტრის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-14 მუხლის მე-4 პუნქტი). ამის შემდეგ განაჩენით დამტკიცდა საპროცესო შეთანხმება პროკურორსა და ბრალდებულ ა-ს შორის, ა ცნობილი იქნა დამნაშავედ, სასჯელის ზომად მას განესაზღვრა ჯარიმა 3000 ლარის ოდენობით, ხოლო გირაო გაუქმდა.

სწორედ პატიმრობის შეფარდების შიში იყო ის ფსიქოლოგიური ფაქტორი [მის წინააღმდეგ იყო სახელმწიფო თავისი იძულებითი ძალაუფლებით], რომელმაც ა აიძულა მიეღო ქონების მიტოვების გადაწყვეტილება. ამდენად, არსებობდა სსკ 86-ე მუხლის 1-ლი ნაწილით გათვალისწინებული იძულება, რაც ანიჭებდა ა-ს მის მიერ გამოვლენილი ნების ბათილობის მოთხოვნის უფლებას (სსკ. 85-ე მუხლი). შეცილების უფლება მან კანონით დადგენილ ვადაში სარჩელის წარდგენით განახორციელა (სსკ. 89-ე და 138-ე მუხლები, 140-ე მუხლის მე-2 ნაწ.).

საქმე ისაა, რომ უძრავ ნივთზე საკუთრება მიტოვებულად ჩაითვლება იმ შემთხვევაში, თუ უფლებამოსილი პირის მიერ გამოვლენილი ცალმხრივი ნება არის სამართლებრივად ნამდვილი, რაც გულისხმობს ნების გამოვლენის თავისუფლების უზრუნველყოფისათვის შესაბამისი პირობების დაცვას. მოცემულ შემთხვევაში ა-ს შინაგან ნებას არ ასახავდა სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემის ეტაპზე მის მიერ გარეგნულად გამოვლენილი ნება, რომელსაც ნაკლი აქვს, ვინაიდან იგი გამოხატული იყო არა საკუთრების მიტოვების, არამედ მოსალოდნელი სასჯელის შემსუბუქების მიზნით. ამასთან, აღკვეთის ღონისძიების სახით მის მიმართ გამოყენებული იქნა შეუსაბამოდ მაღალი გირაო. შეცილების განხორციელების მომენტიდან ა-ს მიერ გამოვლენილი ცალმხრივი ნების გამოვლენა (ცალმხრივი გარიგება) ითვლება ბათილად, ეს კი გულისხმობს იმ სამართლებრივი შედეგის გაუქმებას, რაც ამ გარიგებას მოჰყვა. შესაბამისად, მიტოვებულ ქონებაზე ა-ს საკუთრების უფლების აღდგენა უნდა დაეფუძნოს სსკ-ის 978 მუხლს [„პირს, რომელიც მეორე პირს გადასცემს რაიმეს არა ვალდებულების შესასრულებლად, არამედ იძუ-

ების ან მუქარის საფუძველზე, შეუძლია მოითხოვოს მისი უკან დაბ-
რუნება, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა მიმღებს უფლება ჰქონდა გადა-
ცემულზე“] და 979-ე მუხლის 1-ლი ნაწილის პირველ წინადადებას
„უკან დაბრუნების მოთხოვნა ვრცელდება შეძენილზე..“].[310]

3.2. ხარჯებისა და დანაკლისის ანაზღაურება

უსაფუძვლო გამდიდრების ფარგლებში ხარჯები და დანაკლისი ანაზღაურდება, თუ არსებობს შემდეგი საფუძვლები კუმულაციურად: ა) მიმღებმა გასწია ხარჯები, ან მას ქონებრივი დანაკლისი წარმოეშვა, ბ) სამართლებრივი საფუძვლის გარეშე და გ) გადაცემული საგანი არ იძლევა იმის საფუძველს, რომ ის ჩაითვალოს სამუდამოდ შეძენილად. ამ წინაპირობათაგან ერთ-ერთის გამორიცხვის შედეგად დაუშვებელია სსკ-ის 980-ე მუხლის 1-ლი ნაწილის გამოყენება.

როცა პირის გასწევს გარკვეულ ხარჯებს უსაფუძვლოდ, ამან შეიძლება გამოიწვიოს სხვისი ქონების გაზრდა. შესაბამისად, ლოგიკურად წარმოიშობა ამ ხარჯების ანაზღაურების მოთხოვნის უფლება, თუმცა, თუ პირს წარმოეშვას ქონებრივი დანაკლისი, ვინაიდან საგანი სამუდამოდ შეძენილად მიაჩნდა, მაშინ იგი მოვალეა, დააბრუნოს საგანი ხარჯებისა და დანაკლისის ანაზღაურების პირობით.

მაგალითი: შეძენითი ხანდაზმულობის ვადის გასვლამდე პირმა მიიჩნია, რომ მის მფლობელობაში არსებულ ქონებას პატრონი არ გამოუჩნდებოდა და მის მიმართ გასწია სხვადასხვა ხარჯი, ან მისი ექსპლოატაციისთვის აუცილებელი გახდა სხვა ქონების შემცირება. თუ პატრონი გამოჩნდა, მიმღებს დაეკარგება ქონების დაბრუნება, თვითონ მას კი ექნება უფლება, მოითხოვოს გაწეული ხარჯებისა და მიღებული ქონებრივი დანაკლისის ანაზღაურება.

თუმცა ხარჯებისა და დანაკლისის ანაზღაურების შესახებ წესი არ გამოიყენება იმ შემთხვევაში, როცა გადაცემული საგანი არ იძლევა იმის საფუძველს, რომ მიმღებმა იგი სამუდამოდ შეძენილად ჩათვალოს. მაგალითად, თუ ერთი პირი ათხოვებს მეორეს ნივთს, პატრონი დიდი ხანი არ მოიკითხავს მას და მიმღები ჩათვლის თავისად, მაშინ ქონებაზე გაწეული ხარჯები ან ქონებრივი დანაკლისი არ ანაზღაურდება.[311]

---

[310] საქართველოს უზენაესი სასამართლო სამოქალაქო საქმეთა პალატის 2015 წლის 21 იელისის განჩინება (№ას-688-654-2015).

[311] რ. შენგელიას კომენტარი უსაფუძვლო გამდიდრებაზე, სსკ-ის კომენტარი, წ. მე-4, ტ. მე-2, თბ., 2001, 362-363.

მაგალითი: ა-ს გარდაცვალების შემდეგ მისი სამკვიდრო მიიღეს მისმა მემკვიდრეებმა. თუმცა ა-ს სამკვიდროს დაეუფლა ბ, რადგან ვინმე გ-სა და ბ-ს შორის ა-ს სამკვიდროს შესაძენად დადებული იყო ზეპირი გარიგება. ბ-მ შენობა გაარემონტა კიდეც, ვინაიდან ეგონა, რომ უძრავ ქონებას ეუფლებოდა კანონიერი საფუძვლით. სარემონტო სამუშაოების გარეშე შენობის ღირებულება განისაზღვრებოდა 53200 ლარით, ხოლო გარემონტების შემდეგ მისმა ღირებულებამ შეადგინა 60000 ლარი. ბ საჯარო რეესტრში ვერ დარეგისტრირდა მესაკუთრედ, რაც ხელს უშლიდა ნასყიდობის დადებას. ამასთან, სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ განცხადების მიხედვით, ა-ს ქონების მემკვიდრეების მიერ ქონების გადაფორმების მიზნით ბ-მ რამდენიმეჯერ გაიღო მატერიალური ხარჯები. ბ-ს განმარტებით, ის კეთილსინდისიერი იყო, რადგან არ იცოდა და არც შეიძლებოდა სცოდნოდა მფლობელობის ხარვეზის შესახებ. აქვს ბ-ს გაწეული ხარჯების ანაზღაურების მოთხოვნის უფლება?

მოცემულ შემთხვევაში მოწმე გ იყო არაუფლებამოსილი პირი, რომელთანაც დადებული ზეპირი გარიგება არ წარმოშობს ამ გარიგებით დადგენილ იურიდიულ შედეგებს. ამასთან, ბ არაა კეთილსინდისიერი ფლობის ფაქტის მიმართ, ვინაიდან ბ-მ რამდენიმეჯერ გაიღო ხარჯები ქონების გადაფორმების მიზნით და საჯარო რეესტრში აღურიცხავობა ხელს უშლიდა ნასყიდობის დადებას, ანუ მან იცოდა მფლობელობის ხარვეზის შესახებ. ასევე, ამ შემთხვევაზე ვრცელდება კანონის ცოდნის პრეზუმფცია (სსკ-ის მე-3 მუხლის მე-2 ნაწილი). ამდენად, ზეპირი გარიგება უძრავი ქონების ნასყიდობის თაობაზე საერთოდ არ იძლევა საგნის შეძენილად მიჩნევის საფუძველს. მართალია, სსკ-ის 164-ე მუხლის თანახმად, არაკეთილსინდისიერ მფლობელს ენიჭება უფლება, მოითხოვოს ხარჯების ანაზღაურება, თუმცა, თუ მისთვის ცნობილია (ან უნდა იყოს ცნობილი) სამართლებრივი საფუძვლის ხარვეზი, მისი მოთხოვნის ფარგლები მცირდება. ამდენად, სამოქალაქო კოდექსის 981-ე მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, მას ეკისრება პასუხისმგებლობა ბათილი გარიგების საფუძველზე უძრავი ქონების დაუფლების მომენტიდან.[312]

გაწეული ხარჯებისა და ქონებრივი დანაკლისის ანაზღაურების მოვალეობები ისევე, როგორც გადაცემული საგნის ნატურით დაბრუნების შეუძლებლობისას, მისი ღირებულება უნდა ანაზღაურდეს ერთდროულად.

ამასთან, თუ ქონების დაბრუნება უკავშირდება ხარჯების გაწევას, ეს ხარჯები უნდა გასწიოს შემსრულებელმა. იგივე შეიძლება ითქვას

---

[312] საქართველოს უზენაესი სასამართლო სამოქალაქო საქმეთა პალატის 2011 წლის 29 დეკემბრის გადაწყვეტილება (№ას-1075-1105-2011).

ონების დაზიანებისა თუ დაღუპვის რიკსზეც, ვინაიდან ისიც შემსრულებელს კისრება (სსკ-ის 980-ე მუხლის მე-2 ნაწილი).[313]

3.3. ზიანის ანაზღაურების ვალდებულება

სსკ-ის 981-ე მუხლში განსაზღვრულია ზიანის ანაზღაურების ვალდებულება მიმღების ბრალის არსებობისას. თუ მიმღებმა მიღებისას იცოდა, ან უნებში გაუფრთხილებლობის გამო მისთვის უცნობი იყო სამართლებრივი საფუძვლის ხარვეზის არსებობა და ამის შესახებ მოგვიანებით შეიტყობს, ან გადაცემის თაობაზე მოთხოვნა მიღებულია სასამართლო წარმოებაში, მაშინ მიმღებს ეკისრება პასუხისმგებლობა ხარვეზის თაობაზე ცნობების მიღების ან სასამართლო წარმოებაში გადაცემის დროიდან (979-ე მუხლის 1-ლი და მე-2 ნაწილების, 980-ე მუხლის, ასევე ქვემოთ მოყვანილი წესების საფუძველზე). შესაბამისად, ამ ნორმის გამოყენების წინაპირობებია: ზიანის არსებობა, მიმღებმა უნდა იცოდეს, ან უნებში გაუფრთხილებლობის გამო მისთვის უცნობი იყოს სამართლებრივი საფუძვლის ხარვეზის არსებობა, ან გადაცემის თაობაზე მოთხოვნა მიღებული იყოს სასამართლო წარმოებაში. აქ კუმულაციური წესით უნდა არსებობდეს ზიანი, არამართლზომიერი ქმედება და მასში მიმღების ბრალი. ეს ისეთი შემთხვევაა, როდესაც უსაფუძვლო გამდიდრების მოვალე უფრო მკაცრ პასუხისმგებლობას ექვემდებარება, ვიდრე მხოლოდ მიღებულის დაბრუნება.[314]

მაგალითი: ნასყიდობის საფუძველზე უძრავი ქონება საჯარო რეესტრში დარეგისტრირდა ა-ს (მყიდველის) სახელზე. 4 წლის შემდეგ გარდაიცვალა ა და მისი სამკვიდრო მიიღეს მისმა შვილებმა. ამავე წელს ბ-მ ა-ს მემკვიდრეების მიერ ქონების გადაფორმების მიზნით რამდენიმეჯერ გაიღო მატერიალური ხარჯები, თუმცა საჯარო რეესტრში მისი ალურიცხაობის გამო ქონების გადაფორმება მის სახელზე არ ხერხდებოდა. მიუხედავად ამისა, იგი ა-სთან დადებული და შემდგომში მისი მემკვიდრეების მიერ დადასტურებული ზეპირი გარიგების საფუძველზე მაინც დაეუფლა ქონებას და შენობა გაარემონტა კიდეც, რის გამოც საგრძნობლად გაიზარდა უძრავი ნივთის ღირებულება. დადგინდა, რომ ბ-ს გარიგება დაუდია ვინმე გ-სთან, რომელიც არ იყო ა-ს ქონების ნასყიდობის დადებაზე უფლებამოსილი პირი.

---

[313] რ. შენგელიას კომენტარი უსაფუძვლო გამდიდრებაზე, სსკ-ის კომენტარი, წ. მე-4, ტ. მე-2, თბ., 2001, 363.

[314] საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2007 წლის 20 ივნისის გადაწყვეტილება (№ას-24-379-07).

რამდენადაც ცნობილია, ნივთის მართლზომიერ მფლობელად ითვლება პირი, რომელიც ნივთს ფლობს სამართლებრივად ნამდვილი უფლების საფუძველზე. ეს უფლება შეიძლება გამომდინარეობდეს გარიგების, ადმინისტრაციული აქტის ან კანონით გათვალისწინებული სხვა საფუძვლიდან. მოცემულ შემთხვევაში ბ დაეუფლა უძრავ ქონებას გ-სთან დადებული და შემდგომში მისი მემკვიდრეების მიერ დადასტურებული ზეპირი ნასყიდობის ხელშეკრულების საფუძველზე. თუმცა, სსკ-ის 183-ე მუხლის თანახმად, გ-სა და ბ-ს შორის დადებული ხელშეკრულება ნამდვილად რომ ჩათვლილიყო, მხარეებს ხელშეკრულება უნდა შეედგინათ წერილობითი ფორმით (გარიგების რთული წერილობითი ფორმა). სსკ-ის 327-ე მუხლის მე-3 ნაწილის მიხედვით, წერილობითი ფორმის დაცვა სავალდებულო იყო მაშინაც, როცა მხარეთა შორის დადებული ხელშეკრულებით განისაზღვრებოდა მომავალი ნასყიდობის ხელშეკრულების დადების ვალდებულება. ამდენად, ბ უძრავ ქონებას დაეუფლა კანონით გათვალისწინებული ფორმის დაუცველად დადებული გარიგების საფუძველზე, ე. ი. გარიგების ბათილობა არ წარმოშობს ამ გარიგებით დადგენილ იურიდიულ შედეგებს (სსკ-ის 59-ე მუხლის 1-ლი ნაწილი).

ამასთან, კეთილსინდისიერი მფლობელია ის პირი, რომელიც, მართალია, ნივთს არამართლზომიერად ფლობს, მაგრამ არ იცის და გონივრული წინდახედულობის ფარგლებში, არც შეიძლება იცოდეს მფლობელობის ხარვეზის შესახებ (კეთილსინდისიერია ამ ფაქტის მიმართ). ცხადია, ზემოაღნიშნულ მაგალითში ბ-მ იცოდა, რომ მხოლოდ ნასყიდობის დადება და მისი საჯარო რეესტრში აღრიცხვა წარმოშობდა საკუთრების უფლებას ქონებაზე, ვინაიდან ბ-მ რამდენიმეჯერ გაიღო ხარჯები ქონების გადაფორმების მიზნით. ბ-მ იცოდა, რომ ზეპირი გარიგება არ შეიძლებოდა გამხდარიყო უძრავი ნივთის შეძენის საფუძველი და ასეთი გარიგება იყო ბათილი. შესაბამისად, უძრავი ნივთი უნდა დაუბრუნდეს უფლებამოსილ პირებს, ანუ ა-ს მემკვიდრეებს.

სსკ-ის 980-ე მუხლის 1-ლი ნაწილისა და 981-ე მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, თუ მიმღებისათვის ცნობილი იყო სამართლებრივი საფუძვლის ხარვეზის არსებობა, მას ეზღუდება უფლება, მოითხოვოს ხარჯებისა და დანაკლისის ანაზღაურება, ხოლო მიმღები უფლებამოსილია, მოითხოვოს ხარჯების ანაზღაურება, ვინაიდან საგანი იძლევა იმის საფუძველს, რომ იგი მიჩნეულ იქნეს სამუდამოდ შეძენილად. სსკ-ის 164-ე მუხლი, რომელიც არაკეთილსინდისიერ მფლობელს ანიჭებს ხარჯების მოთხოვნის უფლებას, და ამავე კოდექსის 980-981-ე მუხლები ერთმანეთს არ გამორიცხავს, არამედ ავსებს. უფრო ზუსტად, სსკ-ის 164-ე მუხლი პირს ანიჭებს მოთხოვნის უფლებას, ხოლო 980-ე და 981-ე მუხლებით განისაზღვრება ამ მოთხოვნის ფარგლები. მართალია, უსაფუძვლოდ გაწეული

ხარჯის ანაზღაურების მოთხოვნის უფლება აქვს არაკეთილსინდისიერ მფლობელსაც, მაგრამ, თუ მისთვის ცნობილია (ან უნდა იყოს ცნობილი) სამართლებრივი საფუძვლის ხარვეზი, მისი მოთხოვნის ფარგლები მცირდება. ზეპირი გარიგება უძრავი ქონების შეძენის თაობაზე, ცხადია, საერთოდ არ იძლევა შეძენილად მისი მიჩნევის საფუძველს და ამის თაობაზე, როგორც აღინიშნა, ბ-მ თავიდანვე იცოდა. ამდენად, სსკ-ის 981-ე მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, მას ეკისრება პასუხისმგებლობა ბათილი გარიგების საფუძველზე უძრავი ქონების დაუფლების მომენტიდან.[315]

ამასთან, სსკ-ის 981-ე მუხლის მე-2 ნაწილით განსაზღვრულია შემთხვევა, როდესაც მიმღებმა შეიძლება ვერ მიიღოს სარგებელი, რომელიც მას შეეძლო მიეღო მეურნეობის სათანადოდ გაძღოლის შედეგად. აქ მიმღებს ეკისრება ანაზღაურების მოვალეობა ბრალეულობის არსებობისას. ფულად ვალზე გადახდილ უნდა იქნეს პროცენტი, ხოლო საგნიდან მიღებული შემოსავალი უნდა დაბრუნდეს. შესაბამისად, (ა) თუ ვითომ-კრედიტორი იღებს თანხას ვითომ-მოვალისგან უსაფუძვლოდ (ბათილი გარიგების საფუძველზე), (ბ) მას ეს თანხა არ დაუბრუნებია, (გ) ხოლო მიმღებმა თავისივე ბრალეულობით ამ ქონების არასათანადო გაძღოლის გამო ვერ მიიღო სარგებელი და ვითომ-კრედიტორს მიადგა ზიანი (სარგებელი არ მიიღო), არსებობს სსკ-ის 981-ე მუხლის მე-2 ნაწილის გამოყენების წინაპირობები.

მაგალითი: ა-მ და ბ-მ გადაწყვიტეს ერთობლივი ბიზნესის წამოწყება. ამ მიზნით ა-ს შენატანი ერთობლივ საქმიანობაში იყო ფულადი ვალდებულების შესრულება, ბ-ს კი - სამუშაოს შესრულება, ასევე ა-ს მიერ სესხად გადაცემული თანხის ამხანაგობაში შეტანა. ა-მ გადაურიცხა ბ-ს გარკვეული თანხა, რომელიც ბ-მ ბანკიდან გამოიტანა. ბ-მ მიიღო რა თანხა, 7-8 თვე არაფერი გაუკეთებია საქმის წინსვლისთვის, უფრო მეტიც, ბ-ს მხრიდან ჩანდა საქმისადმი არასერიოზული მიდგომა. ამიტომ მხარეთა შორის ერთობლივი ბიზნესი ვერ განვითარდა, შეწყდა და ა-მ მოისურვა ერთობლივი საქმიანობიდან გასვლა, თავისი წილის კომპენსაცია, სესხიდან გამომდინარე თანხისა და მიულებელი შემოსავლის გადახდა ბ-სგან.

თუ ფულად ვალზე პროცენტის გადახდის ვალდებულება წარმოიშვა, მოქმედებს კანონის იმპერატიული დათქმა, რომელიც უკავშირდება ფულის თავისებურებებს. ფულადი ვალდებულების დროს გასათვალისწინებელია ამ ქონების უნიკალური თვისება იმის თაობაზე, რომ ფულადი სახსრები, როგორც საყოველთაო ეკვივალენტი, შეიძლება გაიცვალოს

[315] საქართველოს უზენაესი სასამართლო სამოქალაქო საქმეთა პალატის 2011 წლის 29 დეკემბრის გადაწყვეტილება (№ას-1075-1105-2011).

ქონებრივი ურთიერთობების თითქმის ნებისმიერ სასყიდლიან ობიექტზე, ანუ ფულადი სახსრების გამოყენებით შეიძლება დაიფაროს თითქმის ყველა ვალი. სწორედ ამ თავისებურების გათვალისწინებით, მოქმედებს პრეზუმფცია, რომ ფულად საშუალებებს ყოველთვის შეუძლია მოუტანონ სარგებელი მის მესაკუთრეს. ამდენად, ასეთი ქონების მიღებისას მისმა მიმღებმა უნდა დაადასტუროს, რომ ამ ქონებამ (ფულმა) მას არ მოუტანა რაიმე სარგებელი, რაშიც მას ბრალი არ მიუძღვის. წინააღმდეგ შემთხვევაში, ივარაუდება, რომ შეიძლებოდა ფულად სახსრებს მოეტანა მიმღებისათვის სარგებელი, რაც მან ბრალეულად არ მიიღო მისი არასათანადოდ გაძღოლის შედეგად. ერთობლივი საქმიანობა რადგან შეწყდა, არსებობდა უსაფუძვლო გამდიდრების ნორმების საფუძველზე ვითომ-კრედიტორის მიერ მიღებული შესრულების დაბრუნების წინაპირობები (სსკ-ის 976-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „ა“ ქვეპუნქტი). ამავე კოდექსის 981-ე მუხლის მე-2 ნაწილიდან გამომდინარე, როცა მიმღები არ იღებს სარგებელს, რომლის მიღებაც მას შეეძლო მეურნეობის სათანადოდ გაძღოლის შედეგად, მაშინ ანაზღაურების მოვალეობა ეკისრება იმ შემთხვევაში, თუ მას ბრალი მიუძღვის. ფულად ვალზე გადახდილ უნდა იქნეს პროცენტი. საგნიდან მიღებული შემოსავალი ექვემდებარება დაბრუნებას.[316]

ამასთან, სსკ-ის 981-ე მუხლის მე-3 ნაწილი ითვალისწინებს შესრულებისას გადაცემული საგნის დაღუპვის ან გაფუჭებისათვის მიმღების მოვალეობას, აანაზღაუროს ზიანი მხოლოდ მისი ბრალეულობის შემთხვევაში. მიმღებს შეუძლია, მოითხოვოს დავალების გარეშე სხვისი საქმის შესრულების წესების მიხედვით იმ ხარჯების ანაზღაურება, რომლებიც მან გასწია შესრულების საგანთან დაკავშირებით. მოცემულ შემთხვევაში ანაზღაურდება მხოლოდ აუცილებელი ხარჯები.

ასევე, დიდი პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს კონდიქციურ ვალდებულებათა და დელიქტურ ვალდებულებათა გამიჯვნას. ეს კიდევ უფრო ცხადი ხდება სსკ-ის 981-ე მუხლთან დაკავშირებით, რომლითაც დადგენილია ზიანის ანაზღაურების ვალდებულება. კონდიქციური ვალდებულება, როგორც წესი, წარმოიშობა თვით დაზარალებული პირის მართლზომიერი მოქმედების შედეგად. მის მიერ დაშვებული შეცდომა ან უზუსტობა არ ნიშნავს მისი მოქმედების არამართლზომიერებას, არამედ ის არის სხვა პირის მიერ ქონების უსაფუძვლო შეძენის ან დაზოგვის საფუძველი. რაც შეეხება ზიანის მიყენების შედეგად წარმოშობილ ვალდებულებას, მისი საფუძველი ყოველთვის ზიანის მიმყენებლის არამართლზომიერი მოქმედებაა. დელიქტურ ვალდებულებაში პასუხისმგებლობის განსაზღვრისას დასადგენია მიყენებული ზიანის მოცულობა და ის ანაზღაუ-

[316] საქართველოს უზენაესი სასამართლო სამოქალაქო საქმეთა პალატის 2015 წლის 9 ოქტომბრის გადაწყვეტილება (№ას-873-835-2014).

რდება სრულად. კონდიქციურ ვალდებულებაში მოთხოვნა დაკმაყოფილდება უსაფუძვლოდ შეძენილი ან დაზოგილი ქონების და არა დაზარალებულისათვის მიყენებული ზიანის ოდენობის ფარგლებში. თუმცა, სსკ-ის 981-ე მუხლის მე-4 ნაწილის მიხედვით, ვადის გადაცილებისათვის მოვალის პასუხისმგებლობაზე ეს (ანუ დელიქტური ვალდებულებების) წესები არ ვრცელდება. აქ საგულისხმოა ორი მნიშვნელოვანი ფაქტორი: 1. ვინ არის ვადის გადამცილებელი – კრედიტორი თუ მოვალე? ლოგიკური იქნება, თუ ვადის გადამცილებლად ჩაითვლება კრედიტორი. სსკ-ის მეორე კარის მესამე თავში მოწესრიგებულია რა კრედიტორის მიერ ვადის გადაცილების საკითხები, სსკ-ის 390-ე მუხლით განსაზღვრულია, რომ ვადის გადაცილებად მიიჩნევა, თუ კრედიტორი „არ იღებს მისთვის შემოთავაზებულ შესრულებას, რომლის ვადაც დამდგარია". ამასთან, ვადის გადაცილებად კვალიფიცირდება შემთხვევა, როცა ვალდებულების შესასრულებლად საჭიროა კრედიტორის ესა თუ ის მოქმედება, თუმცა ის ამ მოქმედებას არ ასრულებს; 2. ასევე, გასარკვევია, რომელი წესებით უნდა მოწესრიგდეს კრედიტორის მიერ ვადის გადაცილება. სსკ-ის კომენტარებში განსაზღვრულია, რომ ამ ურთიერთობას არ არეგულირებს დავალების გარეშე სხვისი საქმეების შესრულება. თუმცა, ხაზგასმულია ისიც, რომ ამ ურთიერთობაზე ვერ გავრცელდება „ეს წესები", ანუ ზიანის ანაზღაურების ვალდებულების შესახებ (და არა დავალების გარეშე სხვისი საქმეების შესრულების) ნორმები. შესაბამისად, თუ კრედიტორმა ვადას გადააცილა, მიუხედავად მისი ბრალისა, მოვალეს არ დაევალება ზიანის ანაზღაურება.[317]

3.4. სხვისი სამართლებრივი სიკეთეების ხელყოფის შედეგები

ფაქტობრივად კონდიქციურ და დელიქტურ ვალდებულებათა გამიჯვნის პრობლემის ლოგიკური გაგრძელებაა სსკ-ის 982-ე მუხლის 1-ლი ნაწილი, რომლითაც გათვალისწინებულია, რომ პირი, რომელიც ხელყოფს მეორე პირის სამართლებრივ სიკეთეს მისი თანხმობის გარეშე განკარგვის, დახარჯვის, სარგებლობის, შეერთების, შერევის, გადამუშავების ან სხვა საშუალებით, მოვალეა აუნაზღაუროს უფლებამოსილ პირს ამით მიყენებული ზიანი. ამავე მუხლის მე-2 ნაწილის მიხედვით, ბათილი განკარგვის შემთხვევაში უფლებამოსილ პირს შეუძლია ხელმყოფისაგან მოითხოვოს დაუყოვნებლივი ანაზღაურება.

წარმოვიდგინოთ შემდეგი შემთხვევა: მოპასუხე ცხოვრობდა გარკვეული დრო უნებართვოდ მოსარჩელის ბინაში. ეს ფაქტობრივად ჩარევაა მოსარჩელის ქონებრივ უფლებებში, მათ შორის საკუთრების უფლებაში.

---

[317] იხ. თ. ბერეკაშვილი, ნ. ჯაჯანიძე, უსაფუძვლო გამდიდრების ხარვეზები ქართულ კანონმდებლობაში, ჟურნ. „ინტელექტუალი", N9, 2009, 124-125.

ამასთან, მოსარჩელე მოითხოვდა, რომ მოპასუხეს ბინის ქირა გადაეხადა. სსკ-ის 982-ე მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, მოცემული შემთხვევა უნდა მოწესრიგდეს სხვისი სამართლებრივი სიკეთის ხელყოფის სპეციალური წესებით. მართალია, მოცემული ნორმის სამართლებრივ შედეგებში განსაზღვრულია, რომ ხელმყოფმა პირმა უნდა აანაზღაუროს ზიანი, მაგრამ ვინაიდან ეს ნორმა უსაფუძვლო გამდიდრების ინსტიტუტის ფარგლებშია მოქცეული, სინამდვილეში საქმე ეხება არა ზიანის ანაზღაურების შემთხვევას, არამედ აღნიშნული ზიანის გათანაბრებას გამდიდრებასთან.

ამასთან, უსაფუძვლო გამდიდრების უმთავრესი დანიშნულება არის არა ქონებრივი დანაკლისის შევსება, მაგალითად, ზიანის ანაზღაურება, არამედ ქონებრივი ნამატის ამოღება, პირის თავდაპირველ ქონებრივ-სამართლებრივ მდგომარეობაში აღდგენა, ანუ გამდიდრების გათანაბრება. ვალდებულების ეს ორი სახე განსხვავდება ერთმანეთისგან რამდენიმე ნიშნის მიხედვით: 1) პირველ რიგში, ისინი სხვადასხვა საფუძვლებიდან წარმოიშობა. ზიანის მიყენებით წარმოშობილი ვალდებულებების საფუძველი, როგორც წესი, დელიქტია (სამართალდარღვევა). გამდიდრების უსაფუძვლობა კი, შეიძლება ემყარებოდეს სხვადასხვა გარემოებას, მათ შორის მართლზომიერ ქმედებებსაც. ასევე, კანონით განსაზღვრული გამონაკლისების გარდა, ზიანის მიყენების შედეგად ვალდებულება მხოლოდ მაშინ წარმოიშობა, როცა არსებობს ზიანის მიმყენებლის ბრალეული ქმედება. უსაფუძვლო გამდიდრების დროს მნიშვნელობა არა აქვს ბრალს, ამ შემთხვევაში მნიშვნელოვანია ერთი პირის ქონების გადასვლის ფაქტი მეორე პირის საკუთრებაში სამართლებრივი საფუძვლის გარეშე; 2) ამასთან, განსახილველი ვალდებულებები განსხვავდება შინაარსის მიხედვითაც. ზიანის მიყენებიდან წარმოშობილი ვალდებულება უზრუნველყოფს დაზარალებულის ქონებრივი სფეროს აღდგენას სრულად. ამ შემთხვევაში ანაზღაურება მიყენებული ზიანის ტოლია. უსაფუძვლო გამდიდრების დროს ასეთი ტოლობის ნიშანი შეიძლება არ დაისვას. მოცემულ შემთხვევაში დაზარალებულს აუნაზღაურდება ზიანი იმ ოდენობით, რამდენადაც მიმღები გამდიდრდა; 3) ასევე, ამ ვალდებულებებში განსხვავებულია პასუხისმგებლობის იურიდიული ბუნებაც. ზიანის ანაზღაურება დელიქტურ ვალდებულებებში სამოქალაქოსამართლებრივი პასუხისმგებლობის სახეა, ანუ აქ მოვალის ქონებრივი სფერო მცირდება და იზრდება კრედიტორის ქონებრივი სფერო. უსაფუძვლო გამდიდრების დროს ასეთი შემცირება-გაზრდა არ ხდება. შესაბამისად, უსაფუძვლო გამდიდრებიდან გამომდინარე, პირის თავდაპირველ ქონებრივ-სამართლებრივ მდგომარეობაში აღდგენა და გამდიდრების გათანაბრება არ არის სამოქალაქოსამართლებრივი პასუხისმგებლობის სახე. სსკ-ის 985-ე მუხლის იურიდიული შედეგი არის სწორედ ის, რომ ხელმყოფმა დამდგარი ზიანი უნდა „გაუ-

თანაბროს“ უფლებამოსილ პირს მის უფლებაში ჩარევა. თვით გათანაბრების მოთხოვნის მოცულობის დადგენისას გამოიყენება სსკ-ის 979-ე მუხლის 1-ლი ნაწილი, ანუ მიღებული სარგებელი უნდა დაბრუნდეს. ამდენად, ხელმყოფმა უნდა აანაზღაუროს საერთო ღირებულება, რაც მოცემულ შემთხვევაში ადგილის შესაბამისად მსგავსი ბინის ქირის ოდენობით უნდა განისაზღვროს.[318]

მაგალითი: ა-ს კუთვნილი უძრავი ქონება მისი სახელით გაასხვისა მისმა წარმომადგენელმა ბ-მ გ-ზე, რის გამოც უძრავი ქონება დარეგისტრირდა გ-ს საკუთრებად. თუმცა ბ ცნობილ იქნა დამნაშავედ თაღლითობისთვის, რითაც ა-ს მიადგა ზიანი: ბ-მ გაყალბებული მინდობილობის საფუძველზე, რომელსაც ა-ს ხელმოწერა არ ჰქონდა, მოტყუებით გაასხვისა ა-ს კუთვნილი ქონება, ხოლო აღებული თანხა მთლიანად მიითვისა. ამით მან მნიშვნელოვანი ზიანი მიაყენა გ-საც ისევე, როგორც ა-ს. საბოლოოდ მინდობილობა და მის საფუძველზე ბ-სა და გ-ს შორის დადებული ნასყიდობის ხელშეკრულება ბათილად აღიარეს, ვინაიდან გ არ იყო კეთილსინდისიერი შემძენი. თუმცა გ-ს უკვე გაყიდული ჰქონდა ეს უძრავი ქონება დ-ზე, რომელიც კეთილსინდისიერი შემძენი იყო, ნასყიდობის ხელშეკრულების საფუძველზე, რის გამოც ქონება საჯარო რეესტრში აღირიცხა დ-ს სახელზე. ა-ს აზრით, მის მიმართ დამდგარი ზიანი გამოიხატა იმ ღირებულებაში, რაც ნივთს ჰქონდა მისი დაკარგვის მომენტში, ბინის გასხვისებისას კი იგი ე.წ „შავი კარკასის“ მდგომარეობაში იყო. ა-მ მოითხოვა გ-სა და დ-ს შორის დადებული ნასყიდობის ბათილად ცნობა.

რა შეუძლია გ-ს მოითხოვოს და რის საფუძველზე?

როგორც აღინიშნა, ხელყოფის კონდიქციის არსებობის დროს პასუხისმგებლობის საფუძველია სხვისი სამართლებრივი სიკეთის ხელყოფა. შესაბამისად, აქ მნიშვნელოვანია ის, რომ არამესაკუთრემ განკარგა ა-ს კუთვნილი ქონება. გ-ს ქონება გადაეცა ბათილი გარიგების საფუძველზე, ნამდვილი მესაკუთრის მიერ ნების გამოვლენის გარეშე. ამასთან, გ არაა კეთილსინდისიერი შემძენი, წინააღმდეგ შემთხვევაში მასა და ბ-ს შორის ხელშეკრულების ბათილად ცნობის საფუძველი არ იარსებებდა. გარიგების ბათილობას კონკრეტულ სამართლებრივ ურთიერთობაში უკუქცევითი ძალა აქვს და ბათილი გარიგება დადებისთანავე არ წარმოშობს სამართლებრივ შედეგებს. ამდენად, გ-მ სხვისი სამართლებრივი სიკეთე განკარგა, რის შედეგადაც ა-ს დაეკარგა ქონების დაბრუნების შესაძლებლობა. ა-ს აზრით, მის მიმართ დამდგარი ზიანი გამოიხატა იმ ღირე-

[318] საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2014 წლის 5 მაისის გადაწყვეტილება (№ას-860-818-2013).

ბულებაში, რაც ნივთს ჰქონდა მისი დაკარგვის მომენტში, ბინის გასხვისებისას კი იგი ე.წ „შავი კარკასის“ მდგომარეობაში იყო. ვინაიდან სსკ-ის 982-ე მუხლი უსაფუძვლო გამდიდრების თავშია მოცემული, შესრულების კონდიქციის მსგავსად, გათანაბრების მოთხოვნის ოდენობის დადგენისას გამოიყენება სსკ-ის 979-ე მუხლი, რომლის მე-2 ნაწილის თანახმად, თუ უკან დაბრუნება შეუძლებელია გადაცემული საგნის მდგომარეობის გამო, ან, თუ მიმღებს რაიმე მიზეზით არ შეუძლია საგნის უკან დაბრუნება, მაშინ მან უნდა აანაზღაუროს მისი საერთო ღირებულება. ღირებულება განისაზღვრება ანაზღაურების მოთხოვნის უფლების წარმოშობის დროის მიხედვით. მოცემულ შემთხვევაში ა-ს წარმოეშვა მოთხოვნის უფლება გ-ის მიმართ მის მიერ უძრავი ქონების განკარგვის დროიდან. სსკ-ის 982-ე მუხლის საფუძველზე ანაზღაურებას ექვემდებარება გამდიდრება, რომელიც ხელყოფილი სამართლებრივი სიკეთის ღირებულებას უთანაბრდება. ა-ს უნდა აუნაზღაურდეს ბინის ღირებულება იმ მოცულობით, რასაც მისი საკუთრების უფლება მოიცავდა, ანუ ის, რაც მას დაუბრუნდებოდა, ნასყიდობის ხელშეკრულება ბათილად რომ გამოცხადებულიყო.[319]

3.5. არაუფლებამოსილი პირის მიერ შესრულების მიღება

კანონმდებელმა ცალკე სპეციალურ შემთხვევად გამოყო არაუფლებამოსილი პირის მიერ შესრულების მიღება. თუ უფლებამოსილი პირისათვის განკუთვნილ შესრულებას იღებს არაუფლებამოსილი პირი, მაშინ იგი მოვალეა, მიღებული დაუბრუნოს უფლებამოსილ პირს (სსკ-ის 983-ე მუხლი). შესაბამისად, სსკ-ის 983-ე მუხლიდან წარმოშობილი მოთხოვნის დასაკმაყოფილებლად უნდა არსებობდეს შემდეგი წინაპირობები: ა) შესრულება, ბ) შესრულება უნდა მიიღოს არაუფლებამოსილმა პირმა და გ) არაუფლებამოსილი პირის წინაშე განხორციელებული შესრულება უნდა იყოს განკუთვნილი უფლებამოსილი პირისთვის.

მაგალითი: ა-მ გ-ს წინააღმდეგ თავისი მოთხოვნა (1 000 ეუროს გადახდის შესახებ) დაუთმო ბ-ს. ა ვინაიდან გაიძვერა იყო, შემდეგ დღეს გ-ს წარუდგინა ეს მოთხოვნა. გ-მ არ იცოდა, რომ ა-მ თავისი მოთხოვნა უკვე ბ-ს დაუთმო, რის გამოც ის არ იყო უკვე მოთხოვნის წარდგენაზე უფლებამოსილი პირი. თუ გ გადაიხდის თანხას, ამ შემთხვევაში ბ-ს მიმართ ამოქმედდება სსკ-ის მე-200 მუხლი, რომლითაც განისაზღვრება, რომ ვიდრე მოვალეს ეცნობებოდეს მოთხოვნის დათმობის შესახებ, მას უფლება აქვს, შეასრულოს ვალდებულება მოთხოვნის თავდაპირველი მფლო-

[319] საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2015 წლის 27 იანვრის გადაწყვეტილება (№ას-308-293-2013).

ბელის წინაშე. ამიტომ ბ-ს შეუძლია ა-ს მოსთხოვოს გ-სგან გადახდილის დაბრუნება სსკ-ის 983-ე მუხლის მიხედვით.[320]

პირმა შეიძლება შესრულებული მიიღოს ჩარევის გზით. გამოთხოვის მოთხოვნის უფლების გამოსაყენებლად მიმღები უნდა იყოს არაუფლებამოსილი პირი. ესე იგი, ეს პირი არ უნდა იყოს არც მოთხოვნის კრედიტორი და მას არც უნდა ჰქონდეს უფლებამოსილება, გამოიყენოს მოთხოვნა. ამასთან, მოცემულ შემთხვევაში განხორციელებული შესრულება ნამდვილი უნდა იყოს უფლებამოსილი პირის მიმართ. შესაბამისად, მოვალე უნდა განთავისუფლდეს ვალდებულების შესრულებისგან, მიუხედავად „არასწორი" კრედიტორის მიმართ შესრულებისა (როგორც გამონაკლისი სსკ-ის 427-ე მუხლი, ვინაიდან აქ ვალდებულება წყდება კრედიტორის სასარგებლოდ ვალდებულების შესრულებით). ყველაზე ხშირი შემთხვევაა შესრულება თავდაპირველი კრედიტორის მიმართ.[321]

როგორც განიმარტა, მოცემული ნორმით დადგენილია უფლებამოსილი პირის უფლება, მოითხოვოს კონკრეტული სიკეთის კრედიტორისათვის დაბრუნება იმ პირის მიმართ, რომელმაც სამართლებრივი საფუძვლის გარეშე მიიღო ფული ან გვაროვნული ნივთი. აქვე განსაზღვრულია არაუფლებამოსილი პირის მოვალეობა, დააბრუნოს ყველაფერი, რაც მან უსაფუძვლოდ მიიღო. კანონმდებელი აღნიშნული ნორმის გამოყენებისთვის სავალდებულოდ მიიჩნევს შესრულების მიღების ნამდვილობის დადგენას, რადგანაც ამ კანონისმიერი ვალდებულების ძირითადი საფუძველია არაუფლებამოსილი პირის მიერ შესრულების მიღება. თუ არაუფლებამოსილმა პირმა შესრულებული მიიღო, ის, მსგავსად სავინდიკაციო სარჩელისა, აუცილებლად უნდა დაუბრუნდეს უფლებამოსილ პირს.[322]

3.6. პასუხისმგებლობისგან განთავისუფლება

უსაფუძვლო გამდიდრების ინსტიტუტში სხვა ნორმებთან დაკავშირებითაც გასათვალისწინებელია კეთილსინდისიერების მომენტიც. სწორედ აქედან გამომდინარეობს, რომ, სსკ-ის 984-ე მუხლის 1-ლი ნაწილით, პირი თავისუფლდება პასუხისმგებლობისგან, თუ ხელმყოფმა არ იცოდა უფლებამოსილების ხარვეზი, გარდა უხეში გაუფრთხილებლობისა, როცა

---

[320] F. Hofmann, BGB, Schuldrecht BT 2, Gesetzliche Schuldverhältnisse, Freiburg, 3. Auflage, 2015, 19-20; იხ. M. Staake, Gesetzliche Schuldverhältnisse, Heidelberg, 2014, 21, 81.

[321] ი. კროპოლერი, გსკ – სასწავლო კომენტარი, გადაამუშავეს ფ. იაკობმა და მ. ფონ პინლუნმა, მე-13 გადამუშავებული გამოცემა, თარგმნეს თ. დარჯანიამ და ზ. ჭეჭელაშვილმა, თბ., 2014, 612.

[322] საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2012 წლის 21 ივნისი გადაწყვეტილება (№ას-107-103-2012).

ანაზღაურების მოთხოვნის სასამართლოში განხილვის მომენტისათვის აღარ არსებობს გამდიდრების ნიშნები.

მაგალითი 1: ანა გოგიბერიძემ გამოიწერა პროდუქცია ინტერნეტით და წინასწარ გადაიხადა როგორც პროდუქციის, ისე სახლში მიტანის მომსახურების გადასახადი. თუმცა დისტრიბუტორმა პროდუქცია შეცდომით მიიტანა სხვა პირთან (მჟავიასთან), რომელსაც ეგონა რა, რომ ეს მას ოჯახის წევრებმა დაბადების დღის აღსანიშნავად აჩუქეს, ცნობისმოყვარეობამ სძლია და შეფუთული პროდუქტი გახსნა კიდეც. აღმოჩნდა, რომ პროდუქტი იყო უხარისხო, ვინაიდან მას, მითითებული თარიღის მიხედვით, მოხმარების ვადა გასული ჰქონდა. ამ შემთხვევაში მჟავია ფაქტობრივად არაა უსაფუძვლოდ გამდიდრებული, მან არაფერი იცოდა უფლებამოსილების ბარვეზის თაობაზე. შესაბამისად, მჟავია უნდა გათავისუფლდეს პასუხისმგებლობისგან, ვინაიდან გამდიდრების ნიშნები სასამართლოში განხილვის მომენტისთვის კი არა, არამედ საერთოდ არ იყო.[323]

მაგალითი 2: ბებიამ (ა-მ) 15 წლის შვილიშვილს (ბ-ს) აჩუქა 1000 ლარი საბანკო გადარიცხვის გზით. აღმოჩნდა, რომ ჩუქების მომენტში დროებითი ფსიქიკური აშლილობის მდგომარეობაში არ იყო ბებია, რომელმაც დანიშნული მომვლელისთვის თანხის გადასაცემად ბ-ს მოსთხოვა 1000 ლარის დაბრუნება. ბ-მ 1000 ლარი უკვე მეგობრებთან ერთად ტანსაცმლის, მობილური ტელეფონისა და სხვა ნივთების შესაძენად დახარჯა. სსკ-ის 984-ე მუხლის 1-ლი ნაწილისა და 979-ე მუხლის მე-3 ნაწილის მიხედვით, ბ-ს არ ეკალება თანხის დაბრუნება.[324]

ამასთან, ხელმყოფი პირის მიერ გამოყენებული სიკეთის მიმართ გაწეული ხარჯები არ ამცირებს მისი გამდიდრების ოდენობას (სსკ-ის 984-ე მუხლის მე-2 ნაწილი).

3.7. მოგების მოთხოვნის უფლება

უსაფუძვლო გამდიდრებიდან წარმოშობილი ვალდებულების შინაარსი მხოლოდ ამით არ შემოიფარგლება და ის კანონმდებელმა კიდევ უფრო გააფართოვა. ამის გათვალისწინებით, უფლებამოსილ პირს აქვს უფლება, მოითხოვოს მოგება გარკვეული წინაპირობების არსებობის შემთ-

[323] ანალოგიურ შემთხვევასთან დაკავშირებით იხ. თ. ბერეკაშვილი, ნ. ჯაჯანიძე, უსაფუძვლო გამდიდრების ხარვეზები ქართულ კანონმდებლობაში, ჟურნ. „ინტელექტუალი", №9, 2009, 126.

[324] F. Hofmann, BGB, Schuldrecht BT 2, Gesetzliche Schuldverhältnisse, Freiburg, 3. Auflage, 2015, 20.

ხვევაში: ერთი მხრივ, ხელმყოფი განზრახ არ უნდა ითვალისწინებდეს სხვა პირის უფლებამოსილებას, ხოლო, მეორე მხრივ, უნდა არსებობდეს ის მოგება, რომელიც ქონებრივ დანაკლისს აღემატება. შესაბამისად, ორივე წინაპირობის კუმულაცია წარმოშობს „სხვა პირის“ უფლებას, მოითხოვოს მოგება (სსკ-ის 985-ე მუხლი).

აღნიშნული უფლების სანაცვლოდ არსებობს ხელმყოფის შემხვედრი მოვალეობა, წარმოადგინოს ცნობები იმის თაობაზე, თუ რა მოგება მიიღო მან სხვისი ქონების გამოყენებით. ეს მოვალეობა ეფუძნება კეთილსინდისიერების პრინციპს.

3.8. კონდიქციური მოთხოვნები სამი პირის ურთიერთობებში

კონდიქციური მოთხოვნის შინაარსი შეეხება სამი პირის ურთიერთობასაც. შესაბამისად, ბუნებრივია შეკითხვა: მოცემულ შემთხვევაში ვინ ვისგან უნდა მოითხოვოს მიღებულის დაბრუნება? აქ მოქმედებს შემდეგი პრინციპი: ურთიერთობათა ყოველმა მონაწილემ უნდა შეინარჩუნოს კავშირი თავის უშუალო პარტნიორთან, რომელიც მან თავად ამოირჩია. ამ შემთხვევაში კონდიქციური მოთხოვნის კრედიტორი ისაა, ვინც შეასრულა გარკვეული მოქმედება (ხელყოფისას - ის, ვისი სიკეთეც შეილახა), ხოლო მოვალედ განიხილება ის, ვინც შესრულება მიიღო (ხელყოფის დროს – ვინც ქონებრივი შელავათი მიიღო). შესაბამისად, ქონებრივი გადაადგილების მწარმოებელი ავტომატურად ვერ იქნება უფლებამოსილი, წამოაყენოს მოთხოვნა, ისევე, როგორც კონდიქციური მოთხოვნის მოვალე არაა ის, ვინც უშუალოდ ქონება მიიღო. ეს კიდევ უფრო ცხადია, როცა მესამე პირის მეშვეობით სრულდება გარკვეული მოქმედება, ან ილახება სამართლებრივი სიკეთე. სსკ-ისთვის ცნობილია სამი პირის ურთიერთობათა წრიდან ორი ჯგუფი: 1. სხვისი ვალის გადახდა; 2. შესრულება მითითებით.[325]

ვალის არსებობისა და არარსებობის დროს სხვისი ვალის გადახდა დადგენილია სსკ-ის 986-ე მუხლით. განვიხილოთ შემდგომი მაგალითები: ა) ბაბუამ გადაიხადა შვილიშვილის სემესტრული გადასახადი უნივერსიტეტში, რის შემდეგაც დადგინდა, რომ ის უკვე სტუდენტის დეიდას გადაუხდია. ამ შემთხვევაში დაშვებულია, რომ ბაბუამ კონდიქციური მოთხოვნა წარუდგინოს უნივერსიტეტს, ვინაიდან სწორედ მოცემულმა უმაღლესმა საგანმანათლებლო დაწესებულებამ მიიღო შესრულება; ბ) კალანდაძემ გადაუხადა წაქაძეს თანხა, კერძოდ, ზიანი აანაზღაურა, ვინაიდან ივარაუდა, რომ წაქაძეს მისმა ძაღლმა უკბინა. თუმცა მოგვიანებით დად-

[325] ლ. შატბერაშვილი, უსაფუძვლო გამდიდრება: სამართლიანი სამართალი? ჟურნ. „სამართალი“, N6-7, 2000, 38-39.

გინდა, რომ წაქაძისთვის უკბენია ჰორვარდის ძაღლს. შეუძლია თუ არა კალანდაძეს მოსთხოვოს წაქაძეს უკუშესრულება? აღნიშნულთან დაკავშირებით მნიშვნელოვანია, რომ წაქაძეს უსაფუძვლოდ არ მიუღია შესრულება და იგი არ შეიძლება უსაფუძვლოდ გამდიდრებულად ჩაითვალოს. კალანდაძეს შეუძლია კონდიქციური მოთხოვნა წამოაყენოს მხოლოდ ჰორვარდის მიმართ იმ დასაბუთებით, რომ ჰორვარდმა თავისი ქონება დაზოგა, ვინაიდან მის მიერ ასანაზღაურებელი ზიანი აანაზღაურა სხვამ.[326] ამდენად, ორივე შემთხვევაში პირს, რომელიც შეგნებულად ან შეცდომით სხვის ვალებს ისტუმრებს, შეუძლია მოითხოვოს თავისი ხარჯების ანაზღაურება (რეგრესის კონდიქცია).

ამასთან, უსაფუძვლო გამდიდრება მჭიდროდ უკავშირდება ვალის აღიარებას. აბსტრაქტული ვალის აღიარების შედეგად ვალდებულების შესრულება შეიძლება განიხილებოდეს უსაფუძვლო გამდიდრების წარმოშობის საფუძვლად. აქ საქმე ეხება შემთხვევას, როდესაც პირმა შეცდომით ივარაუდა, რომ მას ევალებოდა ვალდებულების შესრულება და აღიარებდა კიდეც მას შესაბამისი ფორმით (წერილობით, შესრულებით...). შესაბამისად, პირი ვალს აღიარებდა უსაფუძვლოდ. მაგალითად, პირმა შეცდომით გადაიხადა სკოლის ფანჯრებში ახალჩასმული მინების საფასური მათი მსხვრევის გამო, მიიჩნია რა, რომ მისმა შვილმა ბურთით თამაშის დროს სკოლას ზიანი მიაყენა. მოცემულ შემთხვევაში პირი ასრულებს ვალდებულებას და ფაქტობრივი შესრულებით აღიარებს კიდეც ვალის არსებობას, თუმცა შემდეგ იკვეთება მისი უსაფუძვლობა, ვინაიდან ზიანის ანაზღაურების მოვალეობა აქვს არა იმ პირს, ვინც აანაზღაურა ზიანი, არამედ სხვა პირს. შესაბამისად, ფაქტობრივად ზიანის ანაზღაურების მოვალეობას ასრულებს რა სხვა პირი, ასეთი შესრულებით იზოგება იმ პირის ქონება, ვისაც ანაზღაურება ევალებოდა. ამიტომ ამ უკანასკნელს ევალება შესრულებულის უკან დაბრუნება. ამდენად, სამართლებრივი საფუძვლის გარეშე ვალის აღიარებით შესრულებული უნდა დაბრუნდეს უსაფუძვლო გამდიდრების ნორმების მიხედვით.[327]

---

[326] იქვე, 39; აღნიშნულზე იხ. ასევე რ. შენგელია, სსკ-ის კომენტარი, წ. IV, ტ. II, თბ., 2001, 370.

[327] კაუზალური ვალის აღიარების დროს საქმე ეხება სახელშეკრულებო მოვალეობას, რომელიც უნდა შესრულდეს სწორედ კონკრეტული სახელშეკრულებო სამართლის ნორმების საფუძველზე. ანუ იმ ხელშეკრულების მიხედვით, რომლის შესრულებასაც ემსახურება კაუზალური აღიარება. იხ. თ. ჩიტოშვილი, ვალდებულებით-სამართლებრივი ურთიერთობებიდან გამომდინარე ვალდებულებათა შინაარსი და სახეები (ზოგადი დახასიათება), უსაფუძვლო გამდიდრება (ძირითადი საკითხები), თბ., 2015, 99-100.

3.9. შეცდომის გაწეული ხარჯების ანაზღაურება

როგორც აღინიშნა, შეცდომით გაწეული ხარჯების დროს უსაფუძვლო გამდიდრება (სსკ-ის 987-ე მუხლი) სუბსიდიური ხასიათისაა. ეს იმას ნიშნავს, რომ ამ უსაფუძვლო გამდიდრების შესახებ ნორმები გამოიყენება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მხარეთა შორის არ არსებობს სარჩელის დაკმაყოფილების სახელშეკრულებო ან სხვა კანონისმიერი საფუძველი. მითითებული საფუძვლით პირის მოთხოვნის დასაკმაყოფილებლად უნდა არსებობდეს გარკვეული წინაპირობები: ა. მოპასუხე უნდა გამდიდრდეს; ბ. მოპასუხის გამდიდრება უნდა გამოიწვიოს მოსარჩელის ქმედებამ (მიზეზობრივი კავშირი); გ. მოპასუხის გამდიდრება, როგორც შედეგი, უნდა იყოს უკანონო,[328] ე. ი. მას არ უნდა ჰქონდეს კანონისმიერი შესაძლებლობა, კომპენსაციის გარეშე მიითვისოს აღნიშნული ქონება. ამ სამი პირობიდან რომელიმეს არარსებობა გამორიცხავს უსაფუძვლო გამდიდრების საფუძველზე პირის მოთხოვნის დაკმაყოფილებას. უსაფუძვლოდ გაწეულ ხარჯებზე მოსარჩელეთა მოთხოვნის შესაძლო დაკმაყოფილების საფუძველია კონდიქციური ვალდებულება (სსკ-ის 987-ე მუხლი), რომლითაც განსაზღვრულია პირის მიერ შეგნებულად ან შეცდომით საკუთარ ინტერესებში, მაგრამ სამართლებრივი საფუძვლის გარეშე სხვის ქონებაზე გაწეული ხარჯის ანაზღაურების მოთხოვნის ფარგლები.[329]

ამდენად, თუ პირი შეგნებულად ან შეცდომით გარკვეულ ხარჯებს გასწევს მეორე პირის ქონებაზე, მას უფლება აქვს, გამდიდრებულისგან მოითხოვოს თავისი დანახარჯების ანაზღაურება, თუ მეორე პირი ამით გამდიდრდა (სსკ-ის 987-ე მუხლის 1-ლი ნაწილი). შესაბამისად, მხოლოდ ხარჯის გაწევა არ წარმოშობს კონდიქციურ ვალდებულებას. მაგალითად, ნათხოვარი აგარაკით სარგებლობის დროს გაფუჭებული კიბის შეკეთებაზე გაწეული ხარჯის მოთხოვნის საფუძველი არ არსებობს, ვინაიდან აგარაკის ღირებულება ამით არ გაზრდილა. გამდიდრების ოდენობა, თავის მხრივ, უნდა განისაზღვროს იმ მომენტისთვის, როცა მოვალეს უბრუნდება თავისი ნივთი. აქ უნდა დადგინდეს, რა სახით იყო ნივთი გადაცემული და რა სახით ბრუნდება. ამ შემთხვევაში რეალურად ჩანს გამდიდრების ბარისხი. ამასთან, გამდიდრება შეიძლება გამოიწვიოს დაბრუნებული ნივთიდან ადრინდელთან შედარებით მეტი სარგებლის მიღებამ, რადგან მნიშვნელოვანია გაზრდილი დაბრუნებული ნივთის ღირებულება. ცხადია, ორივე შემთხვევაში აუცილებელია მოვალის გამდიდრება და გაწეული ხარჯების

---

[328] საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2014 წლის 17 მარტის გადაწყვეტილება (№ას-877-835-2013).

[329] საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2012 წლის 2 ოქტომბრის გადაწყვეტილება (№ას-1055-989-2012).

ანაზღაურება გამდიდრების ოდენობის შესაბამისად. ამასთან, კონდიქციურმა მოთხოვნამ არ უნდა გამოიწვიოს გამდიდრებული პირის ქონების იმაზე მეტად შემცირება, რითაც იგი გამდიდრდა.[330]

მაგალითი: ა წავიდა შვებულებაში და ბ-ს სთხოვა, რომ გარკვეული თანხის სანაცვლოდ 2 თვის განმავლობაში ბაღის გალამაზებაზე ეზრუნა. ბ-მ შეცდომით ა-ს მეზობლის (გ-ს) ბაღი გაალამაზა იმ დროს, როცა გ დროებით მივლინებით იყო საზღვარგარეთ წასული. ამის შედეგად გ-ს საცხოვრებელი სახლის ღირებულება საგრძნობლად გაიზარდა. მოცემულ შემთხვევაში, თუ გ-ს სურდა ბაღის ისე გაუმჯობესება, როგორც ეს გ-მ გააკეთა, გონივრული იქნებოდა, რომ გ-ს გადაეხადა ბ-სთვის სახლის გაზრდილი ღირებულების გადახდა. სწორედ ეს საწყისია სსკ-ის 987-ე მუხლში ასახული. მართალია, კანონმდებელი აქ არ იყენებს ტერმინს „გონივრული", თუმცა სადავო არ უნდა იყოს, რომ ანაზღაურების წესი ამ პირობას გულისხმობდეს. სხვა შემთხვევაში უცნაური იქნებოდა, პირს აენაზღაურებინა იმ გამდიდრებისთვის, რომელიც მოხდა მისი ნების მიუხედავად.[331]

თუმცა, ზემომოყვანილი მოთხოვნის დაკმაყოფილება გამორიცხულია შემდეგ შემთხვევებში: ა) როცა პირს, რომელსაც მოთხოვნა წაეყენება, შეუძლია მოითხოვოს დანახარჯების ამოღება და ამოიღებს მას, ან ბ) პრეტენზიის წარმდგენმა პირმა ბრალეულად დააყოვნა შეტყობინება ხარჯების მოთხოვნის შესახებ, ან კიდევ გ) პირმა, რომელსაც წაეყენება პრეტენზია, სადავო გახადა ხარჯები მათ განხორციელებამდე (სსკ-ის 987-ე მუხლის მე-3 ნაწ.).

3.10. ვითომ-კრედიტორის მითითებით შესრულების შედეგები

ვითომ-კრედიტორის მითითებით შესრულება, თავისი არსით, უკავშირდება შესრულების კონდიქციას (სსკ-ის 976-ე მუხლი), ვინაიდან ებება შესრულებას და კანონმდებელი სსკ-ის 988-ე მუხლის სამივე ნაწილში უთითებს 976-ე მუხლზე (მითითებითი ნორმა). პირს, რომელიც, სსკ-ის 976-ე მუხლის თანახმად, რაიმეს გადასცემს მესამე პირს ვითომ-კრედიტორზე მითითებით, შეუძლია შესრულებულის გამოთხოვა ვითომ-კრედიტორისაგან ისე, თითქოს მისთვის გადაეცეს რაიმე. თუმცა აქედან შეიძლება დაიშვას გამონაკლისი ვითომ-კრედიტორის მითითების საეჭვოობის შემთხვევაში, რაც საბოლოო ჯამში იძლევა უკან დაბრუ-

[330] რ. შენგელია, სსკ-ის კომენტარი, წ. IV, ტ. II, თბ., 2001, 371-372.

[331] ჯ. ვილემსი, ქართული და ჰოლანდიური უალდებულებითი სამართლის შედარებითი ანალიზი, წიგნში „უალდებულებითი სამართალი", თბ., 2006, 104.

ების მოთხოვნის მხოლოდ მესამე პირის მიმართ გამოყენების საფუძ-ველს.[332]

სსკ-ის 988-ე მუხლის წინაპირობების სიღრმისეულად შესწავლა და სწორი სამართლებრივი შეფასების მიცემა, უპირველეს ყოვლისა, მოითხოვს უსაფუძვლო გამდიდრების ფარგლებში პასუხისმგებლობის წარმოშობის თავისებურებისა და ამ პასუხისმგებლობისათვის დამახასიათებელი „უშუალობის პრინციპის" განსაზღვრას. მოცემულ შემთხვევაში უნდა არსებობდეს უსაფუძვლო გამდიდრების შემთხვევა, კონდიქციური მოთხოვნის კრედიტორი და მოვალე. ამასთან, აქ საქმე ეხება ორზე მეტ პირს შორის წარმოშობილ ურთიერთობას. სსკ-ის 988-ე მუხლის 1-ლი ნაწილის მიხედვით, კონდიქციური მოთხოვნის კრედიტორი არის პირი, რომელიც, სსკ-ის 976-ე მუხლის თანახმად, რაიმეს გადასცემს მესამე პირს ვითომ-კრედიტორზე მითითებით. მოცემულ შემთხვევაში (ა) პირს უნდა გადაეცეს რაიმე იმ ვალდებულების შესასრულებლად, რომელიც (ბ) არ არსებობდა გარიგების ბათილობის ან სხვა საფუძვლის გამო არარსებობის, ან შემდგომში შეწყვეტის გამო. ამასთან, უშუალოდ თვით ვალდებულების შესასრულებლად განხორციელებული მოქმედებები, ამ ნორმის თანახმად, თავისებურია: პირმა (კონდიქციურმა კრედიტორმა, ვის ხარჯზეც გამდიდრდა) შეიძლება ვითომ-კრედიტორის მითითებით შეასრულოს ვალდებულება მესამე პირის წინაშე, მაგრამ მოთხოვნა წაუყენოს ერთ შემთხვევაში ვითომ-კრედიტორს, მეორე შემთხვევაში კი – მესამე პირს. როცა მოთხოვნა წარედგინება ვითომ-კრედიტორს, სსკ-ის 976-ე მუხლიდან გამომდინარე, არ უნდა არსებობდეს სამართლებრივი საფუძველი კონდიქციურ კრედიტორსა და ვითომ-კრედიტორს შორის. ამ შემთხვევაში, სსკ-ის 988-ე მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, მოთხოვნა მიემართება ვითომ-კრედიტორს, თითქოს მისთვის გადაეცეს რაიმე კონდიქციურ კრედიტორს. თუმცა თუ ვითომ-კრედიტორის მითითება საეჭვოა (ანუ როდესაც ვითომ-კრედიტორის მითითება არ არსებობდა, ბათილია ან სხვა საფუძვლებიდან გამომდინარე შემდგომ შეწყდა), მაშინ უკან დაბრუნების მოთხოვნა შეიძლება გამოყენებულ იქნეს მხოლოდ მესამე პირის მიმართ.[333]

მოცემულ შემთხვევაში საეჭვოობა უკავშირდება მესამე პირს, კერძოდ, ვითომ-მოვალე ასრულებს ვალდებულებას შეცდომით მესამე პირის წინაშე. ესე იგი, პირმა დაუშვა შეცდომა სუბიექტში. შესაბამისად, თუ ძირითადი გარიგება აღმოჩნდება ბათილი (სსკ-ის 976-ე მუხ.), მაშინ ვითომ-მოვალე შესრულებულს გამოითხოვს უშუალოდ ვითომ-მესამე პი-

---

[332] სსკ-ის 988-ე მუხლთან დაკავშ. იხ. ლ. შატბერაშვილი, უსაფუძვლო გამდიდრება: სამართლიანი სამართალი? ჟურნ. „სამართალი", N6-7, 2000, 39.

[333] საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2008 წლის 17 სექტემბრის გადაწყვეტილება (№ას-232-493-08).

რისგან და არა ვითომ-კრედიტორისგან. მაგალითად, ანასა და გიორგის შორის დაიდო გარიგება, რომლის საფუძველზეც ანა (ვითომ-მოვალე) შესრულებულს გადასცემს ბადრის, როგორც მესამე პირს, თუმცა უნდა გადაეცა გიორგისთვის, რომელიც ნამდვილად არის მესამე პირი. ანასა და გიორგის შორის დადებული გარიგების ბათილობა წარმოშობს ანას (ვითომ-მოვალის) უფლებას, გამოითხოვოს შესრულებული ბადრისგან (და არა გიორგისგან).[334]

სსკ-ის 988-ე მუხლის მე-2 ნაწილით დადგენილია, რომ პირს, რომელიც, 976-ე მუხლის მიხედვით, ახალ ვითომ-კრედიტორს რაიმეს გადასცემს მოთხოვნის წაყენების შემდეგ, შეუძლია თავდაპირველი ვითომ-კრედიტორისაგან მოითხოვოს დაბრუნება ისე, თითქოს მისთვის გადაეცეს რაიმე. თუ თავდაპირველი ვითომ-კრედიტორის მითითება საეჭვოა, მაშინ უკუმოთხოვნა შეიძლება მხოლოდ ახალი ვითომ-კრედიტორის მიმართ. რაც შეეხება ამ შემთხვევებში ზიანის ანაზღაურების მოვალეობას, მის მიმართ გამოიყენება სსკ-ის 979-ე და 980-ე მუხლები.[335] განსახილველი ნორმის პირველი პუნქტის თანახმად, მოვალე ასრულებს ვალდებულებას ახალი კრედიტორის წინაშე ისეთივე პირობების დაცვით, როგორც ის შეასრულებდა თავდაპირველი კრედიტორის წინაშე. თუ ვალდებულება უსაფუძვლობის გამო არ არსებობს, მაგრამ ის მაინც შესრულდა თავდაპირველი ან ახალი კრედიტორის წინაშე, მაშინ უსაფუძვლოდ გამდიდრდება თავდაპირველი ან ახალი ვითომ-კრედიტორი. ეს ის შემთხვევაა, როდესაც კრედიტორი თავის მოთხოვნას უთმობს სხვას და მოვალე ამის გამო ვალდებულების შესრულების მიზნით გადასცემს რაიმეს ახალ კრედიტორს. შემდგომ, თუ დადგინდა, სსკ-ის 976-ე მუხლის გაგებით, ვითომ-მოვალესა და ვითომ-კრედიტორს შორის ვალდებულების არარსებობა, მაშინ ვითომ-მოვალემ უსაფუძვლოდ გადაცემული უნდა მოითხოვოს თავდაპირველი ვითომ-კრედიტორისგან, რომელმაც უნდა უზრუნველყოს დაბრუნება, ვინაიდან თავდაპირველმა კრედიტორმა დათმო მოთხოვნის უფლება მისივე ნებით. მოვალე გადასცემს რა ახალ ვითომ-კრედიტორს შესრულებულს, სარგებელს იღებს თავდაპირველი კრედიტორი. ამიტომ ახალი ვითომ-კრედიტორისთვის რაიმეს გადაცემა იგივე თავდაპირველი ვითომ-კრედიტორისთვის გადაცემაა. მაგალითად, აკაკიმ მიიღო ბაკურისგან ნივთი უსასყიდლოდ. ხელშეკრულებით განისაზღვრა, რომ აკაკი ნივთის ტრანსპორტირებას მოახდენდა მეორე დღეს. აკაკიმ ნივთზე საკუთრები-

---

[334] იხ. თ. ჩიტოშვილი, ვალდებულებით-სამართლებრივი ურთიერთობებიდან გამომდინარე ვალდებულებათა შინაარსი და სახეები (ზოგადი დახასიათება), უსაფუძვლო გამდიდრება (ძირითადი საკითხები), თბ., 2015, 112-113.

[335] სსკ-ის 988-ე მუხლის განხილვის შესახებ იხ. ლ. შატბერაშვილი, უსაფუძვლო გამდიდრება: სამართლიანი სამართალი? ჟურნ. „სამართალი", N6-7, 2000, 39.

სა და ბაკურისგან მოთხოვნის უფლება დაუთმო ცოტნეს. შესაბამისად, ცოტნემ მიიღო ნივთზე საკუთრების უფლება და მოახდინა კიდეც ნივთის ტრანსპორტირება. დადგინდა, რომ ბაკურს არ ჰქონდა ამ ნივთის გასხვისების უფლება, რის გამოც აკაკისა და ბაკურს შორის დადებული ხელშეკრულება ბათილად ჩაითვალა. მოცემულ შემთხვევაში აკაკი ითვლება თავდაპირველ კრედიტორად, ცოტნე კი - ახალ ვითომ-კრედიტორად. სსკ-ის 988-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, ბაკურს შეუძლია უსასყიდლოდ გადაცემულის უკან დაბრუნება მოსთხოვოს აკაკის (თავდაპირველ კრედიტორს) და არა ცოტნეს, როგორც ახალ ვითომ-კრედიტორს.[336]

3.11. ხელყოფის კონდიქცია სასყიდლიანი და უსასყიდლო განკარგვისას

ხელყოფის კონდიქციის დროს მხედველობაშია მისაღები არაუფლებამოსილი პირის მიერ ნივთის განკარგვა (სსკ-ის 982-ე მუხლის მე-2 ნაწილი, 990-ე მუხლი) და არაუფლებამოსილი პირის მიერ შესრულების მიღება (სსკ-ის 989-ე მუხლი). აქ საგულისხმოა ორი გარემოება: ა) თუ მიღებული თანხა საგნის ღირებულებაზე დაბალია, უსაფუძვლო გამდიდრების ზოგადი პრინციპიდან გამომდინარე, დაბრუნებას ექვემდებარება მხოლოდ მიღებული თანხა; ბ) თუ მიღებული ანაზღაურება აღემატება საგნის ღირებულებას, მაშინ საკითხი სადავოა. მართალია, ზოგადი პრინციპი აქაც რჩება, მაგრამ თითოეულ შემთხვევაში უნდა შეფასდეს, რა გზით მიიღო სუბიექტმა მოგება და რა წვლილი მიუძღვის თავად განმკარგველს მის მიღებაში, ანუ რამდენად შეიძლება იყოს ეს მოგება მისი პირადი მეცადინეობის შედეგი. განსაზღვრულ შემთხვევებში შეიძლება საგნის ღირებულების ნამატი თანხა განმკარგველს დარჩეს. უსასყიდლო განკარგვის დროს (სსკ-ის 989-ე მუხლის 1-ლი ნაწილი) მიმღებს ეკისრება მიღებულის დაბრუნების მოვალეობა. იგივე წესი მოქმედებს არაუფლებამოსილი პირის მიერ შესრულების მიღებისას.[337]

ამდენად, თუ მიმღებმა, ანუ პირმა, რომელმაც უნდა დააბრუნოს მიღებული, უსასყიდლოდ გადასცა მესამე პირს, მაშინ მესამე პირს ევალება, რომ მიღებული დაუბრუნოს უფლებამოსილ პირს. ამასთან, მესამე პირისთვის უსასყიდლოდ ნივთის გადაცემა დაბრუნებას ექვემდებარება შემდეგი წინაპირობების შემთხვევაში: ა) თუ მესამე პირის ქონება მიღებული ქონების ხარჯზე გაიზარდა, ან დაიზოგა, ანუ ამით მან სარგებელი

---

[336] იხ. თ. ჩიტოშვილი, ვალდებულებით-სამართლებრივი ურთიერთობებიდან გამომდინარე ვალდებულებათა შინაარსი და სახეები (ზოგადი დახასიათება), უსაფუძვლო გამდიდრება (ძირითადი საკითხები), თბ., 2015, 114-115.

[337] იხ. ლ. შატბერაშვილი, უსაფუძვლო გამდიდრება: სამართლიანი სამართალი? ჟურნ. „სამართალი", N6-7, 2000, 37-38.

ნახა; ბ) თუ მიმღებისგან მესამე პირისათვის გადაცემა არ უკავშირდება მიმღების მიერ მესამე პირის მიმართ ნაკისრი ვალდებულების შესრულებას და ეს შესრულება ეხება გვაროვნული ნიშნით განსაზღვრულ ნივთს; გ) თუ შეუძლებელია მიმღები პირისგან მიღება, რაც განპირობებულია გარკვეული ობიექტური ფაქტორებით (მაგალითად, გარდაცვალებით). ასევე, მნიშვნელოვანია, რომ მიმღებს ქონების მიღებითა და გადაცემით არ უნდა ჰქონდეს მიღებული სარგებელი.[338]

ამასთან, ცალკეა გამოყოფილი არაუფლებამოსილი პირის მიერ საგნის უსასყიდლოდ განკარგვის შედეგები. არაუფლებამოსილი პირის მიერ საგნის უსასყიდლოდ განკარგვის დროს კონდიქციური მოთხოვნის დაკმაყოფილების წინაპირობებად განიხილება: ა) არაუფლებამოსილი პირი; ბ) საგნის უსასყიდლოდ განკარგვა; გ) ეს განკარგვა ნამდვილი უნდა იყოს უფლებამოსილი პირის მიმართ.

არაუფლებამოსილ პირად მიიჩნევა ნებისმიერი პირი, რომელიც არ არის უფლების მფლობელი, ან ის, ვისაც არ აქვს განკარგვის უფლებამოსილება. რაც შეეხება განკარგვას, ის უკავშირდება უფლების გადაცემას, უფლებრივ დატვირთვას, გაუქმებას ან შინაარსით შეცვლას. განკარგვის ნამდვილობის საკითხი დგება კეთილსინდისიერი შემძენის შესახებ ნორმების საფუძველზე, მიუხედავად უფლებამოსილების არარსებობისა. თუმცა მოთხოვნის უფლება წარმოიშობა შეძენის უსასყიდლობის დროს.[339] ამასთან, სავარაუდოა, რომ უსასყიდლოდ განკარგვა გულისხმობს ჩუქებას ან ჩუქების დაპირებას. აქ მთავარია, დასაჩუქრება არ იყოს შენაძენისთვის გონივრული (შესატყვისი) კომპენსაციის ფორმით წარმოდგენილი. ცხადია, უსასყიდლო განკარგვაში არ უნდა მოიაზრებოდეს ქონების სხვა სახის განკარგვა (მაგალითად, გაცვლა). ასევე, სსკ-ის 990-ე მუხლის ფარგლებში მოთხოვნის წარმოსაშობად აუცილებელია, რომ განკარგვა სამართლებრივი საფუძვლის გარეშე განხორციელდეს.[340] ჩუქება ან ჩუქების დაპირება იდება გამჩუქებელსა (არაუფლებამოსილი პირი) და დასაჩუქრებულს შორის. ეს გარიგება უსაფუძვლობის გამო ექვემდებარება უფლებამოსილი პირისთვის დაბრუნებას. თუმცა დასაჩუქრებულის კეთილსინდისიერება გამორიცხავს ნაჩუქარი ქონებისა და სარგებლის გამოთხოვას, ვინაიდან გარკვეული გარემოებების არსებობისას კეთილსინდისიერ შემძენს უნარჩუნდება მფლობელისგან სასყიდლით თუ უსასყიდლოდ გადაცემულ ქონებაზე საკუთრე-

---

[338] იხ. თ. ჩიტოშვილი, ვალდებულებით-სამართლებრივი ურთიერთობებიდან გამომდინარე ვალდებულებათა შინაარსი და სახეები (ზოგადი დახასიათება), უსაფუძვლო გამდიდრება (ძირითადი საკითხები), თბ., 2015, 124-125.

[339] ი. კროპholლერი, გსკ – სასწავლო კომენტარი, გადაამუშავეს ფ. იაკობმა და მ. ფონ პინდენმა, მე-13 გადამუშავებული გამოცემა, თარგმნეს თ. დარჯანიამ და ზ. ჰეჭელაშვილმა, თბ., 2014, 610-611.

[340] M. Staake, Gesetzliche Schuldverhältnisse, Berlin, Heidelberg, 2014, 79-80.

ის უფლება. ასევე, სსკ-ის 102-ე მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, არაუფლებამოსილი პირის მიერ საგნის განკარგვა ნამდვილია, თუ განკარგვის ნებართვა მისცა უფლებამოსილმა პირმა. ამდენად, ივარაუდება, რომ სსკ-ის 990-ე მუხლის ანალიზი მოითხოვს ისეთი ზოგადი ნორმების განხილვას, როგორიცაა სსკ-ის 59-ე და 102-ე მუხლები. სწორედ ამ ნორმებიდან იკვეთება, რომ არაუფლებამოსილი პირის მიერ საგნის განკარგვა და ნებართვის გარეშე დადებული გარიგება, თუ ამ გარიგებისთვის საჭიროა ნებართვა, ითვლება ბათილად.[341]

ამასთან, მოცემული მუხლით მოწესრიგებულია ისეთი შემთხვევები, როცა, მართალია, შესრულებულს იღებს არაუფლებამოსილი პირი, მაგრამ ის უფლებამოსილ პირთან მიმართებით ნამდვილია. ამ წინაპირობის არსებობისას, სსკ-ის 990-ე მუხლის მიხედვით, არაუფლებამოსილ სუბიექტს ევალება მიღებულის დაბრუნება უფლებამოსილი პირისთვის.

მაგალითი: კრედიტორ კ-ს ჰქონდა ფულადი მოთხოვნა მოვალე მ-ს მიმართ. კ-მ ეს მოთხოვნა დაუთმო ახალ კრედიტორ ა-ს. თუმცა მოვალემ, რომელმაც ამის შესახებ არ იცოდა, თანხა გადაუხადა კ-ს. სსკ-ის მე-200 მუხლის მიხედვით, თუ მოვალემ არ იცოდა მოთხოვნის დათმობის თაობაზე, მას უფლება აქვს, რომ მოთხოვნა შეასრულოს თავდაპირველი კრედიტორის წინაშე. შესაბამისად, ასეთი გადახდა გულისხმობს ახალი კრედიტორის წინაშე ვალდებულების შესრულებას, რომელიც ნამდვილია და ვალდებულების შეწყვეტას იწვევს. სსკ-ის 990-ე მუხლის თანახმად, ახალ კრედიტორ ა-ს შეუძლია, რომ გადახდილი თანხა მოსთხოვოს კ-ს.[342]

ზემომოცემული საფუძვლების არსებობისას ის პირი, რომელმაც ამ განკარგვის შედეგად უშუალო სამართლებრივი სარგებელი მიიღო, მოვალეა, მიღებული გადასცეს უფლებამოსილ პირს (სსკ-ის 990-ე მუხლის 1-ლი ნაწილი).

თუმცა ბრალის შემთხვევაში, ასევე, გამოიყენება სსკ-ის 984-ე და 985-ე მუხლების მოთხოვნები (სსკ-ის 990-ე მუხლის მე-2 ნაწილი).

3.12. სხვა საშუალებით გამდიდრება

მართალია, კონდიქციური ვალდებულებების შესახებ თავში განსაკუთრებული ადგილი ეთმობა შესრულების კონდიქციას, მაგრამ მოცემულ თავში გამდიდრება ეხება ქონების უსაფუძვლო დაზოგვას სხვადასხვა

[341] თ. ჩიტოშვილი, ქონების უსასყიდლოდ განკარგვა, როგორც უსაფუძვლოდ გამდიდრების საფუძველი, ჟურნ. „მართლმსაჯულება“, N2, 2008, 94-97.

[342] M. Staake, Gesetzliche Schuldverhältnisse, Berlin, Heidelberg, 2014, 81.

საშუალებით. ამ საშუალებებს შეიძლება კავშირი ჰქონდეს როგორც გამდიდრებულთან, ისე დაზარალებულთან, ან საერთოდ არ ჰქონდეს მათთან რაიმე საერთო. მართალია, სსკ-ში, ძირითადად, გათვალისწინებულია შეცდომა, თუმცა, გარდა შეცდომისა, სხვა საშუალებით ქონების დაზოგვამაც შეიძლება გამოიწვიოს პირის გამდიდრება. მაგალითად, ერთი პირის ცხენმა მეორის თივა შეჭამა. ეს შემთხვევა გულისხმობს სხვის ხარჯზე საკუთარი ქონების დაზოგვას და ამის საფუძველზე უსაფუძვლო გამდიდრებას. შესაბამისად, აქ უსაფუძვლო გამდიდრებულმა უნდა დააბრუნოს ყველაფერი, რაც მან სხვის ხარჯზე მიიღო. კონდიქციური ვალდებულების საფუძველი არის რა სხვისი ქონებრივი ინტერესების ხელყოფა, ამიტომ, შესრულების კონდიქციისგან განსხვავებით, ხელყოფის კონდიქცია ნაკლებადაა დაკონკრეტებული.[343]

სსკ-ის 991-ე მუხლის თანახმად, პირი, რომელიც სხვა პირის ხარჯზე უსაფუძვლოდ გამდიდრდა სხვა საშუალებითაც, გარდა იმისა, რაც გათვალისწინებულია ამ თავში, მოვალეა დაუბრუნოს მას მიღებული. ეს მუხლი შეიცავს უსაფუძვლო გამდიდრების გენერალურ დათქმას, რაც გულისხმობს პირის მიერ იმ სიკეთის სხვისთვის დაბრუნებას, რომლითაც იგი უსაფუძვლოდ გამდიდრდება. ამ შემთხვევაში პირის გამდიდრებას იწვევს სხვისი ქონების გამოყენება, გამდიდრებული პირი კი სარგებლობს სხვისი ქონებით, რითაც არღვევს სხვის უფლებებს და კანონით დაცულ ინტერესებს.[344] ამასთან, სსკ-ის 991-ე მუხლიდან გამომდინარე, მოპასუხეს რომ დაეკისროს უსაფუძვლოდ მიღებულის უკან დაბრუნება, უნდა დადგინდეს, მოსარჩელე წარმოადგენს თუ არა სადავო ქონების მესაკუთრეს და რომ მოპასუხემ არამართლზომიერად მიიღო საკუთრებაში ეს ქონება. აღნიშნულის მტკიცების ტვირთიც, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 102-ე მუხლის თანახმად, ეკისრება მოსარჩელეს.[345]

სხვისი ქონების შეძენის, „მოხვეჭის“ ფაქტის არსებობა საკმარისია ქონებრივი წონასწორობის აღდგენისათვის. ამ ნორმის თანახმად, მიმღების ქონება იზრდება არა გამიზნულად, არამედ სხვა გზით. შესაბამისად, მნიშვნელოვანია არა ის, რომ ხდება უცხო პირთა უფლებებში ჩარევა და მართლწესრიგი კრძალავს თუ არა ასეთ ჩარევას, არამედ ის, რომ კანონი სხვა პირს მიაკუთვნებს მიღებულ უპირატესობას. მაგალითად, თუ ავტომანქანის აღდგენის ერთადერთი საშუალებაა ახალი ავტონაწილების შეძენა, რაც მხარის სახელშეკრულებო მოვალეობაა, ახალი ავტონაწილების ღირებულებით ზიანის ანაზღაურება არ განიხილება მოსარჩელის გამდიდრე-

[343] რ. შენგელია, სსკ-ის კომენტარი, წ. IV, ტ. II, თბ., 2001, 376-377.

[344] საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2014 წლის 5 მაისის გადაწყვეტილება (№ას-860-818-2013).

[345] საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2013 წლის 23 დეკემბრის გადაწყვეტილება (№ას-692-658-2013).

ად. მოცემულ შემთხვევაში მოსარჩელე არ იძენს ქონებრივ უპირატესობას, არამედ, სახელშეკრულებო მოვალეობის ჯეროვნად შესრულების გათვალისწინებით, ხორციელდება პირვანდელი მდგომარეობის აღდგენა.[346]

ამდენად, სსკ-ის 991-ე მუხლის ფარგლებში აუცილებელია შემდეგი წინაპირობების კუმულაციურად არსებობა: ა) მოპასუხის გამდიდრება, ბ) რომელიც უნდა მოჰყვეს მოსარჩელის ქმედებას (მიზეზობრიობა); გ) მოპასუხის გამდიდრება უნდა იყოს უკანონო. შესაბამისად, თუ ამ პირობებიდან რომელიმე პირობა არ არსებობს, უსაფუძვლო გამდიდრების თაობაზე წარდგენილი მოთხოვნა ვერ დაკმაყოფილდება. ამიტომ მას შემდეგ, რაც გამოირიცხება სარჩელის დაკმაყოფილების სახელშეკრულებო ან სხვა კანონისმიერი საფუძველი (სუბსიდიურობა), უნდა შემოწმდეს თითოეული ზემოთ მოყვანილი წინაპირობის ერთობლივად არსებობა.[347]

4. უკან დაბრუნების მოთხოვნის მოცულობა

კონდიქციური მოთხოვნების შინაარსის განსაზღვრის შემდეგ აუცილებელია იმის დადგენა, თუ როგორია უკან დაბრუნების მოთხოვნის ფარგლები, ანუ ის, თუ სადამდე შეიძლება გავრცელდეს კონდიქციური მოთხოვნა. როგორც სსკ-ის 979-ე მუხლის 1-ლი ნაწილიდან ჩანს, უკან დაბრუნების მოთხოვნა ვრცელდება შეძენილზე, მიღებულ სარგებელზე, ასევე, სხვა ყველაფერზე, რაც მიმღებმა შეიძინა მიღებული საგნის განადგურების, დაზიანების ან ჩამორთმევის სანაცვლო ანაზღაურების სახით. თუმცა, თუ „შესრულების (პირის მიერ უკანონო სარგებლობით მიღებული სიკეთის) დაბრუნება“ შეუძლებელია, უფლებამოსილმა პირმა შეიძლება გამოიყენოს ღირებულების ანაზღაურების მოთხოვნა. ეს ღირებულება შეიძლება დადგინდეს მაგალითად, მსგავსი ბინის ქირის ოდენობით (სსკ-ის 979-ე მუხლის მე-2 ნაწილი).[348]

საქმე ისაა, რომ, სსკ-ის 979-ე მუხლის 1-ლი ნაწილის მიხედვით, უსაფუძვლოდ გამდიდრებული, მიუხედავად მისი კეთილსინდისიერება-არაკეთილსინდისიერებისა, მოვალეა, დააბრუნოს ნივთი სარგებლითურთ. არანამდვილი ხელშეკრულებიდან მიღებულის დაბრუნების მოთხოვნის გამკაცრებულ ხასიათს თავისი გამართლებაც აქვს და დაუშვებელია უსაფუძვლოდ მიღებული ნივთის სარგებლის მოთხოვნა სსკ-ის 163-ე მუხლზე

---

[346] საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2014 წლის 20 ოქტომბრის გადაწყვეტილება (№ას-698-668-2014).

[347] საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2013 წლის 25 თებერვლის გადაწყვეტილება (№ას-3-3-2013).

[348] საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2013 წლის 5 დეკემბრის გადაწყვეტილება (№ას-472-448-2013).

დაყრდნობით. სსკ-ის 979-ე მუხლის 1-ლი ნაწილი ეფუძნება მოსაზრებას - მხარეებს უნდა დაუბრუნდეთ მათი შესრულებები და ამ შესრულებიდან მიღებული, ვინაიდან მდგომარეობა მაქსიმალურად უნდა დაუახლოვდეს პირვანდელს, ანუ მდგომარეობას, რომელიც იარსებებდა, თუ მხარეები მოცემულ შესრულებებს არ განახორციელებდნენ (რესტიტუცია). ამასთან, შემსრულებლები იბრუნებენ არა მხოლოდ მათ მიერ გაწეულ შესრულებებს, არამედ იმ სარგებელს, რომელსაც ამ შესრულებიდან მიიღებდნენ. არანამდვილი ხელშეკრულებიდან მიღებულის დაბრუნების გამკაცრებული რეჟიმი იმითაა გამართლებული, რომ ვინც აბრუნებს შესრულებასა და სარგებელს, ამავე დროს, უფლება აქვს, მეორე მხარისგან მოითხოვოს თავისი შესრულებისა და მის შედეგად მიღებული სარგებლის დაბრუნება. შესაბამისად, ფაქტობრივად აქ ხაზგასმულია პრობლემის სინალაგმატურობა (ორმხრივი ხასიათი), რომელიც არა მარტო შესრულებების, არამედ ამ შესრულებიდან მიღებული სარგებლის დაბრუნების მოცულობის განსაზღვრის საფუძველია.[349] ამიტომაცაა, რომ მოცემულ შემთხვევაში მოვალემ უნდა დააბრუნოს ან აანაზღაუროს მთელი შემოსავალი, რაც მან ამ ქონებით მოიპოვა.[350] თუმცა ვინდიკაციის შემთხვევაში მოთხოვნა სულ სხვა მიზნის განხორციელებისკენაა მიმართული, კერძოდ, ის არაა სინალაგმატურ კავშირზე დაფუძნებული და ემსახურება, ყველა სხვა დანარჩენი ასპექტების გაუთვალისწინებლად, მესაკუთრისთვის ნივთის დაბრუნებას. ვინდიკაციური მოთხოვნისთვის არაა არსებითი, არაუფლებამოსილმა მფლობელმა ნივთი მესაკუთრისგან ან მესამე პირისაგან მიიღო შესრულებით თუ უბრალოდ ქურდობით. საქმე ისაა, რომ კეთილსინდისიერ მფლობელს ევალება ნივთის დაბრუნება, რომელიც არაფრითაა კომპენსირებული, ვინაიდან ვინდიკაცია, თავის მხრივ, მიმართულია ცალმხრივად ნივთის მესაკუთრისთვის დაბრუნებისკენ და არ გულისხმობს მდგომარეობის ორმხრივად რეკონსტრუქციას. ამიტომაც ვინდიკაციის დროს შეუძლებელია იმის დადგენა, მესაკუთრემ თავად გასცა თუ არა ნივთი შესრულების საფუძველზე და მიიღო თუ არა მის სანაცვლოდ რაიმე.[351]

---

[349] იხ. გ. რუსიაშვილი, ვინდიკაციისა და შესრულების კონდიქციის კონკურენცია არანამდვილი ორმხრივი ხელშეკრულების შედეგების უკუქცევისას, „სამართლის ჟურნალი", N1, 2013, 221.

[350] მ. გაბუნია, ნატურით რესტიტუციის შეუძლებლობა უსაფუძვლო გამდიდრების დროს, წიგნში: „ბესარიონ ზოიძის 60 წლის იუბილისადმი მიძღვნილი კრებული" (რედ. დ. გეგენავა, ს. ჯორბენაძე), თბ., 2013, 64.

[351] G. Rusiashvili, Zur Anwendbarkeit der Saldtheorie im georgischen Recht, Saarbrücken, 2014, 62-66. იხ. გ. რუსიაშვილი, ვინდიკაციისა და შესრულების კონდიქციის კონკურენცია არანამდვილი ორმხრივი ხელშეკრულების შედეგების უკუქცევისას, „სამართლის ჟურნალი", N1, 2013, 221.

თუ გადაცემული ქონების ნატურით დაბრუნება შეუძლებელია, უნდა ნაზღაურდეს მისი ის ღირებულება, რაც ამ ქონებას შეძენის მომენტში ქონდა. იგივე წესი გამოიყენება იმ შემთხვევაშიც, თუ ნივთი უსაფუძვლოდ შემძენმა შემდეგში გაასხვისა ნამდვილ ღირებულებასთან შედარებით უფრო დაბალ ფასად. ამასთან, ქონების დაბრუნების ვალდებულება წარმოიშობა მისი უსასყიდლოდ გადაცემის დროსაც, რადგან მან გააჩუქა სხვისი ქონება და დაზოგა თავისი. უსაფუძვლოდ სხვისი ქონებით სარგებლობის ან სხვის ხარჯზე რაიმე მომსახურების მიღებისას დაზარალებულს უნდა აუნაზღაურდეს დაზოგილი ხარჯების ტოლფასი თანხა. ასევე, კონდიქციური ვალდებულება დაზარალებულისთვის მხოლოდ უსაფუძვლოდ მიღებული ქონების დაბრუნებით როდი შემოიფარგლება. კანონით გათვალისწინებულია, რომ პირი, რომელმაც ქონება უსაფუძვლოდ მიიღო, მოვალეა, ასევე, დააბრუნოს ან აანაზღაუროს მთელი შემოსავალი, რაც მან ამ ქონებით მოიპოვა, ან უნდა მოეპოვებინა იმ დროიდან, როცა შეიტყო ან უნდა შეეტყო, რომ ქონება უსაფუძვლოდ ჰქონდა მიღებული. მაგალითად, თუ პირმა შეცდომით მიიღო სხვისი გზავნილი და ფული თავის სახელზე შეიტანა შემნახველ ბანკში, ის მოვალეა, დააბრუნოს არა მარტო ძირითადი თანხა, არამედ მასზე დარიცხული პროცენტებიც.[352]

ამასთან, უსაფუძვლოდ გამდიდრებული (მიმღები) გამდიდრების ფაქტის მიმართ შეიძლება იყოს კეთილსინდისიერი ან არაკეთილსინდისიერი. კეთილსინდისიერმა გამდიდრებულმა არ იცის და არც შეიძლება იცოდეს სამართლებრივი ხარვეზი, ხოლო არაკეთილსინდისიერი პირისთვის ხარვეზი ცნობილია, ან უნდა ყოფილიყო ცნობილი, გონივრული წინდახედულობა რომ გამოეჩინა. სსკ-ის 979-ე მუხლი განსაზღვრავს კეთილსინდისიერი გამდიდრებულის პასუხისმგებლობის ფარგლებს. კანონმდებლობით კეთილსინდისიერ მიმღებს ევალება, უფლებამოსილ პირს დაუბრუნოს მხოლოდ უსაფუძვლოდ მიღებული. თუმცა ზოგ შემთხვევაში მას არ ეკისრება ზიანის ანაზღაურების მოვალეობა. მაგალითად, სსკ-ის 979-ე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, არ არსებობს ანაზღაურების მოვალეობა, თუ მიმღები საგნის მოხმარების, სხვისთვის გადაცემის, დაღუპვის, გაუარესების ან სხვა საფუძვლების გამო არც საგნით და არც მისი ღირებულებით არ გამდიდრებულა. ერთი შეხედვით, აქ, თითქოს ზარალზეა აქცენტი გაკეთებული, მაგრამ საქმე ისაა, რომ კანონი ამ დანაკლისს არ აკვალიფიცირებს ზიანად და ამიტომ არც მისი ანაზღაურების ვალდებულებას ითვალისწინებს. თუმცა ამ დებულებისგან განსხვავდება სსკ-ის 981-ე მუხლი, რომელიც არაკეთილსინდისიერ მიმღებს ეხება და მას

---

[352] რ. შენგელია, კონდიქციურ ვალდებულებათა საფუძვლები, წიგნში: „სერგო ჯორბენაძის 70 წლისადმი მიძღვნილი საუბილეო კრებული“ (შემდგ. და რედ.: რ. კნიპერი, ლ. ჭანტურია), თბ., 1996, 70-71.

აკისრებს უფლებამოსილი პირისთვის მიყენებული ზიანის ანაზღაურების ვალდებულებას. მიუხედავად ამისა, კანონით ამ ზიანში მოიაზრება, მაგალითად, ის სარგებელი, რომელიც მიმღებს უნდა მიეღო სათანადო გაძღოლის შედეგად, ან ფულად ვალზე გადასახდელი პროცენტი. შესაბამისად, ლოგიკურად უსაფუძვლო გამდიდრების ფაქტის მიმართ პირის კეთილსინდისიერება გულისხმობს მხოლოდ გადაცემულის უკან დაბრუნების ვალდებულებას, ხოლო არაკეთილსინდისიერ გამდიდრებულზე ვალდებულების ფარგლებს აფართოებს და, გარდა ამისა, მას ავალებს, აანაზღაუროს მისი ქმედებით გამოწვეული ფაქტობრივი ან სავარაუდო ქონებრივი დანაკლისი (ზიანი).[353] ამასთან,დასახელებულ შემთხვევებში კეთილსინდისიერ მიმღებს ბრალი არ მიუძღვის სხვისი ქონების უსაფუძვლოდ მიღებაში, ან სხვისი ქონების ხარჯზე თავისი ქონების დაზოგვაში. მაგალითად, პირმა შეასრულა სხვა პირის შესასრულებელი ვალდებულება, ვინაიდან ეგონა, რომ აღნიშნული მისი ვალდებულება იყო. ეს ის შემთხვევაა, როცა მიწის მოიჯარემ შეიძლება გადაიხადოს მიწაზე სახელმწიფო გადასახადი, ნაცვლად მესაკუთრისა. რაც შეეხება არაკეთილსინდისიერებას უსაფუძვლო გამდიდრების ფაქტისადმი, აქ ვითომ-კრედიტორი მოქმედებს ბრალეულად, რის გამოც ეს ვალდებულება ფაქტობრივად სცილდება უსაფუძვლო გამდიდრების ზოგად წესებს და მიზანშეწონილია, ამოქმედდეს სპეციალური წესები. სახელდობრ, მიმღებმა, ძირითადად, მიღებულ ან დაზოგილ ქონებასთან ერთად, რომლითაც გამდიდრდა, უნდა დააბრუნოს ის სარგებელი, ნაყოფი, რომელიც მან მიიღო ძირითადი ქონების ექსპლოატაციის შედეგად, ასევე, ის სარგებელი (ნაყოფი), რომელიც სავარაუდოდ, შეეძლო მიეღო და ვერ მიიღო თავისი ბრალეულობით, ან მიიღო, თუმცა დაზიანდა ან განადგურდა პირის უხეში გაუფრთხილებლობის გამო.[354]

ამდენად, ფაქტობრივად კანონმდებელმა ბათილი გარიგების იურიდიული შედეგი გადმოიტანა უსაფუძვლო გამდიდრების მომწესრიგებელ თავში, რაც რესტიტუციის პრობლემას უკავშირდება. როცა საქმე ეხება სრულად ან ნაწილობრივ ბათილ გარიგებას, დგება შესაბამისი ქონებრივი შედეგებიც. გარიგების გაბათილების უმთავრესი ქონებრივი შედეგია რესტიტუცია (უკან დაბრუნება, აღდგენა). თავის მხრივ, რესტიტუციაში მოიაზრება პირვანდელი მდგომარეობის აღდგენა, რომელიც გარიგების დადებამდე იარსებებდა. სწორედ ამ მდგომარეობის აღდგენის სამართლებრივ საფუძვლად შეიძლება ჩაითვალოს სსკ-ის 976-ე მუხლის 1-ლი ნაწილი. თუ საცილო გარიგების მხარეებმა ერთმანეთს გადასცეს რაიმე ამ გარიგე-

---

[353] ს. ჩხაიძე, ზიანის ცნება უსაფუძვლო გამდიდრების სამართალში, ჟურნ. „მართლმსაჯულება და კანონი“, N2, 2014, 7.

[354] იხ. თ. ჩიტოშვილი, უსაფუძვლოდ გადაცემული ქონების დაბრუნების მოვალეობა, კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის მაცნე, N1, 2009, 130-131.

ბით განსაზღვრული ვალდებულების შესასრულებლად, მათ უნდა დაუბრუნონ ერთმანეთს ყველაფერი იმ საფუძვლით, რომ ვალდებულება არ არსებობს. ამასთან, ბათილი გარიგების ყველა შემთხვევაში უნდა მოხდეს ორმხრივი რესტიტუცია, თუ კანონით რაიმე განსხვავებული ქონებრივი შედეგი არაა გათვალისწინებული. ბათილი გარიგების სხვა სამართლებრივი შედეგია ცალმხრივი რესტიტუცია, რომელიც გამოიხატება გარიგების მხოლოდ ერთი (კეთილსინდისიერი) მხარის მიერ პირუკუ შესრულების მიღებაში.[355]

ზემოგანხილული დებულებები უკავშირდება, ასევე, ე. წ. „სალდოს" ანუ „ნაშთის თეორიას". ამ თეორიას თავდაპირველად საფუძვლად ედო აზრი, რომლის თანახმად, მხარეთა მიერ მიღებული ყველა ქონებრივი სიკეთის სალდირების (დაჯამების და ურთიერთგაქვითვის) შემდეგ დარჩენილი ნაშთი, რომელიც უსაფუძვლო გამდიდრებისკენ იყო მიმართული, უნდა დაბრუნებულიყო. ურთიერთდაპირისპირებული შესრულებები ერთმანეთისგან დამოუკიდებლად კი არ უნდა ყოფილიყო მოთხოვნილი, არამედ ისინი ავტომატურად უნდა გაქვითულიყო, ხოლო უსაფუძვლო გამდიდრების მოთხოვნა უნდა წარდგენილიყო მხოლოდ იმ ოდენობით და მხოლოდ იმ მხარეს, რომელთანაც დარჩებოდა არაკომპენსირებული ნაშთი. სალდირების შემდეგ რჩება მხოლოდ ერთი მოთხოვნა და მხოლოდ ეს ნაშთი მიიჩნევა უსაფუძვლო მიღებულ გამდიდრებად.[356] თუ ორივე მხარის უსაფუძვლო გამდიდრების მოთხოვნა ერთგვაროვანია (მაგალითად, ფულში გამოიხატება), მაშინ ეს შესასრულებელი მოთხოვნები ურთიერთგაქვითება და მხოლოდ ერთ მხარეს დაეკისრება გაქვითვის შემდეგ დარჩენილი ნაშთის დაბრუნების ვალდებულება. საქმე ისაა, რომ სალდოს თეორია[357] დასაბუთებულია სახელშეკრულებო სინალაგმის კონდიქციურ ურთიერთობაში გადატანით. საკითხის ამგვარი გადაწყვეტა ეფუძნება მოსაზრებას, რომ სახელშეკრულებო ურთიერთობაში მხარეთა მიერ შესასრულებელი მოქმედებები ერთმანეთთან სინალაგმატურ კავშირშია, ანუ ერთი მხარე ასრულებს მხოლოდ იმიტომ, რომ იღებს შემხვედრ შესრულებას მეორე მხარისგან. შესაბამისად, უსამართლო შედეგის თავიდან ასაცილებლად ამ სინალაგმატური კავშირის გადატანა აუცილებელია უსაფუძვლო გამდიდრების ურთიერთობებშიც. მოცემულ შემთხვევაში ერთი მხარე აბრუნებს მხოლოდ იმიტომ, რომ აბრუნებს მეორე მხარე და აბრუნებს იმდენს, რამდენსაც აბრუნებს მეორე მხარე. სწორედ ამ პრინციპულ დე-

---

[355] ქ. სვინტრაძე, ხელშეკრულების ბათილობის სამართლებრივი პრობლემები, ჟურნ. „მართლმსაჯულება და კანონი", N2, 2014, 138-139, 141.

[356] იხ. D. Reuter, M. Martinek, Ungerechtfertigte Bereicherung, Tübingen, 1983, 596. მითითებულია: გ. რუსიაშვილი, ვინდიკაციისა და შესრულების კონდიქციის კონკურენცია არანამდვილი ორმხრივი ხელშეკრულების შედეგების უკუქცევისას, „სამართლის ჟურნალი", N1, 2013,207.

[357] სალდოს თეორიასთან დაკავშ. დაწვრ. იხ. P. Mossler, Bereicherung aus Leistung und Gegenleistung, Tübingen, 2006, 30-50.

ბულებაშია ფაქტობრივი სინალაგმის არსი გადმოცემული. ამასთან, შეუძლებელია იმის უარყოფა, რომ ხელშეკრულება ფაქტობრივად შესრულდა და, შესაბამისად, წარმოიშობა ფაქტობრივი სინალაგმა. სწორედ მხარის წარმოდგენა (სინალაგმა), რომ ხელშეკრულება ნამდვილია, განიხილება მხარის მიერ შესრულებული მოქმედების უმთავრეს საფუძვლად და მისი გაუთვალისწინებლობა მხარის ინტერესების დაცვაზე უარის თქმას უტოლდება.[358]

სსკ-ი იზიარებს სალდოს თეორიის[359] საფუძველში არსებულ ფაქტობრივ სინალაგმას. სსკ-ის 979-ე მუხლის მე-4 ნაწილში ხაზგასმულია, რომ ორმხრივი ხელშეკრულების ფარგლებში არსებული ინტერესები უნდა გადანაწილდეს უსაფუძვლო გამდიდრებიდან წარმოშობილ ურთიერთობებში. სახელდობრ, სსკ-ის 979-ე მუხლის მე-4 ნაწილის მიხედვით, ორმხრივი ხელშეკრულების მხარეებმა ხელშეკრულების ბათილობის გამო უკან უნდა დააბრუნონ ის, რაც მათ ამ ხელშეკრულებით მიიღეს, ანუ მიღებული დააბრუნონ ურთიერთსაპირისპირო კონდიქციური მოთხოვნების საფუძველზე (და არა ვინდიკაციით). ბათილი ხელშეკრულება წარმოშობს კონდიქციურ მოთხოვნას (და არა სავინდიკაციო მოთხოვნას). ამიტომ, მოცემული ნორმის მიხედვით, ერთმანეთს უნდა დაუპირისპირდეს ორი კონდიქციური მოთხოვნა, ისევე როგორც ხელშეკრულების ნამდვილობისას ერთმანეთს დაუპირისპირდებოდა ორი სახელშეკრულებო შესრულების მოთხოვნა. აქ, თავის მხრივ, იგულისხმება სინალაგმის პრინციპის გადატანა კონდიქციურ ურთიერთობებში. ამასთან, სსკ-ის 979-ე მუხლისგან განსხვავებულ წესს შეიცავს სსკ-ის 979–ე მუხლის 1-ლი ნაწილი, რომლითაც კონდიქციის დროს, მიუხედავად კეთილსინდიერებისა თუ არაკეთილსინდისიერებისა, გამდიდრებულმა უნდა დააბრუნოს ნივთი სარგებლითურთ. აქ გადმოცემულია მისი ორმხრივი (სინალაგმატური) ხასიათი.[360]

ამასთან, საგულისხმოა, რომ უკან დაბრუნების მოთხოვნის დასაკმაყოფილებლად არ უნდა არსებობდეს მოცემული მოთხოვნის გამომრიცხველი გარემოებები. სახელდობრ, ერთ-ერთ მხარეს არ შეუძლია დაბრუნება სსკ-ის 979-ე მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებული საფუძვლების გამო, მას არ ეკისრება უკან დაბრუნების მოვალეობა, თუ ეს

---

[358] დაწერ. იხ. გ. რუსიაშვილი, ვინდიკაციისა და შესრულების კონდიქციის კონკურენცია არანამდვილი ორმხრივი ხელშეკრულების შედეგების უკუქცევისას, „სამართლის ჟურნალი“, N1, 2013, 206-208.

[359] სალდოს თეორიის შესახებ ასევე იხ. W. Flume, Studien zur Lehre von der ungerechtfertigten Bereicherung, Tübingen, 2003, 102-107.

[360] იხ. გ. რუსიაშვილი, ვინდიკაციისა და შესრულების კონდიქციის კონკურენცია არანამდვილი ორმხრივი ხელშეკრულების შედეგების უკუქცევისას, „სამართლის ჟურნალი“, N1, 2013, 217-221.

ჯამომდინარეობს სამართლის იმ ნორმის არსიდან, რომლის საფუძველზე ხელშეკრულება ბათილად გამოცხადდა. მაგალითად, ქონებამ შეიძლება დაკარგოს ღირებულება (მიზნობრივი დანიშნულება) გაფუჭების გამო, ხოლო მხარემ ამ მიზეზით ვერ დააბრუნოს ქონება. მოცემულ შემთხვევაში აღნიშნული მხარე ქონების უკან დაბრუნების ვალდებულებისგან თავისუფლდება, თუ ეს გამომდინარეობს იმ სამართლებრივი ნორმის არსიდან, რომლითაც ხელშეკრულება ბათილად არის აღიარებული.

ქონების მიმღები თავისუფლდება ყოველთვის მიღებულის უკან დაბრუნების მოვალეობისგან, თუ შესრულების საგნის დაღუპვა ან გაფუჭება ხელშეკრულების ნამდვილობისას იწვევს ქონების გადამცემის პასუხისმგებლობას. ამ შემთხვევაში არ არსებობს ქონების მიმღების არაკეთილსინდისიერება ან ბრალეულობა, რის გამოც გამორიცხულია, რომ ხელშეკრულების ბათილობის დროს ქონების მიმღებზე გავრცელდეს რესტიტუციიდან გამომდინარე ვალდებულება.[361]

ასევე, უსაფუძვლო გამდიდრება უკავშირდება ნატურით რესტიტუციას, რომელიც ზიანის ანაზღაურების სხვა გზებისგან, ძირითადად, იმით განსხვავდება, რომ არ ითვალისწინებს ფულად კომპენსაციას, ზიანის ნატურით ანაზღაურება განიხილება დაზარალებულისთვის პირველადი მდგომარეობის აღდგენად. თუმცა, ზოგიერთ შემთხვევაში პირველადი მდგომარეობის აღდგენა შესაძლოა თავის თავში მოიაზრებდეს ფულად ანაზღაურებას. მაგალითად, თუ დაზარალებული პირი ზიანის ანაზღაურების მავალდებულებელი გარემოების არსებობისას დაზიანებულ ნივთს გაასხვისებს გარკვეულ ფასად, მაშინ ნატურით რესტიტუცია უნდა მოხდეს დაზარალებულისთვის ფულის გადახდით. როდესაც ნატურით რესტიტუციასთან დაკავშირებით აღინიშნება, რომ ფულადი კომპენსაცია გამორიცხულია, ეს, უპირველეს ყოვლისა, გულისხმობს მიყენებული ზიანის (ნივთის, ჯანმრთელობისთვის ზიანის მიყენების და სხვ.) ფულად ოდენობაში გამოანგარიშებისა და ფულადი ეკვივალენტურობის დადგენის გამორიცხვას. მოცემული პრინციპი ემსახურება დაზარალებულის ნატურით დაკმაყოფილებას. თუმცა, დავის არსის მიხედვით, ზოგიერთ შემთხვევაში, ნატურად შეიძლება განიხილებოდეს არა მოძრავი ან უძრავი ნივთი ან ჯანმრთელობა, არამედ ფულიც. აღნიშნულისგან განსხვავებით, ჩვეულებრივი ფულადი ანაზღაურების დროს ფული არაა ნატურა, ის მიყენებული ზიანის ანაზღაურების საშუალებას წარმოადგენს.[362]

თუ უსაფუძვლო გამდიდრების დროს შეუძლებელია ქონების ნატურით დაბრუნება, გადაცემული ქონების მდგომარეობის ან სხვა მიზეზების

---

[361] რ. შენგელია, სსკ-ის კომენტარი, წ. IV, ტ. II, თბ., 2001, 361-362.

[362] ნ. მოწონელიძე, ნატურით რესტიტუციის პრინციპი საქართველოსა და გერმანიის სამოქალაქო კოდექსის მიხედვით, „სამართლის ჟურნალი“, N1, 2012, 128-129.

გამო, მოვალემ უნდა აუნაზღაუროს კრედიტორს ქონების ის ღირებულება, რაც მას შეძენის მომენტში ჰქონდა.[363] მოცემულ შემთხვევაში წარმოშობილი ფულადი ვალდებულების ობიექტი არის განსაზღვრული ფულადი თანხის გადახდა.[364] ამდენად, თუ ნატურით რესტიტუცია შეუძლებელია, მაშინ დაიშვება კრედიტორისთვის ფულადი ანაზღაურების გადახდა (სსკ-ის 408-ე მუხლი). თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ ფულადი სახით ანაზღაურება ზიანის ანაზღაურების ალტერნატიული საშუალებაა. კრედიტორი, როგორც ვალდებულებითსამართლებრივი ურთიერთობის სუბიექტი, უფლებამოსილია, თვითონ განსაზღვროს, ზიანის ანაზღაურების რომელ საშუალებას გამოიყენებს. ამ შემთხვევაში კრედიტორმა გადაწყვეტილება უნდა მიიღოს როგორც ზიანის ანაზღაურების რენტაბელობის, ისე მოვალის ინტერესებისა და სამართლიანობის პრინციპის გათვალისწინებით.[365]

ამასთან, ქონების ნატურით დაბრუნების შეუძლებლობის დროს მისი ფულადი ანაზღაურების მოთხოვნის უფლება გამოიყენება იმ შემთხვევაშიც, როდესაც ქონების შემძენმა შემდეგ გაასხვისა უფრო დაბალ ფასად, ვიდრე მისი ნამდვილი ღირებულება იყო, ან როცა შემძენმა ის სხვას უსასყიდლოდ გადასცა, რადგან მან გააჩუქა და ამით თავისი ქონება დაზოგა.[366] პრეცედენტული სამართლისაგან განსხვავებით, საქართველოსა და კონტინენტური ევროპის სამართლის ქვეყნებში ნატურით რესტიტუცია პრიორიტეტული მნიშვნელობისაა, მაგრამ საქართველოს სასამართლო პრაქტიკა ცხადყოფს, რომ მოსარჩელე უსაფუძვლო გამდიდრების დროს უმეტესწილად დარღვეული სამართლებრივი წონასწორობის აღდგენას ითხოვს ფულადი ანაზღაურებით.[367]

5. ვინდიკაცია და კონდიქცია

სამართლებრივი საფუძვლის გარეშე ნივთის გადაცემა წარმოშობს ნივთის დაბრუნების მოთხოვნას, რომელიც ეხება უფლების როგორც სანივთო, ისე ვალდებულებითი სამართლით დადგენილი დაცვის საშუალებების (ვინდიკაცია და კონდიქცია) გამოყენებას. ვინდიკაცია და კონდიქცია, თავის მხრივ, სხვადასხვა ნიშნით ხასიათდება და მათ შორის მიმართების განსაზღვრა მოითხოვს ამ თავისებურებების დადგენას.

---

[363] რ. შენგელია, სსკ-ის კომენტარი, წ. IV, ტ. II, თბ., 2001, 361.

[364] ბ. ზოიძე, ფულადი ვალდებულების შესრულება, სსკ-ის კომენტარი, ტ. III, თბ., 2001, 330.

[365] ნ. მოწონელიძე, ნატურით რესტიტუციის პრინციპი საქართველოსა და გერმანიის სამოქალაქო კოდექსის მიხედვით, „სამართლის ჟურნალი", N1, 2012, 129.

[366] რ. შენგელია, სსკ-ის კომენტარი, წ. IV, ტ. II, თბ., 2001, 361.

[367] აღნიშნულთან დაკავშ. იხ. მ. გაბუნია, ნატურით რესტიტუციის შეუძლებლობა უსაფუძვლო გამდიდრების დროს, წიგნში: „ბესარიონ ზოიძის 60 წლის იუბილისადმი მიძღვნილი კრებული" (რედ. დ. გეგენავა, ს. ჯორბენაძე), თბ., 2013, 73-74.

როდესაც საქმე ეხება სავინდიკაციო სარჩელს, მასში, როგორც წესი, მოიაზრება არამფლობელი მესაკუთრის ან სხვა კანონიერი მფლობელის სარჩელი ინდივიდუალური ნიშნით განსაზღვრული და ნატურით არსებული ნივთის დაბრუნების შესახებ უკანონო მფლობელის წინააღმდეგ. სავინდიკაციო სარჩელის დაკმაყოფილებისთვის აუცილებელია სამი წინაპირობის კუმულაციური წესით არსებობა: ა) ნივთის მესაკუთრე; ბ) მფლობელი და გ) მფლობელს არ უნდა ჰქონდეს ნივთის ფლობის უფლება.[368] ნივთის განადგურების, გადამუშავების, მოხმარების ან ფაქტობრივი მფლობელის მსგავსი ნივთებიდან მისი გამოყოფის შეუძლებლობისას, ვინდიკაციის ნაცვლად გამოიყენება ვალდებულებითსამართლებრივი (დელიქტური ან კონდიქციური) სარჩელი, ვინაიდან ნივთის სუბსტანციის მოსპობა იწვევს საკუთრების შეწყვეტას და, შესაბამისად, პირს უსპობს სანივთოსამართლებრივი სარჩელის გამოყენების შესაძლებლობას. სავინდიკაციო სარჩელის შინაარსია მესაკუთრისთვის უკანონო მფლობელობიდან ნივთის დაბრუნება, ანუ მოქმედება, რომლის განხორციელებასაც ითხოვს მოსარჩელე; სარჩელის საგანია მოსარჩელის მიერ მითითებული უფლება, რომლის ძალითაც პირი ნივთს ფლობდა და რომელიც სასამართლო დაცვას ექვემდებარება.[369]

უსაფუძვლო გამდიდრებიდან წარმოშობილი ვალდებულების სუბიექტი შეიძლება იყოს, ერთი მხრივ, შემძენი ვითომ-კრედიტორის სახით და, მეორე მხრივ, დაზარალებული.[370] დაზარალებულია უფლებამოსილი პირი, რომელმაც ბათილი ვალდებულება შეასრულა, ან სხვაგვარად გადასცა მიმღებს ქონებრივი შეღავათი, ან ვისი ქონებრივი სიკეთეც ხელყვეს.[371]

ამასთან, ვინდიკაციის დროს სუბიექტები არიან არამფლობელი მესაკუთრე (ან სხვა ტიტულოვანი მფლობელი) და უკანონო მფლობელი. სავინდიკაციო სარჩელის საგანია ინდივიდუალური ნიშნით განსაზღვრული ნივთი, კონდიქციური სარჩელის შემთხვევაში კი, როგორც წესი, საქმე ეხება გვაროვნული ნივთების, მათ შორის ფულის, ასევე ქონებრივი უფლებების გამოთხოვას. თუ კონდიქციური ვალდებულების დროს არსებობს ქონება იმავე ფორმით, რა სახითაც იყო მიმღებისთვის გადაცემის მომენ-

---

[368] საქართველოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2003 წლის 27 ივნისის გადაწყვეტილება (N3კ-377-03); ლ. მიქავა, ვინდიკაციური სარჩელი, როგორც სანივთო უფლების დაცვის სამართლებრივი საშუალება, ჟურნ. „მართლმსაჯულება და კანონი", N1(28), 2011, 79.

[369] ქ. ჭოჩაშვილი, მფლობელობა და საკუთრება – ფაქტი და უფლება სამოქალაქო სამართალში, თბ., 2013, 172-174.

[370] Гражданское право: В 4 т. Том 4: Обязательственное право. 3–е издание. Под ред. Е. А. Суханова. М.. 2006, 701.

[371] იხ. ქ. ჯაფარიძე, უსაფუძვლო გამდიდრებით წარმოშობილი ზიანის ცნება, მისი ანაზღაურების წესი და საფუძვლები, ჟურნ. „მართლმსაჯულება", N2, 2008, 150.

ტში, მაშინ უფლებამოსილ პირს უბრუნდება იგივე ქონება. თუმცა, თუ ქონება იმავე სახით არ არსებობს, მაშინ უნდა დაბრუნდეს იგივე სახის ქონება, ან შეთანხმებით უნდა დადგინდეს, იგივე ღირებულების სხვა სახის ქონება გადასცეს მესაკუთრეს თუ მისი ღირებულება აანაზღაუროს.[372] ინდივიდუალური ნიშნით განსაზღვრული ნივთის დაკარგვის, განადგურების ან შემძენის მიერ მსგავსი ნივთებიდან მისი გამოცალკევების შეუძლებლობისას, როცა ნივთმა ინდივიდუალობა დაკარგა, პირს შეუძლია, ნაცვლად ვინდიკაციისა, კონდიქციის საფუძველზე მოითხოვოს მსგავსი ნივთი, ან მისი კომპენსაცია. სავინდიკაციო სარჩელის შემთხვევაში გამორიცხულია ანაზღაურება.

ცივილისტიკაში აღიარებული აზრის თანახმად, ინდივიდუალური ნივთები არ შეიძლება იყოს უსაფუძვლო გამდიდრების საგანი, ვინაიდან კონდიქციური ვალდებულების მიზანია, დაიცვას სამოქალაქო ბრუნვის იმ სუბიექტთა ინტერესები, რომელთაც ვინდიცირების შესაძლებლობა დაკარგეს. ინდივიდუალური ნიშნით განსაზღვრული ნივთის მესაკუთრის მფლობელობიდან გამოსვლისას მესაკუთრე ინარჩუნებს მასზე ტიტულს, ხოლო მფლობელი სამართლებრივი საფუძვლის გარეშე ფლობს. კონდიქცია ეფუძნება დაზარალებულის მხრიდან საკუთრების უფლების დაკარგვას და შემძენის მიერ მის შეძენას. შესაბამისად, ვინდიკაციის დროს მესაკუთრე ითხოვს ნივთს იმ პირისგან, ვისაც არ წარმოშობია ნივთზე საკუთრება, კონდიქციის შემთხვევაში კი ნივთი ვითომ-კრედიტორის საკუთრებაშია და ის აბრუნებს იმას, რაც უსაფუძვლოდ მიიღო.[373]

არაუფლებამოსილ კეთილსინდისიერ მფლობელს, რომლისგანაც მესაკუთრე ვინდიკაციით იბრუნებს საკუთარ ნივთს, შეიძლება დაეკისროს მხოლოდ იმ სარგებლის ანაზღაურება, რომელსაც ის მიიღებს სასამართლოში მის წინააღმდეგ ვინდიკაციური სარჩელის[374] წარდგენის შემდეგ, ასევე, რომელიც მიიღება ნივთის დაშვებულზე უფრო ინტენსიურად გამოყენებით. კეთილსინდისიერ მფლობელს არ ევალება სხვა რაიმე სარგებლის დაბრუნება. გამონაკლისია მხოლოდ მფლობელის მიერ უსასყიდლოდ მფლობელობის მიღება. ამ დროს ის აბრუნებს სარგებელს უსაფუძ-

---

[372] იხ. თ. ჩიტოშვილი, უსაფუძვლო გამდიდრებისას დავალებისა და მოთხოვნის უფლების დათმობის საფუძველზე შესრულების შედეგები, ჟურნ. „მართლმსაჯულება და კანონი“, N2, 2011, 82; ასევე, ქ. ქოჩაშვილი, მფლობელობა და საკუთრება – ფაქტი და უფლება სამოქალაქო სამართალში, თბ., 2013, 212.

[373] იხ. რ. შენგელია, სსკ-ის კომენტარი, წ. IV., ტ. II, თბ., 2001, 360-361; ქ. ქოჩაშვილი, მფლობელობა და საკუთრება – ფაქტი და უფლება სამოქალაქო სამართალში, თბ., 2013, 212-213.

[374] დაწვრ. მართლზომიერ მფლობელთა სამართლებრივი დაცვის არსის შესახებ იხ. ქ. ქოჩაშვილი, მფლობელობა – ფაქტი და უფლება (მფლობელობის საბჭოთა სამართლებრივი კონცეფციის კრიტიკული ანალიზი, „სამართლის ჟურნალი“, N2, 2009, 11-14.

ვლო გამდიდრების მიხედვით. თუ მესაკუთრე მიმართავს ვინდიკაციას, ნაცვლად შესრულების კონდიქციისა, უსაფუძვლო გამდიდრებულს ესპობა შესაძლებლობა, შეუპირისპიროს კონტრაჰენტის წინააღმდეგ უსაფუძვლო გამდიდრებიდან გამომდინარე საკუთარი მოთხოვნა.[375]

თუ განიხილება შემთხვევა, როდესაც პირმა შეიძლება ხარჯი გასწიოს არა მეორის, არამედ სათავისოდ, ეს გამორიცხავს შესრულების კონდიქციის ინსტიტუტის გამოყენებას. საქმე ისაა, რომ შესრულების კონდიქციის დროს უნდა არსებობდეს შეგნებულად და მიზანმიმართულად განხორციელებული მოქმედება, რაც იწვევს შესრულების მიმღების „ვითომ-კრედიტორის" მიერ ქონებრივი შეღავათის მიღებას (გამდიდრებას). თუ ეს მოქმედებები არ არის გააზრებული და მიზანმიმართული (ანუ, როდესაც ეს მოქმედებები შეგნებულად და მიზანმიმართულად არ ხორციელდება „ვითომ-კრედიტორის" მიმართ), მაშინ შესრულების კონდიქცია არ იარსებებს და, ამდენად, არ გამოიყენება მითითებული ნორმა. შესაბამისად, ამ შემთხვევაში გამოირიცხება სსკ-ის 976-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა" ქვეპუნქტის გამოყენება და, ზოგადად, ასეთი კაზუსი ვერ დაკვალიფიცირდება უსაფუძვლო გამდიდრების ნორმებით. ზუსტად ამიტომ, თუ ნორმათა შორის კონკურენცია წარმოიშვა არა შესრულების, არამედ დანახარჯის კონდიქციის მომწესრიგებელ (სსკ-ის 987-ე მუხლი) და სანივთოსამართლებრივ (სსკ-ის 164-ე მუხლი) ნორმებს შორის, ხელყოფის კონდიქციისა და სანივთოსამართლებრივი ურთიერთობის მომწესრიგებელ ნორმებს შორის კონკურენციისას საქართველოს სასამართლო პრაქტიკა სადავო ურთიერთობაზე ავრცელებს ამ უკანასკნელ ინსტიტუტს.[376]

თუმცა, ქართულ იურიდიულ ლიტერატურაში გამოთქმული მოსაზრების თანახმად, კონდიქციისა და ვინდიკაციის კონკურენციის დროს ნებისმიერ შემთხვევაში ვინდიკაციური მოთხოვნა უნდა განიხილებოდეს უპირატესი მნიშვნელობის მოთხოვნად.[377] მოყვანილ პოზიციასთან დაკავშირებით ლოგიკურია, რომ ის არადამაჯერებელია სხვადასხვა გარემოე-

---

[375] იხ. გ. რუსიაშვილი, ვინდიკაციისა და შესრულების კონდიქციის კონკურენცია არანამდვილი ორმხრივი ხელშეკრულების შედეგების უკუქცევისას, „სამართლის ჟურნალი", N1, 2013, 197-201.

[376] სასამართლო გადაწყვეტილებაში სსკ-ის 987-ე მუხლთან დაკავშირებით შემთხვევა განიხილება ხელყოფის კონდიქციად, თუმცა თვით ეს მუხლი, თავისი არსით, დანახარჯების კონდიქციაა, რომელიც სუბსიდიური ხასიათისაა. იხ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2013 წლის 5 დეკემბრის გადაწყვეტილება (№ას-472-448-2013).

[377] აღნიშნულთან დაკავშ. იხ. დ. კერესელიძე, სასამართლო პრაქტიკის მიმოხილვა - უსაფუძვლო გამდიდრების ნორმების გამოყენება, ჟურნ. „ქართული სამართლის მიმოხილვა", ტომი 6, N4, 2003, 600; ასევე იხ. ს. ჩაჩავა, მოთხოვნების და მოთხოვნის საფუძვლების კონკურენცია, თბ., 2010, 163-164.

ბის გამო. დასაწყისში შეიძლება ითქვას, რომ ქართული სამართლისთვის, სავარაუდოდ, არაა მართებული პოზიცია, რომლის თანახმად, ვინდიკაციური და მისგან წარმოშობილი დამატებითი მოთხოვნები კონკურენციისას გამორიცხავენ კონდიქციურ და შესაბამის დამატებით მოთხოვნებს: უპირველეს ყოვლისა, თუ აღნიშნულს დავუშვებდით მაშინ, როდესაც ნივთი ნატურის ფორმით ჯერ კიდევ არსებობს გამდიდრებულის ქონებაში, ეს გამოიწვევდა შესრულების კონდიქციის მნიშვნელობის ნიველირებას. აღნიშნული კი არ უნდა შეესაბამებოდეს ქართველი კანონმდებლის ნებას, ვინაიდან სსკ-ით, ვინდიკაციურ მოთხოვნასთან შედარებით, გაცილებით დეტალურად მოწესრიგდა შესრულების კონდიქციის მოთხოვნის ფარგლები და დამატებითი მოთხოვნები; მეორე, ვინდიკაციური მოთხოვნა ვრცელდება არა მხოლოდ შესრულების შედეგად უსაფუძვლოდ გამდიდრებულზე, არამედ ყველა არაუფლებამოსილ მფლობელზე, რის გამოც ის გვევლინება მესაკუთრის ყველაზე ზოგად მოთხოვნად, რითაც გამოკვეთილია მისი უნივერსალური ხასიათი. რაც შეეხება შესრულების კონდიქციას, ის გამოიყენება მხოლოდ გარკვეულ შემთხვევებში; ამით ხაზგასმულია მისი სპეციალური ხასიათი და კონკურენციისას სწორედ შესრულების კონდიქციის გამოყენების აუცილებლობა. ამასთან, აღნიშნული არ გულისხმობს, რომ შესრულების კონდიქციის გზით გადაცემულის დაბრუნების შესაძლებლობა თავისთავად უკავშირდება მხარეებს შორის შესრულების არსებობას. შესაბამისად, მოცემული ასპექტი ამ ურთიერთობას განასხვავებს ყველა იმ შემთხვევისგან, რომელიც ვინდიკაციის გამოყენების ფარგლებში განიხილება. საქმე ისაა, რომ დაუშვებელია იმ მესაკუთრის, რომელმაც თვითონ გადასცა ნივთი მიმღებს, გაიგივება მესაკუთრესთან, რომელსაც ეს ნივთი მოპარეს.[378]

სსკ-ის 979-ე მუხლით დადგენილია, რომ ორმხრივი ხელშეკრულების მხარეებმა მისი ბათილობის გამო უკან უნდა დააბრუნონ ის, რაც მათ ამ ხელშეკრულებით მიიღეს. თუ შესრულების კონდიქცია ხელშეკრულების გაგრძელებაა და ემსახურება სახელშეკრულებო ურთიერთობის ფარგლებში მხარეთა ინტერესებისა თუ მოლოდინების გადატანას კონდიქციურ ვალდებულებებზე, მითვისებულის კონდიქციას საერთოდ არა აქვს კავშირი ხელშეკრულებასთან. სსკ-ის 163-ე მუხლით არაუფლებამოსილი კეთილსინდისიერი მფლობელი არაა ვალდებული, დააბრუნოს ნივთიდან მიღებული სარგებელი. რაც შეეხება სსკ-ის 979–ე მუხლის 1-ლ ნაწილს, ის განსხვავებულ წესს შეიცავს და მიმართულია იქით-კენ, რომ კონდიქციის დროს, მიუხედავად კეთილსინდიერებისა თუ

[378] იხ. გ. რუსიაშვილი, ვინდიკაციისა და შესრულების კონდიქციის კონკურენცია არაუფლებამოსილი ორმხრივი ხელშეკრულების შედეგების უკუქცევისას, „სამართლის ჟურნალი", N1, 2013, 204-205.

არაკეთილსინდისიერებისა, გამდიდრებულმა დააბრუნოს ნივთი სარგებლითურთ. აქ გადმოცემულია სინალაგმატური ხასიათი. ვინდიკაციის შემთხვევაში მნიშვნელოვანია მესაკუთრისთვის ნივთის დაბრუნება; ვინდიკაცია ემსახურება ცალმხრივად მესაკუთრისათვის ნივთის დაბრუნებას და არა მდგომარეობის ორმხრივ გამოსწორება-აღდგენას, რომელიც მხარეებს შორის ბათილი გარიგების დადებამდე იარსებებდა. ამასთან, არაუფლებამოსილ კეთილსინდისიერ მფლობელს ვინდიკაციის დროს შეუძლია ნივთის დაბრუნების დაყოვნება მანამ, ვიდრე ვინდიკაციით შეიძლება მისი ცალმხრივად გამოთხოვა.[379]

[379] იხ. გ. რუსიაშვილი, ვინდიკაციისა და შესრულების კონდიქციის კონკურენცია არაბრალეული ორმხრივი ხელშეკრულების შედეგების უკუქცევისას, „სამართლის ჟურნალი", NI, 217-221.

V თავი. დელიქტური ვალდებულებები

§ 11. დელიქტური ვალდებულების ზოგადი საფუძვლები

1. ზოგადი დახასიათება

კანონისმიერ ვალდებულებათა (მეორე კარი) ფარგლებს გარეთაა წარმოდგენილი დელიქტური ვალდებულებები, რომლებსაც ვალდებულებითი სამართლის კერძო ნაწილის მესამე კარი ეძღვნება. შესაბამისად, კანონმდებელმა დელიქტურ ვალდებულებებს, მსგავსად კანონისმიერი ვალდებულებებისა, დამოუკიდებელი სტატუსი მიანიჭა და, თავისი მნიშვნელობის გათვალისწინებით, ისინი ცალკე კარში განათავსა. დელიქტურ ვალდებულებებს არასახელშეკრულებო საფუძვლის გამო უფრო მეტი საერთო სწორედ კანონისმიერ ვალდებულებებთან აქვს. ამაევზე მიუთითებს სსკ-ის 317-ე მუხლის 1-ლი ნაწილი, რომლის თანახმად, ვალდებულების წარმოშობისათვის აუცილებელია მონაწილეთა შორის ხელშეკრულება, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა ვალდებულება წარმოიშობა ზიანის მიყენების (დელიქტის), უსაფუძვლო გამდიდრების ან კანონით გათვალისწინებული სხვა საფუძვლებიდან. მოცემული დათქმის მიხედვით, კანონმდებელმა აღიარა, რომ დელიქტური ვალდებულება არასახელშეკრულებო ხასიათისაა. ამდენად, უპრიანია, დელიქტური ვალდებულებებიც განიხილებოდეს არასახელშეკრულებო ვალდებულებათა წრეში.

დელიქტური ვალდებულება წარმოიშობა სამართალდარღვევის (დელიქტის) საფუძველზე. ვალდებულების დარღვევა განიხილება სამოქალაქო-სამართლებრივი პასუხისმგებლობის, როგორც იურიდიული პასუხისმგებლობის ერთ-ერთი სახის, დადგომის საფუძვლად. ზოგადად, იურიდიული პასუხისმგებლობა შეიძლება გამოვლინდეს სამართალდამრღვევის მიმართ განსაზღვრული უარყოფითი შედეგების დადგომაში, რაც ქონებრივი ან პირადი უფლებების შეზღუდვას ეხება.[380] სამოქალაქოსამართლებრივი პასუხისმგებლობის გამოვლენის ფორმათაგან ზიანის ანაზღაურება უნივერსალური ხასიათისაა და გამოიყენება სამოქალაქო უფლებათა დარღვევის ყველა შემთხვევაში, მაშინ როცა კონკრეტული სამართალდარღვევის დროს უშუალოდ კანონით ან ხელშეკრულებით არის გათვალისწინებული სხვა ფორმების გამოყენება.[381] ამასთან, სამართალდამრღვევის სამოქალაქოსამართლებრივი პასუხისმგებლობა შეიძლება უკავშირდებოდეს დაზარალებულის

---

[380] აღნიშნულთან დაკავშ. იხ. ბ. ზოიძე, ქონებრივი პასუხისმგებლობა ვალდებულებათა დარღვევისთვის, თბ., 1989, 11.

[381] ქ. ქორაშვილი, ბრალი, როგორც სამოქალაქო-სამართლებრივი პასუხისმგებლობის პირობა, „სამართლის ჟურნალი", N1, 2009, 81.

წინაშე არა პიროვნული თავისუფლების ბოჭვას, არამედ მოვალის ქონების შემცირებას.[382]

ამ გაგებით, ცივილისტიკაში, უპირველეს ყოვლისა, მნიშვნელოვანია ზიანის არსის დადგენა. ზიანი არის ფიზიკური და იურიდიული პირის უფლების ან კეთილდღეობის დამცირება-განადგურება, რომელიც წარმოიშობა როგორც ერთ-ერთი მხარის მიერ ვალდებულების შეუსრულებლობით ან არაჯეროვანი შესრულებით, ისე მაშინ, როდესაც მხარეები ზიანის მიყენებამდე არ იმყოფებოდნენ ვალდებულებითსამართლებრივ ურთიერთობებში. შესაბამისად, წარმოშობის საფუძვლისა და სუბიექტის სხვადასხვა სამართლებრივი მდგომარეობის მიხედვით, შეიძლება იყოს სახელშეკრულებო და არასახელშეკრულებო ზიანი. სახელშეკრულებო ზიანი წარმოიშობა სახელშეკრულებო ვალდებულების, კანონის ან ადმინისტრაციული აქტის შეუსრულებლობის შედეგად, ამიტომ პასუხისმგებლობაც განისაზღვრება ხელშეკრულების პირობებით ან იმ კანონით, რომელიც მოცემულ სამართლებრივ ურთიერთობებს არეგულირებს. რაც შეეხება არასახელშეკრულებო ზიანს, მასში მოიაზრება ზიანი, რომელიც წარმოიშობა ისეთი დარღვევის შედეგად, როდესაც მხარეები არ იმყოფებოდნენ ვალდებულებით ურთიერთობაში, ანუ სამართალდარღვევის (დელიქტი) საფუძველზე. შესაბამისად, ამ ვალდებულებას უწოდებენ დელიქტურ ვალდებულებას, ხშირად კი მოიხსენიებენ „სამართალდარღვევიდან ან კიდევ უნებართვო ქმედებიდან წარმოშობილ ვალდებულებად.“[383] თუმცა არასახელშეკრულებო ვალდებულება ფართო ხასიათისაა და მასში შედის როგორც დელიქტური ვალდებულებები, ისე საზიარო უფლებები, დავალების გარეშე სხვისი საქმეების შესრულება და უსაფუძვლო გამდიდრება. ამიტომ არასახელშეკრულებო ვალდებულება არ უნდა იყოს ვიწროდ გაგებული.[384] ამ ურთიერთობის სუბიექტები არიან დაზარალებული და ზიანის მიმყენებელი. დაზარალებული შეიძლება იყოს კრედიტორი, რომელსაც მოთხოვნის უფლება აქვს, ხოლო ზიანის მიმყენებელი – მოვალე, რომელიც ვალდებული პირია. კრედიტორი შეიძლება იყოს ნებისმიერი ფიზიკური და იურიდიული პირი, მოვალე კი მხოლოდ ის დელიქტუნარიანი პირია, რომელიც პასუხს აგებს მიყენებული ზიანისთვის. ზიანის მიყენება, თავის მხრივ, ვალდებულების წარმოშობის საფუძველია, რომლის ძალითაც, დაზარალე-

---

[382] აღნიშნულთან დაკავშირებით იხ. ზ. ძლიერიშვილი, მომეტებული საფრთხის წყაროთი მიყენებული ზიანის ანაზღაურება სსკ-ის 999-ე მუხლის მაგალითზე, ჟურნ. „ადვოკატი“, N2, 2013, 31-32.

[383] იხ. Н. С. Малеин. Возмещение вреда, причиненного личности, М., 1965, 5-8.

[384] იხ. დ. სუხიტაშვილი, თ. სუხიტაშვილი, სამოქალაქო პასუხისმგებლობის კატეგორიები და პრინციპები, გურამ თავართქილაძის სასწავლო უნივერსიტეტის სამეცნიერო შრომათა კრებული, N4, 2014, 25.

ბულს უფლება აქვს, მოითხოვოს ზიანის ანაზღაურება ზიანის მიმყენებლისგან.[385]

ამდენად, სპეციფიკურია დელიქტური ვალდებულების თავისებურებები: ა) ეს ურთიერთობა იმით განსხვავდება სახელშეკრულებო ურთიერთობისაგან, რომ არასახელშეკრულებო ურთიერთობოს დროს ზიანი მიყენებულია ისეთი დარღვევის შედეგად, როდესაც მხარეთა შორის არ არსებობდა ვალდებულებითსამართლებრივი ურთიერთობები. ვალდებულებათა მოქმედების სფერო ვრცელდება ქონებრივ და პირად არაქონებრივ ურთიერთობებზე, ხოლო ეს ვალდებულებები წარმოიშობა აბსოლუტური (როგორც ქონებრივი, ისე არაქონებრივი) უფლებების შელახვის შედეგად. სწორედ ამიტომ დელიქტური ვალდებულება ატარებს არასახელშეკრულებო ხასიათს;[386] ბ) ამ ვალდებულების წარმოშობის საფუძველი არის კანონი. ამდენად, აბსოლუტური უფლების ხელყოფის შემთხვევები (დელიქტური ვალდებულებები) განიხილება კანონისმიერ ვალდებულებებად.[387] საქმე ეხება აბსოლუტურ ურთიერთობას, რომელშიც მხოლოდ ერთი მხარეა (უფლებამოსილი სუბიექტი) განსაზღვრული. სამოქალაქოსამართლებრივი გაგებით, ზიანის მიყენებიდან წარმოშობილი ურთიერთობა არის დაცვითი ვალდებულება.[388] ის უზრუნველყოფილია ამკრძალავი ნორმებით, რომლებშიც დადგენილია წესი, არ მიაყენო ზიანი უფლების მატარებელთა ქონებრივ სფეროს (ქონებრივი ზიანი);[389] გ) აქ დელიქტის ზოგადი დებულებების ნაცვლად დასმულია კლაუზულა, რომელიც ზოგადად აბსოლუტურ უფლებათა შელახვას აქცევს დელიქტურ-სამართლებრივი ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის საფუძვლად.[390] სწორედ აბსოლუტური უფლებების დარღვევაზე რეაგირებად მოიაზრება სანქცია

---

[385] შ. ჩიკვაშვილი, დელიქტური ვალდებულებები, სსკ-ის კომენტარი, წ. IV, ტ. II, თბ., 2001, 379-380.

[386] დაწვრ. იხ. შ. ჩიკვაშვილი, დელიქტური ვალდებულებები სამოქალაქო სამართალში, კრებულში: „სახელმწიფოსა და სამართლის აქტუალური პრობლემები", საიუბილეო კრებული, მიძღვნილი თსუ-ის იურიდიული ფაკულტეტის 80 წლისთავისადმი, თბ., 2003, 181-183.

[387] იხ. J. Joussen, Schuldrecht I, Allgemeiner Teil, Stuttgart, W. Kohlhammer GmbH Stuttgart, 2008, 17, 50; ასევე, იხ. E. Schmidt, Das Schuldverhältnis, Eine systematische Darstellung des Allgemeinen Schuldrechts, Heidelberg, 2004, 23-24.

[388] იხ. Ж. В. Маркушевская. Деликтная ответственность и деликтные обязательства. В кн: «Управление в социальных и экономических системах». XVII Международная научно-практическая конференция «Управление в социальных и экономических системах» Секция 3-1. Актуальные проблемы в сфере международного, конституционного и гражданского права. Минск, 2008, 336.

[389] Е. В. Рузанова. Понятие обязательства вследствие причинения вреда. Вестник СамГУ. №5.2 (45), 2006, 112.

[390] ჯ. კრინგი, „უფლების" ცნების ისტორიისთვის, წინასიტყვაობა დაურთო პროფ. თ. ნინიძემ, „სამართლის ჟურნალი", N1, 2011, 242-243.

,რასახელშეკრულებო ურთიერთობებში, რომლებიც ემსახურება დარღვეული ურთიერთობის აღდგენას, პასუხისმგებლობის მასტიმულირებელი ფუნქციის განხორციელებას.[391] მოცემული ვალდებულება დაზარალებულისთვის ზიანის სრულ ანაზღაურებას ისახავს მიზნად იმდენად, რამდენადაც ეს არის შესაძლებელი. რაც შეეხება ზიანის ანაზღაურებაზე პასუხისმგებელ სუბიექტებს, კანონით დადგენილ შემთხვევებში ზიანის ანაზღაურება შეიძლება დაეკისროს არა მარტო ზიანის მიმყენებელს, არამედ სხვა პირებსაც.[392]

ზოგადად, სსკ-ის 992-ე მუხლით დადგენილი ზიანის მიყენების გამო პირისთვის სამოქალაქო პასუხისმგებლობის დასაკისრებლად აუცილებელია ზიანის, ქმედების მართლწინააღმდეგობის, ამ ქმედებასა და ზიანს შორის მიზეზობრივი კავშირის, ასევე, ბრალის კუმულაციურად არსებობა.[393] მოცემულ პირობათა ერთობლიობა ქმნის იურიდიულ შემადგენლობას „გენერალური დელიქტის" სახით.[394]

2. ზოგადად აბსოლუტური ურთიერთობის (უფლების) შესახებ

აბსოლუტური უფლების თავისებურება ისაა, რომ მას უპირისპირდება არა თუ კონკრეტული პირის, არამედ ყველა მესამე პირის მოვალეობა მოქმედების განხორციელებისგან თავის შეკავების შესახებ.[395] ე. ი. აბსოლუტურია უფლებები, „რომლებიც შეიძლება შეილახოს ნებისმიერი პირის მიერ და ამიტომ დაცულია ნებისმიერი პირისგან.[396] აბსოლუტურ უფლე-

---

[391] იხ. ბ. ზოიძე, ქონებრივი პასუხისმგებლობა ვალდებულებათა დარღვევისთვის, თბ., 1989, 38-39.

[392] იხ. შ. ჩიკვაშვილი, დელიქტური ვალდებულებები სამოქალაქო სამართალში, თსუ-ის იურიდიული ფაკულტეტის 80 წლისთავისადმი მიძღვნილ საიუბილეო კრებულში, „სახელმწიფოსა და სამართლის აქტუალური პრობლემები", თბ., 2003, 183.

[393] იხ. კ. იოჩკოჯი, ზიანის მიყენებით წარმოშობილი ვალდებულებანი (თარგმა გ. დოლიძემ), თბ., 1947, 7; ასევე იხ. R. Schmidt, Das Schuldrecht Besonderer Teil II - Gesetzliche Schuldverhältnis, 1. Auflage, Grasberg bei Bremen, 2003, 190, 193; R. Schmidt, Schuldrecht Besonderer Teil II - Gesetzliche Schuldverhältnis, 4. Auflage, Grasberg bei Bremen, 2006, 203.

[394] იხ. შ. ჩიკვაშვილი, დელიქტური ვალდებულებები სამოქალაქო სამართალში, თსუ-ის იურიდიული ფაკულტეტის 80 წლისთავისადმი მიძღვნილ საიუბილეო კრებულში, „სახელმწიფოსა და სამართლის აქტუალური პრობლემები", თბ., 2003, 184.

[395] აბსოლუტურ უფლებაზე იხ. О. Иоффе. Советское гражданское право. общая часть. право собственности. общее учение об обязательствах, Л., Изд. Ленинградского Ун-та, 1958, 75.

[396] იხ. С. Братусь, О. Иоффе, Гражданское право, М., «Знание», 1967, 41; ასევე იხ. ა. კობახიძე, სამოქალაქო სამართალი, ზოგადი ნაწილი, I, თბ., 2001, 100.

ბას შეესაბამება ყველა პირის მხოლოდ ზოგადი მოვალეობა, არ ჩაერიოს უფლებამოსილი პირის „სამფლობელოში“.[397]

რამდენადაც ცნობილია, სამოქალაქოსამართლებრივი ურთიერთობა, თავისი არსით, არის რეგულაციური სამოქალაქო უფლებების უზრუნველყოფის საშუალება.[398] სამოქალაქოსამართლებრივი ურთიერთობა, როგორც უფლებისა და მოვალეობის იურიდიული კავშირი, რეგულაციური ხასიათისაა. ამას ადასტურებს სსკ-ის მე-9 მუხლიც, რომლითაც აღიარებულია სამოქალაქო კანონების ძირითადი მიზანი, უზრუნველყოს „საქართველოს ტერიტორიაზე სამოქალაქო ბრუნვის თავისუფლება, თუ ამ თავისუფლების განხორციელება არ ხელყოფს მესამე პირთა უფლებებს“. თუმცა გამონაკლის შემთხვევებში სამოქალაქოსამართლებრივი ურთიერთობა ხელყოფის შემდეგაც არსებობს. „დაცვითი მატერიალური სამართლებრივი ურთიერთობა წარმოიშობა მატერიალური რეგულაციური უფლებების დარღვევის მომენტში. უფლებამოსილ სუბიექტს უფლება აქვს ცალკეულ შემთხვევაში მიმართოს უფლების დაცვის დამოუკიდებელ საშუალებებს (პრეტენზია წარუდგინოს, შეასრულოს სამუშაო მოვალის სასარგებლოდ და ა. შ.). პირს, რომელიც დაარღვევს უფლებას, შეუძლია ნებაყოფლობით აიღოს პასუხისმგებლობა (აანაზღაუროს ზიანი, გადაიხადოს ჯარიმა და ა. შ.).“[399]

რეგულაციურ სამართლებრივ ურთიერთობაში უფლება განიხილება მოთხოვნის უფლებად, ანუ უფლებად სხვის მოქმედებაზე, რომელიც შეიძლება განხორციელდეს მხოლოდ მოვალის მოქმედებით.[400] რეგულაციურ სამართლებრივ ურთიერთობაში რეგულაციურ უფლებას შეესაბამება რეგულაციური მოვალეობა, დაცვით უფლებას დაცვით სამართლებრივ ურთიერთობაში შეესატყვისება (მესამე პირების ზოგადი) დაცვითი მოვალეობა. ამასთან, რეგულაციური უფლების დარღვევით ხდება მისი „პარალიზება“ და ის ახალ დაცვით სამართლებრივ ურთიერთობას უთმობს ადგილს. ამიტომაცაა, რომ დაცვითი უფლება ჩაენაცვლება რეგულაციურ მოვალე-

---

[397] იხ. Л. Эннекцерус, Т. Кипп, М. Вольф, Курс германского гражданского права, т. 1, введение и общая часть, Перевод с 13-го немецкого издания К. Граве, Г. Полинской и В. Альтшулера, под редакцией, с предисловием и вводными замечаниями Д. Генкина и И. Новицкого, М., Изд. Иностранной Лит-ры, 1949, 274: აბსოლუტურ უფლებათა არსის შესახებ, ასევე, იხ. A. Peukert, Güterzuordnung als Rechtsprinzip, Jus Privatum, Band 138, Mohr Siebeck Tübingen, 2008, 52-54.

[398] დაწვრ. იხ. Е. Крашенинников, Охраняемый законом интерес и средства его защиты, в материалы научной конференции: «Вопросы теории охранительных правоотношений», Ярославь, 1991, 14-18.

[399] А. Вершинин, Охранительние материально-правовые отношения и право на судебную защиту, в материалы научной конференции: «Вопросы теории охранительных правоотношений», Ярославь, 1991, 36.

[400] Е.А. Мотовиловкер, Основное разделение охранительных правоотношений, Материалы научной конференции: «Вопросы теории охранительных правоотношений», Ярославь, 1991, 26.

ობას ახალ ურთიერთობაში.[401] „ერთი და იგივე საზოგადოებრივი ურთიერთობა არ შეიძლება მოწესრიგდეს სამართლის რამდენიმე დარგით. იქ, სადაც მოქმედებს სამართლის სხვადასხვა დარგის ნორმები, წარმოიშობა არა ერთი კომპლექსური საზოგადოებრივი ურთიერთობა, არამედ სხვადასხვაგვარ საზოგადოებრივ ურთიერთობათა მთელი კომპლექსი."[402] პირადი არაქონებრივი ურთიერთობები, როგორც აბსოლუტური სამართლებრივი ურთიერთობები, რეგულირდება მხოლოდ სამოქალაქო სამართლის ნორმებით.[403] სამოქალაქო სამართალი, ძირითადად, აწესრიგებს ქონებრივ ურთიერთობებს, ასევე პირად არაქონებრივ ურთიერთობებს, რომლებიც დაკავშირებულია ქონებრივთან. ამასთან, გარკვეული პირადი არაქონებრივი ურთიერთობები, რომლებიც არაა ქონებრივთან დაკავშირებული, დაცულია სამოქალაქოსამართლებრივი ნორმებით.[404] რაც შეეხება იურიდიულ დაცვას, მასში მოიაზრება უკვე მომხდარი ან მომავალში შესაძლო სამართალდარღვევების თავიდან აცილება (პრევენცია) და აღკვეთა.[405]

3. აბსოლუტური ურთიერთობის ობიექტი

სამართლის ობიექტი ფართო ხასიათისაა და მოიცავს ყველაფერს, რასაც სამართალი აღიარებს ობიექტად. სამოქალაქოსამართლებრივი ურთიერთობის ობიექტი შეიძლება იყოს საგანი, რომელსაც კანონმდებელი მოიხსენიებს ტერმინით „ნივთი" და ამით გამოკვეთს მის სხეულებრივ მდგომარეობას.[406] ამასთან, ფიზიკური გაგებით, ადამიანის სხეული მატერიაა, თუმცა, ის ნივთი არაა, რადგან არ შეიძლება სამოქალაქო ბრუნვის

---

[401] დაცული და დასაცავი ურთიერთობების ურთიერთგანპირობებულობისა და არსის შესახებ იხ. Е. Мотовиловкер, Теория регулятивного и охранительного права. Воронеж, Изд. Воронежского ун-та, Воронеж, 1990, 54-56; Е. Крашенинников, Учение Муромцева о защищаемих и защищающих отношениях, в материалы научной конференции: «Вопросы теории охранительных правоотношений». Ярославь, 1991, 39-45.

[402] Н. Егоров, Личные неимущественные права граждан и организации как институт советского гражданского права, в журнале «Правоведение», №6, Изд. Ленинградского Университета, Л., 1984, 32.

[403] იქვე, 33.

[404] იხ. М. Малеина, Личные неимущественные права граждан: понятие, осуществление, зашита, 2-е издание, исправленное и дополненное, М., «МЗ_ПРЕС», 2001, 24; პირადი ურთიერთობის არსის გარკვეული ასპექტების შესახებ იხ. დ. კერესელიძე, სამოქალაქო კოდექსის ზოგადი დებულებები, ჟურნ. „ქართული სამართლის მიმოხილვა", ტომი 7, N1, 2004, 8.

[405] იხ. О. Иоффе, Личные неимущественные права и их место в системе советского гражданского права, «Советское государство и право», №7, 1966, 53.

[406] იხ. H. Wieling, Sachenrecht, Bd. I, Sachen, Besitz und Rechte an beweglichen Sachen, 2. Aufl., Berlin Heidelberg, 2006, 54-55.

ობიექტი იყოს, ნივთები კი ბრუნვაუნარიანი ობიექტებია.[407] შესაბამისად, საგნები ადამიანთა ბატონობას დაქვემდებარებული მატერიალური ობიექტებია. თუმცა ხშირად სამოქალაქო სამართალი იცავს პირად სიკეთეებს, რომლებიც პირადი არაქონებრივი უფლებების ობიექტებია, თუ სხვა რამ არ გამომდინარეობს მათი არსიდან. ამდენად, ივარაუდება, რომ ამ სახის აბსოლუტური უფლებები სამართლებრივი ურთიერთობის გარეთ არსებობს და სამართალი მათ კი არ არეგულირებს, არამედ მათი დარღვევის შემთხვევაში უზრუნველყოფს დაცვით.[408] იურიდიული ფაქტის შედეგად აბსოლუტური უფლება, რომელიც სამართლებრივი ურთიერთობის გარეთ არსებობს, შეიძენს რა სამართლებრივ „სამოსს", სუბიექტი საგანზე ან რეალური სფეროს სხვა გამოვლინებაზე სამართლებრივი ძალაუფლების გავრცელებით ამ საგანს აქცევს სამართლებრივად.

ამდენად, სიკეთე, რომელიც ბრუნვაუნარიანია, განიხილება სამოქალაქო (რეგულაციური) ურთიერთობის ობიექტად. რაც შეეხება სიკეთეს, რომელიც, თავისი სამართლებრივი ბუნების გამო, სამოქალაქო ბრუნვაში ვერ მოექცევა და გადაუცემადია, (მაგალითად, ღირსება) უნდა ჩაითვალოს დაცვითი სამოქალაქოსამართლებრივი ურთიერთობის (ჩვეულებრივ) ობიექტად.[409] შესაბამისად, „სიკეთე" ფართო მნიშვნელობისაა და მასში მოიაზრება ნივთები, ასევე, არამატერიალური სიკეთეები, ხოლო ბრუნვაუუნარობა არ უნდა აფერხებდეს ამ სიკეთეების სამართლებრივი ურთიერთობის ობიექტებად აღიარებას. დელიქტური ვალდებულების დროს ზიანი შეიძლება მიადგეს აბსოლუტურ უფლებებს. მოცემულ შემთხვევაში ზიანი ადგება პიროვნებასა თუ ქონებას,[410] კერძოდ, ერთი მხრივ, პიროვნების სიცოცხლესა და ჯანმრთელობას ან ქონებას, მეორე მხრივ, პირად უფლებებს.

3.1. სიცოცხლე, სხეული და ჯანმრთელობა

ადამიანი სულისა და სხეულის ჰარმონიული ერთობაა. შესაბამისად, პიროვნული ინტერესების უზრუნველსაყოფად ორივე (სხეულებრივი და

[407] იხ. ბ. ზოიძე, ქართული სანივთო სამართალი, მე-2 გადამუშ. და სრულყ. გამოც., თბ., 2003, 26; აბსოლუტური უფლების შესახებ იხ. E. Bucher, Das subjektive Recht als Normsetzungsbefugnis, Tübingen (Mohr/Siebeck, Nr. 3, 1965, 145, <http://www.eugenbucher.ch/pdf_files/03.pdf> [07.05.10]

[408] იხ. <http://dissertations.ub.rug.nl/FILES/faculties/jur/2002/j.e.wichers/wichers.PDF> [07.05.10]; მსგავსი შეხედულებების შესახებ იხ. Лапач В., Система объектов гражданских прав: теория и судебная практика, Санкт_Петербург, «Юридический центр Пресс», 2002, 106, 115.

[409] დაწვრ. იხ. მ. ბიჭია, პირადი ცხოვრების დაცვა საქართველოს სამოქალაქო სამართლის მიხედვით, თბ., 2012, 113-121; მ. ბიჭია, სამოქალაქოსამართლებრივი ურთიერთობის ობიექტი, „სამართლის ჟურნალი", N1, 2012, 48-54.

[410] ამ სამართლებრივი სიკეთეების ხელყოფის შესახებ იხ. Н. С. Малеин, Возмешение вреда, причиненного личности, М., 1965, 11.

არამატერიალური) სფერო საჭიროებს დაცვას. ჯანმრთელობის ხელყოფისთვის პასუხი უნდა აგოს იმ პირმა, რომლის მოქმედება მიმართულია როგორც სულის, ისე სხეულის ხელყოფისკენ, რასაც მოჰყვება ფსიქოლოგიური ტრავმა, ნერვოზი და სხვა უარყოფითი შედეგი.[411]

სიცოცხლე, სხეული და ჯანმრთელობა უძირითადესი სამართლებრივი სიკეთეებია. სიცოცხლის, სხეულისა და ჯანმრთელობის ხელყოფა შეიძლება იყოს კანონდარღვევა, თუ კანონით დადგენილი წესით არ დაიშვება სხვისი სიცოცხლის, სხეულისა და ჯანმრთელობის შელახვა.[412] შესაბამისად, სსკ-ის 992-ე მუხლის მიხედვით, ამ სიკეთეების მართლსაწინააღმდეგო და ბრალეული ხელყოფა წარმოშობს ზიანის ანაზღაურების მოთხოვნებს.[413]

სსკ-ის 992-ე მუხლით სიცოცხლის დაცვა მნიშვნელოვანია, ვინაიდან სსკ-ის 1006-ე მუხლიდან გამომდინარე მოთხოვნები მოიაზრებს სსკ-ის 992-ე მუხლის წინაპირობების არსებობასაც. ფაქტობრივად, სხვისი განზრახ მკვლელობა ან გაუფრთხილებლობით სიცოცხლის ხელყოფა[414] შესაძლებელია სისხლისსამართლებრივად დასჯადიც იყოს (მაგალითად, სხვისი განზრახ მკვლელობა). ამდენად, თუ გამოიკვეთა, რომ ზიანი დანაშაულის ნიშნებსაც შეიცავს, მაშინ შეიძლება სანქციათა კუმულაციური გამოყენება, რაც გულისხმობს სამართალდამრღვევისთვის როგორც სამოქალაქოსამართლებრივი, ისე სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის დაკისრებას. სხეულის დაზიანება არის ჯანმრთელობისთვის ზიანის მიყენება, მაგრამ არსებობს ჯანმრთელობის ისეთი ხელყოფაც, რომელიც არაა სხეულის დაზიანება, მათ შორის სულიერი (ფსიქიკური) ზიანი, რომელიც ავადმყოფობას ეფუძნება და სამედიცინო დახმარებას საჭიროებს; ამ განსხვავებას პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს, ვინაიდან ჯანმრთელობის ხელყოფიდან გამომდინარე ზიანის ანაზღაურების მოთხოვნა წარმოიშობა სხეულის დაზიანების შედეგად. სსკ-ის მე-11 მუხლის 1-ლი ნაწილის 1-ლი წინადადების მიხედვით, სიცოცხლე იწყება დაბადების დასრულების მომენტიდან. შესაბამისად, სსკ-ის მე-11 მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, ემბრიონის სიცოცხლე და ჯანმრთელობა, თუ ის დედის საშვილოსნოშია[415], შეიძლება შეილახ-

---

[411] იხ. K. Schnellhammer, Schuldrecht nach Anspruchsgrundlagen, samt BGB Allgemeiner Teil, 9. Auflage, Heidelberg, München, Landsberg, Frechen, Hamburg, 2014, 706.

[412] სამართლებრივად აღიარებული მოცემული სპეციალური პიროვნული უფლებების შესახებ იხ. S. Werthwein, Das Persönlichkeitsrecht im Privatrecht der VR China, Berlin, 2009, 65-68. 165.

[413] იხ. H. Kötz, G. Wagner, Deliktsrecht, München, 2013, 146.

[414] იხ. M. Fuchs, W. Pauker, Delikts- und Schadenersatzrecht, 8. Auflage, Heidelberg, 2012, 12.

[415] მართალია, უშუალოდ მუცლადყოფნისას მიყენებული ზიანის ანაზღაურებაზე ქართულ სამართალში არაფერია ნათქვამი, მაგრამ ჩანასახისთვის ზიანის მიყენების შემთხვევაშიც უნდა იყოს გამოყენებული სსკ-ის 992-ე მუხლი, განურცობითი განმარტების მიხედვით. ი. გელაშვილი, ჩანასახის სამართლებრივი მდგომარეობა, თბ., 2012, 38.

ოს, როგორც დაცული სიკეთე მაგალითად, აიდი ინფექციის გზით. თუ მოქმედებას მოჰყვება ადამიანის სიცოცხლის, ჯანმრთელობისა და სხეულის ხელყოფა (ე. წ. მიზეზობრივი დანაშაულის მოძღვრება), ეს უკანასკნელი განსაზღვრავს ამ მოქმედების მართლწინააღმდეგობას. ამასთან, სამედიცინო მკურნალობამ (მაგალითად, ოპერაციამ ან სხვა ანალოგიურმა ჩარევამ) შეიძლება ზიანი მიაყენოს სხეულსა და ჯანმრთელობას, რამდენადაც ილახება სხეულებრივი ხელშეუხებლობა. მაგალითად, ბრმა ნაწლავის ოპერაციას შეიძლება, ასევე, ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესება მოჰყვეს; თუმცა ექიმის მიერ გამოწერილი წამლების მიღებამ თუ გამოიწვია გულისრევა, აღნიშნულითაც შეიძლება ჯანმრთელობას ზიანი მიადგეს. ამ შემთხვევებში გასათვალისწინებელია, რომ ექიმის მოქმედებამ, რომელიც სხვადასხვა სამედიცინო მოქმედების ჩატარების საფუძველზე ხორციელდება, უნდა მიაღწიოს კიდეც შედეგს, თუმცა ექიმს უფლება აქვს პაციენტთა ჯანმრთელობას ან სხეულს მხოლოდ მაშინ მიაყენოს ზიანი, თუ აღნიშნულზე პაციენტმა თანხმობა გამოხატა. შესაბამისად, მისი თანხმობის გარეშე ადამიანის სხეულის ან ჯანმრთელობის ნებისმიერი საექიმო ჩარევა, ძირითადად, მართლსაწინააღმდეგოა.[416]

საგულისხმოა, რომ ცოცხალი დონორისაგან ორგანოს აღება სხვა ადამიანისათვის გადასანერგად დასაშვებია მხოლოდ სიცოცხლის შენარჩუნების, მძიმე ავადმყოფობისაგან განკურნების, დაავადების პროგრესირების შეჩერების ან ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით. ამასთან, მკურნალობის მიზნით პლაცენტისა და ჭიპლარის სისხლის ღეროვანი უჯრედების აღება სხვა ადამიანისთვის გადასანერგად დასაშვებია მხოლოდ პოტენციური დონორის მშობიარობის შემდეგ („ადამიანის ორგანოთა გადანერგვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-17 მუხლის 1-ლი და მე-2 პუნქტები).[417]

ამდენად, სხეულის დაზიანებაში მოიაზრება ფიზიკური (სხეულებრივი) მთლიანობის ხელყოფა. რაც შეეხება ჯანმრთელობის შელახვას, ის უკავშირდება სხეულის ნორმალური ფუნქციის დაქვეითებას, ასევე, ტკივილს თუ სხვა რადიკალურ ცვლილებას, რომელიც გამოიხატება ადამიანის ფიზიკური, ფსიქიკური ან გონებრივი მდგომარეობის დარღვევაში.[418]

უფლება ჯანმრთელობის დაცვაზე, თავის მხრივ, განიხილება პირად არაქონებრივ უფლებად, რომელიც მჭიდროდ უკავშირდება ჯანმრთელო-

[416] იხ. H. Ehmann, Deliktsrecht mit Gefährdungshaftungsrecht, Lehrbuch, München, 2013, 52-53.

[417] საქართველოს კანონი „ადამიანის ორგანოთა გადანერგვის შესახებ“, 2000 წლის 23 თებერვალი, N160-IIს.

[418] იხ. M. Fuchs, W. Pauker, Delikts- und Schadenersatzrecht, 8. Auflage, Heidelberg, 2012, 12.

ბის უფლებას. ადამიანის ჯანმრთელობა სრული ფიზიკური და ფსიქიკური კეთილდღეობის მდგომარეობაა, რომლის ხელყოფითაც ადამიანმა შეიძლება სრული კეთილდღეობა დაკარგოს. თვით ჯანმრთელობაზე უფლება აბსოლუტური უფლებაა და მას შეესაბამება ამ უფლების დამრღვევთა თავშეკავების მოვალეობა. რაც შეეხება ჯანმრთელობის სამოქალაქოსამართლებრივი დაცვის მექანიზმს, ის გამყარებულია სსკ-ის 413-ე მუხლის მე-2 ნაწილში, რომლითაც სხეული და ჯანმთელობა აღიარებულია პირისთვის დაბადებიდან მინიჭებულ არამატერიალურ სიკეთედ.[419] ჯანმრთელობის ხელყოფა განიხილება იურიდიულ ფაქტად, რომელიც წარმოშობს იურიდიულ შედეგებს, მათ შორის ზიანის ანაზღაურების მოვალეობას.[420] ამდენად, სხეულისთვის ან ჯანმრთელობისთვის ზიანის მიყენების დროს დაზარალებულს წარმოეშობა მოითხოვოს როგორც ქონებრივი (სსკ-ის 408-ე მუხლი), ისე არაქონებრივი ზიანის ანაზღაურება (სსკ-ის 413-ე მუხლი).[421]

3.2. ღირსება, პატივი და საქმიანი რეპუტაცია

ა. ღირსება

ცნობილია ღირსების ორი გამოვლინება — „ადამიანური ღირსება“ და „პირადი ღირსება“. ადამიანური ღირსების გრძნობა ერთნაირად აქვს მომადლებული ყველა ადამიანს, განურჩევლად ნებისმიერი ნიშნისა (როგორც ახალშობილს, ისე თავზეხელაღებულ ბოროტმოქმედს). ადამიანის ღირსება გვარეობითი ხასიათისაა და გაიგება, როგორც პიროვნების მნიშვნელობისა და ღირებულების შეფასება-პატივისცემა. პირადი ღირსება მიიღწევა კეთილშობილური საქციელით, კეთილი საქმეებით და შეიძლება უღირსი, სულმდაბალი ქცევით შეილახოს.[422]

ღირსების ცნებასთან დაკავშირებით განასხვავებენ რამდენიმე მიდგომას.[423] განსაკუთრებით საყურადღებოა ლოგოცენტრული[424] თეორია,

---

[419] იხ. შ. ჩიკვაშვილი, პასუხისმგებლობა მორალური ზიანისთვის, თბ., 2003, 125-126.

[420] В. Т. Смирнов, Гражданская ответственность государственных предприятий за причинение увеча или смерти работникам, М., 1957, 111.

[421] ქონებრივი და არაქონებრივი ზიანის ანაზღაურების თავისებურებებზე იხილეთ დაწერილებით ქვევით.

[422] იხ. ფ. საყვარელიძე, ღირსება: ადამიანის უფლებებსა და თავისუფლებებთან დაკავშირებული ძირითადი ცნებები (ღირსება, თავისუფლება, თანასწორობა): ნაწილი I, ჟურნ. „სოლიდარობა“, N2(29), 2009, 56-57.

[423] კოსმოცენტრული, ქრისტოცენტრული, პოლისცენტრული და ლოგოცენტრული თეორიების შესახებ დაწერ. იხ. M. Lebech, What is Human Dignity? Maynooth Philosophical Papers, Maynooth, 2004, 56-61); ასევე იხ. მ. ბიჭია, ღირსების საჯაროსამართლებრივი ცნების მოცულობა, ჟურნ. „მართლმსაჯულება და კანონი“, N4, 2014, 42-66; მ. ბიჭია, ღირსების სამოქალაქოსამართლებრივი ცნების მოცულობა, „სამართლის ჟურნალი“, №2, 2014, 5-31.

[424] ლოგოცენტრული ანუ გონებიდან გამომდინარე.

რომლის თანახმად, ადამიანის ღირსება განიხილება გონივრულობასთან მჭიდრო კავშირში და თვით ადამიანურობა მიიჩნევა ღირსებად. ამასთან, ადამიანური ღირსება რჩება მიზნის გარეშე, თუ ადამიანის ბუნებას არ დაუკავშირდა, ვინაიდან ადამიანს აქვს უნარი, შეიცნოს საკუთარი მოქმედებების მაქსიმების უნივერსალურობის მნიშვნელობა. ღირსება, თავის მხრივ, ასოცირდება სუბიექტის პატივისცემასთან (კანტის კატეგორიული იმპერატივი).[425] ადამიანის ღირსება უნივერსალურია და ხელშეუხებელია. ყველა ადამიანს აქვს ღირსება, განურჩევლად კანის ფერისა, რელიგიისა და სხვა ნიშნისა.[426] ნორმატიული გაგებით, ღირსება, ერთი მხრივ, ადამიანის თანდაყოლილი ნიშანია, ხოლო, მეორე მხრივ, ადამიანის მიმართ წაყენებული მორალური მოთხოვნა. ღირსება არაა დამოკიდებული არც ინდივიდუალურ აქტივებსა და ემპირიულ ქონებაზე. აქ ღირსება განიხილება პიროვნების არსის განმსაზღვრელ აპრიორულ ნიშნად[427], თუმცა ღირსების ფლობის ნორმატიული საფუძველი არ არსებობს, ვინაიდან ადამიანის ღირსება ნორმატიულად არ ყალიბდება. ამ გაგებით, ღირსება მორალური მდგომარეობაა, რომელსაც ეფუძნება ავტონომია. ადამიანებს აქვთ ავტონომიის უფლებები, ვინაიდან მათ აქვთ ღირსება, ნორმატიული ძალაუფლება კი მათთვის თავისთავად არსებობას.[428]

სსკ-ის მე-2 მუხლის მიხედვით, სამოქალაქო სამართლის ღირებულებითი წესრიგის საზომად განიხილება რა საქართველოს კონსტიტუცია,[429] შესაბამისად, ღირსების სამოქალაქოსამართლებრივი ცნების საყრდენად განისაზღვრება მისი კონსტიტუციურსამართლებრივი ცნების მოცულობა. საქართველოს კონსტიტუციის მე-17 მუხლით დადგენილია, რომ ადამიანის პატივი და ღირსება ხელშეუხებელია. პატივისა და ღირსების კონსტიტუციურსამართლებრივი ცნება ფართო ხასიათისაა და ფაქტობრივად გულისხმობს ადამიანის პატივისცემის სოციალურ მოთხოვნილებას, რითაც მისი სოციოლოგიური მიდგომაა აღიარებული. სახელმწიფოს უმთავრესი მიზანია, ადამიანი არ იქცეს მიზნის მიღწევის საშუალებად. ამ თვალსაზრისით, ღირსება არა მხოლოდ უბრალოდ უფლებაა, არამედ ის კონსტიტუციური პრინციპია,რომელსაც სხვა ძირითადი უფლებები ეფუძნება

---

[425] M. Lebech, What is Human Dignity? Maynooth Philosophical Papers, Maynooth, 2004, 56-63.

[426] დაწვრ. იხ. Jove Jim S. Aguas, The Notions oft the Human Person and Human Dignity in Aquinas and Wojtyla, KritikeVolume Three Number one (June 2009), 57-59.

[427] Lim Mi-Won, Der kantische Begriff der Menschenwürde in der bioethischen Perspektive, in "Nomos", No. 20, Jun., 2007, 60-61.

[428] P. Schaber, Menschenwürde und Selbstverfügung, Zurich, In: Byrd, B. Sharon; Joachim Hruschka; Jan C. Joerden Themenschwerpunkt: Recht und Ethik im Werk von Jean-Jacques Rousseau. Berlin, 2012, 10, 12, 1.

[429] დაწვრ. იხ. ლ. ჭანტურია, სამოქალაქო სამართლის ზოგადი ნაწილი, თბ., 2011, 82-84.

(პატივის, პირადი ცხოვრების, რწმენის თავისუფლების...).[430] ამდენად, ღირსების ამ გაგებაში კონსტიტუციით აღიარებული ტაბუ უბრალოდ თავშეკავების აკრძალვა კი არაა, არამედ ის დოგმატურ ახსნას არც საჭიროებს და გულისხმობს აკრძალვის სპეციფიკურობას სამართლის სოციოლოგიაში, რაც მის ბუნებით ხასიათს გამოკვეთს.[431]

თუმცა საგულისხმოა, რომ ღირსება, როგორც ძირითადი უფლება, კონსტიტუციური სამართლის კვლევის სფეროა. ის კერძოსამართლებრივი ურთიერთობებში მოქმედებს არა პირდაპირ, არამედ ირიბი ფორმით.[432] ამ შემთხვევაში კერძო ურთიერთობების მომწესრიგებელი ნორმების განმარტება ძირითადი უფლებების გამოყენებით უზრუნველყოფს მათზე ძირითადი უფლებების ირიბ მოქმედებას.[433]

სსკ-ის მე-18 მუხლით დაცულია პატივი და ღირსება, რომლებიც ემსახურება ადამიანის ინდივიდუალიზაციას, რადგან საზოგადოებაში მის თვითგამორკვევას ეხება. ისინი დამოუკიდებელ როლს ასრულებს ადამიანის ინდივიდუალიზაციაში.[434] ამასთან, ღირსება უკავშირდება საკუთარი თავის დამაჯერებლად წარმოდგენას ისევე, როგორც საკუთარი პასუხისმგებლობით გარკვეული დავალების გადაწყვეტას.[435] თუმცა ღირსების ცნებისადმი მიდგომა დროთა განმავლობაში იცვლება. თანამედროვე გაგებით, ღირსებაში მოიაზრება ადამიანის სოციალური ღირებულების, უნიკალურობის, ყოველი პიროვნების, როგორც ინდივიდის, აღიარება.[436] თავის მხრივ, პიროვნება განიხილება, როგორც ინდივიდისთვის დამახასიათებელი ნიშან-თვისებების უნიკალური სტრუქტურა.[437]

---

[430] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2007 წლის 26 ოქტომბრის გადაწყვეტილება საქმეზე N2/2/-389; საქართველოს საკონსტ. სასამართლოს 2004 წლის 11 მარტის გადაწყვეტილება საქმეზე N2/1/241; თ. ტუღუში, გ. ბურჯანაძე, გ. მშვენიერაძე, გ. გოცირიძე, ე. მენაბდე, ადამიანის უფლებები და საქართველოს სა კონსტიტუციო სასამართლოს სამართალწარმოების პრაქტიკა, თბ., 2013, 85, 91.

[431] დაჯვრ. იხ. R. Poscher, Die Menschenwürde, als Tabu, in: JZ, 15/16/ 2004, 756-762; ასევე იხ. რ. პოშერი, ადამიანის ღირსება, როგორც ტაბუ, გერმანულიდან თარგმნა და წინასიტყვაობა დაურთო სამ. დოქტორმა მ. ბიჭიამ, ჟურნ. „მართლმსაჯულება და კანონი", N2, 2014, 51-68.

[432] კერძოსამართლებრივ ურთიერთობებში ძირითადი უფლებების არაპირდაპირი მოქმედების შესახებ იხ. A. Phirtskhalashvili, Schutzpflichten und die horizontale Wirkung von Grundrechten in der Verfassung Georgiens vom 24. August 1995, Berlin, 2010, 46-52.

[433] იხ. ლ. იზორია, ძირითადი უფლებების კონსტიტუციურსამართლებრივი დოქტრინა, წიგნში „საქართველოს კონსტიტუციის კომენტარი", თავი მეორე, საქართველოს მოქალაქეობა. ძირითადი უფლებები და თავისუფლებები, თბ., 2013, 18-19.

[434] იხ. თ. ნინიძე, ადამიანის ინდივიდუალობა – საბჭოთა სამოქალაქო სამართლის დაცვის საგანი, საქართ. სსრ მეცნ. აკადემიის მაცნე, ფილოსოფიის, ფსიქოლოგიის, ეკონომიკისა და სამართლის სერია, 4, 1977, 88.

[435] იხ. W. Höfling, Menschenwürde und gute Sitten, NJW, 1983 36. Jahrgang, 2. Halbband, 1584.

[436] იხ. Авторский колектив. Права человека. Учебник для вузов. М.. 2002, 144.

[437] Chr. Schneider, Persönlichkeit und Selbst, Eine Annäherung zweier differentialpsychoioscher Konstruktsysteme, Hamburg, 2001, 306.

ამდენად, ღირსება პიროვნების მიერ საკუთარი მორალური თუ სხვა თვისებების, საკუთარი საზოგადოებრივი მნიშვნელობის შეფასებაა. ღირსება შეფასებითი კატეგორიაა. ის განიხილება პიროვნების ისეთ არაქონებრივ სიკეთედ, რომლის შეფასება შესაძლებელია იმ პიროვნების მიერ, რომელიც თავისი ღირსების დაცვას მოითხოვს.[438] ეთიკური გაგებით, ღირსება თვითშეფასების მოთხოვნის უფლებაა, რომელიც ფულადი ფორმით ვერ გამოითვლება,[439] ვინაიდან არაქონებრივი ურთიერთობები მოკლებულია ეკონომიკურ შინაარსს და ამიტომ ზიანის დამტკიცებისთვის საკმარისია მხოლოდ კანონით დაცული უფლების დარღვევა.[440] სამოქალაქო სამართალში უფლებამოსილ პირს აქვს უფლება, სასამართლოს მეშვეობით მოითხოვოს იმ ცნობების უარყოფა, რომლებიც მის ღირსებას ხელყოფს, თუ ამ ცნობების გამავრცელებელი არ დაამტკიცებს, რომ ისინი სინამდვილეს შეესაბამებოდა (სსკ-ის მე-18 მუხლის მე-2 ნაწილი).[441]

ამასთან, ღირსებას, უნივერსალურობის გამო, შესწევს უნარი, მოიცვას სხვა პიროვნული უფლება, რის გამოც სამოქალაქოსამართლებრივი დაცვისას, გარდა ღირსების დამცავი ნორმისა, ამოქმედდება იმ პიროვნული უფლების უზრუნველმყოფი ნორმაც, რომელიც ასევე შეილახა. ეს შეიძლება შეეხოს მაგალითად, პატივის, საქმიანი რეპუტაციის, სახელის[442] (ფსევდონიმი ან ავტორის სახელი[443]), გამოსახულების[444], პერსონალური მონაცემების[445] დაცვის უფლებებს. თუმცა ეს არ ნიშნავს ამ სიკეთეების ცალკე სამართლებრივი დაცვის უგულებელყოფას.[446] ღირსების განსაკუთრებული სამართლებრივი ბუნების ერთ-ერთი გამოხატულება ისაა, რომ დედის სხეულში მყოფ მომავალ სიცოცხლესაც შეუძლია ადამიანის ღირსების საშუალებით დაიცვას საკუთარი უფლებები. ამასთან, ღირსება გარდაცვალების შემდეგაც ვრცელდება გვამსა და გარდაცვლილი ადამიანის ხსოვ-

---

[438] საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2009 წლის 23 იელისის გადაწყვეტილება (№ას-1174-1319-08).

[439] იხ. E. Fricke, Achtung der Menschenwürde als ständige Herausforderung: Virtualität und Inszenierung _ auch ein Rechtsproblem? in E-Journal: "Communicatio Socials", 44. Jahrgang, Nr. 4, 2011, 456.

[440] საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2012 წლის 3 აპრილის გადაწყვეტილება (№ას-1477-1489-2011).

[441] საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2002 წლის 25 იენისის განჩინება (№3კ-337-02).

[442] იხ. B. v. France, 1992 წლის 25 მარტის გადაწყვეტილება.

[443] სახელთან დაკავშირებით იხ. თ. ნინიძე, სახელის უფლების შინაარსი, ჟურნ. „საბჭოთა სამართალი", №1, 1976, 33.

[444] საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2009 წლის 23 იელისის გადაწყვეტილება (№ას-1174-1319-08).

[445] იხ. F. Trost, Informationelle Selbstbestimmung _ Persönlichkeitsrecht, Informationen als ökonomisches Gut _ Ein Konflikt, 1. Auflage, GRIN Verlag, 2009, 7

[446] იხ. თ. ნინიძე, სახელის უფლების შინაარსი, ჟურნ. „საბჭოთა სამართალი", №1, 1976, 29.

,ზე.[447] შესაბამისად, ღირსება ვლინდება ღირებულებაში, რომელიც გარაცვალების შემდეგ პიროვნების სახით რჩება და პიროვნების ხსოვნას ,ზრუნველყოფს. ღირსება ხომ პიროვნებისთვის დამახასიათებელი თვისეაა.[448]

ბ. პატივი

ცნობილია პატივის ფაქტობრივ-სოციალური და ეთიკურ-სამართლებრივი (ნორმატიული[449]) გაგება.[450] ფაქტობრივ პატივში მოიაზრება საზოგადოებრივი პატივისცემა, სახელი მის რეალურ ყოფა-ცხოვრებაში, გარშემომყოფთა შეფასება, ერთი მხრივ, როგორიცაა საკუთარი ღირსების შეგრძნება, მეორე მხრივ, ის, თუ რამდენადაა ადამიანთა ქცევა მათი წარმოდგენით ზნეობრივ მოთხოვნებთან შესაბამისობაში. ნორმატიული გაგებით, პატივი არის ადამიანის შინაგან ღირებულებაზე დაფუძნებული ღირსება, რომელიც პირთა მხრიდან უნდა შეფასდეს. ასევე, არსებობს ახალი მიდგომა, რომელიც ნორმატიულ და ფაქტობრივ ელემენტებს აერთიანებს. ეს პოზიცია გაზიარებულია სასამართლო პრაქტიკასა და ლიტერატურაში. ამ მიდგომის თანახმად, პატივი მოიცავს როგორც შინაგან, ისე გარეგან პატივს. შინაგანი პატივი არის პიროვნების ფაქტობრივად არსებული ღირებულება, რომელიც დანახულია ზნეობრივი და სოციალური თვალსაზრისით. გარეგანი პატივი არის საზოგადოებაში საკუთარი თავის პატივისცემა, რომელიც კანონით დადგენილი წესებიდან გამომდინარეობს.[451]

პატივის ფაქტობრივ-სოციალური ცნების მოცულობა ისაა, რითაც ადამიანები განსხვავდებიან; რომელ შინაარსშიც პატივი განიხილება განსხვავების ან სოციალური დიფერენცირების საშუალებად. პატივის ფართო (გვარეობითი) ცნების ამ ასპექტს განიხილავენ, როგორც სოციალურ პრესტიჟს, პატივისცემას, რენომეს ან იმიჯს. ზოგჯერ მას უკავშირებენ გარეგან პატივს, კეთილ სახელს ან პოპულარობას.[452] ამდენად, პატივი

---

[447] იხ. კ. კუბლაშვილი, ძირითადი უფლებები, მე-2 გამოცემა, თბ., 2010, 86-87.

[448] აღნიშნულის შესახებ იხ. თ. ნინიძე, ცოცხალი ხატი ღირსებისა, საქართ. სსრ მეცნიერებათა აკადემიის მაცნე, ეკონომიკისა და სამართლის სერია, N3, 1987, 67.

[449] ნორმატული გაგება - გაგება, რომელიც გამომდინარეობს ეთიკის თუ სამართლის ნორმებიდან.

[450] Ulli F. H. Rühl, Die Semantik der Ehre im Rechtsdiskurs, "Kritische Justiz", Heft 2, 2002, 200.

[451] იხ. T. Perger, Ehrenshutz von Soldaten in Deutschland und anderen Staaten, Köln, (TUP-Productions) (Dissertation), 2003, 25-26; იხ. I. Siebrecht, Der Schutz der Ehre im Zivilrecht, in der Zeitschrift "Juristische Schulung" (JuS), 2001, Heft 4, 337.

[452] Ulli F. H. Rühl, Die Semantik der Ehre im Rechtsdiskurs, "Kritische Justiz", Heft 2, 2002, 201; M. A. Niggli, F. Riklin, Skript Strafrecht, Besonderer Teil (BT.), (§ 9 Ehrverletzungen), 10. Auflage, 2007, 181-182.

მიიჩნევა საზოგადოებრივ მოვლენად, რომელიც უკავშირდება პირის აღიარებას საზოგადოებაში. ამიტომაცაა, რომ სოციალურ-ფილოსოფიური, სოციალურ-ფსიქოლოგიური და სოციოლოგიური კონცეფციები შედის ე.წ. „აღიარების“ თეორიათა წრეში. ამ თეორიების საერთო ნიშანია ის, რომ პიროვნებისთვის კონსტიტუციური მნიშვნელობისაა საზოგადოებრივი აღიარება, რომლის სხვადასხვა ფორმა არსებობს.[453]

ფაქტობრივ-სოციალურის საწინააღმდეგოდ, ნორმატიული (ეთიკურ-იურიდიული) გაგებით, პატივი ეკუთვნის ადამიანს, მიუხედავად იმისა, ის თავის სოციუმში ფაქტობრივად იმსახურებს თუ არა პატივისცემას. ნორმატიული თვალსაზრისით, პატივი ეფუძნება აუცილებლობას (ჯერარსის – Sollen-ის სფერო), სხვა გარშემომყოფთა ურთიერთობაში პატივისცემის მოთხოვნას, რომელიც შეიძლება შესრულდეს ან შეილახოს. ეს პატივისცემის მოთხოვნა ფაქტობრივ-სოციალურ აღიარებაზეა დამოკიდებული და გარკვეულწილად შეესაბამება შინაგანი პატივის ცნებას. პატივის ნორმატიული ცნება დამოკიდებულია გარკვეულ თავისებურებებზე, სახელდობრ, მოთხოვნის შესრულებასა და თვით პირის სტატუსზე. ეს გაგება ცვალებადია მისი მდგომარეობის მიხედვით. სოციოლოგიურ დეფინიციაში ბერგერმა და კელნერმა ეს მდგომარეობაზე დამოკიდებული პატივისცემის მოთხოვნის უფლება განიხილეს ღირსებად მაშინ, როცა პატივი ინსტიტუციონალურ როლსა და როლების ლოდინის შესრულებასთანაა დაკავშირებული. ამიტომ ღირსების ცნება ნორმატიულ, პატივი კი პირის ფაქტობრივ-სოციალურ მნიშვნელობას განსაზღვრავს. სოციალურ ფილოსოფიაში ის შეიძლება სხვადასხვანაირად გაიგებოდეს. ნორმა „ადამიანის ღირსება ხელშეუხებელია“ არაა დესკრიფციული ხასიათის.[454]

ამდენად, პატივის სამართლებრივი ცნება ხასიათდება რამდენიმე ძირითადი ნიშნით: ა) პირის დადებითი თვისებების არსებობა; ბ) მათი ასახვა საზოგადოებრივ ცნობიერებაში; გ) პირის სახე, თვისებები გამოხატვას პოულობს საზოგადოებრივ ცნობიერებასა და თვით ამ პირის თვითცნობიერებაში.[455] შესაბამისად, პატივის სამართლებრივი გაგება უკავშირდება ადამიანის შინაგან და გარეგან შეფასებას, როგორიცაა საზოგა-

---

[453] Ulli F. H. Rühl, Die Semantik der Ehre im Rechtsdiskurs, "Kritische Justiz", Heft 2, 2002, 203.

[454] Ulli F. H. Rühl, Die Semantik der Ehre im Rechtsdiskurs, "Kritische Justiz", Heft 2, 2002, 201.

[455] В.Н. Базылев, Ю.А. Бельчиков, А.А. Леонтьев, Ю.С. Сорокин, Понятия чести и достоинства, оскорбления и ненормативности в текстах права и массовой информации, В кн: Понятия чести, достоинства и деловой репутации, Спорные тексты СМИ и проблемы их анализа и оценки юристами и лингвистами, Изд. 2-е, переработанное и дополнение (Отв. ред. А. К. Симонов, М.В. Горбанский, М., 2004, 42.

ღების ფარგლებში მისი ღირსება ანუ თვითაღიარება და საზოგადოებაში პიროვნების შეფასება.[456]

ნორმატიული გაგებით, პატივისა და ღირსების ცნებებს ახასიათებს მსგავსი მოთხოვნის უფლებები, რომლებიც ყველა ადამიანს, როგორც ადამიანს, აქვს. ამდენად, პატივი და ღირსება ეთიკურ-იურიდიული თვალსაზრისით, განიხილება ნორმატივებისა და ჯერარსის სფეროს კონსტრუქციებად; აღნიშნულის საფუძველი ისაა, რომ მხოლოდ პატივისცემის მოთხოვნის უფლების კონსტრუქცია იძლევა საშუალებას, ფაქტობრივად არათანაბარი ადამიანები, რომლებსაც, სოციალური გაგებით, არათანაბარი პატივი აქვთ, განიხილებოდნენ თანასწორებად.[457]

პატივის ნორმატიულ-ფაქტობრივი[458] (ნორმატიულ-რეალური) გაგების მიხედვით, შეიძლება გარეგანი პატივისა და შინაგანი პატივის დაცვის განსხვავება. გარეგან პატივში იგულისხმება საზოგადოებაში ადამიანის სახელი ან პატივისცემა ანუ სოციალური პატივისცემის უფლება, რომელიც ამ პირს აქვს. შინაგანი პატივი, ძირითადად, დამოკიდებულია თვითშეფასებაზე[459] და ამიტომ ჯერ წარმოიშობა ფსიქოლოგიური, შემდეგ კი - იურიდიული პრობლემა.[460] თუმცა შინაგანი პატივის წარმოდგენილი წრე არის პიროვნული ღირსება.[461]

აქ ღირსება, როგორც ძირითადი უფლება, კერძოსამართლებრივი ურთიერთობებში გამოიყენება არაპირდაპირ,[462] ვინაიდან კერძო ურთიერთობების მომწესრიგებელი ნორმების განმარტება ძირითადი უფლებების გამოყენებით უზრუნველყოფს მათზე ძირითადი უფლებების ირიბ მოქმედებას.[463]

---

[456] T. Perger, Ehrenschutz von Soldaten in Deutschland und anderen Staaten, Köln, 2003, 22.

[457] Ulli F. H. Rühl, Die Semantik der Ehre im Rechtsdiskurs, „Kritische Justiz", Heft 2, 2002, 202-203.

[458] ნორმატიულ-ფაქტობრივი ცნება გულისხმობს ცნებას, რომელიც ითვალისწინებს როგორც სამართლის ნორმებით დადგენილ, ისე რეალური სფეროს ნიშნებს.

[459] შინაგანი პატივი არსობრივად ახლოს დგას საბჭოთა პერიოდის იურიდიულ ლიტერატურაში დამკვიდრებულ „ღირსების" მნიშვნელობასთან. ღირსების განსაზღვრების შესახებ იხ. Л. Рафиева, Гражданско-правовая защита чести и достоинства личности в СССР. Автореф. дисс. на соискание ученой степени кандидата юрид. наук. Ленинград, 1966, 5; Курс советского гражданского права. С. Н. Братусь. Предмет и система советского гражданского права. М., Государств. изд. Юридической Литературы, 1963, 85.

[460] იხ. I. Siebrecht, Der Schutz der Ehre im Zivilrecht, in der Zeitschrift "Juristische Schulung" (JuS), Heft 4, 2001, 337.

[461] იხ. T. Perger, Ehrenshutz von Soldaten in Deutschland und anderen Staaten, Köln, (TUP-Productions) (Dissertation), 2003, 27.

[462] კერძოსამართლებრივ ურთიერთობებში ძირითადი უფლებების არაპირდაპირი მოქმედების შესახებ იხ. A. Phirtskhalashvili, Schutzpflichten und die horizontale Wirkung von Grundrechten in der Verfassung Georgiens vom 24. August 1995, Berlin, 2010, 46-52.

[463] იხ. ლ. იზორია, ძირითადი უფლებების კონსტიტუციურსამართლებრივი დოქტრინა, წიგნში „საქართველოს კონსტიტუციის კომენტარი", თავი მეორე, საქართველოს მოქალაქეობა. ძირითადი უფლებები და თავისუფლებები, თბ., 2013, 18-19.

საგულისხმოა, რომ პატივი სისხლის სამართალში მოიცავს პირის ნამდვილ შინაგან ღირებულებას, ასევე, საზოგადოებაში დამსახურებულ სახელს. მართალია, სამოქალაქო სამართალში პატივი არაა განსაზღვრული,[464] მაგრამ სასამართლო პრაქტიკა აზუსტებს მისთვის დამახასიათებელ ნიშნებს. სსკ-ის მე-18 მუხლის მე-2 ნაწილის მიხედვით, პირს უფლება აქვს, სასამართლოს მეშვეობით მოითხოვოს იმ ცნობების უარყოფა, რომლებიც მის პატივს, ღირსებას, პირადი ცხოვრების საიდუმლოებას, პირად ხელშეუხებლობას ან საქმიან რეპუტაციას ხელყოფს, თუ ამ ცნობების გამავრცელებელი არ დაამტკიცებს, რომ ისინი სინამდვილეს შეესაბამებოდა. ამ მუხლის სწორი კვალიფიკაცია მოითხოვს პირის პატივის სამართლებრივი დაცვის დეფინიციის განსაზღვრას.[465] პატივში მოიაზრება საზოგადოების მიერ პიროვნული თვისებების შეფასება, ესე იგი, პატივი განსაზღვრავს იმას, როგორც აღიქმება პიროვნება საზოგადოების თვალში.[466] ამიტომაც პატივი იმ ღირებულებათა თვისებაა, რომლებიც პიროვნების ობიექტური საზოგადოებრივი შეფასებაა.[467] შესაბამისად, პატივი შეფასებითი კატეგორიაა.[468] ამდენად, სამოქალაქო სამართალი პატივის, როგორც სამართლებრივად დაცული სიკეთის, ზნეობრივ კატეგორიაში მოიაზრებს პიროვნების მიმართ საზოგადოების დამოკიდებულებას, რომელიც სინამდვილის შესაბამის ფაქტებს უნდა შეესაბამებოდეს.[469]

გ. საქმიანი რეპუტაცია

ტერმინი „რეპუტაცია" შეფასებითი კატეგორიაა. მასში მოიაზრება ადამიანის სტატუსი საზოგადოებაში და მის შესახებ შექმნილი წარმოდგენა.[470]

---

[464] იხ. T. Perger, Ehrenshutz von Soldaten in Deutschland und anderen Staaten, Köln, (TUP-Productions) (Dissertation), 2003, 27.

[465] საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2002 წლის 25 ივნისის განჩინება (ǂ3კ-337-02); პატივის დაცვის კერძოსამართლებრივ ასპექტებზე იხ. მ. ბიჭია, პატივის სამოქალაქოსამართლებრივი ცნების მოცულობა (ქართულ-ევროპული მიდგომები), ჟურნ. „თანამედროვე სამართლის მიმოხილვა", №2, 2014, 12-27.

[466] საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2014 წლის 23 აპრილის განჩინება (№ას-1332-1258-2012).

[467] საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2013 წლის 15 ნოემბრის გადაწყვეტილება (№ას-378-359-2013).

[468] საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2009 წლის 23 ივლისის გადაწყვეტილება (№ას-1174-1319-08).

[469] საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2012 წლის 3 აგვისტოს განჩინება (№ას-1739-1720-2011); საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2012 წლის 3 აგვისტოს განჩინება (№ას-208-201-2012).

[470] იხ. პ. (თ.) მონიავა, პატივის, ღირსებისა და საქმიანი რეპუტაციის დაცვის სამართლებრივი პრობლემები (სადისერტაციო ნაშრომი), თბ., 1999, 34.

ფიზიკური და იურიდიული პირების საქმიანი რეპუტაცია იმ თვისებათა და შეფასებათა ერთობლიობაა, რომელთანაც მათი მატარებელი ასოცირდება თავისი კონტრაგენტების, კლიენტების, მოშხმარებლების, კოლეგების, თანამშრომლების (შოუ-ბიზნესში), ამომრჩეველთა (არჩევითი თანამდებობისთვის) შეგნებაში და პერსონიფიცირდება ამ დარგის სხვა პროფესიონალთა შორის.[471] ამიტომ საქმიანი რეპუტაცია განიხილება პირის პროფესიული თუ სხვა საქმიანი თვისებების შეფასებად, რასაც ეფუძნება მოცემული ფიზიკური ან იურიდიული პირის მიმართ საზოგადოების დამოკიდებულება.

ამასთან, ღირსება არის რა ზოგადი პიროვნული უფლების ცენტრალური რაობა, სსკ-ით მისი დაცვა კი ზოგადი პიროვნული უფლების დაცულობაზე მიანიშნებს. როცა პირის პატივის, ღირსების, საქმიანი რეპუტაციის შემლახველი ცნობები გამოქვეყნებულია პრესაში, სასამართლოს გადაწყვეტილების საფუძველზე მათი უარყოფა უნდა მოხდეს ბეჭდვითი სიტყვის იმავე საშუალებით, რომელმაც გაავრცელა ისინი. თუ პიროვნების გამაწბილებელ ცნობებს[472] შეიცავს ამა თუ იმ ორგანიზაციის მიერ გაცემული დოკუმენტი და ისინი სინამდვილეს არ შესაბამება, სასამართლო უფლებამოსილია ორგანიზაციას დააკისროს დოკუმენტის შეცვლა. ის უნდა დაეგზავნოს ყველა იმ დაინტერესებულ პირს, ვისაც თავდაპირველი დოკუმენტი მიეწოდა.[473] თუმცა ცილისწამების თაობაზე სასამართლო დავის საგანი არ შეიძლება იყოს განცხადება, რომელიც ეხება პირთა განსაზღვრულ ჯგუფს ან/და რომელშიც მოსარჩელე არ არის ერთმნიშვნელოვნად იდენტიფიცირებული.[474]

ამ სიკეთეების თაობაზე საქმეთა სამოქალაქო სამართალწარმოების დროს მოსარჩელე შეიძლება იყოს როგორც ფიზიკური, ისე იურიდიული პირიც. რაც შეეხება მოპასუხეებს, ისინი არიან სუბიექტები, რომლებიც ავრცელებენ სინამდვილესთან შეუსაბამო პატივის, ღირსებისა თუ საქმიანი რეპუტაციის შემლახველ ცნობებს ან ისინი, რომლებიც ხელს აწერენ მათზე. სარჩელის დაკმაყოფილებისას სასამართლომ სარეზოლუციო ნაწილში უნდა მიუთითოს სახელის გამტეხი ცნობების გამაბათილებელი საშუალება და დაადგინოს, რა ვადაშიც უნდა განხორციელდეს უარყოფა.[475] ამასთან, პატივისა და ღირსების შელახვა შეიძლება გამოიწვიოს

---

[471] იხ. შ. ჩიკვაშვილი, მორალური ზიანი სამოქალაქო სამართალში, თბ., 1998, 125.

[472] ცილისწამების (საქ. სისხ. სამ. კოდ. 148-ე მუხლი) დეკრიმინალიზაციის მიზეზების შესახებ იხ. თ. კინწურაშვილი, მართლმსაჯულების ლოგიკა (სიტყვის თავისუფლება და ქართული სასამართლო პრაქტიკა), „თავისუფლება", N3 (39), 2005, 4-13.

[473] იხ. თ. ქალდანი, მორალური ზიანი, ჟურნ. „ჩვენი უფლებები", თბ., 2002, 73-75.

[474] საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 18 ოქტომბრის განჩინება (№ას-431-403-2010).

[475] იხ. შ. ქურდაძე, სამოქალაქო საქმეთა განხილვა პირველი ინსტანციის სასამართლოში, თბ., 2005, 130.

სახელის ხელყოფამ. თუმცა ეს არ ნიშნავს ამ სიკეთეების ცალკე სამართლებრივი დაცვის უგულებელყოფას.[476]

3.3. სახელი

„სახელის უმთავრესი ფუნქცია მოქალაქის ან ორგანიზაციის ინდივიდუალიზაციაა. ამით ის შეუცვლელ სამსახურს უწევს საზოგადოებას. სახელი სოციალური მოვლენაა," „საზოგადოება კარნახობს ადამიანს მისი არჩევის აუცილებლობას."[477]

სსკ-ის მე-17 მუხლით ცალკეა გამოყოფილი უფლება სახელისა, რომელიც მოიცავს სახელსა და გვარს. სავარაუდოდ, სსკ-ის მე-17 მუხლით განმტკიცებული უფლება პირადი არაქონებრივი უფლებაა, რადგან მე-18 მუხლში სახელის უფლება სხვა პირად უფლებასთან ერთადაა მოხსენიებული.[478] ეს იწვევს გაუგებრობას, ვინაიდან თუ სახელის უფლება პირადი არაქონებრივი უფლებაა, მაშინ დასადგენია, რატომ გახდა საჭირო მისი ცალკე მუხლში გამოყოფა.

უპირველეს ყოვლისა, სახელის უფლების შინაარსი ასეთია: შესაძლებლობანი, იქონიოს და შეცვალოს სახელი და გვარი, ატაროს დედის ან მამის გვარი ან დედის და მამის შეერთებული გვარი ან მეუღლის გვარი ან საკუთარი და მეუღლის შეერთებული გვარი; მოითხოვოს სახელის აღიარება, თუ მას ეცილებიან; მოითხოვოს სახელის ხელმყოფი მოქმედების აღკვეთა ან სახელის შელახვით მიყენებული ქონებრივი თუ არამატერიალური ზიანის ანაზღაურება. ამასთან, სახელის უფლების შინაარსში შედის ინდივიდის უფლება, ისარგებლოს ფსევდონიმით ან გამოგონილი სახელით, არაოფიციალური სახელით.[479] რაც შეეხება იურიდიულ პირს, აქ საგულისხმოა კომერციული იურიდიული პირის საფირმო სახელწოდებისა და არასამეწარმეო იურიდიული პირის სახელწოდების ცნების მოცულობა.[480] ამასთან, პიროვნული უფლებების ერთ-ერთი განმსაზღვრელი ნიშანია ის, რომ შეუძლებელია მათი გადაცემა სხვა პირისთვის, ესე იგი, სახელის უფლება განეკუთვნება გადაუცემადი უფლებების კატეგორიას (გამონაკლისია ინტელექტუალურსამართლებრივ სფ-

---

[476] იხ. თ. ნინიძე, ადამიანის ინდივიდუალობა — საბჭოთა სამოქალაქო სამართლის დაცვის საგანი, საქართვ. სსრ მეცნ. აკადემიის მაცნე, ფილოსოფიის, ფსიქოლოგიის, ეკონომიკისა და სამართლის სერია, N4, 1977, 88.

[477] თ. ნინიძე, სახელის უფლების შინაარსი, ჟურნ. „საბჭოთა სამართალი", N1, 1976, 29.

[478] იხ. ლ. ჭანტურია, შესავალი საქართველოს სამოქალაქო სამართლის ზოგად ნაწილში, თბ., 2000, 168.

[479] იხ. თ. ნინიძე, სახელის უფლება, წიგნში: „სსკ-ის კომენტარი", წ. I, თბ., 2002, 52-53.

[480] იხ. ლ. ჭანტურია, არასამეწარმეო იურიდიული პირის სახელწოდება, წიგნში: „სსკ-ის კომენტარი", წ. I, თბ., 2002, 116-117.

ეროში). კომერციულ ურთიერთობებში არის შემთხვევები, როცა ადამიანის სახელი გადაცემადია. ამ შესაძლებლობას ითვალისწინებს კანონი „შეწარმეთა შესახებ". ასეთ შემთხვევაში სამოქალაქო სახელი გარდაიქმნება სავაჭრო სახელად, საწარმოს ქონების ნაწილად და შეიძლება იგი განიხილებოდეს, როგორც არამატერიალური ქონებრივი უფლება.[481] ასეთი ორმაგი (დუალისტური) ბუნებისაა სახელის სამოქალაქოსამართლებრივი დაცვა.

ამასთან, ცივილისტიკაში ფეხს იკიდებს შეხედულება, რომლის თანახმად, სახელის შემადგენელი ნაწილი შეიძლება იყოს ფიზიკური პირის ხელმოწერა. ხელმოწერას პირი არჩევს დამოუკიდებლად და ის ფიქსირდება მისთვის პასპორტის გაცემისას. ცალკეულ შემთხვევებში სახელის გამოყენებას სავალდებულო წესით თან უნდა ახლდეს ხელმოწერა, რაც შეიძლება შეეხოს გარიგების როგორც მარტივი წერილობითი, ისე რთული სანოტარო ფორმით დადებას.[482]

სსკ-ის მე-18 მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, „ვისაც სახელის ტარების უფლებას შეეცილებიან ან ვისი ინტერესებიც ილახება მისი სახელით უნებართვო სარგებლობით, მას უფლება აქვს ხელმყოფს მოსთხოვოს მოქმედების შეწყვეტა ან უარის თქმა მასზე." აქ საქმე ეხება ორ შემთხვევას: ა) როცა ფიზიკურ პირს ეცილებიან სახელს, სასარჩელო მოთხოვნა დაკმაყოფილდება მხოლოდ მაშინ, თუ სადავო სახელი ეკუთვნის მოსარჩელეს და მოპასუხე უარყოფს იმას, რომ სადავო სახელი მოსარჩელეს ეკუთვნის. მოცემულ შემთხვევაში სასარჩელო მოთხოვნა არის სახელის აღიარება. თუ დავის საგანი სამოქალაქო სახელია, მოსარჩელემ მტკიცებულების სახით უნდა წარმოადგინოს სამოქალაქო აქტების რეგისტრაციის ჩანაწერი ან სხვა დოკუმენტი, რომელიც ადასტურებს მის სახელს. თუ დავა ეხება ფსევდონიმს, მოსარჩელემ უნდა დაამტკიცოს, რომ შესაბამის სფეროში ინდივიდუალობა შექმნა; ბ) თუ სადავოა არაოფიციალური სახელი, მტკიცებულება შეიძლება იყოს მისი ტარება დროის ხანგრძლივ პერიოდში. რაც შეეხება სსკ-ის მე-18 მუხლის 1-ლი ნაწილით განსაზღვრულ მეორე შემთხვევას (სახელის უნებართვოდ სარგებლობით სხვისი ინტერესების შელახვას), აქ სარჩელის წანამძღვრებს უნდა წარმოადგენდეს შემდეგი: ა) სახელი ეკუთვ-

---

[481] იხ. ლ. ჭანტურია, შესავალი საქართველოს სამოქალაქო სამართლის ზოგად ნაწილში, თბ., 2000, 166, 168-169. დაწვრ. საოჯახო ურთიერთობებში სახელის დაცვის თუ ზოგადად სახელის შეცვლის შესახებ იხ. თ. ნინიძე, სახელის უფლება, სსკ-ის კომენტარი, წ. I, თბ., 2002, 54-57. სახელის შესახებ იხ. ასევე M. Schemitsch, Identitätsdaten als Persönlichkeitsgüter (Dissertation), Darmstadt, 2004, 129, <http://tuprints.ulb.tu-darmstadt.de/515/1/Dissertation-Schemitsch-FB01.pdf> [16.03.10 08:45].

[482] იხ. თ. (პ.) ბონიაკა, სამოქალაქო სამართლის სუბიექტები, თბ., 2011, 63.

ნის მოსარჩელეს; ბ) მოპასუხე მოსარჩელის სახელით სარგებლობს უნებართვოდ; გ) მოსარჩელის ინტერესებს ადგება ზიანი.[483]

მართალია, სახელის შეცვლა პირის ინდივიდუალური უფლებაა, მაგრამ გარკვეულ იურიდიულ შედეგებს უკავშირდება. სახელის შეცვლა, თავის მხრივ, როდი გულისხმობს იმ ქონებრივი ურთიერთობების შეცვლას ან შეწყვეტას, რომელშიც პირი სახელის შეცვლამდე მონაწილეობდა. სსკ-ის მე-17 მუხლის მე-3 ნაწილის მე-2 წინადადება პირდაპირ ადგენს, რომ პირს ეკისრება მოვალეობა, აცნობოს კრედიტორებსა თუ მოვალეებს სახელის შეცვლის თაობაზე. თუ კრედიტორმა შეიცვალა სახელი და აღნიშნული დროულად არ შეატყობინა მოვალეს, რის გამოც მოვალემ ვერ მოახერხა დროულად კრედიტორისთვის შესრულების გადაცემა, ეს შეფასდება კრედიტორის მიერ ვადის გადაცილებად. ამიტომ ამ შემთხვევაში დადგება სსკ-ის 390-393-ე მუხლებით დადგენილი შედეგები.[484]

ამასთან, აღსანიშნავია, რომ სახელის დაცვის უფლება მოიცავს ორ ასპექტს: ა) მისი პოზიტიური მხარის არსი ისაა, რომ პირს აქვს გარკვეული სახელის ტარების უფლება; ბ) სახელის უფლების ნეგატიური ასპექტი გამოიხატება იმაში, რომ აეკრძალოს სხვას სახელის გამოყენება და სახელის შეცვლა თავიდან იქნეს აცილებული, სადაც „იდენტობის ინტერესია“ გამოკვეთილი.[485]

ხშირად ადამიანი საზოგადოებაში ცნობილია ფსევდონიმით, რომელიც დაცვის ისეთივე გარანტიით სარგებლობს, როგორითაც ნამდვილი სახელი.[486] „თუ სახელის უფლება დაირღვა მოპასუხის განზრახვით ან უხეში გაუფრთხილებლობით, მოსარჩელეს დელიქტური სარჩელით უფლება აქვს მოითხოვოს ქონებრივი და არაქონებრივი ზიანის ანაზღაურება.“[487] ამასთან, პირადი ცხოვრების დაცვის უფლების ელემენტთა შორის განსაკუთრებულ პიროვნულ უფლებად გამოიყოფა სახელის დაცვის უფლება.[488] თუმცა ეს

---

[483] თ. ნინიძე, სახელის უფლება, სსკ-ის კომენტარი, წ. I, თბ., 2002, 58-59; სახელის ტარების შეცილებისა და უნებართვო გამოყენების შესახებ ასევე იხ. H. Schack, BGB – Allgemeiner Teil, 13. Auflage, Heidelberg, München, Landsberg, Frechen, Hamburg, 2011, 19.

[484] იხ. ლ. ჭანტურია, სამოქალაქო სამართლის ზოგადი ნაწილი, თბ., 2011, 205.

[485] P. Heermann, Verwertung von Persönlichkeitsrechten der Bundesligafußballspieler durch die Bundesligaclubs sowie die Deutsche Fußball Liga GmbH (Seminar zum Sportrecht), 2008, 7, 8, <http://www.sportrecht.org/studarbeiten/Kleinau_Pers%F6nlichkeitsrechte.pdf> [14.10.11 22:05]

[486] იხ. თ. ნინიძე, სახელის უფლების შინაარსი, ჟურნ. „საბჭოთა სამართალი“, N1, 1976, 33.

[487] თ. ნინიძე, სახელის უფლება, სსკ-ის კომენტარი, წ. I, თბ., 2002, 60.

[488] იხ. F. Wittern, Das Verhältnis von Right of Privacy und Persönlichkeitsrecht zur Freiheit der Massenmedien (Eine rechts-vergleichende Darstellung des Verhältnisses von Right of Privacy und Persönlichkeitsrech zu der Redefreiheit in den Vereinigten Staaten von Amerika und der Presse- und Rundfunkfreiheit in Deutschland), (Dissertation), Hamburg, 2004, 154; იხ. B. v. France, 1992 წლის 25 მარტის გადაწყვეტილება.

არ უნდა ნიშნავდეს იმას, რომ სახელი დამოუკიდებლად არ არის დაცული. სახელის უფლება წარმოადგენს დამოუკიდებელ პიროვნულ უფლებას.

საქმე ისაა, რომ, ჯერ ერთი, სახელის ცვლილებისას პირის ინდივიდუალიზების საშუალებაც იცვლება; მეორე, დღევანდელ პირობებში არის აქტუალური და პრობლემური სქესის შეცვლა. ამას მოჰყვება სახელის შეცვლა. შესაბამისად, ამ დროიდან მას წარმოეშობა უფლება, მოითხოვოს სხვებისგან მისი პირადი ცხოვრების პატივისცემა; გარდა ამისა, პირადი ცხოვრების უფლება სახელის მეშვეობით ინდივიდუალიზდება და იძენს მხოლოდ მისი მფლობელისთვის დამახასიათებელ ინდივიდუალურ თავისებურებებს. შესაბამისად, სქესის შეცვლა უკავშირდება ისეთ საკითხებს, როგორიცაა სამოქალაქო აქტების მდგომარეობის რეგისტრაცია (პირადობის მოწმობა...), მართვის მოწმობის აღება, იმ უფლებების გავრცელება, რაც კონკრეტულ სქესს შეეხება. მართალია, აქ საქმე ეხება მხოლოდ გარეგნულ ცვლილებას (სომატური სქესის სახეცვლას) და არა რეალური (ქრომოსომული) სქესის შეცვლას,[489] მაგრამ პიროვნების დაცვის მიზნით ეს მოვლენა, ალბათ, უნდა განიხილებოდეს სამართლებრივი ფიქციის ჭრილში. ამდენად, სახელის მეშვეობით ხდება ადამიანის ინდივიდუალიზება ყოფით და სამართლებრივ ურთიერთობებში. სახელით ადამიანი ერთგვარად დაცულია სოციალური უგულებელყოფისგან. სახელი პიროვნულობის განუყოფელი ელემენტია. შესაბამისად, სახელის უფლება ზოგადი პიროვნული უფლების ერთ-ერთი გამოვლინებაა.[490] ამასთან, სახელი შეიძლება პირადი ცხოვრების დაცვის ფარგლებში მოექცეს და სახელის უფლების შელახვამ შესაძლებელია პირადი ცხოვრების უფლება ხელყოს.

ზემოგანხილულიდან გამომდინარე, სახელის უფლებას აქვს იდენტიფიკაციის, ინდივიდუალიზაციისა და ინდივიდუაციის ფუნქციები. პირის იდენტიფიკაცია გულისხმობს პირის იდენტობის გარკვევას. ინდივიდუალიზაციაში მოიაზრება სხვა პირებს შორის კონკრეტული პირის გამოცალკევება. ინდივიდუაცია კი პირის საქმიანობასთანაა დაკავშირებული და ეხება პირის განსხვავებას სხვა პირთაგან შრომის პროდუქტის (ნაწარმის) მიხედვით. აქ ხაზგასმულია ნაწარმის დამზადების სპეციფიკა, რომელიც თითოეულ პირს შეიძლება სხვადასხვანაირი ჰქონდეს. თუმცა სამივე მომენტი კერძო ცხოვრების სხვადასხვა ასპექტთან ასოცირდება: იდენტიფიკაცია უკავშირდება თვითგამორკვევას, ინდივიდუალიზაცია – ინდივიდუალურ ნიშნებსა და სხვა ინდივიდებისაგან განმარტოება-გამოცალკევებას, ხოლო ინდივიდუაცია – საკუთარი შემოქმედებითი საქმიანობის შედეგს. ამასთან, სსკ-ის მე-18 მუხლის 1-ლი ნაწილის მიხედვით, სახელის უკანონო სარგებლობამ შეიძლება შექმნას ხელმყოფი მოქმედების შეწყვეტის უფლების გამოყენების საფუძ-

[489] იხ. B. v. France, 1992 წლის 25 მარტის გადაწყვეტილება.

[490] იხ. თ. ნინიძე, სახელის უფლება, სსკ-ის კომენტარი, წ. I, თბ., 2002, 52.

ველი. ასევე, სახელის უფლების, როგორც აბსოლუტური უფლების, შელახვამ შეიძლება წარმოშვას დელიქტური ვალდებულება. მოცემულ შემთხვევაში თუ დადგა ქონებრივი ან/და არაქონებრივი ზიანი (სსკ-ის მე-18 მუხლის მე-6 ნაწილი), სამოქალაქო პასუხისმგებლობის წინაპირობების არსებობისას ის უნდა ანაზღაურდეს (სსკ-ის 992-ე მუხლი).[491]

3.4. პირადი გამოსახულება

პირადი გამოსახულების დაცვა აქტუალური გახდა ოტო ბისმარკის საქმიდან გამომდინარე: რამდენადაც ცნობილია, ფოტოგრაფებმა შეაღწიეს რა მის სახლში, კუბოში ჩასვენებულ გარდაცვლილ ბისმარკს გადაუღეს სურათები მემკვიდრის ნებართვის გარეშე. საქმე ისაა, რომ თანამედროვე ისტორიის სფეროდან პირის გამოსახულების გასავრცელებლად ან სურათის გადასაღებად არ იყო საჭირო თანხმობა,[492] მაგრამ მემკვიდრეები მოითხოვდნენ ამ სურათების განადგურებას. მართალია, ჯერ კიდევ სამოქალაქო კოდექსი ძალაში არ იყო შესული, თუმცა გერმანიის სასამართლოებმა მოახერხეს საკუთარ გამოსახულებაზე უფლების დაცვა. სახელდობრ, სასამართლომ დააკმაყოფილა მემკვიდრეთა მოთხოვნა; ფოტოგრაფების მოქმედება დააკვალიფიცირა ბინის ხელშეუხებლობის დარღვევად (სხვის მფლობელობაში მართლსაწინააღმდეგო შეღწევა), ვინაიდან მალულად შეიპარნენ იმ ოთახში, სადაც ბისმარკის ცხედარი ესვენა და ცხედარს ფოტოები გადაუღეს.[493] ამ კვალიფიკაციით სასამართლომ საკუთარი გამოსახულების დაცვის მხრივ არსებული ხარვეზი შეავსო და აღინიშნა, რომ ეს სიკეთეც დამოუკიდებელ დაცვას საჭიროებდა. სწორედ მოცემული საქმიდან გახდა აქტუალური პირადი გამოსახულების დაცვა.

მართალია, საქართველოს მოქმედ კანონმდებლობაში გამოსახულების უფლების შინაარსი არაა ნათლად წარმოდგენილი, მაგრამ საქართველოს უზენაესმა სასამართლომ ლოგიკურად განმარტა, რომ სსკ-ის მე-18 მუხლის მე-5 ნაწილით არაქონებრივ უფლებათა დაცვის ობიექტს

---

[491] იხ. მ. ბიჭია, პირადი ცხოვრების დაცვა საქართველოს სამოქალაქო სამართლის მიხედვით., თბ., 2012, 149-150.

[492] Chr. Peyer, Die Bildberichterstattung über Prominente im Spannungsfeld von Privatsphärenschutz und Pressefreiheit, unter besonderer Berücksichtigung der „Caroline von Hannover"-Entscheidung des EGMR und der Reaktionen in der deutschen Lehre, Seminar zum Thema: „Menschenrechtsschutz in Europa", Wintersemester 2006/2007, 9; ბისმარკის საქმეზე საუბრობენ, ასევე, შულცი და იურგენსი. იხ. W. Schulz, U. Jurgens, Das Recht am eigenen Bild _ Eine fall-orientierte Einführung in Struktur und aktuelle Probleme des Bildnisschutzes, JuS, Heft 7, 1999, 664.

[493] იხ. ლ. ჭანტურია, შესავალი საქართველოს სამოქალაქო სამართლის ზოგად ნაწილში, თბ., 2000, 191; აღნიშნულის შესახებ იხ. ასევე R. Schmidt, Schuldrecht Besonderer Teil II _ Gesetzliche Schuldverhältnisse, 1. Auflage, Grasberg bei Bremen, 2003, 208.

მიეკუთვნება პირის გამოსახულება.[494] ეს უკანასკნელი დაცულია ზოგადი ნორმებითა (სსკ-ის მე-18 მუხლი) და სპეციალური ნორმებით („საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ“ 47-ე მუხლი).[495] შესაბამისად, აუცილებელია, განისაზღვროს, როგორი შეიძლება იყოს გამოსახულების უფლების შინაარსი.

ზოგადად, გამოსახულებაში შეიძლება მოიაზრებოდეს კინოფილმში, ტელეგადაცემასა თუ ვიდეოფილმში ინდივიდის გამოსახულება, მხატვრული პორტრეტი, ფოტოსურათი, რომლითაც მისი ცნობა შეიძლება. ამასთან, საკუთარი გამოსახულების უფლების ობიექტი შეიძლება იყოს ინდივიდის თავისუფლება და არა მხატვრული ტილო ან ფოტოსურათი თუ კინოლენტი, რომლებიც განიხილება ფიზიკურ საგნად. აქ მოქმედებს პრინციპი – ინდივიდის გამოსახულების გამოქვეყნება მისი თანხმობით შეიძლება.[496] თუმცა ზოგჯერ გამოსახულებაში, ფართო გაგებით, იგულისხმება ფიზიკური პირის გარეგნობა, ფიზიკური მონაცემები, ტანსაცმელიც კი და სხვა ასპექტები, რომელთა აღქმა შესაძლებელია სპეციალური კვლევა-ძიების გარეშე.[497] ამასთან, საკუთარ გამოსახულებაზე უფლება შედის პირადი ცხოვრების უფლების პატივისცემის ძირითად უფლებაში (ადამიანის უფლებათა ევროკონვენციის კონვენციის მე-8 მუხლი). პირადი სფეროს გარანტია იცავს პირთა პიროვნების შეუფერხებელ განვითარებას სხვა ადამიანებთან ურთიერთობაში.[498]

საკუთარ გამოსახულებაზე უფლება შეიძლება შეილახოს გამოქვეყნებით. გამოქვეყნება, ეს არის ინდივიდის გამოსახულების საჯაროდ გამოტანა. თანხმობა გამოქვეყნებაზე შეიძლება განიხილებოდეს როგორც ცალმხრივი ნებართვა, ისე ხელშეკრულების ელემენტი. თუ პირი თანახმაა, გამოქვეყნდეს გამოსახულება შემხვედრი მოვალეობის გარეშე, ასეთი თანხმობა ცალმხრივი ნებართვაა (სსკ-ის მე-18 მუხლის მე-5 ნაწილი). თუმცა თანხმობა, როგორც ნების გამოვლინება, შეიძლება გაპროტესდეს, თუ პიროვნება მოტყუების გზით შეცდომაში შეიყვანეს. თანხმობა შეიძლება იყოს გამოთხოვილი, თუ გარემოებები ისე რადიკალურად შეიცვალა, რომ აღნიშნულმა კორესპონდენციამ შეიძლება მისი პიროვნული უფლებები ხელ-

---

[494] აქ განიხილება უფლება საკუთარ გამოსახულებაზე და არაა სწორად ობიექტის პრობლემა გაგებული.

[495] საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2011 წლის 14 ივნისის განჩინება (საქმე №ას-280-264-2011).

[496] იხ. თ. ნინიძე, პირადი არაქონებრივი უფლებები, სსკ-ის კომენტარი, წ. I, თბ., 2002, 65-66. თანხმობის აუცილებლობის შესახებ იხ. T. Hoeren, Internetrecht, 2005, 238.

[497] აღნიშნულზე იხ. თ. (პ.) მონიავა, სამოქალაქო სამართლის სუბიექტები, თბ., 2011, 119-120.

[498] N. Peters, Zur Pressefreiheit auf dem Prüfstand des deutschen Bundesverfassungsgerichts und des Europäischen gerichtshofs für Menschenrechte, Justiz in aller Welt, Betrifft JUSTIZ Nr. 83, September 2005, 162-163.

ყოს. რაც შეეხება თანხმობას, როგორც ხელშეკრულების ელემენტს, ფოტომოდელი უფლებამოსილია, გააპროტესტოს თანხმობა, თუ გამოსახულებაში მისმა ავტორმა დაამახინჯა ფოტომოდელის პიროვნულობა, ან გამოსახულება გამოიყენა ხელშეკრულების პირობებისაგან განსხვავებული მიზნით. თუმცა როცა გამოსახულების გამოქვეყნება უკავშირდება ინდივიდის მიმართ საჯარო ინტერესის არსებობას, მაშინ მისი თანხმობა გამოსახულების გამოსაქვეყნებლად საჭირო არაა. ინდივიდის მიმართ საჯარო დაინტერესებად შეიძლება განიხილებოდეს საზოგადოებრივი აღიარება, დაკავებული თანამდებობა, მართლმსაჯულების ან პოლიციის მოთხოვნები, სამეცნიერო, სასწავლო ან კულტურული მიზნები ან ფოტოგადაღება (ვიდეოგადაღება და ა. შ.) საზოგადო ვითარებაში. „საზოგადო ვითარებას" განეკუთვნება მოვლენები, რომლებიც საზოგადოების ლეგიტიმურ ინტერესს იწვევს. საზოგადო ვითარებაში წარმოდგენილი პიროვნება უნდა ასახავდეს მოვლენის მიზეზს, უნდა იყოს მისი მონაწილე ან მსხვერპლი. დანაშაულთან დაკავშირებით პირთა გამოსახულების გამოქვეყნება ეხება საზოგადოებრივი უშიშროების ინტერესებს; დასაშვებია ძებნილი თუ დამნაშავე პირთა გამოსახულების გამოქვეყნება, რაც აადვილებს დამნაშავის ძებნას. სიტუაცია იცვლება ეჭვმიტანილებთან დაკავშირებით. ასევე, თანხმობა არაა აუცილებელი, როცა პირმა პოზირებისთვის საზღაური მიიღო (სსკ-ის მე-18 მუხლის მე-5 ნაწილი).[499] თუმცა ბრალეულად ზიანის მიყენების შემთხვევაში სსკ-ის მე-18 მუხლის მე-6 ნაწილი ითვალისწინებს ზიანის ანაზღაურებას. აქ შეიძლება როგორც ქონებრივი, ისე არაქონებრივი ზიანი წარმოიშვას და სსკ-ის 992-ე მუხლით გათვალისწინებული შედეგები დადგეს.

საბოლოო ჯამში, პირადი გამოსახულების დაცვასთან დაკავშირებით უნდა დადგინდეს, ერთი მხრივ, არსებობს თუ არა უფლებამოსილი პირის თანხმობა მისი გამოსახულების გამოსაქვეყნებლად, მეორე მხრივ, გამოსახული პირი იყო საჯარო ფიგურა თუ კერძო პირი, რათა განისაზღვროს, რამდენად შეიძლება გამოსახულებას კავშირი ჰქონდეს საზოგადოებრივ ინტერესთან.[500] საჯარო ინტერესი გამორიცხავს ქმედების მართლწინააღმდეგობას.[501] საქმე შეიძლება კოლიზიურ ინტერესებს შორის ღირებულებითი კონფლიქტის არსებობას შეეხოს, რაც აწონ-დაწონის გზით უნდა გადაწყდეს.

---

[499] იხ. თ. ნინიძე, პირადი არაქონებრივი უფლებები, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წ. I, თბ., 2002, 66-69.

[500] N. Peters, Zur Pressefreiheit auf dem Prüfstand des deutschen Bundesverfassungsgerichts und des Europäischen gerichtshofs für Menschenrechte, Justiz in aller Welt, Betrifft JUSTIZ Nr. 83, September 2005, 161; <http://www.betrifftjustiz.de/Texte/BJ%2083_Peters.pdf> [11.09.10 19:25]

[501] Hannover v. Germany, 2012 წლის 7 თებერვლის გადაწყვეტილება (N2).

ამასთან, ფარული ვიდეოგადაღებისა და ვიდეოჩანაწერების გამოყენება დაუშვებელია, მართლმსაჯულებისა და თვით უფლებამოსილი პირის იდენტიფიკაციის ინტერესებიდან გამომდინარე, თუ ეს კანონს არ შეესაბამება. მოცემულ შემთხვევაში უნდა არსებობდეს პირის თანხმობა, ან ის მაინც უნდა შეატყობინონ, რომ მას გადაუღებენ. შესაბამისად, გამოსახულების უნებართვო სარგებლობისას შესაძლებელია პირმა ხელმყოფი მოქმედების შეწყვეტა ან მასზე უარის თქმა მოითხოვოს (სსკ-ის მე-18 მუხლის 1-ლი და მე-5 ნაწილები). ზოგადი ნორმების მიხედვით, საკუთარი გამოსახულების დაცვის უფლების შელახვამ კი შეიძლება წარმოშვას ქონებრივი ზიანი, რომელიც შეიძლება მოთხოვნილ იქნეს იმ მოგების სახით, რომელიც ხელმყოფს წარმოექმნა. ამასთან, გამოსახულების დაცვის უფლების შელახვით შესაძლებელია დადგეს არაქონებრივი ზიანიც. არამატერიალური ზიანის ანაზღაურება შეიძლება ქონებრივი ზიანის კომპენსირებისგან დამოუკიდებლად (სსკ-ის მე-18 მუხლის მე-6 ნაწილი). რაც შეეხება სპეციალურ კანონს, „საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ“ კანონის 59-ე მუხლი განასხვავებს საავტორო და მომიჯნავე უფლებების დაცვის ისეთ ღონისძიებებს, როგორიცაა ზიანის ანაზღაურება და კომპენსაციის გადახდა. ეს ორი მოთხოვნა შეიძლება ერთმანეთისგან დამოუკიდებლად არსებობდეს და ერთმანეთს არ განაპირობებდეს. სსკ-ის მე-18 მუხლის მე-6 ნაწილიდან გამომდინარეობს, რომ პირადი არაქონებრივი უფლებების დაცვა ხორციელდება, მიუხედავად ხელმყოფის ბრალისა. ბრალეულობის არსებობას არ ითვალისწინებს, ასევე, „საავტორო და მომიჯნავე უფლებების“ კანონის 59-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „ე“ პუნქტის, რომლის მიხედვით, პირს შეუძლია დამრღვევისგან მოითხოვოს ზიანის ანაზღაურებისა და შემოსავლის ჩამორთმევის ნაცვლად კომპენსაციის გადახდა.[502]

ამდენად, პირადი გამოსახულების დაცვა განიხილება ორი გაგებით: ა) იგი არის ინდივიდუალობის დაცვის უფლების ერთ-ერთი გარანტია და დგას სახელის დაცვის უფლების გვერდით[503]; ბ) ამასთან, საკუთარი გამოსახულების დაცვის უფლება მიიჩნევა პირადი საიდუმლოების დაცვის უფლების ერთ-ერთ იურიდიულ გარანტად, ვინაიდან მისი შელახვა ხშირად პირის ინტიმური ცხოვრებისა და ღირსების ხელყოფას იწვევს.[504]

---

[502] საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2011 წლის 14 ივნისის განჩინება (საქმე №ას-280-264-2011).

[503] საგულისხმოა, რომ გაუპატიურების 1992 წლის აქტი ხელს უშლის სექსუალური დანაშაულის მსხვერპლთა გამოსახულებისა თუ სახელის გამოქვეყნებას. იხ. Münch H., Der Schutz des Einzelnen vor Presseveröffentlichungen durch den Deutschen Presserat und die britische Press Complaints Commision, Eine Untersuchung zur Spruchpraxis unter besonderer Berücksichtigung des zivilrechtlichen Rechtsschutzes der Privatsphäre (Dissertation), Konstanz, 2001, 73

[504] იხ. თ. ნინიძე, პირადი საიდუმლოების დაცვის სამოქალაქო-სამართლებრივი გარანტიები, ჟურნ. „საბჭოთა სამართალი“, N1, 1977, 24.

მაგალითად, გამოსახულების დაცვის უფლებაც შეიძლება შეეხოს სქესის შეცვლას ან სხვა ფორმით გამოვლინდეს. ამ შემთხვევაში საკუთარი გამოსახულების დაცვის უფლება პირადი ცხოვრების ერთ-ერთ მხარედ განიხილება და ის ამავდროულად პირადი ცხოვრების დაცვის ფარგლებში ექცევა. შესაბამისად, აქ გადამწყვეტი როლი ენიჭება საკუთარი გამოსახულების გამოვლენის იმ ფორმას, რომელსაც პირადი ცხოვრების შელახვა შეუძლია. ამდენად, პირადი ცხოვრება შეიძლება აისახოს გამოსახულებაში, ვინაიდან გამოსახულების დამახინჯებულად ან არასწორად წარმოდგენით შეიძლება პირადი ცხოვრების ხელყოფაც. ამ შემთხვევაში განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ხელმყოფი მოქმედების შეწყვეტა, უფლების აღიარება, პირვანდელი მდგომარეობის აღდგენა (სსკ-ის მე-18 მუხლის 1-ლი, მე-2 და მე-5 ნაწილები), ქონებრივი თუ არაქონებრივი ზიანისთვის სამოქალაქო პასუხისმგებლობის დაკისრება (სსკ-ის მე-18 მუხლის მე-6 ნაწილი და 992-ე მუხლი).[505]

3.5. პირადი ცხოვრების საიდუმლოება

პირადი და კერძო ცხოვრების ცნებები ჩვეულებრივ ყოფით ურთიერთობებში, მეცნიერებაში, კანონმდებლობასა და პრაქტიკაში აღრეულია. მათი დაწვრილებითი ანალიზი ცხადყოფს, რომ კერძო ცხოვრება მხოლოდ საიდუმლოებამდე არ დაიყვანება. მასში, ამავე დროს, მოიაზრება ინდივიდუალობა, განმარტოება, ავტონომია... მართალია, კერძო სფეროში შემავალ ამ ასპექტებს აერთიანებს საიდუმლოების ცნება, რაც უმნიშვნელოვანესია კერძო ცხოვრების სამართლებრივი არსის წარმოსადგენად, მაგრამ მხოლოდ ის ვერ გადმოსცემს კერძო სფეროს სრულად.

პირადი ცხოვრება არის კერძო სფეროს შემადგენელი ნაწილი, რომელიც უშუალოდ პიროვნებასთანაა მჭიდროდ დაკავშირებული, ეხება სხეულებრივ და მორალურ მთლიანობას, უზრუნველყოფს პიროვნების ავტონომიას, განავითარებს ინდივიდუალობას. ამდენად, კერძო და პირად სფეროებს შორის გვარისა და სახის დამოკიდებულება არსებობს. ამასთან, ეს კომპონენტები შეიძლება დამოუკიდებლადაც არსებობდეს. კერძო ხასიათის ურთიერთობები უკავშირდება ადამიანთა შორის არასაჯარო საწყისებზე აგებულ ურთიერთობებს, რომლებში ჩარევაც დაუშვებელია. აქ საგულისხმოა, რომ მხოლოდ უფლებამოსილ პირს აქვს უფლება, გადაწყვიტოს, ვის რა გაუზიაროს საკუთარი პირადი ცხოვრებიდან.[506]

---

[505] იხ. მ. ბიჭია, პირადი ცხოვრების დაცვა საქართველოს სამოქალაქო სამართლის მიხედვით, თბ., 2012, 158-159.

[506] იქვე, 49-50, 121.

ასევე, პერსონალური მონაცემების დაცვის უფლება არის ერთ-ერთი სპეციალური პიროვნული უფლება, რომელიც პირის ინდივიდუალიზაციას ემსახურება. ამ გაგებით, პირადი სფეროს ერთ-ერთი ასპექტი სწორედ პერსონალური მონაცემებია. დღესდღეობით კერძო ცხოვრება ხშირად განიხილება მხოლოდ ინფორმაციულ ჭრილში, რითაც ხაზი ესმევა პირადი სფეროს მოცემული ნიშნის მნიშვნელობას.[507] კერძო ცხოვრება, ინფორმაციული გაგებით, ნიშნავს, რომ პირებს შეუძლიათ საკუთარი თავის შესახებ ინფორმაციის დაცვის, გაცემისა და ხელმისაწვდომობის გაკონტროლება.[508] პიროვნული მონაცემები განიხილება ფიზიკური პირების იდენტიფიცირების საშუალებად. პიროვნულ მონაცემთა შინაარსი არამატერიალური ბუნებისაა. პიროვნული მონაცემების მატარებელმა უნდა გადაწყვიტოს, შეიძლება თუ არა მონაცემები გადაეცეს სხვებს თუ გამრავლდეს. ამასთან, საქმე შეიძლება კოდირებასაც შეეხოს.[509]

საერთოდ, კერძო ცხოვრება ტექნოლოგიური მოვლენების ჭრილში სამ გარემოებას უკავშირდება: ა) მონაცემთა შექმნის გაზრდასა და დიდი რაოდენობის ანკეტური მონაცემების დაარქივებას; ბ) მონაცემთა შეგროვებისა და ექსპერტიზის გლობალიზაციას და გ) ამ მოვლენათა გამო ციფრული ინფორმაციის მართვისთვის ადეკვატური მექანიზმების არარსებობას. შესაბამისად, პირადი სფეროს შესახებ მსჯელობამ მნიშვნელოვანწილად გადაინაცვლა „ინფორმაციული კერძო ცხოვრების“ ჭრილში. ინფორმაციული კერძო ცხოვრება არის პირთა ან პირთა ჯგუფის ან დაწესებულების თუ ორგანიზაციის უფლება, განსაზღვროს, როდის, როგორ და რა ფორმით გააცნოს სხვებს საკუთარი თავი.[510]

საქართველოში ბოლო პერიოდში მიექცა ყურადღება პერსონალური მონაცემების დაცვის პრობლემას. აღნიშნული განპირობებული იყო საქართველოს კანონმდებლობის საერთაშორისო აქტებთან ჰარმონიზაციითა და საზოგადოებრივი ცვლილებებით. მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს კონსტიტუციისა და ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის კონკრეტული დებულებები იცავდა პერსონალურ მონაცემებს, არ იყო ეფექტური მისი

---

[507] იხ. მ. ბიჭია, პირადი ცხოვრების დაცვა საქართველოს სამოქალაქო სამართლის მიხედვით, თბ., 2012, 166.

[508] Chr. Beier, Autonomie, Privatheit und Selbstbestimmung (Proseminar Informationelle Selbstbestimmung, 21. August 2005, 8; R. Drüeke, M.A., phil. Karsten Weber, Mobile Internetdienste und Privatsphäre (Theoretische Überlegungen und empirische Daten zu einem vieldeutigen Konzept), Frankfurt (Oder), Nr. 10 – Dezember 2007, 22-23.

[509] M. Schemitsch, Identitätsdaten als Persönlichkeitsgüter (Dissertation), Darmstadt, 2004, 125.

[510] John T. Soma, J. Zachary Courson, John Cadkin, Corporate Privacy Trend: The "Value" of Personally Identifiable Information ("PII") Equals the "Value" of Financial Assets, Richmond Journal of Law & Technology, Volume XV, Issue 4, 5-6 <http://jolt.richmond.edu/v15i4/Article11.pdf> [07.09.10 20:47].

დაცვა. აუცილებელი იყო კერძოსამართლებრივ ნორმებშიც პერსონალური მონაცემების დაცვა, მით უმეტეს, საქართველოს კონსტიტუცია ძირითადი უფლების სახით ითვალისწინებდა კიდეც მას. სწორედ ამიტომ დაემატა სსკ-ს მე-18[1]-ე მუხლი, რომელიც შეეხება პერსონალური მონაცემების მიღების შესაძლებლობას.[511] აღნიშნულით პერსონალური მონაცემების დაცვა ამჯერად კერძოსამართლებრივ ფარგლებშიც მოექცა და საერთაშორისო განვითარების მოთხოვნებთან შესაბამისობაში მოვიდა[512].

პერსონალურ მონაცემთა წრე სხვადასხვა შეიძლება იყოს: პირის ანგარიში ბანკში, ჯანმრთელობის მონაცემები, გენეტიკური კოდი, პერსონალთან დაკავშირებული ცნობები, მალაზიაში სტუმრობის ჩვევები და „სექსუალური ინტერესები", რომლებიც მხოლოდ უფლებამოსილი პირის საქმეა.[513] ამავე ჯგუფს განეკუთვნება ფინანსური ინფორმაცია.[514] ასევე საქართველოში პერსონალური მონაცემები დაცულია ქვეკანონური აქტებით. აქ არსისმიერია ის, თუ რა ფორმით (კონტექსტში) შეიძლება გავრცელდეს ეს ინფორმაცია, ვინაიდან აღნიშნულს შესაძლოა პირადი ცხოვრების შელახვა მოჰყვეს.

დღევანდელ საზოგადოებაში პრაქტიკულად უმნიშვნელოვანესია ინფორმაციული კერძო ცხოვრების დაცვა. აშშ-ში 1974 წელს მიიღეს კერძო ცხოვრების შესახებ კანონი, რომელიც ემსახურებოდა კერძო სფეროს დაცვას სახელისუფლო ჩარევებისგან.[515] ეს კანონი იყო მცდელობა, განსაზღვრულიყო მტკიცე ბალანსი ხელისუფლების მოთხოვნილებას, შეაგროვოს (უთვალთვალოს) და გამოიყენოს პირადი ინფორმაცია, და ამ სახის ინფორმაციის კონტროლზე კერძო ინტერესს შორის.[516] მოცემულ კანონში ჩამოყალიბებული პრინციპები ემსახურება ნებისმიერ სახელმწიფოში ინფორმაციული თვითგამორკვევის უზრუნველყოფას, თუმცა დაშვებულია გამონაკლისები, რომლებიც ხელისუფლებას აძლევს საშუალებას, ჩაერიოს პირად ცხოვრებაში თვით ამ პირის თანხმობის გარეშე. ხელისუფლების უზურპაციის თავიდან ასაცილებლად კონგრესმა დაამატა პირობები

---

[511] იხ. ჯ. (თ.) მონიავა, პერსონალური მონაცემების მიღების უფლება სამოქალაქო სამართალში, ჟურნ. „ცხოვრება და კანონი", N2, 2009, 17.

[512] იხ. განმარტებითი ბარათი „სსკ-ში დამატების შეტანის შესახებ" საქართველოს 2008 წლის 14 მარტის №5919–I-ს კანონზე.

[513] იხ. W. Safire, Nosy Parker Lives, The New York Times, Sept. 23, 1999, 29.

[514] Fred H. Cate, The Privacy Problem, A broader view of information privacy and the costs and consequences of protecting it, First amendment center publication, Vol. 4 , No. 1, March 2003, 6.

[515] H. Hong, Dismanting the private Enforcment of the privacy act of 1974: Doe v. Chao, Akron Law Review, [38:71] 2005 (HONG.DOC 12/17/2004 12:05 PM), 72.

[516] Todd R. Coles, Does the privacy act of 1974 protect your right to privacy? an examination of Routine use exemption, THE AMERICAN UNIVERSITY LAW REVIEW, 1991, 965, 1001.

პირადი სფეროს დასაცავად, კერძოდ, პირს შეუძლია ხელისუფლების წინააღმდეგ განახორციელოს სამოქალაქო მოქმედებანი და სასამართლო აკრძალვა. აღნიშნული იძლევა ფულად-საკრედიტო სფეროში ზიანის არსებობისას კომპენსაციის მიღების უფლებას.[517]

თუმცა ზემოთ მოყვანილ ინტერესებს შორის ამ კანონით ბალანსი მაინც ვერ იქნა მიღწეული; პირიქით, კერძო ცხოვრების შესახებ კანონმა გაითვალისწინა ხელისუფლების სურვილი ინფორმაციის შეგროვება-გამოყენებასთან დაკავშირებით ინდივიდის კერძო ცხოვრების ხარჯზე. აქ საქმე ეხებოდა ხელისუფლების მხრიდან ტაქტიკურ სვლას, რომელიც ჩვეულებრივ გაამართლებდა ინფორმაციის არაკანონიერ გამოყენებას, რათა გაეხსნა პირადი ინფორმაცია ინდივიდის თანხმობის გარეშე. ამასთან, ამ კანონის მიზანი, დაეცვა პირადი ცხოვრება, ვერ იქნა მიღწეული მოცემული კანონით. თუმცა კონგრესმა აღიარა ინდივიდის უფლება კერძო ცხოვრების დაცვაზე პირადი ინფორმაციის ფარგლებში, მაგრამ არ შესწევდა ძალა, უზრუნველეყო მისი დაცვა.[518]

ამასთან, მართალია, ზოგჯერ შეიძლება დამქირავებელთა მხრიდან დაქირავებულის ტელეფონისა და ინტერნეტის გამოყენების კონტროლირება კანონიერი იყოს, თუმცა ამისთვის ის აუცილებლად განსაზღვრულ წინაპირობებს უნდა აკმაყოფილებდეს. როცა განმცხადებელი იყენებს ინტერნეტს, ტელეფონსა და ელექტრონულ ფოსტას კოლეჯის სამუშაო დროის პირობებში, დაუშვებელია აღნიშნული ტელეფონითა თუ ელექტრონული ფოსტით მისი პირადი ინფორმაციის შეგროვება-შენახვა, თუ ამ კონტროლის მომწესრიგებელი შიდა კანონი არ არსებობს და ეს ჩარევა არ იყო „აუცილებელი დემოკრატიულ საზოგადოებაში.“ წინააღმდეგ შემთხვევაში ასეთი ჩარევა კერძო ცხოვრებისა და კორესპონდენციების პატივისცემის უფლების ხელყოფაა.[519]

საბოლოო ჯამში პერსონალური მონაცემების დაცვასთან დაკავშირებით საქმე ეხება უფლებამოსილი პირის პირად საიდუმლოებას, რომელზეც, პირველ რიგში, სწორედ მას უნდა ჰქონოდა სრული წვდომის შესაძლებლობა. მოცემული უფლებამოსილება იმაში გამოიხატება, რომ განმცხადებელს აქვს უფლება, მიიღოს პირადი ხასიათის ინფორმაცია სრულად, რაც პოზიტიური ვალდებულების შესრულებას უკავშირდება, რათა არ დაირღვეს ევროკონვენციის მე-8 მუხლი.[520]

---

[517] H. Hong, Dismanting the private Enforcement of the privacy act of 1974: Doe v. Chao, Akron Law Review, [38:71] 2005 (HONGDOC 12/17/2004 12:05 PM), 80, 82-84, Doe v. Chao, 124 S. Ct. 1204, 1208-10, 2004 წლის 24 თებერვლის გადაწყვეტილება.

[518] Todd R. Coles, Does the privacy act of 1974 protect your right to privacy? an examination of Routine use exemption, THE AMERICAN UNIVERSITY LAW REVIEW, 1991, 1001-1002, <http://www.wcl.american.edu/journal/lawrev/40/coles.pdf?rd=1> [16.04.11 18:07]

[519] იხ. Copland v. United Kingdom, 2007 წლის 3 აპრილის გადაწყვეტილება.

[520] იხ. M.G v. the United Kingdom, 2002 წლის 24 სექტემბრის გადაწყვეტილება.

პირადი ცხოვრების უფლება, როგორც ძირითადი უფლება, კონსტიტუციურსამართლებრივი ხასიათისაა და ის კერძოსამართლებრივი ურთიერთობებში მოქმედებს არა უშუალოდ, არამედ ირიბად.[521] კერძო ურთიერთობების მომწესრიგებელი (ზოგადი) ნორმების განმარტება ძირითადი უფლებების გამოყენებით უზრუნველყოფს მათზე ძირითადი უფლებების არაპირდაპირ მოქმედებას.[522]

შესაბამისად, აუცილებელია განისაზღვროს, თუ რა ფორმით შეიძლება გამოვლინდეს პერსონალური მონაცემები, ვინაიდან ამ მონაცემების გავრცელებით შეიძლება პირადი ცხოვრება შეილახოს. აქ საქმე ეხება სფეროს, რომელიც უფლებამოსილ პირს ეკუთვნის, ამიტომ უპირველესია თვით ამ პირის კერძო ცხოვრების აღიარება (სსკ-ის მე-18 მუხლის 1-ლი ნაწ.). ამავე დროს, შესაძლებელია პირადი ინფორმაციის შეგროვება-შენახვის არამართლზომიერებისას მოქმედების შეწყვეტის მოთხოვნაც დადგეს, მაგრამ აღნიშნული არ გამორიცხავს ზიანის მიყენების შემთხვევაში ქონებრივი თუ არაქონებრივი ზიანის ანაზღაურებას (სსკ-ის 992-1008-ე მუხლები). ამდენად, პირადი ცხოვრების უფლება, თავისი არსით, უკავშირდება ღირსებას, პატივსა და საქმიან რეპუტაციას. სწორედ ამ სიკეთეების ღირებულებით ჭრილში განხილვას გადაჰყავს კვლევა სხვა საფეხურზე, რომელიც პირად ცხოვრებას უკავშირდება. ამ კონტექსტში კი პირადი ცხოვრების განსაკუთრებული სამართლებრივი ბუნება იკვეთება.[523]

3.6. საკუთრება

მესაკუთრის მდგომარეობა ხასიათდება იმით, რომ ის საკუთარი შეხედულებისამებრ იყენებს ნივთს და ყველამ უნდა გამორიცხოს მასზე ზემოქმედება. მესაკუთრის ამ უფლებამოსილებაში ჩარევა განიხილება, სსკ-ის 992-ე მუხლის მიხედვით, საკუთრების ხელყოფად. თუმცა ერთმანეთისგან უნდა გაიმიჯნოს საკუთრების შელახვის სხვადასხვა სახე. საკუთრების ხელყოფის ჯგუფთაგან ტიპური შემთხვევა შეიძლება გამომდინარეობდეს კეთილსინდისიერი შეძენიდან. ის, ვინც არაა უფლებამოსილი, მოძრავი ნივთები გამოიყენოს და კეთილსინდისიერ მესამე პირს საკუთრების უფლება გადასცეს, ხელყოფს საკუთრებას. საკუთრების უფლების

---

[521] კერძოსამართლებრივ ურთიერთობებში ძირითადი უფლებების არაპირდაპირი მოქმედების შესახებ იხ. A. Phirtskhalashvili, Schutzpflichten und die horizontale Wirkung von Grundrechten in der Verfassung Georgiens vom 24. August 1995, Berlin, 2010, 46-52.

[522] იხ. ლ. იზორია, ძირითადი უფლებების კონსტიტუციურსამართლებრივი დოქტრინა, წიგნში "საქართველოს კონსტიტუციის კომენტარი", თავი მეორე, საქართველოს მოქალაქეობა. ძირითადი უფლებები და თავისუფლებები, თბ., 2013, 18-19.

[523] დაწვრ. იხ. მ. ბიჭია, პირადი ცხოვრების დაცვა საქართველოს სამოქალაქო სამართლის მიხედვით, თბ., 2012, 166-172.

დარღვევა შეიძლება გამოიწვიოს როგორც უნებართვოდ განხორციელე ბულმა იძულებითმა ღონისძიებამ, ისე ხელისუფლების ორგანოთა მიერ საკუთრების აღწერამ. საკუთრების ხელყოფის ყველაზე გავრცელებული შემთხვევაა ნივთის განადგურება თუ დაზიანება.[524]

საკუთრების დაცვა უკავშირდება საკუთრების თავისუფლებას, რომელშიც, ასევე, გამოიხატება კერძო ავტონომია: ნივთის მესაკუთრეს შეუძლია, სურვილისამებრ განკარგოს იგი და ყველა სხვა პირი გამორიცხოს ამ ნივთზე ზემოქმედებისგან. საკუთრების თავისუფლება მხოლოდ მაშინ არსებობს, როცა ის კანონს ან მესამე პირთა უფლებებს არ ხელყოფს.[525]

სამოქალაქო სამართალში აღიარებული ცნების მიხედვით, საკუთრება „ნივთზე ბატონობის სამართლებრივად აღიარებული უფლებაა", ის გულისხმობს არა ფაქტობრივ მდგომარეობას, არამედ უფლებას. საკუთრება ნივთზე ბატონობის უფლებაა და გამოხატავს მხოლოდ ნივთისადმი პირის დამოკიდებულებას. საკუთრების ცნების ერთ-ერთი დამახასიათებელი ნიშანია მისი ერთიანობა, ხოლო მისი დაყოფა საკუთრების უფლების სუბიექტების, ობიექტებისა და შინაარსის მიხედვით ფაქტობრივად ნიშნავს ამ ფუძემდებლური ინსტიტუტის უარყოფას. საკუთრების ცნებისგან განსხვავებით, საკუთრების შინაარსი განიცდის ცვლილებას. გამოყოფენ მესაკუთრის პოზიტიურ და ნეგატიურ უფლებამოსილებებს. მესაკუთრის პოზიტიური უფლებამოსილების მიხედვით, მას შეუძლია, მოექცეს ნივთს თავისი სურვილისამებრ, ე. ი. აქ მოიაზრება განკარგვის უფლებამოსილება. რაც შეეხება ნეგატიურ უფლებამოსილებას, ის გულისხმობს მესაკუთრის უფლებას, გამორიცხოს მესამე პირთა ზემოქმედება ნივთზე.[526] გერმანული დოქტრინა ამოდის იმ საწყისიდან, რომ საკუთრების განსაზღვრება თავისუფალ სამოქალაქო საზოგადოებაში შეიძლება მხოლოდ ე. წ. „მესაკუთრის ნეგატიური უფლებამოსილების გზით", რომელიც გამოიხატება შესაძლებლობაში, გამორიცხოს სხვის მიერ საკუთრების გამოყენება. საკუთრების თავისუფლება მოიაზრებს საკუთრების უფლების შინაარსის განსაზღვრის აკრძალვას მესაკუთრის პოზიტიური უფლებამოსილებების ჩამოთვლის მეშვეობით. არც ერთ მესამე პირს არ შეუძლია, დაადგინოს, რომელი კონკრეტული მოქმედებების შესრულების უფლებამოსილება აქვს მესაკუთრეს საკუთარ საკუთრებასთან დაკავშირებით. მართალია, ქართულმა სამართალმა შეინარჩუნა „ტრიადის" კონცეფცია, მაგრამ მან მესაკუთრე აღჭურვა იმავე უფლებებით, რომლებსაც აძლევს გერმანული სამოქალაქო სამართალი. ამასთან, ქართულ სამართალში დარღვევის საფრთხე მე-

[524] იხ. M. Fuchs, W. Pauker, Delikts- und Schadenersatzrecht, 8. Auflage, Heidelberg, 2012, 19-20; M. Fuchs, Deliktsrecht, 4. Auflage, Heidelberg, 2003, 19-20.

[525] იხ. ლ. ჭანტურია, უძრავი ნივთების საკუთრება, მე-2 გამოცემა, თბ., 2001, 36-39.

[526] იქვე, 51-55, 59.

საკუთრეს ანიჭებს უფლებას, მოითხოვოს მხოლოდ განსაზღვრულ შემთხვევებში დაუშვებელი ხელყოფის წინააღმდეგ პრევენციული ღონისძიებების გატარება.[527]

3.7. ზოგადი პიროვნული უფლება და დელიქტური ვალდებულება

ცნობილია პიროვნული საწყისების დაცვის ორი გზა: სამოქალაქო სამართლის კანონმდებლობამ შეიძლება გაითვალისწინოს, ერთი მხრივ, ზოგადი პიროვნული უფლება, ხოლო, მეორე მხრივ, პირადი სიკეთეების სრული ჩამონათვალი, რომელთა წრეც უნდა დაექვემდებაროს numerous clausus-ის პრინციპს. საინტერესოა, თუ რომელ მიდგომას იზიარებს საქართველო. ეს აქტუალურია იმის გათვალისწინებით, რომ საქართველოს კანონმდებლობაში არ გვხვდება ტერმინი „ზოგადი პიროვნული უფლება", თუმცა დაცულია პიროვნების განვითარების თავისუფლება (საქართველოს კონსტიტუციის მე-16 მუხლი), რომელიც მოიცავს ზოგად პიროვნულ უფლებასა და საქმიანობის საყოველთაო თავისუფლებას. ეს უკანასკნელნი ერთობლივად ადამიანის ცხოვრებისა და საქმიანობის აბსოლუტურ, სრულ დაცვას უზრუნველყოფს.[528] თვით ზოგადი პიროვნული უფლება სამოსამართლო სამართალმა აღიარა სამოქალაქო კოდექსში იდეალური ინტერესების დაცვის მხრივ არსებული ხარვეზის შევსების მიზნით.[529] გსკ-ი თვითონ არ შეიცავს ზოგადი პიროვნული უფლების ინსტიტუტს, თუმცა გერმანიის კონსტიტუციის 1-ლი მუხლი იცავს ადამიანის ღირსებას, ხოლო მე-2 მუხლი — პიროვნების თავისუფალ განვითარებას. რაც შეეხება შვეიცარიას, ლიხტენშტეინსა და ავსტრიას, ამ ქვეყნების სამოქალაქო კანონმდებლობაშია განმტკიცებული ზოგადი პიროვნული უფლება.[530]

უნდა აღინიშნოს, რომ ზოგადი პიროვნული უფლება იცავს ადამიანის ცხოვრებისა და საქმიანობის იმ სფეროებს, რომლებიც სპეციალური ძირითადი უფლებებით არ არის უზრუნველყოფილი. ამ გაგებით, ზოგად პიროვნულ უფლებას ხშირად მოიხსენიებენ „უხილავ, დაუწერელ ძირითად უფლე-

---

[527] Е. Курзински-сингер, Т. Зарандия, Рецепция немецкого вещного права. В «Вестник гражданского права». Иностранная наука частного права. №1. Т. 12, 2012, 226-227.

[528] კ. კუბლაშვილი, ძირითადი უფლებები, მე-2 გამოცემა, თბ., 2010, 93, 104.

[529] იხ. CH. Üsseler, Einwirkungen der Grundrechte auf das Schadenersatzrecht (Dissertation), Wuppertal, 2008, 73. ამას ადასტურებს ევროსასამართლოს მდიდარი პრაქტიკა: BGH, NJW 1996-Caroline von Monaco-Entscheidung II; EuGHMR 2004-VI - Von Hannover gegen Deutschland (განაცხადი N59320/00); EuGHMR (große Kammer) 2006/11/07-Jalloh gegen Deutschland (განაცხადი N54810/00); 1998 წლის 14 იანვრის პირველი სენატის გადაწყვეტილება, 1 BvR 1861/93,1 BvR 1864/96, 1 BvR 2073/97; BGHZ 1954- Schacht-Entscheidung ...

[530] *M. Th. Frick*, Persönlichkeitsrechte, Beiträge, Liechtenstein-Institut, Forschung und Lehre, Nr. 5, Liechtenstein, 1996, 7-8.

ბად,"[531] რომელსაც სამოსამართლო სამართალმა უწოდა „დანარჩენი უფლებ" (sonstiges Recht). მას ახასიათებს ზოგადი ნორმის განუსაზღვრელობა, რის გამოც ის განიხილება ჩარჩოუფლებად. თავის მხრივ, ზოგად პიროვნულ უფლებაში მოიაზრება პირის უფლებამოსილება, დამოუკიდებლად დააღგინოს ობიექტურად შეზღუდული სფეროები, განსაზღვროს, დასაშვებია თუ არა და რა მოცულობით მის შესახებ ინფორმაციის მიღება-გავრცელება, პიროვნული ინტერესების ხელყოფა.[532] საქართველოში ზოგადი პიროვნული უფლება კონსტიტუციის ცალკეული მუხლებით აღიარებული ძირითადი უფლებების, მაგალითად, კერძო ცხოვრების ხელშეუხებლობისა და ინფორმაციული თვითგამორკვევის უფლებების საფუძველია. ამასთან, ზოგადი პიროვნული უფლების ცნება მოიცავს მთელ რიგ უფლებებს, რომლებიც პიროვნების თავისუფალი განვითარების უფლებას აკონკრეტებს ადამიანის ცხოვრებისა და საქმიანობის სხვადასხვა სფეროთა მიხედვით.[533] თვით გერმანიის სასამართლო პრაქტიკა ცხადყოფს, რომ ზოგადი პიროვნული უფლება პირადი სფეროს სამოქალაქოსამართლებრივი დაცვის საფუძველია.[534]

რამდენადაც ცნობილია, პიროვნულ სიკეთეთა რიცხვი უსაზღვროა და პიროვნების შესაძლო უკანონო ხელყოფების წრეც არასოდეს იქნება სრული; ამ ხარვეზების შევსების („განსაკუთრებული კარის") ფუნქცია ზოგად პიროვნულ უფლებას აკისრია ძირითადი უფლებებისთვის, რომლებიც ზოგად პიროვნულ უფლებაში აისახება და კერძო პირთა შორის ურთიერთობაში გამოიყენება.[535] მართალია, თითქოს საქართველომ გაიზიარა პიროვნულ უფლებათა სიმრავლის თეორია, თუმცა თუ აღნიშნული იდეა ვერ უზრუნველყოფს პიროვნების ინტერესთა ყოველმხრივ დაცვას და მიმართულია სამართლის ნორმათა ოდენობის გაზრდისკენ, შესაძლებელია სამოსამართლო სამართლის მეშვეობით ზოგადი პიროვნული უფლების აღიარება,[536]

---

[531] ჯ. ქუბლაშვილი, ძირითადი უფლებები, მე-2 გამოცემა, თბ., 2010, 104.

[532] იხ. H. Ehmann, Zur Struktur des allgemeinen Pers nlichkeitsrechts, in: JuS 1997/3. 193, 195-196.

[533] ჯ. ქუბლაშვილი, ძირითადი უფლებები, მე-2 გამოცემა, თბ., 2010, 96-97, 104.

[534] BGHZ 1954.25.05- Schacht-Entscheidung; BGHZ 1958.14.02- Herrenreiter-Entscheidung; BGHZ 1958.20.05 - Tonband-Entscheidung; BGH, Soraya-Entscheidung, NJW 1965, 685 f. აღნიშნულზე ასევე იხ. H. Münch, Der Schutz des Einzelnen vor Presseveröffentlichungen durch den Deutschen Presserat und die britische Press Complaints Commision, Eine Untersuchung zur Spruchpraxis unter besonderer Berücksichtigung des zivilechtlichen Rechts-schut-zes der Privatsphäre (Dissertation), Konstanz, 2001, 109.

[535] იხ. *M. Th. Frick*, Persönlichkeitsrechte, Beiträge, Liechtenstein-Institut, Forschung und Lehre, Nr. 5, Liechtenstein, Für-stentum Liechtenstein, 1996,6-7, <http://www.liechtenstein-institut.li/Portals/11/pdf/lib/LIB_5.pdf>, [27.04.09]; CH. Üsseler, Einwirkungen der Grundrechte auf das Schadenersatzrecht (Dissertation), Wuppertal, 2008, 73.

[536] პიროვნული ინტერესების ორი გზის შესახებ იხ. В. Суховерхий, О развитии гражданскоправовой охраны личных неимущественных прав и интересов граждан. «правоведение». №3. 1972, 29-31.

რაც ასევე სსკ-ის 992-ე მუხლით მიიღწევა ნორმის უნივერსალურობის გამო.

საქმე ისაა, რომ ზოგადი პიროვნული უფლება ადამიანის ღირსების დაცვის ცნებიდან გადის და პიროვნების თავისუფალი განვითარების უფლების ცნების სფეროში გადადის. ზოგადი პიროვნული უფლება არის ღირსების პატივისცემისა და ინდივიდის განვითარების უფლებისგან ნაწარმოები უფლება, რომელიც როგორც სახელმწიფოსა და მის ორგანოებს, ისე კერძოსამართლებრივ მოქმედებებში თითოეულ პირს აკისრებს პატივისცემის მოვალეობას.[537]

როგორც ჩანს, პიროვნული უფლებების ძირითადი ნიშნები გამოიხატება როგორც უფლების აღიარებაში, ისე უფლებაში, არ ხელყო პიროვნება. აღნიშნულთან დაკავშირებით, ერთი მხრივ, მნიშვნელოვანია პირის უფლება ცხოვრებაზე, ფიზიკურ და ფსიქიკურ ხელშეუხებლობაზე, თავისუფლებასა და პატივისცემაზე, ხოლო, მეორე მხრივ, ის, რომ ადამიანის ინდივიდუალობა უნდა იყოს დაცული.[538] ზოგადი პიროვნული უფლება პირველადი უფლებაა, რომლიდანაც განსაკუთრებული (სპეციალური) პიროვნული უფლებები გამომდინარეობს.[539] განსაკუთრებული პიროვნული უფლებებია სახელის, ავტორობის, პიროვნული მონაცემებისა და პატივის დაცვის უფლებები.[540] ამასთან, ზოგადი პიროვნული უფლების მხარეებია გამოსახულების, საიდუმლოების, თვითგანვითარების დაცვის უფლებები.[541] ამდენად, სახელის, პატივის, პერსონალური მონაცემების (და სხვა სიკეთეთა) დაცვის უფლებები ზოგადი პიროვნული უფლების გამოვლინებანია, რაც ლოგიკის მოთხოვნებს პასუხობს.[542] სსკ-ში დაცულია სახელი, საპასუხო სიტყვის გამოთქმა და საკუთარი გამოსახულება, რომლებშიც შეიძლება ზოგადი პიროვნული უფლება გამოვლინდეს. საქართველოს კონსტიტუცია იცავს საკუთარი პიროვნების განვითარების უფლებას, რომლის ერთერთი ელემენტია ზოგადი პიროვნული უფლება. ამდენად, საქართველოს

---

[537] იხ. K. Wasserburg, Der Schutz der Persönlichkeit im Recht der Medien, Heidelberg, 1988, 51, 53-54.

[538] *M. Th. Frick*, Persönlichkeitsrechte, Beiträge, Liechtenstein-Institut, Forschung und Lehre, Nr. 5, Liechtenstein, Für-stentum Liechtenstein, 1996, 5.

[539] K. Wasserburg, Der Schutz der Persönlichkeit im Recht der Medien, Heidelberg, 1988, 49, 52.

[540] F. Wittern, Das Verhältnis von Right of Privacy und Persönlichkeitsrecht zur Freiheit der Massenmedien (Eine rechts-vergleichende Darstellung des Verhältnisses von Right of Privacy und Persönlichkeitsrech zu der Redefreiheit in den Vereinigten Staaten von Amerika und der Presse- und Rundfunkfreiheit in Deutschland), (Dissertation), Hamburg, 2004, 154.

[541] H. Ehmann, Zur Struktur des allgemeinen Persönlichkeitsrechts, in: JuS 1997/3, 194-195, 197-201.

[542] ეს შეესაბამება წინაალმდეგობის და საკმაო საფუძვლის კანონებს. იხ. ლ. ბაჭრაძე, ლოგიკა, თბ., 1954, 427-428, 434-435.

კანონმდებლობაში ზოგადი პიროვნული უფლების არსებობა მისი სიღრმისეული ანალიზის შემდგომ შესაძლებელია უზოგადესი ცნებისა („პიროვნების თავისუფალი განვითარება") და სპეციალური გამოვლინებების („სახელი, გამოსახულება, პერსონალური მონაცემები...") შესწავლის საფუძველზე. შესაბამისად, საქართველოს კანონმდებლობა იცავს განსაკუთრებულ პიროვნულ უფლებებს, რომლებშიც შეიძლება აისახოს ზოგადი პიროვნული უფლების ესა თუ ის მხარე. ამასთან, როცა არაა პიროვნული უფლებები ყოველმხრივ დაცული, მიზანშეწონილია ზოგადი პიროვნული უფლების აღიარება.[543]

ასევე საგულისხმოა, რომ პიროვნული უფლების შინაარსი ვრცელდება ეკონომიკურ სფეროზეც.[544] ეკონომიკური ღირებულება აქვს გამოსახულებას, სახელს, სხვა ინდივიდუალურ ნიშნებს, როგორიცაა ხმა.[545] აღნიშნული ცხადყოფს, რომ კერძო ცხოვრების ქონებრივი საწყისები არის სამართლებრივი რეგულირების ფარგლებში მოქცეული.

რამდენადაც ცნობილია, განასხვავებენ ზოგად პიროვნულ უფლებას, როგორც ძირითად უფლებას და ზოგად პიროვნულ უფლებას, როგორც აბსოლუტურ (სამოქალაქო) უფლებას.[546] თუმცა როცა ზოგადი პიროვნული უფლება განიხილება ძირითად უფლებად, მაშინ მოიაზრება, რომ ის მიმართულია სახელმწიფო ხელისუფლების შებოჭვისკენ. ამასთან, ზოგადი პიროვნული უფლება, როგორც კერძოსამართლებრივი უფლება, გამოიყენება ინდივიდებს შორის ურთიერთობაში. საქმე ისაა, რომ ძირითადი უფლებები ეხება სახელმწიფოსა და ინდივიდს შორის ურთიერთობას. შესაბამისად, მისი მიზანია, შებოჭოს საჯარო ხელისუფლება პირის ძირითადი უფლებებისა და თავისუფლებების უზრუნველსაყოფად. ამასთან, ძირითადი უფლებები მოქმედებს „მესამე პირის" მიმართაც, უფრო ზუსტად რომ აღინიშნოს, კერძოსამართლებრივი ურთიერთობების მოსაწესრიგებლადაც. თუმცა ამ ურთიერთობებში ძირითადი უფლებები მოქმედებს არა უშუალო, არამედ გაშუალებულად, ირიბი ფორმით.[547] სსკ-ი

[543] დაწვრ. აღნიშნულთან დაკავშირებით იხ. მ. ბიჭია, კერძო ცხოვრების ცნების მოცულობა საქართველოს კანონმდებლობისა და სასამართლო პრაქტიკის მიხედვით, „სამართლის ჟურნალი", N1, 2011, 76-79.

[544] K. Wasserburg, Der Schutz der Persönlichkeit im Recht der Medien, Heidelberg, 1988, 53; Karl-Heinz Fezer, Kommerzialisierung des Persönlich-keit, (vorgelegt von Claudia Beuter) (Dissertation), 2000, 78-79.

[545] ამის დასტურია BGH, NJW 2000, 2195-Marlene-Dietrich-Entscheidung ÖÐ BGH, NJW 2000, 2201-Blaue-Engel-Entscheidung.

[546] H. Ehmann, Der Begriff des Allgemeinen Persönlichkeitsrechts als Grundrecht und als absolut-subjektives Recht, In: Festschrift für Apostolos Georgiades, Athen; München, 2005, 113-141; იხ. ჰ. ეჰმანი, ზოგადი პიროვნული უფლების, როგორც ძირითადი უფლებისა და აბსოლუტური უფლების, ცნება (გერმანულიდან თარგმნა და წინასიტყვაობა დაურთო სამ. დოქტორმა მ. ბიჭიამ), „სამართლის ჟურნალი", N2, 2013, 217-240.

[547] იხ. A. Phirtskhalashvili, Schutzpflichten und die horizontale Wirkung von Grundrechten in der Verfassung Georgiens vom 24. August 1995, Berlin, 2010, 46-52.

ღირებულებითი წესრიგის საზომად ასახელებს საქართველოს კონსტიტუციას (სსკ-ის მე-2 მუხლი). ამდენად, კონსტიტუცია განსაზღვრავს კერძო სამართლის განვითარებისთვის აუცილებელ ფარგლებს. ასევე, ძირითადი უფლებები კერძოსამართლებრივი ურთიერთობებში უშუალოდ ვერ მოქმედებს, ვინაიდან ძირითადი უფლებების ერთ-ერთი ადრესატი ყოველთვის სახელმწიფოა, კერძოსამართლებრივ ურთიერთობებში კი კერძო უფლების ადრესატი არის კერძო პირი. ამდენად, კონსტიტუციით განმტკიცებული ძირითადი უფლებები არაპირდაპირ მოქმედებს კერძო სამართალში.[548] ძირითადი უფლებები სამოქალაქო სამართალში გამოიყენება არაპირდაპირ ნორმების, განსაკუთრებით ზოგადი ცნებების, განმარტების პროცესში, ვინაიდან ამ დროს ეს მოვლენები აიხსნება ძირითად უფლებებზე დაყრდნობით.[549] ამდენად, ძირითადი უფლებების მოქმედება კერძოსამართლებრივ ურთიერთობებში ვერ იქნება პირდაპირი, მაგრამ მათი მომწესრიგებელი ნორმების განმარტება ძირითადი უფლებების გამოყენებით უზრუნველყოფს მათზე ძირითადი უფლებების ირიბ მოქმედებას.[550] ზოგადი ხასიათისაა გენერალური დელიქტი (სსკ-ის 992-ე მუხლი), რომლის დახმარებითაც შეიძლება ძირითადი უფლებების არაპირდაპირ გამოყენება კერძოსამართლებრივ ურთიერთობებში.

ამდენად, საყურადღებოა სიკეთეთა დაცვა დელიქტური სამართლით. ცნობილია, რომ ქონებრივი ზიანი ანაზღაურდება მხოლოდ იმ პიროვნული სიკეთეების შელახვისას, რომლებიც სსკ-ის მე-18 მუხლშია ჩამოთვლილი.[551] თუმცა სსკ-ის 992-ე მუხლით დადგენილია, რომ დელიქტურია ზიანი, რომელიც მხოლოდ მართლსაწინააღმდეგო და ბრალეული ქმედებითაა გამოწვეული. შესაბამისად, ზიანის მიყენებისთვის პირს სამოქალაქო პასუხისმგებლობა დაეკისრება, თუ ზიანი, ქმედების მართლწინააღმდეგობა, ამ ქმედებასა და ზიანს შორის მიზეზობრივი კავშირი და ბრალი კუმულაციურად არსებობს. მოცემულ პირობათა ერთობლიობა ქმნის იურიდიულ შემადგენლობას „გენერალური დელიქტის“ სახით.[552] აღნიშნული ნორმის

---

[548] აღნიშნულის შესახებ იხ. ლ. ჭანტურია, სამოქალაქო სამართლის ზოგადი ნაწილი, თბ., 2011, 82-84

[549] G. Bachmann, Nationales Privatrecht im Spannungsfeld der Grundfreiheiten, In: Archiv für die civilistische Praxis, Herausgegeben von R. Borck, J. Taupitz, G. Wagner, 210. Bd., Heft 3/4, August, Tübingen, 2010, 437-438.

[550] იხ. ლ. იზორია, ძირითადი უფლებების კონსტიტუციურსამართლებრივი დოქტრინა, წიგნში „საქართველოს კონსტიტუციის კომენტარი“, თავი მეორე, საქართველოს მოქალაქეობა. ძირითადი უფლებები და თავისუფლებები, თბ., 2013, 18-19.

[551] იხ. თ. ნინიძე, პირადი არაქონებრივი უფლებები, სსკ-ის კომენტარი, წ. I, თბ., 2002, 71.

[552] იხ. შ. ჩიკვაშვილი, დელიქტური ვალდებულებები სამოქალაქო სამართალში, თსუ-ის იურიდიული ფაკულტეტის 80 წლისთავისადმი მიძღვნილ საიუბილეო კრებულში: „სახელმწიფოსა და სამართლის აქტუალური პრობლემები“, თბ., 2003, 184.

ზოგადი ხასიათის გამო შესაძლებელია „სხვა“ უფლებების[553] დაცვა, რომლებიც კანონში არაა პირდაპირ ასახული. ეს უკავშირდება ზოგადი პიროვნული უფლების არსს. ამდენად, 992-ე მუხლი იძლევა სსკ-ის მე-18 მუხლით პირდაპირ გაუთვალისწინებელ სიკეთეთა დაცვის საშუალებას. შესაბამისად, საქართველოში ზოგადი პიროვნული უფლების დაცვა შესაძლებელია დელიქტური სამართლის ნორმებისა (სსკ-ის 992-ე და შემდგომი მუხლები) და სსკ-ის მე-18 მუხლის გამოყენებით, რაც ეფუძნება საკუთარი პიროვნების განვითარების ზოგად თავისუფლებას (საქ. კონსტიტუციის მე-16 მუხლი). პიროვნული უფლებების დაცვის ეს ხერხი კიდევ უფრო მნიშვნელოვანია, ვინაიდან პიროვნება მუდმივად ვითარდება და ამიტომ ამოუწურავი სფეროა. შესაბამისად, პიროვნებას ყოველმხრივ დაიცავს, გარდა სსკ-ის მე-18 მუხლისა, ზოგადი პიროვნული უფლება დელიქტური სამართლის ნორმებით. ეს უფლება უზრუნველყოფს ასევე პირადი ცხოვრების იმ გამოვლინებებს, რომელთა დაცვის აუცილებლობაც შეიძლება დადგეს მომავალში.[554] ამიტომ უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოს კანონმდებლობაში ჩანს ზოგადი პიროვნული უფლების არსებობის ნიშნები.[555]

ამდენად, ფაქტობრივად საქართველოს სამოქალაქო სამართლის კანონმდებლობა, განსხვავებით გერმანული სამოქალაქო სჯულდებისა, პიროვნულ უფლებებს იცავს როგორც ზოგადი დებულებებით (სამოქალაქო სამართლის ზოგად ნაწილში), ისე დელიქტური სამართლის ნორმებით. სამოქალაქო სამართლის ზოგადი ნაწილით ჩამოთვლილია პირადი არაქონებრივი უფლებები, რომლებიც სინგულარულ პრინციპზეა აგებული, ხოლო პიროვნული სიკეთეები, უნივერსალური ხასიათის გამო, გენერალური დელიქტით ფართოდაა დაცული. შესაბამისად, ის პიროვნული სიკეთეები, რომლებიც სსკ-ის მე-18 მუხლში არაა გათვალისწინებული, დაცულია დელიქტური სამართლით. ეს ქმნის პიროვნების სრულყოფილად უზრუნველყოფის მექანიზმს.

---

[553] სხვა უფლებებად მოიაზრებენ სახელის უფლებასა და უფლებას ფირმაზე, ზოგად პიროვნულ უფლებას, საკუთარ გამოსახულებაზე უფლებას, პიროვნულ პატივზე უფლებას, საკუთარ წარმოებაზე უფლებას, საზოგადოების ან გაერთიანების წევრობას, სპატენტო უფლებას, საავტორო და საეჭრო ნიშნებზე უფლებებს. იხ. K. Schnellhammer, Schuldrecht nach Anspruchsgrundlagen, samt BGB Allgemeiner Teil, 9. Auflage, Heidelberg, München, Landsberg, Frechen, Hamburg, 2014, 546.

[554] იხ. მ. ბიჭია, პირადი ცხოვრების დაცვა საქართველოს სამოქალაქო სამართლის მიხედვით, თბ., 2012, 129, 187-188.

[555] იხ. ჯ. ეკმანი, ზოგადი პიროვნული უფლების, როგორც ძირითადი უფლებისა და აბსოლუტური უფლების, ცნება (გერმანულიდან თარგმნა და წინასიტყვაობა დაურთო სამ. დოქტორმა მ. ბიჭიამ), „სამართლის ჟურნალი“, N2, 2013, 217-219.

4. გენერალური დელიქტიდან წარმოშობილი ქონებრივი და არაქონებრივი ზიანის ანაზღაურების მოთხოვნები

სსკ-ის 992-ე მუხლის თანახმად, დელიქტურია ზიანი, რომელიც მხოლოდ მართლსაწინააღმდეგო და ბრალეული ქმედებითაა გამოწვეული. ამიტომ ზიანის მიყენებისთვის პირს სამოქალაქო პასუხისმგებლობა დაეკისრება, თუ ზიანი, ქმედების მართლწინააღმდეგობა, ამ ქმედებასა და ზიანს შორის მიზეზობრივი კავშირი და ბრალი კუმულაციურად არსებობს. სწორედ აღნიშნულ წინაპირობათა ერთობლიობა ქმნის იურიდიულ შემადგენლობას, რომელიც „გენერალურ დელიქტად" იწოდება.[556] დელიქტური პასუხისმგებლობის ზოგადი საფუძვლები ვრცელდება როგორც ქონებრივი, ისე არაქონებრივი ზიანის მიმართ. თუმცა გარკვეულ გამონაკლის შემთხვევებში პირს შეიძლება დაევალოს ზიანის ანაზღაურება, მიუხედავად ბრალეულობისა.[557]

ზიანის მიყენების შემთხვევაში შეიძლება ქონების შემცირებისა თუ პიროვნული სიკეთეების შელახვას მოჰყვეს როგორც ქონებრივი, ისე არაქონებრივი ზიანის ანაზღაურების მოთხოვნები, რომლებიც სამოქალაქო-სამართლებრივი პასუხისმგებლობის კომპლექსურობით ხასიათდება.[558] უპირველეს ყოვლისა, ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის დაკმაყოფილებისთვის აუცილებელია თვით ზიანის არსებობა. ზიანი პირის ნების გარეშე მისი ქონებრივი და არაქონებრივი ინტერესების ხელყოფაა, რისი ანაზღაურებაც აღიარებულია ბრუნვის წეს-ჩვეულებებით და შეზღუდული არაა კანონმდებლობით. როგორც სსკ-ში, ისე განვითარებული ქვეყნების კანონმდებლობაში ერთმანეთისგან გამიჯნულია ქონებრივი და არაქონებრივი ზიანი,[559] რომლებიც დაწვრილებით იქნება განხილული ქვემოთ წარმოდგენილ ქვეპუნქტებში.

---

[556] იხ. შ. ჩიკვაშვილი, დელიქტური ვალდებულებები სამოქალაქო სამართალში, თსუ-ის იურიდიული ფაკულტეტის 80 წლისთავისადმი მიძღვნილ საიუბილეო კრებულში: „სახელმწიფოსა და სამართლის აქტუალური პრობლემები", თბ., 2003, 184.

[557] არაბრალეული პასუხისმგებლობა დგება მომეტებული საფრთხის დროს. სხვა დელიქტური ვალდებულებების წინაპირობებთან დაკავშირებით დაწვრილებით იქნება მიმოხილული კონკრეტული დელიქტური ვალდებულებების შესახებ პარაგრაფებში.

[558] В. Варкалло. Об Ответственности по гражданскому праву (возмещение вреда _ функции, виды, границы). Перевод с польского В. Залеского. М., 1978, 77, 48, 69-70, 105-106.

[559] ციულისტიკაში ზარალის ორი სახის (ზიანისა და დანაკლისის) შესახებ იხ. შ. ჩიკვაშვილი, პასუხისმგებლობა მორალური ზიანისთვის, თბ., 2003, 23.

4.1. ქონებრივი ზიანის ანაზღაურება

ა. ქონებრივი ზიანის ანაზღაურების მოთხოვნა

ა.ა. ქონებრივი ზიანი

ქონებრივი ზიანი არის არა მხოლოდ დაზარალებულის ქონებრივი აქტივების შემცირება, არამედ პასივების გაზრდაც.[560] სამართალდარღვევის მატერიალური (ეკონომიკური) შედეგი (ქონების შემცირება), რომელსაც ღირებულებითი ფორმა აქვს, სამოქალაქო სამართალში არის ქონებრივი ზიანი.[561] თუმცა ქონებრივი ზიანი წარმოიშობა არა მხოლოდ ქონების შემცირების შედეგად, არამედ პიროვნებისთვის ზიანის მიყენებასაც შეიძლება ჰქონდეს ქონებრივი ხასიათი[562]. ამასთან, დროის განსაზღვრულ მონაკვეთში ზიანს შეიძლება მხოლოდ არაქონებრივი ხასიათი ჰქონდეს და შემდეგ შეიძინოს მან ქონებრივი სახე. შესაბამისად, ზიანის ბუნება დამოკიდებულია იმაზე, მოეპოვება თუ არა ზიანის შედეგს ფულადი ეკვივალენტი.[563]

ამდენად, ქონებრივი ზიანის მიყენების დროს სამოქალაქოსამართლებრივი პასუხისმგებლობა გამოიხატება დაზარალებულის ქონებრივი მდგომარეობის აღდგენაში სამართალდამრღვევის ქონების შემცირების ხარჯზე. შესაბამისად, პასუხისმგებლობის ზომა ზიანის პროპორციულია. თუმცა, თუ სამართალდამრღვევის უარყოფითი შედეგები გამოვლინდა დაზარალებულის სულიერ ტანჯვასა და განცდებში, სამოქალაქოსამართლებრივი პასუხისმგებლობის დაკისრება ვერ იქნება მიმართული დაზარალებულის ქონებრივი მდგომარეობის აღდგენისკენ, რადგან ამ შემთხვევაში ზიანის ზუსტი შეფასება შეუძლებელია.[564]

სსკ-ის 408-ე მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, „იმ პირმა, რომელიც ვალდებულია აანაზღაუროს ზიანი, უნდა აღადგინოს ის მდგომარეობა, რომელიც იარსებებდა, რომ არ დამდგარიყო ანაზღაურების მავალდე-

---

[560] აღნიშნულთან დაკავშ. იხ. ზ. ძლიერიშვილი, სატრანსპორტო საშუალების ექსპლოატაციის შედეგად დამდგარი ზიანის ანაზღაურება, „სტუდენტური სამართლებრივი ჟურნალი", 2012, 109.

[561] შ. ჩიკვაშვილი, სსკ-ის კომენტარი, წ. IV, ტ. II, თბ., 2001, 380.

[562] იხ. რ. შენგელია, ქონებრივი ზიანი და მისი ანაზღაურების ვალდებულება, თბ., 1991, 3; სამოქალაქოსამართლებრივი პასუხისმგებლობის თავისებურებების (განსაკუთრებით ქონებრივი პასუხისმგებლობის) შესახებ იხ. ბ. ზოიძე, სამოქალაქო სამართლებრივი პასუხისმგებლობის ცნებისთვის, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის „მაცნე", ეკონომიკისა და სამართლის სერია, N3, 1985, 85-95.

[563] იხ. თ. ნინიძე, მორალური ზიანი სამოქალაქო სამართალში, ჟურნ. „საბჭოთა სამართალი", N2, 1978, 45.

[564] იხ. ნ. ბარაბაძე, მორალური ზიანი და მისი ანაზღაურების პრობლემა, თბ., 2012, 77.

ბულებელი გარემოება."[565] თუმცა ზიანი უნდა ანაზღაურდეს არა მხოლოდ ფაქტობრივად დამდგარი ქონებრივი დანაკლისისათვის, არამედ მიუღებელი შემოსავლისთვისაც (სსკ-ის 411-ე მუხლი).[566] მიუღებლად ითვლება შემოსავალი, რომელიც შეიძლება დამდგარიყო სამოქალაქო ბრუნვის ნორმალურად განვითარების შემთხვევაში.[567] ესე იგი, მიუღებელ შემოსავალში მოიაზრება სავარაუდო შემოსავალი, რის გამოც დავის არსებობისას სასამართლომ უნდა გაითვალისწინოს, თუ რამდენად მოსალოდნელი იყო მისი მიღება.[568]

ამდენად, ქონებრივ ზიანში მოიაზრება ზარალი, რომელიც შეიძლება გამოიხატოს დაზიანებული ქონების ღირებულების პირდაპირ შეცირებაში ან მის დაკარგვაში, ასევე, სარგებლის ხელიდან გაშვებაში.[569] ამასთან, გარკვეულ შემთხვევებში სხეულის დაზიანებამ ან სიცოცხლის ხელყოფამ შეიძლება წარმოშვას ქონებრივი ზიანის ანაზღაურების საფუძველი, რომელიც განიხილება არასახელშეკრულებო პასუხისმგებლობის ჭრილში.[570]

ა.ბ. ქმედების მართლწინააღმდეგობა

მართლწინააღმდეგობის განსაზღვრის კრიტერიუმია სამართლის ნორმის დარღვევა, თუმცა ეს მართლწინააღმდეგობის მხოლოდ „გარეგნული" ნიშანია. იურიდიული ნორმის ერთ-ერთი ძირითადი თავისებურებაა ქცევის წესის დადგენა, რაც სწორედ უფლება-მოვალეობას უკავშირდება. ამიტომ სამოქალაქო მართლწინააღმდეგობა, უპირველეს ყოვლისა, განიხილება უფლებისა და მოვალეობისადმი მართლსაწინააღმდეგო ქმედების დამოკიდებულებად. ამასთან, მართლსაწინააღმდეგო ქმედება ყოველთვის

---

[565] აღნიშნულთან დაკავშ. იხ. ზ. ძლიერიშვილი, სატრანსპორტო საშუალების ექსპლოატაციის შედეგად დამდგარი ზიანის ანაზღაურება, „სტუდენტური სამართლებრივი ჟურნალი", 2012, 109.

[566] ჯ. ვილემსი, ქართული და პოლანდიური ვალდებულებითი სამართლის შედარებითი ანალიზი, წიგნში „ვალდებულებითი სამართალი", თბ., 2006, 130.

[567] საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2007 წლის 30 მარტის განჩინება (ას-509-893-06).

[568] საქართველოს უზენაესი სასამართლო: რეკომენდაციები და სამოქალაქო სამართლის საკითხებზე საქართველოს უზენაესი სასამართლოს ერთგვაროვანი პრაქტიკა, თბ., 2011, 53; ასევე იხ. ზ. ძლიერიშვილი, სატრანსპორტო საშუალების ექსპლოატაციის შედეგად დამდგარი ზიანის ანაზღაურება, „სტუდენტური სამართლებრივი ჟურნალი", 2012, 110.

[569] ქონებრივი ზიანის შესახებ იხ. კ. იაიჩკოვი, ზიანის მიყენებით წარმოშობილი ვალდებულებანი (თარგმნა გ. დოლიძემ), თბ., საქ. სსრ იუსტიციის სამინისტროს გამოცემა, 1947, 8.

[570] იხ. M. Hirschle und H. Casper von der Crone, Zivilrechtliche Haftung für fahrlässige begangene Geldwäschereihandlungen, Entscheid des Schweizerischen Bundesgerichts 4C.386/2006 (BGE 133 III 323) vom 18. April 2007, In: Schweizerische Zeitschrift für Wirtschafts- und Finanzmarktrecht (SZW/RSDA), 4/2007, 332.

არღვევს უფლებას. უფლების ხელყოფა მოვალეობის შეუსრულებლობის შედეგია. შესაბამისად, სამოქალაქო მართლწინააღმდეგობა, იურიდიულ ლიტერატურაში გამოთქმული მოსაზრების მიხედვით, სამართლებრივად დადგენილი მოვალეობის შეუსრულებლობით გამოწვეული უფლების დარღვევაა. ამასთან, უფლების განუხორციელებლობა ქმედების სამართლის ნორმისადმი შესაბამისობის ერთ-ერთი ფორმაა, ვინაიდან პირს შეუძლია უფლება ან გამოიყენოს, ან არა. ამიტომ უფლების განუხორციელებლობა მართლზომიერი ქმედებაა, თუმცა, თუ უფლება, ამავე დროს, მოვალეობაა (მაგალითად, მშობლის უფლება ბავშვის აღზრდაზე), მაშინ მისი განუხორციელებლობით ქმედება ნორმას ეწინააღმდეგება და, შესაბამისად, მართლსაწინააღმდეგოა.[571]

სსკ-ის 992-ე მუხლით გათვალისწინებულია მოქმედებით მიყენებული ზიანი, რაც ტოვებს შთაბეჭდილებას, თითქოს, მხოლოდ აქტიური ქმედებით შეიძლება ზიანი დადგეს, თუმცა ზიანი შეიძლება გამოიწვიოს უმოქმედობამაც.[572]

მაგალითი: ერთ-ერთი იურიდიული პირი უკანონოდ (უნებართვოდ) მოიპოვებდა მადანს. კლიმატურმა პირობებმა და მადნის მოპოვებამ განაპირობა სახელმწიფოს კუთვნილ ტერიტორიაზე არსებული კლდიდან ლოდი ჩამოვარდნა, რასაც ერთ-ერთი სახლის ღობისა და ეზოს დაზიანება მოჰყვა. გამგეობას არ მიუღია რაიმე ზომა ამ შემთხვევის თავიდან ასაცილებლად. ამასთან, გამგეობამ არ უზრუნველყო უბედურების შედეგების ლიკვიდაცია, რაც მას უშუალოდ „ადგილობრივი თვითმმართველობისა და მმართველობის შესახებ" ორგანული კანონით (მე-8 მუხლის 1-ლი პუნქტის „ე" ქვეპუნქტი) ევალებოდა. შესაბამისად, გამგეობის უმოქმედობამ განაპირობა მძიმე შედეგის დადგომა. სწორედ ამ გარემოებების საფუძველზე გამგეობას უნდა დაეკისროს სამოქალაქოსამართლებრივი პასუხისმგებლობა.[573]

ქმედება, იურიდიული გაგებით, გულისხმობს უმოქმედობასაც. შესაბამისად, ვალდებულება შეიძლება წარმოშვას როგორც პოზიტიურმა ქმედებამ (=მოქმედება), ისე უმოქმედობამ. მოქმედებად მოიაზრება ქმედება, რომელიც ცნობიერების გაკონტროლებასა და საკუთარი სურვილის მართვას ექვემდებარება.[574]

---

[571] დაწვრილებით მართლწინააღმდეგობის შინაარსთან დაკავშ. იხ. ჯ. რუსიაშვილი, მართლწინააღმდეგობის შინაარსი სამოქალაქო სამართალში, ჟურნ. „საბჭოთა სამართალი", N1, 1977, 27-33.

[572] იხ. Н. С. Малеин. Возмешение вреда, причиненного личности. М., 1965, 10.

[573] საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2008 წლის 17 აპრილის განჩინება (№ას-1116-1067(კ-07).

[574] R. Schmidt, Das Schuldrecht Besonderer Teil II - Gesetzliche Schuldverhältnis, 1. Auflage, Grasberg bei Bremen, 2003, 190-191.

ამდენად, ქმედება მაშინაა მართლსაწინააღმდეგო, როცა, ერთი მხრივ, პირი ხელყოფს სხვის უფლებებს და არა აქვს ამის უფლებამოსილება, მეორე მხრივ კი, არღვევს სამართლის ნორმებს.[575]

მოქმედებისგან განსხვავებით, უმოქმედობა მართლსაწინააღმდეგოდ ჩაითვლება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ შესაბამისი მოქმედების განხორციელება შედიოდა ზიანის მიმყენებლის ვალდებულებაში. მაგალითად, უმოქმედობა შეიძლება გამოიხატოს მშობლების ან მეთვალყურეობაზე ვალდებული პირების მხრიდან არასათანადო აღზრდასა თუ ზედამხედველობის განუხორციელებლობაში. თუმცა, თუ ზიანი დადგა მართლზომიერი მოქმედებით, ასეთი ზიანი არ ანაზღაურდება. მაგალითად, აუცილებელი მოგერიების ფარგლებში განხორციელებული მოქმედების შედეგად ზიანი არ ანაზღაურდება, ვინაიდან ასეთი ქმედება მართლზომიერია. აქედან გამონაკლისს წარმოადგენს უკიდურესი აუცილებლობით მიყენებული ზიანი. სახელდობრ, იმ საფრთხის თავიდან ასაცილებლად მიყენებული ზიანი, რომელიც მოცემულ შემთხვევაში სხვა საშუალებით ვერ იქნებოდა აცილებული და, თუ დამდგარი ზიანი აცდენილ ზიანზე ნაკლებმნიშვნელოვანია (სსკ-ის 117-ე მუხლი), ზიანის ანაზღაურება ეკისრება იმას, ვინც უკიდურესი აუცილებლობის მდგომარეობაში მოქმედებდა. ეს იმითაა განპირობებული, რომ უკიდურესი აუცილებლობისას ინტერესების დაცვა, რომლებსაც საფრთხე ემუქრება, მიიღწევა იმ პირის ინტერესების შელახვის ხარჯზე, რომელსაც არ შეუქმნია საფრთხე. შესაბამისად, არ იქნებოდა სამართლიანი ასეთი პირისთვის ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლების წართმევა. თუმცა ზოგ შემთხვევაში პირმა შეიძლება ზიანის მიყენებისას იმოქმედოს არა თავის, არამედ სხვის ინტერესებში. ამიტომაცაა, რომ ფაქტობრივ გარემოებათა გათვალისწინებით მიყენებული ზიანის ანაზღაურების მოვალეობა ეკისრება მესამე პირს, რომლის ინტერესებისთვისაც ზიანის მიმყენებელი მოქმედებდა, ან როგორც მესამე პირი, ისე ზიანის მიმყენებელი მთლიანად ან ნაწილობრივ განთავისუფლდება ანაზღაურებისგან. ზიანის მიყენების აუცილებლობა შეიძლება უკავშირდებოდეს ეპიდემიასთან ბრძოლას ან სხვა საგანგებო სიტუაციას. ორივე შემთხვევაში ზიანის მიყენების უფლებამოსილება არსებობს. ეს უფლებამოსილება საბოლოო ჯამში, უკიდურესი აუცილებლობისას დამდგარი ზიანისთვის პასუხისმგებლობის ზოგადი წესისგან განსხვავებით, უკიდურესი აუცილებლობის მდგომარეობაში მიყენებული ზიანის დროს მთლიანად ათავისუფლებს პირს ზიანის ანაზღაურების ვალდებულებისგან.[576]

---

[575] ამ ორი ასპექტის შესახებ იხ. M. Hampel, Das private Bauvertragsrecht im russischen Recht, Ein bewertender Vergleich zum deutschen Recht, Frankfurt am Main, 2009, 411-412.

[576] შ. ჩიკვაშვილი, სსკ-ის კომენტარი, წ. IV, ტ. II, თბ., 2001, 380, 382-383; მართლწინააღმდეგობის გამომრიცხველ გარემოებებზე იხ. ასევე გ. ცერცვაძე, სახელშეკრულებო სამართალი, თბ., 2014, 685.

მართალია, მომეტებული საფრთხის წყაროს გამოყენებით ან უკიდურესი აუცილებლობისას მიყენებული ზიანი ანაზღაურდება, მაგრამ ამ უკანასკნელ შემთხვევაში ზიანის მიმყენებელი შეიძლება მთლიანად ან ნაწილობრივ განთავისუფლდეს ზიანის ანაზღაურების ვალდებულებისაგან, თუ ეს ვალდებულება შესაბამისი მოცულობით დაეკისრება იმ პირს, ვისი ინტერესებისთვისაც ის მოქმედებდა. ამიტომაც დასადგენია, რომელი ნორმები უნდა იქნეს გამოყენებული უპირატესად ზემოხსენებულ ვითარებაში. ამასთან, არსებობს მოსაზრება, რომლის თანახმად, თუ უკიდურესი აუცილებლობისას მომეტებული საფრთხის წყაროთი დადგა ზიანი შეგნებულად და მოქმედი სუბიექტი ზიანის მოცულობას თავიდანვე შეიცნობს, ამ შემთხვევაზე უნდა გავრცელდეს უკიდურესი აუცილებლობის წესები; თუ ზიანი წარმოიშვა მომეტებული საფრთხის წყაროს სპეციფიკისა და მოსალოდნელი ზიანის მოცულობის შეგნების გარეშე, პირს პასუხისმგებლობა დაეკისრება დელიქტური სამართლის ნორმებით, რომლებიც გამოიყენება იმ შემთხვევაში, როდესაც ზიანი გამოწვეულია მომეტებული საფრთხის წყაროს თავისებურებით და არ ექვემდებარება ადამიანის გონების სრულ კონტროლს.[577]

ამ თვალსაზრისით უმნიშვნელოვანესია ადამიანის ორგანოთა გადანერგვისა თუ ტრანსპლანტაციის განხილვა „ადამიანის ორგანოთა გადანერგვის შესახებ“ საქართველოს კანონის მიხედვით, რაც უკავშირდება უფლებამოსილი პირის თანხმობის არსებობა-არარსებობას. საქმე ისაა, რომ მოცემული კანონის მე-4 მუხლის თანახმად, ქმედუნარიან პირს უფლება აქვს ნებაყოფლობით განაცხადოს თანხმობა ან უარი სიცოცხლეშივე ან სიკვდილის შემდეგ მისი ორგანოს აღებაზე. ასევე, საგულისხმოა, რომ თანხმობა ან უარი შეიძლება შეეხოს ერთ ან მეტ ორგანოს. რაც შეეხება აღნიშნულთან დაკავშირებით მისაღებ გადაწყვეტილებას, ის ფორმდება წერილობით და მას ადასტურებს სამკურნალო დაწესებულების ხელმძღვანელი. თუმცა „ადამიანის ორგანოთა გადანერგვის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებულია, ასევე, გარდაცვლილის ორგანოს აღება სიცოცხლეშივე განცხადებული თანხმობის ან უარის არარსებობისას. საქმე ისაა, რომ მოცემული კანონის მე-8 მუხლის თანახმად, გადანერგვის მიზნით გარდაცვლილის ორგანოს აღება დაიშვება, როდესაც მოიპოვება სიცოცხლეშივე განცხადებული თანხმობის ან უარის დამადასტურებელი წერილობითი საბუთი, თუ:

ა) არსებობს იმის დამადასტურებელი ფაქტები, რომ ორგანოს აღება არ ეწინააღმდეგება გარდაცვლილის რელიგიურ რწმენას, მის ეთიკურ პრინციპებს;

[577] იხ. თ. ნინიძე, უკიდურესი აუცილებლობის ვითარებაში მიყენებული ზიანის ანაზღაურების ვალდებულების იურიდიული ბუნება, კრებულში: „საბჭოთა სამოქალაქო სამართლისა და პროცესის აქტუალური საკითხები“, თბ., 1977, 72-73.

ბ) ამ კანონის მე-9 მუხლში ჩამოთვლილ პირთაგან მოცემული რიგითობის მიხედვით უპირატესი უფლების მქონე პირი თანახმაა გარდაცვლილის ორგანოს აღებაზე.

დასახელებული კანონის მე-9 მუხლის 1-ლი პუნქტით გათვალისწინებულია, რომ გარდაცვლილის ორგანოს აღებაზე თანხმობის ან უარის განცხადების უფლება აქვთ შემდეგ ქმედუნარიან პირებს: ა) მეუღლეს; ბ) შვილს; გ) მშობელს; დ) შვილიშვილს, შვილიშვილის შვილს; ე) ძმას, დას; ვ) ძმისწულს, დისწულს; ზ) ბებიასა, პაპას; თ) ბიძას, დეიდას, მამიდას; ი) ბიძაშვილს, დეიდაშვილს, მამიდაშვილს.

თუმცა, თუ არიან ნათესავები, რომლებიც აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით თანაბარი უფლებებით სარგებლობენ, თუნდაც ერთის მიერ უარის განცხადების შემთხვევაში, გარდაცვლილის ორგანოს აღება დაუშვებელია. ამასთან, დასახელებულ პირებს ორგანოს აღების შესახებ გადაწყვეტილების მიღების უფლება აქვთ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ რიგით წინამავალი პირი (პირები) ცოცხალი არაა, ან მისგან გადაწყვეტილების მიღება გადაუდებელი აუცილებლობის დროის განმავლობაში შეუძლებელია („ადამიანის ორგანოთა გადანერგვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-9 მუხლის მე-2 და მე-3 პუნქტები).[578]

შესაბამისად, უნდა გაირკვეს, არის თუ არა გარემოებები, რომლებიც სამოქალაქოსამართლებრივ პასუხისმგებლობას გამორიცხავს (თანხმობა, საჯარო ინტერესი, საზოგადოებრივი დაინტერესება).[579] ამასთან, ქმედება არამართლზომიერი შეიძლება იყოს, როდესაც, ერთი მხრივ, უფლებამოსილების არარსებობის დროს ირღვევა სხვისი უფლებები, მეორე მხრივ, სადავო ქმედება კანონით გათვალისწინებული აკრძალვის საწინააღმდეგოა (სხვისი ქონების დაზიანება) ან საგანგებოდ დაცულ უფლებებს (სიცოცხლის, ჯანმრთელობისა და საკუთრების უფლებებს) ხელყოფს.[580]

ა. გ. მიზეზობრიობა

სამოქალაქო პასუხისმგებლობის საფუძველთა შორის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი პირობაა, დადგინდეს დამდგარ შედეგსა და ქმედებას

[578] საქართველოს კანონი „ადამიანის ორგანოთა გადანერგვის შესახებ“, 2000 წლის 23 თებერვალი, N160-IIს.

[579] იხ. H. Münch, Der Schutz des Einzelnen vor Presseveröffentlichungen durch den Deutschen Presserat und die britische Press Complaints Commision, Eine Untersuchung zur Spruchpraxis unter besonderer Berücksichtigung des zivilrechtlichen Rechtsschutzes der Privatsphäre (Dissertation), Konstanz, 2001, 124-126.

[580] ჯ. ბიოლინგი, ჯ. ლუტრინგჰაუსი, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის ცალკეული მოთხოვნის საფუძვლების სისტემური ანალიზი, თბ., 2009, 53; იხ. ზ. ძლიერიშვილი, სატრანსპორტო საშუალების ექსპლოატაციის შედეგად დამდგარი ზიანის ანაზღაურება, „სტუდენტური სამართლებრივი ჟურნალი“, 2012, 112.

შორის მიზეზობრივი კავშირი. თუ ქმედებამ შელახა სამართლებრივი სიკეთე, ამან უნდა გამოიწვიოს პირისთვის ზიანის მიყენება, რაც ზიანის ანაზღაურების მოვალეობას წარმოშობს. შემდეგ უნდა განისაზღვროს ზიანის ანაზღაურების ოდენობა (სსკ-ის 408-415-ე მუხლები). შესაბამისად, პირისთვის პასუხისმგებლობის დასაკისრებლად უნდა არსებობდეს სიკეთის ხელყოფასა და პირის მიერ განცდილ ზიანს შორის მიზეზობრივი კავშირი (ეკვივალენტურობის თეორია).[581] დამდგარი ზიანი უნდა იყოს სწორედ მართლსაწინააღმდეგო ქმედების განხორციელების ადეკვატური შედეგი. ამდენად, თუ ხელყოფასა და ზიანს შორის ადეკვატური მიზეზობრივი კავშირი არსებობს, ზიანი სრულად ანაზღაურდება,[582] მიუხედავად იმისა, თუ რა ოდენობისაა მოცემული ზიანი, ან რა ხარისხისაა მოვალის ბრალეულობა დამდგარ ზიანში. თუმცა საგულისხმოა, რომ ეს წესი არ ვრცელდება შემთხვევაზე, როდესაც კრედიტორი თვითონ არის პასუხისმგებელი დამდგარი შედეგისთვის (სსკ-ის 415-ე მუხლი).[583]

პრაქტიკასთან ყველაზე ახლოს მდგომი პირდაპირი და არაპირდაპირი მიზეზობრივი კავშირის თეორიის მიხედვით, მიზეზობრივი კავშირი ობიექტური ხასიათისაა, ვინაიდან ადამიანის ცნობიერებასა და ნებისგან დამოუკიდებლად არსებობს. ქმედებასა და შედეგს შორის მიზეზობრივი კავშირის საკითხი, პრაქტიკული თვალსაზრისით, დგება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ სამართალდარღვევა მთავრდება მართლსაწინააღმდეგო შედეგით, ან თუ ამგვარი შედეგის დადგომის კონკრეტული საფრთხე შეიქმნა.[584] ამასთან, თუ მოქმედებასა და ხელყოფას შორის კავშირი მხოლოდ არაარსებითია და ზიანი გამოწვეულია სხვა მიზეზებით, მაშინ ქონებრივი პასუხისმგებლობა არ დადგება[585].

მიზეზობრივი კავშირი ობიექტური კავშირია, რომელიც ადამიანის ცნობიერებისა და ნებისგან დამოუკიდებლად არსებობს. ქმედებასა და შედეგს შორის მიზეზობრივი კავშირის საკითხი პრაქტიკულად მხოლოდ იმ შემთხვევაში დგება, თუ სამართალდარღვევა მართლსაწინააღმდეგო შედეგით ან ამგვარი შედეგის დადგომის კონკრეტული საფრთხის შექმნით მთავრდება.[586]

---

[581] გ. მარიამიძე, დელიქტური ვალდებულებანი, ზიანის ანაზღაურება სსკ-ის 992-ე მუხლის მიხედვით და ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებათა გათვალისწინებით, I გამოცემა, თბ., 2011, 66.

[582] იხ. R. Schmidt, Schuldrecht Besonderer Teil II _ Gesetzliche Schuldverhältnisse, 1. Auflage, Grasberg bei Bremen, 2003, 192.

[583] აღნიშნულთან დაკავშირებით იხ. ბ. ზოიძე, სსკ-ის კომენტარი, წ. III, თბ., 2001, 480-482; ძლიერიშვილი, მომეტებული საფრთხის წყაროთი მიყენებული ზიანის ანაზღაურება სსკ-ის 999-ე მუხლის მაგალითზე, ჟურნ. „ადვოკატი", №2, 2013, 35.

[584] ზ. ახვლედიანი, ვალდებულებითი სამართალი, მეორე გამოცემა, თბ., 1999, 68-69.

[585] იხ. რ. შენგელია, ქონებრივი ზიანი და მისი ანაზღაურების ვალდებულება, თბ., 1991, 5.

[586] გ. ნაჭყებია, სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილი, თბ., 2011, 264-265.

ამდენად, ანაზღაურებას ექვემდებარება მხოლოდ ის ზიანი, რომელიც მისი გამომწვევი ქმედების უშუალო, აუცილებელი და პირდაპირი შედეგია.[587] აქ იგივე წესები გამოიყენება, რაც ხელშეკრულებიდან გამომდინარე ზიანის ანაზღაურების მოთხოვნებისას (მაგალითად, სსკ-ის 394-ე მუხლის 1-ლი აბზაცი). თუმცა მხოლოდ ე.წ. „ეკვივალენტური კაუზალობა", conditio-sine-qua-non ფორმულის თვალსაზრისით, არ არის საკმარისი; რომის სამართალში არსებული ამ ფორმულის მიხედვით, მართლსაწინააღმდეგო მოქმედება, შედეგის (ზიანი) თვალსაზრისით, იმ შემთხვევაშია კაუზალური, თუ მის გარეშე შედეგი არ დადგებოდა. შესაბამისად, ეკვივალენტურობის თეორია იზღუდება შერაცხადობის ცნებით (Zurechenbarkeit), რაც იმას ნიშნავს, რომ აქ საქმე ეხება ადეკვატურ კაუზალობას. ეს უკანასკნელი მაშინ მოიაზრება, როცა ხდომილება (მართლსაწინააღმდეგო ქმედება), ობიექტური თვალსაზრისით, გამოდგება საიმისოდ, რომ გამოიწვიოს დამდგარი შედეგი (ზიანი).[588]

დღესდღეობით დამკვიდრებულია ადეკვატური მიზეზობრიობის თეორია, რომელმაც შეცვალა ეკვივალენტური ანუ პირობათა ტოლფასოვნების თეორია. თუ ამ უკანასკნელის თანახმად, შედეგის საერთო მიზეზი პირობათა ერთობლიობაა, თითოეული პირობა კი კერძო მიზეზი, რომელთაც შედეგის დადგომაში თანაბარი მნიშვნელობა აქვთ, ადეკვატური მიზეზობრიობის თეორიით შედეგის მიზეზად ერთი პირობაც საკმარისია, როცა ის ქმნის შედეგის დადგომის ობიექტურ შესაძლებლობას.[589]

ა. დ. ბრალი

ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის დასაკმაყოფილებლად აუცილებელია, ასევე, დამტკიცდეს, რომ ხელმყოფი ბრალეულად მოქმედებდა. ძირითადად, განასხვავებენ ბრალის შესახებ ფსიქოლოგიურ, ნორმატიულ და ფსიქოლოგიურ-ნორმატიულ თეორიებს. ფსიქოლოგიური თეორიის თანახმად, „ბრალი არის პირის ფსიქიკური დამოკიდებულება თავისი არამართლზომიერი მოქმედებისა და დამდგარი შედეგის მიმართ".[590] თუმცა ბრალის ასეთი განსაზღვრა, ერთი მხრივ, ფსიქოლოგიზმის ზეგავლენითაა ნაკარნახევი, მეორე მხრივ, ბრალი ფსიქოლოგიური ცნება გამოდის, რაც

---

[587] იხ. შ. ჩიკვაშვილი, დელიქტური ვალდებულებები სამოქალაქო სამართალში, კრებული „სახელმწიფოსა და სამართლის აქტუალური პრობლემები" (რედ. რ. შენგელია), თბ., 2003, 186.

[588] იხ. პ. ლუთრინგჰაუსი, დელიქტური სამართალი, თბ., 2011, 19.

[589] ბ. ზოიძე, სსკ-ის კომენტარი, წ. მე-3, თბ., 2001, 369.

[590] ბრალის არსის შესახებ რ. შენგელია, ქონებრივი ზიანი და მისი ანაზღაურების ვალდებულება, თბ., 1991, 6-7.

გაუმართლებელია, ვინაიდან ბრალი ფსიქოლოგიის კვლევის სფერო არაა.[591] ამასთან, ბრალის ფსიქოლოგიური თეორია გამოუსადეგარია იურიდიული პირის პასუხისმგებლობის დასასაბუთებლად,[592] რადგან იურიდიული პირის ბრალის სპეციალური ცნება უნდა განისაზღვროს განსხვავებულად და მხოლოდ ადამიანისთვის დამახასიათებელი წესები ყველა ნიშნით იდენტურად ვერ გავრცელდება იურიდიულ პირზე. ამიტომაა, რომ ბრალის ფსიქოლოგიური თეორია ვერ გამოდგება იურიდიული პირის ბრალის განსასაზღვრად.[593] ასევე, გაუფრთხილებლობის დროს ასეთი ფსიქიკური კავშირი არ არსებობს და არც შეიძლება არსებობდეს.[594]

ბრალის შესახებ წმინდა ნორმატიული მიდგომის მიხედვით, ბრალი განიხილება გასაკიცხაობად. მართალია, ეს ასპექტი ბრალის არსის ასახსნელად აუცილებელი და მნიშვნელოვანი ნიშანია, მაგრამ ის მის ფორმალურ მხარეს გამოკვეთს და არაა ბრალის სამართლებრივ ბუნებას სრულად. ასევე ფინალური თეორია უკიდურესად აპირისპირებს არსსა და ჯერარსს.[595] ამ გაგებით, განზრახვა და გაუფრთხილებლობა, როგორც შეფასების ობიექტები, ქმედების შემადგენლობის ნიშნებია. აქ ბრალი ახდენს პირის პერსონალურ გაკიცხვას იმისთვის, რომ მან უარი თქვას მართლსაწინააღმდეგო ქმედების ჩადენაზე, თუ შეეძლო არ ჩაედინა იგი.[596]

ასევე, გაჩნდა ბრალის შესახებ ახალი მიდგომა ფუნქციონალური თეორიის სახით, რომელიც სასჯელის ფუნქციებიდან გამომდინარე განიმარტება. თუმცა აღნიშნულს მეცნიერული კრიტიკა მოჰყვა.[597]

რაც შეეხება ბრალის ფსიქოლოგიურ-ნორმატიულ თეორიას, აქ ბრალის ცნებაში შემოდის შეფასების მომენტი და ის განისაზღვრება, როგორც პირის გასაკიცხი ფსიქიკური დამოკიდებულება ქმედებასა და დამდგარი შედეგისადმი. ამ გაგებით, ბრალი განიხილება სოციალურ-ეთიკურ კატეგორიად, რომელიც საკუთარი ქცევისადმი სუბიექტის ფსიქიკური დამოკიდებულების გასაკიცხაობას წარმოადგენს თავის განუყოფელ ნიშნად.[598]

---

[591] იხ. გ. ნაჭყებია, ბრალი, როგორც სოციალური ფილოსოფიის კატეგორია, თბ., 2001, 190-193, 202.

[592] იხ. გ. ნაჭყებია, სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილი, თბ., 2011, 444.

[593] აღნიშნულთან დაკავშირებით დისკუსიის შესახებ იხ. ს. ჯორბენაძე, იურიდიული პირის ბრალის შინაარსის განსაზღვრისათვის, ჟურნ. „სამართალი", N4, 1985, 13-22.

[594] იხ. მ. ტურავა, სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილი, წ. I, დანაშაულის მოძღვრება, თბ., 2011, 406-407.

[595] აღნიშნულთან დაკავშირებით იხ. გ. ნაჭყებია, ბრალი, როგორც სოციალური ფილოსოფიის კატეგორია, თბ., 2001, 237-253.

[596] იხ. მ. ტურავა, სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილი, წ. I, დანაშაულის მოძღვრება, თბ., 2011, 410-411.

[597] იქვე, 416.

[598] იხ. მ. უგრეხელიძე, ბრალი საფრთხის დელიქტებში, თბ., 1982, 7.

ქართულ სამოქალაქო სამართალში უარყოფილია ბრალის საბჭოური კონცეფცია, რომლის თანახმადაც, ბრალი განიხილებოდა პირის ფსიქიკურ დამოკიდებულებად მის მიერ ჩადენილი ქმედებისა და დამდგარი შედეგისადმი. მოქმედი თეორიის თანახმად, ბრალის ცნებაში ამოსავალია სამოქალაქო ბრუნვისთვის ჩვეული ყურადღებიანობის მოთხოვნათა გათვალისწინება. დღესდღეობით სამოქალაქო კოდექსი ისევ ეფუძნება ბრალეული პასუხისმგებლობის პრინციპს.[599] ამდენად, ბრალის დეფინიცია უნდა შეიცავდეს მართლწინააღმდეგობის არსებობაზე მითითებას.[600] პირი მოქმედებს ბრალეულად, როცა პირს გაცნობიერებული აქვს და სურს, ან არ სურს რა სხვისთვის ზიანის მიყენება, ის სამოქალაქო ბრუნვის მონაწილისათვის საჭირო გულმოდგინებისა და წინდახედულების გაუთვალისწინებლობით არღვევს კანონით თუ ხელშეკრულებით განსაზღვრულ ვალდებულებას.[601]

რომის კლასიკური ეპოქიდან დღემდე სამოქალაქო სამართალში მოქმედებს უნივერსალური ფორმულა: თითოეული პასუხს აგებს მხოლოდ მისი ბრალით მიყენებული ზიანისათვის. სსკ-ი პასუხისმგებლობის კლასიკური, ევროპულ სამართალში მოცემული ბრალეული პასუხისმგებლობის პრინციპის ერთგული დარჩა.[602] განასხვავებენ ბრალის ორ ფორმას: განზრახვასა და გაუფრთხილებლობას.[603] დელიქტურ ვალდებულებებში ბრალის ფორმებთან დაკავშირებით შეიძლება გამოყენებულ იქნეს სსკ-ის 395-ე მუხლის 1-ლი ნაწილი, რომლის მიხედვითაც ზიანის მიმყენებელს (დამზიანებელს) ეკისრება პასუხისმგებლობა როგორც განზრახი, ისე გაუფრთხილებელი მოქმედებისათვის.[604]

ამდენად, ბრალეულად მოქმედებს ის, ვინც განზრახ, ანუ შეგნებულად, საკუთარი ნებით ან გაუფრთხილებლობით ლახავს კანონით დაცულ სიკეთეს.[605] მართალია, სსკ-ში არაა განსაზღვრული განზრახვის ცნება, მაგრამ ის წარმოდგენილია სისხლის სამართალში. ამიტომ ცივილისტურ დოქტრინასა და სასამართლო პრაქტიკაში განზრახი ბრალი გან-

---

[599] ბ. ზოიძე, სსკ-ის კომენტარი (რედ. ლ. ჭანტურია), თბ., 2001, 370-371.

[600] Н. А. Романова, К Вопросу о дефинициях вины в гражданском праве, в Научный журнал КубГАУ, № 41 (7), 2008, 22.

[601] იხ. ქ. ქოჩაშვილი, ბრალი, როგორც სამოქალაქოსამართლებრივი პასუხისმგებლობის პირობა, „სამართლის ჟურნალი“, N1, 2009, 88-89.

[602] იხ. ბ. ზოიძე, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის სისტემა, ჟურნ. „ქართული სამართლის მიმოხილვა“, I კვარტ, 1998, 18.

[603] ჭ. უგრეხელიძე, ბრალი საფრთხის დელიქტებში, თბ., 1982, 7; Karl-Heinz Fezer, Kommerzialisierung des Persönlichkeit, (vorgelegt von Cl. Beuter) (Dissertation zur Erlangung des Grades eines Doktors der Rechte), 2000, 130.

[604] იხ. პ. ლუთრინგჰაუსი, დელიქტური სამართალი, თბ., 2011, 18.

[605] კ. ცვაიგერტი, ჰ. კოტცი, შედარებითი სამართალმცოდნეობის შესავალი კერძო სამართლის სფეროში (მეცნ. რედ. და ბოლოთქმა თ. ნინიძის, თარგმნა ე. სუმბათაშვილმა), ტ. II, თბ., 2001, 289.

ისაზღვრება სისხლის სამართალში შემუშავებული დებულების მიხედვით.[606] შესაბამისად, განზრახია ქმედება, რომელიც პირდაპირი ან არაპირდაპირი განზრახვითაა ჩადენილი. პირდაპირი განზრახვითაა ჩადენილი ქმედება, თუ პირს გაცნობიერებული ჰქონდა თავისი ქმედების მართლწინააღმდეგობა, ითვალისწინებდა მართლსაწინააღმდეგო შედეგის დადგომის შესაძლებლობას და სურდა ეს შედეგი, ან ითვალისწინებდა ასეთი შედეგის დადგომის გარდაუვალობას. პირი მოქმედებს არაპირდაპირი განზრახვით მაშინ, თუ მას გაცნობიერებული ჰქონდა თავისი ქმედების მართლწინააღმდეგობა, ითვალისწინებდა მართლსაწინააღმდეგო შედეგის დადგომის შესაძლებლობას და არ სურდა ეს შედეგი, თუმცა შეგნებულად უშვებდა, ან გულგრილად ეკიდებოდა მის დადგომას (საქ. სისხლ. სამართლის კოდექსის მე-9 მუხლი). შესაბამისად, პირდაპირი განზრახვა ინტელექტუალური და ნებელობითი მომენტების გარკვეულ კომბინაციას გულისხმობს. ინტელექტუალური ასპექტის მიხედვით, სუბიექტი აცნობიერებს ქმედებისა და მისი შედეგის ყველა ფაქტობრივი და სოციალური (შეფასებითი) ნიშნის საზოგადოებრივ საშიშროებას, გარდა სისხლისსამართლებრივი მართლწინააღმდეგობისა. ნებელობითი მომენტი მოიაზრებს განზრახვას, რომ სუბიექტს სურს მაენე შედეგის დადგომა.[607] მართალია, სისხლის სამართალში განზრახვის სახეებს გარკვეული იურიდიული შედეგები უკავშირდება, მაგრამ სამოქალაქო სამართალში განზრახი ბრალის კლასიფიკაციას არა აქვს რაიმე სამართლებრივი მნიშვნელობა, ვინაიდან მიყენებული ზიანი სრულად უნდა ანაზღაურდეს, მიუხედავად იმისა, განზრახვა პირდაპირია თუ არაპირდაპირი.[608] ამასთან, მართლწინააღმდეგობის გაცნობიერება სამოქალაქო სამართალში, ძირითადად, მოვალეობის განზრახი დარღვევის წინაპირობაა, ანუ აქ ყურადღება ექცევა ე.წ. „განზრახვის თეორიას".[609] შესაბამისად, კერძოსამართლებრივი თვალსაზრისით, განზრახვა განიხილება, როგორც საკუთარი ქმედების შედეგის ცოდნა და სურვილი მართლწინააღმდეგობის შეგნებით.[610]

რაც შეეხება გაუფრთხილებლობას, ის გონივრული წინდახედულობისა და ზრუნველობის არასაკმარისად გამოვლინებაა, როგორც ესაა

---

[606] ბ. ზოიძე, სსკ-ის კომენტარი, წ. III, თბ., 2001, 382.

[607] მ. უგრეხელიძე, ბრალი საფრთხის დელიქტებში, თბ., 1982, 12-13; იხ. P. Schlechtriem, Schuldrecht Allgemeiner Teil, 5., neubearbeitete Aufl., Tübingen, 2003, 169.

[608] ბ. ზოიძე, სსკ-ის კომენტარი, წ. III, თბ., 2001, 383.

[609] იხ. P. Schlechtriem, Schuldrecht Allgemeiner Teil, 5., neubearbeitete Aufl., Tübingen, Mohr Siebeck, 2003, 170.

[610] Palandt/Heinrichs,. §276. Rn.6. მითითებულია ზ. ძლიერიშვილის ნაშრომიდან „სატრანსპორტო საშუალების ექსპლოატაციის შედეგად დამდგარი ზიანის ანაზღაურება", „სტუდენტური სამართლებრივი ჟურნალი", 2012, 115.

მიღებული საყოველთაო საქმიანი ბრუნვისთვის.[611] ამდენად, გაუფრთხილებლობა განისაზღვრება „სამოქალაქო ბრუნვისათვის დამახასიათებელი აუცილებელი ყურადღებიანობის" დარღვევით, რომელიც ეფუძნება ობიექტურ მასშტაბს და არ გამომდინარეობს კონკრეტული ინდივიდის პიროვნებიდან.[612] სამოქალაქო ბრუნვის მონაწილეს მოეთხოვება მისი პროფესიის „საშუალო წარმომადგენლისათვის" ჩვეული წინდახედულების დაცვა.[613] განასხვავებენ უხეშ და მარტივ გაუფრთხილებლობას. უხეში გაუფრთხილებლობით მოქმედებს ის, ვინც აუცილებელი ყურადღებიანობის მოთხოვნებს ხელყოფს უჩვეულოდ მაღალი ხარისხით. რაც შეეხება მარტივ გაუფრთხილებლობას, მასში მოიაზრება აუცილებელი ყურადღებიანობის მოთხოვნათა დარღვევა შედარებით დაბალი დონით.[614]

ამასთან, განზრახი ან გაუფრთხილებელი ქმედებით მიყენებული ზიანი ექვემდებარება ანაზღაურებას. მნიშვნელობა არა აქვს გაუფრთხილებლობის ფორმას, თუ დადგენილია პირის ბრალეულობა ზიანის მიყენებაში. იგი წარმოშობს დაზარალებულის უფლებას, მოითხოვოს ანაზღაურება მიყენებული ზიანისათვის. გაუფრთხილებლობის ფორმას ყურადღება ექცევა კომპენსაციის ოდენობის განსაზღვრისას.[615]

ასევე, ზიანი შეიძლება დადგეს ერთდროულად როგორც ზიანის მიმყენებლის, ისე თავად დაზარალებულის ბრალეული ქმედების შედეგად. როგორც იურიდიულ ლიტერატურაში აღინიშნა, ეს უკავშირდება შერეულ ბრალს, უფრო ზუსტად, სსკ-ის 415-ე მუხლის დანაწესს ზიანის წარმოშობაში დაზარალებულის ბრალის შესახებ. შერეული ბრალის[616] არსებობისას სამოქალაქო პასუხისმგებლობის განსაზღვრა გულისხმობს არა ზიანის ანაზღაურებას დაზარალებულის მიერ, არამედ ზიანის მიმყენებლის პასუხისმგებლობის შემცირებას და ზიანის შესაბამისი ნაწილის დაზარალებულზე დაკისრებას. ამ ვითარებაში არსებული ზიანი მოვალ-

---

[611] კ. ცვაიგერტი, ჰ. კოტცი, შედარებითი სამართალმცოდნეობის შესავალი კერძო სამართლის სფეროში (მეცნ. რედ. და ბოლოთქმა თ. ნინიძის, თარგმნა ე. სუმბათაშვილმა), ტ. II, თბ., 2001, 289-290.

[612] D. Medicus, Schuldrecht, I, Allgemeiner Teil, 13. Aufl., Müchen, 2002, 149.

[613] კ. ცვაიგერტი, ჰ. კოტცი, შედარებითი სამართალმცოდნეობის შესავალი კერძო სამართლის სფეროში (მეცნ. რედ. და ბოლოთქმა თ. ნინიძის, თარგმნა ე. სუმბათაშვილმა), ტ. II, თბ., 2001, 290.

[614] იხ. შ. ჩიკვაშვილი, სსკ-ის კომენტარი, წ. IV, ტ. II, თბ., 2001, 386; F. Hütte/ M. Helborn, Schuldrecht Allgemeiner Teil, 3. Aufl., Bremsen, 2005, 204, 206-207; ასევე გაუფრთხილებლობის შესახებ იხ. P. Schlechtriem, Schuldrecht Allgemeiner Teil, 5., neubearbeitete Aufl., Tübingen, 2003, 170-173.

[615] იხ. ლ. დოლონაძე, მორალური ზიანის ანაზღაურება, სადისერტაციო ნაშრომი, თბ., 2010, 154.

[616] აღნიშნულთან დაკავშ. იხ. უ. კობიაშვილი, ორმაგი ანუ შერეული ბრალის საკითხისთვის, ჟურნ. „საბჭოთა სამართალი", №3, 1969, 14- 24.

ისა და დაზარალებულის ერთობლივი მოქმედების განუყოფელი შედეგია. ზიანის ანაზღაურების ვალდებულება და ანაზღაურების მოცულობა განისაზღვრება მხარეთა ბრალეულობის ხარისხით - უფრო მეტად თუ რომელი მხარის ბრალითაა ზიანი გამოწვეული.[617] აქ „შერეული ბრალი" არ უნდა იყოს სიტყვასიტყვით გაგებული, ვინაიდან საქმე არ ეხება ბრალის „შერევას". მოცემულ შემთხვევაში უფრო სწორი იქნება საუბარი იმაზე, რომ დაზარალებულის ბრალი გავლენას ახდენს მისთვის ანაზღაურებელი ზიანის ოდენობაზე.[618] სახელდობრ, დაზარალებულის ბრალეული მოქმედება ქონებრივი სანქციის დროს იწვევს ზიანის ანაზღაურების ოდენობის შემცირებას ან სრულად გათავისუფლებას.[619]

ზოგადი წესის მიხედვით, სამოქალაქო პასუხისმგებლობა დადგება ოთხივე წინაპირობის ერთდროულად არსებობისას. შესაბამისად, ცივილისტიკაში გამოიყენება ზიანის მიმყენებლის ბრალეულობის პრეზუმფციის პრინციპი, რომლის თანახმად, ზიანის მიმყენებელი მიიჩნევა ბრალეულად, თუ ის ბრალის არარსებობის მომენტს არ დაამტკიცებს. ამიტომაა, რომ მტკიცების ტვირთი მხარეებს შორის უნდა გადანაწილდეს.[620]

ბ. ქონებრივი ზიანის ანაზღაურების კრიტერიუმები

ზიანის ანაზღაურება არის ხელშეკრულების დარღვევით, დანაკლისით ან დაზიანებით, სამოქალაქო სამართალდარღვევით ან უფლებების ხელყოფით გამოწვეული ფულადი კომპენსაცია.[621] ამასთან, კომერციალიზაციის პირობებში პიროვნულ უფლებასთან დაკავშირებით ყოველთვის იკვეთება ტენდენცია, რომ ამ უფლების ხელყოფა შეიძლება ქონებრივი ზიანიდანაც გამომდინარეობდეს.[622]

თუ პირს ზიანი მიადგა, ამას შესაბამისი საფუძვლების არსებობისას უნდა მოჰყვეს სამოქალაქო პასუხისმგებლობა. ის უკავშირდება სუბიექტთა პასუხისმგებლურ დამოკიდებულებას საკუთარ მოვალეობებთან, რომელთა შეუსრულებლობის ან არაჯეროვანი შესრულების დროს

---

[617] ბ. ზოიძე, სსკ-ის კომენტარი, წ. III, თბ., 2001, 481.

[618] იხ. მ. მ. აგარკოვი, სნ. ბრატუსი, დ. მ. გენკინი, ვ. ი. სერებროვსკი, ზ. ი. შკუნდინი, სამოქალაქო სამართალი, ტომი I, მთარგმნ. პ. ცხაკაია, თბ., 1946, 443.

[619] იხ. А. М. Белякова. Возмещение вреда причиненного источником повышенной опасности. М., 1967, 49-50.

[620] დაწვრ. დელიქტურ ვალდებულებებზე იხ. შ. ჩიკვაშვილი, სსკ-ის კომენტარი, წ. IV, ტ. II, თბ., 2001, 378-387.

[621] იხ. ს. ჯორბენაძე, ინტელექტუალური საკუთრების განმარტებითი ლექსიკონი, თბ., 1998, 102.

[622] J. Joussen, Schuldrecht I, Allgemeiner Teil, Stuttgart, W. Kohlhammer GmbH Stuttgart, 2008, 377.

სამართალდამრღვევის მიმართ გამოიყენება სანქციები, რომლებიც დაზარალებულის უფლებების აღდგენისა და დამდგარი ზიანის ანაზღაურებისკენაა მიმართული.[623]

ამასთან, დელიქტური ვალდებულებების პრინციპებია სრული აღდგენისა (რეპარაციისა) და ნატურალური რესტიტუციის პრინციპები. სრული რეპარაციის ანუ ანაზღაურების პრინციპი უკავშირდება პრინციპს „ყველაფერი ან არაფერი" და მოიცავს ზიანის სრული ანაზღაურების უფლებას: აღნიშნულის მიხედვით, ზიანი ექვემდებარება სრულად ანაზღაურებას.[624] თუმცა ზიანის ანაზღაურების მოცულობა კონცენტრირდება ქონებრივ ზიანის ანაზღაურებაზე. შესაბამისად, სრულ ანაზღაურებას ექვემდებარება მხოლოდ ქონებრივი ზიანი. ამასთან, ზიანის ანაზღაურებისას საყურადღებოა გაშვებული მოგება. ასევე, ქონებრივი ზიანის მიყენების დროს მნიშვნელოვანია ურთიერთშორის არსებული მოთხოვნების გაქვითვა.[625] სსკ-ის 408-ე მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, ზიანის ანაზღაურების შემთხვევაში მოვალემ უნდა აღადგინოს პირვანდელი მდგომარეობა, ანუ ის მდგომარეობა, რომელიც იარსებებდა ანაზღაურების მავალდებულებელი გარემოება რომ არ დამდგარიყო. თუმცა, თუ სხეულის დაზიანებამ ან ჯანმრთელობის ხელყოფამ გამოიწვია დაზარალებულისთვის შრომის უნარის დაკარგვა ან შემცირება, ამ შემთხვევაში სადავოა პირვანდელი მდგომარეობის აღდგენა, რის გამოც დაზარალებულს წარმოეშობა ზიანის ანაზღაურების უფლება ყოველთვიური სარჩოს გადახდის სახით (ამავე მუხლის მე-2 ნაწილი).

ზიანის მიყენებისა და განცდილი ზიანის ოდენობის დამტკიცების ტვირთი ეკისრება დაზარალებულ მხარეს (მოსარჩელეს). ზიანის ანაზღაურების ოდენობა არ უნდა აღემატებოდეს რეალურად განცდილი დანაკარგების ჯამს, რომელიც არ უნდა გულისხმობდეს მოვალის დასჯას და საჯარიმო სანქციის გამოყენებას. ეს თვით სამოქალაქოსამართლებრივი პასუხისმგებლობის სპეციფიკიდან გამომდინარეობს, ვინაიდან აქ უმნიშვნელოვანესია კრედიტორისთვის მიყენებული ზიანის ანაზღაურება (და არა მოვალის დასჯა). აღნიშნული კიდევ უფრო ცხადი გახდება, თუ მხედველობაში მივიღებთ იმას, რომ ზიანის ანაზღაურება ემსახურება ვალდებულების დარღვევის პრევენციასა და მხარეთა ინტერესების წონასწორობის აღდგენას. ამასთან, ზიანი უნდა ანაზღაურდეს სრულად, თუმცა

---

[623] იხ. Е. М. Чурюкина, Понятие гражданско-правовой ответственности, Вектор науки ТГУ. Серия: Юридические науки, №1 (16), 2014, 120.

[624] იხ. J. Joussen, Schuldrecht I, Allgemeiner Teil, Stuttgart, W. Kohlhammer GmbH Stuttgart, 2008, 334, 337-338; სრული რეპარაციის შესახებ ასევე იხ. D. Medicus, Schuldrecht I, Allgemeiner Teil, Ein Studienbuch, 13., neubearbeitete Aufl., München, 2002, 268-269.

[625] იხ. J. Joussen, Schuldrecht I, Allgemeiner Teil, Stuttgart, W. Kohlhammer GmbH Stuttgart, 2008, 367-370, 372.

ის არ უნდა გახდეს უსაფუძვლო გამდიდრების წყარო. აქვე საგულისხმოა, რომ ზიანის ანაზღაურების დროს გასათვალისწინებელია ადეკვატურობისა და სავარაუდოობის პრინციპები.[626]

როცა დადგინდება მართლსაწინააღმდეგო და ბრალეული ქმედებით გამოწვეული ზიანის არსებობა, დღის წესრიგში დგება მისი ოდენობის განსაზღვრის საკითხი. ქონებრივი ზიანის მიყენების დროს პასუხისმგებლობა დამოკიდებულია ქონების ღირებულებაზე, ვინაიდან ზიანი ამ შემთხვევაში გამოითვლება ქონების ღირებულების ეკვივალენტურობის პრინციპის მიხედვით.[627] ამასთან, შესაძლებელია საქმე შეეხოს ზიანის მიყენების გამო დაზარალებულის მოთხოვნილებების გაზრდას. მოცემულ შემთხვევაში ქონებრივი ზიანის ოდენობა უნდა განისაზღვროს იმ ხარჯების მიხედვით, რომლებიც აუცილებელია დაზარალებულისთვის გაზრდილი მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად (აუცილებელი ხარჯები). გარდა ამისა, მატერიალური ზიანის ოდენობის განსასაზღვრად საყურადღებოა მიუღებელი შემოსავალიც.[628]

ასევე, ქონებრივი ზიანის გამოთვლის ერთ-ერთ კრიტერიუმად შეიძლება დასახელდეს მოგებაც. თუ ზიანის მიმყენებელი ხშირად უგულებებელყოფს პიროვნულ უფლებებს მოგების მიზნით, მაშინ მის შესაჩერებლად გამოიყენება განსაკუთრებული დამცავი ღონისძიებები, რომელთა საფუძველზეც თავისთავად არსებითად იზრდება საკომპენსაციო თანხა. ის მოგება, რომელიც პიროვნული უფლებების ხელყოფითაა მიღებული, შეძლებისდაგვარად უნდა იქნეს გამორანგარიშებული და ფულადი კომპენსაციის მეშვეობით მთლიანად ამოღებული.[629]

ამდენად, მატერიალურ ზიანში, თავისი არსით, მოიაზრება ზიანი, რომლის გამოთვლა ეკონომიკურად შეიძლება, ხოლო მიყენებული ქონებრივი ზიანისთვის ასანაზღაურებელი ზიანის ოდენობა უნდა განისაზღვროს რეალურად განცდილი ზიანის მოცულობით. ამიტომ მატერიალური ზიანისთვის კომპენსაციის მოცულობა განისაზღვრება პრინციპზე დაყრდნობით „მოსარჩელე მიიღებს რეალურად მიყენებული მატერიალური ზიანისთვის ფულად ანაზღაურებას მხოლოდ იმ ფარგლებში, რომლის დასაბუთებასაც სასამართლოში შეძლებს".[630] შესაბამისად, ქონებრივი პასუ-

---

[626] აღნიშნულთან დაკავშირებით იხ. ზ. ძლიერიშვილი, მომეტებული საფრთხის წყაროთი მიყენებული ზიანის ანაზღაურება სსკ-ის 999-ე მუხლის მაგალითზე, ჟურნ. „ადვოკატი", N2, 2013, 32.

[627] შ. ჩიკვაშვილი, პასუხისმგებლობა მორალური ზიანისთვის, თბ., 2003, 103.

[628] В. Варкалло. Об Ответственности по гражданскому праву (возмещение вреда _ функции, виды, границы), Перевод с польского В. Залеского. М., 1978, 140-143.

[629] თ. ნინიძე, პირადი არაქონებრივი უფლებები, სსკ-ის კომენტარი, წ. 1., თბ., 2002, 75-77.

[630] К. Осакве. Анатомия морального вреда: Классическая интерпретация морального вреда в англо-американском праве. «Актуальные вопросы частнопра-вового регулирования», №3. 2009, 37.

ხისმგებლობა მიმართულია დაზარალებულის ქონებრივი მდგომარეობის აღდგენისკენ, რასაც კომპენსაციური ხასიათი აქვს.[631]

4.2. არაქონებრივი ზიანის ანაზღაურების მოთხოვნა

არაქონებრივი ზიანის ანაზღაურებისთვის აუცილებელია არამატერიალური ზიანის, მართლსაწინააღმდეგო ქმედების, მიზეზობრივი კავშირის და ბრალის ერთდროულად არსებობა.

ა. არაქონებრივი ზიანის ანაზღაურების წინაპირობები

ა.ა. არაქონებრივი ზიანის ცნება

აბსოლუტური უფლების ხელყოფას, გარდა ქონებრივი ზიანისა, შეიძლება მოჰყვეს არამატერიალური ზიანიც ან ორივე ერთად.[632]

ანგლო-ამერიკულ და ფრანგულ სამართალში მორალური ზიანი არის ეკონომიკური თვალსაზრისით გაუზომადი ზიანი, რომელიც სხვისი არაფულადი ინტერესების (არამატერიალური სიკეთეებისა და არაქონებრივი უფლებების) ხელყოფას გულისხმობს. ემოციური (ფიზიკური ან სულიერი) მდგომარეობის დარღვევასთანაა გაიგივებული გერმანულ სამართალში არსებული „Schmerzensgeld“, ანუ ფულადი კომპენსაცია ტანჯვისთვის (მიყენებული არამატერიალური ზიანისთვის) ან გრძნობების ხელყოფისთვის ისევე, როგორც „მორალური ზიანი“ თანამედროვე რუსულ სამოქალაქო კანონმდებლობაში.[633]

მორალური ზიანი, პრობლემის მრავალასპექტიანობის გათვალისწინებით, როგორც იურისტებისა და მედიკოსების, ისე ფილოსოფოსებისა და თეოლოგების შესწავლის საგანია. შესაბამისად, მორალურ ზიანთან დაკავშირებული სხვადასხვა საკითხის გასარკვევად მიზანშეწონილია, მორალური ზიანის შესახებ მოძღვრება იყოს წარმოჩენილი ანგლო-ამერიკული სამართლის ეპიცენტრში. მორალური ზიანი განიხილება სხვადასხვა ჭრილში: 1. მორალური ზიანი, როგორც გვარეობითი ცნება; 2. მორალური ზიანი, როგორც იურიდიული კატეგორია; 3. მორალური ზიანი, როგორც მრავალკაუზალური მოვლენა; 4. მორალური ზიანი, როგორც მრავალ-

---

[631] იხ. ბ. ზოიძე, სამოქალაქო სამართლებრივი პასუხისმგებლობის ცნებისთვის, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის „მაცნე“, ეკონომიკისა და სამართლის სერია, N3, 1985, 92-93.

[632] იხ. შ. ჩიკვაშვილი, პასუხისმგებლობა მორალური ზიანისთვის, თბ., 2003, 23.

[633] К. Осакве, Анатомия морального вреда: Классическая интерпретация морального вреда в англо-американском праве, «Актуальные вопросы частноправового регулирования», №3, 2009, 26.

სიპტომური ზიანი; 5. მორალური ზიანი, როგორც მრავალსუბიექტური ზიანი; 6. მორალური ზიანი, როგორც სამედიცინო მდგომარეობა და 7. მორალური ზიანი, როგორც ფილოსოფიური კონსტრუქცია.

მორალური ზიანი, როგორც გვარეობითი ცნება, მოიცავს ერთი და იმავე გენეტიკური მოვლენის სხვადასხვა სახეს, ანუ მორალური ზიანის ერთგვაროვანი სინგულარული შემთხვევების ჯგუფს.

მორალური ზიანი, როგორც იურიდიული კატეგორია, არის კონკრეტული დელიქტის იურიდიული შედეგი. ესე იგი, მორალური ზიანი განიხილება სხვის სიკეთის ბრალეული და არამართლზომიერი მოქმედების არასახარბიელო შედეგად. თუმცა აქ მთავარი ისაა, რომ მორალური ზიანი იურიდიული ზიანია და, შესაბამისად, ყოველთვის უკავშირდება სამართალდარღვევას. ამ გაგებით, მორალური ზიანი ფაქტობრივი ზიანის კონცეპტუალური ანტიპოდია.

ამასთან, მორალური ზიანი, როგორც მრავალკაუზალური მოვლენა, შეიძლება დადგეს სხვადასხვა დელიქტით. ერთმა დელიქტმა შეიძლება გამოიწვიოს სხვადასხვა სახის მორალური ზიანი. მაგალითად, ერთ „დიფამაციას“ შესაძლოა მოჰყვეს როგორც პირის რეპუტაციის ხელყოფა, ისე ემოციური მდგომარეობის დაკარგვა, რომლებიც მორალური ზიანის ორი (სხვადასხვა) სახეა.

რაც შეეხება მორალურ ზიანს, რომელიც მრავალ სიმპტომს იწვევს, ის შეიძლება გამოვლინდეს სხვადასხვა გარეგნულ ფორმაში (სიმპტომში). მაგალითად, მორალური ზიანი, რომელიც ცნობილია სახელით „ჰედონისტური ზიანი“, გამოიხატება სხვადასხვა სიმპტომში, მათ შორის ყნოსვის, სხვადასხვა საჭმლის გემოს შეგრძნების უნარის დაკარგვაში და სხვა.

მორალური ზიანი, როგორც მრავალსუბიექტური ზიანი, შეიძლება მიადგეს სხვადასხვა სუბიექტს, მათ შორის როგორც ფიზიკურ, ისე იურიდიულ პირს და სხვა ხელოვნურ წარმონაქმნს (ამხანაგობა, ორგანიზაცია და სხვა).

მორალური ზიანი, როგორც სამედიცინო მდგომარეობა, გარეგნულად შეიძლება გამოვლინდეს მხოლოდ გარკვეული სუბიექტების (ფიზიკური პირების) ემოციური მდგომარეობის დაკარგვის (ტკივილის) სხვადასხვა ეტაპზე. ემოციური ზიანი არის პერსონიფიცირებული (პირადი) ზიანი, რომელიც ადგება ფიზიკური პირის ფსიქოლოგიურ კეთილდღეობას, სულიერ სიმშვიდეს. ის მჭიდროდ უკავშირდება ადამიანის პიროვნებას.

რაც შეეხება მორალურ ზიანს, როგორც ფილოსოფიურ კონსტრუქციას, ის გამოიხატება განსაზღვრული სუბიექტების არაემოციურ, აბსტრაჰირებულ, დეპერსონიფიცირებულ დანაკარგში. აქ საქმე ეხება იურიდიული პირებისთვის მიყენებულ ზიანს. არაემოციური ზიანი სხვისი არამატერიალური ინტერესების დეპერსონიფიცირებული ზიანია. ამდენად,

ემოციური ზიანის სუბიექტია ფიზიკური პირი, ხოლო არაემოციური ზიანი შეიძლება მიადგეს როგორც ფიზიკურ, ისე იურიდიულ პირს ან სხვა ხელოვნურ წარმონაქმნს.[634]

მორალური ზიანი, პირველდაწყებითი მოსაზრების მიხედვით, ასოცირდება მორალთან. ამას გაუსვა ხაზი სასამართლომ ერთ-ერთ გადაწყვეტილებაში: „მოპასუხეთა მიერ გავრცელებული ცნობები ფაქტების შესახებ აშკარად ლახავს [მოსარჩელის] პატივს, ღირსებასა და საქმიან რეპუტაციას, ვინაიდან შეიცავს მტკიცებას მოსარჩელის მიერ კანონის, მორალური ნორმების დარღვევისა და უღირსი საქციელის ჩადენის თაობაზე."[635] ეს მიდგომა არ ეყრდნობა მორალური ზიანის გენეზისს, ვინაიდან ის სულიერ ტანჯვას უკავშირდება და არა ზნეობის ნორმების დარღვევას.[636] ამასთან, ფსიქიკური ან ფიზიკური ტანჯვა თავისთავად ეწინააღმდეგება ზნეობის წესებს და არაა აუცილებელი, რომ ცნებაში აისახოს ის, რაც ისედაც იგულისხმება. შესაბამისად, ლოგიკურად ფიზიკური ან ფსიქიკური ტანჯვა უფრო ამორალური ზიანია, ვიდრე მორალური. ასევე, მორალური ზიანის არსი სულიერ ტანჯვას უკავშირდება და არა მორალის ნორმების ხელყოფას. ამასთან, ბუნდოვანია, როგორ შეიძლება იურიდიულმა პირმა სულიერი ტანჯვა განიცადოს. საქმე ისაა, რომ როცა მის საქმიან რეპუტაციას ხელყოფენ, შესაძლებელია წარმოიშვას არამატერიალური ზიანი. პირის მიერ მორალური ზიანის განცდაც კითხვის ნიშნის ქვეშ დგას; ასევე საგულისხმოა, რომ ტერმინი „მორალური ზიანი" ასოცირდება სოციოლოგიური აზროვნების წესთან, იურისპრუდენციისთვის კი გაცილებით მნიშვნელოვანია პრობლემის სამართლებრივი საფარველი. ამ გაგებით, უმჯობესია, ნაცვლად ტერმინისა „მორალური ზიანი", ვიხელმძღვანელოთ ტერმინით „არაქონებრივი ზიანი."[637]

არაქონებრივი ზიანი არის არამართლზომიერი მოქმედებით გამოწვეული ფიზიკურ-სულიერი ხელყოფა, რომელიც არ მოიცავს ქონებრივ

---

[634] იხ. К. Осакве, Анатомия морального вреда: Классическая интерпретация морального вреда в англо-американском праве, «Актуальные вопросы частно-правового регулирования», №3, 2009, 27-28, 34-35.

[635] საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2004 წლის 1 ივნისის (№ას-168-465-04) და 2005 წლის 29 იელისის (№ას-627-903-05) გადაწყვეტილებები. იხ. კ. კორკელია, ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის გამოყენება საქართველოში, თბ., 2004, 203.

[636] მორალისა და ზნეობრივი პასუხისმგებლობის შესახებ იხ. ვ. ერქომაიშვილი, ადამიანი, თავისუფლება, იდეოლოგია, თბ., 2002, 175-183.

[637] აღნიშნული მოსაზრების შესახებ იხ. შ. ჩიკვაშვილი, პასუხისმგებლობა მორალური ზიანისთვის, თბ., 2003, 27; ნაცვლად ტერმინისა „მორალური ზიანი", ლ. დოლონაძეც თვლის, რომ მიზანშეწონილია ტერმინ „არაქონებრივი ზიანის" გამოყენება, ვინაიდან ასეთი ზიანის მთავარი მახასიათებელია მისი არაქონებრივი ხასიათი. იხ. ლ. დოლონაძე, არაქონებრივი (მორალური) ზიანის ცნება, ჟურნ. „თეუსუ" (მთ. რედაქტორი ავ. ჩუთლაშვილი), N2 (10), 2010, 191.

ელემენტს და არის წმინდა ფიზიკური ან ფსიქიკური ტანჯვა. თუმცა არამატერიალური ზიანი შეიძლება იყოს არა მხოლოდ არაქონებრივი, არამედ ქონებრივი სიკეთის ხელყოფის შედეგიც.[638] დროის გარკვეულ მონაკვეთში შეიძლება არამატერიალური ზიანი დადგეს და შემდეგში შეიძლება მან ქონებრივი ხასიათი შეიძინოს. ამიტომ ზიანის ბუნების დასადგენად უმნიშვნელოვანესია, მოეპოვება თუ არა ზიანის შედეგს ქონებრივი, ფულადი ეკვივალენტი.[639] ამასთან, საყურადღებოა არამატერიალური ზიანის პრეზუმფციის საკითხი, რომელიც უშუალოდ საქართველოს საპროცესო კანონმდებლობიდან გამომდინარეობს[640], ვინაიდან გულისხმობს მტკიცების ტვირთის გადანაწილებას მხარეებს შორის.

ამდენად, არაქონებრივი ზიანი არის ფიზიკური და/ან სულიერი ტანჯვა, რომელსაც შეიძლება მოჰყვეს უარყოფითი ფსიქიკური რეაქცია (შედეგი).[641] ზიანის მორალური ხასიათი არაა გამოწვეული ხელყოფილი სიკეთის თვისებით. ის დამოკიდებულია დარღვევის შედეგის იმ თვისებაზე, რაც ამ რეზულტატის ქონებრივ შეფასებას და ფულად ეკვივალენტში გამოხატვას შეუძლებელს ხდის. ამასთან, ხშირ შემთხვევებში ზიანის გამომწვევი მიზეზები მატერიალური და არამატერიალური ზიანის დროს შეიძლება იდენტური იყოს, თუმცა ეს არ ნიშნავს, რომ მატერიალური და არამატერიალური ზიანი იგივეობრივია.[642]

ა. ბ. ქმედების მართლწინააღმდეგობა

როგორც აღინიშნა, სამოქალაქო პასუხისმგებლობის დასაკისრებლად აუცილებელია, რომ ქმედება ატარებდეს მართლსაწინააღმდეგო ხასიათს. ქმედება მართლსაწინააღმდეგოდ ითვლება, თუ ის არ შეესაბამება სამართლის ნორმებს. თუმცა მოქმედებას არ ექნება მართლსაწინააღმდეგო ხასიათი, თუ პირს ჰქონდა კანონის ან სხვა ნორმატიული აქტის

---

[638] მორალური ზიანის შესახებ დაწვრ. იხ. С. Беляцкинь. Возмещение морального (неимущественного) вреда. в Еженедельном юридическом газете «Право», воскресенье 24 июля. 1911. №29. 1620–1627: იხ. А. Зейц. Возмещение морального вреда по советскому праву. в журнале «Еженедельник советской юстиции», №47, 1927, 1465; ასევე იხ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 22 ნოემბრის გადაწყვეტილება (№ას-868-817-2010); არაქონებრივი ზიანის შესახებ ასევე იხ. F. Hütte/ M. Helborn, Schuldrecht Allgemeiner Teil, 3. Aufl., Grasberg bei Bremsen, 2005, 342.

[639] იხ. თ. ნინიძე, მორალური ზიანის პრობლემა სამოქალაქო სამართალში, ჟურნ. „საბჭოთა სამართალი", N2, 1978, 45.

[640] იხ. შ. ჩიკვაშვილი, პასუხისმგებლობა მორალური ზიანისთვის, თბ., 2003, 83.

[641] იხ. შ. ჩიკვაშვილი, პასუხისმგებლობა მორალური ზიანისთვის, თბ., 2003, 26-27.

[642] იხ. გრ. რცხილაძე, მორალური ზიანის ანაზღაურება, ჟურნ. „საბჭოთა სამართალი", N4, 1928, 80.

საფუძველზე უფლებამოსილება, მიეყენებინა სხვისთვის ზიანი. მაგალითად, ქირურგის მიერ ფეხის ამპუტაცია.[643]

ზიანის ანაზღაურების ვალდებულება შეიძლება წარმოშვას როგორც მოქმედებამ, ისე უმოქმედობამ.[644] ამდენად, ქმედება მაშინ ითვლება მართლსაწინააღმდეგოდ, თუ პირი ხელყოფს, ერთი მხრივ, სხვის უფლებებს და არა აქვს ამის უფლებამოსილება, მეორე მხრივ კი, სამართლის ნორმებს.[645]

ა. გ. მიზეზობრივი კავშირი

სამოქალაქო პასუხისმგებლობის შემდგომი წინაპირობაა მართლსაწინააღმდეგო ქმედებასა და არაქონებრივ ზიანს შორის მიზეზობრივი კავშირის არსებობა. მიზეზობრივი კავშირი გულისხმობს იმას, რომ მართლსაწინააღმდეგო ქმედებამ უნდა გამოიწვიოს ზნეობრივი ტანჯვა. არამართლზომიერი ქმედება უნდა იყოს არამატერიალური ზიანის მიყენების აუცილებელი მიზეზი. ამასთან, რთულია იმის მტკიცება, ჯანმრთელობის მართლსაწინააღმდეგო ხელყოფას მოჰყვა ფიზიკური ტკივილი თუ ფსიქოლოგიური განცდები, რომლებიც ზნეობრივ ტანჯვაში აისახა. აღნიშნულის დასადგენად შეიძლება დაინიშნოს სასამართლო-სამედიცინო, სასამართლო-ფსიქიატრიული თუ სასამართლო-ფსიქოლოგიური ექსპერტიზა.[646]

ა.დ. ბრალი

ზოგადი წესის მიხედვით, არამატერიალური ზიანისთვის სამოქალაქო პასუხისმგებლობის აუცილებელი ელემენტია ბრალი. აქ მნიშვნელოვანია მტკიცების ტვირთი. საქმე ისაა, რომ არაქონებრივი ზიანის დადგომა უნდა დაამტკიცოს მოსარჩელემ. ამასთან, სპეციფიკურია მტკიცების ტვირთის საკითხი. ამ შემთხვევაში ივარაუდება ზიანის მიმყენებლის ბრალი (ზიანის მიმყენებლის ბრალეულობის პრეზუმფცია), რაც იმას ნიშნავს, რომ მოპასუხეზე გადადის მტკიცების ტვირთი. სსკ-იდან გამომდინარე, ხელმყოფი განთავისუფლდება ზიანის ანაზღაურებისგან, თუ დაამტკიცებს, რომ ზიანი არ წარმოშობილა მისი ბრალით. შესაბამისად, მოპასუხემ უნდა დაამტკიცოს თავისი ბრალის არარსებობა.[647]

---

[643] იხ. შ. ჩიკვაშვილი, პასუხისმგებლობა მორალური ზიანისთვის, თბ., 2003, 82-84.

[644] R. Schmidt, Das Schuldrecht Besonderer Teil II - Gesetzliche Schuldverhältnis, 1. Auflage, Grasberg bei Bremen, 2003, 190-191.

[645] ამ ასპექტების შესახებ იხ. M. Hampel, Das private Bauvertragsrecht im russischen Recht, Ein bewertender Vergleich zum deutschen Recht, Frankfurt am Main, 2009, 411-412.

[646] აღნიშნულთან დაკავშირებით იხ. ნ. ბარაბაძე, მორალური ზიანი და მისი ანაზღაურების პრობლემა, თბ., 2012, 72-73.

[647] მ. თოდუა, შ. ქურდაძე, ცალკეული კატეგორიის სამოქალაქო საქმეზე გადაწყვეტილების მიღების თავისებურებანი, თბ., 2005, 75.

ამასთან, არაქონებრივი ზიანი შეიძლება ანაზღაურდეს ბრალის გარეშეც შემდეგ შემთხვევებში: თუ მომეტებული საფრთხის წყაროს გამოყენებით მიადგა ზიანი სხეულს ან ჯანმრთელობას, ასევე, სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობაში უკანონოდ მიცემის, უკანონო დაკავების ან მის მიმართ ადმინისტრაციული სახდელების უკანონო შეფარდების შედეგად; სახელის ან ღირსების შემლახველი ცნობების გავრცელებისას და კანონით დადგენილ სხვა შემთხვევებში.[648]

ბ. არაქონებრივი ზიანის ანაზღაურების ფარგლები და კრიტერიუმები

არაქონებრივი ზიანის ანაზღაურებისთვის აუცილებელია, რომ არამატერიალური ზიანი მიზეზ-შედეგობრივად იყოს არამართლზომიერი და ბრალეული ქმედების შედეგი (სსკ-ის 992-ე მუხლი).[649] არაქონებრივი ზიანის ანაზღაურების სხვა პრინციპებია: იგი უნდა ანაზღაურდეს ფულადი ფორმით სასამართლოს მიერ დადგენილი ოდენობით; მორალური ზიანი ანაზღაურდება ქონებრივი ზიანისაგან დამოუკიდებლად. იგი ანაზღაურდება, მიუხედავად იმისა, არამატერიალურ ზიანთან ერთად დადგა თუ არა ქონებრივი ზიანი და ეს უკანასკნელი ანაზღაურდება თუ არა.[650]

სსკ-ის 413-ე მუხლის 1-ლი ნაწილი შეიცავს არაქონებრივი ზიანის ანაზღაურების კრიტერიუმებს: არაქონებრივი ზიანისთვის ფულადი ანაზღაურება შეიძლება მოთხოვნილ იქნეს მხოლოდ კანონით ზუსტად განსაზღვრულ შემთხვევებში გონივრული და სამართლიანი ანაზღაურების საზით. „კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში“[651] მოიაზრება არა მხოლოდ სსკ-ით, არამედ ასევე საჯაროსამართლებრივი ნორმებით გათვალისწინებული შემთხვევები. არაქონებრივი ზიანი წარმოადგენს რა სპეციფიკურ მოვლენას, შეუძლებელია ანაზღაურება სრულ კომპენსაციას ისახავდეს მიზნად. მოცემულ შემთხვევაში კომპენსაცია მიმართულია ტკივილების შემსუბუქებისკენ. არამატერიალური ზიანის ანაზღაურების მოცულობა უნდა განსაზღვროს სასამართლომ მოსარჩელის მოთხოვნის საფუძველზე. მართალია, მოსარჩელეს შეუძლია სასარჩელო განცხადებაში ასახოს მიყენებუ-

---

[648] იხ. ნ. ბარამიძე, მორალური ზიანი და მისი ანაზღაურების პრობლემა, თბ., 2012, 74-75.

[649] იხ. ნ. ბარამიძე, მორალური ზიანის ანაზღაურების უფლების წარმოშობის საფუძვლები, ჟურნ. „ადამიანი და კონსტიტუცია“, N3, 2005, 68.

[650] იხ. შ. ჩიკვაშვილი, დელიქტური ვალდებულებები სამოქალაქო სამართალში, კრებულში: „სახელმწიფოსა და სამართლის აქტუალური პრობლემები“, საიუბილეო კრებული, მიძღვნილი თსუ-ის იურიდიული ფაკულტეტის 80 წლისთავისადმი, თბ., 2003, 188.

[651] არაქონებრივი ზიანის მხოლოდ კანონით დადგენილ სპეციალურ შემთხვევებში ანაზღაურების წესი მიღებულია გერმანიასა და ავსტრიაშიც. იხ. გრ. რცხილაძე, მორალური ზიანის ანაზღაურება, ჟურნა. “საბჭოთა სამართალი“, №4, 1928, 81.

ლი სულიერი თუ ფიზიკური ტკივილის კომპენსაციისთვის ფულადი თანხა, რომელიც მის მოსაზრებას ეფუძნება, მაგრამ ანაზღაურების მოცულობას განსაზღვრავს სასამართლო.[652]

ამდენად, არამატერიალური ზიანის თვალით დანახვა უმეტესწილად შეუძლებელია, მაგრამ არის შემთხვევები, როდესაც აღნიშნული განცდები მძიმედ აისახება პირის ჯანმრთელობის მდგომარეობაზე (დიაბეტით დაავადება, ფსიქიკური აშლილობა და ზოგადად ნერვიულობა, აღნიშნული ადამიანს ყველაზე მეტად რომ ვნებს, ალბათ, ეს მტკიცებას არ საჭიროებს). ამდენად, არაქონებრივი ზიანის უმნიშვნელობაზე საუბარი ზედმეტია, უფრო მეტიც, მას ხშირ შემთხვევებში ბევრად მძიმე შედეგი მოაქვს ადამიანისთვის, ვიდრე ქონებრივ ზიანს. თუმცა ვინაიდან არამატერიალური ზიანის არსებობის დადასტურება და ზიანის ღირებულების ზუსტად განსაზღვრა არის რთული, კანონმდებლის მიერ მნიშვნელოვანი არაქონებრივი ზიანის ანაზღაურება სწორ პოზიციად უნდა ჩაითვალოს. კანონით პირდაპირ გათვალისწინებულ შემთხვევაში არამატერიალური ზიანის ანაზღაურება სწორედ იმას გულისხმობს, რომ სამართლებრივი სიკეთის (პატივი, ღირსება, საქმიანი რეპუტაცია, ჯანმრთელობა პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობა და სხვა) ხელყოფის და მნიშვნელოვანი (მძიმე) არაქონებრივი ზიანის არსებობისას კანონმდებლობა იძლევა მისი ანაზღაურების შესაძლებლობას. ამით ფაქტობრივად კანონმდებელმა გამიჯნა არსებითი და არაარსებითი ზიანი. შესაბამისად, განისაზღვრა, რომ არამატერიალური ზიანის ანაზღაურდება, თუ ზიანი სამართლებრივად მნიშვნელოვანი და ანგარიშგასაწევია.[653]

ამასთან, სამოქალაქო სამართლის კანონმდებლობაში არაქონებრივი ზიანის ანაზღაურების ერთ-ერთ შემთხვევად დასახელებულია სხეულისა და ჯანმრთელობის ხელყოფა (სსკ-ის 413-ე მუხლის მე-2 ნაწილი). ჯანმრთელობისთვის ზიანის მიყენება წარმოშობს იურიდიულ შედეგებს, მათ შორის ზიანის ანაზღაურების მოვალეობას.[654]

სხეულის ან ჯანმრთელობის ხელყოფის დროს დაზარალებულს შეიძლება ჰქონდეს როგორც ქონებრივი (სსკ-ის 408-ე მუხლი), ისე არაქონებრივი ზიანის ანაზღაურების უფლება (სსკ-ის 413-ე მუხლი). უფრო ზუსტად რომ აღინიშნოს, თუ ამ სიკეთეების შელახვას მოჰყვა

---

[652] აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით იხ. ზ. ძლიერიშვილი, მომეტებული საფრთხის წყაროთი მიყენებული ზიანის ანაზღაურება სსკ-ის 999-ე მუხლის მაგალითზე, ჟურნ. „ადვოკატი", N2, 2013, 32-33.

[653] აღნიშნულთან დაკავშ. იხ. ლ. დოღონაძე, მორალური ზიანის ანაზღაურება (სადოქტორო დისერტაცია), თბ., 2010, 172-175.

[654] ზიანის სრულად ანაზღაურების შესახებ იხ. В. Т. Смирнов. Гражданская ответственность государственных предприятий за причинение увечя или смерти работникам. М., 1957, 111.

შრომის უნარის წართმევა, შემცირება ან კიდევ მოთხოვნილებების გაზრდა, წარმოიშობა ქონებრივი ზიანის ანაზღაურების უფლება (სსკ-ის 408-ე მუხლის მე-2 ნაწილი). შესაბამისად, ჯანმრთელობის ყოველი შელახვა იმთავითვე არ გულისხმობს არაქონებრივი ზიანის ანაზღაურებას. საქმე ისაა, რომ არამატერიალური ზიანი ექვემდებარება ანაზღაურებას, თუ ჯანმრთელობას მიადგა ზიანი და ამან გამოიწვია სულიერი, ფსიქიკური ტანჯვა, ეს წინაპირობები კი კუმულაციურად არსებობს. არაქონებრივი ზიანი არ უნდა ანაზღაურდეს, თუ ქონებრივი ზიანის გამო წარმოშობილ სულიერ ტანჯვას მოჰყვა ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესება (მოშლა). მართალია, შესაძლებელია გარკვეულმა ქმედებამ გამოიწვიოს მორალური, სულიერი ტანჯვა, მაგრამ ის ანაზღაურდება მხოლოდ კანონით ზუსტად გათვალისწინებულ შემთხვევებში. ამდენად, კანონმდებლის მიზანია, შეზღუდოს ამ ნორმის დაუსაბუთებელი გაფართოება, რათა უზრუნველყოს სამოქალაქო ბრუნვის სტაბილურობა და წესრიგი. მოცემული ნორმით დადგენილი შედეგის აუცილებელი წინაპირობაა ადამიანის ჯანმრთელობისთვის ზიანის მიყენება, რის შედეგადაც დაზარალებულმა, ასევე, განიცადა სულიერი ტანჯვა, ფსიქიკური სტრესი. სხეულის თუ ჯანმრთელობისათვის ვნების მიყენებაში უნდა მოიაზრებოდეს ისეთი ზემოქმედება, რომელიც ადამიანის სხეულს ან ადამიანის ორგანიზმის შინაგან პროცესებს ხელყოფს. ამდენად, არაქონებრივი ზიანი უნდა ანაზღაურდეს ჯანმრთელობისათვის ვნების მიყენების შედეგად გამოწვეული სულიერი, ფსიქიკური ტანჯვის დროს (და არა ქონებრივი ზიანის გამო სულიერი ტანჯვის საფუძველზე ჯანმრთელობის მოშლის შემთხვევებში). აღნიშნული წესი ასე რომ არ განიმარტოს, წინააღმდეგ შემთხვევაში ეს ნორმა გავრცელდებოდა ნებისმიერი ქონებრივი ვალდებულების დარღვევის მიმართ, რომელიც სულიერი ტანჯვის შედეგად გამოიწვევს ჯანმრთელობის გაუარესებას, მაგალითად, ნასყიდობის ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობის შედეგად და ა.შ., რაც დაუშვებელია.[655]

არაქონებრივი ზიანი ანაზღაურდება არა ეკვივალენტურობის პრინციპის, არამედ ინდივიდუალური თავისებურებების, კერძოდ, ამ ზიანის ხარისხისა და ხასიათის, მხარეთა მატერიალური მდგომარეობის გათვალისწინებით. ამასთან, ზიანის კომპენსაციის დროს მნიშვნელოვანია ზიანის სიმძიმე, ვინაიდან როგორც მსუბუქი სულიერი განცდები, ისე მსუბუქი ფიზიკური ტკივილი მხედველობაში არ მიიღება.[656]

რაც შეეხება არამატერიალური ზიანის ანაზღაურების გონივრულობისა და სამართლიანობის კრიტერიუმებს, ისინი უნდა გამოიხატოს

---

[655] ამავე მოსაზრების შესახებ იხ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2012 წლის 20 იანვრის გადაწყვეტილება (№ას-1156-1176-2011).

[656] იხ. შ. ჩიკვაშვილი, პასუხისმგებლობა მორალური ზიანისთვის, თბ., 2003, 105, 97-98.

სოციალური ამოცანების განხორციელებით, რომელსაც მიზნად ისახავს დელიქტური პასუხისმგებლობის ეს სახე. არაქონებრივი ზიანის ანაზღაურებას სამი ფუნქცია აქვს: დააკმაყოფილოს დაზარალებული (სატისფაქცია); ზემოქმედება მოახდინოს ზიანის მიმყენებელზე (რეპრესია) და თავიდან აიცილოს პიროვნული უფლებების ხელყოფა სხვა პირების მიერ (პრევენცია). ამ ფუნქციათა კომბინაცია არამატერიალური ზიანის ანაზღაურების ერთიანი მიზანია, რომელიც არაქონებრივი ზიანის ფულად ანაზღაურებაში უნდა აისახოს. არაქონებრივი ზიანის ანაზღაურების უმთავრესი მიზანია არა ხელყოფილი უფლების რესტიტუცია, რაც აქ შეუძლებელია, არამედ სულიერი თუ ხორციელი ტკივილის ან ხელყოფილი პიროვნული სიკეთის დადებითი ემოციებით შეცვლაა. კომპენსაციური ფუნქციის განხორციელების უპირველესი ფაქტორია ფსიქიკური ზიანი ანუ სულიერი ტკივილი, რომელიც პიროვნული უფლებების შელახვის შედეგად დადგა. თუ ფსიქიკურმა ზიანმა გამოხატულება ჰპოვა დაზარალებულის ფიზიკურ მდგომარეობაშიც, მაშინ საქმე ეხება ასანაზღაურებელი ზიანის მნიშვნელოვან მასშტაბებს.[657] ამ შემთხვევაში უნდა მოიაზრებოდეს პასუხისმგებლობის აღმზრდელობით-გამაფრთხილებელი ზემოქმედება, რომელიც ვლინდება რეპრესიის გამოყენების შესაძლებლობასა და ზიანის ანაზღაურების მოვალეობის დაკისრებაში. აქ გამოკვეთილია, რომ ქონებრივი რეპრესია განიხილება პრევენციის მოქმედების პირობად.[658]

ამასთან, თუ არამატერიალური ზიანი ექვემდებარება კომპენსაციას ქონებრივ ზიანთან ერთად (მაგალითად, ჯანმრთელობისთვის ზიანის მიყენებისას პირმა განიცადა სულიერი ტკივილი, რის გამოც გასწია მკურნალობისა და რეაბილიტაციის ხარჯები), არაქონებრივი ზიანის ოდენობა უბრალოდ არ უნდა დაემატოს ქონებრივი ზიანის ოდენობას. თუმცა პრაქტიკა ზოგჯერ ამ გზით მიდის. სასამართლომ ყველა კონკრეტულ შემთხვევაში კომპენსაციის ოდენობა უნდა განსაზღვროს პირის ინდივიდუალურ თავისებურებებთან დაკავშირებული ფიზიკური და სულიერი ტკივილის ხარისხის, ზიანის მიმყენებლის ბრალის (როცა ეს პასუხისმგებლობის აუცილებელი პირობაა) და სხვა ყურადსაღები გარემოებების გათვალისწინებით.[659]

---

[657] იხ. თ. ნინიძე, პირადი არაქონებრივი უფლებები, სსკ-ის კომენტარი, წ. I, თბ., 2002, 74-76.

[658] აღნიშნულთან დაკავშ. იხ. В. Варкалло, Об Ответственности по гражданскому праву (возмещение вреда _ функции, виды, границы), Перевод с польского В. Залеского, М., 1978, 38, 44-45.

[659] ზ. ძლიერიშვილი, მოშეტებული საფრთხის წყაროთი მიყენებული ზიანის ანაზღაურება სსკ-ის 999-ე მუხლის მაგალითზე, ჟურნ. „ადვოკატი“, N2, 2013, 33-34.

5. აბსოლუტური უფლებების სამოქალაქოსამართლებრივი დაცვის სხვა ფორმები

5.1. უფლების აღიარება

არაქონებრივი უფლებების დაცვის ერთ-ერთ ფორმად ითვლება უფლების აღიარება (სსკ-ის მე-18 მუხლი),[660] რომელიც მიმართულია სამოქალაქოსამართლებრივი პასუხისმგებლობის პრევენციული ფუნქციის განხორციელებისკენ. უფლების აღიარების საკითხი წამოიჭრება უფლების სადაოობის ან საეჭვოობის, ასევე, უარყოფის დროს, ან თუ არის რეალური საფრთხე, რომ ის უარყოფილი ან სადაო გახდება. უფლების აღიარება უკავშირდება რომელიმე იურიდიული ფაქტის დადგენის შესახებ სასამართლოსთვის მიმართვას.[661] მაგალითად, სსკ-ის მე-18 მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, თუ ვინმეს შეეცილებიან სახელის ტარებას, მაშინ სასარჩელო მოთხოვნა უნდა ეფუძნებოდეს შემდგომ საფუძვლებს: ა) სადავო სახელი უნდა ეკუთვნოდეს მოსარჩელეს და ბ) მოპასუხე უნდა უარყოფდეს, რომ სადავო სახელი ეკუთვნის მოსარჩელეს. შესაბამისად, ამ შემთხვევაში სასარჩელო მოთხოვნა იქნება სახელის აღიარება, რომელიც დაცულია, ხელყოფის ბრალეულობის მიუხედავად და დაზარალებულის უფლებების აღდგენას ისახავს მიზნად. [662]

5.2. მოქმედების განხორციელებისაგან თავის შეკავება და შეწყვეტა

სსკ-ის მე-18 მუხლში პირადი უფლებების დაცვის ფორმათა შორის გამოიყოფა ხელმყოფი მოქმედების შეწყვეტა ან მასზე უარის თქმა, რომლებიც დაზარალებულის უფლებათა აღდგენას ემსახურება. ეს მოთხოვნები შეიძლება დაკმაყოფილდეს ხელყოფის ბრალეულობის მიუხედავად. თუმცა, თუ პირადი უფლება შეილახა ვინმეს ბრალეული მოქმედებით, პირს შეუძლია არაქონებრივი ზიანის ანაზღაურება მოითხოვოს.[663]

ხელმყოფი მოქმედების განხორციელებისაგან თავის შეკავება არის დროებითი განკარგულება, რომელიც დაინტერესებულ პირს აძლევს სწრაფ და ეფექტურ საშუალებას მედიის მიერ სამართალდამრღვევი რეპორტა-

---

[660] იხ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2003 წლის 24 აპრილის გადაწყვეტილება (ს3კ-1240-02).

[661] Т. В. Дробышевсая, Личные неимущественные права граждан и их гражданско-правовая защита. Красноярск, 2001, 58; ა. კობახიძე, სამოქალაქო სამართალი, ტ. I, ზოგადი ნაწილი, თბ., 2001, 339.

[662] ამ საკითხის შესახებ იხ. თ. ნინიძე, სსკ-ის კომენტარი, წ. I, თბ., 2002, 58-59, 70.

[663] იხ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2003 წლის 24 აპრილის გადაწყვეტილება (N3კ-1240-02).

ჟის გაკეთებაზე. მომავალში წამოყენებულ ამ მოთხოვნას შეუძლია პირადი უფლებების ხელმეორედ ხელყოფა აიცილოს თავიდან; მას ინფორმაციის თანამედროვე ელექტრონული სისტემასა და კომპიუტერზე დამოკიდებული პრესისთვის დიდი მნიშვნელობა აქვს. ამ მოთხოვნის წამოყენების წინაპირობაა გამეორების საფრთხე, რომელიც ხელმეორედ დარღვევის სერიოზულ საფრთხეს ნიშნავს. ასეთი საფრთხე ივარაუდება, როცა სამართალდარღვევა უკვე მოხდა და არაა გამორიცხული, რომ ეს საფრთხე კვლავ გამეორდეს. თუ მოთხოვნის წამყენებელი არაპირდაპირ საფრთხის მუქარის ვარაუდს ქმნის, მაშინ მოქმედების განხორციელებისაგან თავის შეკავების მოთხოვნა პროფილაქტიური ხასიათისაა და შეიძლება პირმა დააყენოს დასაწყისშივე დარღვევის საფრთხის არსებობისას. ხელმყოფი მოქმედების შეწყვეტის შესახებ მოთხოვნა ხელყოფის შედეგების ლიკვიდაციის გზით ემსახურება მიმდინარე დარღვევის წყაროების აღმოფხვრას. აქ საქმე ეხება არასწორი ფაქტების გავრცელებას, რაც დელიქტურ ვალდებულებებს უკავშირდება. ამ ფორმით შეიძლება შეიქმნას ადამიანთა შესახებ არასწორი წარმოდგენა. ამასთან, პირადი ცხოვრებიდან გარკვეული ფაქტების გამოქვეყნება, რისი გავრცელებაც უფლებამოსილ პირს არ სურს, ხელყოფს მის პირად ცხოვრებას.[664]

ასევე, უფლებამოსილმა პირმა შეიძლება ხელმყოფი მოქმედების შეწყვეტა მოითხოვოს, ერთი მხრივ, სახელის ტარების უფლების შეცილების ან სახელის უნებართვო გამოყენების დროს, მეორე მხრივ, გამოსახულების თანხმობის გარეშე გამოქვეყნების შემთხვევაში, მიუხედავად ხელმყოფის ბრალისა (სსკ-ის მე-18 მუხლის 1-ლი, მე-5 და მე-6 ნაწილები).

5.3. უარყოფა

სსკ-ის მე-18 მუხლში დეკლარირებული სიკეთეების დაცვის თვალსაზრისით მნიშვნელოვანია სასამართლო წესით სინამდვილესთან შეუსაბამო ინფორმაციის უარყოფის მოთხოვნა,[665] რომელიც წარმოიშობა, მიუხედავად ხელყოფის ბრალეულობისა. ეს მოთხოვნაც დაზარალებულის უფლებების აღდგენას ემსახურება.[666] ფაქტების უარყოფის მოთხოვნა უპირატესად შეეხება პრესის ფურცლებზე გამოქვეყნებული ფაქტობრივი

---

[664] H. Münch, Der Schutz des Einzelnen vor Presseveröffentlichungen durch den Deutschen Presserat und die britische Press Complaints Commision, Eine Untersuchung zur Spruchpraxis unter besonderer Berücksichtigung des zivilechtlichen Rechtsschutzes der Privatsphäre (Dissertation), Konstanz, 2001, 128-129.

[665] იხ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2006 წლის 1 ივნისის განჩინება (Nას-1284-1520-05).

[666] იხ. თ. ნინიძე, სსკ-ის კომენტარი, თბ., 2002, 70.

გარემოებების თაობაზე მტკიცებას. უარყოფის მოთხოვნის ფორმაც დასაშვებია მხოლოდ ფაქტების მტკიცებებთან დაკავშირებით.[667]

აზრის თავისუფლების წინა პლანზე წამოწევამ განაპირობა 2004 წლის 24 ივნისს სსკ-ის მე-18 მუხლში ცვლილების შეტანა, რომლითაც სსკ-ის მე-18 მუხლით გათვალისწინებულ უფლებათა დაცვა შეიძლება მოხდეს „კანონით დადგენილი წესით". აღნიშნული უკავშირდება „სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ" კანონს, რომლის 1-ლი მუხლის „ე" ქვეპუნქტით ცილისწამებად ჩაითვალა არსებითად მცდარი ინფორმაციის შემცველი და პირისთვის საზიანო, მისი სახელის გამტეხი განცხადება. ამავე კანონის მე-13 მუხლის მიხედვით, პირს ეკისრება სამოქალაქოსამართლებრივი პასუხისმგებლობა კერძო პირის ცილისწამებისთვის, თუ მოსარჩელე სასამართლოში დაამტკიცებს, რომ მოპასუხემ გააერცელა განცხადება, რომელიც შეიცავს არსებითად მცდარ ფაქტს უშუალოდ მოსარჩელის შესახებ და ამ განცხადებამ მის პატივს, ღირსებასა და საქმიან რეპუტაციას ზიანი მიაყენა. აქ ცილისწამების განსასაზღვრად მნიშვნელოვანია ფაქტებისა და შეფასებების გამიჯვნა, ვინაიდან ამ კანონის მე-4 მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, აზრი დაცულია აბსოლუტური პრივილეგიით. [668]

ამასთან, ზემოთ მოყვანილი კანონის მე-17 მუხლის მიხედვით, გავრცელებული ცნობების საჯაროდ უარყოფა შეიძლება დაეკისროს პირს მხოლოდ მის მიერ სხვა პირის ცილისწამების შემთხვევაში. შესაბამისად, თუ არ დამტკიცდა ცილისწამება, მაშინ საჯაროდ გავრცელებული ცნობების უარყოფის მოთხოვნაც არ დაკმაყოფილდება. აღნიშნული კანონის მე-7 მუხლი განსაზღვრავს, რომ ამ კანონით გათვალისწინებული უფლებების ნებისმიერი შეზღუდვა უნდა ემყარებოდეს უტყუარ მტკიცებულებებს. ამავე მუხლის მე-6 პუნქტის თანახმად, სიტყვის თავისუფლების შეზღუდვის მტკიცების ტვირთი ეკისრება შეზღუდვის ინიციატორს.[669]

სსკ-ის მე-18 მუხლის მე-3 ნაწილის მიხედვით, პირადი ცხოვრების შეურაცხმყოფელი ცნობების მასობრივი ინფორმაციის საშუალებით გავრცელებისას უარყოფაც ამავე მასობრივი ინფორმაციის საშუალებით უნდა მოხდეს. ამ მოთხოვნის დაყენება დასაშვებია, თუ ცნობების გამავრცელებელი ვერ დაამტკიცებს, რომ გავრცელებული ცნობები სინამდვილეს შეესაბამება. ამასთან, შეიძლება უარყოფასთან ერთად დადგეს მიყენებული

---

[667] Karl-Heinz Fezer, Kommerzialisierung des Persönlichkeit, (vorgelegt von Cl. Beuter) (Dissertation), Konstanz, 2000, 18.

[668] იხ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2012 წლის 20 თებერვლის განჩინება (№ას-1278-1298-2011).

[669] იხ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2011 წლის 14 იულისის გადაწყვეტილება (№207-194-2011).

ზარალისა და არაქონებრივი ზიანის ანაზღაურების საკითხი. თუმცა, თუ გავრცელდა სინამდვილის შესაბამისი ცნობები, გამოირიცხება უარყოფის შესახებ მოთხოვნის უფლების წარმოშობა. ამ სახის ცნობების შეურაცხმყოფელი ფორმის შემთხვევაში დასაშვებია არაქონებრივი ზიანის ანაზღაურებაც.[670]

ასევე, საგულისხმოა, რომ გამოთქმული აზრის საჯაროდ უარყოფა ამცირებს არამატერიალური ზიანის ანაზღაურების ოდენობას.[671]

5.4. საკუთარი პასუხის გამოქვეყნების შესახებ მოთხოვნა

სსკ-ი ითვალისწინებს მასობრივი ინფორმაციის საშუალებებით გავრცელებული სინამდვილესთან შეუსაბამო ცნობების გამოქვეყნებისას იმავე საშუალებებით პასუხის გამოქვეყნებასაც[672] (სსკ. მე-18 მუხლის მე-4 ნაწილი). ამდენად, პირს აქვს უფლება, მოითხოვოს საკუთარი პასუხის გამოქვეყნება, თუ ამ პირის პატივისა და ღირსების შემლახველი ცნობები გამოქვეყნდა მასობრივი ინფორმაციის საშუალებებში. საკუთარი პასუხის გამოქვეყნებაში მოიაზრება დაინტერესებული პირის მიერ ისეთი ახსნა-განმარტების გავრცელება, რომელიც პერიოდული ბეჭდვითი მედიის საშუალებით გავრცელებული სტატიის საწინააღმდეგო გარემოებებზე მიუთითებს. ამასთან, საპასუხო მონაცემები უნდა იყოს მოკლედ წარმოდგენილი და ფაქტებზე ორიენტირებული. აქ, ცხადია, უნდა გაიმიჯნოს ფაქტების მტკიცება და აზრის გამოხატვა ერთმანეთისაგან. პრაქტიკულ პრობლემას უკავშირდება საპასუხო მონაცემების დროს წინაპირობისა და დამატებების დასაშვებობა საპასუხო მონაცემების სრულად წარმოსადგენად.[673]

6. სამოქალაქოსამართლებრივი პასუხისმგებლობს ფუნქციები

6.1. პრევენციის ფუნქცია

სამოქალაქო პასუხისმგებლობის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ფუნქციაა პრევენციის განხორციელება, რომელსაც გამაფრთხილებელი და აღმზრდელობითი ხასიათი აქვს. ყველაზე ნათლად ეს ფუნქცია გამოხატ-

---

[670] იხ. ნ. ბარაბაძე, მორალური ზიანის ანაზღაურების უფლების წარმოშობის საფუძველი, ჟურნ. „ადამიანი და კონსტიტუცია", N3, 2005, 75-76.

[671] იხ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2009 წლის 3 დეკემბრის გადაწყვეტილება (N440-754-09).

[672] საპასუხო სიტყვის შესახებ იხ. T. Perger, Ehrenshutz von Soldaten in Deutschland und anderen Staaten, (TUP-Productions) (Dissertation), Köln, 2003, 81-82.

[673] Karl-Heinz Fezer, Kommerzialisierung des Persönlichkeit, (vorgelegt von Cl. Beuter) (Dissertation), Konstanz, 2000, 12-13.

ულია პირადი არაქონებრივი ურთიერთობების რეგლამენტაციაში.[674] პრევენცია სამოქალაქო სამართალში არაა ნათლად განსაზღვრული, თუმცა ის სისხლის სამართალში სასჯელის მიზნებიდან გამომდინარე არის შესწავლილი. ამიტომ პრევენციის ცნება სამოქალაქო სამართალში სისხლის სამართლიდან არის გადმოღებული. პრევენციაში მოიაზრება გაფრთხილება ან პროფილაქტიკა, კონკრეტული დაცვის ფორმებით საფრთხის შემცველი სამართალდარღვევების თავიდან აცილება.[675] არაქონებრივი ზიანის ანაზღაურების პრევენციის ფუნქციის მისაღწევად გადამწყვეტია ისეთი ფაქტორი, როგორიცაა სამართალდარღვევის განმეორების საშიშროების მიმყენებლის მიერ. ამ შემთხვევაში, ასევე, ანაზღაურება უნდა იყოს გონივრული და სამართლიანი.[676]

ამასთან, არაქონებრივი ზიანის ანაზღაურება დაზარალებულისთვის მორალური დაკმაყოფილების ხასიათს ატარებს, რეალური რესტიტუცია მეტად არაა შესაძლებელი. აქ ფულადი სახით კომპენსაცია პრევენციის ფუნქციის განხორციელებას ემსახურება.[677] არამატერიალური ზიანის ანაზღაურების დროს მორალური დაკმაყოფილება შეუძლებელია და მხოლოდ სანქციის დადების ასპექტი თამაშობს მნიშვნელოვან როლს ზიანის თავიდან აცილებაში.[678] თვით პასუხისმგებლობის დადგენის ფაქტს და მისი გამოყენების შესაძლებლობას აქვს პრევენციული ზემოქმედება. ეს არ უნდა ნიშნავდეს, რომ პრევენციული ფუნქცია სამოქალაქოსამართლებრივი პასუხისმგებლობის სხვა ფუნქციებისაგან დამოუკიდებელია. პასუხისმგებლობის აღმზრდელობით-გამაფრთხილებელი ზემოქმედება ვლინდება სამართლებრივი რეპრესიის გამოყენების შესაძლებლობასა და ზიანის ანაზღაურების მოვალეობის დაკისრებაში. ამდენად, აშკარაა, რომ აქ მნიშვნელოვანია ზოგადი პრევენცია. ამასთან, საქმე ეხება ქონებრივ რეპრესიას, როგორც პრევენციის ზემოქმედების პირობას.[679]

---

[674] იხ. <http://www.vip-study.ru/files/8.doc> [12.03.10 12:34].

[675] იხ. K. Weis, Der immaterialgüterrechtliche Übertragungsanspruch, zugleich ein Beitrag zum Kennzeichen- und Domainrecht in Deutschland, Frankreich und der Schweiz (Dissertation), 2004, 66-67; იხ. J. Joussen, Schuldrecht I, Allgemeiner Teil, Stuttgart, 2008, 334.

[676] საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 22 ნოემბრის გადაწყვეტილება (№ას-868-817-2010).

[677] იხ. H. Münch, Der Schutz des Einzelnen vor Presseveröffentlichungen durch den Deutschen Presserat und die britische Press Complaints Commision, Eine Untersuchung zur Spruchpraxis unter besonderer Berücksichtigung des zivilechtlichen Rechtsschutzes der Privatsphäere (Dissertation), Konstanz, 2001, 130.

[678] იხ. E. Schmidt, Das Schuldverhältnis, Eine systematische Darstellung des Allgemeinen Schuldrechts, Heidelberg, 2004, 150-151; M. Kittner, Gesamtsystem Schuldrecht, Rechtliche Grundlagen _ Wirtschaftliche Zusammenhänge, München, 1998, 134-135.

[679] აღნიშნულთან დაკავშ. იხ. В. Варкалло, Об Ответственности по гражданскому праву (возмещение вреда _ функции, виды, границы), Перевод с польского В. Залеского, М.. 1978, 38, 44-45.

6.2. სატისფაქციის ფუნქცია

პიროვნული უფლების ხელყოფისას განსაკუთრებულია არაქონებრივი ზიანის მორალური დაკმაყოფილების ფუნქცია,[680] რომელიც გამოიხატება ლათინური ტერმინით „სატისფაქცია."[681]

დაკმაყოფილება დაზარალებულის უფლების შელახვისას გადატანილი სულიერი ტკივილის „გამრთელებას" უწყობს ხელს. დაკმაყოფილების მიზანია, რომ ფულადი ფორმით ზიანის ანაზღაურება იყოს მიმართული სხეულებრივი ზიანისა და სულიერი ტანჯვის (ტკივილის) კომპენსირებისკენ.[682]

ეს ფუნქცია ემსახურება სუბიექტური ასპექტების დაკმაყოფილებას, რაც სამართლებრივი თვალსაზრისით არ უნდა იყოს იმდენად რელევანტური, რამდენადაც ობიექტურ მოცემულობაში არსებული რაობა. ამიტომაც გერმანიის ფედერალური სასამართლო არაა მიმართული პირის მორალურ დაკმაყოფილებაზე. ამ გაგებით, შეუძლებელია ინდივიდის ყველა სუბიექტური ასპექტი იყოს მხედველობაში მიღებული, რაც არც უნდა იყოს სამართლის მიზანი. იურიდიული თვალსაზრისით, მნიშვნელოვანია ზიანის ობიექტურ ფორმებში ასახვა.[683]

6.3. საკომპენსაციო ფუნქცია

განასხვავებენ ზიანის რეპარაციის მხოლოდ ორ საშუალებას: ზიანის მიყენებამდე არსებული ფაქტობრივი მდგომარეობის აღდგენა (ე. წ. „რესტიტიციო") და ფულადი ფორმით ანაზღაურება (ე. წ. „კომპენსაციო"). საქმე ისაა, რომ არაქონებრივი ზიანისთვის სრულიად შეუსაბამოა რესტიტუციის განხორციელება, ვინაიდან ერთხელ ადამიანის მიერ განცდილი მწუხარება, ტანჯვა ამოუშლელია მის სულიერი აგებულებიდან და ამიტომ სამართლებრივად გამოუსადეგარია არამატერიალური ზიანის „მალამოდ" რესტიტუციის გამოყენება. რჩება ფულადი ანაზღაურება, თუმცა ის, ცხადია, არაა არამატერიალური ზიანის ეკვივალენტი. მორალისა და ფულის გათანაბრება შეუძლებელია. მოცემულ შემთხვევაში ფულადი თანხის გადახდევინებას მაინც განსაზღვრულწილად დაკმაყოფილების მნიშვნელობა

[680] იხ. Karl-Heinz Fezer, Kommerzialisierung des Persönlichkeit, (vorgelegt von Cl. Beuter) (Dissertation zur Erlangung des Grades eines Doktors der Rechte), 2000, 29; J. Joussen, Schuldrecht I, Allgemeiner Teil, Stuttgart, 2008, 376; იხ. F. Hütte/ M. Helborn, Schuldrecht Allgemeiner Teil, 3. Aufl., Bremsen, 2005, 370.

[681] იხ. Большой юридический словарь /под ред. А. Сухарева, В. Крутских/. М., 2002, 541.

[682] იხ. Marie_theres Frick, Persönlichkeitsrechte, Beiträge, Liechtenstein-Institut, Forschung und Lehre, Nr. 5, Liechtenstein, Fürstentum Liechtenstein, 1996, 19.

[683] იხ. CH. Uesseler, Einwirkungen der Grundrechte auf das Schadenersatzrecht (Dissertation), Wuppertal, 2008, 41.

აქვს.[684] ამდენად, ზიანის ანაზღაურება ხშირად რესტიტუციური კი არა, არამედ კომპენსაციური ბუნებისაა. არამატერიალური ზიანის რეპარაცია ყოველთვის კომპენსაციური ხასიათის უნდა იყოს.[685]

საკომპენსაციო ფუნქცია მოიცავს განცდილი ზიანის ანაზღაურებას და ემსახურება გადატანილი ტანჯვისა თუ უმართლობის კორექტირებას. ამ ფუნქციაში მოიაზრება ფულადი ფორმით მატერიალური ზიანის ანაზღაურება. გონივრული ანაზღაურება, რომელიც სამართლებრივი სიკეთეების ხელყოფისას წარმოშობილი არაქონებრივი ზიანისთვისაა გათვალისწინებული, პირველ რიგში, ემსახურება დაზარალებულის მიერ განცდილი არამატერიალური ზიანისთვის კომპენსირებას. ამავე დროს, რესტიტუციის კრიტერიუმებს განეკუთვნება ჩარევის ინტენსიურობა და ხანგრძლივობა.[686]

კომპენსაციამ (ზიანის ანაზღაურებამ) უნდა მოახდინოს ტანჯვის „გამრთელება“ და მას მხოლოდ გამონაკლისის სახით უნდა ჰქონდეს სადამსჯელო ხასიათი. მისი სადამსჯელო ხასიათი ემსახურება პრესის დისციპლინირებას, რადგან სხვაგვარად ზიანის ანაზღაურება პიროვნული უფლებების ხელყოფის გზით მხოლოდ კომპენსაციური ბუნებისაა.[687]

როგორც ქონებრივი, ისე არაქონებრივი ზიანი არის ფულადი ფორმით გამოხატული ზიანი. აღდგენა შეიძლება რესტიტუციის გზით და რეპარაცია მიიღწევა პატივის ხელმყოფი მოქმედების შეწყვეტით ან უკანონოდ გამოცემული ფოტოასლების გადაცემის ფორმით.[688] ამიტომ ამ ფუნქციას საკომპენსაციო-აღდგენით ფუნქციადაც მოიხსენიებენ.[689] ამდენად, ზიანის ანაზღაურება ხშირად არა თუ რესტიტუციურ, არამედ კომპენსაციურ ხასიათს ატარებს.[690] ზიანის ანაზღაურების ძირითადი მიზანი არაა სანქციის დადება და დასჯა, არამედ მიყენებული ზიანის კომპენსირება.[691]

---

[684] იხ. გრ. რცხილაძე, მორალური ზიანის ანაზღაურება, ჟურნ. „საბჭოთა სამართალი“, N4, 1928, 81.

[685] იხ. თ. ნინიძე, მორალური ზიანის პრობლემა სამოქალაქო სამართალში, ჟურნ. „საბჭოთა სამართალი“, N2, 1978, 54.

[686] Chr. Uesseler, Einwirkungen der Grundrechte auf das Schadenersatzrecht (Dissertation), Wuppertal, 2008, 217-218.

[687] იხ. H. Münch, Der Schutz des Einzelnen vor Presseveröffentlichungen durch den Deutschen Presserat und die britische Press Complaints Commision, Eine Untersuchung zur Spruchpraxis unter besonderer Berücksichtigung des zivilechtlichen Rechtsschutzes der Privatsphäere (Dissertation), Konstanz, 2001, 40-41.

[688] იხ. CH. Uesseler, Einwirkungen der Grundrechte auf das Schadenersatzrecht (Dissertation), Wuppertal, 2008, 217-218.

[689] იხ. В. Голышев, Гражданско-правовая ответсвтвенность, Гражданское право, общая часть (Курс лекции), М., МИЭМП, 2007, 200.

[690] იხ. თ. ნინიძე, მორალური ზიანი სამოქალაქო სამართალში, ჟურნ. „საბჭოთა სამართალი“, №2, 1978, 54.

[691] იხ. J. Joussen, Schuldrecht I, Allgemeiner Teil, Stuttgart, W. Kohlhammer GmbH Stuttgart, 2008, 333

ამასთან, სამოქალაქოსამართლებრივი პასუხისმგებლობა გამოიხატება ფულადი თანხის დაკისრებაში. არაქონებრივი ზიანის შინაარსი და მოცულობა განისაზღვრება სასამართლოს მიერ გონივრული და სამართლიანი ანაზღაურების საბით (სსკ. 413-ე მუხლი). ამ შემთხვევაში ზიანის მოცულობის შეფასებისას გასათვალისწინებელია გარკვეული სოციალური ფაქტორები. რაც შეეხება ფულად კომპენსაციას, ის უზრუნველყოფს იმ დადებით ემოციას, რომელიც დაზარალებულს ეხმარება, სრულფასოვნად ჩაერთოს სოციალურ ურთიერთობებში.[692]

არაქონებრივი ზიანის ანაზღაურების უმთავრესი მიზანი არაა ხელყოფილი უფლებების რესტიტუცია, ვინაიდან მიყენებულ ზიანს ფულადი ეკვივალენტი არ აქვს და შეუძლებელია მისი სრული კომპენსაცია. საკომპენსაციო ფუნქცია მიმართულია დაზარალებულის სულიერი ტკივილის შემსუბუქებისკენ. კომპენსაცია ამ ფორმით უარყოფითი ემოციების გაქარწყლებას და მოპასუხეზე ზეგავლენის მოხდენას უნდა ისახავდეს მიზნად.[693] ფულადი კომპენსაცია უნდა იყოს სამომხმარებლო ინტერესების დაკმაყოფილებისკენ მიმართული, რაც გააკრიტიკა სამართლის ფსიქოლოგიურმა თეორიამ. საქმე ისაა, რომ სასამართლოს უნდა ჰქონდეს შესაძლებლობა, განსაზღვროს ფულადი კომპენსაციის ოდენობა, რომელიც იქნება საკმარისი მიყენებული სულიერი ზიანის გამო დაზარალებულის დასაკმაყოფილებლად.[694] ამასთან, ვინაიდან ზოგჯერ დაზარალებული ვერ აღწევს საკუთარი ტკივილის შემსუბუქებას, ხშირად პიროვნული უფლებების ხელყოფისას კომპენსაცია განიხილება არამატერიალური ზიანის დამბალანსებელი ფუნქციის დამატებით კომპონენტად. ამავე ფუნქციის შემადგენელ ნაწილად მოიაზრება შეფასებითი ფუნქცია, რომელიც განუსაზღვრელი და არასაკმარისია იმისთვის, რომ არამატერიალური ზიანის ანაზღაურების შეფასება შეესაბამებოდეს პიროვნულობის ხელყოფის შემთხვევებს. აქ ღირებულებითი ფაქტორის გათვალისწინებით უნდა იყოს ყველა არსებითი გარემოება განხილული[695], ვინაიდან თითოეული შემთხვევა ინდივიდუალურია.

პიროვნული უფლების ხელყოფის ან ასეთი ზიანის საფრთხის არსებობისას ყოველთვის არ არის კომპენსაცია ზიანის ეკვივალენტური.[696]

---

[692] იხ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2007 წლის 28 ნოემბრის განჩინება (№ას-505-852-07).

[693] იხ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 22 ნოემბრის გადაწყვეტილება (№ას-868-817-2010).

[694] იხ. В. Варкалло. Об Ответственности по гражданскому праву (возмещение вреда _ функции, виды, границы). Перевод с польского В. Залеского. М., 1978, 137-139.

[695] იხ. CH. Uesseler, Einwirkungen der Grundrechte auf das Schadenersatzrecht (Dissertation), Wuppertal, 2008, 242-243, 248.

[696] იხ. A Special Report issued bay Privacilla. org., The Privacy Torts: How U. S. State Law Quietly Leads the Way in Privacy Protection, Jully, 2002, 15, <http://www.privacilla.org/releases/Torts_Report.pdf> [10.09.10 13:41].

ამიტომ ქონებრივი ზიანი შეიძლება ობიექტურ ფორმებში იყოს გამოხატული, მაგრამ არამატერიალური ზიანი შეუფასებელია ფულადი ნიშნით. ამასთან, განხილული სამოქალაქოსამართლებრივი პასუხისმგებლობის ფუნქციებიდან განსაკუთრებით საყურადღებოა დამაბალანსებელი ფუნქცია. სწორედ ამ ფუნქციაშია ობიექტური მომენტები ასახული[697] და კომპენსაცია წარმოადგენს მის შემადგენელ ნაწილს, რომელშიც შეიძლება გარკვეულწილად გამოიხატოს ზიანი. ამიტომაა, რომ არაქონებრივი ზიანის მიყენებისას არ მოქმედებს ეკვივალენტურობის პრინციპი, რაც წინასწარ განსაზღვრავს სამოქალაქოსამართლებრივი დაცვის განსაკუთრებულ ხერხს. ამდენად, არაქონებრივი ზიანის ანაზღაურებაც სიმბოლურ ხასიათს ატარებს.[698]

§ 12. ქონებრივი ზიანის მომტანი ცნობების გახმაურება ღირსებულებით კონფლიქტში

1. ქონებრივი ზიანის მომტანი ცნობების გახმაურება

დელიქტური ვალდებულებებიდან ერთ-ერთია ზიანის მომტანი ცნობების გახმაურება. სსკ-ის 993-ემუხლის თანახმად, ზიანის ანაზღაურების ვალდებულების წინაპირობებია: ა) პირის მიერ სინამდვილესთან შეუსაბამო ცნობების გავრცელება, ბ) ამ სახის ცნობების გავრცელების შედეგად ქონებრივი ზიანის მიყენება; გ) გამავრცელებლის ბრალეული მოქმედება.[699] დელიქვენტი მიზნად უნდა ისახავდეს უფლების მატარებელი პირის კომპრომეტაციას ან მისი პირადი არაქონებრივი უფლებების შელახვას; დ) გავრცელებული ან გახმაურებული ცნობების არასაზოგადოებრივი მნიშვნელობა.[700]

---

[697] იხ. CH. Uesseler, Einwirkungen der Grundrechte auf das Schadenersatzrecht (Dissertation), Wuppertal, 2008, 241.

[698] იხ. შ. ჩიკაშვილი, პასუხისმგებლობა მორალური ზიანისთვის, თბ., 2003, 103-105, 108-109.

[699] აღნიშნულთან დაკავშირებით იხ. თ. ნინიძე, პირადი არაქონებრივი უფლებები, სსკ-ის კომენტარი, წ. I, თბ., 2002, 72-73; პირადი უფლებების დაცვის გარკვეული თავისებურებების შესახებ იხ. მ. თოდუა, შ. ქურდაძე, ცალკეული კატეგორიის სამოქალაქო საქმეზე გადწყვეტილების მიღების თავისებურებანი, თბ., 2005, 62-63.

[700] ო. მაჭარაშვილი, დელიქტები საერთაშორისო კერძო სამართალში, ჟურნ. „ალმანახი", N15, 2000, 18.

1.1. სინამდვილესთან შეუსაბამო ცნობების გავრცელება

ა. სინამდვილესთან შეუსაბამო ცნობების ცნება

სსკ-ის 993-ე მუხლი შეეხება ცნობებს, რომლებშიც არაა რაიმეს მიმართ სუბიექტის დამოკიდებულება ასახული. ცნობები აღწერილობითი ხასიათისაა და უკავშირდება ფაქტებსა თუ ინფორმაციას. მტკიცების საგანი შეიძლება იყოს ცნობები, რომლებშიც გარკვეული ფაქტების შესახებ მონაცემებია ასახული. ნამდვილობა შეიძლება დამტკიცდეს მხოლოდ ფაქტებთან დაკავშირებით, აზრი კი მტკიცებას არ ექვემდებარება. ამიტომ ფაქტისა და აზრის გონივრული გამიჯვნა არის სსკ-ის მე-18 მუხლის მე-2 ნაწილის მართებულად გამოყენების წინაპირობა.[701]

აღნიშნული დელიქტური ვალდებულების ერთ-ერთი საფუძველია, რომ ზიანის მომტანი ცნობები უნდა იყოს სინამდვილესთან შეუსაბამო.[702] ამიტომ ცნობების ნაწილობრივი სისწორე გამორიცხავს დამდგარი ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის კანონიერი საფუძვლის არსებობას.[703] სინამდვილესთან შეუსაბამოდ განიხილება ცნობები იმ ფაქტებისა და გარემოებების შესახებ, რომლებიც საერთოდ არ მომხდარა, ან მომხდარა, თუმცა ყალბი სახითაა წარმოდგენილი; ასევე, ასეთ ცნობებს განეკუთვნება ცნობები, რომლებიც სრულად და ზუსტად მოვლენებისა და გარემოებების შესახებ ინფორმაციას ასახავს, მაგრამ მათი უარყოფითი შეფასებაა მოცემული.[704] ეს ფაქტობრივად დასახელებული ცნობების შინაარსს ცვლის და მათ უარყოფით შეფასებას ცნობების ჭრილში გადმოცემს, რაც, ცხადია, რეალურ სურათს სხვაგვარად წარმოაჩენს.

თუმცა ზემოაღნიშნული როდი ნიშნავს იმას, რომ სინამდვილესთან შესაბამისი ცნობის გავრცელება ყოველთვის დაიშვება. თუ პატივის, ღირსების ან საქმიანი რეპუტაციის დაცვის დროს უზრუნველყოფილია პირის ცხოვრების საზოგადოებრივი მხარეები, სინამდვილესთან შეუსაბამო ცნობების გახმაურების უარყოფით საქმე ეხება სრულიად საპირისპირო მოვლენას. პირადი ცხოვრების საიდუმლოების დაცვა ამ თვალსაზრისით სპეციფიკურია. ეს თავისებურება იმაში გამოიხატება, რომ პირადი ცხოვრების საიდუმლოების ამსახველი ცნობები შეიძლება სინამდვილეს შეესაბამებოდეს, თუმცა თვით პირი იყოს დაინტერესებული ამ ცნობების გახმაურე-

---

[701] იხ. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს (მე-2 კოლეგია) 2004 წლის 11 მარტის გადაწყვეტილება (N2/1/241).

[702] იხ. R. Schaub, M. Reichel, Übungsfall: Ein umstrittenes Fernsehinterview, ZJS 1/ 2008, 51.

[703] თ. ნინიძე, პირადი არაქონებრივი უფლებები, სსკ-ის კომენტარი, წ. I, თბ., 2002, 72.

[704] იხ. მ. თოლუა, შ. ქურდაძე, ცალკეული კატეგორიის სამოქალაქო საქმეზე გადაწყვეტილების მიღების თავისებურებანი, თბ., 2005, 64.

ბისაგან დაცვით[705], ვინაიდან პირადი ცხოვრების საიდუმლოების აშსახველ ცნობებს შეიცავს (სსკ-ის მე-18 მუხლის მე-2 ნაწილი). ამდენად, პირადი საიდუმლოება შეილახება თვით უფლებამოსილი პირის ნებართვის გარეშე ისეთი ცნობების გავრცელების დროს, რომლებიც სინამდვილეს არ შეესატყვისება, მაგრამ ამ პირის ნების საწინააღმდეგოდ წარმოაჩენს შეურაცხმყოფელ, საჩოთირო, არასასურველ ეპიზოდებს. საქართველოს უზენაესმა სასამართლომ განმარტა, რომ შეიძლება ფაქტობრივი მონაცემები არასრულად გამოქვეყნდეს და ამ შემთხვევაშიც იგივე წესები გამოიყენება, თუ აღნიშნულით ილახება პირის პატივი, ღირსება ან საქმიანი რეპუტაცია.[706]

ამასთან, პირისთვის სსკ-ის 993-ე მუხლით დადგენილი პასუხისმგებლობის დასაკისრებლად აუცილებელია არასწორი, ფინანსურად წამგებიანი ინფორმაციის მართლსაწინააღმდეგოდ გავრცელება.[707]

ბ. ცილისწამება

ქონებრივი ზიანის მომტანი ცნობების გავრცელება, თავისი არსით, უკავშირდება პირადი უფლებების ხელყოფას. სსკ-ის მე-18 მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, პირადი არაქონებრივი უფლებების დაცვა შესაძლებელია კანონით დადგენილი წესით. აქ საქმე ეხება „სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ“ კანონს, რომლის 1-ლი მუხლის „ე“ ქვეპუნქტის მიხედვით, ცილისწამებად განიხილება არსებითად მცდარი ინფორმაციის შემცველი და პირისთვის საზიანო, მისი სახელის გამტეხი განცხადება. თუმცა აზრი დაცულია აბსოლუტური პრივილეგიით (ამ კანონის მე-4 მუხლის 1-ლი ნაწილი). ეს, ცხადია, მოითხოვს ფაქტის გამიჯვნას აზრისგან.[708]

ამასთან, უნდა გამოიკვეთოს კერძო და საჯარო პირის მიმართ მოქმედი ცილისწამების სტანდარტი. „სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ“ კანონის მე-13 მუხლის თანახმად, სამოქალაქოსამართლებრივი პასუხისმგებლობა კერძო პირის ცილისწამებისთვის დაეკისრება პირს, თუ მოსარჩელე დაამტკიცებს, რომ მოპასუხის განცხადება შეიცავდა მცდარ ფაქტს უშუალოდ მოსარჩელის შესახებ და ამ განცხადებით მოსარჩელეს მიადგა ზიანი. ამდენად, მოცემული ნორმის მიხედვით, ამ

---

[705] იხ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2003 წლის 24 აპრილის გადაწყვეტილება (N3კ-1240-02).

[706] იხ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2004 წლის 14 აპრილის გადაწყვეტილება (Nას-593-1241-03).

[707] იხ. პ. ლუთრინგჰაუსი, დელიქტური სამართალი, თბ., 2011, 24.

[708] იხ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2012 წლის 20 თებერვლის გადაწყვეტილება (Nას-1278-1298-2011).

სახის ფაქტების გავრცელებით პირისთვის ზიანის მიყენების მტკიცების ტვირთი მთლიანად ეკისრება მოსარჩელეს. სახელდობრ, მან უნდა ამტკიცოს, რომ ა) მოპასუხემ მოსარჩელის შესახებ გაავრცელა სადავო განცხადება, ბ) რომელიც სინამდვილეს არ შეესაბამება და გ) ამ განცხადებამ შელახა მისი პატივი და ღირსება. შესაბამისად, თუ განცხადება არ არსებობს, ცილისწამებაც გამოირიცხება. ამიტომაც მოსარჩელეს, უპირველეს ყოვლისა, ევალება იმის დამტკიცება, რომ მოპასუხემ მოსარჩელეს შესახებ გაავრცელა სადავო განცხადება. აქვე მტკიცებულებებით უნდა დადგინდეს სწორედ მოპასუხის მიერ ამ ინფორმაციის გავრცელება. მტკიცებულება პირდაპირ ან არაპირდაპირ უნდა შეიცავდეს ინფორმაციას იმის შესახებ, რომ სადავო განცხადებები მოპასუხემ გაავრცელა. აღნიშნულის დადასტურების გარეშე გამოირიცხება კანონდარღვევა.[709]

განსხვავებულია საჯარო პირის ცილისწამებისთვის სამოქალაქო პასუხისმგებლობის დაკისრების წესი. „სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-14 მუხლის თანახმად, პირს შეიძლება დაეკისროს სამოქალაქო პასუხისმგებლობა საჯარო პირის ცილისწამებისთვის შემდეგი პირობების კუმულაციურად არსებობისას: ა) თუ მოსარჩელე სასამართლოში დაამტკიცებს, რომ მოპასუხის განცხადება შეიცავს არსებითად მცდარ ფაქტს უშუალოდ მოსარჩელის შესახებ; ბ) ამ განცხადებით მოსარჩელეს ზიანი მიადგა; გ) განცხადებული ფაქტის მცდარობა მოპასუხისთვის წინასწარ იყო ცნობილი ან მოპასუხემ გამოიჩინა აშკარა და უხეში დაუდევრობა, რამაც გამოიწვია არსებითაც მცდარი ფაქტის შემცველი განცხადების გავრცელება. შესაბამისად, მოსარჩელემ უნდა ამტკიცოს, რომ მოპასუხის განცხადება შეიცავს არსებითად მცდარ ფაქტს მის შესახებ, ამ განცხადებით მას მიადგა ზიანი და მოპასუხე მოქმედებდა ბრალეულად.[710]

გ. შეურაცხყოფა

სახელის გამტეხი განცხადება შეიძლება შეეხოს ღირსებასა და პატივს. განცხადებაში, თავის მხრივ, შეიძლება მოიაზრებოდეს ინფორმაციაც, რომელიც მედიასაშუალების გზით ვრცელდება. გარდა ცილისწამებისა, პატივი და ღირსება შეიძლება შეილახოს უხამსობით (შეურაცხყოფა). ის ხორციელდება ისეთი განცხადებით, რომელსაც არა აქვს პოლიტიკური, კულტურული, სამეცნიერო ან საგანმანათლებლო მიზანი და

[709] საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2013 წლის 10 ოქტომბრის გადაწყვეტილება (№ას-1378-1300-2012).

[710] იხ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2008 წლის 16 მაისის გადაწყვეტილება (№ას-810-1129-07).

რომელიც უხეშად არღვევს საზოგადოებაში საყოველთაოდ დამკვიდრებულ ეთიკურ ნორმებს.[711] ამასთან, შეურაცხყოფაში მოიაზრება პირის პატივისა და ღირსების შელახვა, გამოხატული უწესო ფორმით. სსკ-ი, თითქოს არ იცნობს პასუხისმგებლობას შეურაცხმყოფელი განცხადებებისათვის, თუნდაც ასეთი განცხადება ზიანს აყენებდეს პირის პატივსა და ღირსებას.[712] თუ პიროვნული უფლებების ხელყოფის სამოქალაქოსამართლებრივ შემთხვევებში გამოიკვეთება პრესის თავისუფლების ძირითად უფლებასთან მიმართება (აიწონ-დაიწონება), ქმედების მართლწინააღმდეგობამ შეიძლება წარმოშვას სსკ-ის 992-ე მუხლის გამოყენების საფუძველი. მასობრივი ინფორმაციის საშუალებით პიროვნული უფლების შემლახველი აზრის გამოხატვა შეიძლება იყოს პრესის თავისუფლების გამოვლინება და მოემსახუროს საზოგადოების დაინტერესების სფეროს. სწორედ ამ გაგებით, შეიძლება აიწონ-დაიწონოს საჯარო და კერძო ინტერესები, რათა მათ შორის პრიმატი გამოიკვეთოს.[713]

აზრი ადამიანის სუბიექტური შეფასებაა ამა თუ იმ მოვლენის, იდეის, ფაქტისა თუ პიროვნების მიმართ. ფაქტები რეალურად მომხდარი საგნები, მოვლენები ან გარემოებებია, რომლებიც შეიძლება მცდარი ან მართალი იყოს.[714] დიფამაციის საქმეებში რთულია „ფაქტების გადმოცემისა“ და „შეფასებითი მსჯელობის“ გამიჯვნა. „შეფასებითი მსჯელობა“ არ ექვემდებარება მტკიცებას, თუმცა თუ ის შეიცავს კონკრეტულ ბრალდებას, ამ შემთხვევაში ასეთი „შეფასებითი მსჯელობის“ დასაცავად აუცილებელია შესაბამისი საკმარისი საფუძველი.[715] ამასთან, თუ განცხადება შეფასებაა, ჩარევის თანაზომიერება განისაზღვრება იმის მიხედვით, რამდენად არსებობდა სადავო განცხადებების გავრცელების საკმარისი ფაქტობრივი საფუძველი. შეფასებაც შეიძლება გადაჭარბებულად ჩაითვალოს, თუ ის არ ემყარება შესაბამის საკმარის ფაქტობრივ საფუძველს.[716] ამდენად, ფაქტები განსხვავდება აზრის გამოხატვისგან ან შეფასებისგან, რომლებიც ვინმეს სუბიექტურ დამოკიდებულებას ასახავს. აზრის გამოხატვა სსკ-ის 993-ე მუხლის ფარგლებში არ განიხილება.[717]

---

[711] იხ. ს. ჯორბენაძე, უ. ბახტაძე, ზ. მაჭარაძე, მედიასამართალი, თბ., 2014, 77.

[712] შად. ზ. ადეიშვილი, მედია და კანონი, თბ., 2004, 40.

[713] Fechner/Mayer (Hrsg.), Medienrecht, Vorschriftensammlung, 11. Auflage, Heidelberg, 2015, Einführung, X.

[714] საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2013 წლის 25 თებერვლის გადაწყვეტილება (№ს-1149-1169-2011); P. Wickler (Hrsg.), Handbuch Mobbing-Rechtsschutz, Bearbeiter: P. Coseriu, Beate Hänsch, H. Schwan, P. Wickler, Heidelberg, 2004, 75.

[715] საქმე Jerusalem v. Austia, 2001 წლის 27 თებერვლის გადაწყვეტილება.

[716] საქმე De Haas and Gijsels v. Belgium, 1997 წლის 24 თებერვლის გადაწყვეტილება.

[717] იხ. R. Schaub, M. Reichel, Übungsfall: Ein umstrittenes Fernsehinterview, ZJS 1/2008, 51.

ამასთან, შეურაცხმყოფელი აზრის გამოხატვით შეიძლება პირს წარმოეშვას არაქონებრივი ზიანის ანაზღაურებისა ან/და უარყოფის მოთხოვნის უფლებები. საქმის ინდივიდუალური გარემოებებიდან გამომდინარე, გამოთქმული აზრის საჯაროდ უარყოფამ შეიძლება შეამციროს ფულადი კომპენსაციის ოდენობა, ვინაიდან ფულადი ანაზღაურება მორალური ზიანის კომპენსაციაა, რაც განისაზღვრება არა ეკვივალენტურობის პრინციპით, არამედ ემსახურება მიყენებული ტანჯვისა და სულიერი განცდების შემსუბუქებას. პატივის, ღირსების ან საქმიანი რეპუტაციის შელახვისას უმნიშვნელოვანესია ამ სიკეთეების ხელყოფის უარყოფა იმავე საშუალებებით არამატერიალური ზიანის ასანაზღაურებლად და იმ ეფექტის დასაკმაყოფილებლად, რომლის იურიდიული ინტერესიც დაზარალებულს აქვს. სწორედ ამ ეფექტის შეფასება შეიძლება იყოს არაქონებრივი ზიანის ანაზღაურების ოდენობის დადგენის ერთ-ერთი კრიტერიუმი. თვით „სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ“ კანონის მე-17 მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, თუ კანონით დადგენილ ვადაში მოპასუხის მიერ შესწორების ან უარყოფის გამოქვეყნება ვერ უზრუნველყოფს ცილისწამებით მოსარჩელისთვის მიყენებული ზიანის ჯეროვან ანაზღაურებას, მოპასუხეს შეიძლება დაეკისროს ქონებრივი ან არაქონებრივი ზიანის ანაზღაურებაც.[718]

ზემოგანხილულის მიხედვით, ზიანის მომტანი ცნობების გახმაურება განსხვავდება პატივისა და ღირსების შელახვისგან გავრცელებული ინფორმაციის ხასიათის მიხედვით; ზიანის მომტანი ცნობების გახმაურება უკავშირდება ქონებრივი ზიანის მომტან ფაქტებს და მიზნად ისახავს ქონებრივი ზიანის მიყენებას, ხოლო პატივისა და ღირსების შელახვა საზოგადოების თვალში პირის დამცირებისკენაა მიმართული, თუმცა მიზანი არაა ეკონომიკური ზიანის გამოწვევა.[719]

დ. ცნობების გავრცელება

სსკ-ის 993-ე მუხლის გამოყენების მნიშვნელოვანი წინაპირობაა ზემოთ უკვე დახასიათებული ცნობების გავრცელება. კანონით არაა განსაზღვრული ცნობების გავრცელების ფორმების ამომწურავი წრე. შესაბამისად, არა აქვს მნიშვნელობა, ფაქტების გავრცელების ფორმას, ვინაიდან კანონს ცნობების გავრცელების სხვადასხვა ფორმისადმი ერთნაირი დამო-

[718] იხ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2009 წლის 3 დეკემბრის გადაწყვეტილება (№ას-440-754-09); დაცვის ორი საშუალების გამოყენების შესახებ იხ. R. Von Meiss, Die persönliche Geheimsphäre und ideren Schutz im prozessuallen Verfahren, Diesenhofen, 1975, 175-176.

[719] აღნიშნულ დაკავშ. იხ. ნ. სტურუა, ქონებრივი ზიანის მომტანი ცნობების გახმაურება, „სამართლის ჟურნალი“, N1, 2012, 148, 153.

კიდებულება აქვს. მაგალითად, ღირსებისა თუ პატივის შემლახველი ცნობების გავრცელებაში უნდა მოიაზრებოდეს ასეთი ცნობების გამოქვეყნება ბეჭდვით ორგანოში, რადიო და სატელევიზიო პროგრამებში ტრანსლაცია და მასობრივი ინფორმაციის სხვა საშუალებებით გავრცელება, სამსახურებრივ დახასიათებაში, საჯარო გამოსვლებში, განცხადებებში ასახვა (გადმოცემა) ან შეტყობინება მესამე პირისთვის. ამასთან, ცნობები გავრცელებულად ითვლება მხოლოდ იმ მომენტიდან, როცა ისინი მათი გამავრცელებლის ნებით ცნობილი გახდა თუნდაც ერთი პირისთვის, თუმცა, ცხადია, აქ არ მოიაზრება ასეთი ცნობების შეტყობინება იმ პირისთვის, რომელსაც ისინი ეხება.[720] ასევე, ზიანის მომტანი ცნობების დელიქტის თავისებურებაა ის, რომ, თუ ცნობები მასობრივი ინფორმაციის საშუალებებით გავრცელდა, ამ შემთხვევაში დელიქვენტებად გამოდიან პუბლიკაციის ავტორი და რედაქტორი (გაზეთის), ხოლო, თუ რედაქცია იურიდიული პირი არაა, მაშინ დელიქვენტად გვევლინება მასობრივი ინფორმაციის საშუალებების დამფუძნებელი.[721]

1.2. ზიანის მომტანი ცნობების გავრცელებასა და ქონებრივ ზიანს შორის მიზეზობრივი კავშირი

ქონებრივი ზიანის ანაზღაურების აუცილებელი წინაპირობაა მიზეზობრივი კავშირი მართლსაწინააღმდეგო ქმედებასა და ზიანს შორის. პირადი უფლებების ხელყოფის უშუალო შედეგი უნდა იყოს ქონებრივი ზიანი.[722] შესაბამისად, მოცემულ შემთხვევაში სწორედ ცნობების გავრცელება უნდა უსწრებდეს წინ ქონებრივი ზიანის დადგომას. ესე იგი, ცნობების გავრცელებამ უნდა გამოიწვიოს პირის მიმართ ქონებრივი ზიანის წარმოშობა.

ამ დელიქტურ ვალდებულების მომწესრიგებელი ნორმის გამოსაყენებლად აუცილებელია, რომ სინამდვილესთან შეუსაბამო ცნობების მართლსაწინააღმდეგოდ გავრცელებას მოჰყვეს სამეურნეო იმიჯის შელახვა.[723]

---

[720] იხ. მ. თოდუა, შ. ქურდაძე, ცალკული კატეგორიის სამოქალაქო საქმეზე გადაწყვეტილების მიღების თავისებურებანი, თბ., 2005, 62-63.

[721] ო. მაჭარაშვილი, დელიქტები საერთაშორისო კერძო სამართალში, ჟურნ. „ალმანახი", N15, 2000, 18.

[722] იხ. V. Emmerich, BGB - Schuldrecht, Besonderer Teil, 12., neu bearbeitete Auflage, Heidelberg, München, Landsberg, Frechen, Hamburg, 2009, 345.

[723] იხ. ჯ. ლუთრინგჰაუსი, დელიქტური სამართალი, თბ., 2011, 24.

1.3. ბრალი

ქონებრივი ზიანის ანაზღაურების უმნიშვნელოვანესი საფუძველია, ასევე, ხელმყოფი პირის ბრალი. მისი მოქმედება უნდა იყოს მიმართული უფლების მატარებელი სუბიექტის პიროვნების კომპრომეტაციისკენ, ან ითვალისწინებდეს მისი მოქმედებით დაზარალებულის კომპრომეტაციის შესაძლებლობას. ზიანის ანაზღაურება არაა დამოკიდებული ბრალის ფორმაზე; ზიანის ანაზღაურებისთვის არ აქვს მნიშვნელობა, ზიანის მიმყენებელი მოქმედება განზრახ თუ გაუფრთხილებლობით. რაც შეეხება ზიანის ანაზღაურების მოცულობას, ის განისაზღვრება როგორც ზიანის სიმძიმის, ისე ბრალის ხარისხის მიხედვით.[724]

შესაბამისად, თუ ამ კომპონენტის მიხედვით შევუდარებთ სსკ-ის მე-18 და 993-ე მუხლებს ერთმანეთს, აშკარაა მათ შორის განსხვავება. სსკ-ის მე-18 მუხლით კანონმდებელმა დააწესა პირადი უფლებების დაცვა, მიუხედავად ბრალისა, ხოლო სსკ-ის 993-ე მუხლით დადგენილი ქონებრივი ზიანის მომტანი ცნობების გახმაურებისთვის პასუხისმგებლობის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი საფუძველია ბრალი.[725]

2. ქონებრივი ზიანის მომტანი ცნობების გახმაურების ლეგიტიმაცია

2.1. ნორმის მიზანი და გამოყენების სფერო

სსკ-ის 993-ე მუხლის მე-2 ნაწილით დადგენილია გარკვეული გამონაკლისი გარემოებები, რომელთა არსებობისას ზიანის მომტანი ცნობების გახმაურებისთვის პასუხისმგებლობა გამოირიცხება. კანონმდებელი მოცემულ განსაკუთრებულ მდგომარეობას ხსნის საჯარო ინტერესის პრიორიტეტულობით. შესაბამისად, მართლსაწინააღმდეგოდ არ ითვლება სინამდვილის შესაბამისი ისეთი ცნობების გავრცელება ან გახმაურება, რომლებსაც მნიშვნელობა აქვს მართლმსაჯულების, საზოგადოებრივი უსაფრთხოების ან კანონით დაცული სხვა საზოგადოებრივი ინტერესებისთვის.[726]

---

[724] იხ. თ. ნინიძე, პირადი არაქონებრივი უფლებები, სსკ-ის კომენტარი, წ. I, თბ., 2002, 72-73.

[725] აღნიშნულ დაკავშ. იხ. ნ. სტურუა, ქონებრივი ზიანის მომტანი ცნობების გახმაურება, „სამართლის ჟურნალი", N1, 2012, 153.

[726] იხ. თ. ნინიძე, პირადი არაქონებრივი უფლებები, სსკ-ის კომენტარი, წ. I, თბ., 2002, 72.

2.2. მედია, როგორც საზოგადოებრივი ინტერესის დამცველი

მოცემულ შემთხვევაში ტერმინ „საზოგადოებრივი ინტერესის" გამოყენება ადასტურებს, რომ აქ საქმე არ შეიძლება შეეხოს მხოლოდ იმ პირის ინტერესს, ვისაც ზიანი მიადგა. თანამედროვე დემოკრატიულ წყობილებაში ვინაიდან საზოგადოებრივი ინტერესების დამცველად გვევლინება მედია, სავარაუდოა, რომ ამ შემთხვევაში მოიაზრება გამამართლებელი გარემოებები, რომლებიც, უპირველეს ყოვლისა, მიმართულია მედიის ინტერესების დაცვისკენ. ამასთან, ფართო საზოგადოება არ უნდა აგებდეს პასუხს იმისათვის, რომ მედიას არ შეუძლია თავისი ინფორმაციის სისწორის გადამოწმება. თუმცა ეს არ უნდა ნიშნავდეს მასმედიისათვის იმას, რომ, თითქოს საზოგადოებრივი ინტერესების დაცვის მიზნით არ გადაამოწმოს, ან ნაკლები ყურადღება მიაქციოს მათ მიერ გავრცელებული ინფორმაციის ჭეშმარიტების მოკვლევის საკითხს. პრესა თავისი საქმიანობისას ხშირად იძულებულია უცხო (გარე) განცხადებებს (წყაროებს) დაეყრდნოს. ასევე, თვითონ საქმიანობის ბუნებიდან გამომდინარეობს, რომ ხშირად ფაქტების ობიექტური სიმართლის ხარისხის 100%-ით განსაზღვრა შეუძლებელია. ამიტომ მასმედიის მიერ გაკეთებული განცხადებების დროს პასუხისმგებლობის დასაკისრებლად არაა საკმარისი, რომ ამ კონკრეტული ინფორმაციის უზუსტობა დამტკიცდეს, არამედ იმავდროულად უნდა იყოს დარღვეული ე.წ. „მოკვლევის ვალდებულება". შესაბამისად, მასობრივი ინფორმაციის გავრცელების საშუალება მართლსაწინააღმდეგოდ მოქმედებს იმ შემთხვევაში, თუ დეტალური მოძიებისას მას ჰქონდა შესაძლებლობა, გამოერკვია გამეღავნებული ინფორმაციის უზუსტობა, მაგრამ ეს არ შეასრულა.[727]

2.3. აზრის გამოხატვის თავისუფლების დაცვა - პასუხისმგებლობის გამორიცხვა

ცნობების გავრცელება შეიძლება შეეხოს აზრის გამოხატვის თავისუფლებასაც, რომელიც ერთდროულად უკავშირდება აზრის თავისუფლებასა და გამოხატვის თავისუფლებას (საქართვ. კონსტიტუციის მე-19 მუხლი). ტერმინში „გამოხატვა" მოიაზრება წერილობითი თუ ზეპირი ფორმით სხვადასხვა საშუალების გამოყენებით იდეების ან ინფორმაციის შესახებ აზრის გამოთქმა. ასეთი საშუალებები შეიძლება იყოს ინფორმაციის წარმოების, გადაცემის, გავრცელების საშუალებები, რომლებშიც იგულისხმება ბეჭდვითი მასალები, რადიომაუწყებლობა, ხელოვნების ნიმუშები, ფილმები თუ ელექტრონული საინფორმაციო სისტემები. ადამიანის უფლებათა ევრო-

[727] იხ. პ. ლუთრინგჰაუსი, დელიქტური სამართალი, თბ., 2011, 25.

ჯული კონვენციის მე-10 მუხლის 1-ლი ნაწილის მიხედვით, გამოხატვის თავისუფლება მოიცავს სამ ელემენტს: (ა) პირის თავისუფლებას, ჰქონდეს საკუთარი აზრი, (ბ) გაავრცელოს და (გ) მიიღოს ინფორმაცია.[728] თუმცა, საქმის „კასტელსი ესპანეთის წინააღმდეგ"[729] თანახმად, აზრის გამოხატვის თავისუფლებაში მოიაზრებენ „ისეთი განცხადებისა და გამოთქმის უფლებასაც, რომელიც შეურაცხმყოფელი, აღმაშფოთებელი და შემწუხებელია". პირის, განსაკუთრებით ჟურნალისტის, მიერ გამოხატული აზრი შეიძლება იყოს როგორც პოზიტიური, ისე ნეგატიური ხასიათის. თუმცა აქ უნდა განისაზღვროს, თუ სად შეიძლება გადიოდეს ზღვარი, ერთი მხრივ, კრიტიკის დასაშვებ ფარგლებსა და, მეორე მხრივ, პატივის, ღირსებისა და საქმიანი რეპუტაციის ხელყოფას შორის.[730]

საქმე ისაა, რომ პირის აზრის გამოხატვის თავისუფლებას, რომელიც მრავალ ასპექტს მოიცავს, გარკვეულწილად შესწევს სხვა უფლებებში ჩარევის უნარი.[731] აზრის თავისუფლებას მჭიდროდ უკავშირდება პრესის თავისუფლება. გამოხატვის თავისუფლება, ერთი მხრივ, ადამიანის თვითგამორკვევის მნიშვნელოვანი ასპექტია, ხოლო, მეორე მხრივ, ცენტრალური მნიშვნელობისაა დემოკრატიული საზოგადოებისთვის. ამასთან, მედიის გზით ინფორმაციის მიღებამ და გამოქვეყნებამ შეიძლება დაარღვიოს პირთა უფლება ანონიმურობასა და ინფორმაციულ თვითგამორკვევაზე.[732] ხშირად ერთი „თავისუფლება ეჯახება სხვა მრავალ თავისუფლებას და სახელმწიფოს ფუნქციობის მოთხოვნილებას."[733] პრობლემა კიდევ უფრო აქტუალურია იმის გათვალისწინებით, რომ ინტერნეტსფერომ თუ ზოგადად ტექნოლოგიურმა განვითარებამ გააფართოვა კერძო სფეროში შეჭრის შესაძლებლობები.[734] შესა-

---

[728] იხ. კ. კორკელია, ი. ქურდაძე, ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართალი ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მიხედვით, თბ., 2004, 199-200.

[729] Castells v. Spain, 1992 წლის 23 აპრილის გადაწყვეტილება.

[730] იხ. კ. კორკელია, ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის გამოყენება საქართველოში, თბ., 2004, 197-200.

[731] იხ. ე. გოცირიძე (შემდგ.), აზრის გამოხატვის თავისუფლება ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის სამართალში, თბ., 2006, 9.

[732] H. Münch, Der Schutz des Einzelnen vor Presseveröffentlichungen durch den Deutschen Presserat und die britische Press Complaints Commision, Eine Untersuchung zur Spruchpraxis unter besonderer Berücksichtigung des zivilechtlichen Rechts-schut-zes der Privatsphäere (Dissertation), Konstanz, 2001, 17, 23; სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების არსისა და შეზღუდვების შესახებ იხ. ს. ჯორბენაძე, უ. ბახტაძე, ზ. მაჭარაძე, მედიასამართალი, თბ., 2014, 80-99.

[733] ა. ბაიო, ხელისუფლების თვითშეზღუდვა, კონსტიტუციონალიზმის შესავალი, მეცნიერული რედაქცია და წინათქმა თ. ნინიძისა, თბ., აირის საქართველოს 2003, 309.

[734] აღნიშნულთან დაკავშ. იხ. B.Smyth v. Pillsbury Co., 1996 წლის 23 იანვრის გადაწყვეტილება, M. McTigue Deborah, Marginalizing Individual Privacy on the Internet, Boston University Journal of Science & Technology Lawa, June 1, 1999, 12-14; ასევე ინტერნეტსივრცეში (ელექტრონული ფოსტა, ფეისბუქი, ვებგვერდი) პირადი სფეროს ხელყოფის საფრთხეების შესახებ იხ. ს. ჯორბენაძე, უ. ბახტაძე, ზ. მაჭარაძე, მედიასამართალი, თბ., 2014, 41-46.

ბამისად, ქსელური საზოგადოების განვითარების შედეგად საჯარო ცხოვრება იმდენად შემოიჭრა კერძო სფეროში, რომ ზოგიერთმა ავტორმა კერძო ცხოვრება მკვდრად მონათლა.[735] ამდენად, იმ საჯარო ინტერესების დაცვამ, რომლებიც კანონითაა გათვალისწინებული, შესაძლებელია კერძო ინტერესის ხელყოფა ლეგიტიმურად აქციოს.

ასევე, საგულისხმოა, რომ საჯარო მოსამსახურეები არ არიან დაცულნი კრიტიკისაგან, არა აქვს მნიშვნელობა, თუ რამდენად მწვავე, არასასიამოვნო და მკაცრი შეიძლება აღმოჩნდეს იგი. სწორედ აქ არის საჭირო ერთმანეთისაგან გაიმიჯნოს შეურაცხყოფა და ცილისწამება. ვიწრო გაგებით, ცილისწამება უკავშირდება სიტყვიერად ან ზეპირად ვინმეს წინააღმდეგ ისეთი არასწორი ბრალდების წაყენებას, რომლის სიცრუე ან სისწორე შეიძლება დამტკიცდეს. შეურაცხყოფის შესახებ კანონი არის კანონი, რომელიც კრძალავს შეურაცხმყოფელი ეპითეტების გამოყენებას, სახელების დარქმევას და სადაც ფაქტის სიზუსტეს, სისწორეს ან სიყალბეს ყურადღება არ ექცევა. მაგალითად, თუ ოფიციალურ პირს უწოდებენ „მექრთამეს“, რაც ნიშნავს, რომ აღნიშნული პირი იღებს ქრთამს, ეს არის ფაქტობრივი განცხადება, ხოლო თუ მას უწოდებენ „ბინძურ ძაღლს“, ასეთი განცხადება არ შეიძლება ფაქტობრივი იყოს, გარდა შემთხვევისა, როცა საქმე ეხება მის პირად ჰიგიენასა და ძაღლურ ბუნებას.[736]

ადამიანთა უფლებების ევროპული სასამართლოს განმარტებით, ევროპის კონვენცია, რომელიც ამერიკულ დოქტრინაზე უფრო სუსტია, კრძალავს სიმართლის დაცვაზე უარის თქმას და მოითხოვს ხელისუფლების წარმომადგენელთა ტოლერანტობას კრიტიკის მიმართ. ამასთან, მიუხედავად იმისა, რომ პოლიტიკოსები უფლებამოსილნი არიან, დაიცვან საკუთარი რეპუტაცია, „კრიტიკის დასაშვები ფარგლები პოლიტიკოსების მიმართ უფრო ფართოა, ვიდრე კერძო პირების მიმართ“.[737]

ამდენად, მიზანშეწონილია, უპირველეს ყოვლისა, ღირსების დაცვის შესახებ საქართველოს კონსტიტუციით დადგენილი წესები გამოიყენებოდეს; თუ ღირსების დაცვის უკეთეს პირობებს ითვალისწინებს საერთაშორისო აქტები და ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკა, მაშინ ისინი უნდა ასრულებდეს სუბსიდიურ და შემავსებელ ფუნქციას. ღირსების დაცვის კონსტიტუციით შექმნილი სტანდარტი კანონით კი არ უნდა დაკნინდეს, არამედ პირიქით, უნდა განმტკიცდეს. აღნიშნული თვით საქართველოს კონსტიტუციით დადგენილ წყაროთა იერარქიასაც შეესაბამ-

---

[735] A. Michael Froomkin, The Death of Privacy?, 52 Stan. L. Rev. , 2000, 1461.

[736] ჯ. შვარცი, ცილისწამება და დემოკრატია, ჟურნ. „ალმანახი“, სერია - სახელმწიფო სამართალი, N16, 2001, 20.

[737] ჯ. შვარცი, ცილისწამება და დემოკრატია, ჟურნ. „ალმანახი“, სერია - სახელმწიფო სამართალი, N16, 2001, 22.

ება. საქართველოს კონსტიტუციის მე-19 მუხლის მე-3 ნაწილის მიხედვით, დასაშვებია აზრის თავისუფლების შეზღუდვა სხვათა უფლების ხელყოფის შემთხვევაში. ამდენად, იერარქიულად უფრო მაღლა მდგომი სამართლის წყარო უნდა იყოს გამოყენებული მოცემული უზუსტობის განსამარტად.[738]

2.4. სხვა საჯარო ინტერესები

ამასთან, სსკ-ის 993-ე მუხლის მე-2 ნაწილითა და მე-18 მუხლით გათვალისწინებული არ არის ისეთი ცნობების დაცვა, რომლებიც წარმოადგენენ სასამართლო გადაწყვეტილებებს, საგამოძიებო დოკუმენტებს, ან თუ ეს ცნობები ექვემდებარება საჯარო საკანონმდებლო განხილვას.[739]

2.4. კერძო და საჯარო ინტერესთა ღირებულებითი კონფლიქტის გადაწყვეტის გზები

ზოგადად ამ ორი ურთიერთსაწინააღმდეგო ინტერესების ღირებულებითი კონფლიქტის გადაწყვეტის სამ გზას გამოყოფენ: 1. საჯარო ინტერესი გაცილებით პრიორიტეტულია, ვიდრე კერძო და, შესაბამისად, ეს პრობლემაც საჯარო სფეროს დაცვის სასარგებლოდ უნდა გადაწყდეს; 2. კერძო ინტერესის უზრუნველყოფა მეტად რელევანტურია, საჯარო ინტერესთან შედარებით, რის გამოც საკითხი უნდა მოწესრიგდეს კერძო ინტერესის დაცვისთვის პრიმატის მინიჭების გზით; 3 საჯარო და კერძო ინტერესებს შორის კონფლიქტი უნდა გადაწყდეს ორივე ინტერესის თანაბარი ხარისხით უზრუნველყოფის საფუძველზე, რაც თვით ამ საწყისების ურთიერთსაპირისპირო ხასიათის გამო უტოპიურად აღიქმება.[740]

საგულისხმოა, რომ სსკ-ის მე-10 მუხლის მე-2 ნაწილის მიხედვით, სამოქალაქო ურთიერთობის სუბიექტები აღჭურვილი არიან შესაძლებლობით, განახორციელონ კანონით აუკრძალავი ნებისმიერი მოქმედება, თუნდაც ეს კანონით უშუალოდ არ იყოს მოცემული. მართალია, აქ კერძო ავტონომიის არსია წარმოდგენილი, მაგრამ ასეთი თავისუფლება როდია უსაზღვრო. უპირველეს ყოვლისა, ამ თავისუფლების ბოროტად გამოყენება

[738] იხ. ე. გოცირიძე, აზრის გამოხატვის თავისუფლება და რეპუტაციის უფლება (ღირებულებითი კონფლიქტის დილემები), ჟურნ. „ადამიანი და კონსტიტუცია", N3, 2005, 28-29; აღნიშნულთან დაკავშირებით იხ. მ. ბიჭია, ქონებრივი ზიანის მომტანი ცნობების გახმაურების იურიდიული შედეგები (თეორიისა და სასამართლო პრაქტიკის ანალიზი), საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტის სამეცნ. ჟურნალი „სეუ და მეცნიერება", 2015, 324-328.

[739] ო. მაჭარაშვილი, დელიქტები საერთაშორისო კერძო სამართალში, ჟურნ. „ალმანახი", N15, 2000, 18.

[740] იხ. მ. ბიჭია, ქონებრივი ზიანის მომტანი ცნობების გახმაურების იურიდიული შედეგები (თეორიისა და სასამართლო პრაქტიკის ანალიზი), საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტის სამეცნ. ჟურნალი „სეუ და მეცნიერება", 2015, 328-331.

დაუშვებელია, რაც წესრიგდება იმპერატიული ნორმებით (სსკ-ის მე-10 მუხლის მე-3 ნაწილი). აქვე უნდა ითქვას, რომ „ერთი პირის კერძო ავტონომია არის მეორე პირის კერძო ავტონომიის მნიშვნელოვანი შეზღუდვა," ასევე სხვისი თავისუფლება შეიძლება შეიზღუდოს საზოგადოებრივი სტანდარტებისა და საჯარო ინტერესების საფუძველზე.[741] ამდენად, თითოეული თავისუფლება ზღვარდებულია პასუხისმგებლობით, კანონის დადგენილი შეზღუდვებით. შესაბამისად, თავისუფლება, რომელიც ამ ფარგლებს არღვევს, არაა თავისუფლება. შეუზღუდავი საჯარო ინტერესი, რომელიც კერძო საწყისს ხელყოფს, ქმნის არა ინტერესთა კონფლიქტის შემთხვევას, არამედ ლახავს კერძო სფეროს. შესაბამისად, კერძო ინტერესის ხელყოფას შეიძლება მოჰყვეს ქონებრივი ან/და არაქონებრივი ზიანი, რაც დელიქტური ვალდებულებების შესახებ ნორმების გამოყენებას გამოიწვევს. მაგალითად, კერძო სფეროს ხელყოფა არაა გამართლებული, თუ არ არსებობს რაიმე სამართლებრივი საფუძველი, რომელიც ახსნიდა საზოგადოებრივ ინტერესს, რისთვისაც პირის სურათები შეიძლება გამოქვეყნდეს. თუ სურათს არ ჰქონდა ინფორმაციული მნიშვნელობა და ის განკუთვნილი იყო მხოლოდ იმისთვის, რომ ეჩვენებინა პიროვნება, ვისზეც იყო საუბარი,[742] ამ მოქმედებას შეიძლება მოჰყვეს ქონებრივი ზიანი (სსკ-ის 993-ე მუხლი).

ამასთან, გავრცელებული ინფორმაცია შეიძლება ატარებდეს შეურაცხმყოფელ[743] ან შემაშფოთებელ ხასიათს, თუმცა აუცილებელი იყოს დემოკრატიულ საზოგადოებაში ევროკონვენციის მე-10 მუხლით დადგენილი კანონიერი მიზნის მისაღწევად. მოცემულ შემთხვევაში გამოთქმა „აუცილებელია დემოკრატიულ საზოგადოებაში" უნდა განიხილებოდეს, როგორც „დასაშვები კრიტიკა." აქ გადამწყვეტია, თუ რას ისახავდა მიზნად სტატიით გავრცელებული ინფორმაცია და რამდენად არსებობდა ამ ინფორმაციის საზოგადოებისთვის მიღების აუცილებლობა, არის თუ არა ეს ინფორმაცია საზოგადოების ინტერესის საგანი ან საზოგადოებრივი დებატების ნაწილი. ამას თავისთავად შეიძლება შეეწიროს კონკრეტული პირის რეპუტაცია.[744]

[741] აღნიშნულთან დაკავშირებთ იხ. Christoph G. Paulus, W. Zenker, Grenzen der Privatautonomie, In: JuS, 41. Jahrgang, Heft 1, 2001, 2-4.

[742] გამოსახულების დაცვასთან დაკავშ. იხ. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მე-2 სექციის 2006 წლის 17 ოქტომბრის განაჩენი საქმეზე „გურგენიძე საქართველოს წინააღმდეგ" (განცხადი N71678/01) (საბოლოო 17/01/2007).

[743] დიფამაციის საერთაშორისო სტანდარტების შესახებ იხ. С. С. Дикман, Проблемы ответственности за дифамацию: зарубежный опыт и международные стандарты. В сборнике статей «Пределы правового пространства свободы прессы (российские споры с участием СМИ в контексте мировой практики), отв. ред. А. К. Соболева, М., 2008, 39-56.

[744] იხ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2009 წლის 23 ივლისის განჩინება (№ას-1174-1319-08). ამ ორ სფეროს შორის ბალანსის დამყარების შესახებ იხ. Т. И. Марголина, Баланс соблюдения прав человека и свободы СМИ в информационном пространстве (на примере Пермского края), В сборнике статей «Пределы правового пространства свободы прессы (российские споры с участием СМИ в контексте мировой практики), отв. ред. А. К. Соболева, М., 2008, 80-84.

აქედან გამომდინარე, ღირებულებითი კონფლიქტის გადაწყვეტა მოითხოვს თავისუფლების გარკვეულ ჩარჩოებში მოქცევას, ზღვარდადებას. ამ პრობლემის აღმოფხვრის საერთო კრიტერიუმებად შეიძლება ჩაითვალოს სიკეთეთა აწონ-დაწონა და თანაზომიერების პრინციპის დაცვა. თუმცა, ვინაიდან ინტიმური სფერო სარგებლობს აბსოლუტური დაცვით, მასთან საჯარო ინტერესის კონფლიქტის დროს საჯარო საწყისი, როგორც წესი, უკან იხევს. რაც შეეხება პირადი სფეროს სხვა დეტალებს, მათთან დაკავშირებით ყველა მნიშვნელოვანი გარემოება უნდა იყოს მხედველობაში მიღებული და ამის მიხედვით გადაწყდეს ღირებულებითი კონფლიქტი. ამასთან, თითოეული ფიზიკური პირი საზოგადოების წევრია და ევალება, დაექვემდებაროს იმ საზოგადოებრივ მოთხოვნებს, რომლებიც კანონითაა აღიარებული. თუმცა აქვე ხაზგასასმელია, რომ აქ de lege ferenda დამოკიდებულია კონკრეტულ შემთხვევაზე, რომელიც ინდივიდუალურ გარემოებებს ეფუძნება. შესაბამისად, შემთხვევა შეფასებითი ხასიათისაა და ინტერესთა კონფლიქტის გადაწყვეტის გზაც შეიძლება სხვადასხვა იყოს.[745]

§ 13. დელიქტუნარიანობის ძირითადი საფუძვლები

1. არასრულწლოვნის მიერ მიყენებული ზიანისთვს სამოქალაქო პასუხისმგებლობა

1.1. სსკ-ის 994-ე მუხლის მიზანი და გამოყენების სფერო

სსკ-ის 994-ე მუხლით დადგენილია დელიქტუნარიანობის საფუძვლები. დელიქტუნარიანობა განიხილება რა ქმედუნარიანობის შემადგენელ ნაწილად,[746] მიზანშეწონილია ქმედუნარიანობის არსის მოკლედ გადმოცემა.

ზოგადად, სამოქალაქოსამართლებრივი ურთიერთობის სუბიექტის ცნება უკავშირდება უფლებაუნარიანობას[747], ანუ სამართლებრივად აღი-

---

[745] საჯარო და კერძო ინტერესთა ღირებულებითი კონფლიქტის შესახებ იხ. მ. ბიჭია, აზრის გამოხატვის თავისუფლებასა და კერძო ცხოვრების დაცვის უფლებას შორის ღირებულებითი კონფლიქტი, ჟურნ. „მართლმსაჯულება და კანონი", 3, 2013, 128-147.

[746] ლ. ჭანტურია, სამოქალაქო სამართლის ზოგადი ნაწილი, თბ., 2011, 187.

[747] სსკ-ის მე-11 მუხლის მიხედვით, ფიზიკური პირის უფლებაუნარიანობა წარმოიშობა დაბადების მომენტიდან. დაბადებად კი მიიჩნევა მომენტი, როდესაც ნაყოფი გამოეყოფა დედის საშოს და დაკმაყოფილებს ყველა ნიშანს, რასაც თანამედროვე მედიცინა ბავშვის დაბადებას უწოდებს. შესაბამისად, ამ მომენტიდან მას აქვს უნარი, იყოს სამოქალაქო უფლებებისა და მოვალეობების მატარებელი ანუ უფლებაუნარიანი. უფლებაუნარიანობა არის აბსტრაქტული, უფლება – კონკრეტული. დაწვრ. იხ. ლ. ჭანტურია, სამოქალაქო სამართლის ზოგადი ნაწილი, თბ., 2011, 167-176.

არებულ შესაძლებლობას, გახდეს კერძოსამართლებრივი ურთიერთობის შედეგების ადრესატი: აღიჭურვოს ცალკეული კერძოსამართლებრივი უფლებებითა და იტვირთოს შესაბამისი მოვალეობები.[748] უფლებაუნარიანობა ურთიერთობის მონაწილეს აქცევს პასიურ სუბიექტად, ხოლო ქმედუნარიანობა – აქტიურ სუბიექტად. სამოქალაქო პასუხისმგებლობის სუბიექტობისთვის აუცილებელია უფლებაუნარიანობასთან ერთად ქმედუნარიანობაც. ამ გაგებით, სამოქალაქო პასუხისმგებლობის სუბიექტი არაა ყოველთვის სამართლებრივი ურთიერთობის სუბიექტი, ხოლო სამართლებრივი ურთიერთობის ყოველი სუბიექტი არაა პასუხისმგებლობის სუბიექტი. ეს თავისებურება განსაკუთრებით გამოკვეთილია სახელშეკრულებო და არასახელშეკრულებო პასუხისმგებლობაში.[749] სამოქალაქო პასუხისმგებლობა შეიძლება დაეკისროს მხოლოდ ქმედუნარიან პირს, ანუ იმას, ვისაც თავისი მოქმედებით შეუძლია, შეიძინოს, განახორციელოს სამოქალაქო უფლება-მოვალეობები და აგოს პასუხი საკუთარი ქმედების შედეგებისთვის. კანონის თანახმად, ფიზიკური პირი ითვლება სრულ ქმედუნარიანად სრულწლოვნების, ე. ი. 18 წლის მიღწევის მომენტიდან. თუმცა გარკვეულ შემთხვევებში ის ქმედუნარიანობას იძენს სრულწლოვნების მიღწევამდეც, კერძოდ, ემანსიპაციის დროს. ქმედუუნაროდ მიიჩნევა 7 წლამდე არასრულწლოვანი (სსკ-ის მე-12 მუხლის მე-4 ნაწილი), ხოლო 7-დან 18 წლამდე არასრულწლოვანს შეზღუდული ქმედუნარიანობა აქვს. კანონი განსხვავებულად წყვეტს არასრულწლოვნის მიერ მიყენებული ზიანისთვის სამოქალაქო პასუხისმგებლობას.

სსკ-ის 994-ე მუხლით დადგენილია, თუ რა ასაკიდან იწყება პირის დელიქტუნარიანობა, ანუ პირის უნარი, საკუთარი ნებით და ქონებით აგოს პასუხი მიყენებული ზიანისთვის.[750] სსკ-ის 994-ე მუხლი შედგება სამი ნაწილისაგან, რომლებიც სხვადასხვა თავისებურებით ხასიათდება. ამდენად, ამ სამი ნაწილის შესახებ წარმოდგენის შესაქმნელად აუცილებელია მათი წინაპირობების განხილვა.

1.2. ათ წლამდე არასრულწლოვნის მიერ მიყენებული ზიანის ანაზღაურება

ა. ათ წლამდე პირის მიერ მიყენებული ზიანი

დელიქტუნარიანობა დამოკიდებულია იმაზე, არის თუ არა ფიზიკური პირი ათი წლის, ვინაიდან ათი წლის ასაკს მიუღწეველი პირი არ აგებს

[748] დ. კერესელიძე, კერძო სამართლის უზოგადესი სისტემური ცნებები, თბ., 2009, 96.

[749] იხ. ბ. ზოიძე, სახელშეკრულებო და არასახელშეკრულებო პასუხისმგებლობის სუბიექტები, ჟურნ. „საბჭოთა სამართალი", N1, 1978, 24.

[750] ლ. ჭანტურია, სამოქალაქო სამართლის ზოგადი ნაწილი, თბ., 2011, 187.

პასუხს იმ ზიანისთვის, რომელიც მან სხვას მიაყენა (სსკ-ის 994-ე მუხლის 1-ლი ნაწილი). თუმცა ეს იმას არ ნიშნავს, რომ ათ წლამდე არასრულწლოვნის მიერ მიყენებული ზიანისთვის პასუხს არავინ არ აგებს. მოცემულ შემთხვევაში ზიანის ანაზღაურების ვალდებულებას კანონი აკისრებს მშობლებს ან მეთვალყურეობაზე ვალდებულ პირებს (სსკ-ის 994-ე მუხლის მე-2 ნაწილი). მშობლების გარდა, მეთვალყურეობაზე ვალდებული პირები შეიძლება იყვნენ მეურვე (მზრუნველი, თუ ბავშვი 7-დან 18 წლამდე ასაკისაა), აღმზრდელობითი, სასწავლო, სამკურნალო დაწესებულებები, საბავშვო სახლები და სხვა ანალოგიური დაწესებულებები, რომლებმაც უნდა გაუწიონ ბავშვებს მეთვალყურეობა. მშობლები და მეთვალყურეობაზე ვალდებული პირები დამოუკიდებლად აგებენ პასუხს მხოლოდ იმ ზიანისთვის, რომელიც ათი წლის ასაკს მიუღწეველმა პირმა მართლსაწინააღმდეგოდ მიაყენა სხვას (და არა სხვისი ბრალის გამო).[751]

ბ. არასრულწლოვნის ქმედების მართლწინააღმდეგობა

მშობლების ან მეთვალყურეობაზე ვალდებული პირების მიმართ პასუხისმგებლობის დასაკისრებლად აუცილებელია, ათ წლამდე არასრულწლოვანმა მართლსაწინააღმდეგო ქმედებით მიაყენოს სხვას ზიანი.

ზოგიერთი ავტორი ქმედების მართლწინააღმდეგობას უკავშირებს ბავშვის აღზრდის მოვალეობის დარღვევას, თუმცა აქ გაცილებით მნიშვნელოვანია ზედამხედველობის განხორციელება არასრულწლოვანზე. საქმე

---

[751] აღნიშნულისგან განსხვავებით, საქართველოს სსრ სამოქალაქო კოდექსი (მუხ. 464) პირის დელიქტუნარიანობა უკავშირებდებოდა იმას, იყო თუ არა ის თხუთმეტი წლის, ხოლო თხუთმეტი წლის ასაკს მიუღწეველთა მხრიდან მიყენებული ზიანისთვის პასუხს აკისრებდა მათ მშობლებს, მშვილებლებს ან მეურვეს, საბავშვო დაწესებულებებს და სხვ. იხ. ლ. გელუკაშვილი, ზიანით წარმოშობილ ვალდებულებებში არასრულწლოვანთა ქონებრივი უფლება-მოვალეობები, ჟურნ. „საბჭოთა სამართალი", N6, 1975, 18-19. 10 წლამდე პირის დელიქტუუნარიდ აღიარება ეხმიანება ვახტანგ VI-ის სამართლის წიგნის 187-ე მუხლით დადგენილ წესს: „ათს წლამდის ყმაწვილს ნაჭარის რასაც ფერის საქმისა, ავის კაცის ნაჭარს აეს საქმესთან არ ჩაიგდების. თავის ტოლს უზამს თუ უფროსს, ყმაწვილობით და უჭკუობით უნია, საფათერაკოსაით არის. მისმან მშობელმან, მისის ყმაწვილობისაგან მკუდრს სამარხი მისცეს და დაჭრილსა და დასნეულებულს სააქიმო მისცეს, სხვას ვერას შეუა." იხ. ქართული სამართლის ძეგლები, ტ. I, ვახტანგ VI-ის სამართლის წიგნთა კრებული, ტექსტი გამოსცა, გამოკვლევა და ლექსიკონი დაურთო ი. დოლიძემ, თბ., 1963, 527-528; ამაე დებულებაზე იხ. ლ. ჭანტურია, სამოქალაქო სამართლის ზოგადი ნაწილი, თბ., 2011, 188. მე-18 საუკუნის დასაწყისში 10 წლის ასაკს მიუღწეველთა ქმედება მისატევებელი იყო და შეცდომად განიხილებოდა. სავარაუდოდ, 187-ე მუხლი ერთმანეთის პარალელურად განსაზღვრავდა ასაკსა და შერაცხადობას (ტერმინი „უჭკუო"). შესაბამისად, 10 წელს მიღწეული შერაცხადი პირი იყო სამართალდარღვევის სუბიექტი. პასუხისმგებლობის გამომრიცხველ გარემოებებზე იხ. ალ. ვაჩეიშვილი, ნარკვევები ქართული სამართლის ისტორიიდან, I, თბ., 1946, 215-219; იხ. მ. ბიჭია, ვახტანგ VI-ის სამართლის წიგნი, თბ., 2013, 65.

ისაა, რომ მშობლების ერთ-ერთი ძირითადი უფლებაა შვილების პირადად აღზრდის უფლება, რომელიც მშობლებს აძლევს შესაძლებლობას, გაატარონ ბავშვის ხასიათის ჩამოყალიბებისთვის აუცილებელი ღონისძიებები. ეს, თავის მხრივ, შეიძლება შეეხოს როგორც მშობლების მიერ თავიანთ ოჯახში ბავშვების აღზრდას, ისე ბავშვების სხვისთვის აღსაზრდელად გადაცემას. აქ, ძირითადად, მოიაზრება ბავშვის გადაცემა სასწავლო-აღმზრდელობითი დაწესებულებებისთვის. მას უმეტესად დამხმარე და ეპიზოდური ხასიათი აქვს. მშობლების მიერ ბავშის პირადად აღზრდა ვინაიდან უფლებაცაა და მოვალეობაც, ამიტომ მშობლებს შვილების ძირითადი აღზრდის მოვალეობა აქვთ იმ შემთხვევაშიც, როცა ბავშვებს დროებით სხვას (სასწავლო-აღმზრდელობით დაწესებულებას, ზოგჯერ ნათესავსა თუ ახლო მეგობარს) გადასცემენ აღსაზრდელად.[752]

ამდენად, გარდა კანონისმიერი საფუძვლისა, მეთვალყურეობის გაწევის მოვალეობა შეიძლება გამომდინარეობდეს გარიგებიდან. მეთვალყურეობის მოვალეობის საკუთარ თავზე აღება შეიძლება დაეყრდნოს გარიგებას ან კონკლუდენტურ მოქმედებას, მაგალითად, ბავშვების დროებით გადაცემა ძიძებისთვის, კერძო ბაღებისა თუ კერძო სკოლებისთვის (დაწესებულებისთვის). რაც შეეხება ქორწინების გარეშე დაბადებულ ბავშვს, მასზე მეურვეობის ექსკლუზიური უფლება, ძირითადად, აქვს დედას. ეს მოვალეობა სრულდება სრულწლოვნების მიღწევისთანავე. სსკ-ის 994-ე მუხლის ფარგლებში პასუხისმგებლობის დასაკისრებლად ცენტრალური მნიშვნელობისაა ბავშვის მიერ მესამე პირთა სიკეთეების არამართლზომიერი ხელყოფა. ეს წინაპირობა უკავშირდება პასუხისმგებლობის საერთო საფუძველს სსკ-ის 992-ე მუხლის დელიქტის შემადგენლობაზე აქცენტირებით და წარმოშობს ვალდებულებას. ამასთან, თუ მშობლები დაარღვევენ ბავშვზე მეთვალყურეობის მოვალეობას, ისინი პასუხს აგებენ პასუხისმგებლობის პოზიტიური მოვალეობის შეუსრულებლობისთვის, ვინაიდან მეთვალყურეობის მოვალეობის განხორციელება მიმართულია ბავშვების მიერ მესამე პირებისთვის ზიანის მიყენების თავიდან აცილებისკენ.[753]

სსკ-ის 994-ე მუხლის ფარგლებში ზედამხედველობა გულისხმობს პირის მიმართ მზრუნველობის ისეთ ელემენტს, რომელიც მესამე პირის ინტერესებს ითვალისწინებს, ვინაიდან, თუ ამ არასრულწლოვანს შეუძლია საკუთარი სურვილების ან ინსტინქტების განხორციელება, მან შეიძლება თავისი მდგომარეობის გამო მესამე პირებს ხელყოფის საფრთხე შეუქმნას. ესაა უშუალოდ მესამე პირის დაცვა, რომელიც სსკ-ის 994-ე მუხლშია დადგენილია; ამ მუხლის თანახმად, ზედამხედველობას არაფერი აქვს

---

752 რ. შენგელია, ე. შენგელია, საოჯახო სამართალი, თბ., 2011, 224-225.

753 G. Brüggemeier, Haftungsrecht: Struktur, Prinzipien, Schutzbereich, Ein Beitrag zur Europäisierung des Privatrechts, Heidelberg, 2006, 527-530.

საერთო აღზრდის მიზანსა და მზრუნველობასთან. არასრულწლოვანზე მეთვალყურეობის გაწევა არ უკავშირდება აღზრდის მოვალეობას, რომელიც საოჯახო სამართლითაა ცხადად გათვალისწინებული. აქ მშობლების მიერ არასრულწლოვნის აღზრდისა და ზედამხედველობის მოვალეობები განიხილება ბავშვებზე მზრუნველობის განსაკუთრებულ ნაწილებად. ამიტომ მხოლოდ აღზრდის ზოგადი მოვალეობის დარღვევა არ იწვევს სსკ-ის 994-ე მუხლით დადგენილ პასუხისმგებლობას. აღზრდის, ბავშვის გონებრივი და ზნეობრივი ფორმირების პროგრესი, მისი ურთიერთობებისა და შესაძლებლობების შესაბამისად, იძლევა მეთვალყურეობის აუცილებლობის გაცილებით უკეთეს მასშტაბს; რაც უფრო ფართოდაა ბავშვი აღზრდილი, მით უფრო ნაკლებად არის კონტროლის საჭიროება და პირიქით. ამიტომ მეთვალყურეობის სახე და ხარისხი შემუშავდება სხვადასხვანაირად ბავშვთა ინდივიდუალობის გათვალისწინებით. სსკ-ის 994-ე მუხლით დადგენილი პასუხისმგებლობა არ ეფუძნება იმას, მეთვალყურეობაზე უფლებამოსილი პირი თავის მოვალეობას ზედამხედველობის შესახებ წესისამებრ ასრულებს თუ არა. აქ გაცილებით მნიშვნელოვანია, კონკრეტულ შემთხვევაში ზედამხედველობის მოვალეობის განუხორციელებლობამ გამოიწვია თუ არა მართლსაწინააღმდეგო ზიანის მიყენებისთვის აუცილებელი საფუძვლების შექმნა.[754]

გ. მიზეზობრიობა

სსკ-ის 994-ე მუხლის ფარგლებში კანონისმიერი წარმომადგენლების პასუხისმგებლობა წარმოიშობა მაშინ, როცა ბავშვმა დარღვევა ჩაიდინა მშობლების მიერ მისი მზრუნველობისა და მეთვალყურეობის მოვალეობის არასათანადო ყურადღებით შესრულების გამო.[755]

თუ ზიანი არამართლზომიერად მიაყენა ბავშვმა, რომელიც მეთვალყურეობას საჭიროებდა, მაშინ ობიექტურად დარღვეულია ზედამხედველობის მოვალეობა. პასუხისმგებლობის ამ კომპლექსურმა სტრუქტურამ, რომელიც ეხება ბავშვის მიერ მართლსაწინააღმდეგო ხელყოფასა და მშობელთა მხრიდან მეთვალყურეობის მოვალეობის ბრალეულ დარღვევას შორის კავშირს, შეიძლება დამსაქმებელსა და დასაქმებულს შორის პასუხისმგებლობა გამოიწვიოს. კანონის სიტყვასიტყვითი განმარტების მიხედვით, მეთვალყურეობის მოვალეობის დარღვევის გამო მშობელთა პასუხისმგებლობა

[754] იხ. Kommentar von F. Kreft, Das Bürgerliche Gesetzbuch, mit besonderer Berücksichtigung der Rechtsprechung des Reichsgerichts und des Bundesgerichtshofes, Kommentar, herausgegeben von Mitgliedern des Bundesgerichtshofes, Bd. II, 6. Teil, 12., neubearbeitete Auflage, Berlin, 1989, 4.

[755] H. Lange, G. Schiemann, Handbuch des Schuldrechts: Schadensersatz, Bd. 1, 3. Auflage, Tübingen, 2003, 603.

განიხილება პასუხისმგებლობად პოზიტიური მოვალეობის შეუსრულებლობისთვის: მშობლებს ეკალებათ მეთვალყურეობის გაწევა. ამდენად, მეთვალყურეობის განხორციელება უნდა იყოს მიმართული ბავშვების მიერ მესამე პირებისთვის ზიანის მიყენების თავიდან აცილებისკენ.[756]

დ. ბრალი

სსკ-ის 994-ე მუხლის მე-2 ნაწილის დათქმა არასრულწლოვნის მიერ ქმედების მნიშვნელობის გაგების უნარის შესახებ, თავისი არსით, ეხება ბრალის პრობლემას[757]; საქმე ისაა, რომ ბრალი მართლწინააღმდეგობის შეცნობას უკავშირდება, ხოლო ბრალეულად მოქმედ პირს გააზრებული უნდა ჰქონდეს ის, რომ მისი ქმედებით სხვისი უფლება ილახება და ხელყოფას კანონიერი საფუძველი არა აქვს.[758]

როგორც ჩანს, სსკ-ის 994-ე მუხლში მშობლების ბრალი პრეზუმირებულია[759], ესე იგი, მათი ბრალი ივარაუდება, ვიდრე მშობლები არ დაამტკიცებენ, რომ ბავშვის მიერ ზიანის მიყენებაში მათ ბრალი არ მიუძღვის. ამასთან, თუ მცირეწლოვანი ზიანს მიაყენებს სხვას მშობლის განზრახვით, მაშინ მშობელმა უნდა აგოს პასუხი არა სსკ-ის 994-ე მუხლის მიხედვით, არამედ სსკ-ის 992-ე მუხლით (ზოგადი წესით), ვინაიდან ამ შემთხვევაში მცირეწლოვანი ზიანის მიყენების მხოლოდ „იარაღია". ამდენად, სსკ-ის 994-ე მუხლში ბრალი გამოვლინდება გაუფრთხილებლობით კონკრეტული ზიანის მიმართ, თუმცა, თუ აქ აღზრდაც მოიაზრება, მაშინ აღზრდაც შეიძლება განზრახ ცუდი იყოს.[760]

თუ მესამე პირს ზიანი არამართლზომიერად მიაყენა ბავშვმა, რომელიც მეთვალყურეობას საჭიროებდა, მაშინ დარღვეულია ზედამხედველობის მოვალეობა. ამიტომ ივარაუდება მშობელთა ბრალი. შესაბამისად, მშობლები ნებისმიერი უყურადღებობისთვის აგებენ პასუხს და ისინი საჭიროებისამებრ უნდა ასრულებდნენ მეთვალყურეობაზე მათ მოვალეობას, ან შეიძლება იმის აღნიშვნაც, რომ ზიანი მაინც დადგებოდა, თუნდაც მეთვალყურეობის მოვალეობა შესრულებულიყო. აუცილებელი მეთვალყურეობის მოცულობა და ინტენსიურობა, რომელიც უყურადღებობის არსს გან-

[756] G. Brüggemeier, Haftungsrecht: Struktur, Prinzipien, Schutzbereich, Ein Beitrag zur Europäisierung des Privatrechts, Heidelberg, 2006, 528-530.

[757] იხ. თ. შუღრა, დამსაქმებლის პასუხისმგებლობა დამსაქმებლის მიერ მიყენებული ზიანისთვის, სტატიათა კრებულში: „შრომის სამართალი", II, თბ., 2013, 260.

[758] ქ. ქოჩაშვილი, ბრალი, როგორც სამოქალაქოსამართლებრივი პასუხისმგებლობის პირობა, „სამართლის ჟურნალი", N1, 2009, 88-89.

[759] იხ. H. Hennings, Persönliche Haftung und Mitverschulden von Kindern im französischen Deliktsrecht, Berlin, 1992, 18-19.

[760] ანალოგიურ დეტალებზე იხ. გ. ბახტაძე, მცირეწლოვნის მიერ მიყენებული ზიანისთვის პასუხისმგებლობის საფუძველი, ჟურნ. „საბჭოთა სამართალი", N5, 1966, 21.

საზღვრავს, დამოკიდებულია ყოველ კონკრეტულ შემთხვევაზე. ზოგადად, მეთვალყურეობის მოვალეობის შინაარსის დასადგენად გადამწყვეტია, რა უნდა გაეთვალისწინებინა გონიერ მშობლებს, რათა მათი შვილის მიერ მესამე პირისთვის ზიანის მიყენება თავიდან აეცილებინა.[761]

ერთ-ერთი მოსაზრების თანახმად, აღზრდაზე აქცენტის გაკეთება ვერ იქნება გამართლებული, ვინაიდან მაშინ საქმე შეეხება არასრულწლოვნის შინაგანი სამყაროს განხილვას. ბავშვის იდეალური აღზრდაც ვერ იქნება გარანტია იმისა, რომ გარედან ჩართული რაიმე ფაქტორი არ გადასწევს მას უარყოფითი მიმართულებით. ამასთან, გარე ფაქტორზე მითითება მშობლის ბრალს ყოველთვის არ გამორიცხავს, ვინაიდან ის შეიძლება არ იყოს იმდენად აშკარა, როგორც მაგალითად, მოზრდილი დამნაშავის ბოროტი ზემოქმედება, არამედ თავისთავად ისეთი დადებითი ფაქტორებიც კი, როგორიცაა წიგნი, კინო და სხვა. ზოგადად, ცუდი აღზრდა მცირეწლოვნის მიერ ზიანის მიყენების ალბათობას ქმნის. თუმცა ეს ალბათობა არ გამოირიცხება სათანადო ოჯახური აღზრდისას. სწორედ ბავშვის ფსიქიკური თავისებურებები, მისი ჩამოუყალიბებლობა, რომლებიც იდეალური აღზრდის დროსაც კი არ გამორიცხავს ბავშვის მიერ ზიანის მიყენებას, მოითხოვს მშობლისგან უფრო მეტსა და უფრო კონკრეტულს, ვიდრე ზოგადად აღზრდაა. ესაა ზედამხედველობა, რომელსაც საჭიროებს ყველა მცირეწლოვანი, იდეალურად აღზრდილი ბავშვების ჩათვლით. თუ მშობელი ზედამხედველობას უწევს ბავშვს, ამით ის თრგუნავს ისეთ გარემოებათა გავლენას, რომელთაც ბავშვზე ზედამხედველობის გაუწევლობისას შეიძლებოდა მოჰყოლოდა ბავშვის მიერ ზიანის მიყენება. „ზედამხედველობის“ გამოთიშვა მიზეზობრიობის ჯაჭვიდან ხელს უხსნის სხვა მიზეზებს, რათა იმოქმედონ ბავშვის ქცევაზე. ეს ზემოქმედება შეიძლება უფრო ძლიერი აღმოჩნდეს, ვიდრე აღზდელობითი ჩვევები. მეორე მხრივ, „ზედამხედველობით“ შეიძლება დაითრგუნოს თვით უარყოფითი აღზრდის ჩვევებიც. სწორედ უზედამხედველობა არის მცირეწლოვნის ცუდი ქცევისა და მის მიერ ზიანის მიყენების ძირითადი მიზეზი. თუ მშობელი არ უწევს ბავშვს ზედამხედველობას, მისი ქმედება განიხილება უმოქმედობად. ამდენად, მცირეწლოვნის მიერ მიყენებული ზიანისთვის პასუხს აგებს ის, ვისაც ამ მცირეწლოვანზე ევალებოდა ზედამხედველობა (მშობელი, მშვილებელი, მეურვე). თუმცა, თუ მცირეწლოვანი სასწავლო, აღმზრდელობით ან სამკურნალო დაწესებულების ზედამხედველობაში იმყოფება, მიზეზობრივად მშობლის ადგილს იკავებს ეს დაწესებულება, ვინაიდან მას ევალება ზედამხედველობა. ამდენად, აღზრდაში დაშვებული ბრალი შეიძლება საგულისხმოა, მაგრამ ის სამართ-

[761] G. Brüggemeier, Haftungsrecht: Struktur, Prinzipien, Schutzbereich, Ein Beitrag zur Europäisierung des Privatrechts, Heidelberg, 2006, 528-530.

ლებრივი ხასიათის არაა, მორალის სფეროს განეკუთვნება და სამართლებრივი პასუხისმგებლობის საფუძველი ვერ იქნება. შესაბამისად, სამართლებრივი თვალსაზრისით მნიშვნელოვანია იმის დადგენა, ზედამხედველობის ვალდებულება შესრულდა თუ არა.[762]

ე. პასუხისმგებლობის ფარგლები

მშობელთა ან მეურვის პასუხისმგებლობის ფარგლების შესასწავლად მნიშვნელოვანია ორი ფაქტორის გათვალისწინება: ერთი მხრივ, საოჯახო სამართლით დადგენილია ბავშვის აღზრდა, მეორე მხრივ, დელიქტური ვალდებულების მომწესრიგებელი ნორმა ეხება პასუხისმგებლობას.

საოჯახო სამართლით აღიარებულია, რომ მშობლის უფლებაა ბავშვის აღზრდა, რომელიც, სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის გამო, არა მხოლოდ ზნეობრივი, არამედ სამართლებრივი მოვალეობაცაა. მშობლებს აქვთ შვილების აღზრდაში თანაბარი უფლება-მოვალეობები.[763] ამიტომაცაა, რომ ზოგადად, მშობლებისა და მეურვის (მზრუნველის) სამოქალაქოსამართლებრივი პასუხისმგებლობის პირობები გაცილებით ფართოა, ვიდრე მეთვალყურეობაზე ვალდებული სხვა პირებისა.[764]

მშობელთა მიერ ბავშვის აღზრდის მოვალეობაში იგულისხმება, რომ მშობლებმა უნდა იზრუნონ შვილების ფიზიკურ, გონებრივ, ზნეობრივ, სულიერ და სოციალურ განვითარებაზე. ფაქტობრივად ანალოგიური (მშობლის) მოვალეობა ეკისრებათ მეურვესა და მზრუნველს (სსკ-ის 1289-ე მუხლი).[765] სწორედ ამ ფაქტორითაა ნაკარნახევი ის, რომ მეურვის (მზრუნველის) მოვალეობას უკავშირებენ, გარდა ბავშვის მიერ ზიანის მიყენების დროს არასრულწლოვანთა უმეთვალყურეოდ დატოვებისა[766], შვილების (სამეურვეო პირების) ცუდად აღზრდასაც[767], რამაც განაპირობა ბავშვის

---

[762] დაწვრ. იხ. გ. ბახტაძე, მცირეწლოვნის მიერ მიყენებული ზიანისთვის პასუხისმგებლობის საფუძველი, ჟურნ. „საბჭოთა სამართალი", N5, 1966, 21.

[763] რ. შენგელია, მშობლების უფლება-მოვალეობანი შვილების აღზრდაში, თბ., 1974, 12.

[764] შ. ჩიკვაშვილი, სსკ-ის კომენტარი, წ. IV, ტ. II, თბ., 2001, 393.

[765] იხ. რ. შენგელია, ე. შენგელია, საოჯახო სამართალი, თბ., 2011, 222, 369; მშობელთა სამართლებრივად დადგენილ მოვალეობასა და მშობლის მიერ ზოგადი მზრუნველობის გაწევას შორის არაა ავტომატური კავშირი. ესე იგი, სამართლებრივი თვალსაზრისით თითოეული მეუღლე ავტომატურად არ ახორციელებს მშობლის მზრუნველობის ფუნქციას. ეს მოვალეობა შეიძლება კანონით იყოს განსაზღვრული და ასევე გარკვეული პირობების დროს დასრულდეს. ამასთან, მშობლის ფუნქციის შესრულება მშობელთა ქორწინების შეწყვეტით ავტომატურად არ მთავრდება. დაწვრ. იხ. M. Löhnig, Das Eltern-Eltern-Verhältnis, Österreich-Italien-Deutschland, Bd.12, Frankfurt am Main, 2014, 59-60.

[766] იხ. К. К. Яичков, Ответственность родителей за причиненый детьми вред. «Социалистическая законность», №6, 1950, 37-38.

[767] იხ. А. И. Пергамент, К Вопросу о правовом положении несовершеннолетних. «Ученые записки ВИЮН». Вып. 3. Госюриздат, 1955, 65-66.

მიერ სხვისთვის ზიანის მიყენება.[768] აქ მთავარია, რომ თუ ცუდად აღზრდა განაპირობა მეთვალყურეობის გაუწევლობამ, ის მიზეზობრივად შეიძლება იყოს ბავშვის მიერ მესამე პირისთვის ზიანის მიყენების საფუძველი, თუმცა მხოლოდ ცუდად აღზრდა არ იწვევს მშობელთა დელიქტურ პასუხისმგებლობას.

სსკ-ის 994-ე მუხლით მშობლებისთვის, მშვილებლებისა თუ მეურვისთვის დელიქტური პასუხისმგებლობის დასაკისრებლად მნიშვნელოვანია, რომ ბავშვის მიერ სხვისი სამართლებრივი სიკეთის ხელყოფა იყოს, მშობლების უმოქმედობის შედეგია, რაც ბავშვის აღზრდისა და მასზე ზედამხედველობის გაწევის ვალდებულების შეუსრულებლობაში გამოიხატება.[769] მოცემულ შემთხვევაში დასადგენია,რომელი მოქმედებების განხორციელება ეკრძალება ბავშვს, რათა გაირკვეს, როგორ შეიძლებოდა სამართალდარღვევის თავიდან აცილება. შესაბამისად, საქმე ეხება, ერთი მხრივ, მესამე პირთა დაცვას, მეორე მხრივ, ზედამხედველობის მოვალეობის დარღვევას. ამ გაგებით, გასათვალისწინებელია ნებადართულობა და მშობელთა მხრიდან აღმზრდელობითი ღონისძიებების გატარება.[770] აქ გადამწყვეტია, ზედამხედველობის გაწევის მოვალეობის განუხორციელებლობას მოჰყვა თუ არა მესამე პირისთვის არამართლზომიერი ზიანის მიყენება.

არასრულწლოვნის მიერ მიყენებული ზიანისთვის პასუხისმგებლობა ეკისრება ორივე მშობელს, მიუხედავად იმისა, მშობლები ერთად ცხოვრობენ თუ არა.[771] ამდენად, ამ შემთხვევაში დაზარალებულს შეუძლია ნებისმიერ მათგანს მოსთხოვოს ანაზღაურება სრულად, ხოლო ერთ-ერთი მშობლის მიერ მოვალეობის შესრულება ათავისუფლებს მეორეს დაზარალებულის წინაშე პასუხისმგებლობისგან (სოლიდარული პასუხისმგებლობა).[772] საქმე ისაა, რომ როგორც ერთი, ისე მეორე ატარებს ვალდებულებას მათი ბავშვის მიმართ, მშობლები პასუხს აგებენ თანაბარი წილობრივი მონაწილეობის პრინციპით. თუმცა,მშობელი შეიძლება პასუხისმგებლობისგან გათავისუფლდეს, თუ მეორე მშობლის ბრალით იგი მოკ-

---

[768] შ. ჩიკვაშვილი, სსკ-ის კომენტარი, წ. IV, ტ. II, თბ., 2001, 393.

[769] იხ. ლ. გელუკაშვილი, ზიანით წარმოშობილ ვალდებულებებში არასრულწლოვანთა ქონებრივი უფლება-მოვალეობები, ჟურნ. „საბჭოთა სამართალი", N6, 1975, 19.

[770] B. Duru, Die Haftungaufsichtigspflichtiger Personen (elektronische Ressource), 2011, 6, <http://geb.uni-giessen.de/geb/volltexte/2011/8510/pdf/DuruBoris_Haftung_aufsichtspflichtiger_Personen.pdf> [03.02.2015].

[771] მშობლის მოვალეობის შესრულება ავტომატურად არ მთავრდება მშობელთა ქორწინების შეწყვეტით. იხ. M. Löhnig, Das Eltern-Eltern-Verhältnis, Österreich-Italien-Deutschland, Bd.12, Frankfurt am Main, 2014, 59-60.

[772] იხ. ბ. ბ. აგარკოვი, სნ. ბრატუსი, დ. ბ. გენკინი, ვ. ი. სერებროვსკი, ზ. ი. შკუნდინი, სამოქალაქო სამართალი, ტომი I, მთარგმნ. პ. ცხაკაია, თბ., 1946, 426.

ლებული იყო შესაძლებლობას, მიეღო მონაწილეობა ბავშვის აღზრდაში, შესაბამისად, ვერც ზედამხედველობას გაუწევდა. მშობლის უფლების ჩამორთმევაც საოჯახო სამართლით განსაზღვრული ღონისძიებაა. მშობლის მოვალეობების შესრულებისგან თავის არიდება და მშობლის უფლებების არაჯეროვანი გამოყენება, თავის მხრივ, იწვევს საოჯახო სამართლით დადგენილ ზომას მშობლის უფლება-მოვალეობების ჩამორთმევის სახით (სსკ-ის 1206-ე მუხლი).

ამასთან, შესაძლებელია კანონიერი წარმომადგენლისა და მეთვალყურეობაზე ვალდებული პირის თანაპასუხისმგებლობის საკითხი დადგეს, თუ დამტკიცდა, რომ ზიანი გამოწვეულია როგორც კანონისმიერი წარმომადგენლის, ისე იმ პირთა ბრალით, რომლებიც ბავშვზე ზედამხედველობას ახორციელებდნენ. ამ შემთხვევაში ზიანი ანაზღაურდება წილობრივი პასუხისმგებლობის პრინციპით თითოეულის ბრალის გათვალისწინებით. მაგალითად, ერთ საქმეზე დადგინდა, რომ მოწაფეებმა ს-მ და ნ-მ კლასში ორგანიზება გაუკეთეს თამაშს: საკლასო დაფაზე ისროდნენ ფანქარზე გაკეთებულ ნემსებს. ნ-ს მიერ ნასროლი ერთ-ერთი ნემსი მოხვდა იმავე კლასის მოსწავლე მ-ს თვალში, რამაც თვალის დაკარგვა გამოიწვია და დაზარალებულის ხანგრძლივი მკურნალობა მოითხოვა. მ-ს მამამ მიმართა სასამართლოს სარჩელით იმ ხარჯების ანაზღაურების შესახებ, რომლებიც მან შვილის მკურნალობაზე დახარჯა. სასამართლომ პასუხისმგებლობა მიყენებული ზიანისთვის დააკისრა როგორც სკოლას, ისე ნ-ს მშობლებს შემდეგი მოტივაციით: კლასის ხელმძღვანელმა არ განახორციელა სათანადო მეთვალყურეობა სკოლაში მოსწავლეთა ქცევაზე, ხოლო მშობლებმა ცუდად აღზარდეს მათი შვილი. ეს პირები პასუხს აგებენ საკუთარი ბრალისთვის. ამიტომ არასრულწლოვნის მიერ მიყენებული ზიანის ანაზღაურებაზე მშობლების ვალდებულება არ წყდება არასრულწლოვნის ქმედუნარიანობასთან ერთად. ამავე საფუძვლით მათ არ აქვთ რეგრესული მოთხოვნის უფლება არასრულწლოვნის მიმართ, რომელმაც ქმედუნარიანობის მიღწევის შემდეგ მიაყენა ზიანი.[773] თუმცა, როგორც აღინიშნა, ძალიან კარგი აღზრდაც არ შეიძლება იყოს ზიანის თავიდან აცილების გარანტი. ამასთან, მშობელი, რომელსაც არასრულწლოვანი შვილი მიჰყავს საბავშვო ბაღში ან სკოლაში, გარკვეულწილად ვერ ახორციელებს ზედამხედველობას და ანდობს დასახელებულ დაწესებულებებს ბავშვს. ამ შემთხვევაში ფაქტობრივად მშობელი უნაწილებს პასუხისმგებლობას ბაღებსა თუ სკოლებს, რომლებსაც ევალებათ ზედამხედველობის გაწევა. შესაბამისად, მიზანშეწონილია, მოცემული დაწესებულებების პასუხისმგებლობის პირობები გაუთანაბრდეს მშობლის ან მეურვის პასუხისმგებლობის

[773] აღზრდისა და ზედამხედველობის გაწევის მოვალეობის შესახებ იხ. შ. ჩიკვაშვილი, სსკ-ის კომენტარი, წ. IV, ტ. II, თბ., 2001, 393-395.

პირობებს[774] და პასუხისმგებლობაც დადგეს მეთვალყურეობაზე ვალდებული პირების მიმართ მათ მიერ საკუთარი მოვალეობების შეუსრულებლობის გამო.

ვ. პასუხისმგებლობის გამომრიცხველი გარემოებები

სსკ-ის 994-ე მუხლის მე-2 ნაწილის მიხედვით, მშობლებს ან ათი წლის ასაკს მიუღწეველი პირის მეთვალყურეობაზე ვალდებულ სხვა პირებს ევალებათ იმ ზიანის ანაზღაურება, რომელიც ამ ბავშვმა მართლსაწინააღმდეგო მოქმედებით მიაყენა სხვას. მათი პასუხისმგებლობა გამოირიცხება, როცა მეთვალყურეობაზე ვალდებულ პირებს არ შეეძლოთ ზიანის თავიდან აცილება. ეს, ცხადია, მოითხოვს სსკ-ის 992-ე მუხლის წინაპირობების ზედმიწევნით შემოწმებას უკვე მშობლის ან მეთვალყურის ქმედებასთან დაკავშირებით.[775]

თუმცა მშობლების ან მეთვალყურეობაზე ვალდებული სხვა პირების პასუხისმგებლობა გამოირიცხება, თუ მათ არ შეეძლოთ ზიანის თავიდან აცილება (მაგალითად, მძიმე ავადმყოფობის გამო და სხვა.).[776] ამასთან, არასრულწლოვანი თავისუფლდება პასუხისმგებლობისგან, თუ არასრულწლოვანი დაზიანდება საგზაო შემთხვევის დროს. მაგალითად, თუ ავტომანქანა დაეჯახება ათ წლამდე ბავშვს იმის გამო, რომ უეცრად მან ქუჩაზე გადაირბინა, მოცემულ შემთხვევაში სატრანსპორტო საშუალების მძღოლი ან მესაკუთრე ზიანის ანაზღაურების დროს ვერ დაეყრდნობა ბავშვის თანაბრალეულობას, თუ ისინი ბრალეულად და მართლსაწინააღმდეგოდ მოქმედებდნენ. ამ შემთხვევაში არასრულწლოვანი დაზარალებულის ბრალი (სსკ-ის 415-ე მუხლი) ზიანის დადგომაში ვერ განიხილება ბავშვის თანაბრალეულობის საფუძვლად.[777]

---

[774] ზედამხედველობაზე ვალდებული დაწესებულების მიმართ პასუხისმგებლობის შესახებ, ასევე, იხ. შ. ჩიკვაშვილი, სსკ-ის კომენტარი, წ. IV, ტ. II, თბ., 2001, 394.

[775] გ. მარიამიძე, დელიქტური ვალდებულებანი, ზიანის ანაზღაურება სსკ-ის 992-ე მუხლის მიხედვით და ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებათა გათვალისწინებით, I გამოცემა, თბ., 2011, 17-18.

[776] შ. ჩიკვაშვილი, სსკ-ის კომენტარი, წ. IV, ტ. II, თბ., 2001, 395.

[777] D. Looschelders, Schuldrecht Besonderer Teil, Köln/München, 2008, 380; თანაბრალეულობასთან დაკავშ. ასევე იხ. D. Looschelders, Die Mitverantwortlichkeit des Geschädigten im Privatrecht, Tübingen, 1999, 360-362.

1.3. ათიდან თვრამეტ წლამდე არასრულწლოვნის მიერ მიყენებული პასუხისმგებლობა

ა. არასრულწლოვნის შეფასებაუნარიანობა

განსხვავებულია ათიდან თვრამეტ წლამდე არასრულწლოვნის მიერ მიყენებული ზიანისთვის პასუხისმგებლობის წესი. სახელდობრ, სსკ-ის 994-ე მუხლის მე-3 ნაწილით აღიარებულია, რომ ათ წელზე მეტი ასაკის, მაგრამ არასრულწლოვანი პირი პასუხს აგებს იმ ზიანისათვის, რომელიც მან სხვას მიაყენა. თუმცა თუ ზიანის მიყენებისას მას არ შეეძლო თავისი მოქმედების მნიშვნელობის გაგება, მაშინ გამორიცხება ათ წელზე მეტი ასაკის არასრულწლოვნის პასუხისმგებლობა. ამით ფაქტობრივად კანონმდებელმა სსკ-ის 994-ე მუხლის მე-3 ნაწილში (მსგავსად გსკ-ის ანალოგიური 828-ე მუხლის მე-2 ნაწილისა[778]) გაიზიარა თანამედროვე მიდგომა იმის შესახებ, რომ არასრულწლოვნის მიერ ზიანის მიყენებასთან დაკავშირებით გასათვალისწინებელია ამ ბავშვის „შეფასებაუნარიანობა".[779]

ამდენად, უპირველეს ყოვლისა, სუბიექტს უნდა ჰქონდეს საკუთარი ნების ფორმირების უნარი, რაც გადამწყვეტია სამოქალაქო პასუხისმგებლობის დასაკისრებლად. სამოქალაქო პასუხისმგებლობა ორიენტირებულია ბრალეულობის პრინციპზე, რაც ზიანის მიყენების სურვილის არსებობას უკავშირდება. თუმცა არასრულწლოვნის მიერ ზიანის მიყენებისას გამორიცხება დაზიანების ნება, ვინაიდან ის ბავშვური ქცევების გამო, რომლებიც თამაშის ინსტინქტის, ფსიქიკური და სოციალური მოუწიფებლობის საწყისებს ეფუძნება, კონცენტრაციის უნარს მოკლებულია. ამიტომ არასრულწლოვანს უმეტესწილად არ აქვს უნარი, შეაფასოს ხელმყოფი მოქმედების შედეგები და მნიშვნელობა.[780] ეს გამორიცხავს არასრულწლოვნის ბრალის არსებობას. შესაბამისად, ათ წელზე მეტი ასაკის არასრულწლოვანი პასუხისმგებლობისგან გათავისუფლდება, თუ მას პასუხისმგებლობის გრძნობის გაცნობიერების აუცილებელი უნარი არ ჰქონდა, რაც დამოკიდებულია ხელმყოფის ინდივიდუალურ თვისებებზე, რომლებითაც ის განსხვავდება თანატოლებისგან. მოცემულ შემთხვევაში გადამწყვეტია არა ის, რამდენად შეეძლო არასრულწლოვანს თავისი ქმედების ზიანის მომტანი შედეგის წინასწარ განსაზღვრა, არამედ მხოლოდ ის, შეეძლო თუ არა მას დაენახა საკუთარი მოქმედების ან უმოქმედობის მართლწინააღმდეგობა.[781]

---

[778] BGB (გერმანიის სამოქალაქო სჯულდების) 828-ე მუხლი.

[779] იხ. დ. კერესელიძე, კერძო სამართლის უზოგადესი სისტემური ცნებები, თბ., 2009, 129-130.

[780] იხ. N. Busch, Der Reifgrad Minderjähriger als Maßstab im Zivilrecht, Augsburg, 2001, 27.

[781] იხ. R. Greger, Haftungsrecht des Strassenverkehrs, Berlin, Handbuch und Kommentar, 4. Auflage, 2007, 239.

ბ. არასრულწლოვნის მატერიალური მდგომარეობა

კანონმდებელი განსაზღვრავს, რომ ათი წლის ასაკს მიღწეული პირისთვის სამოქალაქო პასუხისმგებლობის დასაკისრებლად უნდა დადგინდეს, როგორია ათი წლის პირის მატერიალური მდგომარეობა. საქმე ისაა, რომ თუ ათ წელს მიღწეულ პირს არა აქვს საკმარისი ქონება ან შემოსავალი მიყენებული ზიანის ასანაზღაურებლად, დამატებითი პასუხისმგებლობა ეკისრებათ მის წარმომადგენლებს (მშობლებს, მზრუნველებს). ესე იგი, ათიდან თვრამეტ წლამდე ასაკის არასრულწლოვნები სარგებლობენ შეზღუდული პასუხისმგებლობით. კანონიერი წარმომადგენელი[782] პასუხს აგებს დაზარალებულის წინაშე მხოლოდ ზიანის იმ ნაწილში, რომლის ანაზღაურებაც არასრულწლოვანს არ შეუძლია თავისი ქონებით ან შემოსავლით. შესაბამისად, კანონიერი წარმომადგენლების დამატებითი (სუბსიდიური) პასუხისმგებლობა შეიძლება გამოიხატოს ზიანის მთლიანად, ან ნაწილის ანაზღაურებაში. თუ არასრულწლოვანს საერთოდ არ შეუძლია ზიანის ანაზღაურება, ამ შემთხვევაში კანონიერი წარმომადგენელი აანაზღაურებს ზიანს მთლიანად. როცა არასრულწლოვნის ქონება ან შემოსავალი არაა საკმარისი ანაზღაურებისთვის, მოცემულ შემთხვევაში კანონიერი წარმომადგენელი აანაზღაურებს იმ ნაწილს, რომლის კომპენსირებასაც არ ეყო არასრულწლოვნის ქონება. არასრულწლოვანი და მისი წარმომადგენლები არ არიან სავალდებულო მოვალეები. არ შეიძლება დაზარალებულის წარმომადგენლის სახელით ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის წარდგენა თვით დაზარალებულის გვერდის ავლით.[783] კრედიტორმა უნდა მოითხოვოს ვალდებულების შესრულება, უპირველეს ყოვლისა, მოვალისაგან და მხოლოდ მას შემდეგ, რაც შეუძლებელი იქნება მოთხოვნის დაკმაყოფილება, უნდა მიმართოს დამატებით მოვალეს.[784] ამასთან, ფაქტობრივად კანონი დუმს იმ პირთა მზრუნველობის შესახებ, რომელთაც სასამართლოს მიერ შეზღუდული აქვთ ქმედუნარიანობა (ალკოჰოლიკები და ნარკომანები), ვინაიდან მზრუნველებს სპეციფიკური მოვალეობები ეკისრებათ. ასეთ შემთხვევაში მზრუნ-

[782] პირი, რომელსაც წარმომადგენლობითი უფლებამოსილება კანონმა მიანიჭა, განსაზღვრულია კანონით. სწორედ ამიტომ ასეთ პირს ეძახიან კანონისმიერ წარმომადგენელს. კანონისმიერი წარმომადგენელია ის პირი, რომელიც, კანონის ძალით, უფლებამოსილია, იმოქმედოს სხვისი სახელით და მისი ინტერესების სამართლებრივ ურთიერთობებში წარმოსადგენად. კანონისმიერი წარმომადგენლები არიან მშობლები, გამონაკლის შემთხვევებში - მეურვე ან მზრუნველი. იხ. D. Schwab, M. Löhnig, Einführung in das Zivilrecht, mit BGB – Allgemeiner Teil, Schuldrecht Allgemeiner Teil, Kauf und Deliktsrecht, 19. Auflage, Heidelber, München, Landsberg, Frechen, Hamburg, 2012, 74-75.

[783] შ. ჩიქვაშვილი, სსკ-ის კომენტარი, წ. IV, ტ. II, თბ., 2001, 395.

[784] აღნიშნულთან დაკავშირებით იხ. ე. ნინუა, სუბსიდიური პასუხისმგებლობა და მისი წარმოშობის საფუძვლები, ჟურნ. „მართლმსაჯულება და კანონი", №5, 2015, 55-60.

ველის მოვალეობა აისახება იმაში, რომ გააკონტროლოს ალკოჰოლიკი ან ნარკომანი თავისი ქონების თუ შემოსავლის განკარგვისას, რათა მან განკარგვის უფლებამოსილება არ გამოიყენოს ოჯახისა და თავისი ინტერესების საწინააღმდეგოდ.[785]

ამდენად, არასრულწლოვნებთან დაკავშირებული სუბსიდიური პასუხისმგებლობა ეფუძნება ორ მოსაზრებას: 1. დამკვირვებელი პირი პასუხს აგებს საკუთარი ბრალისთვის, რომელიც გულისხმობს იმას, რომ პირმა არ გამოიჩინა საკმარისი ყურადღება. დაკვირვების მოვალეობა გამომდინარეობს სამართლებრივი ურთიერთობებიდან და ქმნის ე.წ. „გარანტის მდგომარეობას“ (ბავშვის კეთილდღეობისა და ზრუნვის დაცვის უფლება-მოვალეობები). კიდევ უფრო მნიშვნელოვანია მშობლებსა და შვილებს შორის სამართლებრივი ურთიერთობები, რომლებიც მშობლებს ავალდებულებს მზრუნველობის გამოჩენას (ე.წ. „მშობლის მზრუნველობა“). სამართლებრივი გარანტის სხვა მდგომარეობა, რომელიც განიხილება სუბსიდიურ პასუხისმგებლობად, არის მეურვეობა (მზრუნველობა) და ზედამხედველობა; 2. სუბსიდიური პასუხისმგებლობა ფოკუსირებულია მშობელთა, მეურვეთა თუ დამკვირვებელთა შესაძლებლობაზე, გაუწიონ ზედამხედველობა და გააკონტროლონ მათი შვილები (პოტენციური საფრთხის წყაროს ჭრილში). ისინი უფრო მეტად აიცილებენ არასრულწლოვანთაგან ზიანს.[786]

დამატებითი პასუხისმგებლობა შეწყდება გარკვეული საფუძვლების დადგომისას: ა) ზიანის მიმყენებლის სრულწლოვნების ასაკის მიღწევიდან; ბ) თუ არასრულწლოვანს სრულწლოვნების ასაკამდე გაუჩნდება ქონება, რომელიც საკმარისია ზიანის ასანაზღაურებლად; გ) ფიზიკური პირის ემანსიპაციის შემთხვევაში. საქმე ისაა, რომ 18 წლამდე დაქორწინება იწვევს მზრუნველობის შეწყვეტას. დაქორწინება დაიშვება 16 წლიდან სასამართლოს გადაწყვეტილებით. შესაბამისად, დაქორწინებული არასრულწლოვანი მიიჩნევა სრულ ქმედუნარიანად, ანუ ის თავის უფლება-მოვალეობებსა და კანონიერ ინტერესებს დამოუკიდებლად დაიცავს კიდეც.[787] რაც შეეხება 16 წლიდან პირისთვის საწარმოს მართვის უფლების გადაცემას, ის შეუზღუდავად ქმედუნარიანია საწარმოს დამოუკიდებლად გაძღოლის სფეროს ურთიერთობებში. ამიტომ ამ სფეროსთვის ჩვეულებრივი ურთიერთობის ფარგლებში მიყენებული ზიანისთვის იგი თავად პასუხს აგებს. მოცემულ ურთიერთობაზეც არ ვრცელდება სუბსიდიური პასუხისმგებლობის პრინციპი.[788]

---

[785] რ. შენგელია, ე. შენგელია, საოჯახო სამართალი, თბ., 2011, 371-372.

[786] J. Fedtke, U. Magnus, Liability for damage caused by Others under German Law, In: Unification of tort law: Liability for damage caused by Others, Vol 7., Ed. J. Spier, The Netherlands, 2003, 117.

[787] ქორწინების დროს ემანსიპაციის შესახებ იხ. რ. შენგელია, ე. შენგელია, საოჯახო სამართალი, თბ., 2011, 392.

[788] შ. ჩიკვაშვილი, სსკ-ის კომენტარი, წ. IV, ტ. II, თბ., 2001, 395-396.

2. მხარდაჭერის მიმღების მიერ მიყენებული ზიანის ანაზღაურება

2.1. ნორმის მიზანი და არსი

სსკ-ში შეიცვალა „ჭკუასუსტობის“ და „სულიერი მოშლილობის“ გამო ქმედუუნარო პირების მიმართ მიდგომა. აღნიშნული ცვლილება უკავშირდება, ერთი მხრივ, საერთაშორისო ხელშეკრულებას, მეორე მხრივ, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებას. საგულისხმოა, რომ „შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა უფლებების კონვენცია“ პრინციპულად უარყოფს ადამიანისთვის ქმედუნარიანობის ჩამორთმევას (მე-12 მუხლი). საქმე ისაა, რომ შეზღუდული შესაძლებლობები არის დინამიკური ხასიათისაა და აფერხებს საზოგადოებრივ ცხოვრებაში მათ თანაბარ, სრულყოფილ და ეფექტურ მონაწილეობას. შესაბამისად, მხოლოდ ფსიქიკური ჯანმრთელობის გამო ადამიანისთვის არა თუ ქმედუნარიანობის ჩამორთმევა, არამედ მისთვის ქმედუნარიანობის შეზღუდვაც კონვენციით დადგენილი მაღალი სტანდარტის საწინააღმდეგოდ მიიჩნევა.[789] გარდა ზემოაღნიშნულისა, განსაკუთრებული იყო ამ საკანონმდებლო ცვლილების შეტანაში საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს როლი, ვინაიდან მან სსკ-ის 995-ე მუხლი აღიარა არაკონსტიტუციურად და დღის წესრიგში დააყენა საკითხი ამ მუხლის ძირეულად შეცვლის შესახებ.

უახლესი საკანონმდებლო ცვლილებების გათვალისწინებით, დელიქტურ ვალდებულებათაგან საინტერესოა მხარდაჭერის მიმღების მიერ მიყენებული ზიანის ანაზღაურების პრობლემა (სსკ-ის 995-ე მუხლი). ეს დელიქტური ვალდებულება შეიძლება ორ ნაწილად დავჯგუფდეს: ა) ზიანის ანაზღაურება, როცა მხარდაჭერის მიმღებს არ ჰყავს მხარდამჭერი დანიშნული; ბ) ზიანის ანაზღაურება, როცა მხარდაჭერის მიმღებს დაენიშნა მხარდამჭერი.

2.2. სსკ-ის 995-ე მუხლის ძველი რედაქციის უარყოფითი მხარეები

საკანონმდებლო ცვლილებამდე მხოლოდ სასამართლო იყო უფლებამოსილი, ჭკუასუსტობის ან სულით ავადმყოფობის ნიადაგზე ელიარებინა პირი ქმედუუნაროდ. დელიქტუნარიანობის წინაპირობების სტანდარტი იყო შესუსტებული, ხოლო ზიანის ანაზღაურების ვალდებულება არ ეკისრებოდა ჭკუასუსტ ან სულით ავადმყოფ პირს, რომელთა მართლსაწინააღმ-

[789] განმარტებითი ბარათი „საქართველოს სამოქალაქო კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ“ საქართველოს 2015 წლის 20 მარტის კანონზე N3339.

დეგო მოქმედებით მიადგა სხვას ზიანი (სსკ-ის 995-ე მუხლის 1-ლი ნაწილი). თუმცა ეს არ ნიშნავდა, რომ ჭკუასუსტის ან სულით ავადმყოფის მიერ მიყენებული ზიანისთვის არავინ იყო პასუხისმგებელი. აქ საქმე ეხებოდა პასუხისმგებლობის გავრცელებას იმ პირზე, რომელსაც ზიანის მიმყენებლის მეთვალყურეობა ევალებოდა (მეურვე, მშობელი და დაწესებულება).[790]

ა) ინდივიდუალური უნარების გაუთვალისწინებლობა

ზოგადად, ქმედუუნარობა ინდივიდუალიზებული პროცესია, კანონმდებლობის მიზანი კი უნდა იყოს ქმედუუნარო პირების დახმარება გადაწყვეტილების მიღების საკითხში (და არა ყველა სფეროში მათი ნების სრული ჩანაცვლება). მეურვეების უფლებამოსილება მკაცრად უნდა შემოიფარგლებოდეს იმ საკითხებით, რომლებშიც ადამიანს არ აქვს ნების ფორმირების შესაძლებლობა, ხოლო ქმედუუნარო პირებს უნდა ჰქონდეთ შესაძლებლობა, მიიღონ გადაწყვეტილებები მათი შეუზღუდავი უნარების ფარგლებში, მათ შორის, საჭიროების შემთხვევაში, მეურვის თანხმობით.[791]

საკანონმდებლო ცვლილებამდე ქმედუნარიანობის ინსტიტუტი ინდივიდუალური გონებრივი შესაძლებლობების გათვალისწინების გარეშე უკრძალავდა ქმედუუნარო პირებს სამოქალაქო უფლება-მოვალეობების დამოუკიდებლად განხორციელებას. ამგვარი შეზღუდვებით პირს საფუძველშივე ესპობოდა დამოუკიდებელი მოქმედების შესაძლებლობა ისეთ სფეროებში, რომლებიც უშუალოდ უკავშირდებოდა მის ყოველდღიურ ყოფა-ცხოვრებას, არსებობასა და განვითარებას. თუმცა შეზღუდული გონებრივი შესაძლებლობების მქონე პირების უნარები ინდივიდუალურია, ხოლო მათი ფსიქიკური ჯანმრთელობის მდგომარეობა უნიკალურია. ამდენად, აუცილებელია არსებობდეს დიფერენცირებული მიდგომა გარიგებების სირთულისა და პირთა გონებრივი შესაძლებლობების გათვალისწინებით.[792]

ბ) პიროვნების თავისუფალი განვითარების უფლების გაუთვალისწინებლობა

დასახელებულ საკანონმდებლო ცვლილებას ედო საფუძვლად ის, რომ „ყველას აქვს საკუთარი პიროვნების თავისუფალი განვითარების

---

[790] შ. ჩიქვაშვილი, სსკის კომენტარი, წ. IV, ტ. II, თბ., 2001, 397.

[791] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს (მე-2 კოლეგიის) 2014 წლის 8 ოქტომბრის გადაწყვეტილება (N2/4/532,533).

[792] ო. ცისკარიშვილი, შშმ პირებმა საქართველოს პარლამენტს სასამართლო დავა მოუგეს, კატეგორია „ადამიანის უფლებები", 19.04.2015, <http://opinion.civil.ge/publications/293 > [15.07.2015].

უფლება“ (საქართველოს კონსტიტუციის მე-16 მუხლი). ეს უფლება იცავს პიროვნების ავტონომიურობას, პირის თავისუფლებას, თავისი შეხედულებისამებრ განკარგოს საკუთარი შინაგანი სამყარო, პირადი გონებრივი და ფიზიკური სფერო, სხვებისგან ჩაურევლად, პირადი გადაწყვეტილებით დაამყაროს და განავითაროს ურთიერთობა სხვა პირებსა და გარესამყაროსთან. ამასთან, დადგინდა, რომ ქმედუნარიანობა არ არის აბსოლუტური კატეგორია. იმავდროულად, კოგნიტური უნარების შეზღუდვა, მათ შორის სერიოზულიც კი, არ შეიძლება განიხილებოდეს პირის ქმედუნარიანობის სრულად შეზღუდვის საკმარის მიზეზად[793].

პირზე მზრუნველობის ინტერესებსა და მის პირად ავტონომიას შორის ბალანსის დადგენის მიზნით, აუცილებელია, პიროვნების თავისუფალი განვითარების უფლება შეიზღუდოს, თუ ამის საჭიროება არსებობს გონებრივი შესაძლებლობების შეზღუდვის ხარისხიდან გამომდინარე. კანონმდებლობა მკაფიოდ უნდა განსაზღვრავდეს პირის ქმედუუნაროდ ცნობის კრიტერიუმებს (საკანონმდებლო სიცხადე). არსებული კანონმდებლობა აბსოლუტურად, ყოველგვარი გრადაციისა და დიფერენცირების გარეშე ზღუდავდა ქმედუუნარო პირთა უფლებებს. ასევე არ იყო გათვალისწინებული მეურვის მხრიდან ნების ფორმირებაში დახმარებისა და ქმედუუნარო პირის ნების გათვალისწინების შესაძლებლობა. ამდენად, სასამართლომ დაადგინა, რომ არათანაზომიერად იზღუდებოდა კონსტიტუციით გარანტირებული პიროვნების თავისუფალი განვითარების უფლება.[794]

ამასთან, „ფსიქიატრიული დახმარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის 1-ლი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის სიტყვა „ქმედუუნაროა“ „ზღუდავდა მოსარჩელის უფლებას, წვდომა ჰქონოდა საკუთარი ჯანმრთელობის შესახებ ინფორმაციაზე, რაც პიროვნების თავისუფალი განვითარების უფლებაში ჩარევას წარმოადგენს.[795]

---

[793] ჭკუასუსტობა არის ფსიქიკის ღრმა, ძნელად შექცევადი ან შეუქცევადი დეფექტი, რაც ვლინდება ინტელექტის სისუსტეში, ადრე შეძენილი ცოდნის დაკარგვასა და ახალი ცოდნის გაძნელებულ აღქმაში, ქცევის ცვლილებებში. ზოგადად, ცნობილია თანდაყოლილი ჭკუასუსტობა (ოლიგოფრენია) და შეძენილი ჭკუასუსტობა (დემენცია), ტვინის უჯრედების ცვლილებას ზოგიერთი მძიმე დაავადების დროს (ტვინის სისხლძარღვთა ათეროსკლეროზი, ეპილეფსია და სხვა). ჭკუასუსტობის ყველაზე მსუბუქ ფორმას წარმოადგენს დებილიზმი. ასეთი პირები პასუხს აგებდნენ სხვა პირთა მიმართ მართლსაწინააღმდეგო მოქმედებით მიყენებული ზიანისათვის (ძველი რედაქციის სსკ-ის 995-ე მუხლის 1-ლი ნაწილი). თუმცა მათზე უმეტეს შემთხვევებში ხორციელდებოდა მეურვეთა (სსკ-ის 1276-ე მუხლი) მეთვალყურეობა, რომლებიც, თავის მხრივ, უკვე დელიქტუნარიანნი იყვნენ. ო. მაჭარაშვილი, დელიქტები საერთაშორისო კერძო სამართალში, ჟურნ. „ალმანახი“, N15, 2000, 20.

[794] ო. ცისკარიშვილი, შშმ პირებმა საქართველოს პარლამენტს სასამართლო დავა მოუგეს, კატეგორია „ადამიანის უფლებები“, 19.04.2015, <http://opinion.civil.ge/publications/293 > [15.07.2015].

[795] საქართველოს პარლამენტის იურიდიულ საკითხთა კომიტეტის 2015 წლის 17 მარტის სხდომის ოქმი N174.

ქმედუნარიანობის აბსოლუტური და ბლანკეტური ჩამორთმევა უფლებაში მაღალი ინტენსიობით ჩარევაა, რომელიც გულისხმობს პირის ავტონომიურობის დაკარგვას ცხოვრების პრაქტიკულად ყველა სფეროში. პირის უფლებაში ასეთი ინტენსიობის ჩარევა განპირობებული უნდა იყოს უაღრესად მნიშვნელოვანი ლეგიტიმური მიზნის არსებობით და უნდა იყოს ამ მიზნის მიღწევის ყველაზე ნაკლებად შემზღუდველი საშუალება. ამა თუ იმ ფსიქიკური დაავადებით გამოწვეული უუნარობა, ცალკეული უფლება-მოვალეობების განხორციელებისას სრული მოცულობით შეიგნოს თავისი მოქმედების მნიშვნელობა, ან უხელმძღვანელოს მათ, ყოველთვის არ გულისხმობს, რომ პირს არ შესწევს უნარი, მიიღოს გათვითცნობიერებული გადაწყვეტილებები და განახორციელოს იურიდიული შედეგების მატარებელი ქმედებები. თუ პირს ფსიქიკური დაავადების მიუხედავად, შენარჩუნებული ჰქონდა სოციალური ცხოვრების ცალკეულ სფეროში გაცნობიერებული გადაწყვეტილების მიღების უნარი, რომელიც შეესაბამებოდა მის ინტერესებს და არ ხელყოფდა ვინმეს უფლებებს, კანონმდებლობა არ იძლეოდა პირის ნების გამოვლენასთან დაკავშირებით დიფერენცირებული მიდგომის შესაძლებლობას. ის იქნებოდა სოციალური ცხოვრების სხვადასხვა სფეროში ინტელექტუალური და ნებელობითი უნარების ფაქტობრივი დაქვეითების ხარისხის თანაზომიერი. ასევე, პიროვნული ავტონომიის უფლების რეალიზებისას საკუთარ ინტერესებთან შეუთავსებელი უნებლიე გადაწყვეტილებების მიღების გამორიცხვა შეუძლებელია. ასეთ „შეცდომებს“ მაღალი ხარისხის ინტელექტუალური შესაძლებლობების მქონე პირებიც კი უშვებენ.[796]

გ) მეურვის მიერ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირის აზრის გაუთვალისწინებლობა

ქართული მოდელის აბსურდულობა იმაშიც გამოიხატებოდა, რომ მეურვე წყვეტდა საკითხს იმის თაობაზე, ქმედუუნაროდ აღიარებული პირი იქნებოდა სახლში ჩაკეტილი თუ ექნებოდა საზოგადოებასთან ურთიერთობა. მეურვე და მკურნალი ექიმი შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირს არაფერს ეკითხებოდნენ ისე გადაწყვეტდნენ მის ფსიქიატრიულ ან სამკურნალო დაწესებულებაში მოთავსებას. იყო შემთხვევები, როდესაც მეურვეები არაკეთილსინდისიერად იყენებდნენ მათ უფლებამოსილებას და ქმედუუნარო ადამიანების ქონებას ფლანგავდნენ პირადი საჭიროებისათვის. მენტალურ შესაძლებლობებში შეზღუდული ადამიანები ქმედუნარიანობის დაკარგვის მიუხედავად ინარჩუნებენ ადამიანურ გრძნობებს და ნამდ-

[796] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს (მე-2 კოლეგიის) 2014 წლის 8 ოქტომბრის გადაწყვეტილება (N2/4/532,533).

ვილად შეუძლიათ იმის აღქმა, გარშემო მყოფი პირები კეთილგანწყობილნი არიან თუ არა მათ მიმართ. ადამიანები, რომლებსაც მენტალური პრობლემები აქვთ, არ კარგავენ ყველა უნარს. შეიძლება ასეთ ადამიანს არ შეეძლოს. შპს-ის მართვა,. მრავალმილიონიანი გარიგების დადებაში დამოუკიდებლად მონაწილეობა, მაგრამ მას ნამდვილად სტკივა, როცა ვინმე შეურაცხყოფას აყენებს და უნდა ჰქონდეს პოლიციასთან ან სასამართლოსთან უშუალო კონტაქტის შესაძლებლობა მეურვესთან ერთად ან თუნდაც მის გარეშეც. 1997 წლის სამოქალაქო კოდექსი გონებრივი ჩამორჩენილობის გამო შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ადამიანს მოიხსენიებდა დამაკნინებელი ტერმინით „ჭკუასუსტი". ამასთან, სასამართლოს მიერ ქმედუუნაროდ ცნობილი პირი კარგავდა თავისი ყველა უფლების (საკუთრება, მემკვიდრეობა და სხვა) დამოუკიდებლად განხორციელების შესაძლებლობას. ასეთი ადამიანის ყველა უფლებას მისი მეურვე ახორციელებდა.[797]

ზემოაღნიშნული დებულებების გამო, ჭკუასუსტობისა და სულით ავადმყოფთა ქმედუუნაროდ ცნობა ჩაითვალა არაკონსტიტუციურად. ამასთან, სამოქალაქო კანონმდებლობა უნდა მოსულიყო კონსტიტუციასა და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების კონვენციასთან შესაბამისობაში. ეს კონვენცია უარყოფს ადამიანისთვის ქმედუნარიანობის ჩამორთმევას და მხოლოდ ფსიქიკური ჯანმრთელობის გამო ქმედუნარიანობის შეზღუდვაც კონვენციით დადგენილი მაღალი სტანდარტების საწინააღმდეგოდ მიიჩნევა.[798]

შესაბამისად, საკანონმდებლო ცვლილება ითვალისწინებს ინდივიდუალურ შეფასებას, რომელიც არ უნდა დაეფუძნოს მხოლოდ სამედიცინო მოდელს, არამედ მასში მნიშვნელოვანი ადგილი დაიკავოს სოციალური შეფასების სისტემამაც. ამასთან, ძლიერდება ფსიქიკური პრობლემების მქონე პირების უფლებების დაცვა.[799]

2.3. მხარდაჭერის მიმღების დელიქტური პასუხისმგებლობა

სსკ-ის 995-ე მუხლის 1-ლი ნაწილის გამოყენებისთვის აუცილებელია შემდეგი წინაპირობების ერთდროულად შესწავლა: ა) მხარდაჭერის

---

[797] ო. ცისკარიშვილი, შშმ პირებმა საქართველოს პარლამენტს სასამართლო დავა მოუგეს, კატეგორია „ადამიანის უფლებები", 19.04.2015, <http://opinion.civil.ge/publications/293> [15.07.2015].

[798] იხ. გაერთიანებული ერების ორგანიზაციის 2006 წლის 13 დეკემბრის „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების კონვენცია"; ო. ცისკარიშვილი, შშმ პირებმა საქართველოს პარლამენტს სასამართლო დავა მოუგეს, კატეგორია „ადამიანის უფლებები", 19.04.2015.

[799] განმარტებითი ბარათი „საქართველოს სამოქალაქო კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ" საქართველოს 2015 წლის 20 მარტის კანონზე N3339.

მიმღების მიერ ზიანის მიყენება; ბ) მხარდაჭერის მიმღების მართლსაწინააღმდეგო ქმედება; გ) ქმედებასა და შედეგს შორის მიზეზობრივი კავშირი; დ) არ უნდა იყოს მხარდაჭერის მიმღებისთვის მხარდამჭერი დანიშნული.

მოცემულ შემთხვევაში, როგორც აღინიშნა, უნდა დადგეს ზიანი, რომელიც ზიანის ანაზღაურების ვალდებულებას წარმოშობს. თუმცა, სხვა დელიქტური ვალდებულებებისგან განსხვავებით, აქ ზიანი უნდა მიაყენოს მხარდაჭერის მიმღებმა.

საკანონმდებლო ცვლილების საფუძველზე, ნაცვლად ტერმინისა „ქმედუუნარო", სამოქალაქო კოდექსში შემოვიდა ტერმინი „ფსიქო-სოციალური საჭიროების მქონე პირი" (შემდგომ - მხარდაჭერის მიმღები). ის ქმედუნარიანად ითვლება, თუ 18 წელს მიაღწევს, ან 18 წლამდე იქორწინებს. მხარდასაჭერი პირი არის სუბიექტი, რომელსაც აქვს მყარი ფსიქიკური, გონებრივი თუ ინტელექტუალური დარღვევები, რომელთა სხვადასხვა დაბრკოლებასთან ურთიერთქმედებამ შესაძლოა ხელი შეუშალოს მის თანაბარ, სრულ და ეფექტურ მონაწილეობას საზოგადოებრივ ცხოვრებაში. თუმცა ეს დაბრკოლებები სათანადო რჩევისა და დახმარების გარეშე მნიშვნელოვნად ართულებს პირის მიერ საკუთარი ნების თავისუფლად გამოხატვას, ინფორმირებული და გააზრებული არჩევანის გაკეთებას სასამართლოს მიერ განსაზღვრულ სფეროში. ასევე არასრულწლოვანი პირი შეიძლება სასამართლომ ცნოს მხარდაჭერის მიმღებად იმ ფარგლებში, რომლებშიც, საქართველოს კანონმდებლობის თანახმად, მას თავისი უფლება-მოვალეობების განხორციელებისას კანონიერი წარმომადგენლის თანხმობა არ სჭირდება (სსკ-ის მე-12 მუხლის მე-5 ნაწ.).[800] ამდენად, „მხარდაჭერის მიმღები" პირი ითვლება ქმედუნარიან პირად, რომელსაც ფსიქო-სოციალური საჭიროებების ინდივიდუალური შესწავლის საფუძველზე შეიძლება სასამართლოს მიერ დაენიშნოს მხარდამჭერი, ანუ პირი, რომელიც მას დაეხმარება საკუთარი უფლებების რეალიზებასა და ინტერესების დაცვაში. ფსიქო-სოციალური საჭიროებების მქონე პირის მხარდამჭერი მოვალეა, თვალყური ადევნოს ასეთი პირის მუდმივ სამედიცინო მომსახურებას, გამოიკვლიოს მისი სურვილები/არჩევანი და დაეხმაროს მას შესაბამისი გადაწყვეტილების მიღებაში, რაც გამოიხატება გადაწყვეტილების მისაღებად აუცილებელი ინფორმაციის მიწოდებაში მხარდაჭერის მიმღებისთვის გასაგები საკომუნიკაციო ფორმით. ასევე მხარდამჭერს ევალება, სასამართლოს მიერ დადგენილი პერიოდულობით მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს მიაწოდოს ინფორმაცია სასამართლოს მიერ მისთვის განსაზღვრული მოვალეობების შესრულებასთან დაკავშირებით, სადაც მიუთითებს მის მიერ სამზრუნველო პირისთვის მხარ-

[800] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს (მე-2 კოლეგიის) 2014 წლის 8 ოქტომბრის გადაწყვეტილება (N2/4/532,533).

დაჭერის განხორციელებასთან დაკავშირებულ თავისებურებებს (სსკ-ის 1289-ე მუხლის მე-2 ნაწილი). მაგალითად, მხარდაჭერის მიმღები პირის მიერ გარიგების დადებისას გათვალისწინებულია ორმხრივ გარიგებაში სავალდებულოდ მხარდამჭერის ხელმოწერით იმის დადასტურება, რომ გარიგების დადების პროცესში განხორციელდა სასამართლოს გადაწყვეტილებით განსაზღვრული მხარდაჭერა (სსკ-ის 69-ე მუხლის მე-3[1] ნაწილი). გარდა ამისა, კანონპროექტი მხარდაჭერის მიმღები პირის მიერ გარიგების ნამდვილობის საკითხს უკავშირებს შემდგომში მხარდამჭერის მიერ მისი მოწონების საკითხს, თუმცა ამის სავალდებულობა არ იარსებებს იმ შემთხვევაში, თუ მხადამჭერის მიმღები ამ გარიგებით იღებს სარგებელს (სსკ-ის 58[1]-ე მუხლის 1-ლი ნაწილი). ამასთან, მხარდამჭერს ნიშნავს სასამართლო, რომელიც ასევე განსაზღვრავს მხარდაჭერის ფარგლებს და მხადამჭერი პირის უფლება-მოვალეობებს - (სსკ-ის 1282-1283-ე მუხლები). მხარდამჭერის მიერ სასამართლოს გადაწყვეტილებით დადგენილ ფარგლებში უფლება-მოვალეობების განხორციელებაზე ზედამხედველობას განახორციელებს მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანო.[801]

აქვე საგულისხმოა, რომ მხარდაჭერის მიმღები უნდა მოქმედებდეს მართლსაწინააღმდეგოდ და არ უნდა არსებობდეს მართლწინააღმდეგობის გამომრიცხველი გარემოებები.

სსკ-ის 995-ე მუხლის ფარგლებში მხარდაჭერის მიმღებისთვის პასუხისმგებლობის დაკისრება დამოკიდებულია იმაზე, მას დაენიშნა თუ არა მხარდამჭერი. თუ მხარდამჭერი არაა დანიშნული, ივარაუდება, რომ პირი მხარდაჭერას არ საჭიროებდა. შესაბამისად, ამ შემთხვევაში ზიანი უნდა აანაზღაუროს მხარდაჭერის მიმღებმა. ეს იმას ნიშნავს, რომ აქ კანონმდებელი მხარდაჭერის მიმღების გაცნობიერების უნარს ითვალისწინებს. თუმცა მისი პასუხისმგებლობა გამოირიცხება, თუ მას სასამართლოს გადაწყვეტილებით დაენიშნა მხარდამჭერი ზიანის მიყენების თავიდან ასაცილებლად (სსკ-ის 995-ე მუხლის 1-ლი ნაწილი).

2.4. მხარდამჭერის დანიშვისას მხარდაჭერის მიმღების მიერ ზიანის მიყენებისთვის პასუხისმგებლობა

ცალკე შეიძლება გამოიყოს მეორე შემთხვევა, როცა ზიანი მიაყენა მხარდაჭერის მიმღებმა და მას დანიშნული ჰყავდა მხარდამჭერი. კანონის მიხედვით, მხარდამჭერის დანიშვნისას მხარდაჭერის მიმღებს არ ეკისრება ზიანის ანაზღაურება. სასამართლო გადაწყვეტილება პირის მხარდაჭერის მიმღებად ცნობის შესახებ უნდა ითვალისწინებდეს მხარდამჭერის (მხარ-

[801] განმარტებითი ბარათი „საქართველოს სამოქალაქო კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ“ საქართველოს 2015 წლის 20 მარტის კანონზე N3339.

დამჭერების) დანიშვნას, მხარდაჭერის ფარგლებისა და მხარდამჭერის (მხარდამჭერების) უფლება-მოვალეობების განსაზღვრას. მხარდამჭერად შეიძლება დაინიშნოს პირის ოჯახის წევრი, ნათესავი, ახლობელი ან სპეციალისტი, რომელიც აკმაყოფილებს ამ კოდექსით დადგენილ მოთხოვნებს.

სასამართლო მხარდამჭერის არჩევისას ითვალისწინებს მის პიროვნულ თვისებებს, მხარდამჭერის მიერ მისთვის დაკისრებული მოვალეობის შესრულების უნარს, მხარდამჭერისა და მხარდაჭერის მიმღების ურთიერთდამოკიდებულებას, მხარდაჭერის მიმღების ინტერესებს და ნებას, ხოლო მხარდაჭერის მიმღების არასრულწლოვნების შემთხვევაში – აგრეთვე მისი მშობლის მითითებას. ამასთან, პირი მხარდამჭერად შეიძლება დაინიშნოს მხოლოდ მისი თანხმობით. ასევე შესაძლებელია ზემოთ ჩამოთვლილი პირებისაგან მხარდამჭერი ვერ შეირჩეს, ამ შემთხვევაში სასამართლო მხარდამჭერად ნიშნავს მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს უფლებამოსილ პირს. რაც შეეხება სპეციალიზებულ დაწესებულებაში მოთავსებულ მხარდაჭერის მიმღებს, სასამართლო მას მხარდამჭერად უნიშნავს ამ დაწესებულების წარმომადგენელს (სსკ-ის 1280-ე მუხლი).

ამასთან, თუ მხარდაჭერის მიმღებს სასამართლოს გადაწყვეტილებით დაენიშნა მხარდამჭერი ზიანის მიყენების თავიდან ასაცილებლად, ეს არ გამორიცხავს ზიანის ანაზღაურებას. ამ შემთხვევაში მხარდამჭერის მიერ მიყენებული ზიანის ანაზღაურების ვალდებულება ეკისრება მხარდამჭერს. თუმცა, როცა ამ ზიანის თავიდან აცილება შეუძლებელი იყო, მაშინ მხარდამჭერის პასუხისმგებლობა გამოირიცხება (სსკ-ის 995-ე მუხლის მე-2 ნაწილი).

ასევე, არაა გამორიცხული, რომ, მიუხედავად სასამართლოს გადაწყვეტილების საფუძველზე მხარდამჭერის დანიშვნისა, დამდგარი ზიანის ანაზღაურების ვალდებულება არ დაეკისროს მხარდამჭერს. ეს ის შემთხვევაა, როდესაც მხარდაჭერის მიმღებს არ სჭირდებოდა მხარდაჭერა ზიანის მიყენების თავიდან ასაცილებლად. თუმცა მხარდამჭერმა უნდა ამტკიცოს, რომ მხარდაჭერის მიმღებს ზიანის მიყენების მომენტისათვის აღარ სჭირდებოდა მხარდაჭერა ზიანის მიყენების თავიდან ასაცილებლად. მოცემულ შემთხვევაში საქმე უნდა შეეხოს მხარდამჭერის ბრალს, რომელიც გამოვლინდება მხარდაჭერის მიმღების ზიანის თავიდან ასაცილებლად მხარდაჭერაში. ეს გულისხმობს იმას, რომ მხარდამჭერმა თვალყური ადევნოს მხადაჭერის მიმღების მუდმივ სამედიცინო მომსახურებას, გამოიკვლიოს მისი სურვილები თუ არჩევანი და დაეხმაროს სათანადო გადაწყვეტილების მიღებაში (სსკ-ის 995-ე მუხლის მე-2 ნაწილი).

3. დროებით უგონო ან სულიერი მოშლილობის მდგომარეობაში მყოფი პირების მიერ მიყენებული ზიანის ანაზღაურების საფუძვლები

3.1. ნორმის მიზანი და გამოყენების სფერო

სსკ-ის 996-ე მუხლში გათვალისწინებულია დროებით უგონო ან სულიერი მოშლილობის მდგომარეობაში მყოფი პირის მიერ მიყენებული ზიანის ანაზღაურების საფუძვლები. ამ ნორმის გამოსაყენებლად უნდა დადგინდეს: ა) ზიანის არსებობა, ბ) დროებით უგონო ან სულიერი მოშლილობის მდგომარეობაში მყოფი პირის ქმედების მართლსაწინააღმდეგო ხასიათი, გ) ამ ქმედებასა და ზიანს შორის კავშირი (მიზეზობრიობა), დ) ასევე, მოცემულმა პირმა შეგნებულად ჩაიყენა ასეთ მდგომარეობაში თავი თუ ბრალის გარეშე, რაც პასუხისმგებლობის სუბიექტს დააკონკრეტებს.

სსკ-ის 996-ე მუხლის მიხედვით, ზიანი წარმოიშობა დროებით სულიერი მოშლილობის მდგომარეობაში მყოფი პირის მიერ. ზიანის, ქმედების მართლწინააღმდეგობისა და მიზეზობრივი კავშირის ცნებების მიმართ მოქმედებს პასუხისმგებლობის ზოგადი წესები.

3.2. დროებითი სულიერი მოშლილობის დროს მიყენებული ზიანისთვის პასუხისმგებელი სუბიექტი

დროებითი სულიერი მოშლილობის დროს ნორმალური ფსიქიკური პროცესების დარღვევა გამოიხატება პირის დროებით დაქვეითებულ უნარში, აღიქვას გარემო და გააკონტროლოს თავისი ქცევა. ესაა პიროვნების აღქმის, აზროვნების, მეხსიერების, ემოციებისა და ყურადღების, ნებისა და ქცევის დროებითი დაქვეითებისა თუ დარღვევის მდგომარეობა.[802] მართალია, მოცემულ შემთხვევაში ეს პირი ქმედუნარიანია, მაგრამ ზიანის მიყენების მომენტში იმყოფებოდა ისეთ მდგომარეობაში, რომ არ შეეძლო, გაეგო საკუთარი ქმედების მნიშვნელობა და გაეთვალისწინებინა მოსალოდნელი შედეგი[803], რის გამოც ის დროებით არაქმედუნარიანად ითვლება და პასუხს არ აგებს.[804]

ლოგიკურად ჩნდება შეკითხვა: თუ პირი დროებით უგონო ან სულიერი მოშლილობის მდგომარეობაშია, ვინ აგებს პასუხს მისი ქმედებისთვის?

---

[802] ო. მაჭარაშვილი, დელიქტები საერთაშორისო კერძო სამართალში, ჟურნ. „ალმანახი", N15, 2000, 20.

[803] ლ. ჭანტურია, სამოქალაქო სამართლის ზოგადი ნაწილი, თბ., 2011, 188.

[804] ო. მაჭარაშვილი, დელიქტები საერთაშორისო კერძო სამართალში, ჟურნ. „ალმანახი", N15, 2000, 20.

როცა დროებით უგონო ან სულიერი მოშლილობის მდგომარეობაში მყოფმა პირმა ზიანი მიაყენა მესამე პირს, თუმცა ამ დროს მასზე უნდა განხორციელებულიყო მეთვალყურეობა, თვით მეთვალყურეობაზე ვალდებულ სუბიექტს უნდა დაეკისროს პასუხისმგებლობა ზიანისთვის. ამასთან, პირი შეიძლება სულიერი მოშლილობის მდგომარეობაში აღმოჩნდეს სხვების ბრალეულობით და თვით ამ სუბიექტს ამაში ბრალი არ მიუძღოდეს. მოცემულ შემთხვევაში პასუხისმგებლობაც უნდა გავრცელდეს ბრალეულ პირზე. თუ ბრალეული პირი არის სულიერი მოშლილობის მდგომარეობაში მყოფი პირის მეუღლე, მშობელი ან სხვა ახლობელი, დაზარალებულის ინტერესების გათვალისწინებით, მიზანშეწონილია, დამდგარი ზიანისთვის პასუხისმგებლობა დაეკისროთ ფსიქიკურად გაუწონასწორებელი პირის მეუღლეს, მშობლებს ან/და სრულწლოვან შვილებს, რომლებმაც იცოდნენ პირის ფსიქიკური მოშლილობის შესახებ[805] და არ გაუწიეს მეთვალყურეობა. ამასთან, სავარაუდოა, რომ ამ პირობებში პირზე ზედამხედველობას უნდა ახორციელებდეს ვინმე ახლობელი მაინც, რომელმაც უნდა აგოს პასუხი სამოქალაქოსამართლებრივი წესით ასეთი პირების მიერ მიყენებული ზიანისთვის.

ამასთან, სსკ-ის 996-ე მუხლით გათვალისწინებული სამოქალაქო პასუხისმგებლობის დაკისრება დამოკიდებულია იმაზე, თუ რამ გამოიწვია პირის ასეთი მდგომარეობა. შესაბამისად, თუ პირმა თვითონ ჩაიყენა თავი (შეგნებულად) ამ მდგომარეობაში ალკოჰოლური სასმელის ან მსგავსი საშუალებების გამოყენებით, იგი არ თავისუფლდება პასუხისმგებლობისაგან[806] და პასუხს აგებს საერთო საფუძვლების მიხედვით.[807]

3.3. სამოქალაქო პასუხისმგებლობისგან გამომრიცხველი გარემოება

ზიანის მიმყენებლისთვის ანუ დროებით სულიერი მოშლილობის მდგომარეობაში მყოფი პირისთვის სამოქალაქო პასუხისმგებლობის ზემოთ მოცემული ზოგადი წესიდან არსებობს გამონაკლისი, რაც გამორიცხავს მის პასუხისმგებლობას. აქ მოიაზრება შემთხვევა, როდესაც პირი ამ მდგომარეობაში აღმოჩნდა ბრალის გარეშე. შესაბამისად, არაბრალეულობა გამორიცხავს ხელმყოფის სამოქალაქო პასუხისმგებლობას (სსკ-ის

---

[805] შ. ჩიკვაშვილი, სსკ-ის კომენტარი, წ. IV, ტ. II, თბ., 2001, 399-400; აღნიშნულთან დაკავშ. იხ. Гражданское право, Обязательственное право. Под ред. Е. А. Суханова, Т. IV, 3-е изд., М., 2006, 670-671.

[806] ლ. ჭანტურია, სამოქალაქო სამართლის ზოგადი ნაწილი, თბ., 2011, 188.

[807] ამის თაობაზე იხ. შ. ჩიკვაშვილი, სსკ-ის კომენტარი, წ. IV, ტ. II, თბ., 2001, 399-400.

996-ე მუხლი). მაგალითად, შესაძლებელია ექიმის მიერ დანიშნული წამლის მიღებამ გამოიწვიოს პირის ასეთი მდგომარეობა.[808]

§ 14. სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას მიყენებული ზიანის ანაზღაურება

დელიქტურია, ასევე, სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას მიყენებული ზიანიდან წარმოშობილი ვალდებულება. კვლევის მიზნებიდან გამომდინარე, აუცილებელია სსკ-ის 997-ე მუხლის გაანალიზება შემადგენელი ელემენტების შინაარსობრივი დატვირთვის მიხედვით. ეს უკავშირდება მოცემული დელიქტური ვალდებულების სპეციფიკური თავისებურებების შესწავლას, მათ შორის იმის დადგენას, სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას რომელ სუბიექტებს შორის წარმოიშობა ურთიერთობა.

სსკ-ის 997-ე მუხლის გამოყენებისთვის უნდა არსებობდეს შემდეგი ნიშნების ერთობლიობა: ა) ზიანი; ბ) ზიანის მიმყენებლის (მუშაკის) შრომითი (ან ნარდობითი) ურთიერთობა მოპასუხესთან (დამსაქმებელთან); გ) ზიანის მიმყენებლის არამართლზომიერი მოქმედება ან უმოქმედობა; დ) არამართლზომიერ ქმედებასა და დამდგარ ზიანს შორის მიზეზობრივი კავშირი; ე) ზიანის მიმყენებლის ბრალი.[809] მისი ანალოგი გსკ-ში 831-ე მუხლია, რომლის წინაპირობებად აღიარებულია: 1. შემსრულებელი (თანაშრომელი); 2. შემსრულებლის მიერ მართლსაწინააღმდეგო ხელყოფა და 3. სამუშაოს შესრულების დროს ზიანის დადგომა; 4. აქვე განსაზღვრულია შემკვეთის (მეწარმის თუ დამსაქმებლის) პასუხისმგებლობისგან განთავისუფლების შესაძლებლობა.[810]

1. სუბიექტები

1.1. პასუხისმგებელი პირი (დამსაქმებელი)

სსკ-ის 997-ე მუხლის თანახმად, პირს ევალება იმ ზიანის ანაზღაურება, რომელიც მესამე პირს მიადგა მისი მუშაკის მართლსაწინააღმდეგო

[808] აღნიშნულთან დაკავშირებით იხ. შ. ჩიკვაშვილი, სსკ-ის კომენტარი, წ. IV, ტ. II, თბ., 2001, 399-400; ო. მაჭარაშვილი, დელიქტები საერთაშორისო კერძო სამართალში, ჟურნ. „ალმანახი", N15, 2000, 20.

[809] საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2013 წლის 16 დეკემბრის გადაწყვეტილება (№ას-660-627-2013).

[810] H. Hoffmann, Außenhaftung von Unternehmen nach § 831, BGB und § 31 BGB, Frankfurt am Main, 2009, 46.

მოქმედებით თავისი შრომითი (სამსახურებრივი) მოვალეობის შესრულებისას პასუხისმგებლობა არ დადგება, თუ მუშაკი მოქმედებდა ბრალის გარეშე.

ამდენად, უპირველეს ყოვლისა, უნდა დადგინდეს, თუ ვინ შეიძლება იყოს მუშაკი შრომითი (სამსახურებრივი) მოვალეობის შესრულებისას მიყენებული ზიანისთვის პასუხისმგებელი პირი.

პირი, თავისი ფართო შინაარსის მიხედვით, შეიძლება გულისხმობდეს ფიზიკურ და იურიდიულ პირს, ვინაიდან, სსკ-ის მე-8 მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, კერძოსამართლებრივი ურთიერთობის სუბიექტი შეიძლება იყოს ნებისმიერი ფიზიკური ან იურიდიული პირი. ისინი შრომით-სამართლებრივ ურთიერთობაში არიან სამუშაოს მიმცემი და მისი მუშაკი. მათ შორის წარმოშობილი ურთიერთობა უკავშირდება გარკვეული ქმედების განხორციელებას. ამასთან, იმის დასადგენად, თუ ვინ შეიძლება მოიაზრებოდეს დამსაქმებლად და დასაქმებულად, უნდა გამოიყენებოდეს შრომით-სამართლებრივი დებულებები, ვინაიდან სსკ-ით არაა დამსაქმებლისა თუ დასაქმებულის ცნებები განსაზღვრული და შრომის სამართლის კანონმდებლობა შეიცავს მათ შესახებ ძირითად წესებს. როგორც საქართველოს ორგანული კანონის „შრომის კოდექსის“ მე-3 მუხლის მე-2 პუნქტიდან ჩანს, დამსაქმებელი შეიძლება იყოს ფიზიკური ან იურიდიული პირი, ანდა პირთა გაერთიანება, რომლისთვისაც შრომითი ხელშეკრულების საფუძველზე სრულდება გარკვეული სამუშაო.[811]

აქვე პრაქტიკული თვალსაზრისით, გასარკვევია, რამდენად შეიძლება ინდივიდუალური საწარმო იყოს მსხვილი საწარმო და მისი მფლობელი სარგებლობდეს იმავე უფლებით, რითაც სხვა სამეწარმეო იურიდიული პირები. მიუხედავად იმისა, რომ ინდივიდუალური საწარმო არაა იურიდიული პირი, იგი სარგებლობს ყველა იმ უფლებით, რომლებიც სამეწარმეო იურიდიულ პირებს აქვთ. ამასთან, საქართველოს საგადასახადო კოდექსის 36-ე მუხლის თანახმად, მეწარმე ფიზიკურ პირად ითვლება: ა) ინდივიდუალური მეწარმე – ფიზიკური პირი, თუ ის, „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლის მიხედვით, არის ინდივიდუალური მეწარმე; ბ) ფიზიკური პირი, თუ ის ახორციელებს „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის 1-ლი მუხლის მე-3 პუნქტით განსაზღვრულ საქმიანობას. შესაბამისად, ინდივიდუალური მეწარმეც (ფიზიკური პირიც) შეიძლება იყოს სამუშაოს მიმცემი; თუ ინდივიდუალური საწარმოს მუშაკი სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას მართლსაწინააღმდეგო მოქმედებით ზიანს მიაყენებს მესამე პირს, ზიანის ანაზღაურებისთვის პასუხისმგებლობა ეკისრება ინდივიდუალურ მეწარმეს, რომელიც ზიანს ანაზღაურებს, როგორც ფიზიკური პირი - პირადად, მთელი თავისი ქონებით.

---

[811] საქართველოს ორგანული კანონი „შრომის კოდექსი“, 2010 წლის 17 დეკემბერი, N4113-რს.

ამასთან, სსკ-ის 997-ე მუხლით არაა დაზუსტებული, თუ რომელი იურიდიული პირია პასუხისმგებელი მუშაკის მოქმედებისთვის - კერძო თუ საჯარო სამართლის იურიდიული პირი. შესაბამისად, ტერმინი „პირი“ უნდა გამოიყენებოდეს მისი ფართო მნიშვნელობით და მოიცავს როგორც საჯარო, ისე კერძო სამართლის იურიდიულ პირებს.[812] მართალია, ინდივიდუალური მეწარმე არაა იურიდიული პირი, მაგრამ ის სახელმწიფო რეგისტრაციის მომენტიდან აგებს პასუხს საკუთარი მუშაკის მიერ მიყენებული ზიანისთვის და, შესაბამისად, განიხილება სამოქალაქო პასუხისმგებლობის სუბიექტად.[813]

ამასთან, სსკ-ის 997-ე მუხლი არ უნდა დაეყრდნოს მხოლოდ შრომითი საქმიანობის განხორციელების წესს, ვინაიდან ეს მუხლი არ ეხება კონკრეტულად დამსაქმებლის პასუხისმგებლობას ზიანისთვის, რომელსაც მისი თანამშრომელი მიაყენებს მესამე პირს შრომითი საქმიანობის პროცესში. აქ ხაზგასმულია უფრო ზოგადი წესი, ვინაიდან პირს, რომელიც სხვა პირს ნიშნავს ნებისმიერი სამუშაოს შესასრულებლად და ეს პირი აზიანებს მესამე პირის რაიმე სიკეთეს, ევალება ამ პირის მიერ წარმოშობილი ზიანის ანაზღაურება. შესაბამისად, ნდობით აღჭურვილი პირის შერჩევისა და მეთვალყურეობის გაწევის მიმართულებით შეცდომის დაშვება აღიქმება უშუალოდ იმ პირის ქმედებად, რომელსაც აჰყავს ეს პირი სამუშაოს განსახორციელებლად.[814] ამდენად, მოცემულ შემთხვევაში სსკ-ის 997-ე მუხლით დადგენილი პასუხისმგებლობის სუბიექტის გასარკვევად ამოსავალი უნდა იყოს შესრულების არსის ფართოდ განხილვა.

1.2. მუშაკი

მართალია, სსკ-ით არაა წარმოდგენილი მუშაკის ცნება, თუმცა შესაძლებელია სხვადასხვა გარემოების გათვალისწინებით დადგინდეს, თუ ვინ შეიძლება იყოს სამუშაოს შემსრულებელი. სსკ-ის 997-ე მუხლი ეხება რა „სამსახურებრივი (შრომითი) მოვალეობის შესრულებას“, ლოგიკურად ივარაუდება, რომ ფიზიკური პირი, ვინც შრომითი ხელშეკრულების საფუძველზე, დამსაქმებლისათვის გარკვეულ სამუშაოს ახორციელებს, შრომის კანონმდებლობით დამსაქმებლად იწოდება (საქართველოს ორგანული კანონის „შრომის კოდექსის“ მე-3 მუხლის მე-3 პუნქტში).[815]

[812] აღნიშნულთან დაკავშირებით იხ. დ. სუხიტაშვილი, თ. სუხიტაშვილი, პასუხისმგებლობა სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას მიყენებული ზიანისათვის, ჟურნ. „მართლმსაჯულება და კანონი“, №2, 2013, 21, 16.

[813] იხ. Г. А. Корнийчук. Работодатель и работники. СПБ., 2004, 124.

[814] G. Spindler, O. Rieckers, Tort Law in Germany, The Netherlands, 2011, 73.

[815] საქართველოს ორგანული კანონი „შრომის კოდექსი“, 2010 წლის 17 დეკემბერი, N4113-რს.

თუმცა აქვე გასარკვევია, რამდენად შეიძლება შემსრულებელი შემოიფარგლოს მხოლოდ დამსაქმებლით, თუნდაც იმის გათვალისწინებით, რომ სამუშაოს შესრულების ზოგადი გაგება გაცილებით ფართოა.

უპირველეს ყოვლისა, ქმედება შეიძლება გამოვლინდეს კონკრეტული მუშაკისთვის შრომის ხელშეკრულებით დაკისრებულ მოქმედებასა თუ უმოქმედობაში. მაგალითად, თუ მუშაკს ევალება საამქროში ტექნიკური უსაფრთხოების უზრუნველყოფა, მაგრამ მან ამისთვის არაფერი მოიმოქმედა, რის შედეგადაც ზიანი მიადგა ამავე საამქროს მუშაკს, საქმე შეეხება თვით საწარმოს უმოქმედობას მისგან გამომდინარე სამართლებრივი შედეგებით. თუმცა მუშაკად არ ჩაითვლება პირი, რომელიც სამოქალაქოსამართლებრივი ხასიათის ხელშეკრულების, მაგალითად, ნარდობის საფუძველზე შემკვეთისთვის რაიმე სამუშაოს ასრულებს. მენარდე, როგორც წესი, თავისი რისკით ასრულებს ნარდობით მასზე დაკისრებულ მოვალეობას, შემკვეთისგან ორგანიზებულად დამოუკიდებელი სუბიექტია; შესაბამისად, იგი თავისი შეხედულებისამებრ წარმართავს სამუშაოს, თვითონ ირჩევს სამუშაოს შედეგების მიღწევის საშუალებებსა და ხერხებს. ეს განაპირობებს იმას, რომ მის მოქმედებაზე შემკვეთისთვის პასუხისმგებლობის დაკისრება არ იქნება გამართლებული. აღნიშნულ პოზიციას იზიარებს როგორც რომანულ-გერმანული, ისე საერთო სამართლის ქვეყნების დოქტრინა და სასამართლო პრაქტიკა. გსკ-ის 831-ე მუხლის მიხედვით, მესამე პირისთვის მიყენებული ზიანისთვის მეწარმის პასუხისმგებლობის აღიარების პირობაა, რომ მესამე პირი მეწარმის მიერ დანიშნული უნდა იყოს სამსახურებრივი მოვალეობის შემსრულებლად... დამოუკიდებლად მომუშავე ხელოსნები, სატვირთო ავტომანქანების მძღოლები ან მუშები არ არიან შემსრულებლები.[816]

საქმე ისაა, რომ შრომითი ურთიერთობა წარმოიშობა მხარეთა თანასწორუფლებიანობის საფუძველზე ნების თავისუფალი გამოვლენის შედეგად მიღწეული შეთანხმებით. თუმცა შრომითი ურთიერთობა, ამავე დროს, გულისხმობს შრომის ორგანიზაციული მოწესრიგების პირობებში დასაქმებულის მიერ დამსაქმებლისთვის სამუშაოს შესრულებას ანაზღაურების სანაცვლოდ. შესაბამისად,თანასწორუფლებიანობის პრინციპი შეუზღუდავად მოქმედებს მხოლოდ შრომითი ურთიერთობის წარმოშობამდე, ხოლო მისი წარმოშობის შემდეგ ეს პრინციპი გარკვეულწილად მოდიფიცირებას განიცდის და მას ენაცვლება ქვემდებარეობის (სუბორდი-

---

[816] კ. ცეპოგერტი, ჰ. კოტცი, შედარებითი სამართალმცოდნეობის შესავალი კერძო სამართლის სფეროში, თარგმნა ე. სუბმათაშვილმა, მეცნ. რედაქცია და ბოლოთქმა თ. ნინიძის, ტ. II, თბ., 2001, 322; დ. სუხიტაშვილი, თ. სუხიტაშვილი, პასუხისმგებლობა სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას მიყენებული ზიანისათვის, ჟურნ. „მართლმსაჯულება და კანონი", N2, 2013, 17.

ნაციის) პრინციპი.[817] მოცემულ ურთიერთობაში დასაქმებულის ცნების უმნიშვნელოვანეს ელემენტად ითვლება „დაქვემდებარებული მდგომარეობა", რომელიც განსაზღვრავს შრომითი ურთიერთობის შინაარსს.[818]

შრომის ხელშეკრულება სხვა ვალდებულებითსამართლებრივი ხელშეკრულებისაგან სწორედ „ქვემდებარეობის" პრინციპის მოქმედებით განსხვავდება. მაგალითად, ნარდობის ხელშეკრულების საგანია მენარდის შრომის შედეგი. მენარდე ქონებრივად და ორგანიზაციულად დამოუკიდებელია შემკვეთისაგან და მას არ ექვემდებარება. შრომის ხელშეკრულების ფარგლებში დაქირავებულს ევალება სამუშაოს შესრულება დამქირაველის მითითების შესაბამისად, რის სანაცვლოდ დამქირაველმა მას უნდა გადაუხადოს შესაბამისი ანაზღაურება. დასაქმებულმა სამუშაო უნდა შეასრულოს პირადად, დაქვემდებარებულ მდგომარეობაში, თუმცა დასაქმებული შებოჭილია დამსაქმებლის მითითებებით და ის სამუშაოს ასრულებს შრომის შინაგანაწესის მიხედვით.[819] აქვე საგულისხმოა, რომ სამუშაოს პირადად შესრულება არ ევალება მენარდეს. ნარდობის ხელშეკრულების დროს მენარდეს უფლება აქვს, ქვენარდობის ხელშეკრულების საფუძველზე განსახორციელებელი სამუშაოს შესასრულებლად გამოიყენოს მესამე პირები. რაც შეეხება შრომის ხელშეკრულებას, დასაქმებულს ევალება სამუშაოს პირადად შესრულება, თუმცა შესაძლებელია დასაქმებული დროებით შეცვალოს მესამე პირმა კანონით განსაზღვრულ შემთხვევებში (შვებულება, დროებითი შრომისუუნარობა და სხვა).[820]

ამასთან, ქვემდებარეობის პრინციპი, თავის მხრივ, მოიცავს სამუშაოს შინაარსზე მითითებას, სამუშაოს შესრულების პროცესს. მითითების უფლებაში მოიაზრება დამსაქმებლის უფლებამოსილება, განსაზღვროს სამუშაოს შესრულების მიმდინარეობა, მისი ორგანიზაციული მხარე, შინაარსი, გარკვეულ დროში სამუშაოს შესრულების პროცესი. გარდა ამისა, ქვემდებარეობის პრინციპის ელემენტებია, ასევე, დამსაქმებლის მიერ შრომითი პირობების დადგენის უფლებამოსილება და სამუშაოს შესრულებაზე ზედამხედველობის უფლება. ამასთან, მითითების უფლება დამსაქმებელს ავალდებულებს, რომ მის მიერ შექმნილი პირობების დროს

---

[817] იხ. გ. ამირანაშვილი, დისკრიმინაციის აკრძალვა შრომით ურთიერთობაში, სტატიათა კრებულში: „შრომის სამართალი", I, რედ. ვ. ზაალიშვილი, თბ., 2011, 143-144.

[818] იხ. ლ. ადეიშვილი, დ. კერესელიძე, საქართველოს შრომის კოდექსის პროექტი და კონტინენტური ევროპის ქვეყნების შრომის სამართლის ზოგიერთი ძირითადი პრინციპი, ჟურნ. „ქართული სამართლის მიმოხილვა", ტომი 6, N1, 2003, 16.

[819] საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2011 წლის 10 ოქტომბრის გადაწყვეტილება (№ას-1129-1156-2011).

[820] იხ. თ. შუდრა, დამსაქმებლის პასუხისმგებლობა დასაქმებულის მიერ მიყენებული ზიანისთვის, სტატიათა კრებულში: „შრომის სამართალი", II (რედ. ბ. ზოიძე), თბ., 2013, 228-230.

სამუშაო შესრულდეს მხარეთათვის ზიანის მიყენების გარეშე. ეს, ცხადია, გულისხმობს დამსაქმებლისთვის პასუხისმგებლობის დაკისრებას, ერთი მხრივ, უსაფრთხო და ჯანსაღი შრომის პირობების დარღვევისთვის, მეორე მხრივ, დამსაქმებლის მიერ სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას მესამე პირის წინაშე მიყენებული ზიანისთვის. შრომის კანონმდებლობით დამსაქმებელს ევალება დასაქმებულის უზრუნველყოფა სიცოცხლისა და ჯანმრთელობისთვის მაქსიმალურად უსაფრთხო გარემოთი. რაც შეეხება სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას დასაქმებულის მიერ მესამე პირისთვის ზიანის ანაზღაურებას,ეს მოწესრიგებულია სსკ-ის 997-ე მუხლით.[821]

მოცემულ შემთხვევაში შესრულება გაიგება ფართოდ. ეს შეიძლება შეეხოს გარიგებისმიერ ან წმინდა ფაქტობრივ მოქმედებებს. არ აქვს მნიშვნელობა, შესრულება სამართლებრივად ევალება თუ არა მას და ამისთვის იღებს თუ არა ანაზღაურებას; მთავარია, რომ შემსრულებელი მოქმედებდეს საწარმოს მფლობელის ინტერესებისთვის. ამასთან, შესრულება არ საჭიროებს, რომ რაიმე სახის დაკვეთა ფორმალური აქტის ხასიათს ატარებდეს. სწორედ ამ გარემოებების მიხედვით, შემსრულებლის მოქმედება იწვევს მეწარმის დელიქტურ პასუხისმგებლობას, რაც გამართლებულია, თუ მეწარმეს შეუძლია ზემოქმედება მოახდინოს სამუშაოს შესრულებაზე. შესაბამისად, სსკ-ის 997-ე მუხლის გაგებით, შემსრულებელი მხოლოდ ისაა, ვინც დამოკიდებულია თავისი მეწარმის მითითებებზე. დირექტივების გაცემის უფლება არ უნდა ეხებოდეს შესრულების ყველა ელემენტს უკლებლივ. საკმარისია, რომ მეწარმის პასუხისმგებლობა შემოიფარგლოს დამხმარე თანამშრომლის საქმიანობით ან გამოირიცხოს სამუშაოს შემდეგ დროისა და გარემოს ფაქტორებით.[822]

ამდენად, მუშაკად მიიჩნევა არა მხოლოდ ის პირი, რომელიც სამუშაოს ასრულებს შრომის ხელშეკრულების საფუძველზე, არამედ ისიც, რომელიც ასრულებს სამუშაოს სამოქალაქოსამართლებრივი ხელშეკრულებით. ამ უკანასკნელ შემთხვევაში პასუხისმგებლობა შეიძლება დადგეს იმ პირობის არსებობისას, როცა ზიანის მიმყენებელი მოქმედებდა შესაბამისი იურიდიული ან ფიზიკური პირის დავალების (მითითების) საფუძველზე ან მისი კონტროლის (მეთვალყურეობის) ქვეშ.[823] შესაბამისად,სსკ-ის 997-ე მუხლი ვრცელდება, როგორც წესი, შრომით ურთიერთობებზე, თუმცა გამონაკლის შემთხვევებში მოქმედებს სამოქალაქოსამართლებრივ ურთიერთობებშიც.[824]

---

[821] დაწვრ. იხ. ზ. შველიძე, საქართველოს შრომის კოდექსით გათვალისწინებული დასაქმებულის სამართლებრივი სტატუსის მახასიათებლები, სტატიათა კრებულში: „შრომის სამართალი“, I, რედ. ვ. ზალიშვილი, თბ., 2011, 90-98.

[822] M. Staake, Gesetzliche Schuldverhältnisse, Heidelber, 2014, 284.

[823] იხ. შ. ჩიკვაშვილი, სსკ-ის კომენტარი, წ. IV, ტ. II, თბ., 2001, 401.

[824] იხ. თ. შუდრა, დამსაქმებლის პასუხისმგებლობა დასაქმებულის მიერ მიყენებული ზიანისთვის, სტატიათა კრებულში: „შრომის სამართალი“, II (რედ. ბ. ზოიძე), თბ., 2013, 234-235.

2. სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას წარმოშობილი ზიანი

რა შეიძლება იყოს სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების საფუძველი? სამუშაოს შესრულება შეიძლება გამომდინარეობს შრომითი ხელშეკრულებიდან, თუმცა შესაძლებელია ის გასცდეს კიდეც შრომითი ხელშეკრულების ფარგლებს და დაეფუძნოს მის გარეთ განხორციელებულ ქმედებას, თუ სამუშაოს მიმცემის მიერ გაიცა დავალება სამუშაოს პროცესთან დაკავშირებული საწარმოო ან სხვა საჭიროების გათვალისწინებით. შესაბამისად, განსახორციელებელი საქმიანობა უნდა იყოს შრომითი ან სამსახურებრივი ხასიათის.[825] ამიტომაცაა საქართველოს უზენაესი სასამართლოს მიერ განსაზღვრული, რომ სამსახურებრივია მოვალეობა, რომელიც პირს ეკისრება ნორმატიული აქტის, შრომის ხელშეკრულების ან ადმინისტრაციული დავალების საფუძველზე.[826]

სამსახურებრივი მოვალეობების განხორციელების დროს დამდგარ ზიანად ითვლება ისეთი ზიანი, რომელიც შეიძლება წარმოიშვას პირის მიერ შრომითი ხელშეკრულებით გათვალისწინებული ქმედებების შესრულებისას. თუმცა იგივე სახის ზიანი შეიძლება დადგეს, ასევე, სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტების დროს.[827]

ამდენად, სსკ-ის 997-ე მუხლის ფარგლებში სამოქალაქო პასუხისმგებლობის დაკისრებისთვის აუცილებელია, რომ მუშაკმა დარღვევა ჩაიდინოს დავალებული ფუნქციების შესრულებისას. ამასთან, არ აქვს მნიშვნელობა, რომ „შემსრულებელს" დაევალოს იმ ქმედების შესრულება, რომელმაც უშუალოდ ზიანი გამოიწვია; მოცემულ შემთხვევაში მთავარია, ეს ქმედებები შედიოდეს მის სამსახურებრივ მოვალეობათა სფეროში. მაგალითად, თუ ხარაჩოების ამგებმა მუშამ გადააგდო ძელი, რომელიც გამვლელს მოხვდა, ზიანის წარმოშობისას უნდა დადგინდეს მისი განზრახვა - მას სურდა ძელის ტროტუარზე გადაგდება თუ ნაცნობის შეშინება. აქ მხოლოდ პირველ შემთხვევაში არსებობს პასუხისმგებლობის დასაკისრებლად საკმარისი შინაგანი კავშირი ზიანის გამომწვევ ქმედებასა და მუშის სამსახურებრივ მოვალეობებს შორის.[828]

---

[825] შ. ჩიკვაშვილი, სსკ-ის კომენტარი, წ. IV, ტ. II, თბ., 2001, 400-402.

[826] საქართველოს უზენაესი სასამართლოს რეკომენდაციები სამოქალაქო სამართლის სასამართლო პრაქტიკის პრობლემატურ საკითხებზე, 25 ივლისი, 2007, 89.

[827] საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2013 წლის 25 ივლისის გადაწყვეტილება (№ს-494-488(2კ-12).

[828] იხ. კ. ცეიგერტი, ჰ. კოტცი, შედარებითი სამართალმცოდნეობის შესავალი კერძო სამართლის სფეროში, ტომი II, თარგმნა ე. სუმბათაშვილმა, რედ. თ. ნინიძე, თბ., 2001, 323.

3. მუშაკის ქმედების მართლწინააღმდეგობა

სსკ-ის 997-ე მუხლის ფარგლებში პასუხისმგებლობის დასაკისრებლად აუცილებელია მუშაკის მართლსაწინააღმდეგო ქმედება. შესაბამისად, მუშაკის ქმედება, რომელიც შეიძლება გამოიხატოს როგორც მოქმედებაში, ისე უმოქმედობაში, უნდა ეწინააღმდეგებოდეს კანონით დადგენილ წესებს.

მაგალითი: სკოლის დამთავრებისას ე. წ. „ბოლო ზარის" სუფრაზე წასასვლელად პედაგოგებმა გააჩერეს სატვირთო ავტომანქანა. მძღოლი იყო მთვრალი, თუმცა მასწავლებლები მაინც ჩასხდნენ მანქანაში და რამდენიმე მოსწავლეც ჩასვეს. მანქანის მძღოლმა, რომელიც ალკოჰოლური ზემოქმედების ქვეშ მართავდა საჭეს, დაარღვია საგზაო წესი, რის შედეგადაც ავტომანქანა გადაბრუნდა. აღნიშნულს მოჰყვა ერთ-ერთი მოსწავლის სხეულის დაზიანება. საბოლოოდ ამის გამო ეს მოსწავლე გახდა პირველი ჯგუფის ინვალიდი. ამასთან, გაირკვა, რომ „ბოლო ზარის" ზეიმის გეგმაში არ შედიოდა სკოლის გარეთ გასვლა. პედაგოგების მოქმედება განისაზღვრა, როგორც დისციპლინური სამართლის ნორმების დარღვევა და მათ გამოუცხადდათ საყვედური.

მოცემულ შემთხვევაში პედაგოგების მიერ უფლებამოსილების გადამეტებით წარმოშობილი ზიანიც არის სამსახურებრივი მოვალეობების განხორციელების შედეგად დამდგარი ზიანი. სწორედ უფლებამოსილების გადამეტებამ გამოიწვია ორგანოს თანამშრომლების მიერ ზიანის მიყენება. უფლებამოსილების გადამეტება, გაუფრთხილებლობა ადასტურებს სამსახურებრივი მოვალეობის დარღვევას და არა იმას, რომ მუშაკი მოქმედებდა, როგორც კერძო პირი. სამინისტრო თავისი საქმიანობის მიზნებს აღწევს ამ სისტემის თანამშრომლების საქმიანობის მეშვეობით, რომელთა მოქმედება სამინისტროს მოქმედებად ითვლება. პედაგოგების ქმედება დაკავშირებული იყო სასწავლო პროცესის დასრულებასთან, სკოლის დამამთავრებელი კლასის მოწაფეების სკოლის ტერიტორიის გარეთ პედაგოგებთან ერთად გასვლა თავისთავად მოიაზრებს ამ უკანასკნელთა ვალდებულებას, გამოეჩინათ წინდახედულება, სიფრთხილე, ეზრუნათ მოსწავლეთა უსაფრთხოებაზე. აღნიშნული ვალდებულების შეუსრულებლობის გამო პედაგოგებს დაეკისრათ დისციპლინური პასუხისმგებლობა. ამდენად, ითვლება, რომ პედაგოგებმა იმოქმედეს სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას, მიუხედავად იმისა, რომ ზიანი დადგა სკოლის ტერიტორიის გარეთ. შესაბამისად, ამ შემთხვევაში არსებობს სამინისტროს სსკ-ის 997-ე მუხლითა და 1005-ე მუხლის 1-ლი მუხლით გათვალ-

ისწინებული დელიქტური ვალდებულების საფუძველი. პედაგოგების მიერ საკუთარი უფლებამოსილებების გადაჭარბება გაიგივებულია სამინისტროს ქმედებებთან, რადგან პედაგოგები არიან სამინისტროს სისტემაში დასაქმებული პირები. სკოლა, სადაც დასაქმებული იყვნენ პედაგოგები, სამინისტროს დაქვემდებარებაში ფუნქციონირებადი განათლების დაწესებულებაა. შესაბამისად, სამინისტრო არის პედაგოგთა მიერ საშსახურებრივი უფლებამოსილების შესრულებისას განხორციელებული ქმედებებით გამოწვეულ ზიანზე პასუხისმგებელი სუბიექტი.[829]

ამასთან, სსკ-ის 997-ე მუხლით მოცემული შემთხვევა სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას მიყენებული ზიანის ანაზღაურების შესახებ უნდა გაიმიჯნოს მესამე პირის მოქმედებისთვის დამდგარი პასუხისმგებლობისგან. მათ შორის განსხვავება ისაა, რომ მუშაკის მოქმედება, რის შედეგადაც მესამე პირს მიადგა ზიანი, ითვლება მუშაკის დამსაქმებლის მოქმედებად. ესე იგი, აქ დამსაქმებელს პასუხისმგებლობა ეკისრება საკუთარი მოქმედებისთვის მაშინ, როდესაც მეორე შემთხვევაში პასუხისმგებლობა მესამე პირის მოქმედებისთვის დგება. იურიდიული პირი საკუთარ მიზანს მესამე პირებთან სამოქალაქო ბრუნვაში ახორციელებს მისივე თანამშრომლების მონაწილეობის გზით. ამიტომ იურიდიული პირის მუშაკის მოქმედება განიხილება თვით ამ იურიდიული პირის მოქმედებად.[830]

ცხადია, მოცემულ შემთხვევაში ვინაიდან გვხვდება „ზიანის ანაზღაურების" შესახებ ნორმა და პირდაპირ არაა მითითებული არაქონებრივი ზიანის კომპენსირების შესაძლებლობა, იგულისხმება, რომ უნდა ანაზღაურდეს ქონებრივი ზიანი.[831]

4. სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას წარმოშობილ ზიანს და მუშაკის არამართლზომიერ ქმედებას შორის მიზეზობრივი კავშირი

საწარმოს პასუხისმგებლობისთვის მიზეზ-შედეგობრივი კავშირის დასადგენად უნდა შეფასდეს, გამოიწვია თუ არა დაზარალებულის კონკრეტუ-

---

[829] საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2013 წლის 25 ივლისის გადაწყვეტილება (№ბს-494-488(2კ-12).

[830] დ. სუხიტაშვილი, თ. სუხიტაშვილი, პასუხისმგებლობა საშსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას მიყენებული ზიანისათვის, ჟურნ. „მართლმსაჯულება და კანონი", N2, 2013, 16.

[831] არაქონებრივი ზიანის შესახებ იხ. მ. ცისკაძე, სხეულის დაზიანებისთვის არაქონებრივი ზიანის ანაზღაურების პრობლემა საქართველოს კანონმდებლობაში, ჟურნ. „მართლმსაჯულება და კანონი", N2, 2008, 17; ანალოგიურ ასპექტებზე იხ. Nigel G. Foster, S. Sule, German Legal System and Laws, fourth Edition, New Your, 2010, 77.

ლი სიკეთის დაზიანება საწარმოს თანამშრომლის (და არა საწარმოს) ქმედებამ.[832]

უპირველეს ყოვლისა, სსკ-ის 997-ე მუხლში არაა ასახული მტკიცების ტვირთის გადანაწილების ზოგადი წესი, რომლის თანახმად, დაზარალებულმა უნდა ამტკიცოს ის ფაქტები, რომლებიც მის მოთხოვნას ამყარებს. საქმე ისაა, რომ აქ ივარაუდება ბრალისა და მიზეზობრივი კავშირის არსებობა. ამიტომ საბოლოოდ მტკიცების ტვირთი შებრუნებულია მეწარმის (დამსაქმებლის) საზიანოდ, თუ, ასევე, ამ უკანასკნელს შეუძლია მოცემული პრეზუმფციის გაქარწყლება. სსკ-ის 997-ე მუხლით დადგენილია, რომ სამსახურებრივი მოვალეობის განხორციელებისას მესამე პირისთვის მიყენებული ზიანის ანაზღაურება ეკისრება იმ პირს, ვინც დაიქირავა სხვა პირი სამუშაოს შესასრულებლად. მოცემულ შემთხვევაში დაზარალებულმა მხოლოდ ის უნდა ამტკიცოს, რომ შემსრულებელმა მას მართლსაწინააღმდეგოდ ზიანი მიაყენა. აქ მტკიცების ტვირთის შებრუნების საფუძველი ისაა, რომ ბრალის არარსებობა ფაქტობრივად პასუხისმგებლობის გამორიცხვად აღიქმება. როცა დაზარალებული დაამტკიცებს შემსრულებლის მოქმედებით ზიანის მიყენებას, შემკვეთმა (მეწარმემ) უნდა დაასაბუთოს, რომ მან თანამშრომელი სათანადო სიფრთხილით (გულმოდგინებით) შეარჩია და ზიანი აუცილებელი ყურადღებიანობის დროსაც დადგებოდა, თუ მას სურს პასუხისმგებლობის თავიდან აცილება. ამიტომ ზიანის ანაზღაურების მოვალეობის გამორიცხვის საფუძველს ქმნის არაბრალეულობა ან ყურადღებიანობის გამოჩენის მოვალეობის დარღვევასა და ზიანს შორის მიზეზობრივი კავშირის არარსებობა. ამდენად, კანონით ივარაუდება, რომ პირი (დამსაქმებელი) არღვევს აუცილებელი ყურადღებიანობის ფარგლებს თანამშრომლების შერჩევისა და კონტროლის დროს, ასევე, სავალდებულო წინამოსამზადებელი სამუშაოების გატარებისა თუ ინსტრუმენტების შეძენისას (პრეზუმფცია). გარდა ამისა, სსკ-ის 997-ე მუხლის მიხედვით, მოქმედებს ყურადღების გამოჩენის მოვალეობისა დარღვევასა და წარმოშობილ ზიანს შორის მიზეზობრივი კავშირის არსებობის ვარაუდი. რაც შეეხება ბრალეულობის პრეზუმფციას, პირის (შემკვეთის) მიმართ ბრალეულობის პრინციპი შესუსტებულია. თანამშრომლის მიერ ხელმყოფი მოქმედება უნდა იყოს მართლსაწინააღმდეგო მხოლოდ მაშინ, როცა ამას ბრალეულობის ვარაუდი არ ადასტურებს. მტკიცების ასეთი გადანაწილება ხელმყოფი მოქმედებების დროს, თითქოს დაზარალებულს აყენებს პრილეგირებულ მდგომარეობაში, ვინაიდან უშუალოდ თანამშრომლების მიერ ზიანის მიყენებისას მათი ბრალეულობა უნდა დამტკიცდეს.[833]

---

[832] საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2013 წლის 16 დეკემბრის გადაწყვეტილება (№ას-660-627-2013).

[833] H. Hoffmann, Außenhaftung von Unternehmen nach § 831, BGB und § 31 BGB, Frankfurt am Main, 2009, 41-42, 45.

სსკ-ის 997-ე მუხლში ივარაუდება (პრეზუმირებულ) ბრალეულ ქმედებასა და ზიანს შორის მიზეზობრივი კავშირი. მტკიცების ტვირთის ამგვარი კანონისმიერი შებრუნება ეხება როგორც სუბიექტურ მტკიცების ტვირთს (მტკიცების ტვირთი), ისე ობიექტურ მტკიცების ტვირთს (დამტკიცების შეუძლებლობის რისკი). ეს დაზარალებულისთვის ეფუძნება იმას, რომ მასზეა მტკიცების ტვირთი და ის პასუხისმგებლობის წინაპირობებს ვერ პასუხობს. ორივე პრეზუმფცია შეიძლება უარყოფილ იქნეს მეთვალყურეობაზე ვალდებული პირის საწინააღმდეგო მტკიცებულებით. თუმცა პასუხისმგებლობა ან ზიანის ანაზღაურების მოვალეობა არ წარმოიშობა მაშინ, როცა ზიანი ამ ყურადღებიანობის გამოყენებისას მაინც დადგებოდა.[834] კანონის ფორმულირება, რომელიც ზიანის ჰიპოთეტურობას შეესაბამება, ეხება პასუხისმგებლობის დამფუძნებელ სავარაუდო მიზეზობრიობას მოვალეობის ხელყოფასა და თვით სამართლებრივი სიკეთის შელახვას შორის. თუ ივარაუდება, რომ ბრალეულმა ქმედებამ გამოიწვია ხელყოფა (მიზეზობრიობა), მაშინ სსკ-ის 997-ე მუხლის ფარგლებში მტკიცებისგან გათავისუფლებამ შეიძლება წარმოშვას შემთხვევა, როცა სათანადო პიროვნების არჩევისა თუ სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას ზიანი მაინც დადგებოდა ისევე, როგორც ნებისმიერი უყურადღებობისას, ან თუნდაც მეთვალყურე პირის მხრიდან წესისამებრ მოქმედების დროს. შესაბამისად, მტკიცების ტვირთის ეს ორი შესაძლო ვარიანტი უშვებს იმის ვარაუდს, რომ არჩევისას სათანადო პირი ვერ აირჩა.[835]

აღნიშნულთან დაკავშირებით განასხვავებენ ორ თეორიას: ტრადიციული თეორიის მიხედვით, მთავარია შედეგის (ზიანის) დამტკიცება, რაც დაზარალებულს ეკისრება. თანამედროვე მიდგომის თანახმად, სსკ-ის 997-ე მუხლის ფარგლებში, გარდა ზიანის დადგომისა, დაზარალებულმა უნდა დაასაბუთოს, რომ ზიანი, რომელიც მიადგა, მუშაკის მიერ წინდახედულობის მოვალეობის დარღვევამ გამოიწვია. მართალია, ტრადიული თეორიის მიმდევრები მიიჩნევდნენ, რომ სსკ-ის 997-ე მუხლით დადგენილი პასუხისმგებლობის დასაკისრებლად საკმარისი იყო მხოლოდ ზიანის არსებობის დამტკიცება, მაგრამ დღესდღეობით ისინი ითხოვენ გარკვეული კავშირის დასაბუთებას დამსაქმებლის დარღვევასა და მომხდარ შედეგს შორის. ეს კავშირი იზრდება იმით, რომ შემკვეთი უყურადღებოდ მოეკიდა თანამშრომლის არჩევისა და მასზე ზედამხედველობის პროცესს. თუმცა თანმხვედრი პოზიციაა იმასთან დაკავშირებით, რომ შემკვეთის პასუხისმგებლობა წარმოიშობა მხოლოდ იმ შემთხვევებში, როდესაც მართალია,

[834] გსკ-ის 831-ე მუხლის მიხედვით, ზიანის ანაზღაურების გამორიცხვის თაობაზე იხ. H. Hoffmann, Außenhaftung von Unternehmen nach § 831, BGB und § 31 BGB, Frankfurt am Main, 2009, 42.

[835] M. Gebauer, Hypothetische Kausalität und Haftungsgrund, Tübingen, 2007, 368-369.

მუშაკის არაბრალეული მოქმედებით მესამე პირს მიადგა ზიანი, მაგრამ ეს გამოწვეული იყო დამსაქმებლის მიერ მუშაკის არასათანადო შერჩევით ან ზედამხედველობით, ან აუცილებელი აღჭურვილობის უზრუნველყოფის მოვალეობის შეუსრულებლობით. ამდენად, ქმედების მართლწინააღმდეგობა არაა ნაჩვენები მხოლოდ იმით, რომ დაზარალებულს ზიანი მიადგა, ამასთან ერთად, დაზარალებულმა უნდა დაამტკიცოს, რომ მუშაკმა დაარღვია წინდახედულობის მოვალეობა.[836]

5. სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას წარმოშობილი ზიანის ანაზღაურებაზე პასუხისმგებელი პირის ბრალი

დამსაქმებლისთვის სამოქალაქო პასუხისმგებლობის დასაკისრებლად, ასევე, უნდა არსებობდეს ბრალი, რომელიც სავალდებულო პირობაა ზიანის ანაზღაურებისათვის.[837] მოცემულ შემთხვევაში დამსაქმებლის ბრალი გამოიხატება იმაში, რომ ვერ შეარჩია სათანადო მუშაკი და ვერ გაუწია შემდგომ მას ზედამხედველობა. მტკიცების ტვირთი შებრუნებულია კრედიტორის სასარგებლოდ, რომლის თანახმად, დამსაქმებლის ბრალი ივარაუდება. აქ საქმე ეხება პრეზუმფციას, რომელიც შეიძლება საწინააღმდეგოს დამტკიცების შემდეგ უარყოფილ იქნეს.[838]

იურიდიული პირი პასუხს აგებს საკუთარი ბრალისთვის, ვინაიდან მუშაკის შერჩევა, მასზე ფუნქციის დაკისრება, მის საქმიანობაზე ზედამხედველობისა და კონტროლის განხორციელება იურიდიული პირის უფლებამოსილებაში შედის, ხოლო მუშაკის მიერ სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას ზიანის მიყენება დასახელებული მოვალეობების დარღვევას უკავშირდება.[839] საქმე ისაა, რომ იურიდიული პირის ხელმძღვანელი აგებს პასუხს სამოქალაქოსამართლებრივი წესით თავისი მუშაკის მიერ მიყენებული ზიანისთვის. ეს პრინციპი ეფუძნება თვალსაზრისს, რომლის თანახმად, მუშაკი აკრძალული მოქმედების ჩადენას ვერ შეძლებდა, თუ ხელმძღვანელი სამუშაოზე აყვანისა და მასზე ზედამხედველობის განხორციელებისას სათანადო წინდახედულობას გამოიჩენდა.[840]

---

[836] იხ. G. Spindler, O. Rieckers, Tort Law in Germany, The Netherlands, 2011, 77.

[837] საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2013 წლის 16 დეკემბრის გადაწყვეტილება (№ას-660-627-2013).

[838] U. Falk, B. Schneider, Klausurenkurs im Bürgerlichen Recht II, Ein Fall- und Repetitionsbuch für Fortgeschrittene, Heidelberg, München, Landsberg, Frechen, Hamburg, 2012, 211.

[839] აღნიშნულთან დაკავშ. იხ. გ. ამირანაშვილი, დასაქმებულის მიერ სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას მესამე პირისთვის მიყენებული ზიანის ანაზღაურების თავისებურება, სტატიათა კრებულში: „შრომის სამართალი", II, რედ. ბ. ზოიძე, თბ., 2013, 205.

[840] იხ. მ. ტურავა, სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილი, წ. I, დანაშაულის მოძღვრება, თბ., 2011, 630.

ამ თვალსაზრისით საინტერესოა საკორპორაციო სამართალში ცნობილი ფუნდამენტური პრინციპი შეზღუდული პასუხისმგებლობის სახით, რათა დადგინდეს, ვინაა დელიქტური პასუხისმგებლობის სუბიექტი. შეზღუდული პასუხისმგებლობის დროს პასუხისმგებლობა აბსოლუტურად შეუზღუდავ ხასიათს არ ატარებს. საკორპორაციო სამართალში „გამჭოლი პასუხისმგებლობა“ ისეთი მოვლენაა, რომლის დროსაც სასამართლო კრედიტორებს აძლევს შესაძლებლობას, შეაღწიონ „კორპორაციულ მოსასხამში“ მხოლოდ გარკვეული ფაქტობრივი გარემოებების არსებობისას და დაიკმაყოფილონ საკუთარი მოთხოვნები.[841] „გამჭოლი პასუხისმგებლობის“ გამოყენების საჭიროება, როგორც წესი, წარმოიშობა იმ შემთხვევაში, თუ ვალდებულება წარმოეშვა კომპანიას, მაგრამ იგი არ არის გადახდისუნარიანი. მართალია, საქართველოს კანონმდებლობა პირდა-პირ ასეთ პასუხისმგებლობას არ ითვალისწინებს, თუმცა „მეწარმეთა შესახებ“ კანონით განსაზღვრულია შემთხვევები, როცა კომპანიის ვალდებულებებისათვის პასუხისმგებლობა შესაძლებელია კომპანიის დირექტორებსა და პარტნიორებსაც დაეკისროთ. „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის მე-6 პუნქტი ითვალისწინებს კომპანიის პარტნიორთა გამჭოლ პასუხისმგებლობას მაშინ, როდესაც ისინი ბოროტად იყენებენ პასუხისმგებლობის შეზღუდვის სამართლებრივ ფორმას. თუ შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების პარტნიორი საზოგადოებაში უშუალოდ ხელმძღვანელობს და ახორციელებს ისეთ საქმიანობას, რომელიც გადასახადებისაგან თავის არიდებას ისახავს მიზნად, პარტნიორი იყენებს შეზღუდული პასუხისმგებლობის ფორმას ბოროტად. ამასთან, შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების პარტნიორებისა თუ დირექტორის პასუხისმგებლობა საწარმოს ვალდებულებებზე სუბსიდიურია, ე.ი. ისინი პასუხს აგებენ საწარმოს ვალებისათვის მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ „ბოროტად გამოიყენებენ პასუხისმგებლობის შეზღუდვის სამართლებრივ ფორმებს“, ანუ, თუ ამ „ბოროტი გამოყენების შედეგად“ კრედიტორი ვერ მოახერხებს ანაზღაურების მიღებას უშუალოდ საწარმოსაგან. ამასთან, თუ კომპანიის გადასახადების გადახდისაგან თავის არიდებაში მონაწილეობით დირექტორმა დაარღვია ზრუნვის მოვალეობა კომპანიის წინაშე, ამას მოჰყვება დირექტორის პასუხისმგებლობა მთელი თავისი ქონებით, პირდაპირ და უშუალოდ ზრუნვის მოვალეობის დარღვევით საზოგადოების წინაშე წარმოშობილი ზიანისათვის („მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-9 მუხლის მე-6 პუნქტი).[842] მოცემულ შემთხვევაში დგება პირთა პირადი პასუხისმგებლობა.

[841] იხ. ი. ბურდული, საწესდებო კაპიტალი და მისი ფუნქციები, კრებულში: „თანამედროვე საკორპორაციო სამართლის თეორიული და პრაქტიკული საკითხები“ (რედ. გ. ლილუაშელი), თბ., 2009, 242, 244.

[842] საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2015 წლის 6 მაისის გადაწყვეტილება (№ას-1307-1245-2014); საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2015 წლის 6 მაისის გადაწყვეტილება (№ას-1158-1104-2014).

ამასთან, დელიქტურ სამართალში გამჭოლი პასუხისმგებლობის დროს დიდი ყურადღება ეთმობა იმას, იყო თუ არა კორპორაცია სათანადოდ დაფინანსებული (კაპიტალიზებული), რათა, მისი სპეციფიკური საქმიანობიდან გამომდინარე, გაეთვალისწინებინა ის შესაძლო რისკი, რომელიც დელიქტის წარმოშობისას დააკმაყოფილებდა მესამე პირის მოთხოვნებს. შესაბამისად, თუ სამეწარმეო საზოგადოება არაა სათანადო მატერიალური სახსრებით უზრუნველყოფილი (და ამასთან დაკავშირებით პარტნიორებმა არაფერი იღონეს), შეიძლება წარმოიშვას piercing-ის შემთხვევა. მოცემული რისკის თავიდან ასაცილებლად მნიშვნელოვანია სამოქალაქო პასუხისმგებლობის დაზღვევა, რომელიც უნდა განიხილებოდეს კაპიტალიზაციად კორპორაციაში, ვინაიდან დაზღვევა ქმნის მესამე პირებისთვის თავიანთი მოთხოვნის დაკმაყოფილების შესაძლებლობას, უზრუნველყოფს რა მათ სათანადო კორპორაციული კაპიტალით. ამიტომ დელიქტური მოთხოვნების დროს, ძირითადად, გამჭოლი პასუხისმგებლობა ვრცელდება პარტნიორებზე მაშინ, როცა საქმე ეხება „მატერიალურ ქვეკაპიტალიზაციას". ამასთან, გასათვალისწინებელია, აღრეულია თუ არა საზოგადოებისა და საზოგადოების წევრის ქონება, საზოგადოების აქტივი ვის „ჯიბეში" მიედინება.[843] შესაბამისად, ამ დეტალების მიხედვით უნდა გადაწყდეს, თუ ვინაა ზიანის მიყენებისას პასუხისმგებელი.

ასევე, სსკ-ის 997-ე მუხლის დადგენილი წესების დარღვევისას წარმოიშობა დამქირავებელი იურიდიული თუ ფიზიკური პირის რეგრესული სარჩელის უფლებაც, რომლითაც იგი მიმართავს დაქირავებულ მუშაკს მესამე პირის მიმართ მიყენებული ზიანის ანაზღაურების მოთხოვნით. ეს ურთიერთობა წესრიგდება არა სამოქალაქო, არამედ უკვე შრომის კოდექსით. თუმცა პირი არ აგებს პასუხს ზიანისთვის, რომელიც მიადგა მესამე პირს მისი მუშაკის ბრალეული მოქმედებით არაშრომითი (არასამსახურებრივი) მოვალეობის შესრულებისას, ვინაიდან არ მოქმედებდა დამქირავებლის დავალებით. პასუხისმგებლობა არ დადგება, თუ მუშაკი ბრალის გარეშე მოქმედებდა (სსკ-ის 997-ე მუხლის მე-2 წინადადება).[844] მეწარმის მიმართ პასუხისმგებლობა გამოირიცხება იმ შემთხვევაში,

---

[843] ზოგადად, მატერიალური „ნომინალური ქვეკაპიტალიზაცია" გულისხმობს შემდგენლობას, როდესაც საწარმოს არ შესწევს უნარი, თავი გაართვას დასახული ეკონომიკური საქმიანობის განხორციელების მიზანს, კერძოდ, საზოგადოების პარტნიორები საჭირო კაპიტალს აკლებენ სესხის ფორმით. საქმე ეხება შექმნილ საწარმოს, რომელიც თავის საქმიანობას საკუთარი კაპიტალის გარეშე წარმართავს. აღნიშნულთან დაკავშ. იხ. ი. ბურდული, საწესდებო კაპიტალი და მისი ფუნქციები, კრებულში: „თანამედროვე საკორპორაციო სამართლის თეორიული და პრაქტიკული საკითხები" (რედ. გ. ლილუაშვილი), თბ., 2009, 247-248, 257-258.

[844] იხ. ო. მაჭარაშვილი, დელიქტები საერთაშორისო კერძო სამართალში, ჟურნ. „ალმანახი", N15, 2000, 20.

თუ მან გულმოდგინედ შეარჩია მუშაკი, ზედამხედველობა გაუწია მას და მოამზადა, ასევე, მოამარაგა შესაბამისი აღჭურვილობით, ან თუ დაზიანება მაინც დადგებოდა მოვალეობის პირნათლად შესრულების დროსაც.[845] თუმცა, როცა ზიანის დადგომაში, გარდა დამსაქმებლის ბრალისა, დაზარალებულის ბრალიც არსებობს, ეს არის საკომპენსაციო თანხის შემცირების (და არა საწარმოს პასუხისმგებლობისგან განთავისუფლების) საფუძველი.[846]

§ 15. სოლიდარული პასუხისმგებლობა მიყენებული ზიანისთვის

გაბატონებული შეხედულების მიხედვით, სსკ-ის 998-ე მუხლის გამოყენების წინაპირობებია: ა) უნებართვო მოქმედების განხორციელებაში თანამონაწილეობა, რომელიც უნდა დაეფუძნოს სისხლის სამართლის დებულებებს თანაამსრულებლის, ან წამქეზებლის თუ დამხმარის შესახებ; 2) მართლწინააღმდეგობა; 3) ბრალეულობა.[847]

1. სსკ-ის 998-ე მუხლის 1-ლი ნაწილი

სსკ-ის 998-ე მუხლის 1-ლი ნაწილის გამოყენება დამოკიდებულია იმაზე, თუ როგორ იქნება ამ ნორმით უნებართვო მოქმედების ცნება გაგებული. ის, უპირველეს ყოვლისა, გულისხმობს პასუხისმგებლობის საერთო საფუძვლების არსებობას.[848] მოცემულ შემთხვევაში „უნებართვო მოქმედებიდან“ გამომდინარეობს ზოგადი ვალდებულება და უნებართვო მოქმედების შედეგად წარმოიშობა სოლიდარული პასუხისმგებლობა. აქ გამოკვეთილია რა რამდენიმე სუბიექტის მიერ ჩადენილი დელიქტის ზოგადი ხასიათი, ეს ნორმა ვრცელდება სხვა დელიქტურ ვალდებულებებზეც, თუ სხვა დელიქტური ვალდებულება წარმოიშვა სოლიდარული პასუხისმგებლობის წინაპირობების ფარგლებში.[849]

ამდენად, ზიანი შეიძლება დადგეს როგორც ერთი, ისე ორი ან მეტი პირის მოქმედების შედეგად, რაც პასუხისმგებლობის დადგენის პრობლემას ქმნის. ზიანი, რომელიც მიზეზობრივად უკავშირდება ერთობლივად მოქმედ ზიანის მიმყენებელთა მართლსაწინააღმდეგო ქმედებებს, ითვლება

---

[845] იხ. G. Spindler, O. Rieckers, Tort Law in Germany, The Netherlands, 2011, 77.

[846] საქართველოს უზენაესი სასამართლოს რეკომენდაციები სამოქალაქო სამართლის სასამართლო პრაქტიკის პრობლემატურ საკითხებზე, 25 ივლისი, 2007, 89.

[847] იხ. M. Fuchs, W. Pauker, Delikts- und Schadensersatzrecht, Springer-Lehrbuch, 8. Aufl., Heidelberg, 2012, 236.

[848] იხ. I. Ossenbühl, Umweltgefährdungshaftung im Konzern, Bd. 93, Berlin, 1999, 116.

[849] იხ. S. Steel, Proof of Causation in Tort Law, Cambridge, 2015, 147.

ერთობლივად მიყენებულ ზიანად. არაა აუცილებელი, რომ ზიანის მიმყენებლები მოქმედებდნენ ერთდროულად, ან შეთანხმების საფუძველზე და თითოეულმა მათგანმა იცოდეს სხვა პირის მოქმედების შესახებ. ზოგადად, ზიანი წარმოიშობა როგორც გაუფრთხილებელი, ისე განზრახი მოქმედების საფუძველზე.[850] თანამონაწილე იღებს პასუხისმგებლობის ტვირთს სხვა თანამონაწილის ქმედებისთვის. მან პასუხი უნდა აგოს დამდგარი შედეგისთვის, რომელიც მას არ გამოუწვევია. კონკრეტული ზიანის მიყენებისთვის პასუხისმგებელია ეს პირიც, რაც, მიუხედავად აშკარა მიზეზობრივი კავშირის არარსებობისა, კანონმდებლისთვის ნიშნავს საერთო შედეგის დადგომაში მის მონაწილეობას.[851]

სსკ-ის 998-ე მუხლის 1-ლი ნაწილის მიხედვით, თუ ზიანის დადგომაში მონაწილეობს რამდენიმე პირი, ისინი პასუხს აგებენ, როგორც სოლიდარული მოვალეები. როცა რამდენიმე პირი მონაწილეობს მთლიანი ვალდებულების შესრულებაში და კრედიტორს აქვს ვალდებულების მხოლოდ ერთჯერადად შესრულების მოთხოვნის უფლება, ამ შემთხვევაში ასეთი პირები არიან სოლიდარული მოვალეები (სსკ-ის 463-ე მუხლი). აქ კრედიტორსა და მოვალეს შორის არსებობს რამდენიმე დამოუკიდებელი ვალდებულებითსამართლებრივი ურთიერთობა. მოცემული ურთიერთობის სპეციფიკის გათვალისწინებით, თითოეული სოლიდარული მოვალე უნდა ემსახურებოდეს კრედიტორის ერთი და იმავე შესრულების ინტერესის დაკმაყოფილებას. მოვალეთა ამ ვალდებულებებს აკავშირებს სწორედ ერთი საერთო მიზანი და სოლიდარულ მოვალეთა სიმრავლით ერთ მთლიანობას ქმნის სოლიდარული ვალდებულების სახით. ამდენად, ერთ-ერთი სოლიდარული მოვალის მიერ ვალდებულების მთლიანად შესრულება ნიშნავს ვალდებულების შეწყვეტას, რაც მას უნდა შეესრულებინა.[852]

ამასთან, ზიანისათვის პასუხს აგებს არა მარტო ის, ვინც იგი უშუალოდ მიაყენა, არამედ ისიც, ვინც ის დაიყოლია, ან მისი ხელშემწყობი იყო, ასევე ისიც, ვინც შეგნებულად ისარგებლა სხვისთვის მიყენებული ზიანით. მაგალითად, დოლიძეს ზიანი მიადგა არა მარტო იმით, რომ კაკაურმა მისი სამკაულები მოიპარა, არამედ იმითაც, რომ შემდეგ ისინი წინასწარ შეცნობით, დანაშაულებრივად შეიძინა ბიბილურმა და მესაკუთრისთვის არ დაუბრუნებია. ამიტომ მესაკუთრისათვის მიყენებული ზიანის ანაზღაურებაზე კაკაური და ბიბილური სოლიდარულად არიან პასუხისმგებელნი. ამასთან, სსკ-ის 408-ე მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, იმ პირმა, რომელსაც ევალება ზიანის ანაზღაურება, უნდა აღადგინოს ის

---

[850] იხ. შ. ჩიკვაშვილი, სსკ-ის კომენტარი, წ. IV, ტ. II, თბ., 2001, 403.

[851] S. Meier, Gesamtschulden, Entstehung und Regress in historischer und vergleichender Perspektive, Tübinge, 2010, 708.

[852] აღნიშნულთან დაკავშ. იხ. ი. რობაქიძე, სახელშეკრულებო სამართალი, თბ., 2014, 721-722.

მდგომარეობა, რომელიც იარსებებდა, რომ არ დამდგარიყო ანაზღაურების მავალდებულებელი გარემოება. სსკ-ის 409-ე მუხლის მიხედვით, თუ ზიანის ანაზღაურება პირვანდელი მდგომარეობის აღდგენით შეუძლებელია, ან ამისათვის საჭიროა არათანაზომიერად დიდი დანახარჯები, მაშინ კრედიტორს შეიძლება მიეცეს ფულადი ანაზღაურება. ამ ნორმათა თანახმად, ზემომოყვანილ მაგალითში ბიბილურს ეკისრება პირვანდელი მდგომარეობის აღდგენისა და დოლიძის კუთვნილი ნივთების საფასურის ანაზღაურების ვალდებულება.[853]

აღნიშნულ პირთა მიერ ერთობლივად მიყენებული ზიანისთვის პასუხისმგებლობის სოლიდარული ხასიათი იმით აიხსნება, რომ მათ მიერ განხორციელებული ზიანის მომტანი ქმედებანი განუყოფელია. ერთობლივად ზიანის მიყენებაში იგულისხმება ორი ან მეტი პირის ქმედება, რომელიც მიზეზობრივად უკავშირდება დამდგარ შედეგს.[854] აქ მთავარია, ზიანი გამოიწვიოს თითოეული მონაწილის მართლსაწინააღმდეგო და ბრალეულმა მოქმედებამ, რასაც მოთხოვნა ეფუძნება (მიზეზობრიობა).[855]

ამდენად, სოლიდარული პასუხისმგებლობის დროს დელიქვენტსა და დაზარალებულს შორის წარმოიშობა სამართლებრივი ურთიერთობა, რომელიც წესრიგდება ვალდებულებითი სამართლის ზოგად ნაწილში მოთავსებული სოლიდარული მოვალეების შესახებ ნორმებით (სსკ-ის 463-474-ე მუხლები). ერთობლივად მიყენებული ზიანისთვის პასუხისმგებლობა ეკისრება ყველა პირს, ვინც მონაწილეობდა ზიანის დადგომაში. დაზარალებულს უფლება აქვს, ზიანის ანაზღაურება მოითხოვოს ნებისმიერი ზიანის მიმყენებლისგან (დელიქვენტისგან) მთლიანად ან ნაწილობრივ. ზიანის მიმყენებელს, რომელმაც მთლიანად აუნაზღაურა დაზარალებულს ზიანი, აქვს რეგრესული მოთხოვნის უფლება დანარჩენი ზიანის მიმყენებლის მიმართ, რომლებსაც არ მიუღიათ მონაწილეობა დაზარალებულისთვის ზიანის ანაზღაურებაში. რეგრესული მოთხოვნის უფლების საფუძველზე, ზიანის მიმყენებელს, რომელმაც სრულად აუნაზღაურა ზიანი დაზარალებულს, უფლება აქვს, თითოეული ზიანის მიმყენებლისაგან მოითხოვოს დაზარალებულისთვის გადახდილი ანაზღაურება წილთა თანაფარდობაზე დაყრდნობით. ზიანის მიმყენებელზე ზიანის ანაზღაურების ვალდებულების დაკისრება ყოველთვის არ ხორციელდება წილთა თანაფარდობის პრინციპის მიხედვით. აღნიშნული საკითხის გადაწყვეტისას

---

[853] საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2013 წლის 11 მარტის გადაწყვეტილება (№ას-1680-1576-2012).

[854] თითოეული მონაწილის ერთდროულ (ერთიან) ქცევასა და გამოწვეული შედეგის მიზეზობრიობაზე იხ. R. Greger, Haftungsrecht des Strassenverkehrs, Berlin, Handbuch und Kommentar, 4. Auflage, 2007, 229-231.

[855] იხ. R. Greger, Haftungsrecht des Strassenverkehrs, Handbuch und Kommentar, 4. Auflage, Berlin, 2007, 229.

მხედველობაშია მისაღები თითოეული სამართალდამრღვევის ბრალის ხარისხი. პასუხისმგებლობა დგება წილთა თანაფარდობის ნიშნით მხოლოდ ისეთ შემთხვევებში, როდესაც საქმის გარემოებათა მიხედვით შეუძლებელია ზიანის მიმყენებელთა ბრალის ხარისხის განსაზღვრა, ანდა თითოეულის ბრალი თანაბარია.[856] სწორედ ამიტომ დელიქტური სამართალი განიხილება სხვა პირების ქმედების საფუძველზე წარმოშობილი ზიანის რისკისა და ხარჯების გადანაწილების ინსტრუმენტად. პასუხისმგებლობის წესების მიზანია, სუბიექტისთვის ზიანის მიყენებისას მოაწესრიგოს ზიანის ანაზღაურების საკუთარ თავზე აღება, რაც უკავშირდება რეგრესის წესის გამოყენებას. პასუხისმგებლობის საკუთარ თავზე აღება ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის მხოლოდ იურიდიული შედეგია. მოცემულ შემთხვევაში იკვეთება კავშირი, ერთი მხრივ, ხელმყოფ მოქმედებასა და ზიანს, ხოლო, მეორე მხრივ, მოქმედებასა და პასუხისმგებელ პირს შორის.[857]

მაგალითი: დათო ჩიღაურსა და ლევან ჩოფიკაურს შელაპარაკება მოუვიდათ მეზობელ გიგა გერონტიასთან. ჩიღაური დაემუქრა გერონტიას, რომ დაბრუნდებოდა და შურს იძიებდა. იმავე დღეს ჩიღაური დაუკავშირდა ბერიძეს. როდესაც გერონტია საკუთარი სახლის წინ იდგა, თბილისის ერთ-ერთ ქუჩაზე ჩიღაურმა და ბერიძემ ცემა დაუწყო. ბერიძემ ჩხუბის დროს დანით სიცოცხლისთვის საშიში ჭრილობა მიაყენა გეროანტიას გულ-მკერდის არეში, რის გამოც მას ოპერაცია დასჭირდა. სსკ-ის 998-ე მუხლის 1-ლი ნაწილის მიხედვით, პირს შეუძლია როგორც ორივე ზიანის მიმყენებლის, ისე ერთ-ერთ მათგანს წარუდგინოს მთლიანად ზიანის ანაზღაურების მოთხოვნა.[858] დაზარალებულმა გამამტყუნებელი განაჩენით მოითხოვა ჩიღაურისგან, როგორც ერთ-ერთი სოლიდარული მოვალისგან, ზიანის ანაზღაურება. აქ დასადგენია, პასუხი უნდა აგონ თუ არა ჩიღაურმა და ბერიძემ, როგორც სოლიდალურმა მოვალეებმა. ამ პროცესში აუცილებელია დელიქტური ვალდებულების საფუძვლების შემოწმება. ასევე, განსაკუთრებული მნიშვნელობისაა დამდგარ ზიანსა და ბრალეულ ქმედებას შორის მიზეზობრივი კავშირის არსებობა, ვინაიდან თუ მაგალითად, მოსარჩელის ჯანმრთელობის დაზიანება არ გამოუწვევია უშუალოდ მოპასუხის ქმედებას, ეს გამორიცხავს მოპასუხის სამოქალაქო პასუხისმგებლობას. თუმცა სასამართლომ არ ჩათვალა საკმარის არგუმენტად ქმედებასა და შედეგს შორის მიზეზობრივი კავშირის დასადასტურებლად ის, რომ ზიანის უშუალო მიმყენებელი სწორედ ჩიღაურმა მიიყვანა შემთხვე-

---

[856] შ. ჩიკვაშვილი, სსკ-ის კომენტარი, წ. IV, ტ. II, თბ., 2001, 404–405.

[857] U. Säuberlich, Die außervertragliche Haftung im Gemeinschaftsrecht, EIne Untersuchung der Mehrpersonenverhältnisse, Heidelberg, 2005, 30-31.

[858] სოლიდარული ვალდებულების წარმოშობის საფუძვლებზე იხ. ი. რობაქიძე, სახელშეკრულებო სამართალი, თბ., 2014, 725.

ვის ადგილას. სასამართლოს მოტივაცია დაეყრდნო იმას, რომ მოცემულ შემთხვევაში არ იყო თანამონაწილეობა, ვინაიდან ჩიღაური დამნაშავედ ცნეს ხულიგნობაში საზოგადოებრივი წესრიგის უხეში დარღვევისა და საზოგადოებისადმი აშკარა უპატივისცემლობისთვის, ხოლო ბერიძე გერონტიას მკვლელობის მცდელობისთვის მიეცა სისხლის სამართლის პასუხისგებაში.[859] საქართველოს სასამართლო პრაქტიკის ამ მაგალითიდან ჩანს, რომ გაზიარებულია გერმანულ სამოქალაქო სამართალში აღიარებული დებულებები სოლიდარული პასუხისმგებლობის შესახებ, რომლებიც თანამონაწილეობის დადგენას უკავშირდება.

2. სსკ-ის 998-ე მუხლის მე-2 ნაწილი

სსკ-ის 998-ე მუხლის მე-2 ნაწილის წინაპირობაა თანამონაწილეობა, რაც უკავშირდება პირთა მოქმედების საერთო ხასიათს. თუმცა მოცემულ შემთხვევაში არ უნდა არსებობდეს გაუფრთხილებელი თანაბრალეულობა. ეს იქნებოდა მაშინ, როცა რამდენიმე პირი გამოიწვევდა ზიანს დამოუკიდებლად საერთო განზრახვის გარეშე. ამდენად, აქ აუცილებელია, რომ ზიანი დადგეს ყველა თანაბრალეული პირის მოქმედების შედეგად. ხელმყოფი ამ შემთხვევაში პასუხს აგებს თავისი წილის შესაბამისად, როგორც სოლიდარული მოვალე (სსკ-ის 998-ე მუხლის 1-ლი ნაწილი).[860]

თანამონაწილეობის ფორმები განისაზღვრება სისხლის სამართლით. შესაბამისად, აუცილებელია მოკლედ თანამონაწილეობის ამ ფორმების შესახებ წარმოდგენის შექმნა. დანაშაულში თანამონაწილეობა ნიშნავს ორი ან მეტი პირის ერთობლივ მონაწილეობას განზრახი დანაშაულის ჩადენაში.

---

[859] აქ ხაზგასმულია, რომ მოცემულ შემთხვევაში აუცილებლად უნდა იყოს მინიმუმ არაპირდაპირი განზრახვა. იხ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2012 წლის 13 დეკემბრის გადაწყვეტილება (№ას-937-880-2012). მოცემული გადაწყვეტილებისგან განსხვავებულ აზრთან დაკავშირებით იხ. დ. აბესაძე, დანაშაულით მიყენებული ზიანის ანაზღაურების წესი სამოქალაქო საპროცესო სამართალში – ეროვნული პრაქტიკა და საერთაშორისო გამოცდილება, „სტუდენტური სამართლებრივი ჟურნალი", თბ., 2014, 21-23. სტატიაში მოცემული აზრი საგულისხმოა იმის გათვალისწინებით, რომ სამოქალაქოსამართლებრივი პასუხისმგებლობის დაკისრებისთვის საკმარისი არ არის, დადგინდეს ზიანის მიმყენებლის ბრალი სისხლის სამართლის საქმეზე კანონიერ ძალაში შესული განაჩენით, რადგან შესაძლოა ზიანის წარმომშობი ქმედება არ შეიცავდეს დანაშაულის ნიშნებს. უფრო მეტიც, პირს სამოქალაქოსამართლებრივი პასუხისმგებლობა მაშინაც კი შეიძლება დაეკისროს, როდესაც ამ პირის მიმართ სისხლის სამართლის საქმეზე გამამართლებელი განაჩენია გამოტანილი. ამასთან, ბრალის სამოქალაქო და სისხლისსამართლებრივი გაგება არაა იდენტურია. იხ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2013 წლის 25 ივლისის გადაწყვეტილება (№ბს-494-488(2კ-12).

[860] P. Buck-Heeb, Examens-Repetitorium, Besonderes Schuldrecht/2, Gesetzliche Schuldverhältnisse, 2., neu bearbeitete Auflage, Heidelberg, München, Landsberg, Berlin, 2007, 142.

თანამონაწილეობის სახეებია ორგანიზატორი, წამქეზებელი და დამხმარე (ფართო გაგებით ასევე თანაამსრულებელი). დანაშაულში თანამონაწილეობა, თავისი ბუნებით, აქცესორულია (აქცესორულობა), ამსრულებლის მიერ დანაშაულის შემადგენლობის განხორციელების ან მისი განხორციელების მცდელობის გარეშე დანაშაულში თანამონაწილეობა არ არსებობს. თანამონაწილეობის აქცესორული ხასიათი არ გამორიცხავს თანამონაწილის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის ინდივიდუალიზაციას. თანამონაწილეს სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა დაეკისრება მხოლოდ საკუთარი ბრალისათვის ერთიანი მართლსაწინააღმდეგო ქმედების საფუძველზე, დანაშაულის ჩადენაში მონაწილეობის ხასიათისა და ხარისხის გათვალისწინებით. თანამონაწილეთა პასუხისმგებლობის დადგენისას მხედველობაში მიიღება მათი მოქმედების როგორც ობიექტური, ისე სუბიექტური პირობები. როცა ამსრულებლის ან თანამონაწილის მხარეს არის ისეთი ნიშანი, რომელიც ახასიათებს მართლსაწინააღმდეგო ქმედებას, მაშინ ეს ნიშანი შეერაცხება სხვა ამსრულებელს ან თანამონაწილეს, რომლის მხარესაც იგი არ არსებობდა, თუ მას ეს ნიშანი შეცნობილი ჰქონდა. პერსონალური ნიშანი, რომელიც ბრალისთვის ან ერთ-ერთი ამსრულებლის ან თანამონაწილის პიროვნებისათვის არის იმანენტური, შეერაცხება იმ ამსრულებელს ან თანამონაწილეს, რომელსაც იგი ახასიათებს (სისხლის სამართლის კოდექსის 25-ე მუხლი). მაგალითად, მკვლელობის შემთხვევაში თანამონაწილეები, მათ შორის ამსრულებელი, მოქმედებენ განსხვავებული მოტივებით; წამქეზებელი - ანგარებით, დამხმარე - შურისძიებით, ხოლო ამსრულებელი - ეჭვიანობის ნიადაგზე; ანგარებითი ქმედება ბრალად შეერაცხება წამქეზებელს, ხოლო დანარჩენებს შეერაცხება სხვა მოტივი. შემამსუბუქებელი ან დამამძიმებელი გარემოება, რომელიც ერთ-ერთი თანამონაწილის ან ამსრულებლის პიროვნებას შეეხება, მხედველობაში მიიღება მხოლოდ ამ თანამონაწილისათვის ან ამსრულებლისათვის სასჯელის დანიშვნის დროს (სისხლის სამართლის კოდექსის 57-ე მუხლის მე-2 ნაწილი).[861]

სსკ-ის 998-ე მუხლის მე-2 ნაწილის გამოსაყენებლად ზიანი უნდა იყოს გამოწვეული რამდენიმე თანამონაწილის მიერ. შესაბამისად, სისხლისსამართლებრივი მოცემულობის მიხედვით, აუცილებლად უნდა არსებობდეს გაცნობიერებული და სასურველი (=განზრახი) ურთიერთმოქმედება. მოცემულ შემთხვევაში არაა საკმარისი მხოლოდ ერთდროულად (სინქრონულად) მოქმედება, არამედ მონაწილეებმა ერთად უნდა იმოქმედონ. თუ ზიანის მიყენებაში სხვა პირიც მონაწილეობდა, ასეთი ქმედება იძენს ერთიანი კანონსაწინააღმდეგო ქმედების ხასიათს. სს-ის 998-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, როცა რამდენიმე პირი, როგორც წამქეზებელი ან

[861] <http://library.court.ge/gil/index.php?term_id=409> [07.11.2015].

დამხმარე იწვევს ზიანს, ზიანის დადგომაში ერთ-ერთის მონაწილეობა სხვასთან ერთად მიიჩნევა ერთიან კანონსაწინააღმდეგო ქმედებად. ამასთან, ამ სახის სამართალდარღვევაში ნებისმიერი თანამონაწილის მართლწინააღმდეგობა, რომელიც აამოქმედებს სსკ-ის 998-ე მუხლს, განისაზღვრება დამოუკიდებლად. კერძოდ, ნებისმიერი პირის ბრალი დამოუკიდებლად უნდა შეფასდეს. ამასთან, სსკ-ის 998-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, ბრალის ხარისხის ნიშნით აუცილებელია განზრახვის (მინიმუმ ევენტუალური განზრახვის) არსებობა. ამიტომ მოქმედებს რა ერთიანი ნება, ცალკეული თანამონაწილე აგებს პასუხს ზიანის შედეგებისთვის. უმნიშვნელოა, კონკრეტული ზიანი ერთპიროვნულად წარმოიშობა თუ არა და როგორი წვლილი მიუძღვის მას ზიანის დადგომაში. აქ არსისმიერია მისი ნება, ხელმყოფი მოქმედებით სხვასთან ერთად მონაწილეობა მიიღოს სამართალდარღვევის განხორციელებაში. ამდენად, ამ ნორმით დადგენილი პასუხისმგებლობისთვის არაა საკმარისი ზიანის დადგომაში მხოლოდ მონაწილეობა, არამედ, ამავე დროს, ხელმყოფი მოქმედების მონაწილეს უნდა ჰქონდეს სამართლებრივი სიკეთის ხელყოფისკენ მიმართული ნება.[862]

მოცემულ შემთხვევაში რამდენიმე პირის მოქმედება უნდა შეიცავდეს გაცნობიერებისა და ნებელობით მომენტებს, ვინაიდან უბრალო გაუფრთხილებლობა არაა სოლიდარული პასუხისმგებლობისთვის საკმარისი. ამიტომ მონაწილეები უნდა მოქმედებდნენ ერთიანი მიზნით. აქ მოიაზრება სუბიექტთა ურთიერთქმედება, რომელიც მოიცავს გაცნობიერების საფუძველზე ხელყოფის სურვილს. მათი მიზანი უნდა იყოს სსკ-ის 992-ე მუხლით დაცული სიკეთეების ხელყოფა.[863]

ამასთან, თუ ზიანი დადგა რამდენიმე არასრულწლოვნის ერთობლივი მოქმედებით და მათ სხვადასხვა მშობლები ჰყავთ, დაზარალებულის წინაშე მშობელთა ან მზრუნველთა პასუხისმგებლობას ექნება წილობრივი ხასიათი. თუმცა, თუ ზიანი მიყენებულია მშობლისა და არასრულწლოვანი შვილის მიერ ერთობლივად, გარემოებათა ობიექტური შეფასების საფუძველზე გამოიყენება სოლიდარული და სუბსიდიური პასუხისმგებლობის ფორმები კუმულაციურად.[864]

ზოგადად, დელიქტური პასუხისმგებლობის დასაკისრებლად აუცილებელია ერთდროულად ზიანის, მართლწინააღმდეგობის, მიზეზობრივი კავშირისა და ბრალის არსებობა, რომელთაგან ერთ-ერთი ელემენტის არარსებობა გამორიცხავს ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლებას

---

[862] P. Buck-Heeb, Examens-Repetitorium, Besonderes Schuldrecht/2, Gesetzliche Schuldverhältnisse, 2., neu bearbeitete Auflage, Heidelberg, München, Landsberg, Berlin, 2007, 141.

[863] M. Fuchs, W. Pauker, Delikts- und Schadensersatzrecht, Springer-Lehrbuch, 8. Aufl., Heidelberg, 2012, 236.

[864] შ. ჩიკვაშვილი, სსკ-ის კომენტარი, წ. IV, ტ. II, თბ., 2001, 405.

(სსკ-ის 992-ე მუხლი).[865] თუმცა, თუ ერთდროულად რამდენიმე სამართალდამრღვევის მოქმედების პირობებში კანონით ერთი პირის მიერ მიყენებული ზიანისთვის პასუხისმგებლობის დასაკისრებლად არაა აუცილებელი ბრალის არსებობა, მაშინ ის სავალდებულო ელემენტად არ უნდა მოიაზრებოდეს იმ პირისთვის, რომელიც სხვა პირებთან ერთად ზიანის დადგომაში მონაწილეობდა. ამდენად, შეიძლება ზიანის დადგომაში მონაწილე ერთ-ერთ პირს საერთოდ არ დაეკისროს პასუხისმგებლობა, თუ ის მოქმედებდა ბრალის გარეშე, როდესაც ზიანის დადგომაში მონაწილე სხვა პირები სრულად აგებენ პასუხს მიყენებული ზიანისთვის ბრალეული მოქმედების საფუძველზე. თუმცა სოლიდარული პასუხისმგებლობა მიყენებული ზიანისთვის შეიძლება დადგეს ბრალის არარსებობის შემთხვევაშიც. ბრალის გარეშე პასუხისმგებლობის მაგალითია საჰაერო ხომალდების შეჯახება, რომლის დროსაც მგზავრებისთვის მიყენებული ზიანის ანაზღაურება ეკისრება იმ გადამზიდველს, რომელთანაც მგზავრები გადაზიდვის ხელშეკრულებით იყვნენ დაკავშირებულნი.[866] შესაბამისად, უნებართვო მოქმედება სსკ-ის 998-ე მუხლის ფარგლებში შეიძლება შეეხოს სპეციალურ შემთხვევასაც, როცა სამოქალაქო პასუხისმგებლობა წარმოიშობა მომეტებული საფრთხის წყაროს გამოყენებით მიყენებული ზიანისთვის.[867]

ამდენად, განსაკუთრებულია სოლიდარული პასუხისმგებლობის როლი სამოქალაქო უფლებათა ხელყოფისას დაზარალებულის ინტერესების დაცვის საქმეში.

§ 16. სატრანსპორტო საშუალების ექსპლოატაციისა და ნაგებობიდან გამომდინარე მომეტებული საფრთხით გამოწვეული ზიანის ანაზღაურების საფუძვლები

დელიქტურ ვალდებულებათა შორის გამოსაყოფია მომეტებული საფრთხის წყაროს გამოყენების საფუძველზე წარმოშობილი ვალდებულებები. მეცნიერთა შორის არაა თანმხვედრი პოზიცია იმასთან დაკავშირებით, თუ რა მოიაზრება მომეტებული საფრთხის წყაროში. საქმიანობის თეორიის თანახმად, მომეტებულ საფრთხედ განიხილება ადამიანის ნებისმიერი საქმიანობა, რომელიც წარმოშობს გარშემომყოფთათვის საფრთხეს. ასევე, არსებობს სხვა მოსაზრება (ნივთების შესახებ თეორია), რომლის მიხედვითაც, მომეტებული საფრთხის წყაროა ნივთები, როგორც მატერიალური

[865] საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2012 წლის 13 დეკემბრის გადაწყვეტილება (№ას-937-880-2012).

[866] შ. ჩიკვაშვილი, სსკ-ის კომენტარი, წ. IV, ტ. II, თბ., 2001, 403-404.

[867] J. Ossenbühl, Umweltgefährdungshaftung im Konzern, Bd. 93, Berlin, 1999, 116.

სამყაროს საგნები, რომლებიც ადამიანის კონტროლს მოკლებულია. ამასთან, ცალკე გამოყოფენ საგნების თვისებების შესახებ თეორიას, რომლითაც მომეტებული საფრთხის წყაროდ განიხილება საგანი თავისი განსაკუთრებული თვისებებითურთ. როგორც ჩანს, ამ თეორიებში წარმოჩენილია „მომეტებული საფრთხის წყაროს“ ცნების სამი სხვადასხვა ასპექტი (საქმიანობა, ნივთები, საგნების თვისებები), რომელთა ერთობლიობა ქმნის მომეტებულ საფრთხეს. ის სწორედ იმ საგნების გამოყენებასთან დაკავშირებული საქმიანობაა, რომლებიც თავისი განსაკუთრებული თვისებების წყალობით გარშემომყოფთათვის საფრთხეს ქმნის.[868] ამ გაგებით, მომეტებული საფრთხის წყაროა სატრანსპორტო საშუალება, სპეციალურ შენობანაგებობებში წარმოებული თუ მოთავსებული სანძარსაშიში, ფეთქებადსაშიში, მომწამველი ნივთიერების წარმოება-შენახვა და სხვა, რასაც შეიძლება მოჰყვეს ზიანის მიყენება.

1. სატრანსპორტო საშუალების ექსპლოატაციის შედეგად დამდგარი ზიანის ანაზღაურება

1.1. სატრანსპორტო საშუალებით მიყენებული არაბრალეული ხელყოფისას ზიანის ანაზღაურების ზოგადი დახასიათება

სსკ-ის 999-ე მუხლით დადგენილი პასუხისმგებლობის წარმოშობის თავისებურება იმაში ვლინდება, რომ სატრანსპორტო საშუალება ყოველთვის საფრთხის წყაროა და მისი მფლობელი სატრანსპორტო საშუალებით გამოწვეული ზიანის დადგომაში პასუხს აგებს, მისი ბრალის მიუხედავად.[869]

სსკ-ის 999-ე მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, მგზავრების გადაყვანისა და ტვირთების გადაზიდვისათვის გათვალისწინებული სატრანსპორტო საშუალების მფლობელი, თუ მისი სატრანსპორტო საშუალების ექსპლოატაციას მოჰყვა ადამიანის სიკვდილი, დასახიჩრება ან ჯანმრთელობის მოშლა, ანდა ნივთის დაზიანება, ვალდებულია, დაზარალებულს აუნაზღაუროს აქედან წარმოშობილი ზიანი. მოცემული ნორმით დადგენილია სამოქალაქოსამართლებრივი პასუხისმგებლობის ზოგადი (ბრალეული) პრინციპიდან განსხვავებული წესი სატრანსპორტო საშუალების მომხმარებლის განსაკუთრებული პასუხისმგებლობის სახით, როდესაც მის

---

[868] იხ. А. А. Крыжановская, Гражданско-правовая ответственность за вред, причиненный в связи с использованием сложных программных продуктов, М., 2010, 36-43. საქმიანობისა და ობიექტის თეორიების შესახებ იხ. Е.А.Флейшиц, Обязательство из причинения вреда и из неосновательного обогощения, М., 1951, 132.

[869] საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2014 წლის 3 თებერვლის გადაწყვეტილება (№ას-980-938-2013).

დასაკისრებლად ბრალეულობა არაა სავალდებულო.[870] ამ გამონაკლისს საფუძვლად უდევს ის გარემოება, რომ სატრანსპორტო საშუალება პოტენციური საფრთხის წყაროა და მისი გამოყენება განაპირობებს შედარებით მაღალი ხარისხით საზიანო შედეგების დადგომის შესაძლებლობას, ვიდრე სხვა ჩვეულებრივი საქმიანობისას შეიძლება მოხდეს. ავტოსატრანსპორტო საშუალების ამგვარი თვისების გამო იგი მომეტებული საფრთხის წყაროდაა მიჩნეული. მართალია, მომეტებული საფრთხის წყაროს გამოყენება სამართლებრივად ნებადართულია, მაგრამ სამოქალაქო პასუხისმგებლობა ამ წყაროდან მომდინარე ზიანისთვის უფრო მკაცრია, ვიდრე ზოგადი სამოქალაქოსამართლებრივი პასუხისმგებლობის დროს ხდება, ვინაიდან ზიანის ანაზღაურების ვალდებულება ეკისრება მომეტებული საფრთხის წყაროს მფლობელს, ბრალის მიუხედავად. აღნიშნული გამოწვეულია იმ მატერიალური ობიექტის ფლობითა და სარგებლობით (ექსპლოატაციით ან ნებისმიერი ფორმით მისი გამოყენებით), რომელსაც განსაკუთრებული ხარისხობრივი თვისება აქვს და ადამიანის მხრიდან მასზე სრული კონტროლის დამყარება შეუძლებელია.[871] ამასთან, სატრანსპორტო საშუალების მფლობელის მიერ ზიანის ანაზღაურების მოვალეობის შინაარსი და მოცულობა ეფუძნება სსკ-ის 408-ე მუხლის 1-ლი ნაწილის ზოგად დათქმებს. თუმცა მფლობელის მომეტებული საფრთხე, ერთი მხრივ, იზღუდება მაქსიმალური თანხის მოთხოვნით, მეორე მხრივ, გასათვალისწინებელია დაზარალებულის თანაბრალეულობაც.[872]

1.2. სატრანსპორტო საშუალების მფლობელი

სატრანსპორტო საშუალების მფლობელი შეიძლება იყოს როგორც ფიზიკური, ისე იურიდიული პირი, რომელიც კანონიერი საფუძვლებით სატრანსპორტო საშუალებას ფლობს (მესაკუთრე, დამქირავებელი და სხვ.). პირი, რომელმაც ზიანი აუნაზღაურა დაზარალებულს, უფლებამოსილია, ქირავნობის ხელშეკრულების საფუძველზე წაუყენოს მოთხოვნა ზიანის ანაზღაურების შესახებ გამქირავებელს, თუ ზიანის წარმოშობაში მას მიუძღვის ბრალი (მაგალითად, დამქირავებლისთვის ავტომანქანის გადაცემა

[870] ამ საკითხის შესახებ იხ. ზ. ძლიერიშვილი, სატრანსპორტო საშუალების ექსპლოატაციის შედეგად დამდგარი ზიანის ანაზღაურება, „სტუდენტური სამართლებრივი ჟურნალი", 2012, 117; აღნიშნულთან დაკავშირებით, ასევე, იხ. ი. ჩხიკვაძე, ბრალის გარეშე პასუხისმგებლობა და მომეტებული საფრთხის წყაროთი გამოწვეული ზიანის ანაზღაურება დელიქტურ ვალდებულებებში, ჟურნ. „თემიდა", N3(5), 2009, 107-108; A. Albrecht, Die deliktische Haftung für fremdes Verhalten im französischen und deutschen Recht, Mohr Siebeck Tübingen, 2013, 75.

[871] საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 9 ნოემბრის განჩინება (Nას-494-463-2010); საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2013 წლის 10 ოქტომბრის გადაწყვეტილება (Nას-1657-1554-2012).

[872] იხ. A. Röthel, Gefährdungshaftung, In: "Jura", Heft 6, 2012, 449.

გაუმართავ მდგომარეობაში). თუმცა სატრანსპორტო საშუალების მფლობელად ვერ ჩაითვლება ფიზიკური პირი, რომელიც სატრანსპორტო საშუალებას მართავს მფლობელთან შრომითი ურთიერთობის საფუძველზე (მძღოლები, მემანქანეები, მფრინავები და სხვ.). ამასთან, კანონით ზიანის ანაზღაურების ვალდებულება წარმოიშობა, თუ ზიანი მოჰყვა სატრანსპორტო საშუალების ექსპლოატაციას. აქ არ აქვს მნიშვნელობა, რა დროს დადგა ზიანი - სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას თუ სატრანსპორტო საშუალების თვითნებურად ან თავისი პირადი მიზნებისთვის გამოყენებისას. ამდენად, კონკრეტული შემთხვევა რომ სსკ-ის 999-ე მუხლით დაკვალიფიცირდეს, ზიანი უნდა დადგეს სატრანსპორტო საშუალების მოძრაობის დროს.[873] ესე იგი, განსახილველი ნორმის ფარგლებში პასუხისმგებლობის დასაკისრებლად აუცილებელია სწორედ სატრანსპორტო საშუალების ექსპლოატაციისას მიადგეს სამართლებრივ სიკეთეს ზიანი. თუ ავტომანქანა მოქმედი ძრავით მონაწილეობდა საგზაო მოძრაობაში, ითვლება, რომ ზიანის მიყენებისას სატრანსპორტო საშუალება ექსპლოატაციაშია.[874]

სპეციფიკურია ავტომობილის მფლობელობის დადგენის საკითხი. საქმე ისაა, რომ ავტომობილის მფლობელობის განხორციელება უკავშირდება არა მხოლოდ ნივთის, არამედ ტრანსპორტის სარეგისტრაციო მოწმობის მფლობელობას. ავტომანქანის მესაკუთრის სახელზე სავალდებულო რეგისტრაციისთვის სარეგისტრაციო მოწმობა განიხილება ავტომობილზე მფლობელობის დადგენის აუცილებელ აქსესუარად. ეს კიდევ უფრო ცხადი ხდება „საავტომობილო ტრანსპორტის შესახებ“ საქართველოს კანონში 2009 წელს განხორციელებული დამატების გათვალისწინებით, რომლის თანახმად, გარდა კანონით გათვალისწინებული გამონაკლისისა, მექანიკურ სატრანსპორტო საშუალებაზე პირის საკუთრების უფლების წარმოშობა იურიდიულ ძალას იძენს საჯარო სამართლის იურიდიულ პირში - საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოში რეგისტრაციის მომენტიდან. ამდენად, „ნივთის მფლობელი ივარაუდება მესაკუთრედ“ წესი არ უნდა მოქმედებდეს იმ პირის მიმართ, რომელმაც ავტომობილი შეიძინა მხოლოდ მფლობელობის ფაქტის საფუძველზე ისე, რომ არ გადაუმოწმებია, ჰქონდა თუ არა გამსხვისებელს დარეგისტრირებული თავის სახელზე ავტომობილი მოცემული დოკუმენტით. ეს განპირობებულია იმით, რომ სარეგისტრაციო მოწმობა მისი ნამდვილი მესაკუთრის იდენტიფიცირების საშუალებას იძლევა.[875]

---

[873] იხ. Л. А. Майданик, Н. Ю. Сергеева, Материальная ответственность за повреждение здоровья, М., 1968, 63-65, 71, 50.

[874] იხ. ს. ჰენშელი, სამოქალაქო კაზუსების დამუშავების მეთოდიკა, თბ., 2009, 213.

[875] იხ. თ. ზარანდია, ნივთის მფლობელი ივარაუდება მესაკუთრედ - პრეზუმფციის გამოყენების წინაპირობები და გამონაკლისები, აკაკი ლაბარტყავას 80 წლისადმი მიძღვნილ საიუბილეო კრებულში (რედ. ლ. ჭანტურია), თბ., 2013, 205.

ამასთან, მომეტებული საფრთხის წყაროთი მიყენებული ზიანის დროს ბრალის გარეშე პასუხისმგებლობის წესსაც აქვს გამონაკლისი. ეს შეეხება ზიანის მიყენების ისეთ შემთხვევებს, როდესაც ზიანი დგება მომეტებული საფრთხის წყაროთა ურთიერთქმედებისას (მაგალითად, სატრანსპორტო საშუალებების შეჯახებისას). ამ სიტუაციაში უნდა განისაზღვროს, თუ ვის მიადგა ზიანი. თუ დაზარალებული მესამე პირია (ფეხით მოსიარულე, მგზავრი და სხვ.), პასუხისმგებლობა ეკისრება შეჯახებული სატრანსპორტო საშუალებების მფლობელებს სოლიდარული პასუხისმგებლობის წესით, მიუხედავად იმისა, თუ ვინ იყო შეჯახებაში ბრალეული.

მაგალითი: ა-ს კუთვნილი სატვირთო ავტომანქანისა და კ-ს მსუბუქი ავტომანქანის შეჯახებას მოჰყვა როგორც კ, ისე მგზავრი. ძიებით დადგინდა, რომ ავტოავარია გამოწვეული იყო კ-ს ბრალეულობით. დაღუპული მგზავრის მეულლემ წარადგინა სარჩელი ა-ს მიმართ ზიანის ანაზღაურების თაობაზე მარჩენალის დაღუპვასთან დაკავშირებით, რადგან მისი დაღუპული ქმრის კმაყოფაზე იყო ორი მცირეწლოვანი ბავშვი. საქმეში მონაწილეობის მისაღებად მეორე მოპასუხის სახით ჩაერთო დაღუპული კ-ს მეულლე, რომელმაც, როგორც მემკვიდრემ, პასუხი უნდა აგოს დაღუპული ქმრის ვალებზე მასზე გადაცემული მემკვიდრეობის ფარგლებში. ა არ დაეთანხმა წაყენებულ მოთხოვნებს, ვინაიდან მისი, როგორც მძღოლის, ბრალი შეჯახებაში და, შესაბამისად, ზიანის მიყენებაში არ იყო. სასამართლომ, მიუხედავად ა-ს მოსაზრებისა, ზიანის ანაზღაურება დააკისრა როგორც დაღუპული კ-ს მეულლეს, ისე ა-ს სოლიდარული წესით.

აღნიშნული შემთხვევისგან განსხვავდება სიტუაცია, როდესაც შეჯახებას მოჰყვება სატრანსპორტო საშუალების მფლობელისთვის ზიანის მიყენება, ვინაიდან აქ პასუხისმგებლობა დაეკისრება ზიანის ბრალეულ მიმყენებელს. შემთხვევითი შეჯახებისას, ე. ი. თუ არავინ არაა დამნაშავე, თითოეული თავად იქნება ასეთი შეჯახების შედეგის მატარებელი (არც ერთ მფლობელს არა აქვს მეორის ხარჯზე ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლება). მაგალითად, თუ შემთხვევითი შეჯახებისას ზიანი გამოიწვია ორივე მფლობელმა, მაშინ ორივეს ევალება იმ ზიანის ანაზღაურება, რომელიც სხვას მიაყენა. თუ ერთ-ერთ მფლობელს მიადგა 120 ლარის ოდენობის ფარგლებში ზიანი, ხოლო მეორეს - ზიანი, რომლის ოდენობაც 50 ლარს შეადგენდა, პირველს ეძნება უფლება, მოითხოვოს 120 ლარი, ხოლო მეორეს - 50 ლარის ანაზღაურების უფლება. თუმცა მოცემულ შემთხვევაში ურთიერთგაქვითვის შემდეგ პირველს აუნაზღაურდება ზიანი 70 ლარის ფარგლებში. ამასთან, საჰაერო კოდექსის 76-ე მუხლის თანახმად[876], თუ

[876] იხ. საქართველოს საჰაერო კოდექსი, 1996 წლის 29 ოქტომბერი, №462-Iს

საფრენოსნო დავალების შესრულებისას საქართველოს საჰაერო ხომალდის ეკიპაჟის წევრი დასახიჩრდა ან მიიღო ჯანმრთელობის სხვაგვარი დაზიანება, გადამყვან-გადამზიდველს ევალება დაზარალებულისთვის იმ შემოსავლის ანაზღაურება, რაც მას დააკლდა შრომის უნარის დაკარგვის ან დაქვეითების გამო, დაზიანებასთან დაკავშირებით ინვალიდობის პენსიის გამოკლებით. თუმცა, თუ გადამყვან-გადამზიდველი დაამტკიცებს, რომ ზარალი გამოწვეულია დაზარალებულის წინასწარგანზრახული ქმედებით, ის თავისუფლდება პასუხისმგებლობისგან. შესაბამისად, განსაზღვრულია, რომ თუ მომეტებული საფრთხის წყაროს გამოყენებით დადგა ზიანი ბრალეულად, მაშინ პასუხისმგებლობა ეფუძნება ბრალეულობის პრინციპს. ზიანისთვის პასუხისმგებლობა ვრცელდება იმ პირზე, ვინც ბრალეულად მოქმედებდა, ხოლო თუ ზიანი გამოწვეულია ორივე სუბიექტის ბრალით, ამ დროს ზიანი გადანაწილდება მათ შორის თითოეულის ბრალის ხარისხის გათვალისწინებით.[877]

გადამყვან-გადამზიდველის ქონებრივი პასუხისმგებლობის დასაკისრებლად, გადამწყვეტია ბრალეულობის ხარისხი. თუ ორი ან მეტი საჰაერო ხომალდი შეეტაკება ერთმანეთს და ხომალდი დაზიანდება, უნდა დადგინდეს, ვისი ბრალითაა ზიანი გამოწვეული. როცა ზიანი წარმოშვა ერთ-ერთმა მხარემ, მაშინ მან უნდა აანაზღაუროს ზიანი სრულად, თუმცა ორივე ან მეტი მხარის მიზეზით გამოწვეული ზიანის დროს პასუხისმგებლობა ნაწილდება ბრალეულ პირთა შორის ცალკეული პირის ბრალეულობის ფარგლებში. ამასთან, თუ მოცემულ შემთხვევაში აღნიშნული ვერ დადგინდა, პასუხისმგებლობა უნდა განაწილდეს თანაბრად.[878]

1.3. სატრანსპორტო საშუალების მფლობელის ნებართვით ან მის გარეშე სატრანსპორტო საშუალების ექსპლოატაციით წარმოშობილი ზიანის ანაზღაურება

სსკ-ის 999-ე მუხლის მიზნებიდან გამომდინარე, სატრანსპორტო საშუალების მფლობელად მიიჩნევა პირი, რომელიც იურიდიული საფუძვლით ახორციელებს ნივთზე ფაქტობრივ ბატონობას. თუ პირი, რომელიც სატრანსპორტო საშუალებას იყენებს მისი მფლობელის ნებართვის გარეშე (არამართლზომიერი მფლობელი) და სხვას აყენებს ზიანს ამ სატრანსპორტო საშუალების გამოყენებით, სამოქალაქო პასუხისმგებლობა დაეკისრება ამ პირს (არამართლზომიერ მფლობელს). შესაბამისად, აქ

---

[877] იხ. Л. А. Майданик, Н. Ю. Сергеева, Материальная ответственность за повреждение здоровья, М., 1968, 60-62; შ. ჩიკვაშვილი, სსკ-ის კომენტარი, წ. IV, ტ. II, თბ., 2001, 408-409.

[878] იხ. შ. გაბიჩვაძე, საჰაერო ტრანსპორტით გადამყვან-გადამზიდველის სამოქალაქო პასუხისმგებლობისა და პასუხისმგებლობისაგან გათავისუფლების საფუძვლები საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით, ჟურნ. „მართლმსაჯულება და კანონი", N3, 2012, 82.

პასუხს არ აგებს სატრანსპორტო საშუალების მფლობელი (სსკ-ის ყყყ-ე მუხლის მე-4 ნაწილის პირველი წინადადება).[879] თუ მომეტებული საფრთხის წყაროს გამოყენებით მართლსაწინააღმდეგოდ მიადგა მესამე პირს ზიანი მაშინ, როცა ეს ნივთი მფლობელობიდან გავიდა მფლობელის ნების გამოვლენის გარეშე, მაშინ ზიანი ანაზღაურდება, მფლობელის ბრალის მიუხედავად. თუმცა მოცემულ შემთხვევაში, თუ ზიანი დაზარალებულს აუნაზღაურა მომეტებული საფრთხის წყაროს მფლობელმა, მაშინ მას წარმოეშობა რეგრესის წესით მოთხოვნის უფლება იმ პირის მიმართ, რომელიც ამ ნივთს უნებართვოდ დაეუფლა.[880]

ამდენად, მითითებული ნორმის პირველი წინადადება გამორიცხავს მფლობელის პასუხისმგებლობას, თუ ნივთი მისი მფლობელობიდან გავიდა მისი ნებართვისა და ბრალის გარეშე. მფლობელის პასუხისმგებლობისაგან გათავისუფლების საწინააღმდეგო დანაწესს ამკვიდრებს ამავე მუხლის ბოლო წინადადება. იგი დისპოზიციური ხასიათის დებულებაა, რომლის მიხედვით, მფლობელის პასუხისმგებლობის წარმოშობის ერთ-ერთ წანამძღვრად განიხილება მფლობელის მიერ ნივთის მოსარგებლისათვის გადაცემა. ამასთან, ნორმის მიზნიდან გამომდინარე, მნიშვნელობა არა აქვს, მფლობელობა პირდაპირია თუ არაპირდაპირი. მთავარია, რომ მფლობელმა ნივთი გადასცეს სხვას მართლზომიერ საფუძველზე.[881] როგორც ჩანს, პასუხისმგებლობის სუბიექტის განსაზღვრა ეფუძნება იურიდიულ და არა ფიზიკურ მფლობელობას. შესაბამისად, თუ მფლობელმა დანიშნა მოსარგებლე სატრანსპორტო საშუალების სამართავად, ან სატრანსპორტო საშუალება მას გადაცემული ჰქონდა მფლობელისაგან, ზიანის დადგომა წარმოშობს მფლობელის (მესაკუთრის) პასუხისმგებლობას (და არა პირის პასუხისმგებლობას, რომელიც ფაქტობრივ ბატონობას ახორციელებს ნივთზე სხვა პირის სასარგებლოდ).[882] ამდენად, ამ შემთხვევაში გადამწყვეტია მომეტებული საფრთხის წყაროს გამოყენებით წარმოშობილი ზიანის ანაზღაურების თავისებურება, რომლის თანახმად, სამოქალაქო პასუხისმგებლობა შეიძლება დაეკისროს პირს (მფლობელს), რომელიც არც ზიანის მიმყენებელია და არც ბრალი მიუძღვის ზიანის დადგომაში.[883] შესაბამისად, საქმე ეხება განსაკუთრებუ-

---

[879] საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2014 წლის 21 ივლისის გადაწყვეტილება (№ას-87-83-2014).

[880] В. Т. Смирнов. Регрессные иски в обязательствах из причинения вреда. М., 1960, 40.

[881] საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 20 ივლისის გადაწყვეტილება (№ას-254-239-2010).

[882] ი. ჩხიკვაძე, ბრალის გარეშე პასუხისმგებლობა და მომეტებული საფრთხის წყაროთი გამოწვეული ზიანის ანაზღაურება დელიქტურ ვალდებულებებში, ჟურნ. „თემიდა“, N3(5), 2009, 110.

[883] საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 20 ივლისის გადაწყვეტილება (№ას-254-239-2010).

ლად მკაცრ პასუხისმგებლობას, რომელიც წარმოიშობა ბრალის გარეშეც. თუმცა აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ეს ნორმა არ ართმევს დაზარალებულს უფლებას, ზიანის ანაზღაურება მოითხოვოს იმისგან, ვისაც ბრალი მიუძღვის უშუალოდ ზიანის მიყენებაში, სსკ-ის 992-ე მუხლის მიხედვით.[884]

საგულისხმოა, რომ მომეტებული საფრთხის წყაროს ფაქტობრივი გადაცემა იმ პირისთვის, რომელიც არამართლზომიერად ფლობს მას, ყოველთვის არ გამორიცხავს კანონიერი მფლობელის სამოქალაქო პასუხისმგებლობას მიყენებული ზიანისთვის. თუ კანონიერ მფლობელს მიუძღვის ბრალი იმაში, რომ მისი მფლობელობიდან გავიდა მანქანა, მაშინ პასუხისმგებლობა მიყენებული ზიანისთვის შეიძლება დაეკისროს როგორც პირს, რომელიც მომეტებული საფრთხის წყაროს იყენებს, ისე მის მფლობელს კონკრეტული გარემოებების გათვალისწინებით. ამის მაგალითად შეიძლება გამოდგეს შემთხვევა, როცა მფლობელმა დატოვა მანქანის კარი ღია ან დაცვის გარეშე ისეთ ადგილას, სადაც ადვილად შეიძლებოდა მისი გატაცება, ან არ გაატარა სხვა პრევენციული ღონისძიებები, რათა მანქანის გატაცება აეცილებინა თავიდან.[885]

ამდენად, მფლობელმა უნდა აანაზღაუროს მიყენებული ზიანი, თუ სატრანსპორტო საშუალების გამოყენება შესაძლებელი გახდა მისი ბრალის გამო, რასაც ითვალისწინებს სსკ-ის 999-ე მუხლის მე-4 ნაწილის მეორე წინადადება. სხვა სიტუაცია იქმნება, როდესაც მფლობელის მიერ მოსარგებლისათვის სატრანსპორტო საშუალების გადაცემა მართლზომიერია და სატრანსპორტო საშუალების ექსპლოატაციას მოჰყვება ზიანი. ამ შემთხვევებში სსკ-ის 999-ე მუხლის მე-4 ნაწილის მესამე წინადადება მიუჯნავს მფლობელის ნებით სატრანსპორტო საშუალების სამართავად დანიშნული პირის მიერ ზიანის მიყენებას და მფლობელის მიერ პირისათვის სხვა საფუძვლით გადაცემული სატრანსპორტო საშულებით ზიანის მიყენებას ერთმანეთისგან. მფლობელის ნებით სატრანსპორტო საშუალების გადაცემით მისი მიმღები ხდება მართლზომიერი მფლობელი. თუმცა კანონი განსახილველი ნორმით მფლობელის ნების საფუძველზე სატრანსპორტო საშუალების მიმღებ პირად მიიჩნევს მოსარგებლეს, რომელსაც, ამ ნორმის თანახმად, არ ეკისრება პასუხისმგებლობა მის მიერ მიყენებული ზიანისთვის, მსგავსად სსკ-ის 999-ე მუხლის მე-4 ნაწილის პირველი წინადადებით გათვალისწინებული შემთხვევისა. სსკ-ის 992-ე მუხლის თანახმად, ავტოსატრანსპორტო შემთხვევით დაზარალებულ პირს არ ეკრძალება სსკ-ის 408-ე მუხლის 1-ლი ნაწილით ზიანის ანაზღაურების მოთხოვნა

---

[884] საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2011 წლის 21 თებერვლის გადაწყვეტილება. (№ას-1275-1122-2010).

[885] იხ. Л. А. Майданик, Н. Ю. Сергеева. Материальная ответственность за повреждение здоровья. М., 1968, 68.

ერთობლივად წაუყენოს როგორც ავტოსატრანსპორტო საშუალების მფლობელს, რომელიც ზიანის მიმყენებელია სსკ-ის 999-ე მუხლის მე-4 ნაწილის მესამე წინადადების საფუძველზე, ისე სატრანსპორტო საშუალების მოსარგებლეს, რომელიც ბრალეულად მოქმედებდა და ზიანის მიმყენებელია სსკ-ის 992-ე მუხლის საფუძველზე. ამ შემთხვევაში არსებობს მოვალეთა სიმრავლე ვალდებულებაში, ვალდებულებათა ერთიანობა, ვინაიდან ყოველ მოვალეს თავისი საკუთარი ვალდებულება აკისრია კრედიტორის წინაშე, მაგრამ ისინი ერთმანეთთან ისეა დაკავშირებული, რომ ქმნის სოლიდარულ ვალდებულებას.[886]

როგორც ჩანს, სსკ-ის 999-ე მუხლის მე-4 ნაწილი ითვალისწინებს დელიქვენტის ორმაგ ვალდებულებას. ერთი მხრივ, ის სხვისი სატრანსპორტო საშუალების გამოყენებისას (მისი მფლობელის ნებართვის გარეშე) ვალდებულია, აანაზღაუროს მისი მფლობელის ნაცვლად მიყენებული ზიანი. მეორე მხრივ, თუ ეს ზიანი უშუალოდ მფლობელის ბრალითაა გამოწვეული (მოსარგებლე მის მიერ იყო დანიშნული სატრანსპორტო საშუალების სამართავად ან, თუ ეს სატრანსპორტო საშუალება მას ჰქონდა გადაცემული იჯარით ან სარგებლობის სხვა უფლებით), მაშინ დელიქვენტი თავისუფლდება ზიანის ანაზღაურების ვალდებულებისაგან და ეს მოვალეობა ეკისრება სატრანსპორტო საშუალების უშუალო მფლობელს. ამდენად, ზემოაღნიშნული ერთგვარად იცავს თვით სატრანსპორტო საშუალების მოსარგებლეს მფლობელის ბრალეული მოქმედებისაგან. მაგალითად, თუ შვილი მამის დაუკითხავად წაყვანილი ავტომანქანით დააზიანებს მგზავრის ჯანმრთელობას, სწორედ მას ეკისრება ზარალის კომპენსირება ანაზღაურების გადახდის შესაძლებლობის გათვალისწინებით და არა ავტომანქანის უშუალო მფლობელს.[887]

მაგალითი: თუ იჯარით გადაეცა პირს სატრანსპორტო საშუალება, რომლის გამოყენებითაც დადგება ზიანი, პასუხისმგებლობა დაეკისრება მოიჯარეს. ეს იმითაა განპირობებული, რომ მოიჯარე, მსგავსად მესაკუთრისა, ფლობს ნივთს, აღიჭურვება ნივთის მესაკუთრის უფლებებში და ამ ურთიერთობის ფარგლებში კანონით მას აქვს შესაძლებლობა, მიიღოს ნივთით სარგებლობის შედეგად მატერიალური სიკეთე (სსკ-ის 581-ე მუხლი). ამასთან, ორმხრივია იჯარის ხელშეკრულება, რომელშიც გამო-

---

[886] საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 20 ივლისის გადაწყვეტილება (№ას-254-239-2010); საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2014 წლის 21 ივლისის გადაწყვეტილება (№ას-87-83-2014).

[887] ო. მაჭარაშვილი, დელიქტები საერთაშორისო კერძო სამართალში, ჟურნ. „ალმანახი", N15, 2000, 22.

კეთილია მეიჯარესა და მოიჯარეს შორის თანმხვედრი უფლება-მოვალეობები. შესაბამისად, მოიჯარე უფლებრივად უთანაბრდება მესაკუთრეს, რის გამოც მანვე უნდა აიღოს მომეტებული საფრთხის წყაროს გამოყენებით მიყენებული ზიანის ანაზღაურების ტვირთი. თუმცა აღნიშნული განსხვავდება თხოვების ხელშეკრულებისგან, ვინაიდან ის, თავისი არსით, ცალმხრივი ხელშეკრულებაა და ამ ხელშეკრულების ფარგლებში მოთხოვნის უფლება აქვს მხოლოდ გამნათხოვრებელს, მონათხოვრეს კი მხოლოდ მოვალეობები ეკისრება (სსკ-ის 615-622-ე მუხლები). ამდენად, მოცემულ ურთიერთობაში არის ერთადერთი სუბიექტი, რომელსაც მოთხოვნა შეუძლია, რის გამოც ნივთის თხოვების შედეგად წარმოშობილი ზიანის რისკის მატარებელი გამნათხოვრებელია (კრედიტორი).[888]

1.4. სატრანსპორტო საშუალების ექსპლოატაციის შედეგად დამდგარი ზიანის ანაზღაურების მოვალეობის გამომრიცხველი გარემოებები

სსკ-ის 999-ემუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, ზიანის ანაზღაურების მოვალეობა არ გამოიყენება, როცა: ა) ზიანდება გადასაზიდი ტვირთი, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც მგზავრს ეს ტვირთი თან მიაქვს; ბ) ზიანდება სატრანსპორტო საშუალების მფლობელის მიერ შესანახად მიღებული ნივთი; გ) ზიანი გამოწვეულია ფორს-მაჟორულ გარემოებათა (დაუძლეველი ძალის, სტიქიური უბედურებების და სხვა) გამო. რაც შეეხება გადასაზიდი ტვირთის დაზიანებას, გადაზიდვის სფეროში მოქმედი კანონმდებლობა იცნობს მგზავრების გადაყვანისა და ტვირთის გადაზიდვის შემდეგ სახეებს (ტრანსპორტის სახეთა მიხედვით): სარკინიგზო, საზღვაო, შიდა წყლის, საჰაერო და საავტომობილო გადაზიდვა-გადაყვანას. თითოეული მათგანი ხასიათდება სპეციფიკური თავისებურებებით, რის გამოც აქვს (უსაფრთხოების) განსაკუთრებული წესები, რომლებიც რეგულირდება შესაბამისი ნორმატიული აქტებით, საქართველოს საჰაერო და საზღვაო კოდექსებით, ასევე საავტომობილო ტრანსპორტის წესდებით. გარდა აღნიშნული აქტებისა, თუ დელიქტი საერთაშორისო კერძოსამართლებრივ ხასიათს ატარებს, მისი გადაწყვეტისას ითვალისწინებენ 1993 წელს საქართველოს მიერ რატიფიცირებულ კონვენციის „საერთაშორისო სამოქალაქო ავიაციის შესახებ", ასევე, რიგი საერთაშორისო სახელმწიფოთაშორისო საჰაერო მიმოსვლებზე სხვა შეთანხმებათა მოთხოვნებსაც. სსკ-ის 999-ე მუხლის დელიქტური ვალდებულება ვრცელდება ყველა მათგანზე.[889]

---

[888] საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 20 ივლისის განჩინება (№ას-254-239-2010).

[889] ო. მაჭარაშვილი, დელიქტები საერთაშორისო კერძო სამართალში, ჟურნ. „ალმანახი", N15, 2000, 21-22.

საზღვაო კოდექსის 114-ე მუხლის თანახმად, საზღვაო გადაზიდვის ხელშეკრულება წერილობითი ხელშეკრულებაა, რომლითაც განსაზღვრულია გადამზიდავის (გამფრახტველის) და გამგზავნის (დამფრახტველის) უფლება-მოვალეობები. ამავე კოდექსის 156-ე მუხლით დადგენილია, რომ გადამზიდავი პასუხს აგებს გემზე მიღებული ტვირთის როგორც დაზიანების, ისე დაკარგვისა და დანაკლისისათვის, თუ ვერ დაამტკიცებს, რომ ასეთი ზიანი დადგა დამოუკიდებელი მიზეზების გამო. ასეთ მიზეზებად მითითებულია: ა) დაუძლეველი ძალის მოქმედება; ბ) ხიფათის შექმნა და შემთხვევითობა ზღვებსა და სანაოსნო წყლებში; გ) ხანძარი, რომელშიც გადამზიდავს ბრალი არ მიუძღვის; დ) ადამიანის სიცოცხლის, გემისა და ტვირთის გადარჩენა ან გადარჩენის მცდელობა; ე) ხელისუფლების მიერ გაცემული განკარგულება ან მისი მოქმედება (დაკავება, დაპატიმრება, კარანტინი...) და სხვა გარემოება. ამდენად, არაა პრინციპული განსხვავება არც სარკინიგზო გადაზიდვის შემთხვევაში. აქ ტვირთის გადაზიდვა ხორციელდება ზედნადების საფუძველზე. ამავე დროს, თუ ზედნადების ფორმა განსაზღვრულია, დასაშვებია მასში მხარეთა შეთანხმებით გარკვეული ცვლილებების შეტანაც. რკინიგზა კისრულობს მოვალეობას, მიიტანოს ტვირთი დანიშნულების ადგილზე შეთანხმებული პირობების დაცვით და გადასცეს ტვირთის მიმღებს, ხოლო ტვირთის გამგზავნი ამ და სხვა მომსახურებისათვის იხდის დადგენილ საფასურს. ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობისთვის, მათ შორის ტვირთის დაზიანებისათვის მხარეებს ეკისრებათ სარკინიგზო კოდექსით, სხვა ნორმატიული აქტებითა და ამავე მხარეთა შორის დადებული ხელშეკრულებით გათვალისწინებული პასუხისმგებლობა. რკინიგზის კოდექსის 46-ე მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, გადასაზიდად ტვირთის მიღებიდან მის გადაცემამდე რკინიგზას ეკისრება ქონებრივი პასუხისმგებლობა ტვირთის დაუცველობისათვის, თუ ვერ დაამტკიცებს, რომ იგი დაიკარგა, დაზიანდა, გაფუჭდა ან განიცადა დანაკლისი: ა) ტვირთის გამგზავნის ან ტვირთის მიმღების მიზეზით; ბ) ტვირთის ბუნებრივი თვისებების გამო; გ) ტარის (შეფუთვის) ნაკლოვანებების გამო; დ) გადასაზიდად იმ ტვირთის ჩაბარების გამო, რომლის ტენიანობაც აღემატება დადგენილ ნორმებს. ამასთან, რკინიგზა თავისუფლდება პასუხისმგებლობისაგან, თუ: ა) ტვირთი მიტანილ იქნა ტვირთის გამგზავნის გამართული ჩამკეტ-საპლომბი მოწყობილობის მქონე ვაგონით (კონტეინერით); ბ) ტვირთი დაზიანდა, გაფუჭდა ან ადგილი ჰქონდა დანაკლისს ღია მოძრავი შემადგენლობით ტვირთის გადაზიდვასთან დაკავშირებული ბუნებრივი მიზეზების გამო; გ) ტვირთის გადაზიდვა განხორციელდა ტვირთის გამგზავნის (ტვირთის მიმღების), გამცილებლის თანხლებით და ა.შ.[890]

[890] რ. ცინცაძე, პასუხისმგებლობა სატრანსპორტო საშუალების ექსპლოატაციის დროს წარმოშობილი ზიანისთვის, ჟურნ. „მეცნიერება და ცხოვრება", N2 (4), 2011, 90-91.

ამავდროულად, სატრანსპორტო საშუალების მფლობელის პასუხისმგებლობა უნდა გამოირიცხოს, თუ ზიანი გამოწვეულია თუნდაც ნივთის ექსპლოატაციის დროს, მაგრამ სხვა გარე ფაქტორების ზემოქმედებით და არა მომეტებული საფრთხის წყაროს თვისებებიდან გამომდინარე. მაგალითად, ეს შეეხება შემთხვევას, როცა მოსარჩელეს ზიანი გარედან ნასროლი ქვის შედეგად მიადგა, ეს ზიანი დადგა გარეშე ფაქტორის ზემოქმედების შედეგად, რაც ავტოსატრანსპორტო საშუალების მფლობელის პასუხისმგებლობის გამომრიცხველი გარემოებაა.[891] სამოქალაქო პასუხისმგებლობას მთლიანად ან ნაწილობრივ გამორიცხავს როგორც დაუძლეველი ძალა (სსკ-ის 394-ე მუხლის 1-ლი ნაწილი), ასევე დაზარალებულის ბრალი. დაუძლეველ ძალად ითვლება შემთხვევა, როცა, მიუხედავად ავტომანქანის გულისყურით მართვისა, ზიანის თავიდან აცილება ვერ ხერხდება. ასეთ შემთხვევაში უნდა დადგინდეს, ზიანი გამოწვეულია თუ არა დაბრკოლებით, რომელიც არ შედიოდა ტრანსპორტის მფლობელის კონტროლის სფეროში და მას გონივრულად არ შეეძლო არც მისი წინასწარ გათვალისწინება და არც დაბრკოლების ან მისი შედეგების თავიდან აცილება ან დაძლევა. შესაბამისად, აქ პირი მოკლებული იყო დაბრკოლებაზე ზემოქმედების შესაძლებლობას.[892]

იურიდიულ ლიტერატურაში გამოთქმული მოსაზრების თანახმად, სსკ-ის 999-ე მუხლი მჭიდროდ უკავშირდება 132-ე მუხლს, რომლითაც ხანდაზმულობის ვადის შეჩერების საფუძვლებია დადგენილი. ამ მუხლიდან გამომდინარეობს, რომ ხანდაზმულობის ვადა ჩერდება დაუძლეველი ძალის დროს, რომელიც განისაზღვრა, როგორც „განსაკუთრებული და მოცემულ პირობებში აუცდენელი ძალა“. მისი განსაკუთრებული ხასიათი, ჩვეულებრივ, შეიძლება გამოვლინდეს ბუნებრივ მოვლენებში (წყალდიდობა, ქარიშხალი, მიწისძვრა, მეწყერი და ა. შ.). ამასთან, მოცემულ პირობათა წრეს უნდა განეკუთვნებოდეს ის შესაძლებლობები, რომლებიც აქვს კონკრეტულ ფიზიკურ თუ იურიდიულ პირს, რომლის მიმართაც განიხილება დაუძლეველი ძალის ზემოქმედების საკითხი. ეს ის შემთხვევაა, როდესაც ის, რაც დაუძლეველია ფიზიკურ პირთა ნაწილის ან თუნდაც უმრავლესობისთვის, დაძლევადი შეიძლება იყოს სპეციალური მექანიზმებისა და საშუალებების მქონე სამხედრო ნაწილის, სამაშველო სამსახურისა და სხვა ორგანიზაციებისა თუ კონკრეტული ფიზიკური პირებისთვის, რომლებიც ფლობენ ასაწყობ ხიდებს, ავტომანქანა-ამფიბიებს, სა-

[891] იხ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს რეკომენდაციები სამოქალაქო სამართლის სასამართლო პრაქტიკის პრობლემატურ საკითხებზე და საქართველოს უზენაესი სასამართლოს ერთგვაროვანი პრაქტიკა სამოქალაქო საქმეებთან დაკავშირებით, თბ., 2007, 66.

[892] აღნიშნულთან დაკავშ. იხ. ზ. ძლიერიშვილი, სატრანსპორტო საშუალების ექსპლოატაციის შედეგად დამდგარი ზიანის ანაზღაურება, „სტუდენტური სამართლებრივი ჟურნალი“, 2012, 118.

ფრენ აპარატებს და ა. შ.[893] შესაბამისად, დაუძლეველი ძალად შეიძლება მოგვეელინოს სხვა ობიექტური ფაქტორებიც, თუმცა ერთ შემთხვევაში ერთი მოვლენა შეიძლება ჩაითვალოს დაუძლეველ ძალად, ხოლო სხვა შემთხვევაში - არა. ამდენად, განიხილება თუ არა მოცემული მოვლენა დაუძლეველ ძალად, დამოკიდებულია დროისა და ადგილის კონკრეტულ გარემოებათა გათვალისწინებაზე.[894]

ასევე, საგულისხმოა, რომ სატრანსპორტო საშუალების ექსპლოატაციის შედეგად წარმოშობილი ზიანის დროს ზიანის მიმყენებლისთვის სამოქალაქო პასუხისმგებლობის დასაკისრებლად უნდა გამოირიცხოს დაზარალებულის ბრალიც. დელიქტური ვალდებულებების მომწესრიგებელი ნორმები (სსკ-ის 992-1008-ე მუხლები) არ ითვალისწინებს შემხვედრი ბრალის საკითხს. ამასთან, სსკ-ის 326-ე მუხლის თანახმად, წესები სახელშეკრულებო ვალდებულების შესახებ გამოიყენება სხვა არასახელშეკრულებო ვალდებულებათა მიმართაც, თუკი ვალდებულების ხასიათიდან სხვა რამ არ გამომდინარეობს. ამავე კოდექსის 415-ე მუხლის თანახმად, თუ ზიანის წარმოშობას ხელი შეუწყო დაზარალებულის მოქმედებამაც, მაშინ ზიანის ანაზღაურების ვალდებულება და ამ ანაზღაურების მოცულობა დამოკიდებულია იმაზე, თუ უფრო მეტად რომელი მხარის ბრალით არის ზიანი გამოწვეული.[895]

პრაქტიკული თვალსაზრისით მნიშვნელოვანია სსკ-ის 415-ე მუხლის (შერეული ბრალი - თანაბრალეულობა) მიმართება სსკ-ის 999-ე მუხლთან. ისმის კითხვა: ენიჭება თუ არა დაზარალებულის ბრალს რაიმე მნიშვნელობა ზიანის ანაზღაურების საკითხის გადაწყვეტისას? სსკ-ის 415-ე მუხლი ზოგადი ხასიათის ნორმაა და ვრცელდება დელიქტური ვალდებულების დროს ზიანის ანაზღაურების ოდენობის განსაზღვრაზეც. თუმცა სსკ-ის 999-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევა სხვა დელიქტური ვალდებულებებისაგან განსხვავდება. მოცემულ შემთხვევაში მოქმედებს მომეტებული საფრთხის წყაროს ფაქტორი და ავტოსატრანსპორტო საშუალების მფლობელის პასუხისმგებლობის სტანდარტი უფრო მაღალია, ვიდრე ზიანის მიყენების სხვა შემთხვევებში. აქ ბრალის გარეშე პასუხისმგებლობა ისე არ უნდა გაიგოთ, რომ ავტოსატრანსპორტო საშუალების მფლობელმა ყოველთვის უნდა აგოს პასუხი მიყენებული ზი-

---

[893] რ. ცინცაძე, პასუხისმგებლობა სატრანსპორტო საშუალების ექსპლოატაციის დროს წარმოშობილი ზიანისთვის, ჟურნ. „მეცნიერება და ცხოვრება", N2 (4), 2011, 92.

[894] აღნიშნულთან დაკავშ. იხ. Л. А. Майданик, Н. Ю. Сергеева. Материальная ответственность за повреждение здоровья. М., 1968, 58; ი. ჩხიკვაძე, ბრალის გარეშე პასუხისმგებლობა და მომეტებული საფრთხის წყაროთი გამოწვეული ზიანის ანაზღაურება დელიქტურ ვალდებულებებში, ჟურნ. „თემიდა", N3(5), 2009, 109.

[895] საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 9 ნოემბრის განჩინება (№ას-494-463-2010).

ანისათვის. პასუხისმგებლობის დასაკისრებლად განმსაზღვრელია, რომ ზიანის მიყენება იყოს ამ სატრანსპორტო საშუალების ექსპლოატაციის შედეგი. მომეტებული საფრთხის წყაროთი მიყენებული ზიანისათვის პასუხისმგებლობის განსაკუთრებული ნორმები მოქმედებს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ზიანის დადგომა გამოწვეულია იმ ფაქტორების მოქმედებით, რომელთა გამოც ეს საშუალება მომეტებული საფრთხის წყაროდაა მიჩნეული. ავტოსატრანსპორტო საშუალების მფლობელი პასუხს აგებს მიყენებული ზიანისათვის, თუ ვერ დაამტკიცებს, რომ ზიანის დადგომა გამოწვეულია დაუძლეველი ძალის მოქმედებით,[896] ან თავად დაზარალებულის განზრახვით. ამ ფაქტორების გათვალისწინებით, ცალკეულ შემთხვევებში შესაძლებელია ზიანის მიმყენებელი პირის როგორც პასუხისმგებლობისაგან გათავისუფლება, ისე ზიანის ანაზღაურების ოდენობის შემცირება. ასეთ შემთხვევებში უნდა დადგინდეს, არის თუ არა ზიანის დადგომაში თავად დაზარალებულის ბრალი.[897]

ამდენად, ზიანის ანაზღაურების დაკისრების წინაპირობის – პირის ბრალეულობის არსებობა მოცემულ შემთხვევაში აუცილებელი არ არის. სატრანსპორტო საშუალების ექსპლოატაციის შედეგად დამდგარი ზიანის დაკისრებისას უტყუარად უნდა დადგინდეს ზიანის ანაზღაურების დაკისრების მოთხოვნის გამომრიცხავ გარემოებათა არარსებობა, კერძოდ, პასუხისმგებლობის მთლიან ან ნაწილობრივ გამომრიცხველ გარემოებად უნდა ჩაითვალოს როგორც დაუძლეველი ძალა, ასევე დაზარალებულის ბრალი.[898] ამასთან, სსკ-ის 1002-ე მუხლის თანახმად, არ შეიძლება წინასწარ გამოირიცხოს ან შეიზღუდოს სსკ-ის 999-ე მუხლით განსაზღვრული ზიანის ანაზღაურების ვალდებულება, თუ იგი ეხება პირისათვის მიყენებულ ზიანს. ამის საწინააღმდეგო შეთანხმებები და დებულებები ბათილია.

---

[896] იხ. K. Rohde, Haftung und Kompensation bei Straßenverkehrsunfällen, Eine rechtsvergleichende Untersuchung nach deutschem und neuseeländischem Recht, Tübingen, 2009, 135-136.

[897] საქართველოს უზენაეს სასამართლოში მოსამართლეთა რეგულარული შეხვედრების შედეგად სამოქალაქო და ადმინისტრაციული სამართლის სფეროში შემუშავებული რეკომენდაციები და სამოქალაქო სამართლის საკითხებზე საქართველოს უზენაესი სასამართლოს ერთგვაროვანი პრაქტიკა, თბ., 2011, 30.

[898] ზ. ძლიერიშვილი, სატრანსპორტო საშუალების ექსპლოატაციის შედეგად დამდგარი ზიანის ანაზღაურება, „სტუდენტური სამართლებრივი ჟურნალი", 2012, 119; დაზარალებულის ბრალი, როგორც ზიანის ანაზღაურების ოდენობის შემცირების წინაპირობა. იხ. T. Finke, Die Minderung der Schadenersatzpflicht in Europa, Zu den Chancen für die Aufnahme einer allgemeinen Reduktionsklausel in ein europäisches Schadensrecht, Göttingen, 2006, 35.

1.5. სატრანსპორტო საშუალების ექსპლოატაციით გამოწვეული დარღვევის იურიდიული შედეგი

სატრანსპორტო საშუალების ექსპლოატაციას შეიძლება მოჰყვეს ადამიანის სიკვდილი, დასახიჩრება, ჯანმრთელობის მოშლა, ანდა ნივთის დაზიანება, რომლებიც წარმოშობს ზიანის ანაზღაურების ვალდებულებას. ამასთან, ვინაიდან სსკ-ის 413-ე მუხლის 1-ლი ნაწილით დადგენილია, რომ არაქონებრივი ზიანი ანაზღაურდება მხოლოდ კანონით ზუსტად განსაზღვრულ შემთხვევებში, აქ კი უნდა მოიაზრებოდეს მატერიალური ზიანის ანაზღაურება. თუმცა ეს არ გამორიცხავს იმას, რომ გარკვეული წინაპირობების არსებობისას სატრანსპორტო საშუალების ექსპლოატაციამ შექმნას არაქონებრივი ზიანის ანაზღაურების საფუძველი. მაგალითად, სსკ-ის 999-ე მუხლი, რომელშიც გათვალისწინებულია სატრანსპორტო საშუალების ექსპლოატაციით დამდგარი ზიანის ანაზღაურების ვალდებულება სიკვდილის, დასახიჩრების, ჯანმრთელობის დაზიანებისა და ნივთის ხელყოფისთვის, შეიძლება უკავშირდებოდეს სსკ-ის 413-ე მუხლის მე-2 ნაწილსაც,[899] რომლის თანახმად, ჯანმრთელობის შელახვისას დადგენილია არაქონებრივი ზიანის ანაზღაურება. თუმცა, თუ ჯანმრთელობის ხელყოფას მოჰყვა შრომის უნარის წართმევა ან შემცირება ან კიდევ მოთხოვნილებების გაზრდა, ეს ქმნის, უპირველეს ყოვლისა, ქონებრივი ზიანის ანაზღაურების საფუძველს (სსკ-ის 408-ე მუხლის მე-2 ნაწ.). ამდენად, ცხადია, ჯანმრთელობის ყოველი შელახვა იმთავითვე არ გულისხმობს არაქონებრივი ზიანის ანაზღაურებას. საქმე ისაა, რომ არამატერიალური ზიანი ანაზღაურდება, თუ ჯანმრთელობას მიადგა ზიანი და ამან გამოიწვია სულიერი, ფსიქიკური ტანჯვა. ეს წინაპირობები კუმულაციურად უნდა არსებობდეს. როგორც უზენაესი სასამართლოს ერთ-ერთ გადაწყვეტილებაში განიმარტა, არაქონებრივი ზიანი არ უნდა ანაზღაურდეს, თუ ქონებრივი ზიანის გამო წარმოშობილ სულიერ ტანჯვას მოჰყვა ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესება (მოშლა).[900] ამ გარემოებების გათვალისწინებით, სატრანსპორტო საშუალებით ჯანმრთელობისთვის ზიანის მიყენებისას შეიძლება არაქონებრივი ზიანის ანაზღაურებაც (სსკ-ის 413-ე მუხლის მე-2 ნაწილი). მოცემულ შემთხვევაში არამატერიალური ზიანის ანაზღაურების მოთხოვნისთვის გამართლებულია სსკ-ის 413-ე და 999-ე მუხლების კუმულაცია.[901]

---

[899] იხ. გ. ასათიანი, სატრანსპორტო საშუალების ექსპლოატაციის შედეგად მიყენებული ზიანის ანაზღაურება, „სტუდენტური სამართლებრივი ჟურნალი", 2012, 16.

[900] ამავე მოსაზრების შესახებ იხ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2012 წლის 20 იანვრის გადაწყვეტილება (№ას-1156-1176-2011).

[901] იხ. გ. ასათიანი, სატრანსპორტო საშუალების ექსპლოატაციის შედეგად მიყენებული ზიანის ანაზღაურება, „სტუდენტური სამართლებრივი ჟურნალი", 2012, 16.

ასევე, ზემოთ დასახელებული სიკეთეების ხელყოფამ შეიძლება შექმნას სხვა მუხლების გამოყენების აუცილებლობაც. თუ სატრანსპორტო საშუალების ექსპლუატაციას მოჰყვა ადამიანის გარდაცვალება, შესაძლებელია ამ შემთხვევაში სსკ-ის 1006-ე მუხლის გამოყენებაც, რომელშიც მატერიალური ზიანის ანაზღაურებაზეა აქცენტი გაკეთებული.[902]

ამასთან, მართალია, ზოგადად, არაქონებრივი ზიანის ანაზღაურებისთვის აუცილებელია ზიანის მიმყენებლის ბრალის არსებობა, მაგრამ მოცემულ შემთხვევაში საქმე ეხება რა მომეტებული საფრთხის წყაროთი დამდგარ ზიანს, სამართალდამრღვევს სამოქალაქო პასუხისმგებლობა დაეკისრება, მიუხედავად ბრალისა.[903]

2. ნაგებობიდან ან ნივთიერებიდან გამომდინარე მომეტებული საფრთხით გამოწვეული ზიანის ანაზღაურება

ნაგებობისა და ნივთიდან გამომდინარე მომეტებული საფრთხით მიყენებული ზიანისთვის პასუხისმგებლობა დგება ბრალის გარეშე და, შესაბამისად, საკმარისია მხოლოდ სამი პირობის არსებობა: ა) ზიანი; ბ) ზიანის მიმყენებლის მართლსაწინააღმდეგო მოქმედება; გ) მიზეზობრივი კავშირი მართლსაწინააღმდეგო მოქმედებასა და დამდგარ შედეგს შორის.[904] აქვე შესაძლებელია ამ დელიქტური ვალდებულების მეოთხე ელემენტის გამოყოფა, რომელიც გულისხმობს იმას, რომ ზიანის ანაზღაურებისთვის არ უნდა არსებობდეს პასუხისმგებლობის გამომრიცხველი გარემოებები.

2.1. ნაგებობისა და ნივთიერებიდან გამომდინარე მომეტებული საფრთხის გამოყენებით წარმოშობილი ზიანი

ზოგადად, მომეტებულ საფრთხეში იგულისხმება ნებისმიერი საქმიანობა, რომლის განხორციელება შეიცავს ზიანის მიყენების აშკარა შესაძლებლობას და მისი გაკონტროლება აღემატება ადამიანის შესაძლებლობებს. ამ გაგებით, მომეტებული საფრთხეა სპეციალურ შენობა-ნაგებობებში წარმოებული, მოთავსებული ან მიწოდებული ელექტროენერგიის ანდა ხანძარსაშიში, ფეთქებადსაშიში, შხამიანი ანდა მომწამვლელი ნივთიერებების წარმოება, შენახვა, ტრანსპორტირება, რასაც მოჰყვა ადამიანის

---

[902] იხ. Michael E. Zeising, Der Nasciturus im Zivilverfahren, Göttingen, 2004, 86.

[903] იხ. ნ. ბარაბაძე, მორალური ზიანის ანაზღაურების უფლების წარმოშობის საფუძვლები, ჟურნ. „ადამიანი და კონსტიტუცია", N3, 2005, 68, 73-74.

[904] ი. ჩხიკვაძე, ბრალის გარეშე პასუხისმგებლობა და მომეტებული საფრთხის წყაროთი გამოწვეული ზიანის ანაზღაურება დელიქტურ ვალდებულებებში, ჟურნ. „თემიდა", N3(5), 2009, 111.

სიკვდილი, სხეულის ან ჯანმრთელობის დაზიანება ანდა ნივთის დაზიანება (სსკ-ის მე-1000 მუხლის 1-ლი ნაწილი).[905] ასევე, მომეტებული საფრთხის წყაროდ განიხილება ელექტროდანადგარები და ელექტროენერგიის დამგროვებელი ან გადამცემი საშუალებები, ჩარხები, მექანიზმები, ხანძარსაშიში და აფეთქებასაშიში, შხამიანი და მომწამლავი ნივთიერებები, ატომური ენერგიის გამოყენებასთან დაკავშირებული მოწყობილობები, მშენებლობები და სხვ. მათი გამოყენება და ფუნქციონირება მათივე თავისებურებებიდან გამომდინარე, ქმნის მომეტებულ საფრთხეს გარშემომყოფთათვის.[906]

მაგალითად, სახარატო თუ საფრეზერო ჩარხებთან მუშაობა მოითხოვს მნიშვნელოვანი სიფრთხილის გამოჩენას მათთან მომუშავის მხრიდან. ეს ეხება როგორც სხვადასხვა დამცავ საშუალებას (ბადე, ლითონის შალითა და სხვ.), ისე ამ მექანიზმებთან მომუშავე პირთა ჩაცმას. მაგ. დაუშვებელია ისეთი ტანსაცმლით მუშაობა, რომელიც გაზრდის მაღალი სიჩქარით მბრუნავი მექანიზმით მის ჩახვევა-ჩათრევის საფრთხეს. ამავე დროს, გასათვალისწინებელია, რომ მბრუნავი (მრანდავი და ა.შ.) მექანიზმების მყისიერი გაჩერება შეუძლებელია. ამ მექანიზმების გასაჩერებლად აუცილებელია ჯერ გადაწყვეტილების მიღება, შემდეგ შესაბამისი მოძრაობის შესრულება და ბოლოს, წამში რამდენიმე ასეული ბრუნვით მბრუნავი მექანიზმების გაჩერება, რომლის გაჩერების დროც პირდაპირპროპორციულია ამ მექანიზმის ბრუნვათა რიცხვისა და მასისა. შეუძლებელია იმის გარანტიის მიცემა, რომ ადამიანის ფაქტორისა თუ ბუნების ძალების გამოვლენის გამო (მიწისძვრა, ქარიშხალი, ქარბორბალა, წყალდიდობა, ცუნამი და სხვა) აბსოლუტურად უსაფრთხოდ წარიმართება ნებისმიერი მასშტაბის მშენებლობა, საწარმოო დანიშნულების აფეთქებათა განხორციელება, ატომური, ჰიდრო და სხვა სახის ელექტროსადგურების, მათი გამანაწილებელი სისტემების მუშაობა და მრავალი სხვა. სამწუხაროდ, ასეთი მაგალითი არაერთია. აღნიშნული და სხვა მსგავსი თავისებურებების გამო, მომეტებული საფრთხის წყარო არ ექვემდებარება ადამიანის სრულ კონტროლს, რაც განაპირობებს მის გაზრდილ საფრთხეს გარშემომყოფებისათვის.[907]

---

[905] ო. მაჭარაშვილი, დელიქტები საერთაშორისო კერძო სამართალში, ჟურნ. „ალმანახი", N15, 2000, 22.

[906] სხვადასხვა თეორიის შესახებ იხ. А. А. Крыжановская. Гражданско-правовая ответственность за вред, причиненный в связи с использованием сложных программных продуктов. М., 2010, 36-43.

[907] მომეტებული საფრთხის შესახებ იხ. Л. А. Майданик. Н. Ю. Сергеева. Материальная ответственность за повреждение здоровья. М., 1968, 48.

2.2. ქმედების მართლწინააღმდეგობა

როცა ზიანი გამომდინარეობს ნაგებობიდან ან ნივთიერებიდან, პირისთვის ზიანის ანაზღაურების დასაკისრებლად ქმედება უნდა იყოს მართლსაწინააღმდეგო, ანუ, არ შეესაბამებოდეს სამართლის ნორმებს. ზიანი შეიძლება დადგეს როგორც მოქმედებით, ისე უმოქმედობით.

2.3. მიზეზობრიობა

სსკ-ის მე-1000 მუხლის ფარგლებში პირის მიმართ პასუხისმგებლობის გავრცელება დამდგარი ზიანისთვის განპირობებულია თვით მფლობელობაში მყოფი ობიექტის განსაკუთრებული თვისებებით, ვინაიდან იგი არ ექვემდებარება კონტროლს სრული მოცულობით და წარმოადგენს გაზრდილ, მომეტებულ საფრთხეს გარშემომყოფთათვის. მომეტებული საფრთხის წყაროს მფლობელისათვის პასუხისმგებლობის დაკისრებით კანონმდებელი ცდილობს, მოახდინოს მისი სტიმულირება ამ წყაროს ექსპლოატაციის საიმედოობის ამაღლების, დაცვითი მექანიზმის სრულყოფის, უსაფრთხოების ღონისძიებათა გაუმჯობესების გზით, რათა მიღწეულ იქნეს მომეტებული საფრთხის წყაროს უვნებლობა.[908] შესაბამისად, ამ მუხლით პასუხისმგებლობის დასაკისრებლად აუცილებელია, რომ სწორედ პირის ქმედებამ და მომეტებული საფრთხის წყაროს განსაკუთრებულმა თვისებებმა გამოიწვიოს ზიანი.

თუ ნაგებობიდან გამომდინარეობს მომეტებული საფრთხე ამ ნაგებობაში წარმოებული, მოთავსებული ან მიწოდებული ენერგიისაგან, შხამიანი ანდა მომწამვლელი ნივთიერებებისაგან და ამ საფრთხის პრაქტიკულმა განხორციელებამ განაპირობა ადამიანის სიცოცხლის, სხეულის ან ჯანმრთელობის, ასევე, ნივთის დაზიანება, ნაგებობის მფლობელმა უნდა აუნაზღაუროს დაზარალებულს აქედან წარმოშობილი ზიანი. ანალოგიური წესი ვრცელდება ხანძარსაშიში ან ფეთქებადსაშიში, შხამიანი ან მომწამვლელი ნივთიერების მფლობელის მიმართ, თუ მომეტებული საფრთხე ამ ნივთიერებიდან გამომდინარეობს. ამასთან, თუ ამა თუ იმ ნაგებობიდან ან ნივთიერებიდან გამომდინარეობს მომეტებული საფრთხე სხვაგვარი საფუძვლით, ვიდრე მოცემული მუხლის 1-ლ ნაწილშია აღნიშნული, ნაგებობის ან ნივთის მფლობელი ვალდებულია, ანალოგიურად აანაზღაუროს საფრთხის განხორციელების შედეგად წარმოშობილი ზიანი. ამ შემთხვევაში ზიანის ანაზღაურება დასაშვებია არა მხოლოდ ელექტროგადამცემი

---

[908] რ. ცინცაძე, პასუხისმგებლობა ნაგებობიდან გამომდინარე მომეტებული საფრთხით გამოწვეული ზიანისათვის, ჟურნ. „მეცნიერება და ცხოვრება“, N1 (7), 2013, 325.

ხაზების ავარიით, არამედ დიდი ძაბვის ენერგიის მიწოდებისას ხანძრის გამოწვევის შემთხვევაშიც (სსკ-ის მე-1000 მუხლის მე-2 ნაწილი).[909]

2.4. პასუხისმგებელი პირი

მომეტებული საფრთხით მიყენებული ზიანისათვის პასუხისმგებლობა დგება არა მარტო განზრახვის ან გაუფრთხილებლობის (ბრალეულობის) საფუძველზე, არამედ ბრალის გარეშეც, რაც გამონაკლისია ბრალეულობის პრინციპზე დამყარებული პასუხისმგებლობის საერთო წესიდან.[910] ამ შემთხვევაში წარმოშობილი ზიანისთვის პასუხისმგებლობა ეკისრება ნაგებობისა და ხანძარსაშიში, ან აფეთქებადსაშიში, შხამიანი და მომწამლავი ნივთიერებების მფლობელს და არა ზიანის წარმოშობაში უშუალოდ ბრალეულ პირს (თუ ასეთი იყო), ენერგიის მწარმოებელს, შხამიან თუ მომწამლავ, ასაფეთქებელ ნივთიერებასთან მომუშავე ან მათზე პასუხისმგებელ და ა.შ. პირებს. მოცემულ შემთხვევაში ნაგებობის ანდა მითითებული საშიში ნივთიერებების მფლობელად არ განიხილება ზიანის უშუალოდ მიმყენებელი. ეს მფლობელი შეიძლება იყოს ფიზიკური თუ იურიდიული პირი, რომელიც კანონიერ საფუძველზე ფლობს ამ საშუალებებს და არ დაურღვევია მათი განთავსების, მოვლის, შენახვისა თუ ექსპლოატაციის დადგენილი წესები.[911]

მფლობელები შეიძლება გაიმიჯნოს იურიდიულ უფლებამოსილებათა და მატერიალურ ნიშანთა მიხედვით. პირველში იგულისხმება კანონით მინიჭებული უფლებამოსილება მომეტებული საფრთხის შემცველი ნივთიერებების ან ენერგიის წარმოება, შენახვა ან გამოყენება (მაგალითად, ქიმიური საწარმო, საქენერგოს ობიექტები და სხვა). მატერიალურ ნიშანში მოიაზრება მომეტებული საფრთხის შემცველი ნაგებობის მფლობელი ან მესაკუთრე, დროებით მოსარგებლე თუ სახელმწიფო ორგანო.[912]

---

[909] საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2006 წლის 27 სექტემბრის (№ას-105-545-06).

[910] ბრალის გარეშე პასუხისმგებლობას ამართლებდნენ სხვადასხვა გარემოებით. ამასთან, მეცნიერთა ნაწილს მიაჩნია, რომ ზიანის შემთხვევით მიყენების რისკი ითვალისწინებს როგორც ბრალის გარეშე პასუხისმგებლობის შემთხვევათა გამორიცხვას, ისე დაზარალებულის ინტერესებს. აღნიშნულთან დაკავშ. იხ. ბ. ზოიძე, ბრალის გარეშე პასუხისმგებლობა სამოქალაქო პასუხისმგებლობა, წიგნში: „ქართული სამართლის ისტორიის საკითხები", IV, ეძღვნება ი. დოლიძის ნათელ ხსოვნას, თბ., 1986, 152-163.

[911] რ. ცინცაძე, პასუხისმგებლობა ნაგებობიდან გამომდინარე მომეტებული საფრთხით გამოწვეული ზიანისათვის, ჟურნ. „მეცნიერება და ცხოვრება", N1 (7), 2013, 324-325.

[912] ო. მაჭარაშვილი, დელიქტები საერთაშორისო კერძო სამართალში, ჟურნ. „ალმანახი", N15, 2000, 22.

ამდენად, მომეტებული საფრთხის წყაროს მფლობელს ბრალის გარეშე პასუხისმგებლობა ეკისრება მის მფლობელობაში არსებული სატრანსპორტო საშუალების, ნაგებობისა თუ სხვა ობიექტის განსაკუთრებული თვისებებისა და გაზრდილი საფრთხის გამო. მომეტებული საფრთხის (ფაქტობრივი) მფლობელი არ თავისუფლდება პასუხისმგებლობისაგან მაშინაც, როცა თავისი ნების გამოვლენით გადასცემს სხვა პირს, გარკვეული დროით, ხელშეკრულებით თუ მის გარეშე მომეტებული საფრთხის ამ წყაროს მფლობელობაში. შესაბამისად, თუ პირი, რომელსაც დროებით გადაეცა მომეტებული საფრთხის წყარო მფლობელობაში, თავისი ბრალეული მოქმედებით (და არა მომეტებული საფრთხის წყაროს თვისებების გამო) გამოიწვევს ზიანის დადგომას, მისი გათავისუფლება პასუხისმგებლობისაგან არ იქნება სამართლიანი. მაგალითად, თუ ხარატი, ზეინკალი, ოპერატორი ან სხვა მუშაკი ჩარხთან, ენერგიის წყაროსთან, შხამიან ან მომწამვლელ ნივთიერებასთან და ა.შ. მუშაობისას ბრალეულად დაარღვევს ამ მექანიზმებთან მუშაობის წესებს, რასაც მოჰყვება ნივთის ან ადამიანის სხეულისა და ჯანმრთელობის დაზიანება ანდა მისი სკვდილი, როგორ იურიდიულ ლიტერატურაში აღინიშნა, პასუხიმგებლობა ამ დამრღვევს უნდა დაეკისროს, რაც უნდა აისახოს კიდეც სსკ-ის მე-1000 მუხლში.[913]

შესაბამისად, მოცემულ შემთხვევაში წარმოშობილი სამოქალაქო პასუხისმგებლობის თავისებურება ისაა, რომ იგი ეკისრება იმ ნაგებობის მფლობელს, რომელშიც მოთავსებულია მომეტებული საფრთხის გამომწვევი ნივთიერებები. ამასთან, ნაგებობის მფლობელი შეიძლება არც იყოს ზიანის უშუალო მიმყენებელი. ნაგებობის ფლობა უნდა განხორციელდეს კანონის საფუძველზე, რომელიც შეიძლება გამომდინარეობდეს, მაგალითად, საკუთრებისა და სხვა სანივთო უფლებებიდან.[914]

ამასთან, სსკ-ის მე-1000 მუხლის ფარგლებში უნდა ანაზღაურდეს ქონებრივი ზიანი, ვინაიდან სსკ-ის 413-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, არაქონებრივი ზიანისათვის ფულადი ანაზღაურება შეიძლება მოთხოვილ იქნეს მხოლოდ კანონით ზუსტად განსაზღვრულ შემთხვევაში გონივრული და სამართლიანი ანაზღაურების სახით. მოცემულ შემთხვევაში კანონმდებლობა მორალური ზიანის ანაზღაურებას არ ითვალისწინებს. სსკ-ის 413-ე მუხლის თანახმად, განსახილველი გარემოების საფუძველზე მორალური ზიანის ანაზღაურება ეწინააღმდეგება

---

[913] რ. ცინცაძე, პასუხისმგებლობა ნაგებობიდან გამომდინარე მომეტებული საფრთხით გამოწვეული ზიანისათვის, ჟურნ. „მეცნიერება და ცხოვრება", N1 (7), 2013, 327-328.

[914] ი. ჩხიკვაძე, ბრალის გარეშე პასუხისმგებლობა და მომეტებული საფრთხის წყაროთი გამოწვეული ზიანის ანაზღაურება დელიქტურ ვალდებულებებში, ჟურნ. „თემიდა", N3(5), 2009, 111.

ამ კატეგორიის საქმეებზე საქართველოს უზენაეს სასამართლოში არსებულ პრაქტიკას.[915]

2.5. ნაგებობიდან ან ნივთიერებიდან გამომდინარე ზიანის ანაზღაურების გამომრიცხველი გარემოებები

სსკ-ის 1002-ე მუხლის თანახმად, მე-1000 მუხლით დადგენილი ზიანის ანაზღაურების ვალდებულება, თუ იგი ეხება პირისათვის მიყენებულ ზიანს, არ შეიძლება წინასწარ გამოირიცხოს ან შეიზღუდოს. ეს წესი გამომდინარეობს ვალდებულებითი სამართლის ზოგადი ნაწილის დებულებებიდან. მასში აღნიშნულია, რომ დაუშვებელია მხარეთა წინასწარი შეთანხმება მოვალის მიერ განზრახი მოქმედებით ვალდებულების დარღვევისას ზიანის ანაზღაურებისგან მისი გათავისუფლების შესახებ (სსკ-ის 395-ე მუხლის მე-2 ნაწილი). სსკ-ის 326-ე მუხლის თანახმად, სახელშეკრულებო ვალდებულების თაობაზე წესები შესაძლებელია გავრცელდეს სხვა არასახელშეკრულებო ვალდებულებებზეც, თუ ვალდებულების ხასიათიდან სხვა რამ არ გამომდინარეობს. ზიანის წინასწარ გამორიცხვის ან შეზღუდვის პრინციპი გამოიყენება ნივთისათვის მიყენებული ზიანის მიმართ, თუმცა ამ შემთხვევაშიც არსებობს გამონაკლისი. სახელდობრ, დასაშვებია პასუხისმგებლობისაგან განთავისუფლება ან პასუხისმგებლობის შეზღუდვა, თუ შეთანხმება ზიანის ანაზღაურებაზე მიღწეულია ვალდებულ პირსა და საჯარო სამართლის იურიდიულ პირს, საჯაროსამართლებრივ ფონდს ან საწარმოს შორის.[916] ამის საწინააღმდეგო შეთანხმებები და დებულებები ბათილია.

ასევე, ნაგებობიდან ან ნივთიერებიდან წარმოშობილი ზიანის ანაზღაურების ვალდებულება არ არსებობს, თუ ნაგებობიდან გამომდინარე მომეტებული საფრთხის დროს წარმოშობილი ზიანი გამოწვეულია დაუძლეველი ძალით. თუმცა არის შემთხვევები, როცა პირი არ განთავისუფლდება პასუხისმგებლობისაგან დაუძლეველი ძალის არსებობის დროსაც კი. ასეთია ზიანი, რომელიც გამოწვეულია ელექტროგადამცემი ხაზების ავარიით, ნავთობის, გაზის, წყლის ან ნავთობპროდუქტების მიმწოდებელი მოწყობილობების დაზიანებით. ეს ამ სიკეთეების განსაკუთრებული ღირებულებით უნდა აიხსნას (სსკ-ის მე-1000 მუხლის მე-3 ნაწილი).[917]

---

[915] საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2006 წლის 27 სექტემბრის (№ას-105-545-06).

[916] ი. ჩხიკვაძე, ბრალის გარეშე პასუხისმგებლობა და მომეტებული საფრთხის წყაროთი გამოწვეული ზიანის ანაზღაურება დელიქტურ ვალდებულებებში, ჟურნ. „თემიდა“, N3(5), 2009, 112.

[917] რ. ცინცაძე, პასუხისმგებლობა ნაგებობიდან გამომდინარე მომეტებული საფრთხით გამოწვეული ზიანისათვის, ჟურნ. „მეცნიერება და ცხოვრება“, N1 (7), 2013, 328.

2.6. რადიაციული ნივთიერების გამოყენებით წარმოშობილი ზიანის ანაზღაურება

კანონმდებელმა სსკ-ის მე-1000 მუხლში ცალკე (მე-4 ნაწილი) გამოყო რადიაციული ნივთიერების გამოყენებით წარმოშობილი ზიანის ანაზღაურება, ხოლო ამ მუხლის მე-3 ნაწილით განსაზღვრა ზიანის ანაზღაურების გამორიცხვა 1-ლი და მე-2 ნაწილებით გათვალისწინებულ შემთხვევებში.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ლოგიკურად ჩნდება კითხვა: ერცელდება თუ არა მომეტებული საფთხით მიყენებული ზიანის ანაზღაურების გამორიცხვის წესი რადიაციული ნივთიერების უშუალო გამომყენებელზეც? ამ კითხვაზე უარყოფით პასუხს იძლევა თვით სსკ-ის მე-1000 მუხლის მე-4 ნაწილი, რომელშიც პირდაპირ გათვალისწინებულია, რომ რადიაციული ნივთიერებების გამოყენებით გამოწვეული ზიანი ყველა შემთხვევაში უნდა აანაზღაუროს მისმა გამომყენებელმა. ასეთი დათქმა აიხსნება რადიაციული ნივთიერებების არა თუ რეგიონალური, არამედ გლობალური საფრთხით ყველა ცოცხალი არსებისათვის რამდენიმე ათეული წლის განმავლობაში.[918]

§ 17. ხანძრის ჩაქრობისას წარმოშობილი ზიანის ანაზღაურების საშუალებები

სსკ-ის 1001-ე მუხლი ეთმობა ხანძრის ჩქარობიდან გამომდინარე დელიქტურ ვალდებულებას, რომელიც ხასიათდება სპეციფიკური თავისებურებებით.

განსახილველი მუხლის თანახმად, ხანძრის ჩაქრობის, მეზობელ ბინებსა და ნაგებობებზე მისი გავრცელების თავიდან აცილების დროს სხვა პირებისათვის მიყენებული ზიანი უნდა აანაზღაუროს იმ პირმა, რომელსაც ბრალი მიუძღვის ხანძრის გაჩენაში. მართალია, მოცემულ შემთხვევაში ანაზღაურდება ხანძრის ჩაქრობის, მეზობელ ბინებსა და ნაგებობებზე მისი გავრცელების თავიდან აცილების დროს მიყენებული ზიანი, მაგრამ ეს ნორმა იცავს მესამე პირთა უფლებებს, ხანძრის ჩაქრობისა და მისი თავიდან აცილებასთან დაკავშირებული მოქმედებების განხორციელების მიუხედავად. შესაბამისად, საქმე უნდა შეეხოს არა დასაბელებული ნორმის გამოყენებას, არამედ ხანძრის თავიდან აცილებისაკენ მიმართული

---

[918] რ. ცინცაძე, პასუხისმგებლობა ნაგებობიდან გამომდინარე მომეტებული საფრთხით გამოწვეული ზიანისათვის, ჟურნ. „მეცნიერება და ცხოვრება", NI (7), 325.

მართლზომიერი მოქმედებების არსებობისას ხანძრის შედეგად მიყენებული ზიანის ანაზღაურებას, რომელიც ამ ნორმით დადგენილ სამართლებრივ-მარეგულირებელ მექანიზმში გამოიხატება. აქ დაცულია იმ სხვა პირთა უფლებები, რომელთაც ზიანი მიადგათ მეზობელ ბინებსა და ნაგებობებზე გავრცელებული ხანძრის შედეგად, ანუ სხვა პირთა მფლობელობაში, მათი ბრალეული, მართლსაწინააღმდეგო ქმედებით ხანძრის გაჩენის გამო.[919]

მოცემულ შემთხვევაში ხანძრის ჩაქრობისკენ მიმართული ქმედება, რომლის მიზანი არის მეზობელ ბინებსა და ნაგებობებზე ხანძრის გავრცელების თავიდან აცილება, როგორც წესი, შეიძლება შეეხოს ფიზიკურ და იურიდიულ პირთა ქონების დაზიანებას.

სსკ-ის 1001-ე მუხლის ფარგლებში პასუხისმგებლობის დასაკისრებლად უნდა დადგინდეს, ვისი ბრალეულობით გაჩნდა ხანძარი. საქმე ისაა, რომ ზიანი ანაზღაურებაზე უფლებამოსილი პირი არის ის, ვისაც ხანძრის გაჩენაში ბრალული მოქმედებით მიადგა ზიანი. ეს პირი განიხილება მოთხოვნის უფლების სუბიექტად. ამასთან, ზიანის ანაზღაურება ეკისრება იმ პირს, ვისაც ხანძრის გაჩენაში ბრალი მიუძღვის. ვალდებულების სუბიექტი შეიძლება იყოს ფიზიკური და იურიდიული პირი. მაგალითად, დაწესებულების მუშაკის ბრალით წარმოშობილი ხანძრისგან მიყენებული ზიანის ანაზღაურება ეკისრება დაწესებულებას იმ შემთხვევაში, თუ მუშაკი სამსახურებრივ მოვალეობას ასრულებდა.

ამასთან, პასუხისმგებლობა შეიძლება დაეკისროს დაზარალებულსაც, ვისაც ზიანი მიადგა როგორც ხანძრის ჩაქრობის, ისე გავრცელების თავიდან აცილების დროსაც, თუ მას მიუძღვის ბრალი ხანძრის გაჩენაში. ამ შემთხვევაში აუცილებელია განზრახვის ან უხეში გაუფრთხილებლობის არსებობა. თუ პირი ბრალის გარეშე მოქმედებდა, მაშინ მისი პასუხისმგებლობის საკითხი არ დგება.[920]

§ 18. ცხოველის მიერ მიყენებული ზიანის ანაზღაურების წინაპირობები

კანონმდებელმა გაითვალისწინა შემთხვევა, როდესაც ცხოველის მფლობელს ევალება იმ ზიანის ანაზღაურება, რომელიც მისმა ცხოველმა სხვას მიაყენა. ამასთან, ზიანის ანაზღაურებისთვის არა აქვს მნიშვნელობა, ცხოველზე მეთვალყურეობა ხორციელდებოდა, ის დაიკარგა თუ გაიქცა.

[919] საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2006 წლის 29 ივნისის გადაწყვეტილება (№ას-1363-1588-05).

[920] შ. ჩიკვაშვილი, სსკ-ის კომენტარი, წ. IV, ტ. II, თბ., 2001, 413.

ზიანის ანაზღაურების ვალდებულება არ გამოიყენება, როცა ცხოველის მფლობელმა მიიღო აუცილებელი ზომები მესამე პირთა დასაცავად (სსკ-ის 1003-ე მუხლი).

სსკ-ის 1003-ე მუხლით გათვალისწინებული პასუხისმგებლობა შეიძლება დაეკისროს პირს, თუ დადგენილია შემდეგი წინაპირობები: ა) ცხოველის მიერ ზიანის მიყენება; ა) ზიანის მიმყენებლის არამართლზომიერი მოქმედება ან უმოქმედობა; ბ) არამართლზომიერ ქმედებასა და დამდგარ ზიანს შორის მიზეზობრივი კავშირი; გ) ზიანის მიმყენებლის ბრალი;[921] დ) პასუხისმგებლობის გამომრიცხველი გარემოებების არარსებობა.

1. ცხოველის მიერ ზიანის მიყენება

სსკ-ის 1003-ე მუხლის საფუძველზე პასუხისმგებლობის დასაკისრებლად აუცილებელია, რომ ცხოველმა მიაყენოს ზიანი ადამიანის კონკრეტულ სიკეთეს, სხეულს ან ჯანმრთელობას.[922]

როგორც იურიდიულ ლიტერატურაში აღინიშნა, ცხოველში შეიძლება მოიაზრებოდეს შინაური, ეგზოტიკური, წვრილფეხა, მსხვილფეხა და სხვა სახის ცხოველები, რომლებზეც მეთვალყურეობას ახორციელებს მფლობელი, ან რომლებიც გაქცეული არიან.[923] თუმცა „ცხოველის“ ცნება ვიწროდ არ უნდა განიხილებოდეს. საქმე ისაა, რომ ცხოველთა სამყაროში მოიაზრება ყველა სახის გარეული ცხოველების ერთობლიობა, რომლებიც მუდმივად ან დროებით ბინადრობენ საქართველოს ტერიტორიაზე, მის ტერიტორიულ წყლებში, კონტინენტურ შელფსა და განსაკუთრებულ ეკონომიკურ ზონაში და იმყოფებიან ბუნებრივი თავისუფლების მდგომარეობაში („ცხოველთა სამყაროს შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლის 1-ლი პუნქტი). ამასთან, გარდა გარეული, ქურდიანი და სხვა ცხოველებისა, დაცვის ღირსია ხერხემლიანი ცხოველებიც, ანუ ქორდიან გარეულ ცხოველთა ერთ-ერთი ტიპი, რომელიც აერთიანებს ხერხემლისა და ქალის მქონე მაღალორგანიზებულ ცხოველებს. მათ მიეკუთვნება მრგვალპირიანები, თევზები, ამფიბიები, ქვეწარმავლები, ფრინველები და ძუძუმწოვრები.[924] ეს ფაქტობრივად ეფუძნება ცხოველის ბიოლოგიურ გაგებას. ამდენად, აუცი-

---

[921] იხ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2014 წლის 1 მაისის გადაწყვეტილება (№ას-65-63-2014); საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2013 წლის 24 ოქტომბრის გადაწყვეტილება (№ას-447-423-2013).

[922] G. Spindler, O. Rieckers, Tort Law in Germany, The Netherlands, 2011, 86.

[923] ო. მაჭარაშვილი, დელიქტები საერთაშორისო კერძო სამართალში, ჟურნ. „ალმანახი“, №15, 2000, 23.

[924] „ცხოველთა სამყაროს შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლის მე-4 პუნქტი, 1996 წლის 25 დეკემბერი, №540- რს.

ლებელია „ცხოველის“ ფართო ინტერპრეტაცია, რომელიც დასახელებულ კანონითაა გათვალისწინებული, მით უმეტეს, რომ პირს შესაძლებელი ზიანი მიაყენოს მაგალითად ფრინველმა და მოცემულ სიტუაციაშიც სამოქალაქო პასუხისმგებლობა უნდა დადგეს მისი მფლობელის მიმართ.

ამდენად, სსკ-ის 1003-ე მუხლის გაგებით, ცხოველი შეიძლება იყოს, ძირითადად, ყველა სულიერი არსება, გარდა ადამიანისა და მცენარეებისა. ერთ-ერთი შეხედულების მიხედვით, ცხოველად მოიაზრება ფუტკარიც. სადავოა მხოლოდ მიკრობებისა და მიკროორგანიზმების, როგორიცაა ბაქტერიები და ვირუსები, სამართლებრივი მდგომარეობა. გერმანიის სასამართლო პრაქტიკა მიმართულია იქითკენ, რომ უკიდურეს შემთხვევაში უარყოს მიკროორგანიზმებთან დაკავშირებით სსკ-ის 1003-ე მუხლის გამოყენება, ვინაიდან თვით ინფექციის საფრთხის არსებობა არ უტოლდება ცხოველისგან მომდინარე საფრთხეს.[925]

2. ქმედების მართლწინააღმდეგობა

გარდა მოქმედებისა, არაა გამორიცხული, ცხოველის მფლობელის უმოქმედობამ გამოიწვიოს ზიანი, რომელიც აუცილებლად უნდა ანაზღაურდეს. ზიანი შეიძლება დადგეს მფლობელის წინასწარი შეცნობით ან უხეში, დაუდევარი ქცევით, რაც გამოიხატა აღნიშნული პირუტყვის პატრონობისთვის საჭირო ზომების მიუღებლობაში. მაგალითად, მფლობელის დაუდევარი ქცევა და უყურადღებობა ძაღლის მოვლა-პატრონობის მიმართ შეიძლება გამოვლინდეს იმაში, რომ ძაღლი არ დააბა, რაც ზიანის მიყენებას გამორიცხავდა.[926]

3. მიზეზობრივი კავშირი და მტკიცების ტვირთი

ზიანი უნდა იყოს ცხოველის ქცევასთან დაკავშირებული კონკრეტული საფრთხის შედეგი. გერმანიის ფედერალურმა უმაღლესმა სასამართლომ ამ დელიქტში გაიერთიანა შემთხვევა, როცა დაზარალებულმა თვითონ ჩაიყენა თავი საფრთხეში, მაგალითად, ცხენზე შევდომისას. თუმცა ცხოველის მფლობელს არ ეკისრება პასუხისმგებლობა, თუ დაზარალებული, რომელიც უპირატესად საკუთარი ინტერესებისთვის მოქმედებდა, თანხმდება მომეტებული საფრთხის არსებობას, რაც ზრდის ცხოველის ქცევისგან ჩვეულებრივ რისკს. შესაბამისად, გერმანიის უმაღ-

[925] V. Emmerich, BGB - Schuldrecht, Besonderer Teil, 13. Auflage, Heidelberg, München, Landsberg, Frechen, Hamburg, 2012, 341.

[926] დაწვრ. მიზეზობრივ კავშირთან დაკავშ. იხ. ო. კიკვიძე, ზიანის ანაზღაურება და მიზეზობრივი კავშირის ზოგიერთი საკითხი, ჟურნ. „საბჭოთა სამართალი“, N3, 1969, 35-38.

ლესმა ფედერალურმა სასამართლომ უარყო პასუხისმგებლობა მაშინ, როდესაც მხედარმა სპეციალურად აიყვანა აშკარად გაუხედნავი (ბოროტი) ცხენი, რათა ეჩვენებინა ცხენოსნობის უნარი.[927]

ამასთან, შეიძლება ცხოველის მფლობელის უმოქმედობას მოჰყვეს ზიანი, რომელიც უნდა ანაზღაურდეს. ამ შემთხვევაში მიზეზობრივი კავშირის დადგენის შესახებ საკითხი, როგორც პასუხისმგებლობის წარმომშობი პირობა, უნდა გადაწყდეს იმის მიხედვით, თუ ვინაა ზიანის მიმყენებელი პირუტყვის მფლობელი და მიღებულ იქნა თუ არა აუცილებელი ზომები მისი მოვლა-პატრონობისთვის, რათა თავიდან აცილებულიყო ზიანის მიყენების შესაძლებლობა.[928]

მაგალითი: ა-მ მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვი საძოვრად მიუშვა, რასაც ბ-ს მოსავლის განადგურება მოჰყვა (მიზეზობრივი კავშირი). ამასთან, როგორც ა-ს განმარტებიდან ირკვევა, საქონელი მწყემსებს გადაეპარათ ბ-ს სიმინდის ყანაში, შესაბამისად, ა-ს მოქმედება უნდა შეფასდეს გაუფრთხილებელ (ბრალეულ) ქმედებად. სსკ-ის 408-ე მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, იმ პირმა, რომელიც ვალდებულია ანაზღაუროს ზიანი, უნდა ალაგდინოს ის მდგომარეობა, რომელიც იარსებებდა, რომ არ დამდგარიყო ანაზღაურების მავალდებულებელი გარემოება. მოცემულ შემთხვევაში ზიანის ანაზღაურება სამართლებრივი სიკეთის ხელყოფისთვის ეკისრება ცხოველის მფლობელს.[929] ამავე კოდექსის 409-ე მუხლის თანახმად, თუ ზიანის ანაზღაურება პირვანდელი მდგომარეობის აღდგენით შეუძლებელია, ან ამისთვის საჭიროა არათანაზომიერად დიდი დანახარჯები, მაშინ კრედიტორს შეიძლება მიეცეს ფულადი ანაზღაურება. შესაბამისად, ანაზღაურებას ექვემდებარება ნებისმიერი ზიანი, მიყენებული პირის ქონებისათვის, რომელიც შეიძლება გამოიხატოს დაზარალებულის ქონების განადგურებით ან მისაღები მოგების შემცირებით. ამასთან, დელიქტური პასუხისმგებლობის ერთ-ერთი პრინციპი, რომელიც ზიანის სრულად ანაზღაურებაში მდგომარეობს, ნიშნავს, რომ დაზარალებულს უნდა აუნაზღაურდეს ყველა ქონებრივი დანაკარგი, როგორც რეალური, ასევე მიულებელი შემოსავლის სახით. მიყენებული ზიანის ოდენობის მტკიცების ტვირთი აწევს დაზარალებულს. ამდენად, ა აგებს პასუხს საკუთარი ცხოველის ქმედებით გამოწვეული ზიანისთვის.[930]

[927] G. Spindler, O. Rieckers, Tort Law in Germany, The Netherlands, 2011, 86.

[928] მიზეზობრივი კავშირის შესახებ დაწვრ. იხ. ო. კიკვიძე, ზიანის ანაზღაურება და მიზეზობრივი კავშირის ზოგიერთი საკითხი, ჟურნ. „საბჭოთა სამართალი", N3, 1969, 35-38.

[929] იხ. A. Röthel, Gefährdungshaftung, In: "JURA", Heft 6, 2012, 447.

[930] საქართველოს სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2014 წლის 1 მაისის გადაწყვეტილება (№ას-65-63-2014); ცხოველისგან გამოწვეული ზიანის დროს მისი მფლობელის პასუხისმგებლობის შესახებ, ასევე, იხ. Petra Buck-Heeb, Examens-Repetitorium, Besonderes Schuldrecht, 2, Gesetzliche Schuldverhältnisse, 4. Auflage, Heidelberg, München, Landsberg, Frechen, Hamburg, 2012, 135-136.

გარდა ამისა, მოცემულ შემთხვევაში დაზარალებულმა უნდა დაასაბუთოს და ამტკიცოს, რომ ზიანი მოპასუხის კუთვნილმა ცხოველმა მიაყენა. შესაბამისად, იმ ფაქტობრივი გარემოებების მტკიცების ტვირთი, რომლებიც ცხოველის მფლობელის თვისებებს ეფუძნება, ეკისრება დაზარალებულს, კერძოდ მან უნდა დაასაბუთოს, რომ სწორედ ამ გარემოებებმა გამოიწვია ზიანი. თუმცა სასამართლომ უნდა შეაფასოს და დაასკვნას, რომ ზიანი კონკრეტული ცხოველის საფრთხის რეალიზებით დადგა. სასამართლომ უნდა განსაზღვროს ისიც, რომ ხელყოფა მომეტებული საფრთხის წყაროს გამოყენებით წარმოშობილი საფრთხის საკვანძო ელემენტია. ამასთან, ადამიანის კონტროლქვეშ მყოფი ცხოველების მიერ საფრთხის რეალიზებისას ეს მუხლი არ გამოიყენება და აქ ბრალეული პასუხისმგებლობა სსკ-ის 992-ე მუხლს უნდა დაეფუძნოს. სსკ-ის 1003-ე მუხლით ცხოველის მფლობელის პასუხისმგებლობა გამოირიცხება, თუ ცხოველი ფიზიოლოგიური ზეგავნელის გამო აყენებს სხვა ზიანს, ვინაიდან ცხოველმა ზიანი გამოიწვია სხეულებრივი ან დაუძლეველი ძალის შედეგად.[931]

4. ცხოველის მიერ მიყენებული ზიანისთვის პასუხისმგებელი პირის ბრალეულობა

როცა გაირკვევა ცხოველის მიერ ზიანის მიყენება, შემდგომი ეტაპია იმის დადგენა, თუ ვის ეკისრება პასუხისმგებლობა ცხოველის მიერ მიყენებული ზიანისთვის. მოცემულ შემთხვევაში პასუხს აგებს ცხოველის მფლობელი დამდგარი ზიანისთვის.[932] ცხოველის მფლობელად მიიჩნევა პირი, რომელსაც ცხოველის ბედის გადაწყვეტისა და მასზე საკუთრების უფლება აქვს და რომელიც ასევე მისი შენახვისთვის ხარჯებს გასწევს, დაკარგვის რისკს ატარებს.[933]

ზოგადად, ცხოველის მფლობელს ეკისრება გამკაცრებული პასუხისმგებლობა ზიანისთვის, რომელიც ამ ცხოველმა პიროვნებას ან ნივთებს მიაყენა. ცხოველის მფლობელისთვის პასუხისმგებლობის დასაკისრებლად არაა სავალდებულო ბრალის დამტკიცება და მას არ შეუძლია პასუხისმგებლობისგან თავის არიდება იმაზე დაყრდნობით, რომ არაბრალეულია. შინაური ცხოველის მიერ მიყენებული ზიანის გამო პასუხს აგებს მისი მფლობელი გამკაცრებული პასუხისმგებლობის საფუძველზე, მიუხედავად ბრალეულობისა. გარკვეულწილად განსხვავებული წესი ვრცელდება მხო-

[931] S. Lehmann, Die Tierhaltehaftung nur bei intrinisch verwirklichter spezifischer Tiergefahr – eine negative Typenkorrektur, VersR, Heft 19, 2011, 849-850.

[932] იხ. A. Röthel, Gefährdungshaftung, In: "JURA", Heft 6, 2012, 446.

[933] G. Spindler, O. Rieckers, Tort Law in Germany, The Netherlands, 2011, 85.

ლოდ პროფესიული მიზნით მოქმედი ცხოველების მფლობელების მიმართ, რომელთა ცხოველები მათი საქმიანობის განხორციელებას ან შრომითი მოვალეობების შესრულებას ემსახურებიან. მაგალითად, ნაგაზი, პოლიციის ძაღლი და სხვა. ასეთი პროფესიული მიზნით მოქმედი ცხოველების მფლობელის პასუხისმგებლობის დროს იგარაუდება მისი ბრალეულობა, რომელიც შეიძლება უარყოფილ იქნეს და ამ გზით პირი პასუხისმგებლობისგან განთავისუფლდეს. ამდენად, გამოსაკვეთია ორი შემთხვევა: ა) ეგზოტიკური ცხოველის მფლობელი პასუხს აგებს ამ ცხოველის მიერ მიყენებული ზიანისთვის, რომელიც მიადგა პიროვნებას ან ქონებას, მიუხედავად მისი ბრალისა; ბ) თუ შინაური ან სამეურნეო დანიშნულების ცხოველი, რომელიც მფლობელის შრომით საქმიანობას ემსახურება, ზიანს მიაყენებს სხვას, იგარაუდება, რომ მისმა მფლობელმა პასუხი უნდა აგოს ბრალეულობისთვის, ვიდრე ის არ დაამტკიცებს, რომ მან მეთვალყურეობაზე თავისი მოვალეობა ჯეროვნად შეასრულა, ან ზიანი აუცილებელი ზედამხედველობის დროსაც ვერ იქნებოდა აცილებული (ბრალეული პასუხისმგებლობის პრეზუმფცია).[934]

ამასთან, სსკ-ის 1003-ე მუხლით დადგენილი ზიანის ანაზღაურების ვალდებულება შეიძლება გავრცელდეს არამესაკუთრეზეც, თუ ზიანის მიყენების მომენტისთვის ცხოველი მის მფლობელობაში იყო. მოცემული შემთხვევა შეიძლება შეეხოს მესაკუთრის მიერ ცხოველის სხვისთვის მიბარებას.[935] ამდენად, თუ ცხოველი გარკვეული დროით გადაეცა სხვას, რომელიც, ცხოველის მფლობელთან არსებული შეთანხმების მიხედვით, კისრულობს ცხოველის გაკონტროლების მოვალეობას, მაშინ პასუხისმგებლობა მასზე უნდა გავრცელდეს.[936]

ასევე, ცხოველის მფლობელის პასუხისმგებლობის განსაზღვრისთვის არა აქვს მნიშვნელობა, ცხოველზე მეთვალყურეობა ხორციელდება, ცხოველი დაიკარგა თუ გაიქცა. მოცემულ შემთხვევაში ზიანის ანაზღაურების ვალდებულება არ გამოიყენება, როცა ცხოველის მფლობელმა მიიღო აუცილებელი ზომები მესამე პირთა დასაცავად (მაგალითად, დააბა, მოათავსა იზოლირებულ ადგილას და ა.შ.).[937]

მაგალითი N1: დღის 2 საათზე ჯობაძის ძაღლებმა დაგლიჯეს ქემოკლიძის ორი მაკე ღორი, რომლებიც ადგილ ზევე დაიხოცნენ. თუ არ

[934] Dietmar o. Reich, P. Schmitz, Einführung in das Bürgerliche Recht, Mit Praxisfällen, 3. Auflage, Wiesbaden, 2000, 337; V. Emmerich, BGB – Schuldrecht, Besonderer Teil, 13. Auflage, Heidelberg, München, Landsberg, Frechen, Hamburg, 2012, 344.

[935] შ. ჩიკვაშვილი, სსკ-ის კომენტარი, წ. IV, ტ. II, თბ., 2001, 415.

[936] G. Spindler, O. Rieckers, Tort Law in Germany, The Netherlands, 2011, 85.

[937] აღნიშნულთან დაკავშირებით იხ. ო. მაჭარაშვილი, დელიქტები საერთაშორისო კერძო სამართალში, ჟურნ. „ალმანახი", N15, 2000, 23.

დადასტურდა, რომ ჯოხაძეს დაბმული ჰყავდა ძაღლები, ესე იგი, არსებობს პასუხისმგებლობის გამომრიცხველი გარემოება. ამიტომ ქმედების მიმართ ზიანის ანაზღაურებაზე პასუხისმგებელ პირად ითვლება ჯოხაძე. ამასთან, სსკ-ის 408-ე მუხლის 1-ლი ნაწილის და 409-ე მუხლის დანაწესიდან გამომდინარე, პირვანდელი მდგომარეობის აღდგენის შეუძლებლობის გამო ზიანის ანაზღაურების სახედ უნდა განისაზღვროს ფულადი ანაზღაურება. რაც შეეხება ქონებრივი დანაკლისის ოდენობის დადგენას, ის უნდა იქნეს დაზღვეული ღორების ხორცის მასისა და მისი საბაზრო ღირებულების გათვალისწინებით გამოთვლილი. სახელდობრ, თუ 1 კგ ხორცის ღირებულება 8 ლარია და ღორები იწონის 190 კგ-ს, ქონებრივი დანაკლისის ოდენობა იქნება (190 x 8 ლ) 1 520 ლ.[938]

მაგალითი N2: ცხოველი, რომელმაც ნათესი დააზიანა, ა-სა და ბ-ს საკუთრებაა. მიუხედავად არაერთი გაფრთხილებისა, მათ არ მიუმართავთ რაიმე ზომისთვის გ-ს ინტერესის დასაცავად. ამიტომ პირუტყვის მიერ ნათესის დაზიანებისთვის მათ უნდა დაეკისროთ მიყენებული ზიანის ანაზღაურება.[939]

ამასთან, არსისმიერია ის, რომ სამართლებრივი რეგულირების საგანი შეიძლება იყოს მხოლოდ ადამიანთა საქმიანობა. მომეტებული საფრთხის მატარებელი მატერიალური ობიექტებით ზიანის მიყენება მათი სარგებლობის საქმიანობის ფარგლებს გარეთ არ ექვემდებარება სამართლებრივ რეგულირებას. ამასთან, როცა სახელმწიფო გარეული ცხოველების მესაკუთრეა, არ აგებს პასუხს იმ ზიანისთვის, რომელიც დგება იმ ცხოველების მიერ, რომლებიც ბუნებრივი თავისუფლების მდგომარეობაში იმყოფებიან. ეს სწორედ განსაზღვრული ობიექტის გამოყენებასთან დაკავშირებული საქმიანობიდან გამომდინარეობს, რომელსაც სახელმწიფო არ ახორციელებს. მხოლოდ გარეული ცხოველების შენახვა მათი ჩვენების მიზნით და ა. შ. არის ის საქმიანობა, რომელიც ირგვლივ მყოფთათვის მომეტებულ საფრთხეს ქმნის.[940]

---

[938] საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2012 წლის 30 აპრილის გადაწყვეტილება (№ას-277-268-2012).

[939] საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2003 წლის 31 ოქტომბრის გადაწყვეტილება (№ას-181-882-03).

[940] შ. ჩიკვაშვილი, სსკ-ის კომენტარი, წ. IV, ტ. II, თბ., 2001, 415.

§ 19. შენობის ჩამოქცევით გამოწვეული ზიანის ანაზღაურება

1. სსკ-ის 1004-ე მუხლის 1-ლი ნაწილი

სსკ-ის 1004-ე მუხლი მოიცავს ორ ნაწილს. სსკ-ის 1004-ე მუხლის 1-ლი ნაწილის გამოყენების წინაპირობებია: ა) შენობა ან მისი ნაწილი, ბ) ზიანი, გ) რომელიც დადგა შენობის თუ მისი ნაწილის ჩამოქცევით ან ჩამონგრევით; დ) ისეთი გამონაკლისი შემთხვევის არარსებობა, რომელიც გამორიცხავს შენობის მესაკუთრის ვალდებულებას ზიანის ანაზღაურებაზე.

უპირველეს ყოვლისა, აღსანიშნავია, რომ შენობის ჩამოქცევიდან წარმოშობილი დელიქტური ვალდებულება განიხილება ფართოდ და არ შეიძლება შემოიფარგლოს მხოლოდ შენობის ჩამოქცევით; ის შეიძლება შეეხოს შენობის ცალკეული ნაწილების ჩამონგრევასაც.[941] შენობად მოიაზრება ყოველმხრივ დახურული სივრცე, რომელიც გამოიყენება ადამიანთა ან ცხოველთა საცხოვრებლად, ან ნივთების შესანახად. შენობის ნაწილებია, მაგალითად, ბუხარი, ჟალუზები... გარდა ამისა, ზიანი შეიძლება გამოიწვიოს მიწის ნაკვეთთან დაკავშირებულმა სხვა შენობამ, რომელიც, როგორც წესი, ემსახურება კონკრეტულ მიზანს, მაგალითად ასეთია ბაღის კედელი, ღობე, ელექტროგადამცემი ხაზი.[942]

მოცემულ შემთხვევაში მფლობელი შეიძლება იყოს მეპატრონე (მესაკუთრე). სსკ-ის 1004-ე მუხლის 1-ლი ნაწილის მიხედვით, პასუხისმგებლობა შეიძლება წინა მფლობელმა იტვირთოს.[943]

მიწის ნაკვეთის მესაკუთრეს ევალება ზიანის ანაზღაურება, თუ უძრავ ქონებასთან დაკავშირებული შენობის ჩამოშლით ან მისი ნაწილების ჩამოქცევით ადამიანი გარდაიცვლება, მის სხეულს ან ჯანმთელობას ან ქონებას ზიანი მიადგება. შენობის ჩამოქცევაში მოიაზრება მაგალითად, მილსადენის თუ ელექტროგადამცემი ხაზის ჩამოვარდნა. აქ პასუხისმგებლობა იზღუდება იმით, რომ, ნორმის მიზნის მიხედვით, ზიანის დეტერმინანტი უნდა იყოს „შენობის ჩამონგრევა ან ჩამოქცევა".[944]

ამასთან, სსკ-ის 1004-ე მუხლი ითვალისწინებს გამკაცრებული პასუხისმგებლობის გავრცელებას მიწის ნაკვეთის მფლობელის, შენობის მფლობელისა თუ იმის მიმართ, ვისაც შენობის მოვლა ევალება - იმათთვის, რომლებიც ხელშეკრულებით შენობას ან საწარმოს იკავებენ

---

[941] შ. ჩიკვაშვილი, სსკ-ის კომენტარი, წ. IV, ტ. II, თბ., 2001, 416.

[942] იხ. U. Grzesiak, S. Iwersen, E. Off, P. Schlinck, Haftpflicht- und Rechtsschutzversicherung, Ausbildungsliteratur, Karlsruhe, 2009, 34.

[943] იხ. G. Spindler, O. Rieckers, Tort Law in Germany, The Netherlands, 2011, 84.

[944] იხ. H. Mahne, Eigentum an Versorgungsleitungen, Berlin (Diss.), 2008, Frankfurt am Main, 2009, 210.

და მასზე ზრუნავენ, როგორიცაა მაგალითად, მენეჯერები, მოიჯარე. თუ შენობის ჩამოქცევით ან მისი ნაწილების ჩამონგრევით ზიანი მიადგა პიროვნებას ან ქონებას, ბრალი ივარაუდება არასწორი მოვლის გამო. თუმცა ზიანის ანაზღაურების მოვალეობა შეიძლება არ წარმოიშვას, თუ მფლობელი საფრთხის თავიდან ასაცილებლად აუცილებელ მზრუნველობას იჩენდა (შენობა ააშენეს პროფესიონალებმა და ის შემოწმდა კიდეც).[945] ამდენად, შენობის მფლობელის ზიანის ანაზღაურების მოვალეობა არ არსებობს, თუ ზიანი არ გამოუწვევია შენობის არასათანადო მოვლას ან შენობის ნაკლს. შესაბამისად, შენობის მფლობელმა უნდა აანაზღაუროს ზიანი მესამე პირების დაცვის მიზნით იმ შემთხვევაში, როცა შენობის ჩამოქცევა ან მისი ნაწილის ჩამონგრევა გამოწვეულია კონსტრუქციის ნაკლით ან არასათანადო მოვლით და აღნიშნულს მოჰყვა კონკრეტული სიკეთეების დაზიანება. რაც შეეხება ამ შემთხვევაში წარმოშობილ პასუხისმგებლობას, აქ საქმე ეხება საზოგადოებრივი უსაფრთხოების უზრუნველყოფის მიზნით ზოგადი მოვალეობის სპეციფიკურ გამოვლინებას, რომელიც უკავშირდება მტკიცების ტვირთის შებრუნებას.[946] სსკ-ის 1004-ე მუხლში დაწესებულია შენობის მესაკუთრის პასუხისმგებლობა პრეზუმირებული ბრალისთვის. აქ ივარაუდება, რომ ნივთის მფლობელი შენობის არასათანადო მოვლის ან არასწორად აშენების გამო ბრალეულია, ვინაიდან მან არ გაითვალისწინა, რომ აუცილებელი ყურადღებიანობის ფარგლებში გარკვეული ღონისძიებების გამოყენებით საფრთხეს თავიდან აიცილებდა. ასევე, მოქმედებს ვარაუდი, რომ პრეზუმირებულ ბრალეულ ქმედებასა და შენობის ჩამოქცევას ან მისი ნაწილების ჩამონგრევას შორის მიზეზობრივი კავშირი არსებობს.[947] თუმცა დაზარალებულს ევალება მისთვის ზიანის მიყენების ფაქტის დადასტურება. სსკ-ის 1004-ე მუხლის თანახმად, სპეციფიკური რისკის შესაძლებლობაა შენობის ან მისი ნაწილების რღვევა, რომელიც გამოწვეულია ინჟინერიის ზოგადი წესების უგულებელყოფით. ჩვეულებრივ, მფლობელისთვის უფრო იოლია იმის დასაბუთება, რომ მის საკუთრებაში შენობის მშენებლობა განსაკუთრებულ საფრთხეს შეიცავს.[948] როცა ადმინისტრაციული ორგანოა შენობის მესაკუთრე და შენობის ჩამოქცევას მოჰყვა ზიანი, ის პასუხს აგებს ბრალის გარეშე ზიანისთვის, თუ ჩამოქცევა

---

[945] U. Grzesiak, S. Iwersen, E. Off, P. Schlinck, Haftpflicht- und Rechtsschutzversicherung, Ausbildungsliteratur, Karlsruhe, 2009, 34; შენობიდან გამოწვეული ზიანის ანაზღაურებაზე, ასევე, იხ. G. Brüggemeier, Haftungsrecht: Struktur, Prinzipien, Schutzbereich, Ein Beitrag zur Europäisierung des Privatrechts, Heidelberg, 2006, 520.

[946] G. Spindler, O. Rieckers, Tort Law in Germany, The Netherlands, 2011, 84.

[947] T. Gabriel, Zivilrechtliche Betreiberverantwortung, In: Rechtshandbuch Facility Management, Herausgeber Eike N. Najork, Heidelber, 2009, 192-193; Dirk-Carsten Günther, Der Regreß des Sachversicherers, 3. Auflage, Karlsruhe, 2008, 308.

[948] G. Spindler, O. Rieckers, Tort Law in Germany, The Netherlands, 2011, 84.

გამოიწვია შენობის არასათანადო მოვლამ ან ნაკლმა. მაგალითად, თუ რომელიმე სახელმწიფო დაწესებულების შენობის კედლის ჩამონგრევამ განაპირობა ფეხით მოსიარულე პირის ჯანმრთელობის დაზიანება, ზიანის ანაზღაურება სახელმწიფოს დაეკისრება.[949]

შესაბამისად, ნორმაში ორი სახის მტკიცების ტვირთია წარმოდგენილი: საქმე ეხება, ერთი მხრივ, მოწინააღმდეგე მხარის ბრალის არსებობის ვარაუდს, მეორე მხრივ, მიზეზობრიობის პრეზუმფციას, რომელსაც ეფუძნება პასუხისმგებლობა. მოთხოვნის წინაპირობაა იმის დადგენა, თუ რამ მიაყენა ადამიანს ზიანი, ან გამოიწვია სიკვდილი - შენობის ჩამოქცევამ ან მისი ნაწილის ჩამონგრევამ თუ მასთან დაკავშირებულმა შენობამ. ამ მუხლის მიხედვით, ხარაჩოები შეიძლება ჩაითვალოს შენობასთან დაკავშირებულ ნაგებობად. ამასთან, პასუხისმგებელია მფლობელი მიწის ნაკვეთისა, რომელზეც ჩამოქცევადი შენობა ან მისი ნაწილი იდგა.[950] საქმე ისაა, რომ იქ, სადაც ბრალი ივარაუდება, ხელმყოფი პასუხს აგებს ბრალის გარეშე, თუ ის არაა გათავისუფლებული პასუხისმგებლობისგან და არ დაამტკიცებს თავის არაბრალეულობას. ეს ეხება შენობის ჩამოქცევის ან მისი ნაწილის ჩამონგრევის დროს წარმოშობილ დელიქტურ ვალდებულებასაც.[951] შესაბამისად, შენობის ჩამოქცევის ან მისი ნაწილის ჩამონგრევის შედეგად წარმოშობილი ზიანი უნდა აანაზღაუროს მხოლოდ შენობის მესაკუთრემ. რაც შეეხება დამქირავებელს ან სხვა პირს, რომელიც შენობას კანონიერი საფუძვლით იყენებს, ისინი მოცემულ შემთხვევაში პასუხს არ აგებენ. თუმცა, კანონმდებელმა ასევე განსაზღვრა შემთხვევა, როდესაც შენობა ჩამოიქცევა ან მისი ცალკეული ნაწილი ჩამოინგრევა მისგან დამოუკიდებელი არაბრალეული მოქმედების გამო, რის გამოც სახლის მესაკუთრე თავისუფლდება ამ ვალდებულებისაგან (სსკ-ის 1004-ე მუხლის 1-ლი ნაწილი). აღნიშნულით დასტურდება, რომ, თუ მესაკუთრე შენობას სათანადოდ უვლიდა, თუმცა მაინც ჩამოიქცა, ან მისი ცალკეული ნაწილი ჩამოინგრა, ან თუ შენობას აქვს ნაკლი (მაგალითად, აღმოჩნდა, რომ ოდესღაც სახლის აშენებისას აქ არ გაითვალისწინეს სახლისთვის სათანადო სიღრმის საძირკველი), მაშინ მესაკუთრე ზიანისთვის პასუხს არ აგებს.[952]

---

[949] იხ. ზ. ადეიშვილი, ქ. ვარდიაშვილი, ლ. იზორია, ნ. კალანდაძე, მ. კოპალეიშვილი, ნ. სხირტლაძე, პ. ტურავა, დ. ქიტოშვილი, ზოგადი ადმინისტრაციული სამართლის სახელმძღვანელო, თბილისი, 2005, 326.

[950] U. Falk, B. Schneider, Klausurenkurs im Bürgerlichen Recht II, Ein Fall- und Repetitionsbuch für Fortgeschrittene, Heidelberg, München, Landsberg, Frechen, Hamburg, 2012, 212.

[951] K. Schellhammer, Schuldrecht nach Anspruchsgrundlagen samt BGB Allgemeiner Teil, 9. Auflage, Heidelberg, München, Landsberg, Frechen, Hamburg, 2014, 526.

[952] შ. ჩიკვაშვილი, სსკ-ის კომენტარი, წ. IV, ტ. II, თბ., 2001, 416-417.

2. სსკ-ის 1004-ე მუხლის მე-2 ნაწილი

ცალკეა საგნის გადაგდებით ან გადავარდნით გამოწვეული ზიანისთვის სამოქალაქო პასუხისმგებლობა (სსკ-ის 1004-ე მუხლის მე-2 ნაწ.). ამ შემთხვევაში ზიანი ანაზღაურებას ექვემდებარება, მიუხედავად ბრალისა.[953]

დასახელებული ნორმით კანონმდებელმა გაითვალისწინა შენობის მფლობელის უფლებები და სსკ-ის 1004-ე მუხლის მე-2 ნაწილში, ამავე მუხლის 1-ლი ნაწილისაგან განსხვავებით, დაიცვა თვით შენობის მფლობელი უშუალოდ მის მფლობელობაში არსებული შენობის ჩამოქცევისას წარმოშობილ ვალდებულებათაგან. საქმე ისაა, რომ ზიანი შეიძლება გამოიწვიოს საგნის გადაგდებამ, გადავარდნამ ან თუნდაც გადაყრამ და ამ ფაქტს არ ჰქონდეს რაიმე საერთო თვით შენობის მესაკუთრესთან. მოცემულ შემთხვევაში კანონმდებელმა დამდგარი ზიანისთვის პასუხისმგებლობის წესი გაავრცელა უშუალოდ იმ პირზე, რომელსაც ეს სადგომი (შენობის ნაწილი) აქვს დაკავებული და არა ამ შენობის უშუალო მესაკუთრეზე. თუმცა აქედან გამონაკლისის სახით შეიძლება თვით ის პირი, რომელსაც ეს სადგომი ჰქონდა დაკავებული, ზიანის ანაზღაურების ვალდებულებისგან განთავისუფლდეს ორ შემთხვევაში: თუ საგნის გადაგდება, გადავარდნა ან გადაყრა მოხდა, ერთი მხრივ, დაუძლეველი ძალის მოქმედებით, ან, მეორე მხრივ, თვით დაზარალებულის ბრალით.[954]

§ 20. სახელმწიფოს პასუხისმგებლობა მისი მოსამსახურის მიერ მიყენებული ზიანისთვის

1. ნორმის მიზანი და მოქმედების სფერო

საქართველოს კონსტიტუციის მე-18 მუხლის თანხმად, ადამიანის თავისუფლება ხელშეუვალია და თავისუფლების აღკვეთა ან პირადი თავისუფლების სხვაგვარი შეზღუდვა დაუშვებელია სასამართლოს გადაწყვეტილების გარეშე. სწორედ ამ მუხლს ეფუძნება სსკ-ის 1005-ე მუხ-

[953] იხ. მ. თოდუა, ვალდებულებითი ურთიერთობების მოშწესრიგებელი ნორმების გამოყენების ზოგიერთი თავისებურება საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მიხედვით, წიგნში: „ვალდებულებითი სამართალი", თბ., 2006, 53.

[954] ო. მაჭარაშვილი, დელიქტები საერთაშორისო კერძო სამართალში, ჟურნ. „ალმანახი", N15, 2000, 23; პასუხისმგებლობისგან განთავისუფლების ამ საფუძვლების შესახებ იხ. ასევე А. М. Белякова, Возмещение вреда причиненного источником повышенной опасности. М.. 1967, 41-52; G. Spindler, O. Rieckers, Tort Law in Germany, The Netherlands, 2011, 84.

ლი. მასში ასახულია დელიქტური ვალდებულების სპეციფიკური სახე, რომელიც ეხება სახელმწიფოს პასუხისმგებლობას მისი მოსამსახურის მიერ მიყენებული ზიანისათვის. ამდენად, ეს მუხლი განიხილება ადამიანის თავისუფლებისა და პირადი ხელშეუხებლობის დაცვის დელიქტურსამართლებრივ გარანტად.[955]

სსკ-ის 1005-ე მუხლი შედგება სამი ნაწილისგან. სსკ-ის 1005-ე მუხლის გამოყენების ზოგადი წინაპირობებია: 1. საჯარო უფლებამოსილების განმახორციელებელი სუბიექტი (თანამშრომელი); 2. მესამე პირთა მიმართ შესასრულებელი სამსახურებრივი მოვალეობის დარღვევა; 3. მართლსაწინააღმდეგო და ბრალეული ხელყოფა; 4. ამ ქმედებით მესამე პირთათვის ზიანის მიყენება (მიზეზობრიობა); 5. გაუფრთხილებლობისას შეზღუდვები; 6. პასუხისმგებლობის გამომრიცხველი გარემოებების არარსებობა.[956]

2. საჯარო უფლებამოსილების განმახორციელებელი სუბიექტი (საჯარო მოსამსახურე)

სსკ-ის 1005-ე მუხლის 1-ლი ნაწილის გამოყენების წინაპირობებია: ა) სახელმწიფო მოსამსახურე ან იურიდიული პირი; ბ) საკუთარი სამსახურებრივი მოვალეობის დარღვევა სხვა პირთა მიმართ; გ) ქმედებამ უნდა გამოიწვიოს ზიანი; დ) ბრალეული (განზრახ ან უხეში გაუფრთხილებლობით) ხელყოფა.

წინამდებარე დელიქტისთვის პასუხისმგებლობის სუბიექტად მოიაზრება სახელმწიფო ან ის ორგანო, რომელშიც მოსამსახურე მუშაობს. თუმცა განზრახვის ან უხეში გაუფრთხილებლობის დროს მოსამსახურე სახელმწიფოსთან ერთად სოლიდარულად აგებს პასუხს. ამასთან, მოცემული დელიქტური ვალდებულების თავისებურებაა ის, რომ ბრალეული ქმედებისათვის პასუხისმგებელია საჯარო სამართლის იურიდიული პირი. თუმცა სახელმწიფო ინტერესების მატარებლებად გვევლინებიან სახელმწიფო მოსამსახურეები და დელიქტურ ურთიერთობებში უმრავლეს შემთხვევაში გამოდიან, როგორც იურიდიული პირები. მოცემულ შემთხვევაში მნიშვნელობა არა აქვს, ეს იურიდიული პირები სამეურნეო ორგანიზაციებია თუ საბიუჯეტო საჯარო სამართლის იურიდიული პირები.[957]

---

[955] ო. მაჭარაშვილი, დელიქტები საერთაშორისო კერძო სამართალში, ჟურნ. „ალმანახი", N15, 2000, 23.

[956] Dietmar O. Reich, P. Schmitz, Einführung in das Bürgerliche Recht, 3. Auflage, Wiesbaden, 2000, 339.

[957] ო. მაჭარაშვილი, დელიქტები საერთაშორისო კერძო სამართალში, ჟურნ. „ალმანახი", N15, 2000, 23-24.

უნდა აღინიშნოს, რომ საჯარო მოსამსახურე[958] არის ის, ვინც მისთვის მინდობილი საჯარო უფლებამოსილების ფარგლებში მოქმედებს. აქ მოიაზრება მხოლოდ ის გარემოება, რომ ამ პირს საჯარო უფლებამოსილების განხორციელება დაევალა. სუბიექტი საჯარო უფლებამოსილების ფარგლებში მოქმედებს, თუ ის მისთვის გადაცემულ სახელმწიფოებრივ უფლებამოსილებას ასრულებს. ამდენად, „მოსამსახურედ" ითვლება ყველა, ვინც ახორციელებს საჯარო უფლებამოსილებას, როგორიცაა მაგალითად საჯარო ორგანოს კერძო თანამშრომელი (სამსახურებრივი) მძღოლი, ურთიერთდახმარების ორგანიზაციის წევრები, რომლებიც სახელმწიფო ორგანოების კატასტროფებისგან დაცვას ემსახურება, მოხალისე მეხანძრეთა გაერთიანება ცეცხლთან ბრძოლაში.[959]

3. საჯარო (სამსახურებრივი) მოვალეობის დარღვევა

სახელმწიფოს პასუხისმგებლობის მატერიალურ საფუძვლად განიხილება აღმასრულებელი ხელისუფლების (თანამდებობის პირთა) მიერ უკანონო დავალებებისა და ფუნქციების მართლსაწინააღმდეგო განხორციელება, რასაც ზიანი მოჰყვა. ზიანის ანაზღაურების დაკისრებისთვის აუცილებელ წინაპირობაში მოიაზრება კომპეტენტური ორგანოს აქტი აღმასრულებელი ხელისუფლების ქმედების უკანონოდ მიჩნევის, ასევე არამართლზომიერი გადაწყვეტილების გაუქმების შესახებ.[960] შესაბამისად, სახელმწიფოს სამოქალაქო პასუხისმგებლობა წარმოიშობა, თუ უფლებამოსილების განმახორციელებელმა თავისი სამსახურებრივი მოვალეობა დაარღვია, რაც მესამე პირის ინტერესს შეეხო. სამსახურებრივი უფლებამოსილების შინაარსი შეიძლება დადგინდეს კანონით, სამსახურებრივი და ადმინისტრაციული აქტებისა (ბრძანებების) თუ სხვადასხვა დებულების საფუძველზე.[961]

სახელმწიფოს ან ადგილობრივ თვითმმართველობას ეკისრება მხოლოდ იმ ზიანის ანაზღაურების ვალდებულება, რომელიც უკავშირდება

---

[958] 2015 წლის 27 ოქტომბრის „საჯარო სამსახურის შესახებ" კანონის (4346-Iს) მე-3 მუხლის „დ" პუნქტის თანახმად, საჯარო მოსამსახურე არის პროფესიული საჯარო მოხელე/საჯარო მოხელე/მოხელე, ადმინისტრაციული ხელშეკრულებით დასაქმებული პირი, შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებული პირი.

[959] Dietmar O. Reich, P. Schmitz, Einführung in das Bürgerliche Recht, 3. Auflage, Wiesbaden, 2000, 339-341.

[960] იხ. ზ. ადეიშვილი, ქ. ვარდიაშვილი, ლ. იზორია, ნ. კალანდაძე, მ. კოპალეიშვილი, ნ. სხირტლაძე, პ. ტურავა, დ. ქიტოშვილი, ზოგადი ადმინისტრაციული სამართლის სახელმძღვანელო, თბილისი, 2005, 312-313; იხ. ნ. ბარაბაძე, მორალური ზიანი და მისი ანაზღაურების პრობლემა, თბ., 2012, 196-197.

[961] Dietmar O. Reich, P. Schmitz, Einführung in das Bürgerliche Recht, 3. Auflage, Wiesbaden, 2000, 339-341.

საჯარო მოსამსახურის მიერ სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებას. მაგალითად, ცხადია, სახელმწიფო ვერ იკისრებს პასუხისმგებლობას, თუკი რომელიმე საჯარო მოსამსახურე საკუთარი საცხოვრებელი სახლის მშენებლობისას დააზიანებს მეზობლის საცხოვრებელ სახლს ან მეზობლად მდებარე მიწის ნაკვეთს. სამსახურებრივი ვალდებულების შესრულება არ უნდა იქნეს განმარტებული ძალიან ვიწროდ და არ უნდა შემოიფარგლოს მხოლოდ იმ კონკრეტული ვალდებულებით, რაც საჯარო მოსამსახურეს შესაბამისი აქტებით (კანონი, სახელმწიფო ორგანოს დებულება, შრომითი ხელშეკრულება და სხვ.) აქვს განსაზღვრული. მაგალითად, არქიტექტურის საქალაქო სამსახურის რომელიმე მუშაკის პირდაპირი მოვალეობაა არქიტექტურული ნახაზების შედგენა. ეს პირი სამუშაო საათებში ავტომანქანით საჭირო ინსტრუმენტების შესაძენად წავიდა და ავტოავარია მოახდინა. აქ მესამე პირისთვის მიყენებული ზიანი აღიქმება, როგორც სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას მიყენებული, მიუხედავად იმისა, რომ სახაზავ მოწყობილობათა ყიდვა არ წარმოადგენდა აღნიშნული საჯარო მოხელის კონკრეტულად განსაზღვრულ ვალდებულებას.

სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებად ჩაითვლება ის შემთხვევაც, როდესაც პირი ზიანს მიაყენებს სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტებით.

სამსახურებრივ მოვალეობად, ერთი მხრივ, უნდა ჩაითვალოს ყველა ის მოვალეობა და ფუნქცია, რომელიც კონკრეტულ საჯარო მოსამსახურეს დაკისრებული აქვს შესაბამისი აქტებით (კანონები, საჯარო დაწესებულების დებულება, ზემდგომი თანამდებობის პირის ბრძანება, შრომის ხელშეკრულება და სხვ.); მეორე მხრივ კი, არსებობს საჯარო მოხელეთა ისეთი ვალდებულებებიც, რომლებიც შეიძლება პირდაპირ არ იყოს ასახული რომელიმე სამართლებრივ დოკუმენტში, მაგრამ აშკარად გამომდინარეობდეს ზოგადად საჯარო სამსახურის პრინციპებიდან. მაგალითად, საჯარო მოხელის მიერ მისი სამსახურებრივი ვალდებულებების დარღვევად ჩაითვლება შემთხვევა, თუკი იგი გამოსცემს უკანონო ადმინისტრაციულ აქტს, ხოლო შემდეგ ამას გაამართლებს იმ მიზეზით, რომ იგი არ იცნობდა შესაბამის კანონს.[962]

ამდენად, მოცემულ შემთხვევაში სამსაუხრებრივი უფლებამოსილების დარღვევა მხოლოდ მაშინ არსებობს, როდესაც დაწესებულების ხელმძღვანელი ხელყოფს იმ მოვალეობებს, რომლებიც სახელმწიფოსთან მისი სამსახურებრივი ურთიერთობიდან გამომდინარეობს. დასაწესებულების

[962] ზ. ადეიშვილი, ქ. ვარდიაშვილი, ლ. იზორია, ნ. კალანდაძე, მ. კოპალეიშვილი, ნ. სხირტლაძე, პ. ტურავა, დ. ქიტოშვილი, ზოგადი ადმინისტრაციული სამართლის სახელმძღვანელო, თბ., 2005, 311-314.

უფროსს შეუძლია სამსახურებრივად მესამე პირებთან ურთიერთობებში წარმოადგინოს ორგანოს ინტერესები, თუმცა იგივე უფლებამოსილება ეძლევა იმასაც, ვისაც ეს განკარგულებით გადაეცემა.[963]

4. საჯარო მოსამსახურის მიერ სამსახურებრივი მოვალეობის დარღვევასა და მესამე პირთა უფლებების ხელყოფას შორის მიზეზობრივი კავშირი

სახელმწიფოსთვის სამოქალაქო პასუხისმგებლობის დასაკისრებლად აუცილებელია, ასევე, სწორედ ეს სამსახურებრივი მოვალეობის ხელყოფა იყოს ბრალეული და მან გამოიწვიოს ზიანი, რაც მიზეზობრივი კავშირის არსებობისთვის განმსაზღვრელი ფაქტორია. თუმცა საჯარო მოხელის მიერ სამსახურებრივ ვალდებულებათა დარღვევის შედეგად პირისთვის ზიანის მიყენება თავისთავად არ წარმოშობს სახელმწიფოს პასუხისმგებლობას. მოცემულ შემთხვევაში მნიშვნელოვანია, დარღვეული იყოს სამსახურებრივი მოვალეობა სხვა პირთა მიმართ. ხელყოფილი უნდა იყოს ისეთი სამსახურებრივი ვალდებულება, რომელსაც შეესაბამება სხვა, კერძო პირის უფლება.[964] შესაბამისად, დაწესებულების ხელმძღვანელმა უნდა დაიცვას თავისი მოვალეობა, რომელიც იქნება არა მხოლოდ საზოგადო, არამედ უშუალოდ მესამე პირების ინტერესებში. აქ სწორედ სამსახურებრივი უფლებამოსილების დარღვევამ უნდა განაპირობოს მესამე პირის უფლებების ხელყოფა.[965]

5. პასუხისმგებელი სუბიექტის ბრალი

ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს, აგრეთვე, მისი თანამდებობის პირის ან სხვა მოსამსახურის მიერ მისი სამსახურებრივი მოვალეობის განხორციელებისას მიყენებული ზიანისათვის პასუხისმგებელია ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანო (ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 208-ე მუხლის მე-2 ნაწილი). თუმცა, თუ კერძო პირი რაიმე საქმიანობას ახორციელებს სახელმწიფო ან ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს მიერ დელეგირების ან დავალების საფუძველზე, ასეთი

---

[963] იხ. R. Schmidt, Schuldrecht Besonderer Teil II, Gesetzliche Schuldverhältnisse, 4. Aufl., Grasberg bei Bremsen, 2006, 271-272.

[964] ზ. ადეიშვილი, ქ. ვარდიაშვილი, ლ. იზორია, ნ. კალანდაძე, მ. კოპალეიშვილი, ნ. სხირტლაძე, პ. ტურავა, დ. ქიტოშვილი, ზოგადი ადმინისტრაციული სამართლის სახელმძღვანელო, თბ., 2005, 314-315.

[965] იხ. R. Schmidt, Schuldrecht Besonderer Teil II, Gesetzliche Schuldverhältnisse, 4. Aufl., Grasberg bei Bremsen, 2006, 272.

საქმიანობის განხორციელებისას მიყენებული ზიანისათვის პასუხისმგებელია სახელმწიფო ან ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანო (ამავე მუხლის მე-3 ნაწილი). თუმცა, გსკ-ის 839-ე მუხლის 1-ლი ნაწილის მიხედვით, თუ მოსამსახურე განზრახ ან გაუფრთხილებლობით არღვევს მასზე მესამე პირის მიმართ დაკისრებულ სამსახურებრივ მოვალეობებს, მაშინ მან მესამე პირს უნდა აუნაზღაუროს ამით მიყენებული ზიანი. თუმცა სახელმწიფო უფლებამოსილების მატარებელთა სამსახურებრივი მოვალეობის გაუფრთხილებელი ხელყოფისას სახელმწიფო პასუხს აგებს მხოლოდ მაშინ, თუ დაზარალებულს სხვაგვარად არ შეუძლია ზიანის ანაზღაურება მოითხოვოს.[966]

ამდენად, გერმანული სამოქალაქო კოდექსის მიხედვით, სამსახურებრივი საქმიანობის პროცესში საჯარო მოხელის მხრიდან „განზრახმა ან გაუფრთხილებელმა“ ქმედებამ შეიძლება გამოიწვიოს დელიქტი. თუმცა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1005-ე მუხლით გათვალისწინებულია მხოლოდ განზრახვა ან უხეში გაუფრთხილებლობა, რაც იმას ნიშნავს, რომ მარტივი (უბრალო) გაუფრთხილებლობა ამ ნორმის მიღმა რჩება. შესაბამისად, მართებულია დასკვნა, რომ „კანონის ნორმის ასეთი ფორმულირება კანონმდებლის შეცდომაა, რომელიც საჭიროებს სასწრაფოდ გამოსწორებას. უხეში გაუფრთხილებლობის ნაცვლად მითითებული უნდა იყოს გაუფრთხილებლობა. თუკი კანონი ასეთი რედაქციით იარსებებს, როგორითაც დღეს, აღმოჩნდება, რომ სახელმწიფო მოხელეთა თუნდაც ბრალეული მოქმედებით ზიანის მიყენების შემთხვევაში პასუხისმგებლობა არავის ეკისრება“. ამიტომ მიზანშეწონილია მისი შეცვლა.

ამასთან, როგორც აღინიშნა, განზრახვის ან უხეში გაუფრთხილებლობის დროს მოსამსახურე პასუხს აგებს სოლიდარულად სახელმწიფოსთან ერთად (სსკ-ის 1005-ე მუხლის 1-ლი ნაწილი). სოლიდარული პასუხისმგებლობა არ უნდა განიმარტოს მისი კლასიკური გაგებით, კერძოდ, თითქოს, ზიანის მიმყენებლად გამოვიდეს ადმინისტრაციული ორგანო სახელმწიფოსთან ერთად, როგორც დავის ერთ-ერთი მხარე. ზიანის ანაზღაურების დროს წარმოშობილ დავებში მოპასუხე უნდა იყოს სახელმწიფო, ხოლო ზიანის მიმყენებლის განზრახვის, ან უხეში გაუფრთხილებლობის შემთხვევაში სახელმწიფოს შეუძლია, მოსთხოვოს ზიანის მიმყენებელს ამ ზარალის რეგრესის წესით მთლიანად, ან ნაწილობრივ ანაზღაურება.[967]

სახელმწიფო პასუხისმგებელია თანამშრომელთა გაუფრთხილებლობისას მხოლოდ იმ შემთხვევაში, როცა მესამე პირი არ აგებს პასუხს

---

[966] § 839a BGB - Haftung des gerichtlichen Sachverständigen.

[967] ზ. ადეიშვილი, ქ. ვარდიაშვილი, ლ. იზორია, ნ. კალანდაძე, მ. კოპალეიშვილი, ნ. ისხირტლაძე, პ. ტურავა, დ. ქიტოშვილი, ზოგადი ადმინისტრაციული სამართლის სახელმძღვანელო, თბილისი, 2005, 316-318, 336-338; დ. მაკარიძე, გ. ხაზარაძე, ადმინისტრაციული ორგანოს პასუხისმგებლობა ჯანდაცვის სამართალში, თბ., 2014, 92-93.

ზიანისთვის. ამდენად, ეს პასუხისმგებლობის შეზღუდველი წესი, რომელიც სახელმწიფოს პასუხისმგებლობის სუბსიდიურ ხასიათს ეხება, არ მოქმედებს ჩვეულებრივი სატრანსპორტო მოძრაობისას[968], ვინაიდან აქ საზოგადოებრივ გზებზე მოძრაობის ყველა მონაწილეს თანაბარი უფლება-მოვალეობები აქვს და ამიტომ მათზე პასუხისმგებლობის თანაბარი წესი ვრცელდება.[969]

6. ზიანის ანაზღაურების გამომრიცხველი გარემოება

სსკ-ის 1005-ე მუხლის მე-2 ნაწილით დაწესებულია, რომ, თუ დაზარალებული განზრახ ან უხეში გაუფრთხილებლობით არ შეეცადა სამართლებრივი გზებით თავიდან აეცილებინა ზიანი, ზიანის ანაზღაურების ვალდებულების არ წარმოიშობა.

მოცემულ შემთხვევაში სამსახურებრივი მოვალეობის შელახვა უნდა იყოს მართლსაწინააღმდეგო. სამსახურებრივი მოვალეობის ხელყოფა მართლსაწინააღმდეგოა მაშინ, თუ არ არსებობს პასუხისმგებლობისგან გამომრიცხველი გარემოებები, რომლებიც ეხმიანება სსკ-ის 992-ე მუხლს.

ამდენად, სახელმწიფოს პასუხისმგებლობა გამოირიცხება, თუ დაზარალებული განზრახ ან გაუფრთხილებლობით უარს ამბობს სამართლებრივი საშუალების გამოყენებით ზიანის თავიდან აცილებაზე. სამართლებრივი გზების გამოყენება გულისხმობს საჩივრის, შუამდგომლობის, პროტესტის თუ სხვა ღონისძიებების გამოყენებას.[970]

ზიანი არ ანაზღაურდება, როდესაც დაზარალებული განზრახ ან უხეში გაუფრთხილებლობით არ შეეცადა, თავიდან აეცილებინა ზიანი. ზიანის ანაზღაურების ვალდებულება რომ დადგინდეს, თავად დაზარალებულსაც უნდა ჰქონდეს მიღებული ყველა ზომა, რათა ასეთი ზიანი არ დადგეს. დაზარალებულმა ხელი კი არ უნდა შეუწყოს ადმინისტრაციულ ორგანოთა უკანონო ქმედებებს, რათა შემდგომში მოითხოვოს კომპენსაციები, არამედ ყველა კანონიერი საშუალებით უნდა შეეცადოს, ხელი შეუშალოს სახელმწიფოს მიერ მისთვის ზიანის მიყენებას. მაგალითად, თუკი პირს მიაჩნია, რომ ადმინისტრაციული აქტი, რომელიც ზიანს აყენებს მას, უკანონოა, მან უნდა მიუთითოს ადმინისტრაციული ორგანოს უკანონობაზე, შეიტანოს საჩივარი, მოითხოვოს აქტის მოქმედების ან მისი აღსრულების შეჩერება და სხვ.

---

[968] იხ. R. Schmidt, Schuldrecht Besonderer Teil II, Gesetzliche Schuldverhältnisse, 4. Aufl., Grasberg bei Bremsen, 2006, 276-277.

[969] Dietmar O. Reich, P. Schmitz, Einführung in das Bürgerliche Recht, 3. Auflage, Wiesbaden, 2000, 341-342; იხ. R. Schmidt, Schuldrecht Besonderer Teil II, Gesetzliche Schuldverhältnisse, 4. Aufl., Grasberg bei Bremsen, 2006, 277-278.

[970] იხ. Dietmar O. Reich, P. Schmitz, Einführung in das Bürgerliche Recht, 3. Auflage, Wiesbaden, 2000, 341-342.

თუკი დაზარალებული განზრას ან უხეში გაუფრთხილებლობით არ ეცდება ზიანის დადგომის თავიდან აცილებას, მას არ რჩება სახელმწიფოსგან კომპენსაციის მოთხოვნის უფლება.[971]

უკანონო ქმედებით მიყენებული ზიანი ანაზღაურდება სახელმწიფოს მხრიდან საჯარო მოსამსახურეების ან თანამდებობის პირთა ბრალის მიუხედავად, ხოლო ბრალეული შელახვის შემთხვევაში საჯარო მოსამსახურეები სახელმწიფოსთან ერთად სოლიდარულად აგებენ პასუხს. ამასთან, სახელმწიფო ორგანოს (თანამდებობის პირის) ბრალეულობის პრეზუმფცია ყოველთვის არსებობს და სახელმწიფო ხელისუფლების ორგანო პასუხისმგებლობისაგან განთავისუფლდება, თუ ბრალის არარსებობას დაამტკიცებს.[972] ამასთან, სსკ-ის 1005-ე მუხლის მე-2 ნაწილის გამოყენებისას დაზარალებულის უყურადღებობასთან დაკავშირებით დაუშვებელია გაზრდილ (გადამეტებულ) მოთხოვნებზე აქცენტირება. ბრალი პირიქით, იქნებოდა მხედველობაში მიღებული მხოლოდ მაშინ, თუ დაინტერესებული პირი, თავისი განათლების დონისა და საქმიანი წესების მიხედვით, სასურველ ყურადღებიანობას არ გაითვალისწინებდა.[973]

აქვე საგულისხმოა, რომ მოსამსახურის, სახელმწიფო მოხელის მოქმედება უნდა იყოს პირდაპირი განზრახვით ჩადენილი. თუმცა მოსამსახურე დელიქვენტად არ ჩაითვლება, თუ თვით დაზარალებული არ შეეცდება განზრახი ან უხეში გაუფრთხილებლობით არსებული სამართლებრივი გზებით თავიდან აიცილოს დამდგარი ზიანი.[974]

7. საჯარო (სამსახურებრივი) მოვალეობის დარღვევის იურიდიული შედეგი

ა. ქონებრივი ზიანის ანაზღაურება

სსკ-ის 1005-ე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, რეაბილიტირებული პირისათვის უკანონო მსჯავრდების, სისხლის სამართლის პასუხისგებაში უკანონოდ მიცემის, აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობის უკანონოდ გამოყენების, ადმინისტრაციული პატიმრობის ან გამასწორებელი სამუშაოების სახით ადმინისტრაციული სახდელის არასწორად

---

[971] ზ. ადეიშვილი, ქ. ვარდიაშვილი, ლ. იზორია, ნ. კალანდაძე, მ. კოპალეიშვილი, ნ. ხირტლაძე, პ. ტურავა, დ. ქიტოშვილი, ზოგადი ადმინისტრაციული სამართლის სახელმძღვანელო, თბ., 2005, 318.

[972] იხ. ნ. ბარამაძე, მორალური ზიანი და მისი ანაზღაურების პრობლემა, თბ., 2012, 196.

[973] D. Looschelders, Die Mitverantwortlichkeit des Geschädigten im Privatrecht, Tübingen, 1999, 60-61.

[974] ო. მაჭარაშვილი, დელიქტები საერთაშორისო კერძო სამართალში, ჟურნ. „ალმანახი", №5, 2000, 24.

დაკისრების შედეგად მიყენებულ ზიანს აანაზღაურებს სახელმწიფო ორგანოები, მიუხედავად ბრალისა. უკანონო ქმედებით მიყენებული ზიანისთვის სახელმწიფოს პასუხისმგებლობა დგება საჯარო მოსამსახურეებისა ან თანამდებობის პირთა ბრალის მიუხედავად. თუმცა, თუ მათი ბრალი არსებობს, მაშინ ისინი სახელმწიფოსთან ერთად აგებენ პასუხს სოლიდარულად. ამ შემთხვევაში სახელმწიფოს ბრალი ყოველთვის ივარაუდება და სახელმწიფო ხელისუფლების ორგანო შეიძლება განთავისუფლდეს პასუხისმგებლობისგან, თუ ბრალის არარსებობას დაამტკიცებს.[975]

სსკ-ის 1005-ე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, დელიქვენტებად გვევლინებიან სახელმწიფო, გამოძიების, პროკურატურისა და სასამართლო ორგანოების წარმომადგენლები, ან მათში მომუშავე თანამდებობის პირები, რომლებიც, სახელმწიფოსთან ერთად, სოლიდარულად აგებენ პასუხს. მოცემულ შემთხვევებში განსაკუთრებით აქტუალურია მიყენებული არაქონებრივი ზიანისთვის პასუხისმგებლობის დაკისრება, რათა პირის რეაბილიტაციის მიზანი იყოს მიღწეული.

ამასთან, შესაბამისი სახელმწიფო ორგანოების (პოლიცია, პროკურატურა, სასამართლო) პასუხისმგებლობას უკანონო მოქმედებებით მიყენებული ზიანისათვის ითვალისწინებს ასევე სპეციალური ორგანული კანონი „საერთო სასამართლოების შესახებ“ (მე-6 თავი, 42-46-ე მუხლები), „პროკურატურის შესახებ“ (მე-6 თავი, 38-ე მუხლი) და კანონი „პოლიციის შესახებ“ (59-ე მუხლი). აღნიშნული პირების სისხლისსამართლებრივ დელიქტურ ვალდებულებებს ხსენებულ საკითხებზე ეხება სისხლის სამართლის კოდექსის 39-ე თავი (332-342-ე მუხლები).

მოცემულ შემთხვევაში დაზარალებულად გამოდის უშუალოდ რეაბილიტირებული პირი. ასეთად მიიჩნევა განაჩენის გამოტანით, სისხლის სამართლის საქმის შეწყვეტით, დანაშაულის შემადგენლობის არარსებობის გამო ან დანაშაულში მონაწილეობის მტკიცებულებების არარსებობის გამო საკუთარ უფლებებში აღდგენილი პირი. აღნიშნული დელიქტური ვალდებულებიდან გამომდინარე, რეაბილიტირებულ პირს აქვს კომპენსაციის მიღების უფლება მატერიალური ზიანის მიყენებისთვის.[976]

---

[975] იხ. ნ. ბარამიძე, მორალური ზიანი და მისი ანაზღაურების პრობლემა, თბ., 2012, 196.

[976] იხ. ო. მაჭარაშვილი, დელიქტები საერთაშორისო კერძო სამართალში, ჟურნ. „ალმანახი“, N15, 2000, 24.

ბ. წარმოიშობა თუ არა სსკ-ის 1005-ე მუხლით არაქონებრივი ზიანის ანაზღაურების უფლება?

სსკ-ის 1005-ე მუხლში აქცენტია გაკეთებული „ზიანის ანაზღაურებაზე". ჩნდება შეკითხვა: აქ რომელი ზიანი იგულისხმება? ამ საკითხთან დაკავშირებით საგულისხმოა სსკ-ის 413-ე მუხლის 1-ლი ნაწილი, რომლის თანახმად, არაქონებრივი ზიანის ანაზღაურება „შეიძლება მოთხოვნილ იქნეს მხოლოდ კანონით ზუსტად განსაზღვრულ შემთხვევებში". შესაბამისად, არამატერიალური ზიანის ანაზღაურების მოთხოვნა არ ექვემდებარება დაკმაყოფილებას, თუ კანონში პირდაპირ არაა მითითებული ასეთი მოთხოვნის დაკმაყოფილების შესაძლებლობა. სსკ-ის 1005-ე მუხლში არაა ასეთი ხაზგასმა არაქონებრივი ზიანის ანაზღაურების შესახებ, რაც იმას ადასტურებს, რომ აქ უნდა იგულისხმებოდეს მატერიალური ზიანის კომპენსირება. თუმცა არამატერიალური ზიანის ანაზღაურების შესაძლებლობა შეიძლება გათვალისწინებული იყოს, გარდა მატერიალური სამართლისა, საპროცესო სამართლის კანონმდებლობითაც.[977] უკანონო საჯაროსამართლებრივი აქტების (მაგალითად, განაჩენის) შემთხვევაში დასადგენია, არის თუ არა სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში რაიმე მითითება არაქონებრივი ზიანის ანაზღაურების თაობაზე. უშუალოდ საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით არაა გათვალისწინებული არაქონებრივი ზიანის ანაზღაურება.[978] აქედან გამომდინარეობს, რომ კანონმდებლობის დონეზე (სსკ-ის 1005-ე მუხლით) მოცემულ შემთხვევაში დაუშვებელია არაქონებრივი ზიანის ანაზღაურებაზე საუბარი.

მიუხედავად ზემოაღნიშნულისა, საგულისხმოა რამდენიმე გარემოება, რომლებიც იძლევა არაქონებრივი ზიანის ანაზღაურების შესაძლებლობას სხვა მუხლის საფუძველზე: უპირველეს ყოვლისა, უკანონო ქმედებებმა შეიძლება გამოიწვიოს დაზარალებულის სხეულის ან ჯანმრთელობის ხელყოფა, რაც არამატერიალური ზიანის ანაზღაურების საფუძველია[979]

---

[977] მ. ცისკაძე, სხეულის დაზიანებისთვის არაქონებრივი ზიანის ანაზღაურების პრობლემა საქართველოს კანონმდებლობაში, ჟურნ. „მართლმსაჯულება და კანონი", N2, 2008, 17; არამატერიალური ზიანის ანაზღაურების შემთხვევათა შეზღუდვისა და გსკ-ის 253-ე მუხლის კონსტიტუციური მნიშვნელობის შესახებ იხ. Nigel G. Foster, S. Sule, German Legal System and Laws, fourth Edition, New Your, 2010, 77.

[978] ძალადაკარგულია 1998 წლის 20 თებერვლის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი (N1251-IIს), რომლის 30-ე, 225-ე და სხვა მუხლები ითვალისწინებდა არამატერიალური ზიანის ანაზღაურებას.

[979] იხ. E. Schmidt, Schuldverhältnisse, Eine systematische Darstellung des Allgemeinen Schuldrechts, Heidelberg, 2004, 167; ასევე, იხ. D. Medicus, Schuldrecht I, Allgemeiner Teil, Ein Studienbuch, 13., neubearbeitete Aufl., München, 2002, 271; იხ. F. Hütte/ M. Helborn, Schuldrecht Allgemeiner Teil, 3. Aufl., Grasberg bei Bremsen, 2005, 371.

(სსკ-ის 413-ე მუხლის მე-2 ნაწილი). მართალია, სხეულებრივი ზიანის არსებობა იმთავითვე არაქონებრივი ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის დაკმაყოფილებას არ უკავშირდება, მაგრამ გარკვეულ შემთხვევებში ის შეიძლება იყოს არამატერიალური ზიანის დეტერმინანტი. მოცემულ შემთხვევაში არაქონებრივი ზიანის ანაზღაურების კიდევ უფრო მყარ არგუმენტს ქმნის, თუ შედეგის სახით წარმოიშვა სულიერი ტრავმა ან ფსიქოლოგიური პრობლემები. თუ ასეთი მატერიალური შედეგი არ დადგა და შემთხვევამ სსკ-ის 992-ე მუხლით გათვალისწინებული პასუხისმგებლობის წინაპირობები დააკმაყოფილა, დაზარალებულს შეუძლია მხოლოდ ქონებრივი ზიანის ანაზღაურება მოითხოვოს; ამასთან, უკანონო მსჯავრდების შემთხვევაში შეიძლება შეილახოს სუბიექტის პატივი, ღირსება და საქმიანი რეპუტაცია, ეს სიკეთეები კი, უპირველეს ყოვლისა, დაცულია მე-18 მუხლით, რომლის მე-6 ნაწილით. აქ განსაზღვრულია ბრალეული ხელყოფისას არაქონებრივი ზიანის ანაზღაურების შესაძლებლობა. ასევე პირის თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის შელახვას, როგორც წესი, ყოველთვის მოსდევს მძიმე შედეგი სულიერი განცდებისა და ფიზიკური ტანჯვის სახით.[980] სსკ-ის 1005-ე მუხლი არ იძლევა არაქონებრივი ზიანის ანაზღაურების შესაძლებლობას, ვინაიდან სსკ-ის 413-ე მუხლის 1-ლი ნაწილით გათვალისწინებულია მორალური ზიანის ანაზღაურება „მხოლოდ კანონით ზუსტად განსაზღვრულ შემთხვევებში“. შესაბამისად, მოცემულ შემთხვევაში გაცილებით მაღალი სტანდარტით უნდა იყოს დასაბუთებული პირადი უფლებების ხელყოფა, რომელმაც შეიძლება შექმნას სხვა მუხლებზე დაყრდნობით არაქონებრივი ზიანის ანაზღაურების საფუძველი.

აქვე საგულისხმოა თვით დაზარალებულის ლეგალური დეფინიცია, რომლის თანახმად, დაზარალებული განიმარტება, როგორც პირი, რომელსაც მორალური, ფიზიკური თუ ქონებრივი ზიანი მიადგა უშუალოდ დანაშაულის შედეგად.[981] მართალია, დღეს მოქმედ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის სხვა მუხლებში არსადაა დადგენილი არაქონებრივი ზიანის ანაზღაურების შესაძლებლობის თაობაზე, მაგრამ კანონმდებლის მიზანი რომ არ ყოფილიყო არამატერიალური ზიანის კომპენსირება, დაზარალებულის დეფინიციაშიც ამოიღებდა ამაზე მითითებას. შესაბამისად, იქმნება ამ ხარვეზის სხვა მუხლების დახმარებით ამოვსების აუცილებლობა.

როგორც ჩანს, მიზანშეწონილია სსკ-ის 1005-ე მუხლის განხილვა საქართველოს კონსტიტუციის მე-18 მუხლთან მჭიდრო კავშირში, ვინაიდან ეს მუხლი ეფუძნება საქართველოს კონსტიტუციის მე-18 მუხლს

[980] იხ. შ. ჩიკაშვილი, პასუხისმგებლობა მორალური ზიანისთვის, თბ., 2003, 190.

[981] გ. ცერცვაძის კომენტარები, სახელშეკრულებო სამართალი, თბ., 2014, 665.

და გულისხმობს კომპენსაციის მიღების უფლებას მატერიალური თუ არაქონებრივი ზიანისთვის. ამდენად, გასაზიარებელია მოსაზრება, რომ არამატერიალური ზიანის კონსტიტუციური გაგება უნდა აისახოს სსკ-ის მე-18 მუხლშიც, რათა არაქონებრივი ზიანის ანაზღაურების პრინციპმა აზრი არ დაკარგოს.[982] შესაბამისად, საკმაოდ ლოგიკურია მოსაზრება, რომლის თანახმად, სახელმწიფოს მოსამსახურის მიერ ზიანის მიყენების დროს არაქონებრივი ზიანის ანაზღაურებას სამართლებრივი საფუძველი რომ ჰქონდეს, უმჯობესია სსკ-ის 1005-ე მუხლში მიეთითოს არამატერიალური ზიანის ანაზღაურების შესაძლებლობის შესახებ.[983]

8. სახელმწიფოს პასუხისმგებლობის შესახებ საქმეების განსჯადობის პრობლემა

სახელმწიფოს პასუხისმგებლობა, რომელიც სსკ-ის 1005-ე მუხლით არის გათვალისწინებული, უკავშირდება მრავალ პრაქტიკულ საკითხს, განსაკუთრებით ეს შეეხება საპროცესო სამართლის სფეროში საქმეთა განსჯადობას. საჯარო და კერძო სამართლის გამიჯვნის პრაქტიკული მნიშვნელობა, უპირველეს ყოვლისა, გამოიხატება ორ საკითხში: ა) განსჯადობისამებრ საქმეთა განხილვასა და ბ) განსჯადი სასამართლოს მიერ შესაბამისი სამართლის ნორმის გამოყენებაში. საკანონმდებლო ცვლილებამდე იმისათვის, რომ დავა მიჩნეულიყო ადმინისტრაციულსამართლებრივად, საკმარისი იყო სახელმწიფოს ან მისი ორგანოს მონაწილეობა, რის გამოც ხშირად სამოქალაქო დავებიც სახელმწიფოს მონაწილეობის შემთხვევაში განიხილებოდა ადმინისტრაციული წესით. თუმცა ძღესდღეობით, 2005 წლის 25 ივნისს შესული ცვლილებების თანახმად, დავის ხასიათის დასადგენად ამოსავალია უფლებამოსილებები, რომლითაც სახელმწიფო ღებულობს მონაწილეობას ურთიერთობებში. შესაბამისად, თუ სუბიექტი საჯარო ფუნქციებს ახორციელებს, დავა ადმინისტრაციულმა სასამართლომ უნდა განიხილოს.[984] ამდენად, განსჯადობის გადაწყვეტისას უმნიშვნელოვანესია არა ამ ურთიერთობის სუბიექტები (მაგალითად, სახელმწიფო), არამედ უშუალოდ სადავო სამართლებრივი ურთიერთობის ხასიათი.[985]

სუბიექტთა თეორიისთვის საჯარო და კერძო სამართლის გასამიჯნად მნიშვნელოვანია იმის განსაზღვრა, თუ რა ფუნქცია აქვს სამართ-

---

[982] იხ. შ. ჩიკვაშვილი, პასუხისმგებლობა მორალური ზიანისთვის, თბ., 2003, 190.

[983] იხ. ნ. ბარამაძე, მორალური ზიანი და მისი ანაზღაურების პრობლემა, თბ., 2012, 210.

[984] საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსი, 1999 წლის 23 ივლისი, №2352–რს.

[985] ლ. ჭანტურია, სამოქალაქო სამართლის ზოგადი ნაწილი, თბ., 2011, 7-8.

ლებრივი ურთიერთობის მონაწილეს და რომელი ფუნქციის შესრულებასკენაა მათი მოქმედება მიმართული. ამ გაგებით, საჯარო სამართალი განიხილება სახელმწიფო ხელისუფლების სპეციალურ სამართლად, ხოლო კერძო სამართალი – ზოგად სამართლად ყველასათვის. სახელმწიფო იყენებს კერძო სამართალს, როგორც ზოგად სამართალს, თუ არაა საჯარო სამართლის, როგორც სპეციალური სამართლის, გამოყენების აუცილებლობა. შესაბამისად, შეიძლება ითქვას, რომ თუ საჯარო სამართალი არ კრძალავს, სახელმწიფოს შეუძლია იყოს მეწარმე და თავისი საქმიანობის უზრუნველსაყოფად გამოიყენოს ზოგადი კერძო სამართალი. მაგალითად, თუნდაც სახელმწიფო ასრულებდეს საჯარო ამოცანებს, მას შეუძლია კერძოსამართლებრივი ურთიერთობებისა და ინსტიტუტების გამოყენება, თუ საჯარო სამართალი პირდაპირ არ კრძალავს მოქმედებას. სსკ-ის მე-8 მუხლის მე-2 ნაწილი სწორედ ამ თეორიას ეფუძნება დებულებით „სახელმწიფო ორგანოებისა და საჯარო სამართლის იურიდიული პირების კერძოსამართლებრივი ურთიერთობები სხვა პირებთან, ასევე, წესრიგდება სამოქალაქო კანონებით, თუ ეს ურთიერთობები, სახელმწიფოებრივი ან საზოგადოებრივი ინტერესებიდან გამომდინარე, არ უნდა მოწესრიგდეს საჯარო სამართლით.“ ამდენად, საჯარო სამართალი განიხილება, როგორც სახელმწიფო სპეციალური სამართალი, ხოლო კერძო სამართალი – ზოგადი სამართალი.[986] სუბიექტების თეორიამ გერმანულ სამართალში განიცადა სახეცვლილება და ჩამოყალიბდა სპეციალური სამართლის თეორია, რომლის მიხედვითაც, სამართლებრივ ურთიერთობებში საჯარო სამართლის სუბიექტების მონაწილეობასთან ერთად საჭიროა, ეს ურთიერთობები მოითხოვდეს საჯაროსამართლებრივ რეგულირებას.[987]

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლში ჩამოთვლილია სასამართლოს განსჯადი ადმინისტრაციული საქმეები, მათ შორის მითითებული ნორმის 1-ლი ნაწილის „გ“ ქვეპუნქტის თანახმად, სასამართლოში ადმინისტრაციული დავის საგანი შეიძლება იყოს ადმინისტრაციული ორგანოს ვალდებულება ზიანის ანაზღაურების, ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის ან სხვა რაიმე ქმედების განხორციელების თაობაზე. ადმინისტრაციული ორგანოს პასუხისმგებლობის განსაკუთრებული წესი დადგენილია საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის XIV თავით. ამავე კოდექსის 207-ე მუხლიდან გამომდინარე, ადმინისტრაციული ორგანოს მიერ მიყენებული ზიანის ანაზღაურებისას გამოიყენება როგორც ზემოთ მითითებული თავის დებულებები,

---

[986] იქვე, 11-13; კერძოსამართლებრივი ურთიერთობის გარკვეულ ასპექტებზე იხ. Cr. Giner Rommel, Die Auslegung der Privatautonomie (Dissertation), Mainz, 2008, 13-14.

[987] გ. გოგიაშვილი, საჯარო სამართალი, კერძო სამართალი და სასამართლო პრაქტიკა, ჟურნ. „ქართული სამართლის მიმოხილვა“, ტომი 6, N4, 2003, 488.

ასევე სამოქალაქო კოდექსის ნორმები. ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 208-ე მუხლით დადგენილია ადმინისტრაციული ორგანოსთვის პასუხიმგებლობის რამდენიმე ნიშანი: ა) ადმინისტრაციული ორგანოს, აგრეთვე მისი თანამდებობის პირის, როგორც ზიანის მიმყენებლის, არსებობა; ბ) ქმედების ჩადენა სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების პროცესში; გ) ქმედების მართლწინააღმდეგობა; დ) ზიანი; ე) მიზეზობრივი კავშირი მართლსაწინააღმდეგო ქმედებასა და დამდგარ ზიანს შორის. სსკ-ის 1005-ე მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, თუ სახელმწიფო მოსამსახურე განზრახ ან უხეში გაუფრთხილებლობით არღვევს თავის სამსახურებრივ მოვალეობას სხვა პირთა მიმართ, მაშინ სახელმწიფოს ან იმ ორგანოს, რომელშიც მოსამსახურე მუშაობს, ევალება დამდგარი ზიანის ანაზღაურება. განზრახვის ან უხეში გაუფრთხილებლობის დროს მოსამსახურე სახელმწიფოსთან ერთად სოლიდარულად აგებს პასუხს. სამოქალაქო და ადმინისტრაციული კანონმდებლობის ანალიზის შედეგად უნდა აღინიშნოს, რომ მხოლოდ ზიანის მიმყენებელი პირის სტატუსი არ არის საკმარისი სახელმწიფოსათვის პასუხისმგებლობის დასაკისრებლად. აქ აუცილებელია მოხელის მიერ ზიანის მიმყენებელი ქმედება სხვა პირის მიმართ ჩადენილი იყოს სამსახურებრივი მოვალეობის განხორციელებისას, ამასთან, ამგვარი ქმედების შედეგად დაირღვეს ისეთი ვალდებულება, რომელსაც შეესაბამება სხვა, კერძო პირის უფლება.

თუმცა დაზარალებულს არ ერთმევა უფლება, ზიანის ანაზღაურება მოითხოვოს მოხელისაგან, როგორც ფიზიკური პირისაგან, სამოქალაქო და არა ადმინისტრაციული კანონმდებლობის საფუძველზე. ამა თუ იმ დავის ადმინისტრაციულ-სამართლებრივად მიჩნევისათვის აუცილებელია, რომ მოსარჩელის მოთხოვნა იურიდიულად ეფუძნებოდეს საჯარო-ადმინისტრაციული სამართლის შესაბამის ნორმებს. ამდენად, კონკრეტული სამართლებრივი ურთიერთობები უნდა გამომდინარეობდეს ადმინისტრაციული სამართლის კანონმდებლობიდან. ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 207-208-ე მუხლების მიხედვით, მიყენებული ზიანის ანაზღაურების საკითხი ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით მხოლოდ იმ შემთხვევაში იქნება განხილული, თუ სადავო ურთიერთობის ერთ-ერთი მხარეა ადმინისტრაციული ორგანო (იხ. სუსგ-ბა, №ბს-233-224(გ-10), 8 აპრილი, 2010 წელი). თუ მოსარჩელე ითხოვს სარჩელის დაკმაყოფილებას არა საჯარო-ადმინისტრაციული სამართლის ნორმების საფუძველზე ადმინისტრაციული ორგანოსგან, არამედ კერძოსამართლებრივი ნორმების საფუძველზე ფიზიკური პირისაგან, მოცემული დავა სამოქალაქო სასამართლოს განსჯადია.[988]

---

[988] საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2011 წლის 7 ნოემბრის გადაწყვეტილება (№ას-352-335-2011).

მაგალითი: სსიპ დაცვის პოლიციის დეპარტამენტის სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონალური სამმართველო აზორციელებს საჯარო უფლებამოსილებას. მის უშუალო, პირდაპირ ფუნქციად ითვლება დაცვა. ამ უფლებამოსილების განხორციელების მიზნით დაიდო ხელშეკრულება, რომლის შეუსრულებლობის გამო დამდგარი ზიანის ანაზღაურებასაც მოითხოვს მოსარჩელე. ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლის 1-ლი ნაწილის „ბ" ქვეპუნქტში დაკონკრეტებულია, რომ სასამართლოში ადმინისტრაციული დავის საგანი შეიძლება იყოს ადმინისტრაციული ხელშეკრულების დადება, შესრულება ან შეწყვეტა. ადმინისტრაციული კოდექსის მე-2 მუხლის 1-ლი ნაწილის „ზ" ქვეპუნქტის თანახმად, ადმინისტრაციული ხელშეკრულება არის ადმინისტრაციული ორგანოს მიერ საჯარო უფლებამოსილების განხორციელების მიზნით ფიზიკურ ან იურიდიულ პირთან, ასევე, სხვა ადმინისტრაციულ ორგანოსთან დადებული სამოქალაქოსამართლებრივი ხელშეკრულება. ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილია, გამოიყენოს საქმიანობის როგორც საჯაროსამართლებრივი, ისე კერძოსამართლებრივი ფორმები, მათ შორის დადოს ადმინისტრაციული და კერძოსამართლებრივი ხელშეკრულებები. ადმინისტრაციული და სამოქალაქოსამართლებრივი ხელშეკრულებების გამიჯვნა შეიძლება ამ ხელშეკრულებათა მიზნის დადგენის გზით. მოცემული სადავო ურთიერთობა გამომდინარეობს რა ადმინისტრაციული (საჯარო) სამართლის კანონმდებლობიდან, საქმე უნდა იყოს განხილული ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით (ადმინისტრ. საპრ. კოდექსის მე-2 მუხლის 1-ლი ნაწილის „ბ" ქვეპუნქტი).[989]

§ 21. დაზარალებულის გარდაცვალებისას ზიანის ანაზღაურება

სსკ-ის 1006-ე მუხლის 1-ლი ნაწილის გამოსაყენებლად უნდა დადგინდეს: ა) დაზარალებულის გარდაცვალება, ბ) სამართალდამრღვევის მართლსაწინააღმდეგო და ბრალეული ქმედება, გ) დამდგარ შედეგსა და ქმედებას შორის მიზეზობრივი კავშირი, დ) იმ პირის არსებობა, რომლის რჩენაც დაზარალებულს ევალებოდა, ე) არის თუ არა სარჩოს გადახდის ვალდებულება ძალაში. ამ საფუძვლების ერთდროულად არსებობის შემთხვევაში სარჩოს მიღების უფლება წარმოეშობათ იმ პირებს, რომელთა რჩენაც დაზარალებულს ევალებოდა.

---

[989] საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2012 წლის 12 მარტის გადაწყვეტილება (№ას-1178-1198-2011).

1. დაზარალებულის გარდაცვალება

ზიანი, რომელიც ამ დელიქტური ვალდებულების წარმოშობის საფუძველია, ეხება სიცოცხლის ხელყოფას. თვით სიცოცხლის უფლება არის აბსოლუტური უფლება, ვინაიდან მას უპირისპირდება არა კონკრეტული პირის, არამედ ყველა მესამე პირის მოვალეობა, თავი შეიკავოს ამ უფლების ხელყოფისგან.[990] აბსოლუტურ უფლებას უპირატესობა აქვს რელატიურ უფლებებთან შედარებით.[991] აბსოლუტური უფლების ხელყოფის შემთხვევები განიხილება დელიქტურ ვალდებულებებად.[992] ამდენად, სიცოცხლის უფლების, როგორც აბსოლუტური უფლების, შელახვით წარმოიშობა დელიქტური ვალდებულება, რომელიც სსკ-ის 1006-ე მუხლშია გამყარებული.

სსკ-ში დაზარალებულის გარდაცვალება უკავშირდება ფიზიკური პირის უფლებაუნარიანობის შეწყვეტას. გარდაცვალების მომენტად მიიჩნევა თავის ტვინის ფუნქციონირების შეწყვეტა (სსკ-ის მე-11 მუხლის მე-3 ნაწილი).

2. მართლსაწინააღმდეგო და ბრალეული ქმედება

აღნიშნული დელიქტური ვალდებულების დროს ზიანის მიმყენებლის ქმედების მართლწინააღმდეგობის შეფასების მიმართ ვრცელდება იგივე წესი, რასაც ითვალისწინებს ზოგადად ქმედების მართლსაწინააღმდეგო ხასიათი (სსკ-ის 992-ე მუხლი). შესაბამისად, საქმე შეეხება ქმედებას, რომელიც სამართლით დადგენილ ნორმებს ეწინააღმდეგება. სამართალდამრღვევის ქმედება, თავის მხრივ, შეიძლება გამოიხატოს როგორც მოქმედებაში, ისე უმოქმედობაშიც. დელიქტური ვალდებულების საერთო საფუძვლები ვრცელდება სსკ-ის 1006-ე მუხლზე ბრალთან დაკავშირებითაც. ამდენად, ზიანის მიმყენებელი შეიძლება მოქმედებდეს განზრახ ან გაუფრთხილებლობით.

---

[990] აბსოლუტურ უფლებაზე იხ. О. Иоффе. Советское гражданское право. общая часть. право собственности. общее учение об обязательствах, Л., Изд. Ленинградского Ун-та, 1958, 75.

[991] იხ. მ. დუნდუა, დელიქტური პასუხისმგებლობისა და სახელშეკრულებო პასუხისმგებლობის თანაფარდობა, „სამართლის ჟურნალი“, N1, 2009, 59.

[992] იხ. J. Joussen, Schuldrecht I, Allgemeiner Teil, Stuttgart, 2008, 17, 50; ასევე იხ. E. Schmidt, Das Schuldverhältnis, Eine systematische Darstellung des Allgemeinen Schuldrechts, Heidelberg, 2004, 23-24.

3. მიზეზობრივი კავშირი

სსკ-ის 1006-ე მუხლით დადგენილი პასუხისმგებლობის დასაკისრებლად აუცილებელია, რომ ხელმყოფის მართლსაწინააღმდეგო ქმედებით დადგეს დაზარალებულის გარდაცვალება (მიზეზობრიობა), წინააღმდეგ შემთხვევაში ეს ნორმა არ გამოიყენება.

სსკ-ის 1006-ე მუხლი არის სწორედ გამონაკლისი იმ პრინციპიდან, რომლის თანახმად, მხოლოდ დაზარალებულია უფლებამოსილი ზიანის ანაზღაურებაზე იდავოს, ვინაიდან უფლებას ანიჭებს დაზარალებულთან ახლოს მყოფ პირებს, რომლებმაც გარდაცვალებით დაკარგეს მარჩენალი. განსახილველი მუხლით დადგენილი მოთხოვნის გამოყენების წინაპირობა „გარდაცვალების სახით" არსებობს, თუ უნებართვო მოქმედების განხორციელების ადეკვატური შედეგი იყო მარჩენალის გარდაცვალება.[993]

4. მარჩენალისთვის მიყენებული ზიანისათვის ანაზღაურების მიღებაზე უფლებამოსილი პირები

სარჩო შეიძლება გულისხმობდეს არა მხოლოდ ნაღდი ფორმით ხარჯების ანაზღაურებას, არამედ როგორც საოჯახო მეურნეობის წარმართვას, ისე ბავშვების სოციალურ დახმარებასა და მზრუნველობას.[994]

მარჩენალისთვის მიყენებული ზიანისათვის ანაზღაურების მიღების უფლება აქვთ, უპირველეს ყოვლისა, მემკვიდრეებს,[995] ასევე იმ პირებს, რომლებიც გარდაცვლილის კმაყოფაზე იმყოფებოდნენ. ესენი არიან სსკ-ის, საოჯახო სამართლის შესაბამისი მუხლებით უფლებამოსილი პირები, კერძოდ:

ა) მეუღლეები და ბავშვები (აყვანილი ბავშვი, ქორწინების გარეშე დაბადებული ბავშვი), ასევე პირდაპირი ხაზის ნათესავები[996], გარდაცვლილის მშობლები;

ბ) არაშრომისუნარიანი პირები, რომლებიც იმყოფებოდნენ დაზარალებულის რჩენაზე;

---

[993] იხ. Michael E. Zeising, Der Nasciturus im Zivilverfahren, Göttingen, 2004, 86; ასევე იხ. F. Pardey, Berechung von Personenschäden: Ermittlung des Gesundheits- und Mehrbedarfsschaden, des Erwerbsschaden und des Haushaltsführungs- bzw. Hausarbeitsschadens sowie des Unterhaltsschadens, 4. Auflage, Heidelberg, 2010, 531.

[994] იხ. Jost-Detlef Drees, Schadensberechnung bei Unfällen mit Todesfolge, 2. Auflage, Karlsruhe, 1994, 18.

[995] M. Kittner, Gesamtsystem Schuldrecht, Rechtliche Grundlagen _ Wirtschaftliche Zusammenhänge, München, 1998, 133.

[996] იხ. Jost-Detlef Drees, Schadensberechnung bei Unfällen mit Todesfolge, 2. Auflage, Karlsruhe, 1994, 7, 16.

გ) პირები, მართალია, არ იყვნენ დამოკიდებული დაზარალებულის რჩენაზე, თუმცა მის სიკვდილამდე ჰქონდათ მისგან სარჩოს მიღების უფლება;

დ) დაზარალებულის ბავშვი, რომელიც დაიბადა მისი გარდაცვალების შემდეგ.[997]

რაც შეეხება სარჩოს ოდენობის გამოანგარიშებას, ყოველთვიური სარჩოს სახით ზიანის ანაზღაურების ოდენობის განსაზღვრის კრიტერიუმი სწორედ ხელფასის ის ოდენობაა, რასაც დაზარალებული დაწესებულებიდან ჯანმრთელობის დაზიანებამდე იღებდა და რასაც ის მიიღებდა, რომ არ დამდგარიყო ანაზღაურების მავალდებულებელი გარემოება. რაც შეეხებოდა სარჩოს ანაზღაურების სამართლებრივ საფუძველს, აღნიშნულს სსკ-ის 408-ე მუხლი წარმოადგენდა, რომლის პირველი ნაწილის მიხედვითაც, იმ პირმა, რომელიც ვალდებულია, აანაზღაუროს ზიანი, უნდა აღადგინოს ის მდგომარეობა, რომელიც იარსებებდა, რომ არ დამდგარიყო ანაზღაურების მავალდებულებელი გარემოება. ამავე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, თუ სხეულის დაზიანებით ან ჯანმრთელობისათვის ვნების მიყენების შედეგად დაზარალებულს წაერთვა შრომის უნარი ან შეუმცირდა იგი, ანდა იზრდება მოთხოვნილებები, დაზარალებულს უნდა აუნაზღაურდეს ზიანი ყოველთვიური სარჩოს გადახდით.

ამდენად, სსკ-ის 1006-ე მუხლით განსაზღვრულია სარჩოს მიღების უფლება, ხოლო სარჩოს გადახდაზე ვალდებულ პირად მიიჩნევა ზიანის მიმყენებელი, ანუ პირი, რომლის ქმედებასა და დამდგარ შედეგს შორის არის მიზეზობრივი კავშირი.[998]

5. სარჩოს გადახდის ვალდებულების ხანგრძლივობა

დელიქტურ ვალდებულებათა საერთო წესიდან გამომდინარე, ზიანის ანაზღაურება გრძელდება დაზარალებულის გარდაცვალების შემდეგაც, რაც სსკ-ის 1006-ე მუხლს ეფუძნება. ამ ნორმის თანახმად, დაზარალებულის გარდაცვალების შემთხვევაში ზიანის მიმყენებელმა სარჩოს დაწესებით უნდა აუნაზღაუროს ზიანი იმ პირებს, რომელთა რჩენაც დაზარალებულს ევალებოდა. ეს ვალდებულება ძალაშია, ვიდრე დაზარალებულს უნდა ეხადა სარჩო. სარჩოს სანაცვლოდ დაზარალებულს შეუძლია, მოითხოვოს ერთჯერადი ანაზღაურება, თუკი არსებობს ამის მნიშვნელოვანი საფუძველი. „შრომითი მოვალეობის შესრულებისას მუშაკის ჯანმრთე-

---

[997] ო. მაჭარაშვილი, დელიქტები საერთაშორისო კერძო სამართალში, ჟურნ. „ალმანახი", N15, 2000, 24.

[998] საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2013 წლის 16 დეკემბრის გადაწყვეტილება (№ას-942-900-2013).

ლობისათვის მიყენებული ზიანის ანაზღაურების წესის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2007 წლის 24 მარტის N53 დადგენილების მე-2 მუხლის თანახმად, საქართველოს პრეზიდენტის 1999 წლის 9 თებერვლის N48 ბრძანებულების მოთხოვნათა დაცვით დანიშნული სარჩო ექვემდებარება ანაზღაურებას დამსაქმებლის ან მისი უფლებამონაცვლის მიერ, გარდა ამ მუხლის მე-3 ნაწილით გათვალისწინებული შემთხვევისა, რაც, თავის მხრივ, ითვალისწინებს, რომ დამსაქმებლის გაკოტრების ან ლიკვიდაციის დროს წყდება დანიშნული სარჩოს გაცემის ვალდებულება.[999]

ამასთან, კანონმდებელი არ უთითებს იმაზე, რომ სარჩოს გადახდის ვალდებულება დაკავშირებულია დაზარალებულის საპენსიო ასაკის მიღწევასთან. მხარის მიერ შრომისუნარიანობის დაკარგვის თაობაზე მითითება კი შეფასებითი კატეგორიაა. მოხმობილი ნორმის მიზნებიდან გამომდინარე, რომელიც იცავს სარჩენი პირის ინტერესებს, სარჩოს გადახდის ვალდებულება არ უნდა შეეხოს მარჩენალის საპენსიო ასაკს, ვინაიდან ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო საამისო უნარის არსებობის შემთხვევაში, საპენსიო ასაკის მიღწევისთანავე არ ისპობა პირის შესაძლებლობა, მიიღოს შემოსავალი.[1000]

6. დაზარალებულის გარდაცვალებით წარმოშობილი იურიდიული შედეგი

ა. ქონებრივი ზიანის ანაზღაურების თავისებურება

სსკ-ის მე-19 მუხლით ალიარებულია, რომ სახელის, პატივის, ღირსების ან საქმიანი რეპუტაციის შელახვისათვის მორალური ზიანის ანაზღაურების მოთხოვნა გარდაცვალების შემდეგ დაუშვებელია.[1001] შესაბამისად, დაზარალებულის პირადი სიკეთეების დასაცავად სხვა პირთა მხრიდან არაქონებრივი ზიანის ანაზღაურების მოთხოვნა გამორიცხულია. ფაქტობრივად აღნიშნულის გამოძახილია სსკ-ის 1006-ე მუხლიც, ვინაიდან სსკ-ის 413-ე მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, არაქონებრივი ზიანი შეიძლება ანაზღაურდეს მხოლოდ კანონით ზუსტად განსაზღვრულ შემთხვევებში და სსკ-ის 1006-ე მუხლში ზიანის (და არა მორალური ზიანის) ანაზ-

---

[999] საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2014 წლის 16 მაისის გადაწყვეტილება (Nას-363-342-2014).

[1000] საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2013 წლის 16 დეკემბრის გადაწყვეტილება (Nას-942-900-2013).

[1001] იხ. მ. ბიჭია, პირადი ცხოვრების დაცვა საქართველოს სამოქალაქო სამართლის მიხედვით, თბ., 2012, 250.

ღაურებაზეა აქცენტი გაკეთებული. ამდენად, სსკ-ის 1006-ე მუხლი ეხება ქონებრივი ზიანის ანაზღაურებას, რომელიც გამოხატულია სარჩოს მიღებაში. შესაბამისად, ის მოიცავს სარჩოს მიღების უფლებას, რომელიც გამოიყენება მატერიალური დახმარების სანაცვლოდ.[1002]

ბ. არაქონებრივი ზიანის ანაზღაურების თავისებურება

ცნობილია, რომ სამართლებრივ ურთიერთობაში ადამიანი მონაწილეობს პირისა და პიროვნების სახით. ისინი მიიჩნევა ადამიანის ორ ურთიერთგანსხვავებულ იპოსტასად. ადამიანს, როგორც პირს, ანუ სამართლის სუბიექტს აქვს უფლება-მოვალეობანი. ფიზიკური პირი, როგორც სამართლებრივი ურთიერთობის სუბიექტი, გარდაცვალებით ქრება. რაც შეეხება პიროვნებას, მასში მოიაზრება ადამიანის სულიერ ღირებულებათა ერთობლიობა და ის სამართლებრივი დაცვის საგანია. ადამიანი, როგორც პიროვნება, განსაკუთრებული სულიერი ღირებულება, გარდაცვალებით კი არ ქრება, არამედ პირიქით, მისი სოციალური ზემოქმედება შეიძლება გაგრძელდეს. იგი რჩება ადამიანთა ცნობიერებაში და სიკვდილის შემდეგაც ინარჩუნებს ღირებულებას საზოგადოებისთვის. ამ გაგებით, კანონით დაცულია პიროვნება, ვიდრე არ შეწყდება მისი სოციალური ზემოქმედება.[1003] შესაბამისად, იბადება შეკითხვა: სსკ-ის 1006-ე მუხლის თანახმად, დაიშვება თუ არა არაქონებრივი ზიანის ანაზღაურება?

სსკ-ის 413-ე მუხლის 1-ლი ნაწილიდან გამომდინარეობს, რომ არაქონებრივი ზიანისათვის ფულადი ანაზღაურება შეიძლება მოთხოვნილ იქნეს მხოლოდ კანონით ზუსტად განსაზღვრულ შემთხვევებში. კანონში შეიძლება მოიაზრებოდეს როგორც სამოქალაქო კოდექსით, ისე სხვა კერძო თუ საჯაროსამართლებრივი ხასიათის ნორმატიული აქტები, ე.ი. ეს ნორმა გამორიცხავს არაქონებრივი ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის დაკმაყოფილების შესაძლებლობას, თუ კანონით პირდაპირ არ არის ასეთი მოთხოვნის დაკმაყოფილება დადგენილი.[1004] მოქმედი კანონმდებლობა (სამოქალაქო კოდექსი, ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი, კანონი „რეკლამის შესახებ“ და სხვ.), მართალია, ითვალისწინებს არაქონებრივი (მორალური)

[1002] სარჩოს მიღების შესახებ იხ. Michael E. Zeising, Der Nasciturus im Zivilverfahren, Göttingen, 2004, 86; F. Pardey, Berechung von Personenschäden: Ermittlung des Gesundheits- und Mehrbedarfsschaden, des Erwerbsschaden und des Haushaltsführungs- bzw. Hausarbeitsschadens sowie des Unterhatlsschadens, 4. Auflage, Heidelberg, 2010, 532.

[1003] იხ. თ. ნინიძე, პირადი უფლებების დაცვა გარდაცვალების შემდეგ, წიგნში „სსკ-ის კომენტარი, წ. I, თბ., 2002, 78-79.

[1004] იხ. მ. ცისკაძე, სხეულის დაზიანებისთვის არაქონებრივი ზიანის ანაზღაურების პრობლემა საქართველოს კანონმდებლობაში, ჟურნ. „მართლმსაჯულება და კანონი“, N2, 2008, 17.

ზიანის ანაზღაურებას სხვადასხვა შემთხვევაში, მათ შორის სხეულის დაზიანების ან ჯანმრთელობისათვის ვნების მიყენების დროს, მაგრამ არა სიცოცხლის ხელყოფისას. ამასთან, სახელშეკრულებო თუ დელიქტური ურთიერთობის დროს (მით უმეტეს პირის გარდაცვალებისას) შეიძლება რეალურად მართლაც დადგეს არამატერიალური ზიანი, მაგრამ, თუ კანონით არაა გათვალისწინებული მისი ანაზღაურება, ის არ ანაზღაურდება. დაზარალებულის გარდაცვალების შემთხვევაში ანაზღაურდება მხოლოდ მატერიალური ზიანი (სსკ-ის 1006-ე მუხლი). ამასთან, არაქონებრივი ზიანი პიროვნული უფლებების ხელყოფით გამოწვეული ზიანია, რომლის ანაზღაურების მოთხოვნის უფლება აქვს მხოლოდ ამ უფლებათა სუბიექტს, სხვა პირი ფაქტობრივად არაა უფლებამოსილი, მოითხოვოს ანაზღაურება. არამატერიალური ზიანის ქონებრივი ანაზღაურების მოთხოვნა სიკვდილის შემდეგ დაუშვებელია. ეს კონცეფცია ეფუძნება სსკ-ის მე-19 მუხლით დადგენილ წესს, რომლითაც განისაზღვრება, რომ პირადი არაქონებრივი უფლებები შეუძლია გამოიყენოს იმ პირმაც, რომელიც, თუმცა თვითონ არაა სახელის ან პირადი ღირსების უფლების მატარებელი, მაგრამ საამისოდ აქვს დაცვის ღირსი ინტერესი. მას უფლება აქვს, მოითხოვოს სახელისა და ღირსების ისეთი დაცვის განხორციელება, რომელიც პიროვნების არსების განმსაზღვრელია და გრძელდება სიკვდილის შემდეგაც. თუმცა გარდაცვალების შემდეგ პირადი უფლებების დასაცავად აკრძალულია მორალური ზიანის ქონებრივი ანაზღაურების მოთხოვნა. ამასთან, მოცემულ შემთხვევაში მატერიალური ზიანის ანაზღაურება შეიძლება გულისხმობდეს დაკრძალვის ხარჯების გადახდას.[1005]

ამდენად, გარდაცვლილი პირის სახელის, პატივის, პირადი ცხოვრების საიდუმლოების, საკუთარი გამოსახულების უფლებების ხელყოფის საფუძველზე წარმოშობილი დელიქტურ ვალდებულების დროს ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლება აქვთ როგორც გარდაცვლილის მემკვიდრეებს, ისე სხვა დახლოებულ პირებს, ვისთვისაც გარდაცვლილის პიროვნება მნიშვნელოვანი იყო. თუმცა პიროვნული უფლებების ხელყოფით გამოწვეული არაქონებრივი ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლება აქვს მხოლოდ ამ უფლებათა სუბიექტს, სხვა პირი ანაზღაურების მოთხოვნის საფუძველს მოკლებულია. შესაბამისად, მეუღლის, შვილის ან სხვა ახლობლის სიცოცხლის ხელყოფის შედეგად წარმოშობილი მორალური ზიანი არ ანაზღაურდება, ვინაიდან ეს პირდაპირ არაა გათვალისწინებული მოქმედი კანონმდებლობით. ამასთან, თუ დაზარალებულმა მიმართა სასამართლოს არამატერიალური ზიანის ანაზღაურების მოთხოვნით, მაგრამ გადაწყვეტილების გამოტანამდე ის გარდაიცვალა, ამ შემთხვევაში არამატე-

[1005] საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2002 წლის 24 აპრილის გადაწყვეტილება (N3კ-1218-01).

რიალური ზიანის ფულადი საზღაური ჩაითვლება სამკვიდრო მასის შემადგენელ ნაწილად.[1006]

ეს, თითქოს გარკვეულწილად უპირისპირდება პრინციპს, რომ ადამიანის ღირსების დაცვა ვრცელდება როგორც გვამზე, ისე გარდაცვლილის ხსოვნაზე,[1007] ვინაიდან დასადგენია, თუ არაქონებრივი ზიანის ანაზღაურება გამორიცხულია, მაშინ როგორ უნდა მოხდეს პირის პირადი უფლებების დაცვა გარდაცვალების შემდეგ.

ნ. ბარაბაძის თქმით, თუ ახლობელი დაზარალებულისთვის ზიანის მიყენების ფაქტს ესწრებოდა, რამაც გამოიწვია მის მიმართ ფიზიკური და ზნეობრივი ტანჯვა, მას დაზარალებულისაგან დამოუკიდებლად უნდა წარმოეშვას არაქონებრივი ზიანის ანაზღაურების უფლება. ხშირად ახლობელთა მხრიდან სულიერი ტანჯვის განცდის ხარისხი დაზარალებულთან შედარებით შეიძლება გაცილებით დიდი იყოს.[1008] მოცემულ შემთხვევაში ეს პირი თვითონ ხდება არაქონებრივი ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლების დამოუკიდებელი სუბიექტი. დაინტერესებულ პირთა წრეში შედიან გარდაცვლილის მემკვიდრეები, რადგან მემკვიდრეობის მიღებით მათ ხელში გადადის ქონებრივი უფლება-მოვალეობები, რომელთა განხორციელება ნაწილობრივ განსაზღვრულია გარდაცვალების რეპუტაციით. ასევე, ამ სუბიექტებად უნდა მოიაზრებოდეს გარდაცვლილის პირველი და მეორე რიგის ნათესავები, რომლებსაც შეუძლიათ დამოუკიდებელი სარჩელის საფუძველზე პირადად მათთვის მიყენებული არამატერიალური ზიანის კომპენსაცია მოითხოვონ. ამასთან, თუ გარდაცვლილს არ ჰყავს ნათესავი, ოჯახის წევრი და მემკვიდრე, გარდაცვლილის ღირსების დაცვა შესაძლებელია განახორციელოს მისმა მეგობარმაც.[1009]

რაც შეეხება უშუალოდ გარდაცვლილის პირადი არაქონებრივი უფლებების დაცვას, აქ მიზანშეწონილია, რომ გამოყენებულ იქნეს უფლების დაცვის სხვა ფორმები (უარყოფა, მოქმედების შეწყვეტა). ამასთან, შესაძლებელია გარდაცვლილს არ ჰყავდეს ნათესავი ან მემკვიდრე და

[1006] იხ. ნინიძის კომენტარები სსკ-ის მე-19 მუხლზე, სსკ-ის კომენტარი, წ. მე-2, თბ., 2002, 81; საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2006 წლის 9 ნოემბრის გადაწყვეტილება (№ას-14-1466-05); საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2002 წლის 24 აპრილის გადაწყვეტილება (№3კ-1218-01); იხ. მ. ცისკაძე, სხეულის დაზიანებისთვის არაქონებრივი ზიანის ანაზღაურების პრობლემა საქართველოს კანონმდებლობაში, ჟურნ. „მართლმსაჯულება და კანონი", N2, 2008, 19-20.

[1007] St. Schweers, Die vermögenswerten und ideellen Bestandteile des Persönlich-keitsrechts nach dem Tod des Trägers (Dissertation), Köln, 2006, 172-174.

[1008] იხ. ნ. ბარაბაძე, მორალური ზიანის ანაზღაურებაზე უფლებამოსილი პირები, ჟურნ. „ადამიანი და კონსტიტუცია", N2, 2006, 101.

[1009] იხ. შ. ჩიკაშვილი, პასუხისმგებლობა მორალური ზიანისთვის, თბ., 2003, 132-133 161.

გარდაცვლილის ახლო მეგობარმა მოითხოვოს უშუალოდ მისთვის მიყენებული არამატერიალური ზიანის ანაზღაურება. ამასთან, თუ გარდაცვლილს არ ჰყავს ნათესავი, ოჯახის წევრი და მემკვიდრე, გარდაცვლილის ღირსების დაცვა შესაძლებელია განახორციელოს მისმა მეგობარმაც.[1010]

თუ სსკ-ის 1006-ე მუხლს ისე გავიგებთ, რომ სარჩენს შეუძლია მოითხოვოს მარჩენალის გარდაცვალებით მიყენებული არაქონებრივი ზიანის ანაზღაურება, ვინაიდან ზიანში მოიაზრება როგორც არაქონებრივი, ისე მატერიალური ზიანი), მაშინ ყველა იმ შემთხვევაში, სადაც კანონმდებელი უთითებს ზიანის ანაზღაურებაზე, უნდა იგულისხმებოდეს არაქონებრივი ზიანიც. ეს თავისთავად არასწორია და სსკ-ის 413-ე მუხლის 1-ლი ნაწილის არსებობას აზრს უკარგავს. ამდენად, იქ, სადაც მხოლოდ ზიანის ანაზღაურებაზეა აქცენტი გაკეთებული და პირდაპირ არაა მოხსენებული არაქონებრივი ზიანის კომპენსირება, სსკ-ის 413-ე მუხლის შინაარსიდან გამომდინარე, საქმე ეხება მატერიალურ ზიანს.[1011] არამატერიალური ზიანის ანაზღაურების მოთხოვნით სარჩელის წარდგენა შეუძლია მხოლოდ იმ პირს, რომელსაც დარღვევის შედეგად უშუალოდ მიადგა ზიანი. არაქონებრივი ზიანი პიროვნული უფლებების დარღვევით გამოწვეული ზიანია, რომლის ანაზღაურების მოთხოვნის უფლება აქვს თავად ამ უფლების სუბიექტს მისი პირადი ხასიათის გამო. სხვა პირი ამ ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის საფუძველს მოკლებულია.[1012] ამასთან, შესაძლებელია მარჩენალის გარდაცვალებას მოჰყვეს მისი ახლობლის ჯანმრთელობის ხელყოფა, რაც ამ პირს აქცევს არაქონებრივი ზიანის ანაზღაურების უფლების დამოუკიდებელ სუბიექტად. შესაბამისად, მოცემულ შემთხვევაში მიადგება რა სუბიექტის პირად სიკეთეს ზიანი[1013], მან არაქონებრივი ზიანის ანაზღაურებაზე უნდა იდავოს არა სსკ-ის 1006-ე მუხლის საფუძველზე, ვინაიდან ის მხოლოდ ქონებრივი ზიანის ანაზღაურების საფუძველს იძლევა, არამედ სსკ-ის 413-ე და 992-ე მუხლებზე დაყრდნობით.

[1010] იხ. მ. ბიჭია, პირადი ცხოვრების დაცვა საქართველოს სამოქალაქო სამართლის მიხედვით, თბ., 2012, 254-255.

[1011] იხ. მ. ცისკაძე, სხეულის დაზიანებისთვის არაქონებრივი ზიანის ანაზღაურების პრობლემა საქართველოს კანონმდებლობაში, ჟურნ. „მართლმსაჯულება და კანონი", N2, 2008, 17.

[1012] იხ. ლ. დოლონჯაძე, მორალური ზიანის ანაზღაურება (სადოქტორო დისერტაცია), თბ., 2010, 179-190.

[1013] იხ. მ. ბიჭია, პირადი ცხოვრების დაცვა საქართველოს სამოქალაქო სამართლის მიხედვით, თბ., 2012, 252-253.

§ 22. სამედიცინო დაწესებულების სამოქალაქო პასუხისმგებლობა ზიანისთვის

კანონმდებელმა სსკ-ის 1007-ე მუხლში გამოყო სამედიცინო დაწესებულების მიერ მიყენებული ზიანისთვის სამოქალაქო პასუხისმგებლობის წინაპირობები. ამ მუხლით განისაზღვრა, რომ სამედიცინო დაწესებულებაში მკურნალობის დროს (ქირურგიული ოპერაციის ან არასწორი დიაგნოზით დამდგარი შედეგი და სხვ.) პირის ჯანმრთელობის ხელყოფისას ზიანი ანაზღაურდება საერთო საფუძვლებით.

1. ზიანი

სამედიცინო შეცდომით ფიზიკური პირის სიცოცხლისა და ჯანრთელობის შელახვის დროს მოქმედებს სამოქალაქოსამართლებრივი პასუხისმგებლობის წარმოშობის ზოგადი პირობები: ზიანი, მართლწინააღმდეგობა, ბრალი და მიზეზობრივი კავშირი. თუმცა ამ კომპონენტების თავისებურება განისაზღვრება სამედიცინო საქმიანობის ხასიათით.[1014] შესაბამისად, მოცემულ შემთხვევაში წარმოშობილი ზიანი გამოწვეულია სამედიცინო საქმიანობის დროს.

ამდენად, სსკ-ის 1007-ე მუხლის თანახმად, ზიანის ანაზღაურების დაკისრებისათვის აუცილებელია საექიმო შეცდომის არსის დადგენა. „ჯანმრთელობის დაცვის შესახებ" საქართველოს კანონის მე-3 მუხლის „ო" ქვეპუნქტით, მცდარ სამედიცინო ქმედებად განმარტებულია ექიმის მიერ უნებლიედ, პაციენტის მდგომარეობისათვის შეუსაბამო სადიაგნოზო და/ან სამკურნალო ღონისძიებების ჩატარება.

2. ქმედების მართლწინააღმდეგობა

ნორმის მიზნიდან გამომდინარე, მართლსაწინააღმდეგოა სამედიცინო დაწესებულების მიერ არასწორად განხორციელებული დიაგნოსტიკა და მკურნალობა, რამაც გამოიწვია ზიანი. შესაბამისად, პაციენტს ზიანის ანაზღაურების უფლება აქვს იმ შემთხვევაში, თუ (1) სამედიცინო საქმიანობის მიზანი მიღწეული არაა (ადამიანის ჯანმრთელობის აღდგენა და სიცოცხლის შენარჩუნება) და (2) მედიცინის მუშაკის ქმედება არ შეესაბამება სამედიცინო მაჩვენებლებს. ანაზღაურდება მართლსაწინააღმდეგო ქმედებით მიყენებული ზიანი. სამედიცინო მუშაკის ქმედების მართლსაწ-

[1014] საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2013 წლის 1 ოქტომბრის გადაწყვეტილება (№ას-247-237-2013); საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2011 წლის 24 ოქტომბრის გადაწყვეტილება (№ას-1404-1419-2011).

ინაალმდეგო ხასიათის განსაზღვრისთვის აუცილებელია არასათანადო სამედიცინო დახმარების აღმოჩენის ფაქტის დადგენა. ამასთან, ზიანის მიმყენებლის მართლსაწინააღმდეგო ქმედება მოიცავს როგორც მის აქტიურ მოქმედებას, ისე უმოქმედობასაც. არასათანადო სამედიცინო მომსახურება შეიძლება შეეხოს არა მხოლოდ დიაგნოსტიკური და სამკურნალო ჩარევების მეთოდურად და ტექნიკურად განხორციელებას, ასევე, სამედიცინო დანიშნულებით დიაგნოსტიკური და სამკურნალო ღონისძიებების სავალდებულო მოცულობის შეუსრულებლობას, რომელიც ავადმყოფის სათანადო დაკვირვებითა და მოვლით უზრუნველყოფილი არ არის.[1015]

მაგალითი: ა-ს სტომატოლოგიურ კლინიკაში ჩაუტარა სამედიცინო მომსახურება სტომატოლოგმა, რომელიც სერტიფიცირებული იყო თერაპიულ სტომატოლოგიაში. თუმცა ა-ს სტომალოტოგი მოემსახურა, გარდა თერაპიული სტომატოლოგიისა, ქირურგიული და ორთოპედიული სტომატოლოგიის სფეროშიც.

მოცემულ შემთხვევაში სტომატოლოგმა განახორციელა საექიმო საქმიანობა ქირურგიულ და ორთოპედიულ სტომატოლოგიაშიც. ამით მან დაარღვია „საექიმო საქმიანობის შესახებ" საქართველოს კანონის მე-7 მუხლის მე-2 პუნქტის მოთხოვნა, რომლის თანახმად, მას ჰქონდა მხოლოდ სახელმწიფო სერტიფიკატში აღნიშნული სპეციალობით საექიმო საქმიანობის უფლება.[1016] შესაბამისად, სტომატოლოგის მოქმედება ცალსახად უნდა ჩაითვალოს მართლსაწინააღმდეგოდ.

3. მიზეზობრივი კავშირი

საქართველოს სასამართლო პრაქტიკიდან ჩანს, რომ სამედიცინო მომსახურების დროს წარმოშობილი ზიანის ანაზღაურების შესახებ მოთხოვნა უმეტესწილად არ კმაყოფილდება, ვინაიდან სასამართლო ვერ ადგენს პაციენტისთვის არასასურველ შედეგსა და სამედიცინო მომსახურების გამწევის მოქმედებას შორის მიზეზობრივ კავშირს. სამოქალაქო პასუხისმგებლობის ამ წინაპირობის დადგენა საკმაოდ რთულია, რადგან შეუძლებელია ერთმნიშვნელოვნად იმის მტკიცება, რომ დაავადების დროული დიაგნოსტიკა და მკურნალობის სწორი ტაქტიკის შერჩევა გამორიცხავდა უარყოფით შედეგს. ამასთან, ადამიანის ორგანიზმის სპეციფიკის გამო ვერ ხერხდება გამოჯანმრთელების გარანტირებაც. პრობლემის სირთულიდან გამომდინარე, სასამართლომ უნდა შეაფასოს ყველა მიზეზი, რასაც შეიძლება გამოეწვია პაციენტისთვის არასასურველი შედეგი და მისი

[1015] საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2011 წლის 27 იანვრის გადაწყვეტილება (№ას-260-244-2011).

კავშირი წარმოშობილ ზიანთან. სამედიცინო მომსახურებისას მიზეზობრივი კავშირის დადგენა კიდევ უფრო რთულია, თუ მხედველობაში მიიღება ის, რომ სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზის დასკვნა იშვიათად არის კატეგორიული ხასიათის. ამასთან, არის შემთხვევები, როდესაც ექსპერტი სათანადო მეთოდოლოგიის არარსებობის გამო უარს აცხადებს დავის გადაწყვეტისთვის მნიშვნელოვანი საკითხების გამოკვლევაზე. ცალკე პრობლემას წარმოადგენს, ასევე, ექიმებისა და ჯანმრთელობის დაცვის სხვა პერსონალთა მხრიდან სამედიცინო დოკუმენტაციის სათანადოდ გაფორმება, ხოლო მათი დარღვევა კიდევ უფრო ართულებს საქმეზე რეალური წარმოდგენის შექმნას.[1017] ამდენად, მოცემულ შემთხვევაში ქმედებასა და დამდგარ შედეგს შორის მიზეზობრივი კავშირის დადგენას ძალიან ფრთხილი და სიღრმისეული მიდგომა სჭირდება, რათა ყველა მნიშვნელოვანი გარემოება მხედველობაში იყოს მიღებული და ზიანის გამომწვევი მიზეზები განსაზღვრული.

თუ ზიანი წინასწარ იყო სავარაუდო და იგი მოვალის უშუალო მოქმედებით არ არის გამოწვეული, მისი პასუხისმგებლობა გამორიცხულია (სსკ-ის 412-ე მუხლი). მაგალითად, ოპერაციის შემდგომი გართულება არ იყო გამოწვეული სამედიცინო დაწესებულების ექიმების ბრალეული ქმედებით, ბრალეული მოქმედების არარსებობის პირობებში, უსაფუძვლოა მიზეზობრივ კავშირზე მსჯელობა.[1018]

ამასთან, ექიმის მიერ პაციენტისათვის ზიანის მიყენება არ უნდა იყოს წინასწარ განზრახული, წინააღმდეგ შემთხვევაში ექიმის ქმედება აღარ ჩაითვლება პროფესიულ შეცდომად, ვინაიდან ასეთი მოქმედება სისხლის სამართლის კოდექსითაა რეგულირებული. საქმე ისაა, რომ ექიმის მიერ ჩატარებული სადიაგნოზო თუ სამკურნალო ღონისძიება პაციენტის ჯანმრთელობის მდგომარეობისათვის შეუსაბამო და მიუღებელი უნდა იყოს; ექიმი პასუხს აგებს მხოლოდ მცდარი სამედიცინო მოქმედების გამო და მისი საქმიანობის მიმართ არ მოქმედებს ბრალეულობის ვარაუდი (პრეზუმფცია). ამასთან, პაციენტისათვის მიყენებული ზიანი უნდა იყოს ექიმის არასწორი მოქმედებით გამოწვეული. ამდენად, სამედიცინო შეცდომა მხოლოდ მაშინ არის სამოქალაქოსამართლებრივი პასუხისმგებლობის საფუძველი, თუ ამ შეცდომას მოჰყვა ზიანი. შესაბამისად, სამედიცინო დაწესებულებაში არსებული დარღვევა უპირობოდ არ წარმოშობს სამოქალაქოსამართლებრივ

[1016] საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2014 წლის 9 იანვრის გადაწყვეტილება (№ას-714-677-2013).

[1017] დაწვრ. იხ. ნ. კვანტალიანი, მიზეზობრივი კავშირის დადგენის პრობლემები სამედიცინო მუშაკის მართლსაწინააღმდეგო ქმედებასა და პაციენტისთვის მიყენებულ ზიანს შორის, ჟურნ. „მართლმსაჯულება და კანონი“, N2, 2012, 7-11.

[1018] საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2011 წლის 24 ოქტომბრის გადაწყვეტილება (№ას-1404-1419-2011).

პასუხისმგებლობას, ვინაიდან ზიანის ანაზღაურების დასაკისრებლად აუცილებელია, რომ ზიანი იყოს ვალდებულების დარღვევის შედეგი.[1019]

4. ბრალი და მტკიცების ტვირთი

სსკ-ის 1007-ე მუხლში მითითებული შემთხვევების არსებობისას არაბრალეულობის მტკიცების ტვირთი აწევს სამედიცინო დაწესებულებას. სამედიცინო დაწესებულება არის საქართველოს კანონმდებლობით დაშვებული ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის იურიდიული პირი, რომელიც დადგენილი წესით ახორციელებს სამედიცინო საქმიანობას („ჯანმრთელობის დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის 53-ე მუხლი). ასეთ დროს პაციენტის ჯანმრთელობის დაზიანების ფაქტის არსებობა ქმნის პრეზუმფციას, რომ მის ჯანმრთელობას ზიანი სამედიცინო დაწესებულების ბრალით მიადგა და საწინააღმდეგოს დადასტურება სამედიცინო დაწესებულებას აწევს. პაციენტისათვის მიყენებული ზიანისას, როგორც წესი, ექიმის განზრახი ბრალი არ გვაქვს. ასეთ შემთხვევაში საკმარისია, დადგინდეს ექიმის გაუფრთხილებლობა, რაც გულისხმობს მის მიერ ნაკისრი ვალდებულებების აუცილებელი გულისხმიერებისა და ყურადღების გარეშე განხორციელებას. გულისხმიერებასა და ყურადღებაში იგულისხმება ექიმის მიერ საჭირო სამედიცინო მოქმედებების ზედმიწევნით ხარისხიანად, აღიარებული სამედიცინო სტანდარტების შესაბამისად შესრულება და რისკის მინიმუმამდე დაყვანა.[1020] ამდენად, თუ ზიანის მიმყენებელი დაამტკიცებს, რომ მას ზიანის დადგომაში ბრალი არ მიუძღვის, ის თავისუფლდება პასუხისმგებლობისგან (სსკ-ის 1007-ე მუხლი).

თუმცა სამედიცინო პერსონალისთვის სამოქალაქოსამართლებრივი პასუხისმგებლობის დაკისრებისას გასათვალისწინებელია, ზიანი ხომ არ წარმოშვა, ან მის გაზრდას ხელი შეუწყო დაზარალებულის მოქმედებამაც. ეს უფრო ცხადია, ვინაიდან ზიანის მიმყენებელმა პასუხი უნდა აგოს მხოლოდ საკუთარი ბრალეული მოქმედებისთვის. სსკ-ის 415-ე მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, თუ ზიანის წარმოშობას ხელი შეუწყო დაზარალებულის მოქმედებამაც, მაშინ ზიანის ანაზღაურება და მოცულობა დამოკიდებულია იმაზე, თუ უფრო მეტად რომელი მხარის ბრალითაა ზიანი დამდგარი. პაციენტის ბრალი გამოირიცხება კანონით დადგენილი მოქმედებების ზედმიწევნით კეთილსინდისიერად განხორციელება. მაგალითად, თუ პაციენტს უნდა ჩაუტარდეს გარკვეული სამედიცინო პროცე-

[1019] საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2011 წლის 27 ივნისის გადაწყვეტილება (№ას-260-244-2011).

[1020] საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2013 წლის 1 ივლისის გადაწყვეტილება (№ას-247-237-2013).

დურები, ის ვალდებულია, წესები შეასრულოს ჯეროვნად. აქ იგულისხმება რომ დიაგნოსტიკის, მკურნალობის, პროფილაქტიკის თუ სამედიცინო რეაბილიტაციის მიზნით ნებისმიერი მანიპულაციის ან პროცედურის ჩატარებამდე პაციენტმა უნდა მიაწოდოს ინფორმაცია სამედიცინო მომსახურების გამწევს. ეს ინფორმაცია, თავის მხრივ, უნდა იყოს სრულყოფილი და ასახავდეს პირად მონაცემებსა თუ ჯანმრთელობის მდგომარეობას (სამედიცინო დოკუმენტაცია), ხოლო პაციენტს ევალება მკურნალობისთვის დანიშნული ყველა პროცედურის შესრულება.[1021]

5. იურიდიული შედეგი

სსკ-ის 1007-ე მუხლით განსაზღვრულია რა „ზიანის ანაზღაურება" საერთო საფუძვლებით, შესაძლებელია მხოლოდ ქონებრივი ზიანის ანაზღაურებაზე საუბარი. თუმცა, „პაციენტთა უფლებების შესახებ" საქართველოს კანონის მე-10 მუხლის თანახმად, დაზარალებულ პაციენტს ან მის კანონიერ წარმომადგენელს უფლება აქვს, მიმართოს სასამართლოს და მოითხოვოს:

ა) კომპენსაცია ქონებრივი ან არაქონებრივი ზიანისა, რომლებიც გამოწვეულია:

ა. ა. პაციენტის უფლებების დარღვევით;

ა. ბ. მცდარი სამედიცინო მოქმედებით;

ა. გ. სამედიცინო დაწესებულების ფუნქციონირების სხვა ხარვეზებით;

ა. დ. სახელმწიფოს მიერ არასწორად განხორციელებული ზედამხედველობასთან რეგულირებით;

ბ) სამედიცინო პერსონალის ლიცენზიის შეჩერება;

გ) სახელმწიფო სამედიცინო სანიტარული სტანდარტების შეცვლა.[1022]

ამასთან, „ჯანმრთელობის დაცვის შესახებ" კანონის 104-ე მუხლის მიხედვით, დაზარალებულს, ან მის ნათესავს, ან სხვა კანონიერ წარმომად-

[1021] საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2011 წლის 27 ივნისის გადაწყვეტილება (№ას-260-244-2011).

[1022] საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის2013 წლის 1 ივლისის გადაწყვეტილება (№ას-247-237-2013); საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2011 წლის 24 ოქტომბრის გადაწყვეტილება (№ას-1404-1419-2011). ასევე გამოთქმულია მოსაზრება, რომ, თუ პირი წინასწარ უთანხმდება სამედიცინო მომსახურების შესახებ კონკრეტულ ექიმს და მათ შორის იდება ხელშეკრულება, მაშინ პაციენტის ჯანმრთელობისთვის ზიანის მიყენებისთვის ექიმს შეიძლება დაეკისროს არაქონებრივი ზიანის ანაზღაურება კონკრეტული სამედიცინო მომსახურების ხელშეკრულების (და არა დელიქტური სამართლის ნორმების) დარღვევისთვის. მ. ცისკაძე, სხეულის დაზიანებისთვის არაქონებრივი ზიანის ანაზღაურების პრობლემა საქართველოს კანონმდებლობაში, ჟურნ. „მართლმსაჯულება და კანონი", N2, 2008, 18.

გენელს უფლება აქვს, ექიმს ან ექთანს ან უშუალოდ ამ სამედიცინო დაწესებულებას უჩივლოს სასამართლოში ან დავის განმხილველ სხვა ორგანოებში (სამედიცინო პერსონალისა და დაწესებულების პროფესიული პასუხისმგებლობა).

მაგალითი: მაკარაძემ შეიტანა სარჩელი სასამართლოში არასწორი მკურნალობით მიყენებული მატერიალური და არაქონებრივი ზიანის ანაზღაურების მოთხოვნით: მოსარჩელე მივიდა ერთ-ერთ სტომატოლოგიურ კლინიკაში, სადაც ექიმმა ნიკოლაძემ არასწორად უმკურნალა, რის გამოც მას მიადგა მატერიალური და მორალური ზიანი. მოსარჩელემ იმკურნალა სტომატოლოგთან, რომელიც სერტიფიცირებული იყო თერაპიულ სტომატოლოგიაში 2006 წლის ბოლომდე, ხოლო 2007 წლიდან გაცემულია სერტიფიკატი ქირურგიულ სტომატოლოგიაში 2012 წლის დასასრულამდე. მოსარჩელეს ჩაუტარდა, გარდა თერაპიული სტომატოლოგიისა, საექიმო მომსახურება ქირურგიულ და ორთოპედიულ სტომატოლოგიაშიც. დადგინდა, რომ ნიკოლაძემ მაკარაძეს დაუსვა არასწორი დიაგნოზი და, შესაბამისად, მკურნალობა წარიმართა არასწორად. ამას მოჰყვა მძიმე შედეგები: მაკარაძემ დაკარგა რამდენიმე კბილი, სულიერად იტანჯებოდა მის სახეზე ასახული დამახინჯების გამო. სტომატოლოგიური კუთხით მისი მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით აუცილებელი გახდა მოსარჩელისთვის ორთოპედიული მკურნალობის ჩატარება.

ექიმ-სტომატოლოგმა პაციენტს დაუსვა არასწორი დიაგნოზი და, შესაბამისად, მკურნალობაც არასწორად წარიმართა. პაციენტის ჯანმრთელობის ამჟამინდელი მდგომარეობა სტომატოლოგიური კუთხით ჩატარებული არადამაკმაყოფილებელი მკურნალობის შედეგია. მიუხედავად იმისა, რომ სტომატოლოგი სერტიფიცირებული იყო საექიმო სპეციალობაში „თერაპიული სტომატოლოგია“, მან საექიმო საქმიანობა განახორციელა ქირურგიულ და ორთოპედიულ სტომატოლოგიაშიც. ამით დაირღვა „საექიმო საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-7 მუხლის მე-2 პუნქტის მოთხოვნა, რომ ექიმს აქვს მხოლოდ სახელმწიფო სერტიფიკატში აღნიშნული სპეციალობით საექიმო საქმიანობის უფლება.

რაც შეეხება ზიანის ოდენობას, ის გონივრულობის ფარგლებში უნდა განისაზღვროს, ესე იგი, მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული არა მხოლოდ მოსარჩელის ინტერესები (თუ რა საბის ზიანი მიადგა მას და მინიმალურად რა ხარჯებია საჭირო აღნიშნული მდგომარეობის გამოსასწორებლად), არამედ ასევე მოპასუხის სტატუსი და მისი მდგომარეობაც. ამასთან, ცხადია, თუ მოპასუხედ გამოვიდოდა იურიდიული პირი, მისი პასუხისმგებლობა ფინანსურად უფრო მკაცრი იქნებოდა. ამდენად, ნი-

კოლაძეს მაკარაძის სასარგებლოდ უნდა დაეკისროს ორთოპედიული მკურნალობისათვის მატერიალური ზიანის ანაზღაურება. რაც შეეხება არაქონებრივ ზიანს, განსახილველ შემთხვევაში დადგენილია, რომ მოპასუხის მიერ პაციენტის მდგომარეობისათვის შეუსაბამო სადიაგნოზო და/ან სამკურნალო ღონისძიებების ჩატარების შედეგად მოსარჩელის ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესებამ სტომატოლოგიური კუთხით განაპირობა მისი სულიერი ტანჯვა და ემოციური განცდები. ამიტომ, სსკ-ის 413-ე მუხლისა და „ჯანმრთელობის დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის 103-ე მუხლიდან გამომდინარე, მოსარჩელეს უნდა აუნაზღაურდეს, ასევე, მიყენებული მორალური ზიანი.[1023] ამდენად, მოცემულ შემთხვევაში მხოლოდ უფლების დარღვევა არ შეიძლება ჩაითვალოს არაქონებრივი ზიანის ანაზღაურების უპირობო საფუძვლად, არამედ გასათვალისწინებელია ის ფსიქოლოგიური ტანჯვა და თანმდევი უარყოფითი შედეგით, რაც ამ უფლების ხელყოფამ გამოიწვია.[1024] არამატერიალური ზიანის ანაზღაურების მოთხოვნა შეიძლება დაკმაყოფილდეს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ არსებობს ჯანმრთელობის დაზიანებით გამოწვეული ზიანის ანაზღაურების მავალდებულებელი წინაპირობები. მათ შორის ერთ-ერთია უფლების განხორციელების ხანდაზმულობის ვადა, ვინაიდან ამ ვადის ამოწურვის შემდეგ მოთხოვნა განუხორციელებელი რჩება.[1025]

§ 23. დელიქტური ვალდებულებიდან წარმოშობილი მოთხოვნის ხანდაზმულობა

რამდენადაც სსკ-ის 128-ე მუხლის 1-ლი ნაწილიდან გამომდინარეობს, სხვა პირისაგან რაიმე მოქმედების შესრულების ან მოქმედებისაგან თავის შეკავების მოთხოვნის უფლებაზე ვრცელდება ხანდაზმულობა. შესაბამისად, მნიშვნელოვანია მოთხოვნის წარმოშობის მომენტის განსაზღვრა, ვინაიდან სწორედ ამ მომენტიდან იწყება ხანდაზმულობა. მოთხოვნის წარმოშობის მომენტად ჩაითვლება დრო, როცა პირმა შეიტყო, ან უნდა შეეტყო უფლების დარღვევის შესახებ (სსკ-ის 130-ე მუხლი). თუმცა ხანდაზმულობის ვადის გამოთვლის სპეციალურ წესს ითვალისწინებს სსკ-ის 1008-ე მუხლი. საქმე ისაა, რომ სსკ-ის 992-1008-ე მუხლებით განსაზღვრული დელიქტური ვალდებულებების დროს წარმოშობილი ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის ხანდაზმულობის ვადა არის სამი წელი იმ

[1023] საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2014 წლის 9 იანვრის გადაწყვეტილება (Nას-714-677-2013).

[1024] იხ. ი. გელაშვილი, ჩანასახის სამართლებრივი მდგომარეობა, თბ., 2012, 194.

[1025] საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2013 წლის 1 ივლისის გადაწყვეტილება (Nას-247-237-2013).

მომენტიდან, როცა დაზარალებულმა შეიტყო ზიანის ან ზიანის ანაზღაურებაზე ვალდებული პირის შესახებ.

უფლების განხორციელების ხანდაზმულობის ვადის ამოწურვის შემდეგ მოთხოვნა განუხორციელებელი ხდება. მაგალითად, არაქონებრივი ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის ხანდაზმულობის ვადა, კონკრეტული დავის სპეციფიკიდან გამომდინარე, ასევე უნდა აითვალოს იმ მომენტიდან, როდესაც მოსარჩელემ ზიანისა და მის ანაზღაურებაზე ვალდებული პირის შესახებ შეიტყო. ეს იმას ნიშნავს, რომ, ფაქტობრივად, არაქონებრივი ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის დროს ხანდაზმულობის ვადა მატერიალური ზიანის კომპენსირების შესახებ მოთხოვნის ვადასთან ერთად იწურება. შესაბამისად, სარჩელი აქ ამ ნაწილშიც ხანდაზმული იქნება, რის გამოც ის არ უნდა დაკმაყოფილდეს.[1026]

ამასთან, მოთხოვნის უფლების აღმოცენებისთვის აუცილებელია ყველა იმ წანამძღვრის არსებობა, რომლებიც საჭიროა დამდგარი ზიანის ანაზღაურების მოვალეობის წარმოსაშობად. ეს წინაპირობები მოცემულია იმ შემთხვევაში, თუ „ხელში გვაქვს ყველა რგოლი იმ ჯაჭვისა, რომელიც გაბმულია არამართლზომიერ მოქმედებასა და მიმყენებულ ზიანს შორის. ამრიგად, სარჩელის უფლება არ შეიძლება წარმოიშვას უფრო ადრე, ვიდრე ზიანი დადგებოდეს. მაგალითად, სხეულის დაზიანების შედეგებმა დაზარალებულის ჯანმრთელობისათვის შეიძლება თავი იჩინონ არა ერთბაშად, არამედ დროის ცოტა თუ ბევრად ხანგრძლივი პერიოდის გასვლის შემდეგ. ხანდაზმულობის ვადის დენა იწყება სწორედ იმ მომენტიდან, როდესაც შეიძლება აღმოჩენილ იქნეს ეს შედეგები.“[1027]

მაგალითი: ა-ს მიადგა დანაშაულით ზიანი. ის გაეცნო 2005 წლის 21 დეკემბრისა და 2006 წლის 9 თებერვლის განაჩენებს 2008 წლის 15 დეკემბერს. ხანდაზმულობის ვადის დასაწყისად უნდა ჩაითვალოს ა-ს მიერ დასახელებული განაჩენების გაცნობის დრო – 2008 წლის 15 დეკემბერი. შესაბამისად, თუ ა წარადგენდა სარჩელს 2010 წლის 11 მარტს, ასეთი სარჩელი ვერ ჩაითვლებოდა ხანდაზმულად, ვინაიდან იგი შეტანილია სსკ-ის 1008-ე მუხლით განსაზღვრულ სამწლიან ვადაში. დელიქტური ვალდებულებების დროს ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის სპეციფიკური ხასიათიდან გამომდინარე, სსკ-ის 1008-ე მუხლით დადგენილია ხანდაზმულობის ვადის გამოთვლის სპეციალური წესი, კერძოდ, ასეთი მოთხოვნის ხანდაზმულობის ვადა არის სამი წელი იმ მომენტიდან,

---

[1026] საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2013 წლის 1 ივლისის გადაწყვეტილება (№as-247-237-2013).

[1027] მ. მ. აგარკოვი, სნ. ბრატუსი, დ. მ. გენკინი, ვ. ი. სერებროვსკი, ზ. ი. შკუნდინი, სამოქალაქო სამართალი, ტომი I, მთარგმნ. პ. ცხაკაია, თბ., 1946, 450.

როცა დაზარალებულმა შეიტყო ზიანის ან ზიანის ანაზღაურებაზე ვალდებული პირის შესახებ.[1028]

§ 24. წუნდებული პროდუქტიდან წარმოშობილი დელიქტური ვალდებულება

1. ზოგადი დებულებები

წუნდებული პროდუქტით გამოწვეული ზიანის დროს მომხმარებელთა უფლებების დაცვა ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი კერძოსამართლებრივი პრობლემაა, რომელსაც კომპლექსური ხასიათი აქვს, ვინაიდან მრავალ სფეროსთან აქვს კავშირი. თუმცა ამ ნაშრომის ფარგლებში ყურადღება გამახვილდება სამომხმარებლო ინტერესების ხელყოფისთვის დელიქტური პასუხისმგებლობის ცალკეულ ასპექტზე. კვლევა აქტუალურია ტექნოლოგიური განვითარების გათვალისწინებით, რომელიც, თავის მხრივ, უკავშირდება გენურ ინჟინერიას, რომელიც ბიოპროდუქტების ბუნებრივ საწყისს ცვლის და ფორმისა თუ შემადგენლობის დიდი ხნით შენარჩუნების შესაძლებლობას იძლევა. ჯერ კიდევ მთლიანად უცნობია, რა შედეგებს იწვევს და რამდენადაა საფრთხის შემცველი ამ გზით მიღებული პროდუქტი.

ზემოწარმოდგენილი გარემოებები ეხება მომხმარებლის უფლებას, დაიცვას თავისი ინტერესები კონკრეტული კერძოსამართლებრივი ხერხებით, რომლებიც დელიქტური პასუხისმგებლობის საფუძველთა შესწავლას უკავშირდება. აღნიშნული საჭიროებს, ასევე, სამოქალაქო პასუხისმგებლობის სუბიექტთა განსაზღვრას. ამასთან, მომხმარებელთა უფლებების დაცვის მიმართ არსებობს დუალისტური მიდგომა, სახელდობრ, გამოიყენება, ერთი მხრივ, სახელშეკრულებო სამართლის ნორმები, ხოლო, მეორე მხრივ, არასახელშეკრულებო ვალდებულების მომწესრიგებელი წესები. ეს საბოლოო ჯამში წარმოშობს მოთხოვნისა და მოთხოვნის საფუძველთა კონკურენციის პრობლემას, რაც საჭიროებს წუნდებული პროდუქტისგან გამომდინარე ზიანის ანაზღაურების თავისებურებების გამოკვეთას, რათა მისთვის დამახასიათებელი სპეციფიკა წარმოჩინდეს.

ამასთან, საქართველოს კონსტიტუციის[1029] 30-ე მუხლის მე-2 პუნქტით განსაზღვრულია, რომ სახელმწიფომ ხელი უნდა შეუწყოს თავისუ-

---

[1028] საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2012 წლის 16 თებერვლის გადაწყვეტილება (№ას-1626-1616-2011).

[1029] საქართველოს პარლამენტის უწყებები, 24/08/1995, N31-33.

ფალი მეწარმეობისა და კონკურენციის განვითარებას. აკრძალულია მონოპოლიური საქმიანობა, გარდა კანონით დაშვებული შემთხვევებისა. სამომხმარებლო სფეროში აღნიშვნის ღირსია საერთაშორისო დირექტივები თუ რეგლამენტები. ამ მიმართულებით 2012 წლის საკანონმდებლო ცვლილებამდე მოქმედებდა კანონი „მომხმარებელთა უფლებების დაცვის შესახებ“, კანონი „პროდუქციისა და მომსახურების სერტიფიკაციის შესახებ“. პრაქტიკული თვალსაზრისით, მომხმარებლების უფლებების შესახებ საქართველოს კანონმდებლობის შესრულების მდგომარეობა არ იყო სახარბიელო. ეს შეეხებოდა, ერთი მხრივ, მომხმარებელთა ინფორმირების არარსებობას, მეორე მხრივ, სახელმწიფო თუ საზოგადოებრივი ორგანიზაციების მიმართ უნდობლობასა და მათ მიერ საკუთარი უფლებამოსილებების შეუსრულებლობას.[1030] დღესდღეობით კანონი „მომხმარებელთა უფლებების დაცვის შესახებ“ ძალადაკარგულია, თუმცა მიმდინარეობს ისეთი ახალი კანონპროექტის განხილვა[1031], რომელიც გარკვეულწილად მომხმარებლისა და მწარმოებლის ინტერესების დაცვას დააბალანსებს, ასევე, საქართველოსა და ევროპულ კავშირს შორის ასოცირების ხელშეკრულების[1032] გათვალისწინებით, ეროვნულ კანონს დააახლოვებს საერთაშორისო აქტებს. ამჟამად მომხმარებელთა ინტერესების დაცვის საფუძვლები გათვალისწინებულია საქართველოს სამოქალაქო კოდექსში[1033], პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსში.

ასევე, ამ საკითხით დაინტერესება მნიშვნელოვანია თითოეული პირისთვის, რომელიც პროდუქტის მომხმარებლად მოიაზრება. შესაბამისად, პრობლემა ყოფითი ხასიათისაა.

როგორც აღინიშნა, დელიქტური ვალდებულება წარმოიშობა აბსოლუტური უფლების ხელყოფის საფუძველზე, რომელიც ასევე შეეხება წუნდებული პროდუქტიდან გამომდინარე დელიქტურ ვალდებულებას. აბსოლუტური უფლების თავისებურება ისაა, რომ მას უპირისპირდება არა თუ კონკრეტული პირის, არამედ ყველა მესამე პირის მოვალეობა, თავი შეიკავოს ამ აბსოლუტური უფლების ხელყოფისგან.[1034] ე. ი. აბსოლუტურია უფლებები, „რომლებიც შეიძლება შეილახოს ნებისმიერი პირის მიერ და ამიტომ დაცულია ნებისმიერი პირისგან.“[1035] აბსოლუტურ უფლებას

[1030] იხ. დ. ბიჭიკაშვილი, მომხმარებელთა უფლებების დაცვა საქართველოს კანონმდებლობით, ინსტიტუციურ უფლებათა ცენტრის პერიოდული გამოცემა „იურიდიული ჟურნალი“, №1, 1998, 147, 150.

[1031] კანონპროექტი მიღებულია პირველი მოსმენით.

[1032] საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულება და შეთანხმება, 11/09/2014, N200/42.

[1033] საქართველოს პარლამენტის უწყებანი, 24/07/1997, N31.

[1034] აბსოლუტურ უფლებაზე იხ. О. Иоффе. Советское гражданское право, общая часть. право собственности. общее учение об обязательствах. Л., 1958, 75.

[1035] იხ. С. Братусь, О. Иоффе. Гражданское право. М., 1967, 41; ა. კობახიძე, სამოქალაქო სამართალი, ზოგადი ნაწილი, I., თბ., 2001, 100.

შეესაბამება ყველა პირის მხოლოდ ზოგადი მოვალეობა, არ ჩაერიოს უფლებამოსილი პირის „სამფლობელოში“.[1036] მოცემულ შემთხვევაში ზიანი შეიძლება მიადგეს პიროვნების სიცოცხლესა და ჯანმრთელობას ან, ასევე, ქონებას.[1037] ამდენად, აბსოლუტური უფლებების (სიცოცხლის, ჯანმრთელობის, საკუთრების, თავისუფლებისა და სხვა ანალოგიური სიკეთეების დაცვის უფლებები) ხელყოფა წარმოშობს დელიქტურ ვალდებულებას. ასევე, წარმოებული პროდუქციის წუნისთვის მწარმოებლის პასუხისმგებლობა ეფუძნება სამეწარმეო სფეროში მწარმოებლის მიერ ბრუნვაში ჩაშვების უსაფრთხოების უზრუნველყოფის მოვალეობის დარღვევას. სსკ-ის 992-ე მუხლის მიხედვით, მწარმოებლის მიერ სწორედ მოცემული მოვალეობის ხელყოფა განიხილება აბსოლუტური უფლებების დარღვევად.[1038]

2.წუნდებული პროდუქტიდან წარმოშობილი დელიქტური ვალდებულებების ძირითადი ცნებები

2.1. ცნება „პროდუქტი“

ა. ტერმინი „პროდუქტი“

ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის თანახმად, „პროდუქტი“ (*productus*) ლათინური წარმოშობის სიტყვაა და ნიშნავს წარმოქმნილს, ნაწარმოებს, უფრო ზუსტად, წარმოების პროცესში ადამიანის შრომით შექმნილ საგანს, რომელიც მის გარკვეულ მოთხოვნილებებს აკმაყოფილებს.[1039]

სსკ-ის 1011-ე მუხლში დაკონკრეტებულია, თუ რომელი საგანი შეიძლება იყოს პროდუქტი. სახელდობრ, კანონმდებელმა პროდუქტად ჩათვალა ყველა ნივთი და ნივთთან დაკავშირებული მომსახურება, ასევე მოძრავი ნივთი მაშინაც, თუ ეს ნივთი იყო სხვა მოძრავი ან უძრავი ნივთის შემადგენელი ნაწილი.[1040] ამასთან, პროდუქტი განსხვავდება პროდუქციის-

---

[1036] იხ. Л. Эннекцерус, Т. Кипп, М. Вольф, Курс германского гражданского права, т. 1, введение и общая часть, Перевод с 13-го немецкого издания К. Граве, Г. Полинской и В. Альтшулера, под редакцией, с предисловием и вводными замечаниями Д. Генкина и И. Новицкого, М., 1949, 274.

[1037] შ. ჩიკვაშვილი, სსკ-ის კომენტარი, წ. IV, ტ. II, თბ., 2001, 380.

[1038] იხ. B. Steckler, Produkthaflung, In: Pepels W. (Hrsg.), B2B-Handbuch Operations Management, Industriegüter erfolgreich vermarkten 2. überarbeitete Auflage, Düsseldorf, 2009, 439-440, 444.

[1039] ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, ტომი VI, მეექვსე ტომის რედაქტორები - თ. შარაძენიძე, მ. მესხიშვილი, თბ., 1960, 287ი, წ. IV, ტ. II, თბ., 2001, 380.

[1040] T. GVögel, SceBRA, Scenario Based Rick Assessment: Entwicklung einer Methode für die quantitative Produkt-risikoabschätzung von Lösungsmitteln unter besonderer Berücksichtigung der Produkthaftpflicht, Zürich, 1999, 245; მოძრავია ნებისმიერი ნივთი, რომელიც, სსკ-ის მიხედვით, არაა უძრავი, გარდა მექანიკური სატრანსპორტო, საფრენი და მცურავი საშუალებებისა. იხ. „საჯარო რეესტრის შესახებ“ კანონის მე-2 მუხლის „კ“ პუნქტი, 2008 წ. 19 დეკემბერი, №820-IIს.

გან. ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის მიხედვით, პროდუქცია (ლათ. *produco*) განიხილება წარმოების, მეურნეობის რომელიმე დარგისან სახელმწიფოს მიერ გარკვეულ დროში დამზადებული პროდუქტების საერთო რაოდენობა.[1041] უფრო ზუსტად რომ ითქვას, პროდუქციაში მოიაზრება მატერიალური ფასეულობების ნაირსახეობათა ერთობლიობა - ნაკეთობა, მასალები, პროდუქტები, ტექნოლოგიები, სამეურნეო საქმიანობით მიღებული შედეგია და განიხილება, როგორც საქმიანობის ან პროცესის რეზულტატი. საქმიანობის შედეგი შეიძლება იყოს მომსახურება, ხოლო საქმიანობისა და პროცესის შედეგი კი - საქონელი.[1042] სპეციალურ კანონებში პროდუქცია საქონელთან ერთად მოიცავს მომსახურებასა და სამუშაოს. ზემოაღნიშნული ასპექტების გათვალისწინებით, პროდუქცია გაცილებით ფართო შინაარსის შემცველია, ვიდრე პროდუქტი.[1043]

ამასთან, მართალია, ხშირად, ნაცვლად ტერმინისა „პროდუქტი", გვხვდება „საქონელი", ხოლო ტერმინები „პროდუქტი" და „საქონელი" სინონიმური მნიშვნელობით გამოყენება, თუმცა ისინი განსხვავდება კიდეც ერთმანეთისგან. საქმე ისაა, რომ „პროდუქტი", თავისი არსით, უკავშირდება წარმოებით პროცესს მაშინ, როდესაც „საქონლის" შემთხვევაში ხაზგასმულია სარეალიზაციოდ გატანის მდგომარეობა. ნედლეული, ეკონომიკური გაგებით, ასევე საქონელია, მაგრამ, კანონის მიხედვით, ის მხოლოდ მაშინ იქნება საქონელი, თუ გადამუშავდება და არა იმ შემთხვევაში, როცა საქმე ბუნებრივ რესურსებს ეხება.[1044]

ამდენად, პროდუქტი გაცილებით ვიწრო შინაარსის მატარებელია, ვიდრე ტერმინი „პროდუქცია", თუმცა კონტექსტში შეიძლება ჩაენაცვლოს ერთმანეთს. ყველა პროდუქტი უნდა განიხილებოდეს პროდუქციად, ხოლო პროდუქცია, გარდა პროდუქტისა, მოიცავს მატერიალური ფასეულობების სხვა სახეებს, რომელთა საშუალებითაც შეიძლება გარკვეული მოთხოვნილებების დაკმაყოფილება. რაც შეეხება საქონელს, ის განსხვავდება პროდუქტისაგან იმით, რომ პროდუქტში გამოკვეთილია წარმოებითი პროცესი, ხოლო საქონელი - სავაჭრო ხასიათს და მასში შემოდის სარეალიზაციოდ გატანის მომენტი. შესაბამისად, საქონელი სარეალიზაციოდ გატანილი პროდუქტია.

[1041] ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, ტომი VI, მეექვსე ტომის რედაქტორები - თ. შარაძენიძე, მ. მესხიშვილი, თბ., 1960, 288.

[1042] ლ. ხარატიშვილი, პროდუქციის ხარისხის მეტროლოგიური უზრუნველყოფა, I ნაწ., თბ., 2012, 13-14.

[1043] ანალოგიური მოსაზრების შესახებ, ასევე, იხ. თ. შოთაძე, უხარისხო პროდუქტით მიყენებული ზიანისთვის პასუხისმგებლობის სამართლებრივი პრობლემა ქართულ და ევროპულ კანონმდებლობათა მიხედვით, ჟურნ. „მართლმსაჯულება", N2, 2007, 64.

[1044] იხ. T.Wilrich, Das Neue Produktsiherheitsgesetz (ProdSG), Leitfaden für Hersteller, Importeure und Händler, Berlin, 2012, 24.

ბ. ელექტროდენი არის თუ არა პროდუქტი?

ევროპული კავშირის 1985 წლის 25 ივლისის 374-ე დირექტივის მე-2 მუხლის თანახმად, ელექტროენერგია პროდუქტია.[1045] ამასთან, პროდუქტმა უნდა მოიცვას ნებისმიერი საგანი, რომელიც დამზადებულია მრეწველობის, სოფლის მეურნეობის, მეცხოველეობის, მეთევზეობის, პირველადი გადამუშავების შედეგად. პროდუქციის გაგებაში უნდა იყოს, ასევე, ელექტროენერგია და გაზი.[1046] საგულისხმოა, რომ გერმანული სამართალი[1047] ელექტრობას განიხილავს პროდუქტად. გარდა ამისა, პროდუქტით გამოწვეული პასუხისმგებლობის შესახებ შვეიცარიის კანონის[1048] თანახმად, პროდუქტია ელექტრობა (მე-3 მუხლი). ამასთან, პროდუქტი უნდა იყოს სივრცობრივად შემოსაზღვრული, ხოლო უსხეულო ობიექტები (საპატენტო უფლებები, მომსახურებები) არ განიხილება პროდუქტებად.[1049]

საკანონმდებლო ცვლილებების განხორციელებამდე სსკ-ის 1011-ე მუხლით პროდუქტად განიხილებოდა ელექტროდენი და, შესაბამისად, მიმწოდებელს პასუხი უნდა ეგო წუნდებული ელექტროდენის მიწოდებისთვის. ამ საფუძვლით ბუნებრივი აირიც უნდა ასახულიყო პროდუქტის ცნებაში, ვინაიდან „ელექტროენერგეტიკისა და ბუნებრივი გაზის შესახებ" საქართველოს კანონით მათი სამართლებრივი რეგულირება ერთი კანონის ფარგლებში იყო თავმოყრილი.[1050] მოცემული პრინციპით თუ შევხედავთ ამ საკითხს, პროდუქტად უნდა მოიაზრებოდეს წყალიც.[1051] სსკ-ში საკანონმდებლო ცვლილებებამდე ელექტროდენი იყო პროდუქტი, ვინაიდან ის, სსკ-ის გაგებით, ნივთი არაა. მიმწოდებელი პასუხს აგებდა უხარისხო ელექტროენერგიის მიწოდებისთვის (მაგალითად, ძაბვის ცვალებადობა). მომხმარებლისთვის ელექტროდენის მიწოდების შეწყვეტა პრაქტიკულად

[1045] Richtlinie des Rates vom 25. Juli 1985, 85/374/EWG (ევროკავშირის 1985 წლის 25 ივლისის დირექტივა).

[1046] К. Ц. Вуй, Деликтная ответственность за вред, причиненный вследствие дефектов продукции (Автореферат), Киев, 1993, 9.

[1047] Gesetz über die Haftung für fehlerhafte Produkte (Produkthaftungsgesetz - ProdHaftG), BGBl, I 2198 vom 22 Dezember 1989.

[1048] Bundesgesetz über die Produktehaftpflicht (Produktehaftpflichtgesetz, PrHG), vom 18. Juni 1993 (Stand am 1. Juli 2010).

[1049] T. G. Vögel, SceBRA, Scenario Based Rick Assessment: Entwicklung einer Methode für die quantitative Produkt-risikoabschätzung von Lösungsmitteln unter besonderer Berücksichtigung der Produkthaftpflicht, Zürich, 1999, 245.

[1050] აღნიშნულთან დაკავშ. იხ. თ. შოთაძე, უხარისხო პროდუქტით მიყენებული ზიანისთვის პასუხისმგებლობის სამართლებრივი პრობლემა ქართულ და ევროპულ კანონმდებლობათა მიხედვით, ჟურნ. „მართლმსაჯულება", N2, 2007, 63-64.

[1051] როგორც წყალი, ისე ელექტროენერგია და ბუნებრივი აირი გვხვდება საქართველოს 1997 წლის 27 ივნისის კანონში „ელექტროენერგეტიკისა და ბუნებრივი გაზის შესახებ" (N816-IIს).

უფრო მნიშვნელოვანია, მაგრამ ის პასუხისმგებლობას არ იწვევდა, ვი ნაიდან ელექტროდენის მიუწოდებლობა ცნების დონეზე არაა პროდუქ–ტი.[1052] ამჟამინდელი რედაქციით სსკ-დან ამოღებულია დებულება პროდუ–ქტად ელექტროდენის მიჩნევის შესახებ. შესაბამისად, თუ ზემოთ მოყვანი–ლი მოსაზრებით ვიხელმძღვანელებთ, ნორმატიული გაგებით, დღესდღეო–ბით ცნების დონეზე ელექტროდენი არაა პროდუქტი.

მიუხედავად აღნიშნულისა, ამჟამად სასამართლო პრაქტიკაში არსე–ბობს გადაწყვეტილება, რომლითაც ელექტროდენის მიუწოდებლობა წუნ–დებულ პროდუქტად დაკვალიფიცირდა. საქმე ის იყო, რომ სასამართლომ ელექტროენერგია ჩათვალა პროდუქტად, ხოლო ელექტროენერგიის მიუ–წოდებლობა - ამ პროდუქტის წუნად.[1053] თუმცა გაუგებარია ასეთი შე–ფასება მაშინ, როცა ელექტროდენი, სსკ-ის გაგებით, არაა პროდუქტი და ლოგიკურად შეუძლებელია ელექტროენერგიის არარსებობისას მის წუნ–ზე საუბარი. ფაქტობრივად იურიდიულ ლიტერატურაშიც ხაზგასმულია ეს დეტალი. ამასთან, მართალია, ის არ განიხილება სხეულებრივ საგნად (ნივთი), მაგრამ შესაძლებელია პროდუქტი გახდეს, თუ ის ყიდვა-გაყიდ–ვის ობიექტი იქნება. შესაბამისად, ამ შემთხვევაში დასაშვებია მის წუნზე მსჯელობაც, თუმცა არა ელექტროენერგიის მიუწოდებლობისას.[1054]

ამ მიმართულებით მნიშვნელოვანია საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის 2006 წლის 17 მარტის (N3) დადგენილება „ელექ–ტრონული კომუნიკაციების სფეროში მომსახურების მიწოდებისა და მო–მხმარებელთა უფლებების დაცვის შესახებ რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე“. აქ საქმე ეხება ელექტრონული საკომუნიკაციო მომსახურებას, რომელშიც მოიაზრება ელექტრონული საკომუნიკაციო მომსახურების მიმწოდებლის მიერ მომხმარებლისათვის ადგილობრივი, საერთაშორისო, საქალაქთაშორისო, მობილური საკომუნიკაციო კავშირით, ინტერნეტით და მაუწყებლობის ტრანზიტით მომსახურება, ასევე გაფართოებული ელექტრონული საკომუნიკაციო მომსახურება (რეგლამენტის მე-3 მუხ–ლის 1-ლი პუნქტის „ზ“ ქვეპუნქტი).

მოცემული რეგლამენტის 26-ე მუხლის 1-ლი პუნქტის თანახმად, მომხმარებელს უფლება აქვს, მოითხოვოს მომსახურების გაწევისას ან მომსახურების გაწევით დარღვეული უფლების აღდგენა და მიყენებული მატერიალური და მორალური ზიანის ანაზღაურება. ამასთან, რეგლამენ–

[1052] ბ. შაკიშვილი, პროდუქტის ცნება საქართველოს სამოქალაქო კოდექსში, ჟურნ. „სამართალი, N5, 1999, 39.

[1053] საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2013 წლის 29 ივლისის გადაწყვეტილება (№ას-688-654-2013).

[1054] აღნიშნულის შესახებ იხ. თ. ზოიძე, წუნდებული (უხარისხო) პროდუქტით მიყენებ–ული ზიანის ანაზღაურება ქართულ სასამართლო პრაქტიკაში, „სამართლის ჟურნალი“, N1, 2012, 87-88.

ტის მე-3 მუხლის 1-ლი პუნქტის „ჰ²“ ქვეპუნქტის თანახმად, დაუშვებელ პროდუქციად განიხილება ელექტრონული კომუნიკაციების მეშვეობით გადაცემული პორნოგრაფია, სიძულვილისა და ძალადობის განსაკუთრებით მძიმე ფორმების ამსახველი, პირადი ცხოვრების შემლახველი, ცილისმწამებლური, შეურაცხმყოფელი, უდანაშაულობის პრეზუმფციის დამრღვევი, უზუსტო, საავტორო უფლებებისა და კანონმდებლობის დარღვევით გადაცემული სხვა პროდუქცია.

ამდენად, დღეს სამოქალაქო კანონმდებლობაში არსებული მდგომარეობის მიხედვით, ელექტროდენით მიყენებული ზიანისთვის არ გამოიყენება წუნდებული პროდუქტით გამოწვეული პასუხისმგებლობის მომწესრიგებელი ნორმები. თუმცა ეს როდი ნიშნავს იმას, რომ ის რეგულირების მიღმაა; თუ ელექტროდენმა წარმოშვა ზიანი, მასზე შეიძლება გავრცელდეს პასუხისმგებლობის საერთო საფუძვლები. ეს კიდევ უფრო ცხადია, თუ ზიანი მიადგა ნივთებს, ვინაიდან, სსკ-ის 1014-ე მუხლის მიხედვით, მწარმოებელი პასუხს აგებს მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც წუნდებულმა პროდუქტმა ხელყო სხვისი სიცოცხლე, სხეული ან ჯანმრთელობა.[1055]

გ. პირველადი ან ნადირობის შედეგად მიღებული პროდუქტი

კანონმდებელმა პროდუქტთა წრიდან გამორიცხა ნივთი, რომელიც სურსათის პირველადი პროდუქტია, ან კიდევ ნადირობის შედეგად მოპოვებული პროდუქტი (სსკ-ის 1011-ე მუხლის 1-ლი ნაწილი). პირველად პროდუქტად მიიჩნევა ადამიანის ან ცხოველის საკვებად განკუთვნილი პროდუქტი, რომელიც მიღებულია პირველადი წარმოებიდან გადამუშავებამდე (მათ შორის ნიადაგიდან) ცხოველის მოშენების, ნადირობის ან თევზჭერის შედეგად. ცხოველის საკვები შეიძლება იყოს ცხოველის საკვებად გამოსაყენებელი ნებისმიერი გადამუშავებული, ნაწილობრივ გადამუშავებული ან გადაუმუშავებელი ნივთიერება ან პროდუქტი (საკვებდანამატის ჩათვლით).[1056] გარდა აღნიშნულისა, პროდუქტი მოიცავს ბაზარზე განთავსებულ საქონელსაც, მიუხედავად იმისა, განკუთვნილია თუ არა ის უშუალოდ საბოლოო მომხმარებლისთვის, რომელიც მიწოდებულია, ან სხვაგვარად ხელმისაწვდომია კომერციული თუ არაკომერციული მიზნებისთვის (სსკ-ის 1011-ე მუხლი). შესაბამისად, პროდუქტად განიხ-

---

[1055] ნივთების, როგორც დაცვას დაქვემდებარებული სიკეთეების, შესახებ იხ. თ. ზოიძე, წუნდებული (უხარისხო) პროდუქტით მიყენებული ზიანის ანაზღაურება ქართულ სასამართლო პრაქტიკაში, „სამართლის ჟურნალი“, N1, 2012, 90-92.

[1056] „სურსათის/ცხოველის საკვების უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის კოდექსი“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლის „ვ“ და „ზ“ პუნქტები.

ილება ბიზნესოპერატორის მიერ სურსათის/ცხოველის საკვების, ცხოველის, მცენარის, ცხოველური და მცენარეული პროდუქტების, ვეტერინარული პრეპარატის, პესტიციდის ან/და აგროქიმიკატის სასყიდლით ან უსასყიდლოდ მიწოდებული, აგრეთვე სხვა ფორმებით გადაცემული საქონელი (ბაზარზე განთავსება). საბოლოო მომხმარებლად განიხილება სუბიექტი, რომელიც არ იყენებს სურსათის/ცხოველის საკვებს, ცხოველს, მცენარეს, ცხოველურ და მცენარეულ პროდუქტებს, ვეტერინარულ პრეპარატს, პესტიციდს ან/და აგროქიმიკატს სარეალიზაციოდ.[1057]

დ. კომპიუტერული პროგრამა (უზრუნველყოფა)

გავრცელებული შეხედულების მიხედვით, პროდუქტთა წრეს განეკუთვნება პროგრამული უზრუნველყოფა,[1058] თუმცა იურიდიულ ლიტერატურაში გამოთქმულია საწინააღმდეგო აზრი, რომლითაც ინტელექტუალური საკუთრება არ განიხილება ნივთად.[1059] კომპიუტერული პროგრამები ან უზრუნველყოფა, მსგავსად ელექტრობისა, დოგმატური თვალსაზრისით, მოძრავ ნივთთან არაა გათანაბრებული ისევე, როგორც ნადირობის შედეგი ან სასოფლო-სამეურნეო პროდუქტი. თუ მას განვიხილავთ პროდუქტად, მაშინ აუცილებელი გახდება „მოძრავი ნივთის" ცნების განმარტება და იმის განსაზღვრა, შეიძლება თუ არა პროგრამული უზრუნველყოფა თუ კომპიუტერული პროგრამა ჩაითვალოს მოძრავ ნივთად.[1060] უნდა აღინიშნოს, რომ კომპიუტერული პროგრამა არაა პროდუქტი, ვინაიდან ის სხეულებრივი საგანი კი არა, არამედ ინტელექტუალური საქმიანობის განსხეულებაა. თუნდაც საქმე შეეხოს მონაცემების დისკზე გადატანას, ამ შემთხვევაში წინა პლანზე დგას მისი არამატერიალური ღირებულება ნოუ-ჰაუს სახით. ამდენად, კომპიუტერული პროგრამა ინტელექტუალური და უსხეულო ხასიათისაა, მონაცემთა მატარებელთან მიმართებით კი წარმოადგენს გადაცემად ეკონომიკურ ღირებულებას.[1061] თუ წუნდებული კომპიუტერული პროგრამა იწვევს სხეულის ან ჯანმრთელობის ხელყოფას, მხოლოდ ამ შემთხვევაში იქნება ის წუნდებული

[1057] „სურსათის/ცხოველის საკვების უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის კოდექსი" საქართველოს კანონის მე-2 მუხლის „ჰ" და „ჰ[2]" პუნქტები.

[1058] იხ. T.Wilrich, Das Neue Produktsicherheitsgesetz (ProdSG), Leitfaden für Hersteller, Importeure und Händler, Berlin, 2012, 25.

[1059] იხ. F.Gr. v.Westphalen, Das neue Produkthaftungsrecht, in: NJW, Heft2, 1990, 87; ასევე, იხ. ბ. შაკაშვილი, პროდუქტის ცნება სსკ-ში, ჟურნ. „სამართალი", N5, 1999, 38.

[1060] დაწვრ. იხ. J.Taeger, Außervertragliche Haftung für fehlerhafte Computerprogramme, Bd. 13, Tübingen, Mohr, 1995, 108-121.

[1061] იხ. G.Musulas, Die Haftung des Softwareherstellers im Hinblick auf das ProdHaftG, Frankfurt/M. et al, 1993, 14; J.Taeger, Außervertragliche Haftung für fehlerhafte Computerprogramme, Bd. 13, Tübingen, Mohr, 1995, 123.

პროდუქტიდან წარმოშობილი პასუხისმგებლობის ფარგლებში განხილული. არასწორი მონაცემების გადამუშავების ან მსგავსი წუნის დროს ეს შემთხვევა გამოირიცხება წუნდებული პროდუქტით გამოწვეული პასუხისმგებლობის მომწესრიგებელი სამართლის სფეროდან. საკითხი შეიძლება განიხილებოდეს პერსონალური მონაცემების დაცვის ფარგლებში.[1062] მიზანშეწონილია, მოცემულ შემთხვევაში სამოქალაქო პასუხისმგებლობა დადგეს, სსკ-ის 992-ე მუხლის მიხედვით. რამდენადაც სსკ-ის 1014-ე მუხლით განსაზღვრულია, სსკ-ის 1011-ე მუხლში მოცემული პროდუქტით მიყენებული ზიანის დროს ამ თავით დადგენილი წესებით დაცვას ექვემდებარება სიცოცხლე, ჯანმრთელობა, სხეული და არა პერსონალური მონაცემები ან არაა სხვა სიკეთე. შესაბამისად, სხვა სიკეთისთვის ზიანის მიყენების შემთხვევები უნდა განიხილებოდეს გენერალური დელიქტის ფარგლებში (სსკ-ის 992-ე მუხლი).

ამასთან, სსკ-ის 1014-ე მუხლით გამოირიცხება წუნდებული პროდუქტით ქონებისთვის ზიანის ანაზღაურება წუნდებული პროდუქტით წარმოშობილი დელიქტური პასუხისმგებლობის ფარგლებში. თუმცა პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსი ეხება ქონების ნებისმიერი ნაწილის დაზიანებას ან განადგურებას, გარდა თავად წუნდებული პროდუქტისა, რომლის ღირებულება 300 ლარზე მეტია. ამ status quo-ს მიხედვით, სავარაუდოა, რომ წუნდებული პროდუქტის მიერ ქონების დაზიანება, რომელიც 300 ლარზე ნაკლებია, უნდა განიხილებოდეს სსკ-ის 992-ე მუხლის ფარგლებში. თუ წუნდებული პროდუქტი 300 ლარზე მეტია, ამ შემთხვევაში ქონების ხელყოფა დაექვემდებაროს პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსს (და არა სსკ-ის 1014-ე მუხლს). არადა ეს კოდექსი იცავს ქონებას, თუმცა სსკ-ის 1014-ე მუხლი, რომელიც ადგენს წუნდებული პროდუქტიდან წარმოშობილი ზიანის ანაზღაურების ფარგლებს, გამორიცხავს ქონებას დაცულ სიკეთეთა წრიდან. ალბათ, სსკ-ის 1014-ე მუხლში უნდა აისახოს ქონების ხელყოფის შემთხვევაც, რომელსაც დააზუსტებს პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსი სათანადო მითითებით, რათა ეს ორი ნორმა თანხვედრაში იყოს ერთმანეთთან.[1063]

[1062] დაწვრ. იხ. J.Taeger, Außervertragliche Haftung für fehlerhafte Computerprogramme, Bd. 13, Tübingen, Mohr, 1995, 316.

[1063] დასახელებული ნორმების საერთო საფუძვლებთან დაკავშ. იხ. თ. ბენდელიანი, ფრენშაიზინგის ხელშეკრულების საფუძველზე მომხმარებლისათვის წუნდებული პროდუქტით მიყენებული ზიანის ანაზღაურების სამართლებრივი მოწესრიგება ქართული კანონმდებლობის მიხედვით, „სტუდენტური სამართლებრივი ჟურნალი", 2014, 39; ასევე, არის მოსაზრება, რომლის თანახმად, ქონებისთვის ზიანის მიყენებაზე ვრცელდება, გარდა ტრადიციული დელიქტური პასუხისმგებლობის ნორმებისა, სპეციალური კანონი - პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსი. ალბათ, კარგი იქნებოდა, ორივე წესი ერთიან რეგულირებაში შეთანხმებულიყო. იხ. თ. ზოიძე, წუნდებული პროდუქტით მიყენებული ზიანის ანაზღაურება (ქართული და გერმანული სამართლის შედარებითი ანალიზი), თბ., 2016, 211-212.

ე. ადამიანის სხეულის ნაწილი

აქტუალობას არ კარგავს, ასევე, საკითხი იმის შესახებ, ადამიანის სხეულის ნაწილი შეიძლება თუ არა პროდუქტად მოიაზრებოდეს. პროდუქტია სხეულის შემადგენელი ხელოვნური ორგანოები, როგორიცაა ხელის, ფეხის ან კბილის პროთეზი. გაბატონებული აზრის მიხედვით, ადამიანის ცალკეული ორგანოს (გული, თირკმელი, ღვიძლი და სხვა) გასხვისება ტრანსპლანტაციის მიზნით არ განიხილება საკუთრებით ურთიერთობად და, შესაბამისად, არც ეს ორგანოებია ნივთები.[1064] აქ მიზანშეწონილია, მხედველობაში იქნეს მიღებული საწინააღმდეგო მოსაზრება[1065], რომლითაც ნივთებად და, მაშასადამე, პროდუქტებად მიიჩნევა ადამიანის ორგანოები და სხეულის ნაწილები სხეულის მოკვეთის შემდეგ. პროდუქტია ადამიანის სისხლი და მისი კომპონენტები, ჩანასახისა და ნაყოფის ორგანოები, რეპროდუქციული ორგანოები (საკვერცხე, სათესლე ჯირკვალი, კვერცხუჯრედი, სპერმა), კბილი, თმა და ა. შ. ცხადია, დონორი, მსგავსად მწარმოებლისა, პასუხს არ აგებს. პასუხისმგებლობა უნდა გამოირიცხოს, როცა ასეთი პროდუქტი ემსახურება არაა გაყიდვასა და სხვა სახის ანაზღაურებას, არამედ ის გასხვისდება პროფესიული საქმიანობისთვის. თუმცა განსხვავებული მდგომარეობაა სადონორო სისხლისა და ადამიანის სხეულის ორგანოების საცავების, ე. წ. ბანკების შემთხვევაში. აქ, მაგალითად, ჩაბარებული სისხლი გადამუშავდება სისხლის პლაზმად, მიიღება ახალი პროდუქტი, რომლის მწარმოებელი სადონორო სისხლის ბანკია და პასუხიც მან უნდა აგოს.[1066] მართალია, ცოცხალი ადამიანის სხეული არაა ნივთი, მაგრამ მისი ცალკეული ნაწილი გახდება ნივთი მხოლოდ მას შემდეგ, რაც ისინი მისგან იზოლირებული ან გამოცალკევებული იქნება. მანამდელ მატარებელს საკუთრების უფლება აქვს მასზე. ამდენად, სპერმატოზოიდი და კვერცხუჯრედები ნივთებია, რომლებიც მამაკაცისა და ქალის საკუთრებაშია.[1067]

ვ. ქიმიური, ფარმაცევტული და სხვა სახის საწარმოო ნარჩენები ან წამალი

პროდუქტი, თავის მხრივ, შეიძლება იყოს ქარხნული ან ხელოსნური წესით ნაწარმოები, ან ნაწარმოები იყოს მხოლოდ ერთადერთი პროდუქტი

[1064] დაწვრ. იხ. ლ. ჭანტურია, უძრავი ნივთების საკუთრება, თბ., 1994, 137.

[1065] იხ. Ch.Landscheidt, Das neue Produkthaftungsrecht, Berlin, 1990, 53 და შემდგომი გვერდები.

[1066] იხ. ბ. შაკიშვილი, პროდუქტის ცნება სსკ-ში, ჟურნ. „სამართალი", N5, 1999, 38; ამავე საკითხთან დაკავშირებით იხ. თ. ზოიძე, წუნდებული (უხარისხო) პროდუქტით მიყენებული ზიანის ანაზღაურება ქართულ სასამართლო პრაქტიკაში, „სამართლის ჟურნალი", N1, 2012, 88.

[1067] იხ. N. Börgers, H. Frister, Rechtliche Probleme im Zusammenhang mit der Kryokonservierung von Keimzellen, Humboldt Forum Recht (HFR), N1, 2010, 4.

(ხელოვნების ნიმუში). აქტუალურია, ასევე, ქიმიური, ფარმაცევტული და სხვა სახის საწარმოო ნარჩენების საკითხი. ისინი მოძრავი ნივთებია და მთავარი მასალის ან ნახევარფაბრიკატის გამოუყენებელი ნაწილებია. ნარჩენები, ჩვეულებრივ, ნადგურდება ან ერთად მოგროვების შემდეგ მთავარ მასალად გამოიყენება. ნარჩენებიდან შეიძლება მეორეული გადამუშავების პროდუქტების წარმოება. ასეთი პროდუქტის უხარისხობით მიყენებული ზიანის დროს პასუხისმგებლობა დგება. ასევე ის, ვინც საწარმოო ნარჩენებს აგროვებს, ახარისხებს და „ახალ" მასალად გააქვს ბაზარზე, ექვემდებარება პასუხისმგებლობას. მაგალითად, ჯართით მოვაჭრე ფირმა რენტგენის აპარატის ნაწილებს ყიდის, როგორც კეთილშობილ ლითონს.[1068]

ვაქცინა ან წამალი უნდა განიხილებოდეს პროდუქტად, ვინაიდან თუ წამლის (პროდუქტის) წუნი გამოვლინდა იმაში, რომ პრეპარატს არ ახლდა რაიმე გაფრთხილება-შენიშვნა მისი გამოყენების შედეგად შესაძლო გვერდითი მოვლენების შესახებ, მაშინ თვით წამალი პროდუქტია. მოცემულ შემთხვევაში ვაქცინაციის მწარმოებელ კომპანიას ზიანის ანაზღაურება უნდა დაეკისროს „წამლისა და ფარმაცევტული საქმიანობის შესახებ" საქართველოს კანონის 26-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, რომლითაც დაკონკრეტებულია, რომ ინფორმაციული ნაკლის გამო დგება პასუხისმგებლობა. აქ საქმე ეხება ვალდებულებას, სამკურნალო საშუალებების მიმოქცევისა და გამოყენების სუბიექტებმა მიაწოდონ წამლის სააგენტოს ინფორმაცია სამკურნალო საშუალების სხვა ურთიერთქმედების თავისებურებათა შესახებ, რომელიც მითითებული არაა მათი გამოყენების ინსტრუქციაში.[1069] ამდენად, მწარმოებელს უნდა მიეწოდებინა ინფორმაცია იმის თაობაზე, თუ რა ფარგლებში უზრუნველყოფდა მის მიერ წარმოებული პროდუქტი მომხმარებლის უსაფრთხოებას.[1070]

ზ. გენმოდიფიცირებული პროდუქტი

მომხმარებელთა უფლებების დაცვის თვალსაზრისით, განსაკუთრებით პრობლემურია ბაზრის გენმოდიფიცირებული პროდუქტებით მომარ-

---

[1068] ბ. შაკიაშვილი, პროდუქტის ცნება სსკ-ში, ჟურნ. „სამართალი", N5, 1999, 38-39.

[1069] საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციული და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2005 წლის 26 იელისის გადაწყვეტილება Nბს-434-25(3კ-05).

[1070] საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციული და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2009 წლის 8 აპრილის გადაწყვეტილება Nბს-972-936(3კ-08); ამ საქმესთან დაკავშირებით მიზანშეწონილი იყო, სასამართლოს ემსჯელა წუნდებული პროდუქტით გამოწვეული ზიანის შესახებ ნორმებზეც და წუნდებული პროდუქტის არსის განმსაზღვრელი კრიტერიუმები ჩამოეყალიბებინა, მით უმეტეს, რომ სსკ-ი არ იძლევა ზუსტ, კონკრეტულ განმარტებას. იხ. თ. ზოიძე, წუნდებული (უხარისხო) პროდუქტით მიყენებული ზიანის ანაზღაურება ქართულ სასამართლო პრაქტიკაში, „სამართლის ჟურნალი", N1, 2012, 89-90.

აგების საკითხი. დედამიწის მოსახლეობის არაპროგნოზირებულმა ზრდამ მეცნიერება აიძულა, საკვებზე მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად გამოენახა არატრადიციული ტექნოლოგიური საშუალებები. ამ გაგებით, გენური ინჟინერია განიხილება მნიშვნელოვან მიგნებად, გულისხმობს რა ერთი სახეობიდან გენების გადატანას მეორე არამონათესავე სახეობაში და მოიცავს მეთოდებს, რომლებიც ნუკლეინის მჟავებით მანიპულირების საშუალებას იძლევა. თვით გენური ინჟინერიის განვითარებით შესაძლებელი გახდა სხვადასხვა სამკურნალო პრეპარატის შექმნა, როგორიცაა ზრდის ჰორმონი, გენეტიკურად მოდიფიცირებული ცოცხალი ორგანიზმების მიღება და მათ საფუძველზე საკვები პროდუქტების დამზადება. შესაბამისად, მოცემულ შემთხვევაში მიღებულ ორგანიზმს ენიჭება ახალი თვისებები. ამ მეთოდით მიიღება თევზის გენის შემცველი ხილი ან ბოსტნეული, მწერის გენის შემცველი მცენარეები და სხვა, გენმოდიფიცირებას ექვემდებარება უმნიშვნელოვანესი მცენარეული ნედლეული, მაგალითად, სოია, სიმინდი, კარტოფილი, პომიდორი, ბრინჯი. ამასთან, შესაძლებელია გენური ინჟინერიის საშუალებით გენების გადატანა ერთმანეთისგან ძალიან დაშორებულ სახეობებს შორისაც, მაგალითად, მცენარეებში შეიძლება გენების გადატანა ბაქტერიებიდან, ვირუსებიდან, ცხოველებიდან, ასევე, ადამიანებიდან.[1071] სწორედ მოცემულ ასპექტებზეა ყურადღება გამახვილებული ევროპულ დირექტივებშიც, რომლითაც, გენეტიკურად სახეცვლილი „ორგანიზმი" განიხილება, როგორც პროდუქტი.[1072]

დღესდღეობით საქართველოში მოედინება უამრავი მცენარეული და მიკრობული საკვები და მედიკამენტები, რომლებიც გაჯერებულია გენმოდიფიცირებული ორგანიზმებით ან მისი ინგრედიენტებით. შესაბამისად, ამ მიმართულებით აუცილებელია საზოგადოების ჯანსაღი საკვების პოლიტიკის შემუშავება-წარმართვა, რათა მომხმარებლის თანამედროვე მოთხოვნებს სათანადოდ უპასუხოს. ჩატარებული მეცნიერული კვლევები საკმარისად ადასტურებენ, რომ გენმოდიფიცირებული საკვების გამოყენება უარსაყოფია. საქმე ისაა, რომ ტრანსგენიზაცია გავლენას ახდენს როგორც ადამიანის ჯანმრთელობაზე, ისე გარემოზეც, ვინაიდან იწვევს კეებითი ჯაჭვების დარღვევას და ბიომრავალფეროვნების შემცირებას. ამასთან, ველურ ბუნებაში გენეტიკურად შეცვლილი ფორმების შემთხვევითმა გავრცელებამ შეიძლება კატასტროფული ცვლილებები გამოიწვიოს ეკოსისტემაში.[1073]

[1071] ო. კერესელიძე, გენეტიკურად მოდიფიცირებული პროდუქტების წარმოებით შექმნილი სასურსათო პროდუქტების უვნებლობის პრობლემა, ქუთაისის სამეცნიერო ცენტრის ჟურნ. „ნოვაცია", N6, 2010, 66-67.

[1072] იხ. Richtlinie 2001/18/EG des Europäischen Parlaments und des Rates vom 12. März 2001.

[1073] აღნიშნულთან დაკავშირებით იხ. ო. კერესელიძე, გენეტიკურად მოდიფიცირებული პროდუქტების წარმოებით შექმნილი სასურსათო პროდუქტების უვნებლობის პრობლემა, ქუთაისის სამეცნიერო ცენტრის ჟურნალი „ნოვაცია", N6, 2010, 68.

ამდენად, გენეტიკურად მოდიფიცირებული პროდუქტების გამოყენებასთან დაკავშირებით მხედველობაშია მისაღები ევროპული საბჭოს დირექტივები. ევროსაბჭოს ამ რეკომენდაციებში ხაზგასმით მითითებულია, რომ პროდუქტების გამოყენება დაიშვება, თუ ისინი უსაფრთხოა გარემოსა და ადამიანის ჯანმრთელობის დაცვის თვალსაზრისით.[1074]

2.2. წუნდებული პროდუქტის ცნება და სახეები

ა. წუნდებული პროდუქტის ცნება

ტერმინი „წუნდებული პროდუქტი" უკავშირდება სიტყვას „წუნი", რომელიც, ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის მიხედვით, განიხილება, როგორც ნაკლი, დეფექტი. მაგალითად, მდარე პროდუქცია. წუნის დადებაში მოიაზრება დაწუნება. წუნდებული იგივეა, რაც წუნის მქონე, ცუდი, უხარისხო.[1075]

ხარისხი არის პროდუქციის ან მომსახურების თვისებებისა და მახასიათებლების ერთობლიობა, რომლებიც მათ აძლევენ უნარს, დააკმაყოფილონ დადგენილი ან სავარაუდო მოთხოვნები.[1076] პროდუქციის ხარისხი არსებითად ნიშნავს მისი სახმარი ღირებულების დონეს, რაც უშუალოდაა დაკავშირებული მის დანიშნულებასა და გამოყენების კონკრეტულ პირობებთან,[1077] ან პროდუქციის თვისებების ერთობლიობა, რომელიც განაპირობებს მის ვარგისობას, რათა დააკმაყოფილოს განსაზღვრული მოთხოვნილება დანიშნულების შესაბამისად.[1078] ამდენად, პროდუქციის სამომხმარებლო ღირებულების შესწავლა გულისხმობს მისი ხარისხის დადგენას.[1079]

დღესდღეობით საქართველოს კანონმდებლობაში წუნდებული პროდუქტით მიყენებული ზიანისთვის პასუხისმგებლობის საფუძვლები წარმოდგენილია სსკ-სა და საქართველოს კანონში „პროდუქტის უსაფრთხ-

---

[1074] Verordnung (EG) Nr. 1829/2003 des Europäischen Parlaments und des Rates vom 22. September 2003; Richtlinie 90/219/EWG des Rates vom 23. April 1990.

[1075] ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, ტომი VIII, მერვე ტომის რედაქტორები - ივ. გივინეიშვილი, ბ. ფოჩხუა, თბ., 1964, 1178, 1179.

[1076] ლ. ხარატიშვილი, პროდუქციის ხარისხის მეტროლოგიური უზრუნველყოფა, I ნაწ., თბ., 2012, 13.

[1077] მ. ბლიაძე, ს. ბლიაძე, პროდუქციის ხარისხი და კონტროლი (ლექციების კურსი), თბ., 2006, 3.

[1078] იხ. ლ. ხარატიშვილი, პროდუქციის ხარისხის მეტროლოგიური უზრუნველყოფა, I ნაწ., თბ., 2012, 14; მ. თეთრუაშვილი, ზ. თეთრუაშვილი, ი. თეთრუაშვილი, საკუთარი ბიზნესი: მთავარი სამიზნე მოთხოვნილების დაკმაყოფილება, მე-2 ნაწ., დამხმარე სახელმძღვანელო, გორი, 2008, 61; მ. ბლიაძე, ბლიაძე ს., პროდუქციის ხარისხი და კონტროლი (ლექციების კურსი), თბ., 2006, 3.

[1079] მ. წულუკიძე, პროდუქციის ხარისხის მართვის თანამედროვე მიდგომები, თბ., 2013, 22.

ობისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსი". ამასთან, სიახლეა ის, რომ ტერმინმა „წუნდებული" ჩაანაცვლა „უხარისხო", ვინაიდან წუნდებული პროდუქტის ცნება გათვალისწინებულია ევროკავშირის დირექტივაში, რომელსაც იზიარებს კიდეც ქართული კანონმდებლობა.[1080] ეს გამართლებულიცაა, თუ მხედველობაში მივიღებთ იმას, თუ რა იგულისხმება ტერმინში „წუნი".

ამერიკული ტერმინოლოგიის მიხედვით, ზოგადად, ტერმინი „წუნი" მოქმედ კანონმდებლობაში გამოიყენება დეფექტური პროდუქციით გამოწვეული დელიქტური პასუხისმგებლობის დროს. „წუნში" მოიაზრება პროდუქციის გონივრული გამოყენებისას მომხმარებლის სიცოცხლის, ჯანმრთელობის ანდა ქონების დაუსაბუთებელი საფრთხე. ამასთან, „წუნის" ცნება განსხვავდება პროდუქციის „ნაკლის" ცნებისგან, რომელიც ფართოდ გამოიყენება სახელშეკრულებო სამართალში. სახელშეკრულებო სამართლის მიხედვით, ნაკლში, ჩვეულებრივ, მოიაზრება საგნის ისეთი თვისებები, რომელთა გამო შეუძლებელია მისი მიზნობრივი გამოყენება, თვით მომხმარებლის ძალებით კი ვერ იქნება აღმოფხვრილი. ნაკლია, ასევე, თუ შეიძლება საგანი არსებითად შეიცვალოს იმისგან განსხვავებით, რაც ხელშეკრულებით იყო გათვალისწინებული, ან თუ ამ თვისებების აღმოფხვრის შემდეგ ისინი კვლავ იჩენენ თავს. ამდენად, ნაკლის არსებობა პროდუქციაში სულაც არ ქმნის გონივრულ საფრთხეს მომხმარებლის სიცოცხლისთვის, ჯანმრთელობის ან ქონებისთვის. ეს უფრო წუნს ახასიათებს. ამიტომ წუნდებული პროდუქციით გამოწვეული პასუხისმგებლობის შესახებ ნორმებში ნაკლის ცნება უნდა შეიცვალოს წუნის ცნებით.[1081]

ამდენად, წუნდებულია პროდუქცია, თუ ის, თავის მხრივ, ვარაუდობს დაზარალებულისთვის არაგონივრულ საფრთხეს მისი ნორმალური გამოყენებისას. როცა წუნის ცნება განისაზღვრება, წინა პლანზე უნდა იყოს წამოწეული პროდუქციის უსაფრთხოება, რაც პასუხობს ეკონომიკის განვითარების მოთხოვნასა და მომხმარებლის ინტერესებს. განასხვავებენ პროდუქციის წარმოებით, კონსტრუქციულ და ინფორმაციულ დეფექტებს, რომელთათვისაც პასუხისმგებლობა ეკისრება მწარმოებელს.[1082]

[1080] ს. ამაღლობელი, პასუხისმგებლობის სუბიექტის განსაზღვრის პრობლემატიკა უხარისხო პროდუქტით მიყენებული ზიანისას, სამაგისტრო ნაშრომი, თსუ, თბილისი, 2012, 14.

[1081] К. Ц.Вуй. Деликтная ответственность за вред, причиненный вследствие дефектов продукции (Диссертация), Киев, 1993,<http://www.dissercat.com/content/delikatnaya-otvetstvennost-za-vred-prichinennyi-vsledstvie-defektov-produktsii> [08.01.2015].

[1082] К. Ц.Вуй. Деликтная ответственность за вред, причиненный вследствие дефектов продукции (Автореферат), Киев, 1993,21-22.

ფაქტობრივად ანალოგიურადაა განსაზღვრული წუნდებული პროდუქტი საქართველოში. სახელდობრ, წუნდებულია პროდუქტი მაშინ, როცა ის არ უზრუნველყოფს უსაფრთხოების ისეთ მოთხოვნებს, რომლებიც, ყველა გარემოების გათვალისწინებით, მოსალოდნელი იყო ამ პროდუქტისაგან. ამ გარემოებებში შედის: ა) პროდუქტზე ზოგადი წარმოდგენა; ბ) რამდენადაა შესაძლებელი პროდუქტის გონივრულად (ჩვეულებრივი) მოხმარება; გ) თარიღი, როდიდანაც ის ბაზარზე განათავსეს[1083], ანუ იმ პერიოდისათვის არსებული მოთხოვნების გათვალისწინებით, როდესაც პროდუქტი ბაზარზე განთავსდა (პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსის მე-5 მუხლის „ა" პუნქტში).

როგორ უნდა შეფასდეს „უსაფრთხოების" ხარისხი?

აქ საქმე უნდა შეეხოს პროდუქტის ისეთ უსაფრთხოებას, რომელსაც საშუალო დონის მომხმარებელი მისგან ელოდება, რაც ადასტურებს წუნის ცნების განუსაზღვრელობას და მის განმარტებას საჭიროებს. საიმედოობის ლეგიტიმური მოლოდინები არ უნდა განიხილებოდეს მხოლოდ მოხმარებასთან კავშირში, რისთვისაც მწარმოებელმა შექმნა თავისი პროდუქტი. უფრო მეტიც, მან უნდა გააკეთოს ისე, რომ საფრთხე არ შეუქმნას იმ მომხმარებელს, რომელიც, მწარმოებლის აზრით, პროდუქტს დანიშნულებისამებრ ვერ იყენებს, მაგრამ ისარგებლებს ამ ნივთით, როგორც საოჯახო მეურნეობის ნაწილით. მწარმოებელმა ესეც გონივრულად უნდა გაითვალისწინოს. წარდგენის საშუალება, თავის მხრივ, უკავშირდება გამოყენებისა და მოხმარების ინსტრუქციას, ასევე, შენიშვნებს რისკებისა თუ საფრთხეების შესახებ. ამასთან, მოცემულ შემთხვევაში საქმე ეხება სარეალიზაციოდ პროდუქტის შეფუთვასა და განთავსებას, სარეკლამოდ წარდგენას ან ხარისხის მითითებას. ინსტრუქციები, გამოყენების წესები და გაფრთხილებები უნდა შეესაბამებოდეს ცოდნის იმ ხარისხს, რომელიც შეიძლება საშუალო მომხმარებელს ჰქონდეს. შესაბამისად, წუნდაუდებელი პროდუქტის სწორად გამოყენებისას შეიძლება ეს პროდუქტი მხოლოდ იმიტომ გახდეს წუნდებული, რომ დანიშნულების შესახებ ინფორმაცია და მის უწყვეტ ბრუნვაში შეტანა შინაარსობრივად თუ გარეგნული ფორმით ვერ პასუხობდეს მომხმარებელთა ცოდნის ხარისხს. მწარმოებელს შეუძლია, ძირითადად, საიმედოობის დაცვის ლეგიტიმური მოლოდინები და მასთან დაკავშირებული პასუხისმგებლობის რისკი შეამციროს, თუ ის იძლევა პროდუქტის უწყვეტი მოძრაობისა და უხარვეზო გამოყ-

[1083] T. G. Vögel, SceBRA, Scenario Based Rick Assessment: Entwicklung einer Methode für die quantitative Produktrisikoabschätzung von Lösungsmitteln unter besonderer Berücksichtigung der Produkthaftpflicht, Zürich, 1999, 245; K.Lenglachner, St.Zikeli, Qualitätsmanagement und Produkthaftung – ein verzahntes Konzept des Risikomanagements? Bachelorarbeit, Salzburg, 2012, 10.

ენების შესაძლებლობის შესახებ ინფორმაციას. ინსტრუქციისა და ინფორმაციის მიწოდების შესახებ მწარმოებლის მოვალეობებმა არ შეიძლება ჩაანაცვლოს კეთილსინდისიერად კონსტრუირებისა და წარმოების მოვალეობები (sorgfältige Konstruktion und Fabrikation). ისინი იმდენად უზრუნველყოფს მომხმარებლის უსაფრთხოებას რამდენადაც, ეს შესაძლებელია.[1084]

პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსის მე-4 მუხლით განსაზღვრულია, რომ უსაფრთხოა პროდუქტი, რომელიც დანიშნულებისამებრ, გონივრული გამოყენებისა და ვარგისობის ვადის დაცვისას არ შეიცავს რისკს, ან შეიცავს მხოლოდ ადამიანის უსაფრთხოებისა და ჯანმრთელობის დაცვის გათვალისწინებით დასაშვებად მიჩნეულ მინიმალურ რისკს. უსაფრთხოების უფრო მაღალი დონის უზრუნველყოფის შესაძლებლობა ან ნაკლები რისკის შემცველი სხვა პროდუქტის ხელმისაწვდომობა არ არის პროდუქტის სახიფათო პროდუქტად მიჩნევის საფუძველი. თუმცა, ხაზგასასმელია, რომ მოცემული კოდექსი არ ვრცელდება სპეციალურად საპოლიციო ან/და სამხედრო მიზნებისთვის წარმოებულ პროდუქტზე (პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსის მე-2 მუხლის მე-4 ნაწილი).

ამასთან, სსკ-ის 1010-ე მუხლის 1-ლი ნაწილი პროდუქტის წუნდებულობის კრიტერიუმად მიიჩნევს რა მის საიმედოობას, სამოქალაქო ბრუნვის მონაწილისათვის, განსაკუთრებით არამეწარმე მომხმარებლისათვის რთულია (ზოგჯერ შეუძლებელიც) იმის განსაზღვრა, თუ რამდენად საიმედოა ესა თუ ის პროდუქტი. ცხადია, ხელშეკრულების მხარეს, რომელიც სთავაზობს მომხმარებელს ამა თუ იმ პროდუქციას, გულისხმიერი დამოკიდებულება მართებს ნივთის საიმედოობასთან დაკავშირებით. ასეთი გულისხმიერი დამოკიდებულების მოთხოვნა მომეტებულია იმ შემთხვევაში, როდესაც პირი ახდენს ისეთი პროდუქციის რეალიზაციას, რომელიც გარკვეულწილად რისკს უკავშირდება. ნივთის ხარისხი განსაზღვრავს მის ფასს და კონტრაჰენტის ინტერესს მოცემული პროდუქტისადმი. შესაბამისად, სახელშეკრულებო ურთიერთობის მონაწილეებს შორის ნივთის ხარისხზე შეთანხმების არარსებობა არ გამორიცხავს წუნდებული პროდუქტის მწარმოებლის პასუხისმგებლობას. მაგალითად, თუ პირი, თავისი საქმიანობიდან გამომდინარე, სახელმწიფოს მიერ გაცემული სპეციალური ნებართვის საფუძველზე აწარმოებს სპეციფიკურ პროდუქტს - სისხლს და მის რეალიზაციას ეწევა, მომხმარებელს მის მიმართ განსაკუთრებული ნდობა აქვს. ასეთი ნდობა განპირობებულია საქმიანობის ამ სფეროში

[1084] T. G. Vögel, SceBRA, Scenario Based Rick Assessment: Entwicklung einer Methode für die quantitative Produktrisi-koabschätzung von Lösungsmitteln unter besonderer Berücksichtigung der Produkthaftpflicht, Zürich, 1999, 245-246.

კონტრაჰენტის მზადყოფნის პრეზუმფციით როგორც პროფესიონალი კადრებით, ისე სათანადო ტექნიკური აღჭურვილობით. თუმცა, სსკ-ის 1009-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „ე“ ქვეპუნქტის თანახმად, წუნდებული პროდუქტის მწარმოებლის პასუხისმგებლობა გამორიცხება იმ წუნისათვის, რომლის აღმოჩენა შეუძლებელი იყო მეცნიერებისა და ტექნიკის იმ დონის გათვალისწინებით, რომელიც პროდუქტის სარეალიზაციოდ გატანისას არსებობდა. მწარმოებელმა, რომელიც პრეტენზიას აცხადებს ამა თუ იმ პროდუქციის წარმოება-რეალიზაციის კომპეტენციაზე, საწარმო სათანადო ტექნიკით უნდა აღჭურვოს, ტექნიკის სიძვირე და იშვიათობა კი არ შეიძლება მწარმოებლის პასუხისმგებლობის გამორიცხვის საფუძველი იყოს.[1085]

ბ. პროდუქტის წუნის კლასიფიკაცია

იურიდიულ ლიტერატურაში გამოყოფენ კონსტრუქციის (სტრუქტურის), საწარმოო და ინსტრუქციის წუნს (დეფექტი). ამასთან, ცალკე განიხილავენ განვითარებისა და პროდუქტზე არასათანადო მეთვალყურეობით გამოწვეულ ხარვეზს.[1086]

მწარმოებლის ერთ-ერთი მოვალეობა ეხება პროდუქტის კონსტრუქციას. მან კონსტრუქცია ისე უნდა შექმნას, რომ მის მიერ განზრახული და უზრუნველყოფილი მიზნის მისაღწევად შეიძლებოდეს მისი გამოყენება. შესაბამისად, კონსტრუქციის წუნი მაშინ არსებობს, როცა პროდუქტი, არასწორი კონცეფციის საფუძველზე, უსაფრთხო გამოყენებისთვის გამოსადეგი არაა.[1087]

კონსტრუქციისაა ისეთი წუნი, რომელიც კონსტრუირების გეგმის დეფექტზე მიუთითებს. თუმცა მოცემულ შემთხვევაში საქმე არ ეხება დიზაინერის შეცდომას; აქ მნიშვნელოვანია ის, რომ არ არსებობს ის საგანი, რომელიც ობიექტურად არასაკმარის კონსტრუირებას ადასტურებს.[1088] კონსტრუქციის (სტრუქტურის) ხარვეზი ახასიათებს განსაზღვრული ფორმით კონსტრუირებულ ყველა პროდუქტს. პასუხისმგებლობის საფუძველია ბრალეული დარღვევა მოვალეობისა, თავიდან აიცილოს შესაბამისი

[1085] იხ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2007 წლის 25 სექტემბრის გადაწყვეტილება (№ას-296-624-07).

[1086] იხ. D. Koch, Produkthaftung, Zur Konkurenz von Kaufrecht und Deliktsrecht, Berlin, 1995, 58.

[1087] იხ. I. R. Kraft, Der Angleichungsstand der EG-Produkthaftung, Eine vergleichende Untersuchung am Beispiel der Rechtslage in Deutschland, Frankreich, Spanien und Rumänien. Berlin, 2004, 133.

[1088] იხ. Bruck, Möller, Versicherungsvertragsgesets, Großkommentar, herausgegeben von H. Baumann, R. Michael Beckmann, K. Johannsen, R. Johannsen, R. Koch, 9., vollig neu bearbeitete Auflage, Bd. 7, Berlin, 2012, 843.

სტრუქტურის საშუალებით სამართლებრივი სიკეთეებისთვის ზიანის მიყენება. ხშირად დიდია პროდუქტთან დაკავშირებული წუნის საფუძველზე პასუხისმგებლობის დაკისრების ალბათობა. საწარმოო გადაადგილების (პროცესის) შემდეგ მიღებულ პროდუქტს აქვს წუნი, თუ მისი სტრუქტურა შეუცვლელი რჩება.[1089]

პროდუქტის კონსტუქციისთვის პასუხისმგებლობა უკავშირდება ნებისმიერი პროდუქციის წარმოების დასაწყისს. ამიტომ კონსტრუქციის წუნი დამოკიდებულია წარმოების მთელ სერიაზე იმავე ხარისხით, რამდენადაც მაღალია როგორც ზიანის მიყენების საფრთხე, ისე სერიული და მასობრივი დაზიანებების წარმოშობის ალბათობა. შესაბამისად, პრაქტიკულად მნიშვნელოვანია მწარმოებლის მიერ მოვალეობების კეთილსინდისიერად შესრულება. სწორად დაგეგმვა და კონსტრუირება გულისხმობს იმას, რომ მწარმოებელი იყენებს ტექნიკის ხარისხის მიხედვით სათანადო ნაწილებს, წარმოებისას დასაშვებ ტექნიკურ საშუალებებს და განსაკუთრებით არ უგულებელყოფს ტექნიკური უსაფრთხოების მოთხოვნებს.[1090]

საწარმოო (დამზადების) დეფექტი წარმოიშობა წარმოების პროცესში და, როგორც წესი, ეხება მხოლოდ ცალკეულ პროდუქტებს. მწარმოებელი პასუხისმგებელია, თუ მან წარმოების პროცესს ბრალეულად არ გაუწია ორგანიზება და არ გააკონტროლა ისე, რომ პროდუქტის წუნი არ დამდგარიყო. ინსტრუქციისა და ინფორმაციის დეფექტი არსებობს მაშინ, როცა სხვა წუნდაუდებელი პროდუქტისგან გარკვეული და წინასწარ განჭვრეტილი გამოყენების დროს მომდინარეობს საფრთხე, რომელიც შეიძლებოდა თავიდან აცდენილიყო პროდუქტის გამოყენების ადეკვატური ინსტრუქციისა და/ან გაფრთხილებების გზით.[1091] საწარმოო დეფექტებს მიეკუთვნება საბოლოო კონტროლისა და გამოკვლევა-რევიზიის დროს არსებული წუნი.[1092]

საწარმოო წუნი მაშინ არსებობს, როცა პროდუქტი არ შეესაბამება მწარმოებლის კონსტრუქციას, ანუ პროდუქტის სერიის ნორმალური მდგომარეობისგან განსხვავდება. წუნდებული პროდუქტი, ასევე, შეიცავს შეუსაბამო საფრთხეს, ვინაიდან ის გაცილებით მაღალი ხარისხით არ აკმაყოფილებს უსაფრთხოების მოთხოვნებს, ვიდრე ამას მწარმოებელი მოელოდა.[1093]

[1089] T. Jung, M. Keilpflug, Haftung für die Fehler der Vorgänger? Im: "Business & Rhein-Neckar", 2010, 20.

[1090] იხ. D. Koch, Produkthaftung, Zur Konkurenz von Kaufrecht und Deliktsrecht, Berlin, 1995, 60-61.

[1091] T. Jung, M. Keilpflug, Haftung für die Fehler der Vorgänger? Im: "Business & Rhein-Neckar", 2010, 20.

[1092] H. Ehmann, Deliktsrecht mit Gefährdungshaftungsrecht, Lehrbuch, München, 2013, 331.

[1093] იხ. R. Löschner, Mehrere Produkthaftpflichtige und Mitverschulden des Geschädigten, Eine Untersuchung nach deutschem und US-amerikanischem Produkthaftungsrecht, Karlsruhe, 2004, 235.

ამასთან, ინსტრუქციისაა წუნი, როცა პროდუქტს არ ახლავს მისი გამოყენებისა და მოხმარების, ასევე, განსაკუთრებული რისკების არსებობის შესახებ ინფორმაცია.[1094] პროდუქტის ინსტრუქცია ასრულებს, ძირითადად, ორ ფუნქციას: ა) უპირველეს ყოვლისა, ის უნდა შეიცავდეს გამოყენებისა და სწორად მოხმარების წესებს, რათა შემდეგ არასწორი გამოყენება თავიდან იყოს აცილებული; ბ) ამასთან, პროდუქტის სტრუქტურაში მნიშვნელოვანწილად შეუძლებელია დაიმალოს ეს სპეციფიკური, მაგრამ არა ადვილად ამოსაცნობი საფრთხე მას შემდეგ, რაც ის სარეალიზაციოდ ჩაეშვება.[1095]

ამდენად, წუნის ცნების მოცულობა ვრცელდება შემთხვევებზე, როცა ინფორმაციასთან დაკავშირებით არსებობს წუნი ან ხარვეზი, კერძოდ არ მოიპოვება ინფორმაცია პროდუქტის დანიშნულების შესახებ, ან ის შეიცავს ისეთ მონაცემებს, რომლებიც მას არ ევალებოდა (არასაკმარისი მატერიალური ხარისხი). ინფორმაციას, როგორც პროდუქტს, უნდა ახასიათებდეს ისეთი თვისებები, რომლებიც მოსარგებლისთვის, ზოგადი წარმოდგენის მიხედვით, შეიძლებოდა მოსალოდნელი ყოფილიყო; ეს პრინციპი მოქმედებს როგორც მატერიალური, ისე არამატერიალური სიკეთეების მიმართ. საქმე ისაა, რომ ინფორმაციის უზუსტობამ შეიძლება გამოიწვიოს ზიანი, რომელიც გარკვეულ მოთხოვნებს წარმოშობს.[1096]

რაც შეეხება პროდუქტის განვითარების წუნს, ეს ისეთი დეფექტია, რომელიც ჯერ კიდევ პროდუქტის ჩაშვების შედეგად „მეცნიერებისა და ტექნიკისთვის" უცნობი იყო და ცნობილი გახდა ჩაშვების შემდეგ.[1097] თუმცა, შესაძლებელია გარკვეული დროის გასვლის შემდეგ ბრუნვაში უფრო უკეთესი პროდუქტი იყოს შეტანილი. თუ მწარმოებელმა გააუმჯობესა პროდუქტი, ეს არ ნიშნავს, რომ უფრო ადრე წარმოებული პროდუქტი წუნდებულად ჩაითვალოს (სსკ-ის 1010-ე მუხლის მე-2 ნაწილი).[1098]

[1094] იხ. R. Löschner, Mehrere Produkthaftpflichtige und Mitverschulden des Geschädigten, Eine Untersuchung nach deutschem und US-amerikanischem Produkthaftungsrecht, Karlsruhe, 2004, 331.

[1095] იხ. D. Koch, Produkthaftung, Zur Konkurenz von Kaufrecht und Deliktsrecht, Berlin, 1995, 66.

[1096] Rolf H. Weber, Zivilrechtliche Haftung im Internet, in: O. Arter / Florian S. Jörg (Hrsg.), Internet-Recht und Electronic Commerce Law, 3. Tagungsband, Stämpfli Verlag Bern, 2003, 9-10, http://www.rwi.uzh.ch/oe/zik/archiv/ZivilrechtlHaftungInternet.pdf

[1097] H. Ehmann, Deliktsrecht mit Gefährdungshaftungsrecht, Lehrbuch, München, 2013, 331.

[1098] ზ. ახვლედიანი, ვალდებულებითი სამართალი, მეორე გამოცემა, თბ., 1999, 280.

3. წუნდებული პროდუქტიდან წარმოშობილი (სამომხმარებლო) დელიქტური ვალდებულების სუბიექტები

3.1. მომხმარებელი

წუნდებული პროდუქტიდან წარმოშობილი დელიქტური ვალდებულების სუბიექტები არიან დაზარალებული (კრედიტორი) და მოვალე. დაზარალებულს აქვს მოთხოვნის უფლება, ხოლო ზიანის მიმყენებელი არის მოვალე, რომელმაც პასუხი უნდა აგოს. კრედიტორი შეიძლება იყოს ნებისმიერი ფიზიკური და იურიდიული პირი, მოვალე კი მხოლოდ ის დელიქტუნარიანი სუბიექტია, რომელიც პასუხს აგებს მიყენებული ზიანისთვის. ზიანის მიყენება, თავის მხრივ, ვალდებულების წარმოშობის საფუძველია, რომლის ძალითაც, დაზარალებულს უფლება აქვს, მოითხოვოს ხელმყოფისგან ზიანის ანაზღაურება.[1099] დაზარალებულის როლში გამოდის მომხმარებელი ანუ პირი, რომელიც პროდუქტს თავისთვის იყენებს. მომხმარებლად არ განიხილება ის, ვინც პროდუქტს საქმიანი, უფრო ზუსტად, სამეწარმეო ან პროფესიული მიზნით იყენებს; ასევე, სამეწარმეო ურთიერთობებში მომუშავე კონტროლიორი, მენეჯერი და სხვა თანამშრომელი (დასაქმებული), რომელიც, მხოლოდ შრომის სამართლის მიხედვით, განიხილება მომხმარებლად და არა პროდუქტის უსაფრთხოების დაცვის შესახებ კანონით.[1100] ფაქტობრივად ამავე პოზიციას იზიარებს ევროსაბჭოს 1985 წლის დირექტივა, რომლითაც აღიარებულია, რომ მომხმარებელი არის ფიზიკური პირი, რომლის მოქმედება არ ემსახურება სამეწარმეო ან სამსახურებრივი საქმიანობის მიზნებს[1101], ან კიდევ მოქმედებს ისეთი მიზნით, რომელიც არ უკავშირდება სამეწარმეო თუ პროფესიულ საქმიანობას.[1102]

ამდენად, მომხმარებელი არის პირი, რომელსაც სურს გარკვეული მოთხოვნილებების დაკმაყოფილება, კერძოდ, სურვილისამებრ გამოიყენოს ესა თუ ის საქონელი (მომსახურება). ის შეიძლება იყოს პირი, რომელიც ვისიმე წარმოებულ ან ვისიმე საქმიანობის პროდუქტს იყენებს.[1103]

[1099] იხ. შ. ჩიკვაშვილი, სსკ-ის კომენტარი (რედ. ლ. ჭანტურია), წ. IV, ტ. II, თბ., 2001, 379-380.

[1100] T.Wilrich, Das Neue Produktsiherheitsgesetz (ProdSG), Leitfaden für Hersteller, Importeure und Händler, Berlin, 2012, 27-28.

[1101] Richtlinie 85/577/EWG des Rates vom 20. Dezember 1985.

[1102] D.Wallis, State of play and the notion of consumer, Working Document on European contract law and therevision of the acquis, European Parliament, Committees on Internal Market and Consumer Protection, 17.05.2006; D.Wallis, Arbeitsdokument über das europäische Vertragsrecht und die Überarbeitung des gemeinschaftlichen Besitzstands: Sachstand und der Begriff des Verbrauchers, Europäisches Parlament, Ausschuss für Binnenmarkt und Verbraucherschutz, 17.05.2006, 1-6.

[1103] იხ. ვ. თეთრუაშვილი, ზ. თეთრუაშვილი, ი. თეთრუაშვილი, საკუთარი ბიზნესი: მთავარი სამიზნე მოთხოვნილების დაკმაყოფილება, მე-2 ნაწ., დამხმარე სახელმძღვანელო, გორი, 2008, 11.

ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლება აქვთ ქვეყანათა ნაწილში (აშშ, გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა) გარკვეულ სუბიექტებს; დაზარალებულ მომხმარებელთა კატეგორიას განეკუთვნებიან ოჯახის წევრები და მყიდველთან მცხოვრები პირი, ასევე სტუმრები, რომლებიც მის სახლში იმყოფებიან, თუ, ცხადია, ივარაუდება, რომ ისინი შეიძლება იყენებდნენ ამ ნაწარმს. სხვა ქვეყნებში (ყოფილი საბჭოთა კავშირის ქვეყნებსა და ჩინეთის სახალხო რესპუბლიკაში), ზიანის ანაზღაურების უფლება აქვს დაზარალებულს, მიუხედავად იმისა, იყო თუ არა ის სახელშეკრულებო ურთიერთობაში იმასთან, ვინც მიაყენა ზიანი. მოცემული დელიქტური ვალდებულების ობიექტია ანაზღაურება თანხისა, რომელიც პასუხისმგებელმა პირმა დაზარალებულს უნდა გადაუხადოს.[1104] მომხმარებლის სამართლებრივი მდგობარეობის გასარკვევად აუცილებელია მისი უფლება-მოვალეობების მოკლედ განხილვა.

„მომხმარებელთა უფლებების დაცვის შესახებ“ კანონპროექტი ითვალისწინებს მომხმარებლის შეცდომაში შეყვანისაგან დაცვას, მისთვის სანდო, სრული და უტყუარი ინფორმაციის მიწოდებას, მომხმარებლის უფლებების დაცვას ხელშეკრულების შესაბამისი და შეუსაბამო პროდუქციის მიღების შემთხვევებში და სხვა. ამასთან, მყიდველს აქვს უფლება, თავისუფლად აირჩიოს და მიიღოს პროდუქცია, რომელიც საფრთხეს არ უქმნის მის სიცოცხლეს, ჯანმრთელობას ან ქონებას, მოითხოვოს საკუთარი უფლებების დაცვის უზრუნველყოფა, ხოლო პრეტენზიის შემთხვევაში გულისხმიერი და ეფექტური რეაგირება. აღინიშნა, რომ ეს კანონი თანხვედრაშია ასოცირების ხელშეკრულებასთან.[1105]

მართალია, „მომხმარებელთა უფლებების დაცვის შესახებ“კანონის გაუქმებისას არსებობდა ილუზია, რომ მომხმარებელი ბაზარს თავად დაარეგულირებდა, მაგრამ ამაოდ. დღესდღეობით მუშაობენ კანონპროექტზე, რომლითაც უნდა შეიქმნას მომხმარებლის ინტერესების უზრუნველყოფის მყარი მექანიზმი. ამ გაგებით, უაღრესად მნიშვნელოვანია ინფორმირების უფლება, კერძოდ, მომხმარებელს უნდა შეეძლოს გააკეთოს სწორი არჩევანი, მას უნდა შეეძლოს სახელმწიფო ენაზე, ზოგიერთ შემთხვევაში კი სხვა ენებზეც, მიიღოს ინფორმაცია პროდუქტის დასახელების, მწარმოებლის, მახასიათებლების, ვარგისიანობის და სხვა მონაცემების შესახებ. მომხმარებლის უსაფრთხოებასთან დაკავშირებული ინფორმაცია დატანილი უნდა იყოს პროდუქტის საცალო შეფუთვაზე, ხოლო თუ აღნიშნული შეუძლებელია, ეს ინფორმაცია პროდუქტს სხვა სახით უნდა ახლდეს თან. თუ პროდუქტის ნაკლი პროდუქტის საგარანტიო ვადაშია აღმოჩენილი,

---

[1104] К. Ц. Вуй. Деликтная ответственность за вред, причиненный вследствие дефектов продукции (Автореферат). Киев. 1993, 19-20.

[1105] <http://www.liberali.ge/ge/liberali/articles/117065/> [02.01.2015].

მომხმარებელს შეუძლია უსასყიდლოდ მოითხოვოს ნაკლის აღმოფხვრა საგარანტიო პერიოდის გასვლის შემდეგაც. ამასთან, ხელშეკრულებაში არ უნდა იყოს ბუნდოვანი პირობები, თუმცა მათი არსებობის შემთხვევაში ისინი მომხმარებლის სასარგებლოდ განიმარტება, ხოლო მტკიცების ტვირთი მოვაჭრეს ეკისრება. რეკლამა, რომელიც მომხმარებელს მცდარ წარმოდგენას შეუქმნის პროდუქტზე, ჩაითვლება შეცდომაში შემყვან რეკლამად. მომხმარებლის ფიგურის დაცვის მიზნით უმნიშვნელოვანესია ომბუდსმენის ინსტიტუტის ჩამოყალიბება, რომელიც ამ სფეროში არსებულ პრობლემებზე წელიწადში ერთხელ ანგარიშს წარუდგენს პარლამენტს.[1106]

ცხადია, მიზანშეწონილია, სამომხმარებლო კანონმდებლობის საერთაშორისო აქტებთან შესაბამისობაში მოყვანა, მაგრამ ეს უნდა განხორციელდეს უშუალოდ სახელმწიფოსთვის დამახასიათებელი სპეციფიკური მახასიათებლის გათვალისწინებით. საქმე ისაა, რომ, უპირველეს ყოვლისა, პროდუქტების მწარმოებლის (მიმწოდებლის) და მომხმარებლის ურთიერთობა უნდა დაიხვეწოს, რაც მოითხოვს პირთა გადაკვალიფიცირებასაც.

3.2. პროდუქტის მწარმოებელი

წუნდებული პროდუქციით გამოწვეულ დელიქტურ ურთიერთობებში მოვალე არის მწარმოებელი, ანუ ფიზიკური და იურიდიული პირი, რომელიც პროდუქციას აწარმოებს სარეალიზაციოდ. „მწარმოებლის“ ცნება საკუთარ თავში მოიცავს საბოლოო პროდუქტის, ნედლეულის ან პროდუქციის ძირითადი ნაწილის მწარმოებელს, ასევე პირს, რომელიც თავის სახელს, სავაჭრო ნიშანს თუ სხვა განმასხვავებელ ნიშანს ამაგრებს პროდუქციას, ან გვევლინება პროდიუსერად.[1107] საბოლოო პროდუქტის მწარმოებელია ის, ვინც პროდუქტს ამზადებს მომხმარებლის მოთხოვნის შესაბამისად; ასევე, ის, ვინც მხოლოდ მესამე პირების მიერ სასაწყობოდ დამზადებულ ნაწილებს მიიჩნევს ნივთებს. მწარმოებელი არაა ის, ვინც მესამე პირებისგან გადაიტანს მზა პროდუქტს მხოლოდ მცირე ერთეულში შეფუთავს ან დააფასებს.[1108]

[1106] კანონპროექტის მიმოხილვასთან დაკავშ. იხ. <http://www.netgazeti.ge/GE/105/Life/25965/> [10.01.2015]

[1107] К. Ц. Вуй, Деликтная ответственность за вред, причиненный вследствие дефектов продукции (Диссертация), Киев, 1993,<http://www.dissercat.com/content/delikatnaya-otvetstvennost-za-vred-prichinennyi-vsledstvie-defektov-produktsii> [08.01.2015].

[1108] T. GVögel, SceBRA, Scenario Based Rick Assessment: Entwicklung einer Methode für die quantitative Produk-trisikoabschätzung von Lösungsmitteln unter besonderer Berücksichtigung der Produkthaftpflicht, Zürich, 1999, 247.

პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსი, გარდა მწარმოებლისა, ითვალისწინებს შემდეგ ტერმინებს: დისტრიბუტორი, ავტორიზებული წარმომადგენელი, იმპორტიორი ან პროდუქტის ბაზარზე განთავსებისთვის პასუხისმგებელი პირი. მაგალითად, დისტრიბუტორს, ძირითადად, ეკისრება ვალდებულება, ჰქონდეს პროდუქტზე ინფორმაცია, ასევე, შეატყობინოს შესაძლო რისკების შესახებ მომხმარებელს. ინფორმირების უფლება უმნიშვნელოვანესია, ვინაიდან ეხება აუცილებელ, უტყუარ და სრულ ინფორმაციას პროდუქტის შესახებ, რაც საბოლოო ჯამში მომხმარებელს არჩევანის შესაძლებლობას აძლევს. ამასთან, ავტორიზებული წარმომადგენელი არაა პასუხისმგებელი პროდუქტზე, მოცემული კოდექსის მე-13 მუხლის მე-5 ნაწილით, ვინაიდან მწარმოებელია პასუხისმგებელი წარმომადგენლის მიერ პროდუქტის ბაზარზე განთავსებასთან დაკავშირებული ქმედებებისთვის. ამას, თავის მხრივ, შეიძლება მომხმარებლის ინტერესების ხელყოფა მოჰყვეს. რაც შეეხება იმპორტიორს/პროდუქტის ბაზარზე განთავსებისთვის პასუხისმგებელ პირს, მას ამ კოდექსის მე-4 მუხლის მე-7 პუნქტის თანახმად, პასუხისმგებლობა ეკისრება სხვა ქვეყანაში წარმოებული პროდუქტის ბაზარზე განთავსებისთვის.

სხვადასხვა ქვეყანაში განსხვავებულად წყდება უმთავრესი პრობლემა, თუ ვინ აგებს მომხმარებლის წინაშე პასუხს. ზოგიერთ ქვეყანაში, როგორიცაა აშშ, პროდუქციის მწარმოებელი, სხვადასხვა გამყიდველი, შუამავალი და ნებისმიერი პირი, რომელიც მათ როლში გამოდის, იღებს პასუხისმგებლობას მომხმარებლის წინაშე. შესაბამისად, ამერიკული სამართლით განსაზღვრულია პასუხისმგებლობის სუბიექტთა ძალიან ფართო წრე. სხვა ქვეყნებში, როგორიცაა გერმანიის ფედერალური რესპუბლიკა, პასუხისმგებლობას იღებს მხოლოდ მწარმოებელი. მესამე ნაწილში სახელმწიფოებისა, მაგალითად, ყოფილი საბჭოთა კავშირის სახელმწიფოებში, დელიქტური პასუხისმგებლობა ვრცელდება პროდუქციის მწარმოებელსა და მის გამყიდველზე, რომელიც ამზადებს და ყიდის წუნდებულ პროდუქციას. ამასთან, ჩინეთის სახალხო რესპუბლიკაში დელიქტური პასუხისმგებლობის გადანაწილება პროდუქციის მწარმოებელზე, გამყიდველზე, ასევე, გადამზიდველსა და დამცველზე ნიშნავს, რომ დელიქტური პასუხისმგებლობა უნდა იტვირთოს პროდუქციის წარმოებისა და რეალიზაციის პროცესის თითოეულმა მონაწილემ. მათ პასუხი უნდა აგონ დაზარალებულის წინაშე სოლიდარულად.[1109]

საქართველოში წუნდებული პროდუქტით გამოწვეული ზიანისთვის პასუხისმგებლობის თავში პასუხისმგებლობის ადრესატად აღიარებულია მხოლოდ მწარმოებელი თავისი გაფართოებული მნიშვნელობით. თუმცა

[1109] К. Ц. Вуй. Деликтная ответственность за вред. причиненный вследствие дефектов продукции (Автореферат). Киев. 1993, 18-19.

სსკ-ის 1011-ე მუხლის მე-4 ნაწილით, თუ შეუძლებელია მწარმოებლი ვინაობის დადგენა, მაშინ ყოველი მიმწოდებელი მწარმოებელია, რაც მომხმარებლისთვის მოთხოვნის ადრესატის საჭირო ალტერნატივაა. ამასთან, მწარმოებლის ცნება არის რა საკმაოდ ფართო და ერთ წუნდებულ პროდუქტს ერთდროულად შეიძლება რამდენიმე მწარმოებელი ჰყავდეს, ერთმანეთისგან უნდა გაიმიჯნოს სოლიდარულად პასუხისმგებელი პირები და, ზოგადად, მწარმოებლად იდენტიფიცირებულ პირთა სიმრავლე. სსკ-ის 1011-ე მუხლის მე-2 ნაწილით განისაზღვრა, რომ მწარმოებელია, ასევე, სუბიექტი, რომელმაც პროდუქტის ძირითადი შემადგენელი ელემენტი თუ ნაწილი აწარმოა, რათა პასუხისმგებლობის გარეშე არ დარჩეს ის, ვისაც მნიშვნელოვანი წვლილი მიუძღვის პროდუქტის წუნდებულობაში, მიუხედავად იმისა, რომ საბოლოო პროდუქტი სხვამ აწარმოა. თუმცა, სსკ-ის 1009-ე მუხლის მე-2 ნაწილით გამოირიცხება პროდუქტის ნაწილის მწარმოებლის პასუხისმგებლობა, თუ წუნი გამოწვეულია იმ პროდუქტის კონსტრუქციით, რომლის შემადგენელიც გახდა ეს ნაწილი. „მოცემულ შემთხვევაში ისეთ გარემოებასთან გვაქვს საქმე, როცა პროდუქტის ნაწილი ხარისხიანია, მაგრამ ეს ნაწილი მწარმოებელმა საბოლოო პროდუქტის შესაქმნელად არასწორად გამოიყენა და პროდუქტმა ზიანი გამოიწვია“[1110].

მაშასადამე, სსკ-ის 1013-ე მუხლით გათვალისწინებული სოლიდარული პასუხისმგებლობა დგება მაშინ, როცა პროდუქტის ნაწილმა გარკვეულწილად განაპირობა ამ პროდუქტის წუნდებულობა. საქმე ისაა, რომ მწარმოებელი არის ის, ვინც საბოლოო პროდუქტი, ძირითადი ელემენტი ან პროდუქტის ნაწილი აწარმოა. თუ ზიანი პროდუქტის შემადგენელმა ნაწილმა გამოიწვია, მაშინ პასუხს აგებს როგორც პროდუქტის ნაწილის, ისე საბოლოო პროდუქტის მწარმოებელი. ამდენად, პროდუქტის ნაწილისა და საბოლოო პროდუქტის მწარმოებლები სოლიდარულად აგებენ პასუხს მაშინაც, თუ ზიანი გამოიწვია პროდუქტის შემადგენელმა ნაწილმა[1111]. როცა პროდუქტი მომხმარებლამდე გაიელის რამდენიმე მწარმოებელს, ამ ცნების ფართო მნიშვნელობით, მოთხოვნის ადრესატად გვევლინება ის, ვისმა ქმედებამაც გამოიწვია პროდუქტის წუნდებულობა, გარდა იმ გამონაკლისისა, როცა მისი ვინაობის დადგენა შეუძლებელია ან ის წარმოადგენს იმპორტირებული საქონლის მწარმოებელს.[1112]

[1110] ზ. ახვლედიანი, ვალდებულებითი სამართალი, მეორე გამოცემა, თბ., 1999, 277.

[1111] იქვე, 279-280; აღნიშნულთან დაკავშ. დაწვრ. იხ. R. Löschner, Mehrere Produkthaftpflichtige und Mitverschulden des Geschädigten, Eine Untersuchung nach deutschem und US-amerikanischem Produkthaftungsrecht, Karlsruhe, 2004, 213-215.

[1112] აღნიშნულთან დაკავშ. იხ. თ. ბენდელიანი, ფრენშაიზინგის ხელშეკრულების საფუძველზე მომხმარებლისათვის წუნდებული პროდუქტით მიყენებული ზიანის ანაზღაურების სამართლებრივი მოწესრიგება ქართული კანონმდებლობის მიხედვით, „სტუდენტური სამართლებრივი ჟურნალი“, 2014, 41.

ამდენად, მწარმოებელს ეკისრება საკუთარი ვალდებულების კეთილსინდისიერად შესრულების მოვალეობა, რომელიც, როგორც წესი, უკავშირდება საწარმოო, კონსტრუქციის (სტრუქტურის), ინსტრუქციის, განვითარებისა და პროდუქტზე არასათანადო მეთვალყურეობით წარმოშობილ ხარვეზებს (დეფექტებს).[1113]

როგორც ჩანს, მომხმარებელი და მწარმოებელი მოცემულ ურთიერთობაში მჭიდროდ დაკავშირებული სუბიექტები არიან, რაც ფაქტობრივად პროდუქტის ხარისხსაც ეხება. საქმე ისაა, რომ ნებისმიერი სახეობის ნივთის წარმოების განვითარება დამოკიდებულია იმაზე, თუ რამდენად გასაღებადია ის. ასევე, მოთხოვნაზეა დამოკიდებული მიწოდებული პროდუქტის (საქონლისა და მომსახურების) ხარისხი: ადამიანი, რომელმაც ერთხელ შეიძინა უხარისხო პროდუქტი, მეორედ იმავე მწარმოებელს აღარ მიმართავს. შედეგად მომხმარებლის ასეთი ქცევა განაპირობებს მიწოდების მთელ კომპლექსს. ამგვარი ლოგიკა, თითქოს უნივერსალურია და თვითრეგულირებად სრულყოფილ სისტემას უნდა ქმნიდეს, რომელსაც საკანონმდებლო კორექტირება არ სჭირდება. თავისუფალი კონკურენციის ხელშეწყობის შემთხვევაში შემძენი თვითონ გადაწყვეტს, თუ რომელი პროდუქტი თუ მომსახურება აირჩიოს და ამით ზეგავლენას მოახდენს მიწოდების რგოლზე. თუმცა პრაქტიკაში სხვა სურათს ვაწყდებით: მწარმოებლები ან მომსახურების მიმწოდებლები მოქმედებენ, უპირველეს ყოვლისა, მოგების მიღების მიზნით, რაც მინიმალური დანახარჯით მაქსიმალურის მიღებას გულისხმობს და ზედმეტ კაპიტალდაბანდებაზე გადაწყვეტილების მიღება, მაგალითად, ხარისხის გაუმჯობესების მიზნით, მართოოდენ იმის გამო, რომ მოთხოვნა შემცირდა, არცთუ იოლი პროცესია. საკითხი კიდევ უფრო აქტუალურია, თუ ბაზარზე მხოლოდ ერთი ან რამდენიმე არაკეთილსინდისიერი მონოპოლისტია, ვინაიდან თვითრეგულირების სისტემა სრულიად არაეფექტიანი ხდება. თანამედროვე ბაზრის შემადგენელი ნაწილია ასევე აგრესიული მარკეტინგული პრაქტიკა, რომელსაც მიმწოდებლები მიმართავენ მომხმარებელთა „ანკესზე წამოსაგებად“. ამასთან, როგორც წესი, მომხმარებელი, მიმწოდებელთან შედარებით, ნაკლებად არის ინფორმირებული მისაღები პროდუქციისა თუ მომსახურების თავისებურებებზე. აქვე საგულისხმოა მხარეებს შორის ეკონომიკური უთანასწორობა. მაგალითად, ჩვეულებრივი ადამიანისთვის არცთუ ისე იოლია, დაუპირისპირდეს მძლავრ მწარმოებელს, როდესაც მას არ აკმაყოფილებს შეძენილი პროდუქტის ხარისხი. შესაბამისად, არსებობს სერიოზული დისბალანსი მხარეებს შორის და ილახება თანასწორობის პრინციპი, რომელიც კერძო სამართლის ქვაკუთხედია. მომხმარებელსა და მიმწოდებელს

[1113] იხ. D. Koch, Produkthaftung, Zur Konkurenz von Kaufrecht und Deliktsrecht, Berlin, 1995, 58.

შორის პოზიციების გათანაბრება სამართლიანი და სოციალურ ღირებულებებზე ორიენტირებული სახელმწიფოს ერთ-ერთი ფუნქციაა და, ამდენად, აუცილებელია მისი საკანონმდებლო რეგულირება.[1114]

4. მოხმარებლის უფლებების ხელყოფის შედეგები დელიქტურ სამართალში

წუნდებული პროდუქციით გამოწვეული დელიქტური ვალდებულება ეხება მწარმოებლის (გამყიდველის) პასუხისმგებლობას იმ წუნდებული პროდუქტის წარმოებისა და გაყიდვისთვის, რომელიც მომხმარებელს მისი ნორმალური გამოყენების პროცესში ზიანს აყენებს.[1115] მოცემულ შემთხვევაში წუნდებული პროდუქტის მწარმოებლისთვის პასუხისმგებლობის დასაკისრებლად აუცილებელია სამი პირობის არსებობა: 1. წუნდებული პროდუქტის წარმოება; 2 ზიანი; 3. წუნდებული პროდუქტის წარმოებასა და დამდგარ შედეგს შორის მიზეზობრივი კავშირი.[1116] შესაბამისად, ამ წინაპირობების გათვალისწინებით, მოხმარებელს წარმოეშობა დელიქტური სამართლით გამყარებული ზიანის ანაზღაურების მოთხოვნები.

4.1. წუნდებული პროდუქტით გამოწვეული ქონებრივი ზიანის ანაზღაურება

როგორც აღინიშნა, აბსოლუტურ უფლებათა შელახვა დელიქტური სამართლით განსაზღვრული ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის საფუძველია.[1117] განასხვავებენ მიყენებული ზიანის ანაზღაურების ორ გზას: ნატურით (მაგალითად, იგივე გვარისა და სახის ნივთის გადაცემა, დაზიანებული ნივთის გამოსწორება და ა. შ.) და ზიანის ფულადი ფორმით ანაზღაურება. მოცემულ შემთხვევაში მწარმოებლის ან გამყიდველის მოვალეობაა ზიანის ანაზღაურება ნატურით ან კომპენსაციის გზით. მომხმარებელს დაზარალებულის სახით აქვს უფლება, მოითხოვოს მწარმოებლისგან (გამყიდველისგან) მისი მოვალეობის შესრულება, რათა ხელყოფილი აბსოლუ-

---

[1114] იხ. ვ. ზაალიშვილი, სამომხმარებლო კერძოსამართლებრივი ურთიერთობების რეგულირების სისტემური თავისებურებანი ქართულ კანონმდებლობაში, „სამართლის ჟურნალი", N1-2, 2010, 56-57.

[1115] К. Ц. Вуй, Деликтная ответственность за вред, причиненный вследствие дефектов продукции (Автореферат), Киев, 1993, 8.

[1116] საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2007 წლის 1 ოქტომბრის გადაწყვეტილება (№ას-301-627-07).

[1117] იხ. ჰ. კოზიგი, „უფლების" ცნების ისტორიისთვის, წინასიტყვაობა დაურთო პროფ. თ. ნინიძემ, „სამართლის ჟურნალი", N1, 2011, 242-243.

ტური უფლება აღიდგინოს, ან თავისი ქონებრივი მდგომარეობის პირვანდელ მდგომარეობაში აღდგენის მიზნით.[1118]

წუნდებული პროდუქტიდან წარმოშობილი სხეულის ხელყოფისა თუ გარდაცვალების შემთხვევაში, პირველ რიგში, საქმე ეხება მატერიალურ ზიანს. ის, ვისაც სურს სარეალიზაციოდ გაშვებული ნივთებიდან გამოწვეული ზიანისთვის ანაზღაურება, უნდა დაექვემდებაროს პროდუქტიდან წარმოშობილი პასუხისმგებლობის მომწესრიგებელ საწყისებს, რომლებიც სსკ-ის 992-ე მუხლის დელიქტური სამართლის საფუძვლებს შეესაბამება.[1119] ზოგადი წესის მიხედვით, ზიანის მიყენებისთვის სამოქალაქო პასუხისმგებლობა დგება, თუ ზიანი, ქმედების მართლწინააღმდეგობა, ამ ქმედებასა და ზიანს შორის მიზეზობრივი კავშირი და ბრალი კუმულაციურად არსებობს.[1120]

ქონებრივ ზიანში მოიაზრება ზარალი, რომელიც შეიძლება გამოიხატოს დაზიანებული ქონების ღირებულების პირდაპირ შემცირებაში ან მის დაკარგვაში, ასევე სარგებლის ხელიდან გაშვებაში.[1121] ასევე, ქონებრივი ზიანი წარმოიშობა პიროვნებისთვის ზიანის მიყენების დროსაც.[1122] ამასთან, შეიძლება დროის განსაზღვრულ მონაკვეთში ზიანს მხოლოდ არაქონებრივი ხასიათი ჰქონდეს და შემდეგ შეიძინოს ქონებრივი სახე. შესაბამისად, ზიანის ბუნება დამოკიდებულია იმაზე, მოეპოვება თუ არა ზიანის შედეგს ფულადი ეკვივალენტი.[1123]

ამასთან, წუნის ცნება, როგორც აღინიშნა, ეხება ინფორმაციის არარსებობას ან უზუსტობას. თუ ნივთის კერძო მოხმარების დროს ინფორმაციის უსწორობას მოჰყვა პირის გარდაცვალება ან პიროვნებისთვის ზიანის მიყენება, ეს წარმოშობს ანაზღაურებისა და შესაბამის შემთხვევებში (მორალური) დაკმაყოფილების მოთხოვნებს. წუნდებული პროდუქტით მიყენებული ზიანისთვის პასუხისმგებლობის მომწესრიგებელი სამართლის გამოყენების სფერო იზღუდება რამდენიმე თვალსაზრისით: ერთი მხრივ, ბევრ შემთხვევაში შეიძლება პირების ან ნივთების შესახებ არასწორმა ინფორმაციამ არ გამოიწვიოს ზიანი და საქმე შეეხოს წუნდებული

[1118] К. Ц. Вуй, Деликтная ответственность за вред, причиненный вследствие дефектов продукции (Автореферат), Киев, 1993, 19-20.

[1119] გსკ-ის 823-ე მუხლის 1-ლ ნაწილთან დაკავშირებით იხ. I. R. Kraft, Der Angleichungsstand der EG-Produkthaftung, Eine vergleichende Untersuchung am Beispiel der Rechtslage in Deutschland, Frankreich, Spanien und Rumänien. Berlin, 2004, 55-56.

[1120] აღნიშნულთან დაკავშ. იხ. კ. იაიჩკოვი, ზიანის მიყენებით წარმოშობილი ვალდებულებანი (თარგმნა გ. დოლიძემ), თბ., 1947, 7.

[1121] იქვე, 8.

[1122] იხ. რ. შენგელია, ქონებრივი ზიანი და მისი ანაზღაურების ვალდებულება, თბ.,1991, 3.

[1123] იხ. თ. ნინიძე, მორალური ზიანი სამოქალაქო სამართალში, ჟურნ. „საბჭოთა სამართალი", N2, 1978, 45.

ტექნიკური ინსტრუქტაჟისა თუ ჯანმრთელობის შესახებ არასწორი რჩევების მიცემას; შესაძლებელია მოგვიანებით დადგეს ზიანი სამეწარმეო ან პროფესიულ სფეროში, რომელიც არაა დაცული. ბოლოს, ხშირად შეიძლება მონაცემთა არარსებობას ან შეცვლას მოჰყვეს (წმინდა) ქონებრივი ზიანი, რომელიც, წუნდებული პროდუქტით გამოწვეული ზიანისთვის პასუხისმგებლობის მომწესრიგებელი მოქმედი სამართლის მიხედვით, ანაზღაურების შესაძლებლობას მოკლებულია. ამდენად, ამ სამართლის თუნდაც გაფართოებული ინტერპრეტაციის შემთხვევაში იზღუდება კონკრეტული მოთხოვნების პრაქტიკულად რეალიზების შანსები[1124].

საქმე ისაა, რომ წმინდა ეკონომიკური ზიანი განსხვავდება არაპირდაპირი ეკონომიკური ზიანისგან. არაპირდაპირი ეკონომიკური ზიანი ისეთი ფინანსური ზიანია, რომელიც შეიძლება მოსარჩელის პიროვნების თუ ქონების ხელყოფამ გამოიწვიოს. მაგალითად, ავტომანქანის შეჯახებისას დაზარალებულს შეიძლება მიადგეს არაპირდაპირი ეკონომიკური ზიანი, რომელიც გამოიწვია შეჯახების შედეგად მიღებულმა ტრავმამ და აისახა სამედიცინო ხარჯებსა თუ მოგების დაკარგვაში. როგორც წესი, არაპირდაპირი ზარალი რეგულირდება იმავე პრინციპებით, რომლებიც გამოიყენება თვით ფიზიკური ზიანის ანაზღაურებისას. მეორე მხრივ, წმინდა ეკონომიკური ზიანი არის ისეთი ფინანსური ზიანი, რომელიც არ უკავშირდება მოსარჩელის პიროვნების ან ქონების ხელყოფას. მაგალითად, პირს, რომელიც ეცრუნობა ფინანსური ანგარიშგების ან გეგმის უყურადღებოდ მომზადებას, შეიძლება მიადგეს ზიანი ცუდად მომუშავე კომპანიაში ინვესტიციის ჩადებისას.[1125] არაპირდაპირი ეკონომიკური ზიანი (ზოგჯერ მას უწოდებენ „პარაზიტულ“ ზიანს) ექვემდებარება ანაზღაურებას, ვინაიდან მასში მოიაზრება სხეულებრივი დაზიანებების არსებობა. წმინდა ეკონომიკური ზიანი ეხება ქაღალდების შედეგად წარმოშობილ დაზარალებას.[1126]

ზიანში მოიაზრება არაპირდაპირი ხელყოფა, მაგალითად, ვადაგასული ან წუნდებული საქონლის განთავსება, რომელსაც შეიძლება სიკვდილი, სხეულისა და ნივთებისთვის ზიანის მიყენება მოჰყვეს. სხეულის ხელყოფის დროს დაზარალებულს უნდა აუნაზღაურდეს მკურნალობის, სანიტარული ტრანსპორტირების, სამედიცინო მომსახურების, საავადმყოფოს

[1124] Rolf H. Weber, Zivilrechtliche Haftung im Internet, in: Internet-Recht und Electronic Commerce Law, O. Arter / S. Florian Jörg (Hrsg.), 3. Tagungsband, Stämpfli Verlag Bern 2003, 9-10, <http://www.rwi.uzh.ch/oe/zik/archiv/ZivilrechtlHaftungInternet.pdf> [04.11.2014].

[1125] Margaret L. Waddell, Rothstein Paliare Roland Rosenberg, The Limits to Recovery: Economic Loss Claims from the Defendant's Perspective, 2011, 2.

[1126] Vernon V. Palmer, M. Bussani, Pure Economic Loss, New Horizons in Comparative Law, USA and Canada, 2009, 11.

მზრუნველობისა და სხვა ხარჯები. გარდაცვალების დროს პასუხისმგებელმა პირმა უნდა აიღოს საკუთარ თავზე დაკრძალვის ხარჯები, გაწეული მკურნალობის ან ყოველდღიური მომსახურების ხარჯები (ზიანი, რომელსაც მესამე პირი განიცდის, ვინაიდან ის მის მომსახურებას (კმაყოფაზე ყოფნას) კარგავს. აქ საქმე უნდა შეეხოს სსკ-ის 1006-ე მუხლის წინაპირობებს. საგულისხმოა, რომ მატერიალურ ზიანში მოიაზრება რეალური ღირებულების დაკარგვა ან განადგურება, მიყენებული დაზიანება. რეალურ ფასეულობებად ითვლება სხეულებრივი საგნები, არა აქვს მნიშვნელობა, საქმე მოძრავ ნივთებს ეხება თუ უძრავ ნივთებს. თუმცა, ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ მწარმოებელი პასუხს აგებს მხოლოდ იმ ნივთებისთვის, რომლებიც კერძო მოხმარებისთვის არის განსაზღვრული ან გამოიყენება.[1127] ამავე დროს, პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსის მე-5 მუხლის „ბ" პუნქტით განისაზღვრა, რომ ზიანში მოიაზრება პროდუქტის უსაფრთხოების მოთხოვნებთან შეუსაბამობით დამდგარი შედეგი. ის შეიძლება გამოიწვიოს, ერთი მხრივ, ფიზიკური პირის ჯანმრთელობის დაზიანება ან გარდაცვალება, ხოლო, მეორე მხრივ, ქონების ნებისმიერი ნაწილის დაზიანება ან განადგურება, გარდა თავად წუნდებული პროდუქტისა, რომლის ღირებულება 300 ლარზე მეტია. შესაბამისად, თუ ქმედება ეწინააღმდეგება პროდუქტის უსაფრთხოების სტანდარტებს, ეს მის მართლწინააღმდეგობაზე მიუთითებს.

დოგმატურად საქმე ეხება ბრუნვაში ჩაშვების უსაფრთხოების უზრუნველყოფის მოვალეობის ხელყოფას. შესაბამისად, პირმა, რომელსაც პროდუქტის ბაზარზე განთავსება ეკისრება, ასევე, უნდა იზრონოს, რომ მისი პროდუქტიდან მომდინარე საფრთხეები შეძლებისდაგვარად მინიმუმამდე დაიყვანოს და უმნიშვნელოდ აქციოს. ამ ფორმით საქმე ეხება დელიქტური სამართლით განსაზღვრულ კეთილსინდისიერების მოვალეობის დაცვას, რათა ზიანი თავიდან აიცილოს. ამდენად, მწარმოებელმა ბაზარზე განსათავსებლად არ უნდა მოიტანოს საფრთხის შემცველი წუნდებული პროდუქტები. ცხადია, მან უნდა მიმართოს მაშინ უსაფრთხოების ზომებს, როცა არა მხოლოდ თეორიული შესაძლებლობა არსებობს იმისა, რომ სხვათა სამართლებრივი სიკეთე შეილახება, არამედ როცა ეს საფრთხე, ასევე, მოახლოებულია.[1128]

აქვე უნდა ღინიშნოს, რომ წუნდებული პროდუქციით გამოწვეული არაბრალეული დელიქტური პასუხისმგებლობის წინაპირობებია წუნისა და ზიანის

[1127] T. G. Vögel, SceBRA, Scenario Based Rick Assessment: Entwicklung einer Methode für die quantitative Produktrisi-koabschätzung von Lösungsmitteln unter besonderer Berücksichtigung der Produkthaftpflicht, Zürich, 1999, 246-247.

[1128] I. R. Kraft, Der Angleichungsstand der EG-Produkthaftung, Eine vergleichende Untersuchung am Beispiel der Rechtslage in Deutschland, Frankreich, Spanien und Rumänien. Berlin, 2004, 131-132.

არსებობა, რომელიც მიზეზობრივად წუნმა გამოიწვია.[1129] ამასთან, სსკ-ის 1009-ე მუხლით დადგენილია ბრალის გარეშე ანუ მკაცრი პასუხისმგებლობა.[1130]

4.2. წუნდებული პროდუქტით გამოწვეული არაქონებრივი ზიანის ანაზღაურების თავისებურება

წუნდებული პროდუქტით შეიძლება დადგეს არაქონებრივი ზიანიც, ვინაიდან ჯანმრთელობისა ან/და სხეულის ხელყოფა არამატერიალური ზიანის წარმოშობის საფუძველია. შესაბამისად, თუ საქმე წუნდებული პროდუქტით ჯანმრთელობისთვის ან სხეულისთვის ზიანის მიყენებას ეხება, ლოგიკურია, წუნდებული პროდუქტით გამოწვეული ზიანის შემთხვევაშიც ჰქონდეს მომხმარებელს არაქონებრივი ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლება. თუმცა სსკ-ის დელიქტური ვალდებულებების მეორე თავში არსადაა მითითება არამატერიალური ზიანის ანაზღაურების შესაძლებლობის შესახებ, რაც წუნდებული პროდუქტიდან წარმოშობილი დელიქტური ვალდებულების თავით ამ ზიანის ანაზღაურებას გამორიცხავს, ვინაიდან, სსკ-ის 413-ე მუხლის 1-ლი ნაწილის მიხედვით, არაქონებრივი ზიანი ანაზღაურდება „მხოლოდ კანონით ზუსტად განსაზღვრულ შემთხვევებში“.[1131] ამასთან, სსკ-ის 413-ე მუხლის მე-2 ნაწილით არაქონებრივი ზიანი ექვემდებარება ანაზღაურებას, თუ ჯანმრთელობისთვის ზიანის მიყენების შედეგად პირს მიადგა სულიერი, ფსიქიკური ტანჯვა.[1132] დასახელებული დებულების გათვალისწინებით და ასევე მომხმარებელთა უფლებების დაცვის სამოქალაქოსამართლებრივი რეჟიმის გასაუმჯობესებლად აუცილებელია წუნდებული პროდუქტით გამოწვეული დელიქტური ვალდებულებების დროსაც მიეცეს დაზარალებულს არაქონებრივი ზიანის ანაზღაურების უფლება. აღნიშნულის ალმოსაფხვრელად მოცემული შემთხვევა უნდა განიმარტოს სსკ-ის 413-ე მუხლთან მჭიდრო კავშირში[1133]. ამ გზით შეივსება არაქონებრივი

[1129] К. Ц.Вуй. Деликтная ответственность за вред, причиненный вследствие дефектов продукции (Автореферат). Киев. 1993, 9, 20-21.

[1130] დაწვრილებით მკაცრი პასუხისმგებლობის პრინციპზე იხ. კ. ცვაიგერტი, ჰ. კოტცი, შედარებითი სამართალმცოდნეობის შესავალი კერძო სამართლის სფეროში, ტომი II, თარგმნა ე. სუმბათაშვილმა, რედ. თ. ნინიძე, თბ., 2001, 337-376.

[1131] იქ, სადაც მხოლოდ ზიანის ანაზღაურებაზეა აქცენტი გაკეთებული დ)ა პირდაპირ არაა მოხსენებული არაქონებრივი ზიანის კომპენსირება, სსკ-ის 413-ე მუხლის შინაარსიდან გამომდინარე, საქმე ეხება მატერიალურ ზიანს. იხ. ლ. დოლნაძე, მორალური ზიანის ანაზღაურება (სადოქტორო დისერტაცია), თბ., 2010, 190-196.

[1132] ამავე მოსაზრების შესახებ იხ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2012 წლის 20 იანვრის გადაწყვეტილება (№ას-1156-1176-2011).

[1133] ფაქტობრივად ანალოგიურ პოზიციაზეა საქართველოს სასამართლო პრაქტიკაც. იხ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2007 წლის 25 სექტემბრის გადაწყვეტილება (№ას-296-624-07).

ზიანის ანაზღაურებასთან დაკავშირებით წუნდებული პროდუქტით წარმოშობილი პასუხისმგებლობის შესახებ არსებული საკანონმდებლო მდგომარეობა (სსკ-ის 413-ე მუხლის მე-2 ნაწილი).

მწარმოებელი პასუხს აგებს ყველა ზიანისთვის, რომელიც პროდუქტის წუნითაა გამოწვეული, მიუხედავად ბრალისა.[1134]

4.3. პასუხისმგებლობის გამომრიცხველი გარემოებები

სსკ-ის 1009-ე მუხლი ითვალისწინებს შემთხვევების წრეს, თუ როდის შეიძლება გათავისუფლდეს მწარმოებელი სამოქალაქო პასუხისმგებლობისგან სრულად ან ნაწილობრივ. სახელდობრ, პროდუქტის მწარმოებელი პასუხს არ აგებს ამ პროდუქტით გამოწვეული ზიანისთვის, როცა: ა) მას ეს პროდუქტი არ გაუტანია სარეალიზაციოდ; ბ) საქმის გარემოებებიდან გამომდინარე, სავარაუდოა, რომ წუნი, რომელმაც ზიანი გამოიწვია, პროდუქტს არ ჰქონდა სარეალიზაციოდ გატანისას; გ) მწარმოებელს პროდუქტი არ უწარმოებია არც გასაყიდად ან სხვა კომერციული მიზნით, არც თავისი პროფესიული საქმიანობის ფარგლებში; დ) პროდუქტს აქვს წუნი, რომელიც სარეალიზაციოდ მისი გატანისას შეესაბამებოდა იმ დროს მოქმედ ნორმებს; ე) შეუძლებელი იყო ნაკლის აღმოჩენა მეცნიერებისა და ტექნიკის იმ დონის გათვალისწინებით, რომელიც არსებობდა სარეალიზაციოდ პროდუქტის გატანისას.

ზემოთქმული ჩამონათვალის მიხედვით, კანონმდებელი პასუხისმგებელ პირად არ მიიჩნევს პროდუქტის ისეთ მწარმოებელს, რომელსაც ეს პროდუქტი პროფესიული საქმიანობის ფარგლებში არ უწარმოებია და არც კომერციული მიზნები ჰქონია. შესაბამისად, კანონი პასუხისმგებელ პირთა წრეს უშუალოდ საბაზრო ურთიერთობის მონაწილე სუბიექტებით შემოფარგლავს. სარეალიზაციოდ გატანა მწარმოებლისთვის ის ეტაპია, რომლის დადგომამდეც ის სრულად აგებს პასუხს პროდუქტზე. ამდენად, სარეალიზაციოდ გატანის შემდეგ მწარმოებელი პასუხს აღარ აგებს პროდუქტის წუნდებულობის განმაპირობებელი იმ თვისებებისთვის, რაც მან რეალიზაციის შემდგომ შეიძინა. შეიძლება ითქვას, რომ კანონმდებელი დელიქტური პასუხისმგებლობის სუბიექტად განიხილავს მხოლოდ იმას, ვისმა ქმედებამაც პროდუქტის წუნდებულობა და, შესაბამისად, ზიანი გამოიწვია. ასევე, წუნდებული პროდუქტის რეალური მწარმოებლის ძიება არაა საჭირო, როცა არსებობს მწარმოებელი, რომელიც ასეთად გვევლინება საკუთარი სახელითა და სასაქონლო ნიშნით პროდუქტზე. ამდენად,

---

[1134] იხ. B.Steckler, Produkthaftung, In: B2B-Handbuch Operations Management (Hrsg.W.Pepels), Industriegüter erfolgreich vermarkten 2. überarbeitete Auflage, Düsseldorf, 2009, 455.

კანონი იძლევა შესაძლებლობას, დაზარალებულმა მოთხოვნა წაუყენოს პასუხისმგებელ პირთა მრავალფეროვანი ჩამონათვალიდან იმას, ვისგანაც ზიანის ანაზღაურების მიღება უფრო მიზანშეწონილი, დროული და მისთვის ხელმისაწვდომი იქნება.[1135]

ამასთან, პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსის ფაქტობრივად პასუხისმგებლობის გამორიცხვის ანალოგიურ საფუძვლებს ითვალისწინებს, თუმცა ოდნავ სახეცვლილი ფორმით. მოცემული კოდექსის მე-8 მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, მწარმოებლის პასუხისმგებლობა არ შეიძლება შეიზღუდოს ან გამოირიცხოს სხვა საკანონმდებლო აქტებით. ამავე მუხლის მე-2 ნაწილით განსაზღვრულია მწარმოებლის მტკიცების ტვირთი, ვინაიდან მწარმოებელი არაა პასუხისმგებელი ზიანისთვის, თუ ის დაამტკიცებს, რომ: ა) პროდუქტი ბაზარზე მას არ განუთავსებია; ბ) წუნი, რომელმაც ზიანი გამოიწვია, პროდუქტის ბაზარზე განთავსების მომენტისათვის არ არსებობდა; გ) პროდუქტი არ იყო გამიზნული ბაზარზე განთავსებისათვის, ან ნებისმიერი ფორმით დისტრიბუციისათვის, ან პროდუქტი არ ყოფილა წარმოებული/გავრცელებული მის მიერ მისი საწარმოო საქმიანობის პერიოდში; დ) წუნი გამოიწვია პროდუქტის ტექნიკური რეგლამენტის მოთხოვნებთან შესაბამისობამ. თუ ტექნიკური ნორმა აისახა კანონში ან კანონქვემდებარე აქტში, ის ნორმატიულ ხასიათს იძენს და მისი დაცვა მწარმოებელს ათავისუფლებს პასუხისმგებლობისგან; ე) მეცნიერული ან ტექნიკური ცოდნა პროდუქტის მიმოქცევაში გაშვების მომენტისათვის არ იყო იმგვარი, რომ მწარმოებელს წუნის აღმოჩენის საშუალება ჰქონოდა; ვ) პროდუქტის შემადგენელი ნაწილის მწარმოებლის შემთხვევაში, წუნი გამოწვეულია პროდუქტის დიზაინით, რომელშიც ეს ნაწილია მოთავსებული, ან მითითების საფუძველზე, რომელიც გაცემულია იმ მწარმოებლის მიერ, რომელიც თავის პროდუქტში იყენებს ამ ნაწილს. ამასთან, მწარმოებელს არ დაეკისრება პასუხისმგებლობა წუნდებული პროდუქტის ბაზარზე განთავსებისთვის, თუ ამ პროდუქტს ზიანი არ გამოუწვევია.

პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსის მე-4 მუხლის მე-10 ნაწილიდან გამომდინარეობს, რომ ბაზარზე განთავსებად არ მიიჩნევა შემთხვევა, როდესაც:

ა) მწარმოებელმა პროდუქტი საკუთარ წარმომადგენლობას მიაწოდა;

ბ) პროდუქტი მიწოდებულია შემდგომი დახვეწის (მაგალითად, აწყობის, შეფუთვის, გადაშუშავების ან ეტიკეტირების) მიზნით;

[1135] აღნიშნულის თაობაზე იხ. თ. ბენდელიანი, ფრენშაიზინგის ხელშეკრულების საფუძველზე მომხმარებლისათვის წუნდებული პროდუქტით მიყენებული ზიანის ანაზღაურების სამართლებრივი მოწესრიგება ქართული კანონმდებლობის მიხედვით, „სტუდენტური სამართლებრივი ჟურნალი“, 2014, 39–41.

გ)პროდუქტი საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე არაა;

დ) პროდუქტი წარმოებულია საქართველოში სხვა ქვეყანაში ექსპორტის მიზნით;

ე) პროდუქტი განკუთვნილია სადემონსტრაციოდ;

ვ) პროდუქტი განთავსებულია საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე დასაწყობების მიზნით და არაა ხელმისაწვდომი მოხმარებლისთვის, თუ შესაბამისი ტექნიკური რეგლამენტაციით დასაწყობებისთვის სხვა რამ არაა გათვალისწინებული.

როგორც აღნიშნა, მწარმოებლის პასუხისმგებლობა გამოირიცხება იმ შემთხვევაში, როცა წუნის აღმოჩენა შეუძლებელია პროდუქტის სარეალიზაციოდ გატანისას არსებული მეცნიერებისა და ტექნიკის დონის გათვალისწინებით. ეს უნდა დადგინდეს მეცნიერების ცოდნის „ობიექტურად მიუწვდომლობის“ კრიტერიუმზე დაყრდნობით. აქ მხედველობაშია მისაღები უნივერსიტეტების, ტექნიკური თუ პროფესიული სასწავლებლების ყველა ხელმისაწვდომი მეცნიერულ-ტექნიკური კვლევა. თუმცა მოცემულ შემთხვევაში გასათვალისწინებელია პროდუქტის სამოქალაქო ბრუნვაში ჩაშვებისას არსებული მეცნიერებისა და ტექნიკის მიღწევები თუ ხელმისაწვდომი ცოდნა, რომელიც წუნის დადგენას ხელს შეუწყობს.

ასევე, საგულისხმოა, რომ სსკ-ის 1009-ე მუხლის მე-3 ნაწილით განსაზღვრულია, რომ მწარმოებლის ზიანის ანაზღაურების ვალდებულება მცირდება ან საერთოდ გამოირიცხება, თუ ზიანის დადგომა გამოიწვია დაზარალებულის ან მის ნაცვლად პასუხისმგებელი პირის ბრალეულმა მოქმედებამ. სავარაუდოდ, პროდუქტი თავიდან უსაფრთხო იყო, მაგრამ მომხმარებლის ბრალეულმა ქმედებამ აქცია ის წუნდებულად. ამდენად, მოცემულ შემთხვევაში ზიანის გამომწვევი მიზეზიც სწორედ მის მიერ პროვოცირებული წუნია.

ცალკეა გამოყოფილი, რომ მწარმოებლის პასუხისმგებლობა არ მცირდება, თუ ზიანი გამოწვეულია პროდუქტის ნაკლით და იმავდროულად მესამე პირის მოქმედებით (სსკ-ის 1009-ე მუხლის მე-4 ნაწილი). მესამე პირი შეიძლება იყოს გამყიდველი ან სხვა პირი, რომელსაც ევალება შემძენისთვის სათანადო ინსტრუქციის ჩატარება. ამ შემთხვევაში ზიანის მიზეზი წუნია და ის მესამე პირის მოქმედებით გამოვლინდება. შესაბამისად, აქ ზიანის ანაზღაურებაზე პასუხისმგებელი პირიც მწარმოებელთან ერთად ხდება მესამე პირი. ესე იგი, სსკ-ი ითვალისწინებს მწარმოებლის სრულ პასუხისმგებლობას, მიუხედავად იმისა, რომ ზიანის დადგომის მიზეზი მესამე პირის მოქმედებაცაა. სავარაუდოდ, ბრალის ხარისხით მიხედვით, მწარმოებელს რჩება რეგრესული მოთხოვნის უფლება მესამე პირის მიმართ.[1136]

[1136] დაწვრ. იხ. თ. ზოიძე, წუნდებული პროდუქტით მიყენებული ზიანის ანაზღაურება (ქართული და გერმანული სამართლის შედარებითი ანალიზი), თბ., 2016, 159-173.

4.4. წუნდებული პროდუქტით გამოწვეული ზიანიდან წარმოშობილი მოთხოვნის ხანდაზმულობა

საგულისხმოა, რომ მოთხოვნის განხორციელების ფარგლები უკავშირდება ხანდაზმულობის ვადას, ვინაიდან მისი გასვლის შემდეგ ფაქტობრივად მოთხოვნა იურიდიულ ძალას კარგავს. ხანდაზმულობაში მოიაზრებენ ვადას, რომლის განმავლობაშიც პირს, რომლის უფლებაც დაირღვა, აქვს უფლება, მოითხოვოს თავისი უფლების იძულებით განხორციელება და დაცვა. საქმე ისაა, რომ ხანდაზმულობის ვადის არსებობა აიძულებს სამართლებრივი ურთიერთობის მონაწილეებს, დროულად იზრუნონ თავიანთი უფლებების განხორციელებისა და დაცვისათვის.[1137] რამდენადაც ცნობილია, სახელშეკრულებო მოთხოვნათა ხანდაზმულობის ვადა დადგენილია სსკ-ის 129-ე მუხლით, რომლის მე-3 ნაწილის მიხედვით, კანონით ცალკეულ შემთხვევებში გათვალისწინებულია ხანდაზმულობის სხვა ვადებიც.

წუნდებული პროდუქტიდან წარმოშობილი მოთხოვნა, სსკ-ის 1015-ე მუხლის თანახმად, მოცემულ შემთხვევაში მოთხოვნის ხანდაზმულობის ვადა სამი წელია. ე.ი. დაზარალებულს დელიქტის დადგომიდან სამი წლის განმავლობაში უფლება აქვს, მოითხოვოს დელიქვენტისაგან მიყენებული ზიანის ანაზღაურება. აღნიშნული მოთხოვნა უქმდება დელიქტის დადგომიდან ათი წლის შემდეგ, უშუალოდ იმ დღიდან, როცა მწარმოებელმა ზიანის გამომწვევი პროდუქტი გასაყიდად, სარეალიზაციოდ გაიტანა.[1138]

4.5. სამართლებრივ მოთხოვნათა კონკურენცია წუნდებული პროდუქტით გამოწვეული ზიანის დროს

წუნდებული პროდუქტით მიყენებული ზიანის ანაზღაურების საფუძვლების სპეციალური ნორმებით მოწესრიგების მიზანია მეწარმის სახელშეკრულებო თავისუფლების ბოროტად გამოყენების გამორიცხვა. ამასთან, მწარმოებლისთვის ბრალის გარეშე პასუხისმგებლობის დაწესება მომხმარებლის სიცოცხლისა და ჯანმრთელობის დაცვის უფრო მაღალი სტანდარტით დაცვას უზრუნველყოფს. აქვე საგულისხმოა, რომ წუნდებული პროდუქტით გამოწვეული ზიანი, როგორც დელიქტის სპეციალური შემთხვევა, წარმოშობს (არასახელშეკრულებო) სამართლებრივ საფუძველს, რომე-

---

[1137] საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2014 წლის 2 ივნისის გადაწყვეტილება (№ას-223-208-2014).

[1138] აღნიშნულთან დაკავშირებით იხ. W. Straub, Ausservertragliche Haftung von IT-Anbietern in der Schweiz, Informationssicherheit und Recht – Verantwortung von IT-Anbietern und Anwendern für sichere Informationsverarbeitung, Bern, Tagung vom 4.6.2003, 29.

ლიც უპირატესად უნდა ჩაითვალოს სახელშეკრულებო მოთხოვნასთან შედარებით. ერთი შეხედვით, ცხადია, რომ სახელშეკრულებო და ზოგადი დელიქტის მოთხოვნის საფუძვლები გამომრიცხავ კონკურენციაშია სსკ-ის 1009-1016-ე მუხლებთან მიმართებით. შესაბამისად, დასახელებული ნორმებით მოწესრიგებული მწარმოებლის მოვალეობები უპირატესად გამოსაყენებული ნორმებია. აქედან გამონაკლისია შემთხვევა, როცა უშუალოდ მომხმარებელსა და მწარმოებელს შორის დადებული ხელშეკრულებით დგინდება მწარმოებლის დაცვის უფრო მაღალი სტანდარტი, ვიდრე ეს სსკ-ის 1009-1016-ე მუხლებითაა უზრუნველყოფილი.

წუნდებული პროდუქტით მიყენებული ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლება შეიძლება მომხმარებელს წარმოეშვას სხვადასხვა სამართლებრივი საფუძვლით:

ა) სსკ-ის 1009-1006-ე მუხლებით წუნდებული პროდუქტის მწარმოებლის მიმართ;

ბ) სსკ-ის 992-ე მუხლით (გენერალური დელიქტური ვალდებულება);

გ)სახელშეკრულებო მოთხოვნის საფუძვლებით, თუ სახელშეკრულებო პასუხისმგებლობა არაა ინდივიდუალური შეთანხმებით გამორიცხული.

ამდენად, მომხმარებლის სავარაუდო მოთხოვნები, ჩვეულებრივ, მოთხოვნის სამართლებრივ საფუძველთა გრძელ ჯაჭვს ქმნის და შესაძლებელია წარედგინოს როგორც მწარმოებელს, ისე გამყიდველს. აქვე საგულისხმოა, რომ მოცემულ შემთხვევაში უნდა გაიმიჯნოს შესაბამის მოთხოვნის საფუძველთა გამოყენების წინაპირობები და მათი ელემენტები, რათა დადგინდეს, რომელი გამოიყენება უპირატესად გამოსაყენებლ სამართლის ნორმათა შორის.[1139]

სსკ-ის 1009-ე მუხლის მიხედვით, აშკარაა, რომ წუნდებული პროდუქტიდან წარმოშობილმა ვალდებულებამ შეიძლება მოთხოვნათა კონკურენციის საკითხი წამოჭრას. ამ პრობლემის შესწავლა უკავშირდება რამდენიმე წინაპირობის დადგენას:

ა) ჯერ ერთი, გასარკვევია მიყენებული ზიანი სახელშეკრულებო ხასიათისაა თუ არასახელშეკრულებო (დელიქტური). სახელშეკრულებო სამართალს არ შეუძლია დელიქტური სამართლის გარეშე არსებობა და პირიქით. ისინი, ამავე დროს, მეძლის ორ მხარედ განიხილება[1140];

ბ) გასათვალისწინებელია მტკიცების ტვირთის საკითხიც, ვინაიდან სახელშეკრულებო მოთხოვნის დროს მოვალემ უნდა ამტკიცოს, რომ

[1139] ს. ჩაჩავა, მოთხოვნებისა და მოთხოვნის საფუძვლების კონკურენცია, თბ., 2011, 142, 145-146.

[1140] იხ. Christian v. Bar, Osnabrück, Gesetzliche Schuldverhältnisse, In: Privatrechtsordnungen der EU – Diskriminierung – Europäisches Zivilgesetzbuch, Luxemburg, Manuskript abgeschlossen im Juni 1999, 165.

ვალდებულების შეუსრულებლობა განპირობებულია გარე ფაქტორებით და ბრალი მას ამ ზიანის დადგომაში არ მიუძღვის, არასახელშეკრულებო მოთხოვნის შემთხვევაში კი დაზარალებულს ეკისრება მოპასუხის ბრალეულობის მტკიცების ტვირთი.[1141] წუნდებული პროდუქტით მიყენებული ზიანის დროს დაზარალებულმა თვითონვე უნდა დაამტკიცოს სასამართლოს ან სხვა ორგანოების წინაშე (არსებულ მტკიცებულებათა გათვალისწინებით) დამდგარი დელიქტური ვალდებულებიდან ზიანის ანაზღაურების აუცილებლობა. წუნდებული პროდუქტიდან წარმოშობილი ვალდებულების დროს დაზარალებულმა უნდა ამტკიცოს, რომ სწორედ მოცემულმა პროდუქტმა მიაყენა მას ზიანი, ასევე, დაადგინოს დამამზადებლის, მწარმოებლის ვინაობაც. ამდენად, 1012-ე მუხლის თანახმად, მთლიანი მტკიცების ტვირთი ეკისრება მხოლოდ დაზარალებულს და არა მწარმოებელს.[1142]

თუმცა ეს საკითხი კიდევ უფრო აქტუალურია, თუ მას დავუკავშირებთ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 102-ე მუხლს, რომლითაც გარკვეულწილად მტკიცების საკითხი გადანაწილებულია მხარეთა შორის და განისაზღვრება, რომ „თითოეულმა მხარემ უნდა დაამტკიცოს გარემოებანი, რომლებზეც იგი ამყარებს თავის მოთხოვნებსა და შესაგებელს". ჩვეულებრივ, დაზარალებული უნდა აკეთებდეს აქცენტებს მისთვის სასარგებლო გარემოებებზე, თუმცა პროდუქტის წუნის დროს დაზარალებული ხშირად იმაზე მეტს მოითხოვს, ვიდრე უნდა წარედგინა, რადგან მას, როგორც წესი, არა აქვს რაიმე წარმოდგენა საწარმოო პროცესის სტრუქტურის შესახებ. ეს სიტუაცია გერმანიის ფედერაციის სასამართლო პრაქტიკით შედარებით დაბალანსდა და წუნდებული პროდუქტით წარმოშობილი პასუხისმგებლობის სფეროში მტკიცების ტვირთის ზოგადი წესი შეცვალა. საქმე ისაა, რომ დაზარალებულმა მხოლოდ ის უნდა ამტკიცოს, რომ პროდუქტის წუნი მისი ბრუნვაში ჩაშვების დროს იყო და ამ წუნმა გამოიწვია ზიანი (დეფექტსა და ზიანს შორის მიზეზობრივი კავშირი).[1143] თუ დაზარალებულმა ეს დაამტკიცა, მწარმოებელი პასუხს აგებს ზიანისთვის, ვინაიდან მწარმოებელმა ვერ დაასაბუთა, რომ წუნი მისი ბრალით არ დამდგარა. ამდენად, დაზარალებული არ უნდა მოქმედებდეს იმ მოტივაციით, რომ ზიანი მაგალითად იმ არასწორმა წაკითხვამ განაპირობა, რომელიც მოგვიანებით პროდუქტის არაკვალიფიციური (არასწორი) გამოყენების გამო წარმოიშვა.[1144] ამასთან,

---

[1141] იხ. მ. დუნდუა, დელიქტური პასუხისმგებლობისა და სახელშეკრულებო პასუხისმგებლობის თანაფარდობა, „სამართლის ჟურნალი", N1, 2009, 56.

[1142] იხ. ო. გაჭარაშვილი, დელიქტები საერთაშორისო კერძო სამართალში, ჟურნ. „ალმანახი", N15, 2000, 26-27.

[1143] იხ. G. Spindler, unter Mitwirkung von: Lönner A., Nink J., Verantwortlichkeiten von IT-Herstellern, Nutzern und Intermediären, Göttingen, 2007, 91.

[1144] იხ. Hans-Bernd Schäfer, Cl. Ott, Lehrbuch der ökonomischen Analyse des Zivilrechts, 5. Auflage, Berlin, 2012, 360.

მოცემულ შემთხვევაში მწარმოებლის ბრალი ივარაუდება, ხოლო მწარმოებელმა, თავის მხრივ, უნდა ამტკიცოს, რომ ის არ მოქმედებდა ბრალეულად. ამდენად, მწარმოებელი არ შეიძლება გათავისუფლდეს გარკვეული დეტალების მტკიცებისგან.[1145] ევროპული დირექტივის მიხედვით, დაზარალებულმა უნდა ამტკიცოს, რომ ნაწარმოები იყო წუნდებული პროდუქტი, რომელმაც მიზეზობრივად ზიანი გამოიწვია. მოცემულ შემთხვევაში ბრალი ივარაუდება და სწორედ ეს ქმნის გამკაცრებული პასუხისმგებლობის შემადგენლობას[1146]; როცა დადასტურებულია წუნდებული პროდუქტით მიყენებული ზიანის შესახებ გარემოება, მოსარჩელეს არ ევალება, ამტკიცოს მიმწოდებლის ბრალეულობა პროდუქტის წუნში. ამ შემთხვევაში მტკიცების ტვირთი შებრუნებულია და მოპასუხეს ეკისრება მტკიცება დამდგარ ზიანში ბრალის არარსებობისა და საპირისპირო გარემოების დამტკიცების თაობაზე, კერძოდ, რომ ზიანი წარმოიშვა არა მოპასუხის მიერ მიწოდებული პროდუქტის წუნის გამო, არამედ სხვა მიზეზით, როგორიცაა მეტეოროლოგიური ზემოქმედება მეხის ჩამოვარდნის სახით. წარმოშობილ ზიანში მოპასუხის ბრალეულობის არარსებობა შეიძლება დამტკიცდეს შესაბამისი მტკიცებულებებით (ექსპერტიზის დასკვნა) მოპასუხის ბრალეულობის გამოსარიცხად.[1147]

გ) მხედველობაშია მისაღები ხანდაზმულობის საკითხიც. სახელშეკრულებო მოთხოვნა შეიძლება ხანდაზმული იყოს, ვინაიდან სსკ-ის 130-ე მუხლის თანახმად, სახელშეკრულებო ხანდაზმულობის ვადის ათვლა იწყება იმ დროიდან, როცა პირმა შეიტყო, ან უნდა შეეტყო უფლების ხელყოფის შესახებ. რაც შეეხება წუნდებული პროდუქტიდან წარმოშობილ არასახელშეკრულებო მოთხოვნას, სსკ-ის 1015-ე მუხლის მიხედვით, დაზარალებულს დელიქტის დადგომიდან სამი წლის განმავლობაში უფლება აქვს, მოითხოვოს დელიქვენტისაგან მიყენებული ზიანის ანაზღაურება. ფაქტობრივად ანალოგიური წესი გვხვდება შვეიცარიის სამართალშიც.[1148] სამოქალაქო უფლების დამატებით გარანტიად უნდა ჩაითვალოს ზიანისთვის სამოქალაქო პასუხისმგებლობის წინასწარ გამორიცხვის ან შეზღუდვის დაუშვებლობა, რომელიც 1016-ე მუხლითაა განსაზღვრული;[1149]

[1145] იხ. W. Braun, Produkthaftung – Produzentenhaftung, Ein Leitfaden für die Praxis, Taschenbuch, 2009, 24-25.

[1146] აღნიშნულთან დაკავშირებით იხ. J. von Staudinger, BGB, Eckpfeiler des Zivilrechts, Berlin, 2005, 862.

[1147] თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2014 წლის 6 მარტის გადაწყვეტილება (N2ბ/3167-13).

[1148] აღნიშნულთან დაკავშირებით იხ. W. Straub, Ausservertragliche Haftung von IT-Anbietern in der Schweiz, Informationssicherheit und Recht – Verantwortung von IT-Anbietern und Anwendern für sichere Informationsverarbeitung, Bern, Tagung vom 4.6.2003, 29.

[1149] ო. მაჭარაშვილი, დელიქტები საერთაშორისო კერძო სამართალში, ჟურნ. „ალმანახი", N15, 2000, 26-27.

დ) ამასთან, ერთი მხარე არ უნდა აღმოჩნდეს გაცილებით ცუდ მდგომარეობაში, ვიდრე მეორე მხარე;

ე) სასამართლო შეზღუდულია მხოლოდ მხარეთა მოთხოვნის ფარგლებითა და მათ მიერ მითითებული ფაქტობრივი გარემოებებით და არა სამართლებრივი შეფასებით;[1150] მოსამართლე შებოჭილი არაა მოსარჩელის მიერ განსაზღვრული სამართლებრივი საფუძვლით და თავად აძლევს კვალიფიკაციას სადავო სამართლებრივ ურთიერთობას.[1151] მოთხოვნათა შორის არჩევანის განხორციელება საპროცესო პრინციპების გათვალისწინებით მოსარჩელის უფლებამოსილებაა. ამასთან, როდესაც ერთი და იმავე მოთხოვნის განხორციელება შესაძლებელია სხვადასხვა სამართლებრივ საფუძველზე დაყრდნობით, მოთხოვნის სამართლებრივ საფუძველთა კონკურენციის შესახებ გადაწყვეტილებას იღებს სასამართლო[1152];

ვ) გასათვალისწინებელია სამართალშეფარდების გამარტივების საკითხიც[1153];

ზ) ასევე, უნდა განისაზღვროს, რომელი მოთხოვნის საფუძვლის გამოყენება გამოიწვევს ყველაზე მცირე საპროცესო ხარჯებს. შესაბამისად, თუ კონკრეტული შემთხვევის მიმართ შესაძლებელია მოთხოვნის რამდენიმე საფუძვლის გამოყენება, მაშინ მოსამართლემ უპირატესობა უნდა მიანიჭოს იმ საფუძველს, რომლის წინაპირობების დადგენაც ყველაზე იოლად და სწრაფად არის შესაძლებელი. ეს წესი, ძირითადად, მოქმედებს მხოლოდ მაშინ, როცა სასამართლო მთლიანად აკმაყოფილებს სარჩელს. რაც შეეხება მოთხოვნის საფუძველს, რომელიც უფრო მეტ ხარჯებს უკავშირდება, მისი განხილვა მხოლოდ მაშინ დაიშვება, როდესაც სასარჩელო მოთხოვნის გათვალისწინებით შეუძლებელია სარჩელის დაკმაყოფილება. ამასთან, თუ სარჩელი მხოლოდ ნაწილობრივ დაკმაყოფილდა ან მხარეს ეთქვა უარი დაკმაყოფილებაზე, მოსამართლემ უნდა იმსჯელოს კონკრეტულ შემთხვევაში გასათვალისწინებელი მოთხოვნის წარდგენის ყველა საფუძველზე და დაადგინოს, რომ არც ერთი მათგანის გამოყენებისას არაა შესაძლებელი მოსარჩელის მიერ დასახული მიზნის მიღწევა.[1154]

[1150] იხ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2011 წლის 14 ნოემბრის გადაწყვეტილება (№ას-1169-1189-2011).

[1151] საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2012 წლის 12 ივლისის გადაწყვეტილება (№ას-860-806-2012).

[1152] იხ. ს. ჩაჩავა, მოთხოვნებისა და მოთხოვნის საფუძვლების კონკურენცია, თბ., 2011, 192.

[1153] ხარჯებისა და სამართალშეფარდების გამოყენების შესახებ იხ. P. Thost, Die Anwendungs des § 477 BGB auf Mangelfogeschäden (Dissertation), Hamburg, 2000, 131-133.

[1154] იხ. ჯ. ბოელინგი, ლ. ჭანტურია, სამოქალაქო საქმეებზე სასამართლო გადაწყვეტილებათა მიღების მეთოდიკა, თბ., 2004, 43-44. მოთხოვნის საფუძველთა კონკურენციაზე, ასევე, იხ. მ. ბიჭია, კერძო ცხოვრებისა და საადვოკატო საიდუმლოების სამოქალაქოსამართლებრივი დაცვა, ჟურნ. „თანამედროვე სამართლის მიმოხილვა", N1, 2013, 19.

მოთხოვნის საფუძველთა კონკურენციის შემთხვევაში მოსამართლემ უნდა შეამოწმოს ყველა გასათვალისწინებელი მოთხოვნის საფუძველი მაშინ, თუ ერთ-ერთი მათგანი საერთოდ (ან არასრულყოფილად) ვერ მიუახლოვდება მოსარჩელის მიერ დასახულ და სასურველ შედეგს.[1155] შესაბამისად, უმნიშვნელოვანესია იმ მოთხოვნის საფუძვლის განსაზღვრა, რომელიც ყველაზე უკეთ გამოხატავს მოთხოვნის მიზანს.

ამდენად, აუცილებელია როგორც ერთიანი სისტემის შემუშავება, ისე ცალკეული წესდებებისა თუ რეგლამენტების შემუშავება მომხმარებელთა უფ-ლებების დაცვის მიმართულებით. ეს კიდევ უფრო აქტუალურია, თუ გავითვალისწინებთ სპეციალური კანონის არარსებობას. ამ თვალსაზრისით, უდავოდ საყურადღებოა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის მიერ მიღებული 1985 წლის 9 აპრილის N39/248 რეზოლუცია „მომ-ხმარებელთა ინტერესეთა დაცვის სახელმძღვანელო პრინციპები". რეზოლუცია ითვალისწინებს მომხმარებელთა უფლებების დაცვის რვა ძირითად საწყისს: უსაფრთხოების, ინფორმირების, არჩევანის, მოსმენის, ანაზღაურების, განათლების, ჯანსაღი გარემოს არსებობისა და ძირითად მოთხოვნილებათა დაკმაყოფილების უფლებები.[1156] მომხმარებელთა უფლებების დაცვის მიმართულებით განასხვავებენ სახელმწიფოთა რამდენიმე ჯგუფს, რომელთაგან საგულისხმოა ე.წ. „მესამე სამყაროს ქვეყნები", რომლებშიც სახელმწიფოს სხვადასხვა მიზეზის გამო არ ძალუძს, ან არ სურს ქმედითი ნაბიჯების გადადგმა პრობლემის მოსაგვარებლად. დაახლოებით 4-5 წლის წინ საქართველოშიც აკეთებდნენ აქცენტებს ანალოგიურ მდგომარეობაზე. ქვეყანაში ხაზგასმული იყო წარმოების დომინირებული მდგომარეობა და მომხმარებლის უფლებების უგულებელყოფა. თუმცა ამ თვალსაზრისით საყურადღებოა საქართველოსა და ევროკავშირს შორის 1995 წლის 15 დეკემბერს დადებული პარტნიორობისა და თანამშრომლობის შეთანხმება, რომლის 43-ე მუხლით განსაზღვრულია, რომ საქართველომ ეკონომიკურ ურთიერთობებში მოქმედი კანონმდებლობა თანდათან უნდა დაუახლოვოს მოცემული გაერთიანების კანონმდებლობას. ევროპასთან ჰარმონიზაციის პრიორიტეტულ სფეროდ ითვლება მომხმარებელთა უფლებების უზრუნველყოფა, რაც, თავის მხრივ, უკავშირდება ადამიანის ჯანმრთელობისა და სიცოცხლის დაცვას.[1157] ეს ყველაფერი, ცხადია, ადას-

---

[1155] იხ. ჯ. ბიოლინგი, ჯ. ლუტრინგჰაუსი, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის ცალკეული მოთხოვნის საფუძვლების სისტემური ანალიზი, თბ., 2009, 54.

[1156] Consumer protection Resolution N39/248 at the plenary meeting of the General Assembly of the United Nations, adopted 09.04.1985.

[1157] გ. კერესელიძე, მომხმარებელთა უფლებების დაცვა საქართველოს კანონმდებლობაში, ჟურნ. „ნოვაცია", N7, 2010, 60-63.

ტურებს სამომხმარებლო სფეროში კანონმდებლობის დახვეწა-სრულყოფის აუცილებლობას. ამასთან, დასახელებული პრინციპები საინტერესოა, ვინაიდან „მომხმარებელთა უფლებების დაცვის შესახებ“ კანონის ძალადაკარგულად გამოცხადებამ ფაქტობრივად შექმნა ამ სფეროში საკანონმდებლო ხარვეზი.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ზ. ადეიშვილი, ქ. ვარდიაშვილი, ლ. იზორია, ნ. კალანდაძე, მ. კოპალეიშვილი, ნ. სხირტლაძე, პ. ტურავა, დ. ქიტოშვილი, ზოგადი ადმინისტრაციული სამართლის სახელმძღვანელო, თბ., 2005.

2. ლ. ადეიშვილი, დ. კერესელიძე, საქართველოს შრომის კოდექსის პროექტი და კონტინენტური ევროპის ქვეყნების შრომის სამართლის ზოგიერთი ძირითადი პრინციპი, ჟურნ. „ქართული სამართლის მიმოხილვა“, ტომი 6, N1, 2003.

3. დ. აბესაძე, დანაშაულით მიყენებული ზიანის ანაზღაურების წესი სამოქალაქო საპროცესო სამართალში – ეროვნული პრაქტიკა და საერთაშორისო გამოცდილება, „სტუდენტური სამართლებრივი ჟურნალი“, თბ., 2014.

4. მ. მ. აგარკოვი, სნ. ბრატუსი, დ. მ. გენკინი, ვ. ი. სერებროვსკი, ზ. ი. შკუნდინი, სამოქალაქო სამართალი, ტომი I, მთარგმნ. პ. ცხაკაია, თბ., 1946.

5. ზ. ადეიშვილი, მედია და კანონი, თბ., 2004.

6. ს. ავალიანი, თეორიული ფილოსოფია, თბ., 2007.

7. ს. ამაღლობელი, პასუხისმგებლობის სუბიექტის განსაზღვრის პრობლემატიკა უხარისხო პროდუქტით მიყენებული ზიანისას, სამაგისტრო ნაშრომი, თსუ, თბ., 2012.

8. გ. ამირანაშვილი, დისკრიმინაციის აკრძალვა შრომით ურთიერთობაში, სტატიათა კრებულში: „შრომის სამართალი“, I, რედ. ვ. ზაალიშვილი, თბ., 2011.

9. გ. ამირანაშვილი, დასაქმებულის მიერ სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას მესამე პირისთვის მიყენებული ზიანის ანაზღაურების თავისებურება, სტატიათა კრებულში: „შრომის სამართალი“, II, რედ. ბ. ზოიძე, თბ., 2013.

10. გ. ასათაშვილი, სატრანსპორტო საშუალების ექსპლოატაციის შედეგად მიყენებული ზიანის ანაზღაურება, „სტუდენტური სამართლებრივი ჟურნალი“, 2012.

11. ზ. ახვლედიანი, ვალდებულებითი სამართალი, მეორე გამოცემა, თბ., 1999.

12. ნ. ბარაბაძე, მორალური ზიანის ანაზღაურების უფლების წარმოშობის საფუძვლები, ჟურნ. „ადამიანი და კონსტიტუცია“, N3, 2005.

13. ნ. ბარაბაძე, მორალური ზიანი და მისი ანაზღაურების პრობლემა, თბ., 2012.

14. ლ. ბაქრაძე, ლოგიკა, თბ., 1954.

15. გ. ბახტაძე, მცირეწლოვნის მიერ მიყენებული ზიანისთვის პასუხისმგებლობის საფუძველი, ჟურნ. „საბჭოთა სამართალი“, N5, 1966.

16. თ. ბენდელიანი, ფრენშაიზინგის ხელშეკრულების საფუძველზე მოშხმარებლისათვის წუნდებული პროდუქტით მიყენებული ზიანის ანაზღაურების სამართლებრივი მოწესრიგება ქართული კანონმდებლობის მიხედვით, „სტუდენტური სამართლებრივი ჟურნალი“, 2014.

17. ს. ბერიანიძე, დავალების გარეშე სხვისი საქმეების შესრულების მნიშვნელობა და ძირითადი მახასიათებლები, ჟურნ. „ახალგაზრდა ადვოკატები“, N1, 2014.

18. თ. ბერეკაშვილი, ნ. ჯაჯანიძე, უსაფუძვლო გამდიდრების ხარვეზები ქართულ კანონმდებლობაში, ჟურნ. „ინტელექტუალი“, N9, 2009.

19. მ. ბიჭია, სამოქალაქოსამართლებრივი ურთიერთობის მეთოდოლოგიური საკითხები, „სამართლის ჟურნალი“, N1-2, 2010.

20. მ. ბიჭია, კერძო ცხოვრების ცნების მოცულობა საქართველოს კანონმდებლობისა და სასამართლო პრაქტიკის მიხედვით, „სამართლის ჟურნალი“, N1, 2011.

21. მ. ბიჭია, სამოქალაქოსამართლებრივი ურთიერთობის ობიექტი, „სამართლის ჟურნალი“, N1, 2012.

22. მ. ბიჭია, პირადი ცხოვრების დაცვა საქართველოს სამოქალაქო სამართლის მიხედვით, თბ., 2012.

23. მ. ბიჭია, კერძო ცხოვრებისა და საადვოკატო საიდუმლოების სამოქალაქოსამართლებრივი დაცვა, ჟურნ. „თანამედროვე სამართლის მიმოხილვა“, N1, 2013.

24. მ. ბიჭია, აზრის გამოხატვის თავისუფლებასა და კერძო ცხოვრების დაცვის უფლებას შორის ღირებულებითი კონფლიქტი, ჟურნ. „მართლმსაჯულება და კანონი“, N3, 2013.

25. მ. ბიჭია, ვახტანგ VI-ის სამართლის წიგნი, თბ., 2013.

26. მ. ბიჭია, პატივის სამოქალაქოსამართლებრივი ცნების მოცულობა (ქართულ-ევროპული მიდგომები), ჟურნ. „თანამედროვე სამართლის მიმოხილვა“, №2, 2014.

27. მ. ბიჭია, ღირსების საჯაროსამართლებრივი ცნების მოცულობა, ჟურნ. „მართლმსაჯულება და კანონი“, N4, 2014.

28. მ. ბიჭია, ღირსების სამოქალაქოსამართლებრივი ცნების მოცულობა, „სამართლის ჟურნალი“, N2, 2014

29. მ. ბიჭია, ქონებრივი ზიანის მომტანი ცნობების გახმაურების იურიდიული შედეგები (თეორიისა და სასამართლო პრაქტიკის ანალიზი), საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტის სამეცნ. ჟურნალი „სეუ და მეცნიერება“, 2015.

30. დ. ბიჭიკაშვილი, მომხმარებელთა უფლებების დაცვა საქართველოს კანონმდებლობით, ინსტიტუციურ უფლებათა ცენტრის პერიოდული გამოცემა „იურიდიული ჟურნალი“, N1, 1998.

31. ჰ. ბიოლინგი, პ. ლუტრინგჰაუსი, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის ცალკეული მოთხოვნის საფუძვლების სისტემური ანალიზი, თბ., 2009.

32. ჰ. ბოელინგი, ლ. ჭანტურია, სამოქალაქო საქმეებზე სასამართლო გადაწყვეტილებათა მიღების მეთოდიკა, თბ., 2004.

33. მ. ბლიაძე, ს. ბლიაძე, პროდუქციის ხარისხი და კონტროლი (ლექციების კურსი), თბ., 2006.

34. ი. ბურდული, ქონებრივი ურთიერთობანი სააქციო საზოგადოებაში, თბ., 2008.

35. ი. ბურდული, საწესდებო კაპიტალი და მისი ფუნქციები, კრებულში: „თანამედროვე საკორპორაციო სამართლის თეორიული და პრაქტიკული საკითხები" (რედ. გ. ლილუაშვილი), თბ., 2009.

36. შ. გაბიჩვაძე, საჰაერო ტრანსპორტით გადამყვან-გადამზიდველის სამოქალაქო პასუხისმგებლობისა და პასუხისმგებლობისაგან გათავისუფლების საფუძვლები საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით, ჟურნ. „მართლმსაჯულება და კანონი", N3, 2012.

37. მ. გაბუნია, ნატურით რესტიტუციის შეუძლებლობა უსაფუძვლო გამდიდრების დროს, ბესარიონ ზოიძის 60 წლის იუბილისადმი მიძღვნილ კრებულში (რედ. დ. გეგენავა, ს. ჯორბენაძე), თბ., 2013.

38. მ. გარიშვილი, მ. ხოფერია, რომის სამართალი, თბ., 2013.

39. ი. გელაშვილი, ჩანასახის სამართლებრივი მდგომარეობა, თბ., 2012.

40. ლ. გელუკაშვილი, ზიანით წარმოშობილ ვალდებულებებში არასრულწლოვანთა ქონებრივი უფლება-მოვალეობები, ჟურნ. „საბჭოთა სამართალი", N6, 1975.

41. გ. გოგიაშვილი, საჯარო სამართალი, კერძო სამართალი და სასამართლო პრაქტიკა, ჟურნ. „ქართული სამართლის მიმოხილვა", ტომი 6, N4, 2003.

42. ე. გოცირიძე, აზრის გამოხატვის თავისუფლება და რეპუტაციის უფლება (ღირებულებითი კონფლიქტის დილემები), ჟურნ. „ადამიანი და კონსტიტუცია", N3, 2005.

43. ე. გოცირიძე (შემდგ.), აზრის გამოხატვის თავისუფლება ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის სამართალში, თბ., 2006.

44. ლ. დოლონაძე, არაქონებრივი (მორალური) ზიანის ცნება, ჟურნ. „თეუსუ" (მთ. რედაქტორი ავ. ჩუთლაშვილი), N2 (10), 2010.

45. ლ. დოლონაძე, მორალური ზიანის ანაზღაურება (სადოქტორო დისერტაცია), თბ., 2010.

46. მ. დუნდუა, დელიქტური პასუხისმგებლობისა და სახელშეკრულებო პასუხისმგებლობის თანაფარდობა, „სამართლის ჟურნალი", N1, 2009.

47. ვ. ერქომაიშვილი, ადამიანი, თავისუფლება, იდეოლოგია, თბ., 2002.

48. ჰ. ეჰმანი, ზოგადი პიროვნული უფლების, როგორც ძირითადი უფლებისა და აბსოლუტური უფლების, ცნება (გერმანულიდან თარგმნა და წინასიტყვაობა დაურთო სამ. დოქტორმა მ. ბიჭიამ), „სამართლის ჟურნალი“, N2, 2013.

49. ალ. ვაჩეიშვილი, ნარკვევები ქართული სამართლის ისტორიიდან, I, თბ., 1946.

50. ჰ. ვილემსი, ქართული და ჰოლანდიური ვალდებულებითი სამართლის შედარებითი ანალიზი, წიგნში „ვალდებულებითი სამართალი“, თბ., 2006.

51. ვ. ზაალიშვილი, სამომხმარებლო კერძოსამართლებრივი ურთიერთობების რეგულირების სისტემური თავისებურებანი ქართულ კანონმდებლობაში, „სამართლის ჟურნალი“, N1-2, 2010.

52. თ. ზარანდია, ნივთის მფლობელი ივარაუდება მესაკუთრედ - პრეზუმფციის გამოყენების წინაპირობები და გამონაკლისები, აკაკი ლაბარტყავას 80 წლისადმი მიძღვნილ საიუბილეო კრებულში (რედ. ლ. ჭანტურია), თბ., 2013.

53. თ. ზარანდია, თ. ჯუღელი, ზნეობრივი ვალდებულებანი სამოქალაქო სამართალში, ჟურნ. „მართლმსაჯულება და კანონი“, N4, 2006.

54. თ. ზარანდია, თ. ჯუღელი, საკუთრების უფლების ბოროტად გამოყენება და გაუსხვისებლობის პირობა ქართული და ფრანგული სამართლის მიხედვით, მოხსენებათა კრებულში: „სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის 30 წლისადმი მიძღვნილი რესპუბლიკური სამეცნიერო კონფერენციის მასალები“, თბ., 2010-2012.

55. ბ. ზოიძე, სახელშეკრულებო და არასახელშეკრულებო პასუხისმგებლობის სუბიექტები, ჟურნ. „საბჭოთა სამართალი“, N1, 1978.

56. ბ. ზოიძე, სამოქალაქო სამართლებრივი პასუხისმგებლობის ცნებისთვის, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის „მაცნე“, ეკონომიკისა და სამართლის სერია, N3, 1985.

57. ბ. ზოიძე, ბრალის გარეშე პასუხისმგებლობა სამოქალაქო პასუხისმგებლობა, წიგნში: „ქართული სამართლის ისტორიის საკითხები“, IV, ეძღვნება ი. დოლიძის ნათელ ხსოვნას, თბ., 1986.

58. ბ. ზოიძე, ქონებრივი პასუხისმგებლობა ვალდებულებათა დარღვევისთვის, თბ., 1989.

59. ბ. ზოიძე, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის სისტემა, ჟურნ. „ქართული სამართლის მიმოხილვა“, I კვარტ, 1998.

60. ბ. ზოიძე, სსკ-ის კომენტარი, წ. III, თბ., 2001.

61. ბ. ზოიძე, ქართული სანივთო სამართალი, მე-2 გამოცემა, თბ., 2003.

62. თ. ზოიძე, წუნდებული (უხარისხო) პროდუქტით მიყენებული ზიანის ანაზღაურება ქართულ სასამართლო პრაქტიკაში, „სამართლის ჟურნალი", N1, 2012.

63. თ. ზოიძე, წუნდებული პროდუქტით მიყენებული ზიანის ანაზღაურება (ქართული და გერმანული სამართლისი შედარებითი ანალიზი), თბ., 2016.

64. მ. თეთრუაშვილი, ზ. თეთრუაშვილი, ი. თეთრუაშვილი, საკუთარი ბიზნესი: მთავარი სამიზნე მოთხოვნილების დაკმაყოფილება, მე-2 ნაწ., დამხმარე სახელმძღვანელო, გორი, 2008.

65. მ. თოდუა, შ. ქურდაძე, ცალკეული კატეგორიის სამოქალაქო საქმეზე გადაწყვეტილების მიღების თავისებურებანი, თბ., 2005.

66. მ. თოდუა, ვალდებულებითი ურთიერთობების მომწესრიგებელი ნორმების გამოყენების ზოგიერთი თავისებურება საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მიხედვით, წიგნში: „ვალდებულებითი სამართალი", თბ., 2006.

67. კ. იაიჩკოვი, ზიანის მიყენებით წარმოშობილი ვალდებულებანი (თარგმნა გ. დოლიძემ), თბ., 1947.

68. ლ. იზორია, ძირითადი უფლებების კონსტიტუციურსამართლებრივი დოქტრინა, წიგნში: „საქართველოს კონსტიტუციის კომენტარი", თავი მეორე, საქართველოს მოქალაქეობა. ძირითადი უფლებები და თავისუფლებები, თბ., 2013.

69. ო. იოფე, გ. ნადარეიშვილი, რომის სამოქალაქო სამართლის საფუძვლები, თბ., 1994.

70. დ. კერესელიძე, სასამართლო პრაქტიკის მიმოხილვა - უსაფუძვლო გამდიდრების ნორმების გამოყენება, ჟურნ. „ქართული სამართლის მიმოხილვა", ტომი 6, N4, 2003.

71. დ. კერესელიძე, სამოქალაქო კოდექსის ზოგადი დებულებები, ჟურნ. „ქართული სამართლის მიმოხილვა", ტომი 7, N1, 2004.

72. დ. კერესელიძე, კერძო სამართლის უზოგადესი სისტემური ცნებები, თბ., 2009.

73. ო. კერესელიძე, გენეტიკურად მოდიფიცირებული პროდუქტების წარმოებით შექმნილი სასურსათო პროდუქტების უვნებლობის პრობლემა, ქუთაისის სამეცნიერო ცენტრის ჟურნ. „ნოვაცია", N6, 2010.

74. გ. კერესელიძე, მომხმარებელთა უფლებების დაცვა საქართველოს კანონმდებლობაში, ჟურნ. „ნოვაცია", N7, 2010.

75. ნ. კვანტალიანი, მიზეზობრივი კავშირის დადგენის პრობლემები სამედიცინო მუშაკის მართლსაწინააღმდეგო ქმედებასა და პაციენტისთვის მიყენებულ ზიანს შორის, ჟურნ. „მართლმსაჯულება და კანონი", N2, 2012.

76. ო. კიკვიძე, ზიანის ანაზღაურება და მიზეზობრივი კავშირის ზოგიერთი საკითხი, ჟურნ. „საბჭოთა სამართალი", N3, 1969.

77. თ. კინწურაშვილი, მართლმსაჯულების ლოგიკა (სიტყვის თავისუფლება და ქართული სასამართლო პრაქტიკა), „თავისუფლება“, N3 (39), 2005.

78. ა. კობახიძე, სამოქალაქო სამართალი, ზოგადი ნაწილი, I, თბ., 2001.

79. უ. კობიაშვილი, ორმაგი ანუ შერეული ბრალის საკითხისთვის, ჟურნ. „საბჭოთა სამართალი“, N3, 1969.

80. კ. კორკელია, ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის გამოყენება საქართველოში, თბ., 2004.

81. კ. კორკელია, ი. ქურდაძე, ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართალი ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მიხედვით, თბ., 2004.

82. ჰ. კოინგი, „უფლების“ ცნების ისტორიისთვის, წინასიტყვაობა დაურთო პროფ. თ. ნინიძემ, „სამართლის ჟურნალი“, N1, 2011.

83. ი. კროპჰოლერი, გსკ – სასწავლო კომენტარი, გადაამუშავეს ფ. იაკობმა და მ. ფონ ჰინდენმა, მე-13 გადამუშავებ. გამოცემა, თარგმნეს თ. დარჯანიამ და ზ. ჭეჭელაშვილმა, თბ., 2014

84. კ. კუბლაშვილი, ძირითადი უფლებები, მე-2 გამოცემა, თბ., 2010.

85. პ. ლუთრინგჰაუსი, დელიქტური სამართალი, თბ., 2011.

86. დ. მაკარიძე, გ. ხაზარაძე, ადმინისტრაციული ორგანოს პასუხისმგებლობა ჯანდაცვის სამართალში, თბ., 2014.

87. გ. მარიამიძე, დელიქტური ვალდებულებანი, ზიანის ანაზღაურება სსკ-ის 992-ე მუხლის მიხედვით და ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებათა გათვალისწინებით, I გამოცემა, თბ., 2011.

88. ო. მაჭარაშვილი, დელიქტები საერთაშორისო კერძო სამართალში, ჟურნ. „ალმანახი“, N15, 2000.

89. ლ. მიქავა, ვინდიკაციური სარჩელი, როგორც სანივთო უფლების დაცვის სამართლებრივი საშუალება, ჟურნ. „მართლმსაჯულება და კანონი“, N1(28), 2011.

90. პ. (თ.) მონიავა, პატივის, ღირსებისა და საქმიანი რეპუტაციის დაცვის სამართლებრივი პრობლემები (სადისერტაციო ნაშრომი), თბ., 1999.

91. პ. (თ.) მონიავა, პერსონალური მონაცემების მიღების უფლება სამოქალაქო სამართალში, ჟურნ. „ცხოვრება და კანონი“, N2, 2009.

92. თ. (პ.) მონიავა, სამოქალაქო სამართლის სუბიექტები, თბ., 2011.

93. ნ. მოწონელიძე,ნატურით რესტიტუციის პრინციპი საქართველოსა და გერმანიის სამოქალაქო კოდექსის მიხედვით, „სამართლის ჟურნალი“, N1, 2012.

94. გ. ნაჭყებია, ბრალი, როგორც სოციალური ფილოსოფიის კატეგორია, თბ., 2001.

95. გ. ნაჭყებია, სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილი, თბ., 2011.

96. თ. ნინიძე, სახელის უფლების შინაარსი, ჟურნ. „საბჭოთა სამართალი“, N1, 1976.

97. თ. ნინიძე, პირადი საიდუმლოების დაცვის სამოქალაქო-სამართლებრივი გარანტიები, ჟურნ. „საბჭოთა სამართალი“, N1, 1977.

98. თ. ნინიძე, ადამიანის ინდივიდუალობა – საბჭოთა სამოქალაქო სამართლის დაცვის საგანი, საქართვ. სსრ მეცნ. აკადემიის მაცნე, ფილოსოფიის, ფსიქოლოგიის, ეკონომიკისა და სამართლის სერია, N4, 1977.

99. თ. ნინიძე, უკიდურესი აუცილებლობის ვითარებაში მიყენებული ზიანის ანაზღაურების ვალდებულების იურიდიული ბუნება, კრებულში: „საბჭოთა სამოქალაქო სამართლისა და პროცესის აქტუალური საკითხები“, თბ., 1977.

100. თ. ნინიძე, მორალური ზიანი სამოქალაქო სამართალში, ჟურნ. „საბჭოთა სამართალი“, N2, 1978.

101. თ. ნინიძე, ცოცხალი ხატი ღირსებისა, საქართვ. სსრ მეცნიერებათა აკადემიის მაცნე, ეკონომიკისა და სამართლის სერია, N3, 1987.

102. თ. ნინიძის კომენტარი, წიგნში: „სსკ-ის კომენტარი“, წ. IV, ტ. II, თბ., 2001.

103. თ. ნინიძე, პირადი არაქონებრივი უფლებები, წიგნში: „სსკ-ის კომენტარი“, წ. I, თბ., 2002.

104. თ. ნინიძე, სამოქალაქო კოდექსის პირველი მუხლის სტრუქტურა, აკაკი ლაბარტყავას 80 წლისადმი მიძღვნილ საიუბილეო კრებულში (რედ. ლ. ჭანტურია), თბ., 2013.

105. ე. ნინუა, მეუღლეთა ურთიერთობების ზოგიერთი სამართლებრივი ასპექტი, ჟურნ. „მართლმსაჯულება და კანონი“, №3, 2012.

106. ე. ნინუა, სუბსიდიური პასუხისმგებლობა და მისი წარმოშობის საფუძვლები, ჟურნ. „მართლმსაჯულება და კანონი“, N5, 2015.

107. რ. პოშერი, ადამიანის ღირსება, როგორც ტაბუ, გერმანულიდან თარგმნა და წინასიწტყვაობა დაურთო მ. ბიჭიამ, ჟურნ. „მართლმსაჯულება და კანონი“, N2, 2014.

108. ი. რობაქიძე, სახელშეკრულებო სამართალი, თბ., 2014.

109. ჯ. რუსიაშვილი, მართლწინააღმდეგობის შინაარსი სამოქალაქო სამართალში, ჟურნ. „საბჭოთა სამართალი“, N1, 1977.

110. გ. რუსიაშვილი, ვინდიკაციისა და შესრულების კონდიქციის კონკურენცია არანამდვილი ორმხრივი ხელშეკრულების შედეგების უკუქცევისას, „სამართლის ჟურნალი“, N1, 2013.

111. გრ. რცხილაძე, მორალური ზიანის ანაზღაურება, ჟურნ. „საბჭოთა სამართალი“, N4, 1928.

112. ფ. საყვარელიძე, ღირსება: ადამიანის უფლებებსა და თავისუფლებებთან დაკავშირებული ძირითადი ცნებები (ღირსება, თავისუფლება, თანასწორობა): ნაწილი I, ჟურნ. „სოლიდარობა“, N2(29), 2009.

113. ქ. სვინტრაძე, ხელშეკრულების ბათილობის სამართლებრივი პრობლემები, ჟურნ. „მართლმსაჯულება და კანონი“, N2, 2014.

114. ი. სურგულაძე, ხელისუფლება და სამართალი, თარგმანი და შესავალი დაურთო ო. გამყრელიძემ, თბ., 2002.

115. ნ. სტურუა, ქონებრივი ზიანის მომტანი ცნობების გახმაურება, „სამართლის ჟურნალი“, N1, 2012.

116. დ. სუხიტაშვილი, თ. სუხიტაშვილი, პასუხისმგებლობა სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას მიყენებული ზიანისათვის, ჟურნ. „მართლმსაჯულება და კანონი“, N2, 2013.

117. დ. სუხიტაშვილი, თ. სუხიტაშვილი, სამოქალაქო პასუხისმგებლობის კატეგორიები და პრინციპები, გურამ თავართქილაძის სასწავლო უნივერსიტეტის სამეცნიერო შრომათა კრებული, N4, 2014.

118. მ. ტურავა, სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილი, წ. I, დანაშაულის მოძღვრება, თბ., 2011.

119. თ. ტუღუში, გ. ბურჯანაძე, მშვენიერაძე გ., გოცირიძე გ., მენაბდე ვ., ადამიანის უფლებები და საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს სამართალწარმოების პრაქტიკა, თბ., 2013.

120. მ. უგრეხელიძე, ბრალი საფრთხის დელიქტებში, თბ., 1982.

121. თ. ქალდანი, მორალური ზიანი, ჟურნ. „ჩემი უფლებები“, თბ., 2002.

122. ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, ტომი VIII, მერვე ტომის რედაქტორები - ივ. გიგინეიშვილი, ბ. ფოჩხუა, თბ., 1964.

123. ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, ტომი VI, მეექვსე ტომის რედაქტორები - თ. შარაძენიძე, მ. მესხიშვილი, თბ., 1960.

124. ქართული სამართლის ძეგლები, ტ. I, ვახტანგ VI-ის სამართლის წიგნთა კრებული, ტექსტი გამოსცა, გამოკვლევა და ლექსიკონი დაურთო ი. დოლიძემ, თბ., 1963.

125. ქ. ქოჩაშვილი, მფლობელობა – ფაქტი და უფლება (მფლობელობის საბჭოთა სამართლებრივი კონცეფციის კრიტიკული ანალიზი, „სამართლის ჟურნალი“, N2, 2009.

126. ქ. ქოჩაშვილი, ბრალი, როგორც სამოქალაქო-სამართლებრივი პასუხისმგებლობის პირობა, „სამართლის ჟურნალი“, N1, 2009.

127. ქ. ქოჩაშვილი, მფლობელობისა და საკუთრების ურთიერთდამოკიდებულება, „სამართლის ჟურნალი“, N1, 2011.

128. ქ. ქოჩაშვილი, მფლობელობა და საკუთრება – ფაქტი და უფლება სამოქალაქო სამართალში, თბ., 2013.

129. შ. ქურდაძე, სამოქალაქო საქმეთა განხილვა პირველი ინსტანციის სასამართლოში, თბ., 2005.

130. ა. შაიო, ხელისუფლების თვითშეზღუდვა, კონსტიტუციონალიზმის შესავალი, მეცნიერული რედაქცია და წინათქმა თ. ნინიძისა, თბ., 2003.

131. ბ. შაკიაშვილი, პროდუქტის ცნება საქართველოს სამოქალაქო კოდექსში, ჟურნ. „სამართალი“, N5, 1999.

132. ლ. შატბერაშვილი, უსაფუძვლო გამდიდრება: სამართლიანი სამართალი? ჟურნ. „სამართალი“, N6-7, 2000.

133. რ. შენგელია, მშობლების უფლება-მოვალეობანი შვილების აღზრდაში, თბ., 1974.

134. რ. შენგელია, ქონებრივი ზიანი და მისი ანაზღაურების ვალდებულება, თბ., 1991.

135. რ. შენგელია, კონდიქციურ ვალდებულებათა საფუძვლები, წიგნში: „სერგო ჯორბენაძის 70 წლისადმი მიძღვნილი საიუბილეო კრებული“ (შემდგ. და რედ.: რ. კნიპერი, ლ. ჭანტურია), თბ., 1996.

136. რ. შენგელია, სსკ-ის კომენტარი, წ. IV., ტ. II, თბ., 2001.

137. რ. შენგელია, ე. შენგელია, საოჯახო სამართალი, თბ., 2011.

138. ჰ. შვარცი, ცილისწამება და დემოკრატია, ჟურნ. „ალმანახი“, სერია - სახელმწიფო სამართალი, N16, 2001.

139. ზ. შველიძე, საქართველოს შრომის კოდექსით გათვალისწინებული დასაქმებულის სამართლებრივი სტატუსის მახასიათებლები, სტატიათა კრებულში: „შრომის სამართალი“, I, რედ. ვ. ზაალიშვილი, თბ., 2011.

140. თ. შოთაძე, უხარისხო პროდუქტით მიყენებული ზიანისთვის პასუხისმგებლობის სამართლებრივი პრობლემა ქართულ და ევროპულ კანონმდებლობათა მიხედვით, ჟურნ. „მართლმსაჯულება“, N2, 2007.

141. თ. შოთაძე, საერთო საკუთრებისა და საზიარო უფლებების მარეგულირებელი ნორმების შედარებითი ანალიზი საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მიხედვით, „სამართლის ჟურნალი“, N2, 2009.

142. გ. შუბლაძე, ბ. მღებრიშვილი, ფ. წოწკოლაური, მენეჯმენტის საფუძვლები (სახელმძღვანელო), თბ., 2008.

143. თ. შუდრა, დამსაქმებლის პასუხისმგებლობა დამსაქმებლის მიერ მიყენებული ზიანისთვის, სტატიათა კრებულში: „შრომის სამართალი“, II, თბ., 2013.

144. ს. ჩაჩავა, მოთხოვნებისა და მოთხოვნის საფუძვლების კონკურენცია, თბ., 2011.

145. ი. ჩხიკვაძე, ბრალის გარეშე პასუხისმგებლობა და მომეტებული საფრთხის წყაროთი გამოწვეული ზიანის ანაზღაურება დელიქტურ ვალდებულებებში, ჟურნ. „თემიდა“, N3(5), 2009.

146. შ. ჩიკვაშვილი, მორალური ზიანი სამოქალაქო სამართალში, თბ., 1998.

147. შ. ჩიკვაშვილი, დელიქტური ვალდებულებები, სსკ-ის კომენტარი, წ. IV, ტ. II, თბ., 2001.

148. შ. ჩიკვაშვილი, დელიქტური ვალდებულებები სამოქალაქო სამართალში, თსუ-ის იურიდიული ფაკულტეტის 80 წლისთავისადმი

მიძღვნილ საიუბილეო კრებულში: „სახელმწიფოსა და სამართლის აქტუალური პრობლემები“, თბ., 2003.

149. შ. ჩიკვაშვილი, პასუხისმგებლობა მორალური ზიანისთვის, თბ., 2003.

150. თ. ჩიტოშვილი, აბსოლუტურ და რელატიურ უფლებათა ზოგიერთი სამართლებრივი ასპექტი, პროფესორ ზ. ახვლედიანისადმი მიძღვნილ საიუბილეო კრებულში: „ზურაბ ახვლედიანი, 70“ (რედ. რ. შენგელია), თბ., 2004.

151. თ. ჩიტოშვილი, ქონების უსასყიდლოდ განკარგვა, როგორც უსაფუძვლოდ გამდიდრების საფუძველი, ჟურნ. „მართლმსაჯულება“, N2, 2008.

152. თ. ჩიტოშვილი, უსაფუძვლოდ გადაცემული ქონების დაბრუნების მოვალეობა, „კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის მაცნე“, N1, 2009.

153. თ. ჩიტოშვილი, უსაფუძვლო გამდიდრებისას დავალებისა და მოთხოვნის უფლების დათმობის საფუძველზე შესრულების შედეგები, ჟურნ. „მართლმსაჯულება და კანონი“, N2, 2011.

154. თ. ჩიტოშვილი, ვალდებულებით-სამართლებრივი ურთიერთობებიდან გამომდინარე ვალდებულებათა შინაარსი და სახეები (ზოგადი დახასიათება), უსაფუძვლო გამდიდრება (ძირითადი საკითხები), თბ., 2015.

155. ს. ჩხაიძე, ზიანის ცნება უსაფუძვლო გამდიდრების სამართალში, ჟურნ. „მართლმსაჯულება და კანონი“, N2, 2014.

156. გ. ცერცვაძე, სახელშეკრულებო სამართალი, თბ., 2014.

157. კ. ცვაიგერტი, ჰ. კოტცი, შედარებითი სამართალმცოდნეობის შესავალი კერძო სამართლის სფეროში (მეცნ. რედ. და ბოლოთქმა თ. ნინიძის, თარგმნა ე. სუმბათაშვილმა), ტ. II, თბ., 2001.

158. რ. ცინცაძე, პასუხისმგებლობა სატრანსპორტო საშუალების ექსპლოატაციის დროს წარმოშობილი ზიანისთვის, ჟურნ. „მეცნიერება და ცხოვრება“, N2 (4), 2011.

159. რ. ცინცაძე, პასუხისმგებლობა ნაგებობიდან გამომდინარე მომეტებული საფრთხით გამოწვეული ზიანისათვის, ჟურნ. „მეცნიერება და ცხოვრება“, N1 (7), 2013.

160. მ. ცისკაძე, სხეულის დაზიანებისთვის არაქონებრივი ზიანის ანაზღაურების პრობლემა საქართველოს კანონმდებლობაში, ჟურნ. „მართლმსაჯულება და კანონი“, N2, 2008.

161. ზ. ძლიერიშვილი, მომეტებული საფრთხის წყაროთი მიყენებული ზიანის ანაზღაურება სსკ-ის 999-ე მუხლის მაგალითზე, ჟურნ. „ადვოკატი“, N2, 2013.

162. ზ. ძლიერიშვილი, სატრანსპორტო საშუალების ექსპლოატაციის შედეგად დამდგარი ზიანის ანაზღაურება, „სტუდენტური სამართლებრივი ჟურნალი“, 2012.

163. მ. წულუკიძე, პროდუქციის ხარისხის მართვის თანამედროვე მიდგომები, თბ., 2013.

164. ლ. ჭანტურია, სსკ-ის კომენტარი, წ. III, თბ., 2001.

165. ლ. ჭანტურიას წინათქმა სსკ-ის კომენტარზე, წ. IV, ტ. I, თბ., 2001

166. ლ. ჭანტურია, უძრავი ნივთების საკუთრება, თბ., 1994.

167. ლ. ჭანტურია, შესავალი საქართველოს სამოქალაქო სამართლის ზოგად ნაწილში, თბ., 1997.

168. ლ. ჭანტურია, უძრავი ნივთების საკუთრება (მე-2 გამოცემა), თბ., 2001.

169. ლ. ჭანტურია, სამოქალაქო სამართლის ზოგადი ნაწილი, თბ., 2011.

170. რომის სამართლის ძეგლები, იუსტინიანეს ინსტიტუციები, ლათინურიდან თარგმნა, წინასიტყვაობა, შენიშვნები, საძიებელი და ლექსიკონი დაურთო ნ. სურგულაძემ, თბ., 2002.

171. ლ. ხარატიშვილი, პროდუქციის ხარისხის მეტროლოგიური უზრუნველყოფა, I ნაწ., თბ., 2012.

172. ჯ. ხეცურიანი, სამოქალაქო ურთიერთობათა მოწესრიგებაში სამართლისა და მორალის ურთიერთობის საკითხისათვის, ჟურნ. „საბჭოთა სამართალი", N3, 1974.

173. ჯ. ხეცურიანი, სსკ-ის კომენტარი, წ. IV, ტ. II, თბ., 2001.

174. ქ. ჯაფარიძე, უსაფუძვლო გამდიდრებით წარმოშობილი ზიანის ცნება, მისი ანაზღაურების წესი და საფუძვლები, ჟურნ. „მართლმსაჯულება", N2, 2008.

175. ს. ჯორბენაძე, იურიდიული პირის ბრალის შინაარსის განსაზღვრისათვის, ჟურნ. „საბჭოთა სამართალი", N4, 1985.

176. ს. ჯორბენაძე, ინტელექტუალური საკუთრების განმარტებითი ლექსიკონი, თბ., 1998.

177. ს. ჯორბენაძე, უ. ბახტაძე, ზ. მაჭარაძე, მედიასამართალი, თბ., 2014.

178. მოხელის სამაგიდო ლექსიკონი /გაეროს განვითარების პროგრამა (შემდგ.: ს. ურიდია და სხვ., რედ.: ვ. გურგენიძე), თბ., 2004.

179. სოციალურ და პოლიტიკურ ტერმინთა ლექსიკონი-ცნობარი (სარედ. ჯგუფი: ე. კოდუა და სხვ.; გამომც. ლ. ბერაია), თბ., 2004.

180. ს. ჰენშელი, სამოქალაქო კაზუსების დამუშავების მეთოდიკა, თბ., 2009.

181. A Special Report issued bay Privacilla. org., The Privacy Torts: How U. S. State Law Quietly Leads the Way in Privacy Protection, Jully, 2002.

182. Jove Jim S. Aguas, The Notions oft the Human Person and Human Dignity in Aquinas and Wojtyla, KritikeVolume Three Number one (June 2009).

183. Fred H. Cate, The Privacy Problem, A broader view of information privacy and the costs and consequences of protecting it, First amendment center publication, Vol. 4 , No. 1, March 2003.

184. Todd R. Coles, Does the privacy act of 1974 protect your right to privacy? an examination of Routine use exemption, THE AMERICAN UNIVERSITY LAW REVIEW, 1991.

185. Consumer protection Resolution N39/248 at the plenary meeting of the General Assembly of the United Nations, adopted 09.04.1985.

186. Nigel G. Foster, S. Sule, German Legal System and Laws, fourth Edition, New Your, 2010.

187. H. Hong, Dismanting the private Enforcment of the privacy act of 1974: Doe v. Chao, Akron Law Review, [38:71] 2005 (HONGDOC 12/17/2004 12:05 PM),72.

188. M. McTigue Deborah, Marginalizing Individual Privacy on the Internet, Boston University Journal of Science & Technology Lawa, June 1, 1999.

189. A. Michael Froomkin, The Death of Privacy?, 52 Stan. L. Rev. , 2000.

190. M. Lebech, What is Human Dignity? Maynooth Philosophical Papers, Maynooth, 2004.

191. Vernon V. Palmer, M. Bussani, Pure Economic Loss, New Horizons in Comparative Law, USA and Canada, 2009.

192. W. Safire, Nosy Parker Lives, The New York Times, Sept. 23, 1999.

193. G. Spindler, O. Rieckers, Tort Law in Germany, The Netherlands, 2011.

194. Margaret L. Waddell, Rothstein Paliare Roland Rosenberg, The Limits to Recovery: Economic Loss Claims from the Defendant's Perspective, 2011.

195. D. Wallis, State of play and the notion of consumer, Working Document on European contract law and the revision of the acquis, European Parliament, Committees on Internal Market and Consumer Protection, 17.05.2006.

196. A. Albrecht, Die deliktische Haftung für fremdes Verhalten im französischen und deutschen Recht, Mohr Siebeck Tübingen, 2013.

197. G. Bachmann, Nationales Privatrecht im Spannungsfeld der Grundfreiheiten, In: Archiv für die civilistische Praxis, Herausgegeben von R. Borck, J. Taupitz, G. Wagner, 210. Bd., Heft 3/4, August, Tübingen, 2010.

198. Christian v. Bar, Osnabrück, Gesetzliche Schuldverhältnisse, In: Privatrechtsordnungen der EU – Diskriminierung – Europäisches Zivilgesetzbuch, Luxemburg, Manuskript abgeschlossen im Juni 1999.

199. Chr. Beier, Autonomie, Privatheit und Selbstbestimmung (Proseminar Informationelle Selbstbestimmung, 21. August 2005.

200. A. Bergmann, Die Geschäftsführung ohne Auftrag als Subordinationsverhältnis, Die Rechstinstitute der negatiorum gestio in subordinationsrechtlicher Betrachtungsweise, Mohr Siebeck, Tübingen, 2010.

201. F. Bien, Grundkurs BGB IIb, Außervertragliches Schuldrecht: Ungerechtigte Bereicherung, Geschäftsführung ohne Auftrag, unerlaubte Handlungen (einschlißlich §§249 ff. BGB), 2014, <http://www.jura.uni-wuerzburg.de/fileadmin/02140600/Lehre/Materialien/BGB_IIb/BGB_II_b_Skript_GESAMT__04-2014_.pdf> [20.05.2015].

202. N. Börgers, H. Frister, Rechtliche Probleme im Zusammenhang mit der Kryokonservierung von Keimzellen, Humboldt Forum Recht (HFR), N1, 2010.

203. A. Brand, L. Schnitzler, Grundbuchsachen in der gerichtlichen Praxis, Vierte Auflage, Berling, Heidelberg, 1928.

204. W. Braun, Produkthaftung – Produzentenhaftung, Ein Leitfaden für die Praxis, Taschenbuch, 2009.

205. H. Brox, Allgemeiner Teil des Bürgelichen Gesetzbuchs, Sechste, verbesserte Auflage, Köln-Berlin-München, 1982.

206. H. Brox, W. D. Walker, Allgemeiner Teil des BGB, 30., vollständig neu bearbeitete Aufl., Köln-Berlin-München, 2006.

207. Bruck, Möller, Versicherungsvertragsgesets, Großkommentar, herausgegeben von H. Baumann, R. Michael Beckmann, K. Johannsen, R. Johannsen, R. Koch, 9., vollig neu bearbeitete Auflage, Bd. 7, Berlin, 2012.

208. G. Brüggemeier, Haftungsrecht: Struktur, Prinzipien, Schutzbereich, Ein Beitrag zur Europäisierung des Privatrechts, Heidelberg, 2006.

209. P. Buck-Heeb, Examens-Repetitorium, Besonderes Schuldrecht/2, Gesetzliche Schuldverhältnisse, 2., neu bearbeitete Auflage, Heidelberg, München, Landsberg, Berlin, 2007.

210. Petra Buck-Heeb, Examens-Repetitorium, Besonderes Schuldrecht, 2, Gesetzliche Schuldverhältnisse, 4. Auflage, Heidelberg, München, Landsberg, Frechen, Hamburg, 2012.

211. P. Bydlinski (Hrsg.), Buergerliches Recht, Springers Kurzlehrbuecher der Rechtswissenschaft, Bürgerliches Recht, Band I, Allgemeiner Teil, dritte, berarbeitete Auflage, SpringerWienNewYork, 2005.

212. P. Bydlinski, Grundzüge des Privatrechts fr Ausbildung und Praxis, 7., wesentlich ueberarbeitete Auflage, Wien, 2007.

213. E. Bucher, Das subjektive Recht als Normsetzungsbefugnis, Nr. 3, Tübingen, Mohr/Siebeck 1965, <http://www.eugenbucher.ch/pdf_files/03.pdf> [07.05.10]

214. N. Busch, Der Reifgrad Minderjähriger als Maßstab im Zivilrecht, Augsburg, 2001.

215. E. Chambon: Die negotiorum gestio, Leipzig, 1848.

216. Chr. Dachner, Der Abwendungsvergleich in § 302 Abs. 3. S. 2 AktG an der Schnittstelle von Gesellschafts-, Steuer- und Insolvenzrecht, München, 2013.

217. Ch. Danwerth, Neue Schale, alter Kern? Der Bereicherungsausgleich nicht autorisierter Überweisungen nach dem neuen Zahlungsverkehrsrecht, In: "Zeitschrift für das Juristische Studium", 6. Jahrgang, Ausgabe 3/2013.

218. H. Dernburg, System der Römischen Rechts, Der Pandekten, achte, umgearbeitete Auflage, bearbeitet von P. Sokolowski, Zweiter Teil, Berlin, 1912.

219. H. Dörner, Schuldrecht 2, Gesetzliche Schuldverhältnisse, 5., völlig neubearbeitete und erweiterte Auflage, Fälle und Lösungen nach höchstrichterlichen Entscheidungen, Heidelberg, 2002.

220. Jost-Detlef Drees, Schadensberechnung bei Unfällen mit Todesfolge, 2. Auflage, Karlsruhe, 1994.

221. R. Drüeke, M.A., phil. Karsten Weber, Mobile Internetdienste und Privatsphäre (Theoretische Überlegungen und empirische Daten zu einem vieldeutigen Konzept), Frankfurt (Oder), Nr. 10 – Dezember 2007.

222. B. Duru, Die Haftung aufsichtigspflichtiger Personen (elektronische Ressource), 2011, <http://geb.uni-giessen.de/geb/volltexte/2011/8510/pdf/DuruBoris_Haftung_aufsichtspflichtiger_Personen.pdf> [03.02.2015].

223. H. Ehmann, Zur Struktur des allgemeinen Persönlichkeitsrechts, in: JuS 1997/3.

224. H. Ehmann, Der Begriff des Allgemeinen Persönlichkeitsrechts als Grundrecht und als absolut-subjektives Recht, In: Festschrift für Apostolos Georgiades, Athen; München, 2005.

225. H. Ehmann, Deliktsrecht mit Gefährdungshaftungsrecht, Lehrbuch, München, 2013.

226. V. Emmerich, BGB - Schuldrecht, Besonderer Teil, 12., neu bearbeitete Auflage, Heidelberg, München, Landsberg, Frechen, Hamburg, 2009.

227. V. Emmerich, BGB – Schuldrecht, Besonderer Teil, 13. Auflage, Heidelberg, München, Landsberg, Frechen, Hamburg, 2012.

228. U. Falk, B. Schneider, Klausurenkurs im Bürgerlichen Recht II, Ein Fall- und Repetitionsbuch für Fortgeschrittene, Heidelberg, München, Landsberg, Frechen, Hamburg, 2012.

229. Fechner/Mayer (Hrsg.), Medienrecht, Vorschriftensammlung, 11. Auflage, Heidelberg, 2015.

230. J. Fedtke and U. Magnus, Liability for damage caused by Others under German Law, In: Unification of tort law: Liability for damage caused by Others, Vol 7, Ed. J. Spier, The Netherlands, 2003.

231. Karl-Heinz Fezer, Kommerzialisierung des Persönlichkeit, (vorgelegt von Cl. Beuter) (Dissertation), 2000.

232. W. Fikentscher, A. Heinemann, Schuldrecht, 10. Auflage, Berlin, 2006.

233. T. Finke, Die Minderung der Schadenersatzpflicht in Europa, Zu den Chancen für die Aufnahme einer allgemeinen Reduktionsklausel in ein euripäisches Schadensrecht, Göttingen, 2006.

234. W. Flume, Studien zur Lehre von der ungerechtfertigten Bereicherung, Tübingen, 2003.

235. Chr. Förster, Schuldrecht, Besonderer Teil, Eine Einführung mit Fällen, Heidelberg, München, Landsberg, Frechen, Hamburg, 2012.

236. E. Fricke, Achtung der Menschenwürde als ständige Herausforderung: Virtualität und Inszenierung _ auch ein Rechtsproblem? in E-Journal: "Communicatio Socials", 44. Jahrgang, Nr. 4, 2011.

237. M. Th. Frick, Persönlichkeitsrechte, Beiträge, Liechtenstein-Institut, Forschung und Lehre, Nr. 5, Liechtenstein, Für-stentum Liechtenstein, 1996, <http://www.liechtenstein-institut.li/Portals/11/pdf/lib/LIB_5.pdf>, [27.04.09];

238. M. Fuchs, Deliktsrecht, 4. Auflage, Heidelberg, 2003.

239. M. Fuchs, W. Pauker, Delikts- und Schadenersatzrecht, 8. Auflage, Heidelberg, 2012.

240. T. Gabriel, Zivilrechtliche Betreiberverantwortung, In: Rechtshandbuch Facility Management, Herausgeber Eike N. Najork, Heidelber, 2009.

241. M. Gebauer, Hypothetische Kausalität und Haftungsgrund, Tübingen, 2007.

242. R. Greger, Haftungsrecht des Strassenverkehrs, Handbuch und Kommentar, 4. Auflage, Berlin, 2007.

243. B. Grunewald, Gesellschaftsrecht, 7. Auflage, Tübingen, 2008.

244. U. Grzesiak, S. Iwersen, E. Off, P. Schlinck, Haftpflicht- und Rechtsschutzversicherung, Ausbildungsliteratur, Karlsruhe, 2009.

245. Dirk-Carsten Günther, Der Regreß des Sachversicherers, 3. Auflage, Karlsruhe, 2008.

246. M. Hampel, Das private Bauvertragsrecht im russischen Recht, Ein bewertender Vergleich zum deutschen Recht, Frankfurt am Main, 2009.

247. M. Hassemer, Heteronomie und Relativität in Schuldverhältnissen, Mohr Siebeck, Tübingen, 2007.

248. P. Heermann, Verwertung von Persönlichkeitsrechten der Bundesligafußballspieler durch die Bundesligaclubs sowie die Deutsche Fußball Liga GmbH (Seminar zum Sportrecht), 2008, <http://www.sportrecht.org/studarbeiten/Kleinau_Pers%F6nlichkeitsrechte.pdf> [14.10.11 22:05]

249. H. Hennings, Persönliche Haftung und Mitverschulden von Kindern im französischen Deliktsrecht, Berlin, 1992.

250. M. Hirschle und H. Casper von der Crone, Zivilrechtliche Haftung für fahrlässige begangene Geldwäschereihandlungen, Entscheid des Schweizerischen Bundesgerichts 4C.386/2006 (BGE 133 III 323) vom 18. April 2007, In: Schweizerische Zeitschrift für Wirtschafts- und Finanzmarktrecht (SZW/RSDA), 4/2007.

251. T. Hoeren, Internetrecht, 2005.

252. W. Höfling, Menschenwürde und gute Sitten, NJW, 36. Jahrgang, 2. Halbband, 1983.

253. H. Hoffmann, Außenhaftung von Unternehmen nach § 831, BGB und § 31 BGB, Frankfurt am Main, 2009.

254. F. Hofmann, BGB, Schuldrecht BT 2, Gesetzliche Schuldverhältnisse, 2. Aufl., Freiburg, 2012.

255. F. Hofmann, BGB, Schuldrecht BT 2, Gesetzliche Schuldverhältnisse, Freiburg, 3. Auflage, 2015.

256. Hoffmann, Die Koordination des Vertrags und Deliktsrechts in Europa, 2006, 25. ციტირებულია გ. ცერცვაძე, სახელშეკრულებო სამართალი, თბ., 2014.

257. F. Hütte/ M. Helborn, Schuldrecht Allgemeiner Teil, 3. Aufl., Bremsen, 2005.

258. M. Jeansch, Grundzüge des Bürgerlichen Rechts, Mit 63 Fällen und Lösungen, 3. Auflage, Heidelberg, München, Lansberg, Frechen, Hamburg, 2012.

259. J. Joussen, Schuldrecht I, Allgemeiner Teil, Stuttgart, W. Kohlhammer GmbH Stuttgart, 2008.

260. T. Jung, Keilpflug M., Haftung für die Fehler der Vorgänger? Im: "Business & Rhein-Neckar", 2010.

261. Friedrich Klein-Blenkers, Rechtsformen der Unternehmen, Köln, 2009.

262. Me John Kirkpatrick, Elmar Stuhler, H. Francois, C. Cosciani, A. Fantozzi, Me Joseph Gloden, M. Van der Heyde, Steuervorschriften für die überbetriebliche Zusammenarbeit oder Fusion landwirtschaftlicher Betriebe, II. BR Deutschland, 84, Februar, 1972.

263. M. Kittner, Gesamtsystem Schuldrecht, Rechtliche Grundlagen _ Wirtschaftliche Zusammenhänge, München, 1998.

264. E. Klunzinger, Grundzüge des Gesellschaftsrechts, 16. überarbeitete und erweiterte Auflage, München, 2012.

265. H. Kötz, G. Wagner, Deliktsrecht, München, 2013, <http://www.vahlen.de/fachbuch/leseprobe/Koetz-Deliktsrecht-9783800645152_0907201306155058_lp.pdf> [20.05.2015]

266. R. Kraft, Der Angleichungsstand der EG-Produkthaftung, Eine vergleichende Untersuchung am Beispiel der Rechtslage in Deutschland, Frankreich, Spanien und Rumänien. Berlin, 2004.

267. Kommentar von F. Kreft, Das Bürgerliche Gesetzbuch, mit besonderer Berücksichtigung der Rechtsprechung des Reichsgerichts und des Bundesgerichtshofes, Kommentar, herausgegeben von Mitgliedern des Bundesgerichtshofes, Bd. II, 6. Teil, 12., neubearbeitete Auflage, Berlin, 1989.

268. D. Koch, Produkthaftung, Zur Konkurenz von Kaufrecht und Deliktsrecht, Berlin, 1995.

269. F. Kübler/ Heinz-Dieter Assmann, Gesellschaftsrecht, Die privatrechtlichen, Ordnungsstrukuren und Regelungsprobleme von Verbänden und Unternehmen, 6., neu bearbeitete und erweiterte Auflage, Lehr- und Handbuch, Heidelberg, München, Landsberg, Berlin, 2006.

270. H. Lange, G. Schiemann, Handbuch des Schuldrechts: Schadensersatz, Bd. 1, 3. Auflage, Tübingen, 2003.

271. Ch. Landscheidt, Das neue Produkthaftungsrecht, Berlin, 1990.

272. K. Larenz, Lehrbuch des Schuldrechts, Zweiter Band Besonderer Teil, Zehnte, völlig neubearbeitete Auflage, München, 1972.

273. S. Lehmann, Die Tierhaltehaftung nur bei intrinisch verwirklichter spezifischer Tiergefahr – eine negative Typenkorrektur, VersR , Heft 19, 2011.

274. Lenglachner, St. Zikeli, Qualitätsmanagement und Produkthaftung – ein verzahntes Konzept des Risikomanagements? Bachelorarbeit, Salzburg, 2012.

275. Lim Mi-Won, Der kantische Begriff der Menschenwürde in der bioethischen Perspektive, in "Nomos", No. 20, Jun., 2007.

276. M. Löhnig, Das Eltern-Eltern-Verhältnis, Österreich-Italien-Deutschland, Bd.12, Frankfurt am Main, 2014

277. D. Looschelders, Die Mitverantwortlichkeit des Geschädigten im Privatrecht, Tübingen, 1999.

278. D. Looschelders, Schuldrecht Besonderer Teil, Köln/München, 2008.

279. R. Löschner, Mehrere Produkthaftpflichtige und Mitverschulden des Geschädigten, Eine Untersuchung nach deutschem und US-amerikanischem Produkthaftungsrecht, Karlsruhe, 2004.

280. F. Loyal, Die „entgeltlichev" Geschäftsführung ohne Auftrag, Mohr Siebeck, Tübingen, 2011.

281. H. Mahne, Eigentum an Versorgungsleitungen, Berlin (Diss.), 2008, Frankfurt am Main, 2009.

282. O. Maultzsch, Vertragliche Schuldverhältnisse, 4. Aufl., Heidelberg, 2013.

283. D. Medicus, Schuldrecht I, Allgemeiner Teil, Ein Studienbuch, 13., neubearbeitete Aufl., München, 2002.

284. D. Medicus, Schuldrecht II, Besonderer Teil, Ein Studienbuch, 12., neubearbeitete Aufl., München, 2004.

285. S. Meier, Gesamtschulden, Entstehung und Regress in historischer und vergleichender Perspektive, Tübinge, 2010.

286. P. Mossler, Bereicherung aus Leistung und Gegenleistung, Tübingen, 2006.

287. R. Von Meiss, Die persönliche Geheimsphäre und deren Schutz im prozessuallen Verfahren, Diesenhofen, 1975.

288. H. Münch, Der Schutz des Einzelnen vor Presseveröffentlichungen durch den Deutschen Presserat und die britische Press Complaints Commision, Eine Untersuchung zur Spruchpraxis unter besonderer Berücksichtigung des zivilrechtlichen Rechtsschutzes der Privatsphäre (Dissertation), Konstanz, 2001.

289. G. Musulas, Die Haftung des Softwareherstellers im Hinblick auf das ProdHaftG, Frankfurt/M. et al, 1993.

290. B. Nagel, T. Eger, Wirtschaftsrecht, II (Eigentum, Delikt, Vertrag mit einer Einführung in die ökonomische Analyse des Rechts), 4. Auflage, München, Wien, Oldenbourg, 2003.

291. M. A. Niggli, F. Riklin, Skript Strafrecht, Besonderer Teil (BT.), (§ 9 Ehrverletzungen), 10. Auflage, 2007.

292. I. Ossenbühl, Umweltgefährdungshaftung im Konzern, Bd. 93, Berlin, 1999.

293. Christoph G. Paulus, W. Zenker, Grenzen der Privatautonomie, In: JuS, 41. Jahrgang, Heft 1, 2001.

294. T. Perger, Ehrenshutz von Soldaten in Deutschland und anderen Staaten, Köln, (TUP-Productions) (Dissertation), 2003.

295. N. Peters, Zur Pressefreiheit auf dem Prüfstand des deutschen Bundesverfassungsgerichts und des Europäischen gerichtshofs für Menschenrechte, Justiz in aller Welt, Betrifft JUSTIZ Nr. 83, September 2005.

296. A. Peukert, Güterzuordnung als Rechtsprinzip, *Jus Privatum, Band 138*, Mohr Siebeck Tübingen, 2008.

297. Chr. Peyer, Die Bildberichterstattung über Prominente im Spannungsfeld von Privatsphärenschutz und Pressefreiheit, unter besonderer Berücksichtigung der „Caroline von Hannover"– Entscheidung des EGMR und der Reaktionen in der deutschen Lehre, Seminar zum Thema: „Menschenrechtsschutz in Europa", Wintersemester 2006/2007.

298. A. Phirtskhalashvili, Schutzpflichten und die horizontale Wirkung von Grundrechten in der Verfassung Georgiens vom 24. August 1995, Berlin, 2010.

299. J. Plate, Das gesamte examensrelevante Zivilrecht, Volume I, Heidelberg, 2004.

300. R. Poscher, Die Menschenwürde, als Tabu, in: JZ, 15/16/ 2004.

301. F. Pardey, Berechung von Personenschäden: Ermittlung des Gesundheits- und Mehrbedarfsschaden, des Erwerbsschaden und des Haushaltsführungs- bzw. Hausarbeitsschadens sowie des Unterhatlsschadens, 4. Auflage, Heidelberg, 2010.

302. M. Preisner, Das gesetzliche mittreuhänderische Schuldverhältnis kraft gemeinsamer Elternschaft, ein Beitrag zur gegenwärtigen Dogmatik des Familienrechts / Mareike Preisner. - Tübingen: Mohr Siebeck, 2014.

303. E. J. Prediger, Die Grundlagen des Eigentumsrechts, ნაშრომი იხ. ინ-ტერნეტგვერდზე: <http://doctorate.ulbsibiu.ro/obj/documents/REZ-GERM-PREDIGER.pdf> [07.05.10]

304. Dietmar O. Reich, P. Schmitz, Einführung in das Bürgerliche Recht, 3. Auflage, Wiesbaden, 2000.

305. Cr. Giner Rommel, Die Auslegung der Privatautonomie (Dissertation), Mainz, 2008.

306. K. Rohde, Haftung und Kompensation bei Straßenverkehrsunfällen, Eine rechtsvergleichende Untersuchung nach deutschem und neuseeländischem Recht, Tübingen, 2009.

307. A. Röthel, Gesetzliche Schuldverhältnisse: Eine Einführung, In: "Jura", Heft 5, 2012.

308. A. Röthel, Gefährdungshaftung, In: "Jura", Heft 6, 2012.

309. Ulli F. H. Rühl, Die Semantik der Ehre im Rechtsdiskurs, "Kritische Justiz", Heft 2, 2002.

310. E. Ruhstrat, Ueber negotiorum gestio, Oldenburg, 1858.

311. G. Rusiashvili, Zur Anwendbarkeit der Saldtheorie im georgischen Recht, Saarbrücken, 2014.

312. U. Säuberlich, Die außervertragliche Haftung im Gemeinschaftsrecht, Eine Untersuchung der Mehrpersonenverhältnisse, Heidelberg, 2005.

313. F. K. von Savigny, Pandektenvorlesung, Bd. 1, Hrsg. von H. Hammen, Frankfurt am Main, Kostermann, 1993.

314. P. Schaber, Menschenwürde und Selbstverfügung, Zurich, In: Byrd, B. Sharon; Joachim Hruschka; Jan C. Joerden Themenschwerpunkt: Recht und Ethik im Werk von Jean-Jacques Rousseau. Berlin, 2012.

315. H. Schack, BGB – Allgemeiner Teil, 13. Auflage, Heidelberg, Muenchen, Landsberg, Frechen, Hamburg, 2011.

316. F. Schade, Wirtschaftsprivatrecht: Grundlagen des Bürgerlichen Rechts sowie des Handels- und Wirtschaftsrechts, 2., neu bearbeitete Aufl., Stuttgart, 2009.

317. Hans-Bernd Schäfer, Cl. Ott, Lehrbuch der ökonomischen Analyse des Zivilrechts, 5. Auflage, Berlin, 2012.

318. R. Schaub, M. Reichel, Übungsfall: Ein umstrittenes Fernsehinterview, ZJS 1/2008.

319. K. Schellhammer, Schuldrecht nach Anspruchsgrundlagen samt BGB Allgemeiner Teil, 9. Auflage, Heidelberg, München, Landsberg, Frechen, Hamburg, 2014.

320. M. Schemitsch, Identitätsdaten als Persönlichkeitsgüter (Dissertation), Darmstadt, 2004, <http://tuprints.ulb.tu-darmstadt.de/515/1/Dissertation-Schemitsch-FB01.pdf> [16.03.10 08:45].

321. P. Schlechtriem, Schuldrecht Allgemeiner Teil, 5., neubearbeitete Aufl., Tübingen, Mohr Siebeck, 2003.

322. R. Schmidt, Das Schuldrecht Besonderer Teil II - Gesetzliche Schuldverhältnis, I. Auflage, Grasberg bei Bremen, 2003.

323. R. Schmidt, Schuldrecht Besonderer Teil II, Gesetzliche Schuldverhältnisse, 4. Aufl., Grasberg bei Bremsen, 2006.

324. E. Schmidt, Das Schuldverhältnis, Eine systematische Darstellung des Allgemeinen Schuldrechts, Heidelberg, 2004.

325. Chr. Schneider, Pers

nlichkeit und Selbst, Eine Annäherung zweier differentialpsycholoscher Konstruktsysteme, Hamburg, 2001.

326. K. Schnellhammer, Schuldrecht nach Anspruchsgrundlagen, samt BGB Allgemeiner Teil, 9. Auflage, Heidelberg, München, Landsberg, Frechen, Hamburg, 2014.

327. R. Schnorr, Die Gemeinschaft nach Bruchteilen (§§ 741-758 BGB), Mohr Siebeck, Tübingen, 2004.

328. R. Schröder unter Mitarbeit von J. Thiessen, M. Bedau, A. Holmer, R. Stieglitz, Schuldrecht, Lehrtext und Fälle, Berlin, 2002

329. W. Schulz, U. Jurgens, Das Recht am eigenen Bild _ Eine fall-orientierte Einführung in Struktur und aktuelle Probleme des Bildnisshutzes, "JuS", Heft 7, 1999.

330. D. Schwab, M. Löhnig, Einführung in das Zivilrecht, mit BGB – Allgemeiner Teil, Schuldrecht Allgemeiner Teil, Kauf und Deliktsrecht, 19. Auflage, Heidelber, München, Landsberg, Frechen, Hamburg, 2012.

331. G. CHr. Schwarz, M. Wandt, Gesetzliche Schuldverhältnisse, 4., neu bearbeitete Auflage, München, 2011.

332. St. Schweers, Die vermögenswerten und ideellen Bestandteile des Persönlich-keitsrechts nach dem Tod des Trägers (Dissertation), Köln, 2006.

333. I. Siebrecht, Der Schutz der Ehre im Zivilrecht, in der Zeitschrift "Juristische Schulung" (JuS), Heft 4, 2001.

334. John T. Soma, J. Zachary Courson, John Cadkin, Corporate Privacy Trend: The "Value" of Personally Identifiable Information (~PII~) Equals the "Value" of Financial Assets, Richmond Journal of Law & Technology, Volume XV, Issue 4, <http://jolt.richmond.edu/v15i4/Article11.pdf> [07.09.10 20:47]

335. G. Spindler, unter Mitwirkung von: A. Lönner, J. Nink, Verantwortlichkeiten von IT-Herstellern, Nutzern und Intermediären, Göttingen, 2007.

336. M. Staake, Gesetzliche Schuldverhältnisse, Berlin, Heidelberg, 2014.

337. J. von Staudinger, BGB, Eckpfeiler des Zivilrechts, Berlin, 2005.

338. B. Steckler, Produkthaftung, In: W. Pepels (Hrsg.), B2B-Handbuch Operations Management, Industriegüter erfolgreich vermarkten 2. überarbeitete Auflage, Düsseldorf, 2009.

339. W. Straub, Ausservertragliche Haftung von IT-Anbietern in der Schweiz, Informationssicherheit und Recht – Verantwortung von IT-Anbietern und Anwendern für sichere Informationsverarbeitung, Bern, Tagung vom 4.6.2003

340. Taeger, Außervertragliche Haftung für fehlerhafte Computerprogramme, Bd. 13, Tübingen, Mohr, 1995.

341. Chris Thomale, Leistung als Freiheit, Mohr Siebeck, Tübingen, 2012.

342. P. Thost, Die Anwendungs des § 477 BGB auf Mangelfogeschäden (Dissertation), Hamburg, 2000.

343. F. Trost, Informationelle Selbstbestimmung _ Persönlichkeitsrecht, Informationen als ökonomisches Gut _ Ein Konflikt, 1. Auflage, GRIN Verlag, 2009.

344. CH. Üsseler, Einwirkungen der Grundrechte auf das Schadenersatzrecht (Dissertation), Wuppertal, 2008.

345. T. G. Vögel, SceBRA, Scenario Based Rick Assessment: Entwicklung einer Methode für die quantitative Produkt-risikoabschätzung von Lösungsmitteln unter besonderer Berücksichtigung der Produkthaftpflicht, Zürich, 1999.

346. D. Wallis, Arbeitsdokument über das europäische Vertragsrecht und die Überarbeitung des gemeinschaftlichen Besitzstands: Sachstand und der Begriff des Verbrauchers, Europäisches Parlament, Ausschuss für Binnenmarkt und Verbraucherschutz, 17.05.2006

347. K. Wasserburg, Der Schutz der Persönlichkeit im Recht der Medien, Heidelberg, 1988.

348. H. Weber Rolf, Zivilrechtliche Haftung im Internet, in: O. Arter / Florian S. Jörg (Hrsg.), Internet-Recht und Electronic Commerce Law, 3. Tagungsband, Stämpfli Verlag Bern 2003, http://www.rwi.uzh.ch/oe/zik/archiv/Zivilrechtl HaftungInternet.pdf

349. K. Weis, Der immaterialgüterrechtliche Übertragungsanspruch, zugleich ein Beitrag zum Kennzeichen- und Domainrecht in Deutschland, Frankreich und der Schweiz (Dissertation), 2004.

350. S. Werthwein, Das Persönlichkeitsrecht im Privatrecht der VR China, Berlin, 2009.

351. F. Gr. v. Westphalen, Das neue Produkthaftungsrecht, in: NJW, Heft 2, 1990.

352. P. Wickler (Hrsg.), Handbuch Mobbing-Rechtsschutz, Bearbeiter: P. Coseriu, Beate Hänsch, H. Schwan, P. Wickler, Heidelberg, 2004.

353. W. Wiegand, Von der Obligation zum Schuldverhältnis, Zur Entwicklung des schweizerischen Schuldrechts, Teil 1, In: recht, Heft 3, 1997.

354. H. Wieling, Sachenrecht, Bd. I, Sachen, Besitz und Rechte an beweglichen Sachen, 2. Aufl., Berlin Heidelberg, 2006

355. T. Wilrich, Das Neue Produktsiherheitsgesetz (ProdSG), Leitfaden für Hersteller, Importeure und Händler, Berlin, 2012.

356. F. Wittern, Das Verhältnis von Right of Privacy und Persönlichkeitsrecht zur Freiheit der Massenmedien (Eine rechts-vergleichende Darstellung des Verhältnisses von Right of Privacy und Persönlichkeitsrech zu der Redefreiheit in den Vereinigten Staaten von Amerika und der Presse- und Rundfunkfreiheit in Deutschland), (Dissertation), Hamburg, 2004.

357. Michael E. Zeising, Der Nasciturus im Zivilverfahren, Göttingen, 2004.

358. Palandt/Heinrichs,. §276. Rn.6. მითითებულია ზ. ძლიერიშვილის ნაშრომიდან „სატრანსპორტო საშუალების ექსპლოატაციის შედეგად დამდგარი ზიანის ანაზღაურება", „სტუდენტური სამართლებრივი ჟურნალი", 2012, 115.

359. Richtlinie 85/577/EWG des Rates vom 20. Dezember 1985.

360. Richtlinie des Rates vom 25. Juli 1985, 85/374/EWG (ევროკავშირის 1985 წლის იულისის დირექტივა).

361. Richtlinie 90/219/EWG des Rates vom 23. April 1990.

362. Richtlinie 2001/18/EG des Europäischen Parlaments und des Rates vom 12. März 2001.

363. Verordnung (EG) Nr. 1829/2003 des Europäischen Parlaments und des Rates vom 22. September 2003.

364. Авторский колектив, Права человека, Учебник для вузов, М., 2002.

365. Н. Г. Александров, законность и правоотношения в советском обшестве, М., 1955.

366. С. Алексеев, Общая теория права. т. II, М., Юридическая лит-ра, 1982.

367. Е. А. Анчишина, Обязательства вследствие неосновательного обогащения, Автореф., Ижевск, 2010.

368. В.Н. Базылев, Ю.А. Бельчиков, А.А. Леонтьев, Ю.С. Сорокин, Понятия чести и достоинства, оскорбления и ненормативности в текстах права и массовой информации, В кн: Понятия чести, достоинства и деловой репутации, Спорные тексты СМИ и проблемы их анализа и оценки юристами и лингвистами, Изд. 2-е, переработанное и дополнение (Отв. ред. А. К. Симонов, М.В. Горбанский), М., 2004.

369. В. А. Белов, Гражданское право, Т. I, Обшая часть, Введение в гражданское право, 3-е изд., переработанное и дополненное, М., 2014.

370. С. Беляцкинь, Возмещение морального (неимушественного) вреда, в Еженедельном юридическом газете «Право», воскресенье 24 июля, №29, 1911.

371. А. М. Белякова, Возмещение вреда причиненного источником повышенной опасности, М., 1967.

372. Большой юридический словарь /под ред. А. Сухарева, В. Крутских/, М., 2002.

373. С. Братусь, О.С. Иоффе, Гражданское право, М., 1967.

374. В. Варкалло, Об Ответственности по гражданскому праву (возмещение вреда _ функции, виды, границы), Перевод с польского В. Залеского, М., 1978.

375. А. Вершинин, Охранительние материально-правовые отношения и право на судебную защиту, в материалы научной конференции: «Вопросы теории охранительных правоотношений», Ярославь, 1991.

376. К. Ц. Вуй, Деликтная ответственность за вред, причиненный вследствие дефектов продукции (Диссертация), Киев, 1993, <http://www.dissercat.com/content/delikatnaya-otvetstvennost-za-vred-prichinennyi-vsledstvie-defektov-produktsii> [08.01.2015].

377. К. Ц. Вуй, Деликтная ответственность за вред, причиненный вследствие дефектов продукции (Автореферат), Киев, 1993.

378. Ю.С. Гамбаров, Добровольная и безвозмездная деятельность в чужом интересе. Выпуск второй. Социологическое основание института neg. gestio. М., 1880.

379. В. Голышев, Гражданско-правовая ответсвтвенность, Гражданское право, общая часть (Курс лек-ции), М., 2007.

380. А. О. Гордон, Представительство в гражданском праве, СПб., 1879, 156, <http://uristinfo.net/dogovornoe-pravo/95-dogovornoe-o-vypolnenii-rabot-i-okazanii-uslug/2320-glava-9-dejstvija-v-chuzhom-interese-bez-poruchenija.html?start=2> [07.01.2015].

381. Гражданское право: В 4 т. Том 2: Вещное право. Наследственное право. Исключительные права. Личные неимущественные права: отв. ред. Е. А. Суханов, 3_е изд., перераб. и доп., М., 2008.

382. Гражданское право: В 4 т. Том 4: Обязательственное право, 3-е издание, Под ред. Е. А. Суханова, М., 2006.

383. С. С. Дикман, Проблемы ответственности за дифамацию: зарубнжный опыт и международные стандарты, В сборнике статей «Пределы правового пространства свободы прессы (российские споры с участием СМИ в контексте мировой практики), отв. ред. А. К. Соболева, М., 2008.

384. В. А. Дождев, Римское частное право. М., 1997, 545, <http://uristinfo.net/dogovornoe-pravo/95-dogovornoe-o-vypolnenii-rabot-i-okazanii-uslug/2320-glava-9-dejstvija-v-chuzhom-interese-bez-poruchenija.html?start=2> [06.01.2015].

385. Т. В. Дробышевсая, Личные неимущественные права граждан и их гражданско-правовая защита, Красноярск, Краснояр. гос. ун-т., 2001.

386. Курс советского гражданского права, И. Б. Новицкий, Л. А. Лунц, Общее учение об обязательстве, М., 1950.

387. Н. Егоров, Личные неимущественные права граждан и организации как институт советского гражданского права, в журнале «Правоведение», №6, Л., 1984.

388. С. Н. Ермолаев, Доля имущественном праве и общее обладение имущественными правами: исторический анализ, Научный журнал КубГАУ (Кубанского государственного аграрного университета), №91(07), 2013.

389. Е. А. Зарубинский, Обязательство в гражданском праве, М., 1958.

390. А. Зейц, Возмещение морального вреда по советскому праву, в журнале «Еженедельник советской юстиции», №47, 1927.

391. О. С. Иоффе, Советское гражданское право, общая часть. право субственности. общее учение об обязательствах, Л., 1958.

392. О. Иоффе, Личные неимущественные права и их место в системе советского гражданского права, «Советское государство и право», №7, 1966.

393. О. С. Иоффе, Обязательственное право, М., 1975.

394. Г. А. Корнийчук, Работодатель и работники, СПБ., 2004.

395. О. Красавчиков, Категории науки гражданского права. Избранные труды, в двух томах, т. 2, М., 2005.

396. Е. Крашенинников, Охраняемый законом интерес и средства его защиты, в материалы научной конференции: «Вопросы теории охранительных правоотношений», Ярославь, 1991.

397. Е. Крашенинников, Учение Муромцева о защищаемих и защищающих отношениях, в материалы научной конференции: «Вопросы теории охранительных правоотношений», Ярославь, 1991.

398. А. А. Крыжановская, Гражданско-правовая ответственность за вред, причиненный в связи с использованием сложных программных продуктов, М., 2010.

399. Е. Курзински-сингер, Т. Зарандия, Рецепция немецкого вещного права, В «Вестник гражданского права», Иностранная наука частного права, №1, Т. 12, 2012.

400. В. Лапач, Система объектов гражданских прав: теория и судебная практика, Санкт_Петербург, 2002.

401. Л. А. Майданик, Н. Ю. Сергеева, Материальная ответственность за повреждение здоровья, М., 1968.

402. Л. А. Майданик, Н. Ю. Сергеева, Материальная ответственность за повреждение здоровья. М., 1953, 43; В. Г. Вердников, А. Ю. Кабалкин, Возмещение вреда, понесенного при спасании социалистической собственности, М., 1963, 38 და შემდგომი <http://uristinfo.net/dogovornoe-pravo/95-dogovornoe-o-vypolnenii-rabot-i-okazanii-uslug/

2320-glava-9-dejstvija-v-chuzhom-interese-bez-poruchenija.html?start=2> [14.02.2015].

403. Н. С. Малеин, Возмещение вреда, причиненного личности, М., 1965.

404. М. Малеина, Личные неимущественные права граждан: понятие, осуществление, защита. 2-е издание, исправленное и дополненное, М., 2001.

405. Р. П. Мананкова, Правоотношения общей долевой собственности граждан по советскому законодательсту, Томск, 1977.

406. Т. И. Марголина, Баланс соблюдения прав человека и свободы СМИ в информационном пространстве (на примере Пермского края), В сборнике статей «Пределы правового пространства свободы прессы» (российские споры с участием СМИ в контексте мировой практики), отв. ред. А. К. Соболева, М., 2008.

407. Ж. В. Маркушевская, Деликтная ответственность и деликтные обязательства, В кн: «Управление в социальных и экономических системах», XVII Международная научно-практическая конференция «Управление в социальных и экономических системах» Секция 3-1. Актуальные проблемы в сфере международного, конституционного и гражданского права, Минск, 2008.

408. Е. Мотовиловкер, Теория регулятивного и охранительного права. Воронеж, Изд. Воронежского ун-та, Воронеж, 1990.

409. Е.Я. Мотовиловкер, Основное разделение охранительных правоотношений. Материалы научной конференции: «Вопросы теории охранительных правоотношений», Ярославь, 1991.

410. И. Б. Новицкий, Солидарность интересов в советском гражданском праве, М., 1951.

411. К. Осакве, Анатомия морального вреда: Классическая интерпретация морального вреда в англо-американском праве, «Актуальные вопросы частнопра-вового регулирования», №3, 2009.

412. А. И. Пергамент, К Вопросу о правовом положении несовершеннолетних, «Ученые записки ВИЮН», Вып. 3, Госюриздат, 1955.

413. Л. Рафиева, Гражданско-правовая защита чести и достоинства личности в СССР, Автореф. дисс. на соискание ученой степени кандидата юрид. наук, Ленинград, 1966, 5; Курс советского гражданского права, С. Н. Братусь, Предмет и система советского гражданского права, М., 1963.

414. Н. А. Романова, К Вопросу о дефинициях вины в гражданском праве, в Научный журнал КубГАУ, № 41 (7), 2008.

415. Е. В. Рузанова, Понятие обязательства вследствие причинения вреда, Вестник СамГУ, №5.2 (45), 2006.

416. Р. Саватье, Теория обязательств, Юридический и экономический очерк, Перевод с французского и вступительная статья Р. О. Халфиной, М., 1972.

417. Ф. Савиньи, Обязательственное право, Перевели с немецкого Ф Фуксь и Н. Мандро, М., 1876.

418. Н. А. Свалова, Обьект обязательства, возникнающего из действий в чужом интересе без поручения, В «Российский юридический журнал», №1, 2008.

419. В. Сенчищев, Обьект гражданского правоотношения. Общее понятие, შრომათა კრებულში: «Актуальные проблемы гражданского права» (ред. М. Брагинский), М., 1998.

420. В. Т. Смирнов, Гражданская ответственность государственных предприятий за причинение увечя или смерти работникам, М., 1957.

421. В. Т. Смирнов, Регрессные иски в обязательствах из причинения вреда, М., 1960.

422. В. Суховерхий, О развитии гражданскоправовой охраны личных неимущественных прав и интересов граждан, «правоведение», №3, 1972.

423. Е. А. Суханов, Действия в чужом интересе без поручения (глава 50), Гражданский кодекс Российской Федерации. Часть вторая. Текст, Комментарий, Алфавитно-предметный указатель, М., 1996, 514, <http://uristinfo.net/dogovornoe-pravo/95-dogovornoe-o-vypolnenii-rabot-i-okazanii-uslug/2320-glava-9-dejstvija-v-chuzhom-interese-bez-poruchenija.html?start=2> [20.02.2015]

424. Н. В. Фирсова, Правовая природа доли в общей собственности: вопросы теории и практики, «Вестник БИСТ» (Башкирского института социальных технологий), №3(3), Сентябрь, 2009.

425. Е. А. Флейшиц, Обязательство из причинения вреда и из неосновательного обогощения, М., 1951.

426. Е.М. Чурюкина, Понятие гражданско-правовой ответственности, Вектор науки ТГУ, Серия: Юридические науки, № 1 (16), 2014.

427. Л. Эннекцерус, Т. Кипп, М. Вольф, Курс германского гражданского права. Т. 1, введение и общая часть, перевод с 13-го немецкого издания Граве К., Г. Полинской и В. Альтшулера, под редакцией, с предисловием и вводнымы замечаниями Д. Генкина и И. Новицкого, М., 1949.

428. К. К. Яичков, Ответственность родителей за причиненый детьми вред, «Социалистическая законность», №6, 1950.

429. <http://dissertations.ub.rug.nl/FILES/faculties/jur/2002/j.e.wichers/wichers.PDF> [07.05.10];

430. <http://www.bundestag.de/dokumente/rechtsgrundlagen/grundgesetz/gg_01.html>, [03.04.2011]

431. <http://www.netgazeti.ge/GE/105/Life/25965/> [10.01.2015]

432. <http://www.liberali.ge/ge/liberali/articles/117065/> [02.01.2015].

433. <http://www.vip-study.ru/files/8.doc> [12.03.10 12:34]

434. ო. ცისკარიშვილი, შშმ პირებმა საქართველოს პარლამენტს სასამართლო დავა მოუგეს, კატეგორია „ადამიანის უფლებები", 19.04.2015, <http://opinion.civil.ge/publications/293> [15.07.2015].

435. საქართველოს პარლამენტის იურიდიულ საკითხთა კომიტეტის 2015 წლის 17 მარტის სხდომის ოქმი N174.

სასამართლოს გადაწყვეტილებები:

436.საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2002 წლის 24 აპრილის გადაწყვეტილება (3კ-1218-01).

437.საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2002 წლის 25 ივნისის განჩინება (N3კ-337-02).

438.საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2003 წლის 24 აპრილის გადაწყვეტილება (N3კ-1240-02).

439. საქართველოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2003 წლის 27 ივნისის გადაწყვეტილება (N3კ-377-03).

440.საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2003 წლის 31 ოქტომბრის გადაწყვეტილება (Nას-181-882-03).

441.საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2004 წლის 14 აპრილის გადაწყვეტილება (Nას-593-1241-03).

442.საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2004 წლის 1 ივნისის გადაწყვეტილება (Nას-168-465-04).

443. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2005 წლის 7 ივლისის გადაწყვეტილება (Nას-309-633-05).

444.საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციული და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2005 წლის 26 იელისის გადაწყვეტილება (Nბს-434-25(3კ-05).

445. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2005 წლის 29 იელისის გადაწყვეტილება (Nას-627-903-05).

446. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2006 წლის 13 მარტის გადაწყვეტილება (Nას-761-1053-05).

447. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2006 წლის 1 ივნისის განჩინება (Nას-1284-1520-05).

448.საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2006 წლის 29 ივნისის გადაწყვეტილება (Nას-1363-1588-05).

449. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2006 წლის 27 სექტემბრის (Nას-105-545-06).

450. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2006 წლის 12 ოქტომბრის გადაწყვეტილება (Nას-60-508-06).

451. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2006 წლის 9 ნოემბრის გადაწყვეტი ლება (Nას-14-1466-05)

452.საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2007 წლის 26 თებერვლის გადაწყვეტილება (Nას-260-673-06).

453. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2007 წლის 30 მარტის განჩინება (Nას-509-893-06).

454.საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2007 წლის 13 აპრილის გადაწყვეტილება (Nას-863-1219-06).

455. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2007 წლის 20 ივნისის გადაწყვეტილება (Nას-24-379-07).

456. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2007 წლის 25 სექტემბრის გადაწყვეტილება (Nას-296-624-07).

457. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2007 წლის 1 ოქტომბრის გადაწყვეტილება (Nას-301-627-07).

458. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2007 წლის 28 ნოემბრის განჩინება (Nას-505-852-07).

459.საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2008 წლის 16 მაისის გადაწყვეტილება (Nას-810-1129-07).

460. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2008 წლის 17 სექტემბრის გადაწყვეტილება (Nას-232-493-08).

461. საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციული და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2009 წლის 8 აპრილის გადაწყვეტილება Nბს-972-936(3კ-08).

462. საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2008 წლის 17 აპრილის განჩინება (Nბს-1116-1067(კ-07).

463. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2009 წლის 23 ივლისის გადაწყვეტილება (Nას-1174-1319-08).

464. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2009 წლის 3 დეკემბრის გადაწყვეტილება (Nას-440-754-09).

465.საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 20 ივლისის გადაწყვეტილება (Nას-254-239-2010).

466. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 27 სექტემბრის გადაწყვეტილება (Nას-331-308-2010).

467. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 18 ოქტომბრის განჩინება (Nას-431-403-2010).

468. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 28 ოქტომბრის გადაწყვეტილება (Nას-332-309-2010)

469. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 2 ნოემბრის გადაწყვეტილება (Nას-759-1085-07).

470. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 9 ნოემბრის განჩინება (Nას-494-463-2010).

471. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 22 ნოემბრის გადაწყვეტილება (Nას-868-817-2010).

472. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2011 წლის 21 თებერვლის გადაწყვეტილება (№ას-1275-1122-2010).

473. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2011 წლის 4 აპრილის გადაწყვეტილება (№ას-311-295-2011).

474. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2011 წლის 14 ივლისის გადაწყვეტილება (№207-194-2011).

475. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2011 წლის 14 ივნისის განჩინება (საქმე №ას-280-264-2011).

476. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2011 წლის 16 ივნისის გადაწყვეტილება (№ას-660-621-2011).

477. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2011 წლის 16 ივნისის გადაწყვეტილება (№ას-547-517-2011).

478. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2011 წლის 27 ივნისის გადაწყვეტილება (№ას-260-244-2011).

479. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2011 წლის 11 ივლისის გადაწყვეტილება (№ას-188-177-2011).

480. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2011 წლის 4 ოქტომბრის გადაწყვეტილება (№ას-649-610-2011).

481. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2011 წლის 10 ოქტომბრის გადაწყვეტილება (№ას-1129-1156-2011).

482. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2011 წლის 24 ოქტომბრის გადაწყვეტილება (№ას-1404-1419-2011).

483. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2011 წლის 7 ნოემბრის გადაწყვეტილება (№ას-352-335-2011).

484. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2011 წლის 14 ნოემბრის გადაწყვეტილება (№ას-1169-1189-2011).

485. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2011 წლის 15 ნოემბრის გადაწყვეტილება (№ას-881-924-2011).

486. საქართველოს უზენაესი სასამართლო სამოქალაქო საქმეთა პალატის 2011 წლის 29 დეკემბრის გადაწყვეტილება (№ას-1075-1105-2011).

487. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2012 წლის 20 იანვრის გადაწყვეტილება (№ას-1156-1176-2011).

488. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2012 წლის 16 თებერვლის გადაწყვეტილება (№ას-1626-1616-2011).

489. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2012 წლის 20 თებერვლის გადაწყვეტილება (№ას-1278-1298-2011).

490. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2012 წლის 12 მარტის გადაწყვეტილება (№ას-85-81-2012).

491. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2012 წლის 4 აპრილის გადაწყვეტილება (Nას-1249-1269-2011).

492. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2012 წლის 30 აპრილის გადაწყვეტილება (Nას-277-268-2012).

493. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2012 წლის 12 ივლისის გადაწყვეტილება (Nას-860-806-2012).

494. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2012 წლის 1 ნოემბრის გადაწყვეტილება (Nას-1202-1131-2012).

495. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2012 წლის 8 ნოემბრის გადაწყვეტილება (Nას-1169-1098-2012).

496. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2012 წლის 12 დეკემბრის გადაწყვეტილება (Nას-1320-1246-2012).

497. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2012 წლის 2 ოქომბრის გადაწყვეტილება (Nას-1055-989-2012).

498. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2012 წლის 21 ივნისის გადაწყვეტილება (Nას-107-103-2012).

499. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2012 წლის 13 დეკემბრის გადაწყვეტილება (Nას-937-880-2012).

500. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2012 წლის 3 აპრილის გადაწყვეტილება (Nას-1477-1489-2011).

501. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2012 წლის 3 აგვისტოს განჩინება (Nას-1739-1720-2011)

502. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2012 წლის 3 აგვისტოს განჩინება (Nას-208-201-2012).

503. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2013 წლის 7 თებერვლის გადაწყვეტილება (Nას-1385-1307-2012).

504. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2013 წლის 11 თებერვლის გადაწყვეტილება (Nას-1136-1067-2012).

505. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2013 წლის 25 თებერვლის გადაწყვეტილება (Nას-1149-1169-2011).

506. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2013 წლის 25 თებერვლის გადაწყვეტილება (Nას-3-3-2013).

507. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2013 წლის 5 მარტის გადაწყვეტილება (Nას-1090-1021-2012).

508. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2013 წლის 7 მარტის გადაწყვეტილება (Nას-1150-1079-2012).

509. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2013 წლის 11 მარტის გადაწყვეტილება (Nას-1680-1576-2012).

510. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2013 წლის 2 აპრილის გადაწყვეტილება (Nას-1656-1553-2012).

511. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2013 წლის 25 ივნისის გადაწყვეტილება (№ას-448-424-2013).

512. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2013 წლის 1 ივლისის გადაწყვეტილება (№ას-247-237-2013).

513. საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2013 წლის 25 ივლისის გადაწყვეტილება (№ბს-494-488(2კ-12).

514. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2013 წლის 29 ივლისის გადაწყვეტილება (№ას-688-654-2013).

515. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2013 წლის 4 ოქტომბრის გადაწყვეტილება (№ას-294-280-2013).

516. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2013 წლის 10 ოქტომბრის გადაწყვეტილება (№ას-1378-1300-2012).

517. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2013 წლის 10 ოქტომბრის გადაწყვეტილება (№ას-1657-1554-2012).

518. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2013 წლის 24 ოქტომბრის გადაწყვეტილება (№ას-447-423-2013).

519. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2013 წლის 5 დეკემბრის გადაწყვეტილება (№ას-472-448-2013).

520. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2013 წლის 16 დეკემბრის გადაწყვეტილება (№ას-660-627-2013).

521. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2013 წლის 16 დეკემბრის გადაწყვეტილება (№ას-942-900-2013).

522. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2013 წლის 23 დეკემბრის გადაწყვეტილება (№ას-692-658-2013).

523. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2013 წლის 15 ნოემბრის გადაწყვეტილება (№ას-378-359-2013).

524. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2013 წლის 25 ნოემბრის გადაწყვეტილება (№ას-1165-1094-2012).

525. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2014 წლის 9 იანვრის გადაწყვეტილება (№ას-496-472-2013).

526 საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2014 წლის 9 იანვრის გადაწყვეტილება (№ას-714-677-2013).

527. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2014 წლის 3 თებერვლის გადაწყვეტილება (№ას-980-938-2013).

528. თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2014 წლის 6 მარტის გადაწყვეტილება (№2ბ/3167-13).

529. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2014 წლის 17 მარტის გადაწყვეტილება (№ას-877-835-2013).

530. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2014 წლის 4 აპრილის გადაწყვეტილება (№ას-987-945-2013).

531. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2014 წლის 23 აპრილის განჩინება (№ას-1332-1258-2012).
532. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2014 წლის 1 მაისის გადაწყვეტილება (№ას-65-63-2014).
533. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2014 წლის 5 მაისის გადაწყვეტილება (№ას-1085-1016-2012).
534. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2014 წლის 5 მაისის გადაწყვეტილება (№ას-860-818-2013).
535. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2014 წლის 16 მაისის გადაწყვეტილება (№ას-363-342-2014).
536. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2014 წლის 2 ივნისის გადაწყვეტილება (№ას-223-208-2014).
537. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2014 წლის 21 ივლისის გადაწყვეტილება (№ას-87-83-2014).
538. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2014 წლის 20 ოქტომბრის გადაწყვეტილება (№ას-698-668-2014).
539. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2015 წლის 27 იანვრის გადაწყვეტილება (№ას-308-293-2013).
540. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2015 წლის 6 მაისის გადაწყვეტილება (№ას-1307-1245-2014).
541. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2015 წლის 6 მაისის გადაწყვეტილება (№ას-1158-1104-2014).
542. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2015 წლის 11 ივნისის გადაწყვეტილება (№ას-1205-1150-2013)
543. საქართველოს უზენაესი სასამართლო სამოქალაქო საქმეთა პალატის 2015 წლის 21 ივლისის განჩინება (№ას-688-654-2015)
544. საქართველოს უზენაესი სასამართლო სამოქალაქო საქმეთა პალატის 2015 წლის 9 ოქტომბრის გადაწყვეტილება (№ას-873-835-2014).
545. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მე-2 სექციის 2006 წლის 17 ოქტომბრის განაჩენი საქმეზე „გურგენიძე საქართველოს წინააღმდეგ“ (განცხადი N71678/01) (საბოლოო 17/01/2007).
546. საქართველოს უზენაესი სასამართლოს რეკომენდაციები სამოქალაქო სამართლის სასამართლო პრაქტიკის პრობლემატურ საკითხებზე და საქართველოს უზენაესი სასამართლოს ერთგვაროვანი პრაქტიკა სამოქალაქო საქმეებთან დაკავშირებით, თბ., 2007.
547. საქართველოს უზენაეს სასამართლოში მოსამართლეთა რეგულარული შეხვედრების შედეგად სამოქალაქო და ადმინისტრაციული სამართლის სფეროში შემუშავებული რეკომენდაციები და სამოქალაქო სამართლის საკითხებზე საქართველოს უზენაესი სასამართლოს ერთგვაროვანი პრაქტიკა, თბ., 2011.

548. საქართველოს უზენაესი სასამართლო: რეკომენდაციები და სამოქალაქო სამართლის საკითხებზე საქართველოს უზენაესი სასამართლოს ერთგვაროვანი პრაქტიკა, თბ., 2011.

549. ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2015 წლის 29 ივნისის გადაწყვეტილება (N2/497-15).

550. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2007 წლის 26 ოქტომბრის გადაწყვეტილება საქმეზე N2/2/-389.

551. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2004 წლის 11 მარტის გადაწყვეტილება საქმეზე N2/1/241.

552. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს (მე-2 კოლეგიის) 2014 წლის 8 ოქტომბრის გადაწყვეტილება (N2/4/532,533).

553. Hannover v. Germany, 2012 წლის 7 თებერვლის გადაწყვეტილება (N2).

554. BGH, NJW 1996-Caroline von Monaco-Entscheidung II; EuGHMR 2004-VI - Von Hannover gegen Deutschland (განაცხადი N59320/00).

555. BGH, NJW 2000, 2195-Marlene-Dietrich-Entscheidung.

556. BGH, NJW 2000, 2201-Blaue-Engel-Entscheidung.

557. BGHZ 1954.25.05- Schacht-Entscheidung.

558. BGHZ 1958.14.02- Herrenreiter-Entscheidung.

559. BGHZ 1958.20.05 - Tonband-Entscheidung.

560. BGH, Soraya-Entscheidung, NJW 1965.

561. EuGHMR (große Kammer) 2006/11/07-Jalloh gegen Deutschland (განაცხადი N54810/00).

562. 1998 წლის 14 იანვრის პირველი სენატის გადაწყვეტილება, 1 BvR 1861/93,1 BvR 1864/96, 1 BvR 2073/97.

563. BGHZ 1954- Schacht-Entscheidung.

564. B. v. France, 1992 წლის 25 მარტის გადაწყვეტილება.

565. Castells v. Spain, 1992 წლის 23 აპრილის გადაწყვეტილება.

566. B. Smyth v. Pillsbury Co., 1996 წლის 23 იანვრის გადაწყვეტილება.

567. De Haas and Gijsels v. Belgium, 1997 წლის 24 თებერვლის გადაწყვეტილება.

568. Jerusalem v. Austia, 2001 წლის 27 თებერვლის გადაწყვეტილება.

569. M.G v. the United Kingdom, 2002 წლის 24 სექტემბრის გადაწყვეტილება.

570. Doe v. Chao, 124 S. Ct. 1204, 1208-10, 2004 წლის 24 თებერვლის გადაწყვეტილება.

571. Copland v. United Kingdom, 2007 წლის 3 აპრილის გადაწყვეტილება.

572.<http://library.court.ge/gil/index.php?term_id=409> [07.11.2015].

➢ საქართველოს კონსტიტუცია, 1995 წლის 24 აგვისტო.

➢ ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია. 1950 წლის 4 ნოემბერი.

➢ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის 2006 წლის 13 დეკემბრის „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების კონვენცია".

➢ საქართველოს ორგანული კანონი „შრომის კოდექსი", 2010 წლის 17 დეკემბერი, N4113-რს.

➢ საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, 1997 წლის 26 ივნისი, რეგისტრაციის N786.

➢ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი, 1997 წლის 14 ნოემბერი, N1106 – Iს.

➢ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი, 1999 წლის 22 ივლისი, N2287 რს.

➢ საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, 2009 წლის 9 ოქტომბერი, N1772 - IIს.

➢ საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, 1998 წლის 20 თებერვალი, N1251-IIს (ძალადაკარგულია).

➢ საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსი, 1999 წლის 23 ივლისი, №2352–რს.

➢ საქართველოს კანონი „სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ", 2004 წლის 24 ივნისი, რეგისტრაციის N220.

➢ საქართველოს კანონი „საჯარო რეესტრის შესახებ", 2008 წლის 19 დეკემბერი, №820-IIს.

➢ საქართველოს კანონი „სურსათის/ცხოველის საკვების უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის კოდექსი", 2012 წლის 8 მაისი, N6155- Iს.

➢ საქართველოს კანონი „საჯარო სამსახურის შესახებ", 2015 წლის 27 ოქტომბერი, N4346-Iს.

➢ საქართველოს კანონი „ცხოველთა სამყაროს შესახებ", 1996 წლის 25 დეკემბერი, N540- რს.

➢ საქართველოს კანონი „ელექტროენერგეტიკისა და ბუნებრივი გაზის შესახებ", 1997 წლის 27 ივნისი, N816-IIს.

➢ საქართველოს კანონი „ადამიანის ორგანოთა გადანერგვის შესახებ", 2000 წლის 23 თებერვალი, N160-IIს.

➢ საქართველოს კანონი „ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის შესახებ", 2007 წლის 11 ივლისი, N5277-რს.

➢ პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსი, 2012 წლის 8 მაისი, N6157-რს.

➢ საქართველოს საჰაერო კოდექსი, 1996 წლის 29 ოქტომბერი, №462-Iს

➢ განმარტებითი ბარათი „სსკ-ში დამატების შეტანის შესახებ" საქართველოს 2008 წლის 14 მარტის N5919–I-ს კანონზე.

➢ განმარტებითი ბარათი „საქართველოს სამოქალაქო კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ" საქართველოს 2015 წლის 20 მარტის კანონზე N3339.

➢ გერმანიის სამოქალაქო კოდექსი (BGB)

➢ Gesetz über die Haftung für fehlerhafte Produkte (Produkthaftungs-gesetz - ProdHaftG), BGBI, I 2198 vom 22 Dezember 1989.

➢ Bundesgesetz über die Produktehaftpflicht (Produktehaftpflichtgesetz, PrHG), vom 18. Juni 1993 (Stand am 1. Juli 2010).

„ბონა კაუზა"-ს მიერ გამოცემული წიგნები

მათი შეძენა შეგიძლიათ „ბიბლუსის" მაღაზიების ქსელში, ქ. თბილისის წიგნების მაღაზიებში და „ბონა კაუზა"-ს საფირმო მაღაზიაში

(მის: ქ.თბილისი, თაბუკაშვილის ქ№12, ტელ.: 299-00-71; 599 78 61 77)

კონსტიტუციები

- საქართველოს კონსტიტუცია
- საქართველოს კონსტიტუცია (რუსულად)
- საქართველოსა და ავტონომიური რესპუბლიკების კონსტიტუციები
- ამერიკის შეერთებული შტატების კონსტიტუცია
- რუსეთის ფედერაციის კონსტიტუცია

კოდექსები

- საქართველოს სამოქალაქო კოდექსი
- საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი
- საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი
- საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი
- საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი და ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსი (ერთ წიგნად)
- საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი
- საქართველოს საგადასახადო კოდექსი
- საქართველოს საგადასახადო კოდექსი (კოდიფიცირებული; მიღების დღიდან შესული ყველა ცვლილებებით)
- საქართველოს საარჩევნო კოდექსი
- საქართველოს ტყის კოდექსი
- საქართველოს საზღვაო კოდექსი
- საქართველოს შრომის კოდექსი
- საქართველოს პატიმრობის კოდექსი
- საქართველოს საბიუჯეტო კოდექსი
- ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი
- პროდუქტის უსაფრთხოების და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსი
- არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსი

ნორმატიული აქტების კრებულები

- მუნიციპალური სამართალი (ყველაფერი ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ)
- საბანკო სამართალი
- საავტორო სამართალი
- საპატენტო სამართალი და სამრეწველო საკუთრების სამართალი
- საბინაო სამართალი
- საარბიტრაჟო სამართალი
- დაზღვევის სამართალი

• საქართველოს კანონი "მეწარმეთა შესახებ"
• საქართველოს კანონი "სახელმწიფო ქონების შესახებ"
• ავტოსატრანსპორტო სამართალი
• სამეწარმეო სამართალი
• სამხედრო სამართალი
• სამშენებლო სამართალი (როგორ ვაშენოთ კანონიერად)
• საერთაშორისო სამართალი და ურთიერთობები
• სანოტარო სამართალი
• საერთაშორისო სავაჭრო სამართალი
• საფინანსო სამართალი
• ეკოლოგიური სამართალი
• საერთაშორისო საზღვაო სამართალი
• დიპლომატიური სამართალი. საკონსულო სამართალი
• საჰაერო სამართალი
• ბავშვის უფლებათა სამართალი
• საერთაშორისო კერძო სამართალი
• საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართალი
• ლტოლვილთა სამართალი
• სასჯელაღსრულებითი სამართალი
• მომხმარებელთა უფლებების დაცვის სამართალი
• ევროპის სამართალი
• ყველაფერი სააღსრულებო წარმოებათა შესახებ
• ფასიანი ქაღალდების სამართალი
• მას-მედიის სამართალი
• საერთაშორისო ორგანიზაციების სამართალი
• საერთაშორისო სისხლის სამართალი
• მიწის სამართალი
• ადამიანის უფლებათა სამართალი
• ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებები
• ყველაფერი ყადაღის შესახებ (ყადაღის დადება, მოხსნა, განაკვეთები)
• სამაგიდო წიგნი ექიმებისათვის
• სამაგიდო წიგნი იურისტებისათვის, ეკონომისტებისათვის, საქმიანი ადამიანებისათვის
• პოლიციელის სამაგიდო წიგნი
• მოსამართლის სამაგიდო წიგნი
• ბუღალტრის სამაგიდო წიგნი
• აუდიტორის სამაგიდო წიგნი
• ადვოკატის სამაგიდო წიგნი
• საჯარო მოსამსახურის სამაგიდო წიგნი
• საინვესტიციო გარემო და ბიზნესის სამართლებრივი საფუძვლები საქართველოში

• ეკონომიკურ დანაშაულობასთან ბრძოლა და საფინანსო წესრიგის დამყარება
• საქართველოს პარლამენტის რეგლამენტი
• საქართველოს მოქალაქეობა მოქმედ კანონმდებლობაში
• საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო
• შრომის სამართალი
• რა უნდა ვიცოდეთ გადასახადების ადმინისტრირების შესახებ
• სახელმძღვანელო ინსტრუქციები ბიუჯეტის დაფინანსებაზე მყოფი და კერძო სექტორის ორგანიზაციების ბუღალტერთათვის
• საქართველოს კანონმდებლობა განათლების სფეროში
• როგორ გავხდეთ მესაკუთრე
• საპენსიო სამართალი
• გადასახადების ადმინისტრირების სამართალი
• სახელმძღვანელო ინსტრუქციები ბიუჯეტის დაფინნასებაზე მყოფი და კერძო სექტორის ორგანიზაციების ბუღალტერთათვის
• საქართველოს საგადასახადო კოდექსის ცალკეული მუხლების გამოყენების ინსტრუქციები
• საგზაო მოძრაობის წესები
• კანონმდებლობა იარაღის შესახებ
• ასოცირების შესახებ შეთანხმება საქართველოსა და ევროკავშირს შორის

სამეცნიერო წიგნები

• თანამედროვეობის ძირითადი სამართლებრიეი სისტემები (რენე დავიდი)
• სახელმწიფოსა და სამართლის ისტორია (გიორგი ნადარეიშვილი)
• რომის სამოქალაქო სამართალი (გიორგი ნადარეიშვილი)
• მსოფლიოს პოლიტიკურ და სამართლებრივ მოძღვრებათა ისტორია (გიორგი ნადარეიშვილი)
• ქართული სახელმწიფოსა და სამართლის ისტორია (გიორგი ნადარეიშვილი)
• საზღვარგარეთის ქვეყნების სამოქალაქო და სავაჭრო სამართლის მოკლე მიმოხილვა (გიორგი ნადარეიშვილი)
• სახელმწიფოსა და სამართლის ზოგადი თეორია (გიეი ლობჟანიძე)
• შესავალი სამართლის ფილოსოფიაში (გიეი ლობჟანიძე)
• შრომის სამართალი (დ. ძამუკაშვილი)
• მემკვიდრეობის სამართალი (ზ. ახელედიანი)
• გავრცელებული ნარკოლოგიური საშუალებები და პრეკურსორები (ნ. ნადარეიშვილი, დ. ჩაგუნავა)
• სისხლის სამართალი. /დანაშაული/ (ლამარა სურგულაძე)
• კომპიუტერული დანაშაული (ლამარა სურგულაძე)
• ადმინისტრაციული სამართალი (იროდიონ სურგულაძე)

• შესავალი გაკოტრების სამართალში (დამხმარე სახელმძღვანელო) (როინ მიგრიაული)
• სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოება (ლალი ლაზარაშვილი)
• კონსტიტუციის სამართლებრივი დაცვა (ბადრი კოჭლამაზაშვილი)
• საეკლესიო სამართლის საკითხები (დავით ჩიქვაიძე)
• შესავალი ქართულ სამართალშემოქმედებაში (როგორ იქნება სამართალი) (რევაზ რიჟამაძე)
• სანიეთო სამართალი (ზურაბ ჭეჭელაშვილი)
• სახელშეკრულებო სამართალი (ზურაბ ჭეჭელაშვილი)
• ყაჩაღობასთან ბრძოლა და მისი პრაქტიკული მნიშვნელობა (რამაზ კვარაცხელია)
• ტიპიური ხელშეკრულებების ნიმუშები (თ. ზარანდია, ლ.ლაზარაშვილი, შ. ჯანხოთელი)
• ტესტების ნიმუშები (კონსტიტუციური სამართალი, ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართალი)
• საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის კომენტარები (ავტორთა კოლექტივი)
• ხელშეკრულების განმარტება (ნ. იოსელიანი)
• განზრახ მკვლელობისა და სიცოცხლის მოსპობის სხვა შემადგენლობათა კვალიფიკაცია (რამაზ კვარაცხელია)
• ფრენშაიზინგული ურთიერთობების სამართლებრივი რეგულირება (თინათინ ჩაჩანიძე)
• საბაჟო გადასახდელებით დაბეგვრა საქართველოში (გიორგი ლორია)
• 500 ტესტი სამოქალაქო სამართალში
• გამოძიების პროცესუალური დოკუმენტების ნიმუშები (მ. ლომსაძე)
• სისხლის სამართლის საქმეებზე ჩასატარებელი ექსპერტიზების წესი და სახეები (მ. ლომსაძე)
• სისხლის სამართლის პროცესი (მ. ლომსაძე)
• უცხო ქვეყნის სასამართლო გადაწყვეტილებათა ცნობა და აღსრულება საქართველოში (ბ.ლილუაშვილი)
• ადვოკატი სამოქალაქო საქმეებზე (ბ. კაიშაური)
• ბიზნეს სამართალი (ნ. პეპანაშვილი)
• საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი (ტომი პირველი) (ნ. პეპანაშვილი)
• დავალიანების გადახდევინების შესახებ საქმის განხილვის გამარტივებული წესი სამოქალაქო პროცესში (რობიზონ ხურცილავა)
•კიბერსივრცის სამართალი (ლ. ბოძაშვილი)
• პირადი ცხოვრების დაცვა საქ. სამოქალაქო სამართლის მიხედვით (მ. ბიჭია)
• მფლობელობა და საკუთრება, ფაქტი და უფლება სამოქალაქო სამართალში (ქ. ქოჩაშვილი)
• ინტელექტუალურ უფლებათა სამართალი (დ. ძამუკაშვილი)

• საერთაშორისო ორგანიზაციების სამართალი და ტრანსნაციონალური კორპორაციები (დავით გეფერიძე, ავთანდილ ხაზალია)
• ვადები სამოქალაქო და სამოქალაქო საპროცესო კოდექსების მიხედვით (ს. ჯორბენაძე)
• საკონსულო სამართალი (ი. ხუცურაული)
• ევროკავშირის საავტორო სამართალი (დ. ძამუკაშვილი)
• შეცვლილი გარემოებების გაელვენა ვალდებულების შესრულებასა და მხარეთა შესაძლო მეორად მოთხოვნებზე (ნათია ჩიტაშვილი)
• ვალდებულებით – სამართლებრივი ურთიერთობებიდან გამომდინარე ვალდებულებათა შინაარსი და სახეები (ზოგადი დახასიათება)უსაფუძვლო გამდიდრება (ძირითადი საკითხები) (თამარ ჩიტოშვილი)
• სამოქალაქოსამართლებრივი ნორმების განმარტებები უზენაესი სასამართლოს პრაქტიკაში (2000-2014) მეორე გადამუშავებული გამოცემა (ალეკო ნაჭყებია)
• საქართველოს კონსტიტუციის კომენტარი (ავატანდილ დემეტრაშვილი)
• საქართველოს კონსტიტუციური სამართალი (პაატა ცნობილაძე)
• წუნდებული პროდუქტით მიყენებული ზიანის ანაზღაურება (თამარ ზოიძე)
• ადმინისტრაციულსამართლებრივი ნორმების განმარტებები უზენაესი სასამართლოს პრაქტიკაში (ალეკო ნაჭყებია)

უცხოელ ავტორთა წიგნები და საერთაშორისო სამართლებრივი აქტები

• ძველი სამართლის ბრძოლა ახალ სამართალთან (გეორგ ელინეკი. რუსულიდან თარგმანი ზაზა ნანობაშვილისა)
• ბრძოლა უფლებისათვის (რუდოლფ იერინგი. რუსულიდან თარგმანი ზაზა ნანობაშვილისა)
• საერთაშორისო ხელშეკრულებები, პაქტები, კონვენციები
• მოწმის ჩვენების ფსიქოლოგია (ერნ. თრენკელი)
• ნაფიც მსაჯულთა სასამართლო
• პანდექტები (დერნბურგი)

ლექსიკონები და ცნობარები

• საქართველოს კანონთა ნუსხა. კლასიფიცირებული თემატური და ქრონოლოგიური ნიშნით
• განმარტებითი ლექსიკონი საჯარო მოსამსახურეთათვის
• კონსტიტუციური (სახელმწიფო) სამართლის ლექსიკონი (ინგლისური, რუსული, ფრანგული და გერმანული შესატყვისებით) დავით ჩიკვაიძე
• ევროპული კავშირის სამართლის ცნობარი

ბროშურები

- საქართველოს კანონი „პროკურატორის შესახებ"
- საქართველოს კანონი „გადახდისუუნარობის საქმის წარმოების შესახებ"
- საქართველოს კანონი "ნორმატიული აქტების შესახებ"
- საქართველოს კანონი „საჯარო სამსახურის შესახებ"
- საქმის წარმოების ერთიანი წესები
- საქართველოს კანონი ლიცენზიების და ნებართვების შესახებ.
- საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ. საქართველოს მთავრობის რეგლამენტი.